

114 /
1962/3



მეცნიერებათა



114 /
3

7

3

1

9

6

2

გნეოტოპი

ბათუმი
1962 წელი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუბრული

წელიწადი 39-ე

№ 7

ივლისი, 1962 წ.

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, დასასრული	3
მურმან ლებანიძე — ლექსები	33
არჩილ ხულაყაური — აბელის დაბრუნება, მოთხრობა	36
თამაზ ჭილაძე — ლექსები	47
დავით ევიცარიძე — აღმართი, რომანი	51
თეიმურაზ ჭანგულაშვილი — ძალა მუწისა, პოემა	71
ლადო მრელაშვილი — ყაბახი, რომანი, გაგრძელება	81
იონა ვაკელი — ხელაშვილების ოჯახი, პიესა	102

კრიტიკა და ხელოვნებისმცოდნეობა

ნოდარ კაკაბაძე — ვერონტი ჭიჭოძე	120
დოდო ანთაძე — კოტე მარჯანიშვილის მუშაობა „კამლეტზე“	123
ბორის პეტერეი — მასების დამრავლებელი თეატრის პიონერი	130 ✓
დავით წერეთელი — შესანიშნავი ჭარბული მხატვარი	133
გურამ ახათიანი — სიმონ ჭიჭოძის პოეტურა სახეები	138
გიორგი ჭიბლაძე — ჟოვარტის ესთეტიკა, დასასრული	149

გამოსათხოვარი

ი. დოლიძე — დიდი შეცნიერი და მოქალაქე	160
-------------------------------------------------	-----

წარსულიდან

ალ. ფარცვალიაშვილი — მხატვარ გ. გ. გვარამის მოხსენება მინისტრ ჩერნიშევსადმი	164
ა. ძიძარია — XIX საუკუნის ქართული მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ	169

(მ. შ. 2 გვ.)



შოთა ბაღრაძე — ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის	173
ვაჟა გვახარია — იშთარის მოგზაურობის ქაშნი	190



წიგნების მიმოხილვა

შოთა სულაბერიძე — შ. ამისულაშვილის პოემები	134
აკაკი თოფურია — ლიტერატურული ნარკვევები	186
რ. კვიციანიძე, ბ. კარტოზია, გ. რუსია — ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსი	189
ზურაბ ჩხეწყელი — ბრეჰტის პირველი ქართული თარგმანი	190
ახალი წიგნები	192



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ფდენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერა დასაბეჭდად 11/VII-62 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ანაწყობის ზომა 7 1/4×12 1/2
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 09160
ტირაჟი 6500 შეკვეთა № 1092

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ჰუმანიტარული მკვლევარი დავით აღმაშენებელი

ბატალონი

აღმოსავლეთი და დასავლეთი

პირველი ჯვაროსნული ომი ჯერაც არ იყო მოთავებული, სელჯუკიანთა სასულტანო გააფთრებული განაგრძობდა ქრისტიანი ერების: ბერძნების, სომხების, ქართველებისა და ასირიელების დაუცხრომელ დალაშქვრას.

დიდი სელჯუკიდების თორღულბეგის, ალფ არსლანისა და მალიქ შა სულტანების იმპერიის მთლიანობა ოდნავ შეირყა, ისპაჰანელი სულტანების ძალა ოდნავ შეასუსტა ქრისტიან ერების, თავკერძა ამირებისა და ასასინების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მუსულმანთა სამყარო ჯერაც მტკიცედ იგერიებდა მტრებს.

ნიკეაში კვლავ ბატონობდა სულტან ქილიჩ არსლან. ვერც ალექსი კეისარმა და ვერც ჯვაროსანმა თავადებმა ვერ ალაგმეს იგი.

ახლა მუსულმან აგრესორებს სათავეში ჩაუდგა ამირთა ამირა ნეჯმ ედდინ ილ-ლაზი, ბენ ორთოკ. ილ ლაზი არაბულად ნიშნავს „ხალხისთვის მებრძოლს“.

ამ ამირამ სიყრმიდანვე დაიმკვიდრა სახელი ქრისტიან ხალხების მმუსვრელისა. თავდაპირველად იგი ამირ ტუტუშის მემხრეთა თავკაცი იყო.

ცნობილია: ამირ ტუტუშში ისპაჰანელი სულტანების ტახტის მითაცებისთვის ოცნებობდა, მაგრამ იგი დაიღუპა სულტან ბარქიაროკის წინააღმდეგ ატეხილ ომში.

ილ-ლაზის ცოლად ჰყავდა ამირ ტუტუშის და გოპარ ხათუნ. ამიტომაც მიიღო მან საფეოლოდ იერუსალიმი და

მისნი მიმდგომი სანახები. ამ საქმეში შევლოდა ილ-ლაზის ძმა მისი, ამირ სუკმან.

როგორც ვიცით, 1096 წელს ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფას ეპვი შეეპარა, რომ ეს ორი ამირა გაუძღებდა ბიზანტიელთა და ჯვაროსანთა მოსალოდნელ შემოტევას, ამიტომაც წარგზავნა იერუსალიმს თავისი სარწმუნო კაცი ალ-აფდალ სპიანად და ილ-ლაზისა და სუკმანს იერუსალიმი წაართვა.

მაგრამ 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს და ეგვიპტელთა ლაშქარი უკუაქციეს.

ბრძოლა დასრულდა 1099 წელს ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღებით.

სელჯუკიანთა სასულტანოში სულტან ბარქიაროკის სიკვდილის შემდეგ (1104 წ) ტახტზე ავიდა ბარქიაროკის ძმა, სულტან მოჰამედ, ბენ მალიქ შა.

ამირ ილ-ლაზი მოჰამედს მიემხრო; სასტიკი ბრძოლების შემდეგ ილ-ლაზიმ აიღო უმტკიცესი ციხე მარდინი. სულტან მოჰამედმა ახლა ბაღდადის მმართველად დანიშნა იგი.

ამ დღიდან ამირ ნეჯმ ედდინ ილ-ლაზი ითვლება როგორც ამირათა ამირა და იგი მეთაურობს მუსულმანურ სამყაროს ჯვაროსან ფრანკების წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლებში.

ამგვარად მოხდა მუსლიმ აგრესორთა კონსოლიდირება. როგორც ომაიადი ხალიფები, ისე ეგვიპტელი ფატიმიდები თავის დროზე ეპოტინებოდნენ ჰეგემონიას მთელს მუსლიმანურ სამყაროში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა იერუსალიმი და პალესტინა წაართვეს

ეგვიპტელ ხალიფას დიდ ვაზირს ალ აფდალს, ხალიფას ავტორიტეტი დაეცა. რომის პაპების მსგავსად როგორც ომიაიდი, ისე ფატიმიდების დინასტიის ხალიფები ამაოდ ეპოტინებოდნენ ჰეგემონიას მუსულმანურ სამყაროში.

ანარქია დამყარდა ფატიმიდი ხალიფების სიტახტო ქალაქ ქაიროში. ასე რომ ეს ნაოცნებარი ჰეგემონია სავსებით უშედეგო დარჩა.

ჯვაროსანთა წინააღმდეგ ატეხილი ომების თავკაცები დარჩნენ, ისევე და ისევე სულტნები ად ამირები. ერთადერთი ძალა, რომელიც მუსლიმთა მთლიანობას ხელს უშლიდა, ეს იყო ასასინების მოძრაობა.

პიჯრით 502 წელს, სულტანმა მოსულს წარგზავნა ლაშქარი და ციხე-ქალაქი აიღო. ამავე წელს ქრისტიანებს აღდგომის დღესასწაული ჰქონდათ დიდის ზეიმით გამართული.

შაიზარის მბრძანებელი ამირ მონკელი და რამდენიმე სხვა ამირა ამ დღესასწაულის სამზერად წავიდნენ. ასასინებმა ისარგებლეს, შაიზარის ციხეს თავს დაესხნენ და აიღეს იგი. ამირები გაერთიანდნენ, შაიზარის ციხე გარემოცვეს და ასასინები გაეუფეს.

გაცილებით ნაკლები მთლიანობა სუფევდა მუსლიმური კოალიციის წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიან მეფეთა და მთავართა შორის.

ჩემს მკითხველს ალბათ ეხსოვება, თუ როგორი ერთობლივი ენტუზიაზმი მოჰყვა მთელს ევროპაში რომის პაპის გრეგორ VII მიერ ნაქადაგებ ჯვაროსნულ ომს.

თვით ორტოლოქსი მართლმადიდებელი იმპერატორი ალექსი კომნენი, იძულებული გახდა რომის კურთხისათვის აღეთქვა დასავლეთ ქრისტიანთა გაერთიანებაში შესვლა. იერუსალიმის პატრიარქი და მცირე სომხეთის სამღვდლონიც მზად იყვნენ კათოლიკურ უნიას მიკედლებოდნენ, ოღონდ სელჯუკიანთა აგრესიისათვის დაეღწიათ თავი.

მოკვდა გრეგორ VII და ჯვაროსნული

ომების სულის ჩამდგმელი გახდა პაპი ურბან II.

ალექსი კომნენს მალე გაუცხოვრება იმედები, თავდაპირველად იგი გულუბრყვილოდ დარწმუნებული იყო, დასავლეთელი ჯვაროსანი თავადები ქრისტეს საფლავის განთავისუფლებას იკმარებდნენ და ზოლოს ბიზანტიას დაუბრუნებდნენ როგორც მცირე აზიაში, ისე სირია-პალესტინაში მათ მიერ აღებულ ქალაქებსა და პროვინციებს.

ცნობილია, ჯვაროსანმა რაინდებმა თავიანთი საუკეთესო ძალები შესწირეს იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებასა და შენარჩუნებას.

მათი ლაშქარი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის მიწურულში ნახევარ მილიონ მეომარს აღმატებოდა, დაიშრია მუსულმან სულტნებისა და ამირების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ათეული წლების მანძილზე დაკვირვებებმა იმპერატორი ალექსი კომნენი დაარწმუნეს: როგორც იერუსალიმის მეფე გოდფრუა დე ბუაონი, ისე მამისი, ბალდვინ I, ნორმანი თავადის ვაჟი ბოჰემუნდ ტარენტის თავადი, ტანკრედი, როჯერიო და სხვა თავკაცები ჯვაროსნული მოძრაობისა არც კი ფიქრობდნენ საქმით შეესრულებინათ ის პირობა, რომელიც საზეიმოდ დასდევს შათ ჯერ კიდევ 1098 წელს კონსტანტინეპოლში, იმპერატორის ალექსის სასახლეში — ბუკოლონში, იმპერატორის მიმართ ყმადნაფიცობის გამო.

ახლა, როცა ჯვაროსანთა ბელადებმა უკვე დაიმკვიდრეს სელჯუკიანთა ხელიდან გამოცლილი ქალაქები და დაბება, ალექსი კომნენს უკვე სასოწარგვეთა.

ჯვაროსანთა თავკაცებს შორის ყველაზე მეტად თავაწყვეტილი იყო ტარენტის თავადი ბოჰემუნდი, რომელიც თავის ჰეროლდიკას რატომღაც უკავშირებდა კარლოს დიდს.

პირველი ჯვაროსნული ომის უკუღმატად წარმართვაში უდიდესი როლი შეასრულეს ნორმანებმა.

ნორმანები, ანუ „ნორდმანები“ ერქვა სკანდინავიის გერმანულ მოსახლეობას.

ეს ტომი აიყარა ჯერ კიდევ მეთათ საუკუნეში სკანდინავიის მწივ მიწაწყლიდან, უფრო ნაყოფიერ სამშობლოს მოსაპოვებლად.

ისინი თავიდანვე ენერგიულად ჩაერივნენ როგორც ინგლისის, საფრანგეთისა, ისე იტალიისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში

გულმამაცი მეომრები და თავაწყვეტილი მეკობრენი თავიანთი აფრიანი გემებით დაძრწოდნენ ზღვებზე, ძარცვავდნენ როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის, იტალიისა და მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს, შიშის ზარს სცემდნენ ქრისტიან ხალხებს, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვებზე.

თავის დროზე ნორმანებმა ინგლისის ტახტზე დასვეს ედვარდ ზე კონფესორი. მათ ძალადობას ვერ გადაურჩა თვით რომის პაპის კურია, ნორმანებმა ქრისტეს მოსაყდარის ტახტზე დასვეს პაპი ლეო მეცხრე.

ბოჰემუნდის მამამ რობერტ გვისკარმა თავის დროზე დაიპყრო სამხრეთი იტალია, ხოლო მამ მისმა როჯერიომ სიცილია წაართვა სარკინოზებს და პერუოგის წოდება მიიტაცა.

გასაოცარი მამაკობა გამოიჩინა რობერტ გვისარის ვაჟმა ბოჰემუნდმა. იგი დაებატრონა ქალაქ ანტიოქიას, რომელიც თავის საუფლოდ ჰქონდა მიჩნეული იმპერატორს, ალექსი კომნენს.

როგორც ტანკრედის, ისე იერუსალიმის მეფის, გოდფრუა დე ბუაონის ლაშქარი გააჩანავა იკონიის სულტნის, ჭილორჯ არსლანის მარდინის ციხის ბატრონის, ნეჟმ ელდინ ილ-ლაზის წინააღმდეგ ატეხილმა პერმანენტურმა ომებმა.

ასე რომ იერუსალიმის მეფეს გოდფრუა დე ბუაონს თავის მრავალრიცხოვანი ლაშქრიდან შერჩა ორასობდე მძიმედშეჭურვილი რაინდი და რამდენიმე ათასი მონასპა.

ამგვარად ნელ-ნელა მკვიდრდებოდა მუსულმანთა კოალიცია და სუსტდებოდა ქრისტიან თავადების ერთობლივობა. დაუცხრომელი ქიშპობა ატყდა ჯვა-

როსანთა ლაშქარში: ნორმანები და პროვანსალები, სამხრეთ საფრანგეთის მკვიდრნი, დღენიადაგ კინკლაბდნენ და არც ესმოდათ, რომ მუსულმანი სულტნები და ამირები ამ უფანხნობაზე ხელს რომ იტფობდნენ.

იკონიის სულტანი ჭილორჯ არსლანი დააუძლურეს ჯვაროსანთა წინააღმდეგ გაწეულმა დაუცხრომელმა ომებმა.

ახლა მუსულმან ამირთა თავკაცობა იყისრა სივასის ამირამ დანიშნედ მელიქ ლაზიმ. ჯვაროსნულ ომებში მცირე სომხეთის მთავარი დიდ აქტივობას იჩენდნენ მუსულმანთა კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლებში. ისინი არა ზოგავდნენ არც ფულსა და არც მონასპებს, რათა ჯვაროსანთა თავკაცებს მიშველებოდნენ მუსულმან აგრესსორების წინააღმდეგ ბრძოლებში.

სომეხთა თავადის, გაბრიელის შთაგონებით მოუსვენარმა ბოჰემუნდმა ომი გამოუცხადა დანიშნედ მელიქ ლაზის.

დანიშნედი საცხებით იშვიათი მოვლენა იყო მუსულმან მბრძანებელთა შორის.

იგი თავისი ჰუმანურობით განირჩეოდა სელჯუკიან ამირებისაგან. განსაკუთრებულ მომთმენიანობას იჩენდა იგი როგორც ბერძნების, ისე სომეხებისა და სირიელების მიმართ.

დანიშნედი ამაყად ატარებდა თავათვე მიკუთვნებულ ტიტულს: „მეფე რომანიისა და ანატოლიისა“. მის მიერ მოჭრილი ფულის ცალ მხარეზე იესუ ქრისტეს სახე იყო ამოტვიფრული.

დანიშნედ მელიქ-ლაზის წინააღმდეგ ომში, პირველსავე ხმლის მოკიდებნისას, დამარცხდა ანტიოქიის მთავარი ბოჰემუნდი და ტყვედ ჩაუვარდა მტერს.

არც ისე ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ დანიშნედი განთავისუფლებას დაპირდა ბოჰემუნდს, უკეთუ მის გამოსყიდვას შესძლებდა რომელიმე ქრისტიანი მეფე, ან მთავარი...

იმეამინდელი პაპა რომისა, კალიქს II გერმანიის იმპერატორს ჰაინრიხ IV წინააღმდეგ ბრძოლით იყო გართული,

პაპს უკვე დავიწყებული ჰქონდა ის ფანატიური ქადაგება, რომელსაც თავის დროზე ეწოდნენ ჭვაროსნული მოძრაობის ასატენად გრეგორ VII და ურბან II.

ალექსი კომნენმა გაიხარა, ბოქემუნდის დატყვევება რა გაიგო, მყისვე წარგზავნა მელიქ ლაზის კარზე თავისი სარწმუნო კაცი გრიგოლ ტარონიტი, და დიდალ ოქროს დაჰპირდა ამირას.

იმპერატორს ეწადა თავათ გამოესყიდა ბოქემუნდი და ბოლოს ტყვედ ჩაეგდო ხელში თავისი დაუძინებელი მტერი. ბოქემუნდი შეევედრა მელიქ ლაზის: უარი ეთქვა ტარონიტისათვის.

ბოლოს ისევ და ისევ კილიკიელმა სომხებმა იკისრეს ბოქემუნდის გამოსყიდვა. დიდალი ოქრო მიართვეს დანიშნულს. მერმე ის იყო დანიშნულმა განთავისუფლა ბოქემუნდი და ტარსს გაგზავნა იგი.

არც თუ დაუჭერებელია ის გადმოცემა, რომელიც მოთხრობილი აქვს ალექსი კომნენის ასულს, ანას ცნობილ ეფემერდებში: „ალექსიდა“. ბოქემუნდმა თავი მოიმკდარუნა, კუბოში ჩაწოლილმა იმგზავრა კუნძულ კორფუდის და იქიდან იტალიაში ამოჰყო თავი.

ამოდ ეგონა ზოგიერთს, ბოქემუნდი ევროპაში ჩასვლის უმალ მეორე ჭვაროსნული ომის ორგანიზებას შეუდგებოდა.

პაპი პასხალის II, რომელიც თავდაპირველად ეგზომ გულგრილად შეხვდა ბოქემუნდის დატყვევებასა და მის გამოსყიდვის საქმეს, დაფაცურდა. პაპის შუამავლობის მეოხებით შეერთო ბოქემუნდმა საფრანგეთის მეფის შარლ ანჟუს ქალი კონსტანცია, ხოლო მეორე ასული თავმა ანჟუმ მიათხოვა ტანკრედს.

მოსალოდნელი იყო, რომ პაპი რომისა კალიქს II ბოქემუნდს წააქეზებდა მეორე ჭვაროსნული ომისთვის მზადებისაკენ. ნაცვლად ამისა, პაპმა ურჩია ბოქემუნდს თავგამოდებით ემოქმედნა

„სხიზმის ჩამომგდებ“ ბიზანტიელ მართლმადიდებელთა წინააღმდეგ. თავგზაბნეული პაპი რომისა კალიქს II მხურვალე მოწოდებით მიმართავდა გერმანიისა და საფრანგეთის კათოლიკეებს, ბოქემუნდისათვის მხარი დაეჭირათ ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქრისტიან მთავართა დაბნეულობა იქამდის მივიდა, რომ იტალიის ქალაქებმა გენუამ, ვენეციამ და პიზამ თავთავიანთი ფლოტი დაუთმეს ბოქემუნდს, რათა მის დროზე დაემხო ბიზანტიის საკეისრო.

ნორმანელმა ავანტიურისტმა, ბოქემუნდმა დიდალ გემებსა და მონასპათ მოუყარა თავი და ბოლოს ის იყო, ბიზანტიის ქალაქს დირახიუმს დაესხა თავს.

ალექსი კომნენი გულმამაცი მეომარი იყო, ახლა მან მტკიცედ გადასწყვიტა ბიზანტიის დასავლეთური ქალაქები და პროვინციები დაეცვა ბოქემუნდის მიერ ამ მხარეების დალაშქრისაგან.

დირახიუმში ბიზანტიელებმა დაამარცხეს როგორც ბოქემუნდი, ისე მისი იტალიელი მოკავშირენი: გენუას, ვენეციისა და პიზას გაერთიანებული ფლოტი. ბიზანტიურმა ფლოტმა მოახერხა ბოქემუნდის ხელში გადასულ გემებისათვის გზებს მოჭრა, ასე რომ იტალიელი მეომრები უსურსათობამ ფრიად შეავიწროვა.

დირახიუმში ფრიად მტკიცე ციხე-ქალაქი იყო, ბოქემუნდსა და მის ლაშქარს არ აღმოაჩნდა არც საკმარისი ლოდსატყორცნი მანქანები და არც მაღალი კიბეები, რომელნიც საჭირო იყო ციხის გალანებებს ასაღებად და შესამუსვრელად.

ბოქემუნდი დარწმუნდა, რომ მის მიერ წამოწყებული ავანტიურა უნაყოფოდ დამთავრდებოდა და მან მოციქულები წარგზავნა ალექსი კომნენთან და ზავი ითხოვა.

ეს ზავი სამარცხენო ვახდა თავაწყვეტილ ბოქემუნდისათვის. მან უკან

წაიღო თავისი პრეტენზიები ანტიოქიის მიმართ, ხელი აიღო სომხეთის კლიკიაზე.

ბოქემუნდი აქვე დაპირდა იმპერატორ ალექსის ანტიოქია დაეთმო ბიზანტიისათვის, უკეთუ იმპერატორის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინეპოლის ტახტზე ავიდოდა რომელიმე ვაჟი კეისრისა.

ღირახიუმში დამარცხებამ სამუდამოდ დასცა ბოქემუნდის ავტორიტეტი, რამდენიმე წლის უქმად ცხოვრებას ბოლო მოუღო მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა.

ბოქემუნდის დაღუპვით ალექსი კომნენს ჩამოეცალა უმძვივარესი მტერი, რომელმაც მხოლოდ არეგ-დარევა შეიტანა ჯვაროსნულ მოძრაობაში.

ამ საქმეებში დიდად შორსგამჭვრეტი აღმოჩნდა დანიშნულ მელიქ ღაზი, იგი დროზე მიხვდა, რომ ბოქემუნდის განთავისუფლების მეოხებით, მან ურთიერთს დაატაკა მუსულმანურ სამყაროს მტრები: დასავლეთელთა პოლიტიკის თავკაცი. მემკლავრებულ ქრისტიან ხალხების ერთადერთი ქომაგი დარჩა ალექსი კომნენი.

იმპერატორი ზედავდა, თუ როგორ იღუპებოდნენ მცირე აზიის ქრისტიანი ერები.

სელჯუკიანთა დაუცხრომელი დაღაშქერის გამო გალატაკდა როგორც ქალაქების, ისე სოფლების მოსახლეობა. გლეხები და ხელოსნები აიყარნენ და მათხოვრობასა და ძარცვას მიჰყვეს ხელი.

მეკობრენი აჩანავებდნენ ზღვისპირა ქალაქებს.

უკაცრიელი გახდნენ ოდესღაც აყვავებული პროვინციები სმირნიდან ატამლანს.

კაბადოკიაში ამირ ჰასანი ავიწროებდა ქრისტიან მოსახლეობას. ნეჯმ ედ-დინ ილ ღაზი დანიშნულ მელიქ ღაზის დარად კაცთმოყვარე როდი იყო, მან საზრჩობელების მთელი ტყე აღმართა სირიასა და მესოპოტამიაში.

ქილირჯ არსლანმა გაუყუა ბერძნული მოსახლეობა ფილადელფიაში.

თუმცა ალექსი კომნენს უკვე დასნეულებული იყო, მაგრამ იგი უნერგულად განაგრძობდა ქილირჯ არსლანის საამართოს წინააღმდეგ ბრძოლას.

ალექსი კომნენის მიერ გაცდილ ავადმყოფობას და ლაშქარობათა სიმძიმეს მიემატა ის დაუცხრომელი ხვანჭები, რომელთა ასპარეზი გახდა ბუკოლეონის სასახლე კონსტანტინეპოლში.

ალექსი კომნენს სამი ვაჟი ჰყავდა: (იოან კალო იოანედ წოდებული), ანდრონიკ და ისააკ; ოთხიე ქალი: ანნა, მარია, ვედოკია და ფედორა.

ანნა კომნენ ბიზანტიელი ისტორიკოსი იყო, ცნობილი, ქრონიკის „ალექსიანდის“ ავტორი. ამ ქალმა საესებით ფატალური როლი შეასრულა საქუთარი მამის დასნეულების საქმეში.

იმპერატორის სასახლე ორ ბანაკად გაიყო. ალექსის მეუღლე, ირინა და მისნი მემხრენი წინ აღუდგნენ დასნეულებული ალექსის შემდეგ ტახტისმტედ ჩაეთვალოთ უფროსი ვაჟი კეისრისა კალო იოან.

ხოლო დედოფალი ირინა და მისნი მემხრენი დაუცხრომლად იბრძოდნენ ტახტისმტედ შეერაცხათ უფროსი ქალი კეისრისა, ანნა და მეუღლე მისი ნიკიფორე ბრიენი, რომელიც მიხეილ დუკას დროს ტახტისმტედ ითვლებოდა.

კალო იოანეს გამეფებისათვის თავგამოდებული იყო ალექსის დედა ანნა დალასინა, რომელიც თუმცა თავის დროზე შემონაზუნდა, მაინც დიდ გავლენას ახდენდა ბუკოლეონის სასახლის პოლიტიკაზე.

ალექსი კომნენი ვულკანურ ნიადაგზე დარჩენილად გრძნობდა თავის თავს, საომრად მიმავალს თან დაჰყავდა თავისი მეუღლე ირინა, რათა შინდარჩენილ დედოფალს ტახტი არ გამოეცალა მისთვის.

კეისრის თანამედროვეთა შორის საგანგებოდ გულუბრყვილონი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კეისარი ალექსი

განსაკუთრებულ სიყვარულს აყოლილი ჩადიოდა ამას.

უკვე ხანდაზმული და ავადმყოფი იმპერატორი ალექსი დიახაც ნანობდა, რომ თავის დროზე მან არ შეირთო დავით მეფის მამიდა, მარიამი.

1118 წელს მიიცვალა ალექსი კომნენი და კეისრის ტახტზე ავიდა უფროსი ვაჟი კეისრისა კალო იოანე.

1118 წელს მოკვდა ისპაანელი სულტანი მოჰამედი და სელჯუკების ტახტზე ავიდა სულტან მაჰმუდი, მას დარჩა დიდძალი ქონება, თავისი ბიძის სინჯარის მიერ ინდოეთში მტაცებული. ხუთი გვირგვინი ზაფაღლო ოქროსი, ყოველი მათგანი თითო მელიონი ოქროს ღუქატის ღირებულო, ჩვედმეტი ტახტი ვერცხლისა და ოქროსნი, ათას სამასი თორი და ცხენსაკაზმი.

* * *

დასავლეთის სახელმწიფოთა მეფეებისა და მთავრების უთავებამო პოლიტიკის შეოხებით დაკნინდა ჯვაროსნული მოძრაობა.

გოდგრუა დე ბუაონის სიკვდილის შემდეგ იერუსალიმის მეფედ აღვიარეს ბალდვინ I.

„ქრისტეს საფლავის მცველმა“ საკმაო უნარი გამოიჩინა მუსულმანთა აგ-

რესიის წინააღმდეგ ბრძოლებში. ბალდვინმა აიღო ასუფი, ცეზარეა, კაიკონ, ბეირუტ, და ერთგვარი წესრიგი დაამყარა ჯვაროსანთა მიერ აღებულ ქალაქებში.

ბოლოს ეგვიპტის წინააღმდეგ გაილაშქრა ბალდვინმა, მაგრამ ეგვიპტეში სიკვდილმა უწია იერუსალიმის მეფეს.

იმავე წელს იერუსალიმის პატრიარქმა არწულფმა იერუსალიმის მეფედ აკურთხა ედესის მთავარი, ბალდვინ II.

მუსულმანებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა ედესის მთავარი გრაფ ჟოსცელინ, ბალდვინი თავს დაესხა სელჯუკიანებს, მაგრამ თურქებმა თავათ დაატყვევეს იგი, ბოლოს დიდძალი ოქროს საფასით გამოისყიდეს ჯვაროსნებმა იერუსალიმის მეფე.

507 წ. ჰიჯრით მუსულმანი ამირები გაერთიანდნენ. ამ კოალიციაში შედიოდნენ: მოსულის ამირა მოვდუდ, სინჯარის ამირა ტემირკ, ნეჟმ ედლინ ილღაზის ვაჟი აიზ და დამასკის ამირა ტოგტეინი, მათ საერთო ძალით დაამარცხეს ბალდვინი.

ჰიჯრით 513 წელს ილღაზი შეებრძოლა ფრანკებს. ეს ომი ფრანკების დამარცხებით დასრულდა.

დალაშქრების და ლაშქრობანი

ჟეონდიდელის მიერ სამშვიდის ციხის აღებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სამშვილდე მდებარეობს ტფილისიდან სამხრეთისკენ, ერთი დღის სავალზე სომხეთისა და ირანის გზაზე.

„ცნეს რა თურქთა აღება სამშვიდლისა უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და მეოტ იქმნეს“.

სელჯუკები გრძობდნენ ამ ციხეების დაკარგვას შესაძლო იყო მოჰყოლოდა

დავით მეფის მიერ ტფილისის საამიროს მიტაცება.

მერმე ეს იყო მოვიდა ძალი სულტნისა (იგულისხმება სულტან მოჰამედი), „ყოველი თურქობა კაცი ვითარ ასი ათასი“.

მტერი „უგრძნეულად“ ამირებდა შემოჭრას, მაგრამ დავითმა დროზე გაიგო ამ დალაშქრის მეთაურთა ხრიკები, შეფეს მიმწუხრისას მოხსენდა ეს ამბავი, იგი სასწრაფოდ აიყარა სპიანად, ცისკრისას თავს დაესხა სელჯუკიანთა ბანა-

კებს, დამარცხა და უკუაქცია მტერი.

რაკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოსული ლაშქარი სელჯუკიანთა ამ ომში დამარცხდა, ახლა ტაოდან, ე. ი. დასავლეთიდან შეუტეეს თურქებმა სამეფოს.

დავითის ქრონიკა ვაუწყებს: „ტაოს ჩამოდგნენ დიდნი თურქნი“.

თურქებისათვის თვალის ასახვევად დავით მეფე ქუთაისს ჩავიდა. სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა, მესხებსა და ქართლელებს შეუთვალა საიდუმლოდ: დანიშნულ ვადისთვის კლარჯეთში დახვედროდნენ...

სელჯუკიანები დამარცხდნენ. დიდძალი საქონელი და ტყვე დარჩა ქართულ ლაშქარს.

ჯერ კიდევ ალექსი კეისრის სიცოცხლეში დავით მეფემ იზრუნა ბიზანტიის იმპერატორთან დამოყვრებისათვის, რადგან იმ ეპოქაში ნათესაური კავშირი ერთგვარი ზედსაყრდენი იყო სახელმწიფურ პოლიტიკაში.

დავითმა თავისი ასული კატაი მიათხოვა ანნა კომნენისა და ნიკიფორე ბრიენის ვაჟს. ხოლო მეფის უფროსი ქალი თამარი, შეირთო შირვანის მბრძანებელმა აღსართანმა.

დემეტრე უკვე ლაშქრობდა მამასთან ერთად.

1117 წელს უფლისწულმა დემეტრემ აიღო ციხე გეში და ტყვედ წამოიყვანა გრიგოლის ძენი შოთა და ასათ.

დემეტრემ იმავე წელს აიღო ციხე ქალამორი.

მეორე წელს, ბზობას, მეფე ლანუკიდან წავიდა რახსის პირად. აქ მას შემზარავი ამბავი ამცნეს; თურქებს მოეკლათ ბეშქენ ჯაყელი.

თავისი ერთგული ყმის გლოვაც ვერ მოასწრო დავითმა.

ამ დიდი სიმძიმის გადამტანმა მხნეობა მოიკრიფა, თავს დაესხა რახსის პირად დაბანაკებულ სელჯუკთა ლაშქარს და აოტნა მტერს.

იმავე წელს აიღო სომხეთის ციხე ლორე და აგარნი.

ციხადია, ამ ომებს სპათა შემტეობა მოჰყვებოდა, საჭირო იყო ამის გამოცხრუნა მეფეს.

იმ ეპოქაში როგორც ბიზანტიის კეისარი ალექსი, ისე კილიკიის სომეხთა მთავარი ქირის სპას, სოლდნერებს ემყარებოდნენ უპირატესად. სოლდნერები ჰყავდათ სულტანებსა და ამირებსაც.

ყივჩაღთა დედაწულიანი ჩამოყვანა ამიტომაც გადასწყვიტა დავითმა: თუ ყივჩაღი სოლდნერები ხშირად ამბოხებას უწყობდნენ ალექსი კეისარს, ეგ იმიტომ ხდებოდა, რომ ეს ელი ტომები არ დაუსახლებია კომნენს ბიზანტიის მიწაზე. მარჯვე შემთხვევას შეარჩევდნენ გამარცხავდნენ ბიზანტიის პროვინციებს და ისევ მიაშურებდნენ თავიანთ ტრამალებს.

ათრახა შარაღანისძის ასულის გურანდუხტის ცოლად მოყვანით, დავით მეფემ მყარი ნიადაგი შექმნა იმ ქირის სპასათვის, რომელიც ყიფჩაღთაგან შეადგინა მან. მთავარი ის იყო, შორსმკვრეტმა მეფემ შიდა ქართლში დაასახლა ყიფჩაღები.

ასე რომ 40.000 „წყობად განმავალი“ რჩეული მეომარი საგრძნობი ძალა იყო. ამას ემატებოდა ხუთი ათასი მონასპა „ყოველნი ქრისტიანე ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“ და აფხაზთა, ქართლელთა, მესხთა და არგვეთელთა ათასეულები.

იმეჟად არც იერუსალიმის მეფეებს, არც ანტიოქიის მთავრებს ამოდენა ლაშქარი არა ჰყოლიათ.

* * *

სელჯუკიანთა დალაშქვრის მოგერიება არ იქმარა მეფემ. იგი უკვე შეტევაზე გადავიდა. ქორონიკონმა 340 დავითმა აიღო ყაბალა, ქართულ ლაშქარს დარჩა დიდძალი ნადავლი და ტყვე ურიცხვი.

ყაბალადან მობრუნებული მეფე ჩავიდა შარვანს და აიღო ეს მხარე „ლი-

ყათით ქურდოვანამდე და ხიშტალანთამდე“.

დავით მეფეს ჩვეულება ჰქონდა: განზრახ გადავიდოდა აფხაზეთს, ამგვარად ჩამოიტყუებდა თურქმანებს „სახამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათა, რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედადგიან და ეძებდიან გზათა მისთა. გადავიდა მეფე გეგუთს და მიერ ზუფთას და ამით გულპყრობილ ქმნა ისინი“.

„ქორინიკონი იყო სამას ორმოცი ხოლო თურქმანთა სცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგდეს ბოტორიას, ღიღნი ფრიად და დაიხამთრეს და არა პოულობდა შეფესა, არამედ გადმოიფრინვა თებერვალსა ათთოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძნელად ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხვეწა. აღიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი და მოვიდა ლანუქს“.

და მასვე შევიდულსა პირმარხვასა დღესა აღიღო შარვანს ქალაქი ყაბალა, და ალავსო სამეფო თვისი ოქროითა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა. წარმოვიდა ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სპაჲ, და ჩავიდა შარვანს მაისსა შეიღსა, არბია ლიჯათად ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე, და საეცენი ალაფითა მოვიდა ქართლს, მათვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ და მოსწყვბტეს შარვანელი.

თვესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორინას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყუნა და წარმოიღო ნატყვევარნი მათი ურიცხვი. გზად დაესხა სეგელმენჯს თურქმანთავე და არ დაუტბევა მოტირალი კარავთა მათთა.

იმავე ზამთარს ჩავიდა აფხაზეთს ბაქვინტამდე და განაგო საქმენი მანდაურნი, ღირსი წყალობისანი შეიწყნალნა, შემკოდენი დაიპყრნა და წვართნა.

რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი, ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკვრისასა გარნა ლომსა მოხელოვნებულსა არა სცოდნოდა, არცა პრულობდა ომისათვის.

წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაყვეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მზარნი სამსი და დახუდა მზადა სპაჲ მისი და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ზუნანს. და ალავსო ლაშქარმან მითთ მტკვრამდე და გაგათთ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახვილისათა, რომელ არა დაუშთა მოხრობი ამბავისა.

ქორინიკონი იყო სამასორმოცდაერთი ათევი მარტი“.

ამათ ესე ვითარითა ქირთავან შეიწრებულნი თურქმანნი კვლად ვაჭარნი განძელტფილეღმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა.

შეიღებეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელეზი, და რომელნიმე სრულად და ესრეთ მოუთხრეს ყოველნი ჭირი, მოწეული მათ ზედა, რომლითა აღძრეს წყალობად თვისა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათთა“.¹

ცხადია, დავით მეფის მიერ ასეთი ბრძოლების განაღება განარისხებდა მუსულმანთა კოალიციის თავკაცებს, ისეთ პერიოდში, როცა ამ კოალიციას ეგზომი შევიწროებული ჰყავდა ჯვაროსანთა თავკაცები. სულტან მაჰმუდმა შეავუღიანა არბეთის მეფე დურბეზ სადაყას ძე და გაატანა მას ძე თვისი მალიქი და მიუჩინა მათ სპასალარად ნეკმ ელდინ ილ-ლაზიხა-ბენ ორთოკ.

ახლა მოვუსმინოთ ფრანგ ისტორიკოს გოტიე კანცლერს:²

„...ალაბით წამოსულმან ილ ღაზიმ თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიფა და ამ შეკრებულეთა სიმრავლე რა იხილა, უაღრესის სიამაყით გულმოცემულმან გადასწყვიტა დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში გალაშქრება.

კვლავ მოირთო ზორასნელ სულტან-

¹ დავითის ქორინიკადან.

² ავტორისებული რიზიკი: Galteri Cancellari. Bella Antiochepa ვალტერის ექსეცტის თარგმანი ეკუთვნის პროფ. ზ. ავალიშვილს. სტილი მისი შეასწორა ავტორმა.

თავანი ერთ-ერთი, რათა მტრის დაძლევის შემდეგ თავისთავად შესდგომოდა იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა მოსვრას. არ კი იყოლა რომ ეგზომ სიამაყით მოლაშქრეს და რიგი ღვთის რისხვა მოელოდა.

იმარცხდეს, როცა სულტანი და თვით ილღაზი ექვსასი ათასი მეომრით მეფის ქვეყანაში შესულან, ესე მეფე დაეით, წმინდა ჯვრის ნიშანით აღჭურვილი ოთხმოცი ათასი მიდიელი და ქრისტიანე, აწყობს რაზმებს და ერთ ხეობაში დადგა, ორ მათთა შორის, ერთ ტყეში, საიდანაც ხმები მოდიოდა აქედან შემოუტევესო მტერი“.

მეფე ლაშქრის წინაშე წარსდგა და სთქვა:

„ეჰა, მეომარო ქრისტესმიერო, თუ ღვთის შჯულის დასაცავად რიგიანად ეიომებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც იოლად დაეამარცხებთ.

და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ ცისკენ აღვაპყროთ ხელი, აღთქმა მივცეთ ძლიერ ღმერთს, რომ მისდამი სიუყვარულით უმალ მოვკვდეთ ამ ბრძოლის ველზე, ვიდრე გაქცევით თავს ვუსშველიდეთ. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევაც რომ მოვიწადინოთ, ამ ხეობის შესავალი, საიდანაც შემოვ-

სულვართ, ხეთა შორის ჯებრუბით შევეკრათ და გულშამაყად შევეტროთ მტერს, როცა მოგვიახლოვდნენ...“

...არც დაუგვიანდა. „მეფემ“ მისთაყუთლი რაზმი დაარბია და ორასი ფრანკი მეომარი, რომელიც თანა ჰყავდა, მტერზე მიუშვა პირველ დაკრათა მოსახდენად.

მყისვე შეიქმნა ხეობის მეორე მხარეს მეომართა ძალოვანი ყოენა. ცხენთა ფრუტუნითა და აბჯრის უღრიალით წამოვიდა მტერი.

გამოჩნდნენ შიშის მომგვრელი დროშები, საკრავთა ხმაურს ხეობა აძლევდა ბანს.

მეფემ ეს ყოველივე მოთმინებით განიცადა და თავისი ლაშქარი გაამხნევა, აგრე უმტკიცებდა: უშჯულთა ესოდენი სიმრავლე შეწევნითა წმინდისა ჯვრისითა დაითრგუნებოთ.

რა იხილეს ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურთ ძალოვანი ყოენით თავს დაესხნენ მტერს. და როგორც გაევიეთ ამ შიშის მსახველთაგან პირველსავე შეტაკებისას უკუიქცნენ და ოთხი ათასი მოისრა მეფის მახვილითა.

თვით ილღაზი თავში დაიჭრა. მცირეოდენი ამალით ილტვოდა იარაღაყრილი და დაშვეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით შინ მიბრუნდა, ნახევრად მკვდარი“.

Galterii Cancelarii Bella Antioehina II. Bellum. Art. XVI.

P. 130-131 ed. de Riant.

A. 1121-1122

III. Quid singula? Profectus, tam Turcomanorum quam et Arabum gentem praemaximam congregat, et his congregatis visatanta multitudine, elatione immensae superbiae correptus, statuit cum uno soldanorum Chorocensium super regem David in Mediam equitare, ut, eo perempto vel exhaeredato, liberet absolute valret Jerusalem et Antiochiam, peremptis christianis, suo dorminio subdere. Ipsi vero cum superbia equitanti ira Dei obstitit: eo namque die, quo soldanus et ipse Algazi cum sexcentis millibus terram regis bellaturi intraverunt, ipse idem rex David, signo

Medos et christianos quater viginti millia pugnatorum, factis agminibus inter duos montes densissimis nemoribus insitos, in valle restitit, qua, ut fama retulit, super eum hostes ingredi praesumebant; restitit, et sic locutus ost: „Eia, Christi milites! Si prolege Dei tuenda legitime certaverimus, non solum innumerabiles satellitum daemones, verum etiam ipsos daemones ex facili superabimus. Est autem consilium

¹ ავტორისებულო რემარკო: მიჯრით 517 წ. (1122—23 წ.), ალბათ დიდგორში მიღებული ქრიალობის მეოთხებით მოკვდა ნუჯმ ედდინ ილღაზი.

quod intueor, si laudatis, nostro honori nostraeque utilitati profuturam, hoc videlicet, ut, erectis ad caelum manibus, cuncti potenti Deo promittamus, pro amore ipsius in hoc belli campo ante mori quam fugare et, ut fugare nequeamus, etiam si velimus, patentes hujus vallis aditus, quibus intravimus, densissimis lignorum struibus constipemus, et constanti animo hostes e proximo in nos certare prae sumentes acerrime percutiamus." Quid singula? Tanti regis, veri et perfectissimi christiani, laudata, probata et perfecta stat sententia.

IV. Nec mora: dispositis aciebus singulis, tex ducentos milites Francigenas, quos habebat, ad primos ictus inferendos ante posuit: statimque in altera parte vel fronte vallis, cum ingenti hominum clamore, eorum et armorum strepitu constipato, sceleratorum vexilla prodeunt ferocissima, et, his accedentibus, diversorum instrumentorum sonitu intonant undique montes cum vallibus. Rex autem David tantorum ferocitatem humillimi praestolatur, suosque incitat virili animo et consolatur, asserens elatum infidelium multitudinem, cooperante virtute sanctae Crucis, parva manu et brevi posse conterri. Nec multo post, visis christicolis, infinita multitudo, spiritus superbiae exagitata, cum immensis clamoribus in eos irruit; virtute vero Domini in primis ictibus exsaecati, Francorum manibus corrunt in dispersionem effugati, ut quid singular. Perfidii nutu Dei christicolis et Medis una praebentur caedis materia; et, ut proserio existentium in conflectu didicimus, in fuga spatio trium dierum habita, corruerunt regali gladio quatuorcentum millia. Idemque Algazi, in capite vulneratus, peremptis paene omnibus suis, permissione Domini cum paucis effugatus, inermis et famelicus conductu regis Arabum repatriavit semimortuus.

დიდგორის ომის თანადამსწრე არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაყ მოგვითხრობს, რომ დავით მეფე მთიდან ჩამოსული უტყვევდა მტერს, ზოლო უფლისწული დემეტრე ზეგანზე იბრძოდაო.

როცა მუსულმანთა კოალიციის ლაშქარი მანგლისის გზით უწყესრიგოდ უკან იხევდა, საომარ აქლემებზე, დრომედურებსა და ცხენებზე აღმხედრებულნი მათი ლაშქარი გზაზე აწყდებოდა დავით მეფის ბრძანებისამებრ გაკეთებულ ჯებირებსა და ზანდაკებს.

დიდძალი ტყვე ჩაუვარდა ქართულ ლაშქარს. საოცარის სისწრაფით მისდევდა იგი მტერს. მზვარეში ელავდნენ მუზარადები და ჯაჭვის პერანგები, მუწინავე ცხენოსანთა ათასეულებს ხელშუბებითა და მშვილდებით აღჭურვილი ქვეითა სპაჲ მისდევდა უკან.

სელჯუკები პალანკინებით მიათრევდნენ დაკოდილ ათასისთავებს, ცხენოსნების ორანზე დაჭრილთა პალანკინებს სტოვებდნენ თურქმანები და კლდედრეში იჩენებოდნენ. 10 ფარასანგის მანძილზე უკან სდია ქართულმა ჯარმა მტერს.

ურიცხვი ნატყვევარი საჭურჭლე, კარგები და დროშები ჩივიდო ქართულმა ლაშქარმა ხელთ.

„ყოველი სამეფო აღიესო ოქროთა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, და სარაფარდებითა და სხვითა ურიცხვითა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თითო სახეთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთა საბნელთა და სამზარეულოთა“.

ეს ომი მოხდა 1120 წლის აგვისტოს 15-ს.

ერთი წლის შემდეგ გულითუძრავ მან დავით მეფემ ტფილისის აღება განიზრახა. ტფილისელ ამირა ბანუ ჯაფარს შიშის ზარი დასცა თურქ-სელჯუკებისა და არაბთა დამარცხებამ.

თავისი დიდი პაპის ბაგრატ კუროპალატის დარად დავითმა ორი მხრიდან შეუტია ქალაქს. ერთი ლაშქარი მცხეთის ხილზე გადავიდა და, ისანში რა მიადწია, გარემოიკვა ციხის გალავანთა ერთი ნაწილი, მეორე დიდიმოდან გულდაგულ გაემართა ტფილისისაკენ. გარემოიკვა გაგრძელდა პიჯრით 515 წლამდის.

ერთი წლის შემდეგ ტფილისის ასაღებად გაილაშქრა დავით მეფემ. ამირა ბანუ ჯაფარმა და მისმა ამაღამ ნატიკებით უშველეს თავს. როგორც ციხიონი, ისე მთელი მუსლიმური მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ორივე ლაშქარს, მდუღარე ფისს ასხამდნენ გალავნებიდან და გოდოლებიდან. ბოლოს მეფემ უბრძანა ნიანი ბაკუ-

რინს და ლოდსატყორცები დაუშინეს გალავნებს. ისანში დაბანაკებულმა ჯონდი ერისთავმა და ვალანგ ერისთავმა ტარანები მიაყენეს და შეღეწეს ხუთივე კარი ქალაქისა: მოედნის კარი, საგოდებლისკარი, კარის კარი, პატარა კარი, თავთ დავით მეფე და ტაძრეული აბატის კარიდან შევიდნენ ქალაქში. ძელსა ჰკრეს მონასტრებზე და ეკლესიებში. ქართველი და სომეხი მოსახლენი მოედნებზე დიდს ზემით შეეგებნენ „აბხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეს“.

ჰუსულმანები დარწმუნებული იყვნენ, რომ დავით მეფე გაეუფავდა არაქრისტიან მოსახლეობას, ამიტომაც სარდაფებს მიაშურეს. მეფემ ამანი გამოუცხადა ჰუსულმანებს და ხალხი დამშვიდდა.

ასე და ამგვარად დავით აღმაშენებელმა ხელიდან გამოგლიჯა მტერს: „ოთხას წელს ქონებული დედაქალაქი საქართველოსა და „დაუშეკირთა შვილთა თვისთა საქურჭლედ და სახლად თვისთა“.

• • •

წელსა შემდგომს დავით მეფეს უნებლიეთ მოუხდა შირვანს გალაშქრება, რადგან მუნ ჩავიდა სულტანი. შეიპყრო შარვანშაჰ, აიღო შემახია და მოციქული წარმოუგზავნა მეფეს:

„შენ ტყვეთა მეფე ხარ და ვერასოდეს გამოხვალ ველთა, მე ესე რა შირვან შაჰ შევიპყარ და ხარაჯასა ჩემსა ვითხოვ, შენ თუ გენებოს, ძღვენი წარმოგზავნე და სამალითაგან გამოსულმან ნახე“.

დავითმა სასწრაფოდ მოუხმო სპას და „წარმოემართა სულტანსა ზედა“. სულტანს, რა ეუწყა ქართული ლაშქრის ზედ მისვლა, „შეიღტვოდა ქალაქად და გარემოიზღუდა“. დაშინებულმან სულტანმან არცა ძღვენი ითხოვა და არცა ხარაჯა, არამედ გზამ ითხოვა სალტოლველი, შიმშილისაგან შეიწროებულმან. „ნიზამ აღ მულკის ვაჟმა, შემს აღ მულკმა ურჩია სულტანს, ქალაქის

ზღუდეში გამაგრებულყო და იქ ედგინა. შემახიის მცხოვრებნი ეაჯნენ სულტანს, ნუ დავეტოვებ, თორემ დაიღუპებითო.

სულტანი მცირე ხანს დაყოვნდა შემახიაში, ბოლოს აიყარა სპიანად. დავითმა იმავე წელს დმანისის ციხე აიღო და შემოიშტკიცა იგი.

1123 წელს შირვანსა და რანში ილაშქრა „გულით უძრავმან და უშიშმა“ მეფემ. მაისის თვეში „აღიხენა“ სომხითისა ციხენი. გაგი, ტურუნაკი, ქავახანი, ნორაბერდი, გინასგომნი და ტალინჯაკარი, იენისს გაემართა სპიანად, განელო ჯავახეთი კოლა კარნიფორი, ბასიანიდან სპერს ჩავიდა მოსრნა და დაატყვევა თურქნი, აიღო ბუია-თაყური და ოლთისი დაწვა“. გამარჯვებული დაბრუნდა თრიალეთს.

ახლადდათხოვნილი ლაშქარი ვიდრე დაისვენებდა, 1123 წლის აგვისტოს 20 ს მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთან მოახსენეს „მოცემა ქალაქისა და ციხეთა“. მეფემ შზაობა უბრძანა სპას. გათენებისას თავს დაესხა ანისელ მეციხოვნეებს. „სამოც ათასი წინაშე უდგა. წარემართა მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად. წამოიყვანა აბულსაგარ რვათა ძეთა მისთა თანა... და ჩავგზავნა აფხაზეთს და ანისის მცველებად დაუტყვნა აზნაურნი მესხნი“.

ანისის ამირა მანუჩე უკვე მკვთარი იყო, ანისს ფლობდა ძე მისი აბულსაგარ, მხდალი და ლაჩარი ვინმე. ამ მბრძანებელს ეწადა კარის ამირასათვის მიეყიდნა ანისი სამოციათას დინარად, აგრეთვე ხლატიდან ერთი ძვირფასი ნალი (მთვარის სახე) მოატანინა, კათოლიკე ეკლესიიდან ჩამოაღებინა წინაპართა მიერ აღმართული ჯვარი და გუმბათზე გააკეთებინა. ამით გაგულისებულმა ქრისტიანებმა დავით მეფე მიიწვიეს და ქალაქი ანისი მისცეს. მეფემ ანისში აბულეთი და შვილი მისი ივანე დაუტყვა.

ამგვარად ქორონიკონსა სამასორ მოცდასამს (1123) წარუღო ქალაქი დავითმა ალფარსლანიანთა და მოსწყვიტნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანი

სისა მიზნითად მოეკაზმად და ქრისტიანთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყათ.

იმუქაფა ღმრთისმოყვარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიბანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო საყდარი იგი, ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალს კატრონიტეს და იგი ესაფლავა.

მოვიდეს მეფე და კათალიკოზი, ებისკოპოზნი და ერთობლივი ლაშქარი დედოფლისა საფლავსა, ახლად წესი აუგეს და თვითონ მეფემან საშქერსავე ლავთა ჩისძახნა:

„გიხაროდენ, შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

უპანახნელი ომი

...„ღამი რა წულილთა ამოფშინეთათა წარმოდგეს და დიდება დაზრტდეს, შენობანი უკმ იქმნენ, ყვეილოვნება დატნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრამ, სხვას შეუდგნენ საანი, მაშინ შებიწყალე მსაჯულო ზემო“.

„აღლობანი სინანულისანი“.

დავით მეფემ მოათავა ლაშქრობანი, ქვეყანა დამშვიდდა, რადგან დამლაშქვრენი აღარსად სჩანდნენ.

დადუმდნენ „მაბრალობელნი“ მეფისანი, რომელთაც პირზე ეკერათ ნიადღ:

„არცა მშვილდი თავს ადებს მარადის გადაცულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიბულობასა, რამეთუ ეამსა ხმარებისა მათისასა თითოეული მათი უზმარ იპოვოს“.

დავითმა შემოიბტყია სელჯუკიანთა ხელიდან წაგლეჯილი ციხენი, ქალაქნი და დაბანი. მან თავის პაპის პაპის, ბაგრატ 111 დარად გააერთიანა საქართველო „ნიკოფსიდან დარუბანდამდის“.

მშვიდობა დამკვიდრდა გულგულადან ანისამდის, სელჯუკიანებმა ხელი აღდეს სომხითისა და სომხეთის დალაშქვრახეუმტკიცესი ციხენი უკვე შეკეთებულ იქმნენ, არც სააღყო კოშკების აგებას და ვალეანთა შესამუსრავ ტარანების კეთებას მიჰქონდა სახსრები და დრო.

ახლა უკვე მომეტებულის ძალით შეუდგა მეფე გზათა, ქსენონთა და ხანაგათა აგებას, მრავალი ხიდი გასდგეს „მდინარეთა სასტიკთა ზედა და გზანი საწყინოდ სავალნი ქვაფენილ ყუნა და მათ პირად ჭარვასლანი ააგო“.

გაშბილდნენ ქრისტოდულე და სხვა განპატიებულნი ეპისკოპოზნი და მღვდელმთავარნი, რომელნიც ჩიოდნენ:

დავით მეფემ სამეფოს საკურტლენი ყიფილებსა და ცხენებს შეაჭამაო.

ახლა ეკლესიებისა და მონასტრების აშენება და შეკეთება დაიწყო. დავითმა ააშენებინა მონასტერი სინას მთაზე, „სადაც ღმერთი იბილეს მოსემ და ელიამ. წარსცა ოქრო მრავალ თასეულნი დამოსაკიდებელი ოქსინონი და წიგნი საეკლესიონი სრულებით და სამსახურებელი ოქროსა რჩეულისა“.

გელათის მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მეფე მოწადინებული იყო, რომ გელათი გამხდარიყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, სახელგანთქმული სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა... ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებოდა და სხვად ათინად, ფრიად უადრესს მისსა“.

გელათს შესწირა დავითმა ლიპარიტეთი, რადგან ლიპარიტის სასახლენი და მამულნი უმემკვიდროდ დარჩნენ.

გელათშივე ააგებინა მეფემ აკადემია, სადაც ქართველი და ბიზანტიელი სწავლულნი და მოძღვართმოდვარნი ახალ თაობას ზრდიდნენ.

დავითი განსაკუთრებულ მომთმენიანობას იჩენდა სხვა რელიგიათა მიმართ. პარასკეობით შვილებითურთ შედიოდა ხოლმე ჭამეში, ყურანის სურებს ის-

მენდა. ტფილისურ სამეფო სასახლეში ზშირად მოდიოდნენ სტუმრად ს უ ფ ი ე ბ ი, დერვიშები, პოეტები და ასასინენ-ბი.

ინ ალ-აზრაქ, ალ ფარიკი, რომელიც თავით დასწრებია მუსულმანური კოალიციის დიდგორზე დამარცხებასა და ტფილისის აღებას, სწერს:

„დავით მეფემ უაღრესად კეთილი დამოკიდებულება გამოიჩინა მუსულმან სარწმუნოებისა და მეცნიერთა მიმართ, ისეთსავე პატივსა სცემდა სუფიებს, რომლის დარი ჰქონდათ მათ მუსლიმთა სახელმწიფოში და მე ვნახე ყველა ეს პირობა, რომელიც შენარჩუნებულია დღემდის და როცა მე ვეწვიე ტფილისს ჰიჯრით 548 წელს“.

როცა საქართველოს და სომხეთის სამღვდელთა ურთიერთს წაეკიდნენ, დოგმატიურ წერილმანების გამო, უშვერად აძაგებდნენ ერთმანეთს და გართულნი იყვნენ „სიტყვაგებით ცისკრით ვან ვიდრე ცხრა უამაღე და ვერას უძლეს დაბოლოებად“, ამ უთავეამო პაექრობისგან გაბეზრებულმა მეფემ დაიცინიეთ უთხრა მათ:

„თქვენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესულზართ და უცნაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი და ჩვენ ვერას ვუძლებთ ცნობად ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი და ესე საცნაურ არს თქვენდა რამეთუ მე შორსა ვარ სწავლულებასა ვითარცა მხედრობასა შინა აღზრდილი“.

გელათში დღესაც დაცულია ცალი ფრთა დარუბანდის რკინის კარისა, რომელიც ჩამოიტანა დავითმა, როცა მან „მოირთო შარვანი, 1124 წლის აპრილს თავს დაესხა შაბურანს დარუბანდელსა და მოსწყვიტეს ქურდნი ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისა და აღივსნეს ციხენი ლასანნი და ხოზაონდა¹ და მიმ-

დგომი მათი ქვეყანა და მერე წაიღებოთა შარვანს და აღილო. ქალაქი შამახია და ციხე ბიკერტი, სრულიად ყოველი შარვანი და დაუტევა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი“.

დარუბანდის კარის ცალ ფრთაზე, რომელიც დღესაც ინახება გელათში, ასეთი არაბული წარწერაა: „სახელითა უფლისათა, ყოველთა შემწყალისა, ყოვლად კეთილისა, ამ ჰიშკრის გაკეთება მიბრძანა ჩვენმა ბატონმა ამირამ საიდმა, დიდებით მოსილმან — შაგირ ბენ ფასკიმ, ხელისუფლება მისი გააზანგრძლივე, ღმერთო, და მარადის მწედ ეყოლე მას.“

ჯიშკარი ესე გააკეთა იბრაჰიმ ბენ ოსმან ფერეჯიმ, მკედელმან წელსა ჰიჯრით ოთხას ორმოც და ხუთმეტს (1065)“.²

• • •

დავით მეფეს უკვე შეეძლო ტფილისურ სასახლეში ხანგრძლივად დარჩენა, მაგრამ დღენიდაც ლაშქრობასა და ციხენით მგზავრობას მიჩვეულს უმძიმდა შვიდობიანი ცხოვრების ატანა. ნიანია ბაკურიანი ხელდაედა, თუ როგორ ქმუნავდა მეფე.

დავითი დილა ადრიან მოივლიდა ნადირთა და მხეცთა საჩხიბებს, ბაზთა სამყოფელს, ხანგრძლივად ისმენდა ლომების ღრიალს, ავაზების ღრენასა და კნავილს.

მერმე ისევე თავის ქორებთან მიბრუნდებოდა და მათ თვალეშში აგზნებული ცეცხლის ქვრეტით ირთობდა თავს.

¹ ზღუდნი, რომელნი დაფუძნებულ არიან მთათა ზედა და იმგვარად ძნელად შემოხმულნი, რომ ძნელ არს განელა რკინის კართა, რომელნი არიან მუნ ზღუდუდნი. მუნ არს ნავთსა-ყუდელიცა, სად მარად დღე მოვიდოდნენ ნაენი და არს დაბმული ჯაჭვითა, რომელი გაიბმის ორთა ციხეთაგან, რომელნი დაუშლიან რათა-ლა შევიდეს ვინმე თვინიერ ბრძანებისა“ (დელ-ლა კროჩე).

² იხ. ფრანგის „ერკლეორუნგ დერ არაბიშენ ინშრიფტდეს აინერნენ ტორფლადეველის ცუგელატი ინიგურეტინ.“ მემუარ ლაკადემი ლე სანს. ტ. III.

¹ ავტორისებული რემარკი: ამ ორი ციხის დანახვით გაკვირვებულნი იყვნენ მონგოლთა სარდლები სება და ჯება და მათ აღიარეს: „შუთქლებელი არისო მათი აღება, აწნებულნი არიან ეს ციხენი ოთხასი ფუზის ზომით, ურთიერთისაგან დაშორებულნი. ორნი დიდნი

უკვე სამ თვეზე მეტი იყო, რაც მას მუხრანში ნადირობისას მის მიერ დაკლული ირმის დევნის დროს წაეჭვა ცხენი და სამ დღეს არწყვედა სისხლს, ამ ჭერად თურმანისძემ გადაარჩინა იგი უშუალოდ სიკვდილს.

კარგა ხანს ძებნის შემდეგ თურმანისძემ აღმოაჩინა შიდა ქართლში ბერყოფილი შიომ, რომელსაც ჰყავდა ათთორმეტი ფურ-ირემი. ირმეები მოსწყველეს ჯა რძეში აბანავეს ავადმყოფი და განკურნეს.

კვირა დილას ნიანია ბაკურიანთან ერთად ათვალირებდა და ვით ნადირთა საიხეს. ერთბაშად ირანულ ერთ ავაზას თვალს დაადგა მეფემ და ეს უთხრა ნიანიას:

„რა ხანია, არ გვინადირნია მე და შენ, ნიანია. შემოდგომა კარზეა მომდგარი, რას იტყვი, ეს ავაზა თან წავიყვანოთ, კირიონ ბერს ვეწვოთ უჩინმაჩინად და მზიანეთის ველზე გამოვცადოთ ეს ავაზა.“

„იყავნ ნება შენი, ჩვენო პატრონო, მიუგო ნიანიამ, მაგრამ ჭერ თურმანისძეს შევეთათბიროთ. თუ აქიმი ნებას დაგრთავს, განა ერთი ეგ, სხვა ავაზანიც თან წავაგზავთ, თუმცა, მზიანეთში იმდენი მშველებია, ვეძებ, ავაზები დაგვიპირდეს.“

„შენ მართალს ამბობ, ნიანია, ავაზებით ნადირობას ჭერგის მოწყობა და დიდძალ მენადირეთა თან წარტანება დასპირდება, მოდი მე და შენ ავიყოლიოთ ორიოდ მეხმლე და მეჭინბე, სასახლიდან წავიდეთ იღუმალ და წავინადიროთ. სხვა არ იყოს რა, ლიხზე გადასვლა ამ შემოდგომაზე ლხენის მომკვრელი იქნება.“

ლიხზე გადასვლის საბაბიც მალე მოიქმნა. მარიამ დედოფალი, რომელიც ეს შეგონებები ჩამოვიდა, დავითისა და გურანდუხტის სანახავად, კონსტანტინეპოლს აპირებდა იმ დღეებში წასვლას.

მისი ვაჟის, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიკვდილის შემდეგ მარიამს ისეთი დიდი სიმძიმე იმეორებდა გულზე, შემონახუნდა კიდევაც თავის შინაურ მონასტერში, ქრისტოპოლის მახლობლად.

მიუხედავად ამისა, უკვე მსციტმოსილი დედოფალყოფილი მარტობას გაეცლებოდა და ყოველ ზაფხულს მთაფროდა ტფილისურ სასახლეში რამდენად ვითის, გურანდუხტის და ნიანია ბაკურიანის სიახლოვით მოეოხებინა გული.

მარიამი ნაქარმაგვეში უკეთ გრძობდა ყოველთვის თავს. ტფილისური სასახლე მეფისა ერთგვარ გასხაბულობას მოითხოვდა. ეს უამრავი სტუმრები, მალე ბეზრდებოდა მარიამს.

შუალამედის ისხდნენ სამივენი დავითის დარბაზონში, სადაც თავისი საწიგნე ჰქონდა მეფეს და რამლს ჩხრეკდნენ, რამაც საბაბი მისცა თავის დროზე შეეთელს აბდულ-მესსიაში გამოეთქვა:

„იციოხვენ, სწერენ,

თაყუშსა ჩხრეკენ,

რამლს ჰკერენ, არხევენ

ბედთა მათაგან.“

რამლს დიახაც ჰკრავდნენ, თუმცა სამივეს ბედი უკვე გამორკვეული იყო, ომებისა და შრომისაგან დაოსებული მეფე უკვე მსციტმოსილი დედოფალყოფილი მარიამი და ნიანია ბაკურიანი, რომელსაც მეფისა და მამულის სამსახურში უხვად ჩამოათოვა თავზე.

ნიანიამ მამისეული ოჯახი უპატრონოდ დასტოვა კონსტანტინეპოლში, ვედარც პირადი ცხოვრება მოაწყო, მარიამ დედოფლისადმი უნდევშო მიჯნურობას აყოლილმა.

დავით მეფის ერთგულს სამეფო კარზე შემოალამდა, ომები რა მოთავდნენ და მშვიდობა დამყარდა მთელს სამეფოში, მას თითქოს ხელიდან გამოეცალა ცხოვრების წადილი.

ერთხელ შეჰკადრა კიდევაც პატრონს:

„მე უკვე აღარ ვიცი, რად ვცხოვრობ ამქვეყნად მეფეც პატრონო. ჩემი თანახმილა სპასალარები ჩემზე გონიერნი აღმოჩნდნენ. ბეშქენ ჯაყელს, შტორა მორკნეველს და შერგილ ლიპარტიანს ცოლიც ჰყავდათ და შვილებიცა, მე ისე დავარჩი, როგორც მარტოზე მოტყუებულ ტრამალზე. გულახდილად მოგახსენო, თუ მშვიდობა კიდევ დიდხანს

გაგრძელდა, მე სანატრელი გამიხდებდა სიკვდილი.

როცა სპასხლის კარს მალე მზობროლი მოადგება, აგრე მგონია, მტერთა დალაშქრის ამბავს მოიტანს მეთქი. მე მრცხვენია კიდეცა ამის უწყებისა, მაგრამ არ შემძლია გულახდილი არ ვიყვი შენს წინაშე მეფე ბატონო..."

დავითმა მხარზე ხელი წაუცაცუნა ნიანიას და ეგ უთხრა:

"ნუ ჰქმნავ, ნიანია, ეგეც იცოდე, უფრო დიდი ომები მოგველს, ჯავრდენები კვლავ დაგვეირდება, რაც უმთავრესია, ბოლოს ყოველ ჩვენთაგანს მოელის უკანასკნელი ომი, სადაც როგორც მეფე, ისე მისი ყმა იძულებული გახდება მარტოხელად იომონ..."

დედოფალმა მარიამმა სმენა წაატანა ნიანიას ნაუბარსა და სთქვა:

"იცი, ნიანია, როგორც მე დავკვირებულვარ და ჩემი დიაცური ჰკუთთ განმისჯია, ამქვეყნად არავინაა ბედნიერი. აბა შენ მიბრძანე, ვინ გინახავს ამქვეყნად ოჯახის მიერ განებვიერებული?"

მშორად შემომჩიოდა ხოლმე აღექსი კომნენი:

"მე დღენიადგა ვნანობ: რად არ მომკლეს მიხეილ დუკას ყმებმა, როცა მას ტახტი და სკიბტრა წარეტაცე... მაშინ უთუოდ ამცილდებოდა ის ჯოჯობეთი, რომელსაც ოჯახს უწოდებენ როგორც მეფენი, ისე მეჯადაგენი.

ამქვეყნად მე ერთადერთი კაცი მინახავს ბედნიერი, ეს იყო ჩემი ძმა გიორგი, რომელმაც ბედნიერად იცხოვრა და სიზმარში განიცადა სიკვდილი... მეორე სიკვდილი, რომელმაც მე გამოაცა, ეგ იყო გვანცის დაღუპვა. მე არა ერთხელ გცილვარ საკუთარი თავის მოკვდინებას, უკანასკნელად, როცა ჩემი ერთადერთი ვაჟი წამართვა არსთაგანმრავემ, მაგრამ ვერ შევქელი. გვანცის სიკვდილი ახლაც მათეებს გეთაყვანე...

თქვენ მამაკაცები სეგებდნიერნი ხართ ჩვენთან, დიაცებთან შედარებით... თქვენ ზოგჯერ ისეთ უბედურებას, რომელსაც ომს უწოდებენ, ბედნიერ-

ბას გამოსძალავთ ხოლმე... შენ ამას წინათ მეც შემომჩიოდი კიდეცა, მომეწყინაო უომრად, ავგუსტაჲ...
თუმცა მე დიაცი გახლავართო მანცა კარგად შესის ეს ყოველივე".

დავითმა გაიღმა და სთქვა: „ყოველ ვაჟსაც მუდამ თან ახლავს ერთი მებაჭრე, რომელიც მარადეამს ლანდივით თანა სდევს მას.

ეგ მოუცილებელი მებაჭრე გახლავთ სიკვდილი. სიკვდილი ზან ინდოელი ფაქირივით ცეკვავს მოპირულ ხმლებზე, ზანაც ჯიქურ მომჭროლავ ისრების წვეტებზე მოფრინდება. არავინ იცის, თუ მისი წამახული შუბი როდის შეანგრევს უმამაცესი რაინდის ბექთარს და როდის უწევს გულამდის..."

"ჩინებულად ბრძანე! — უთხრა ნიანი ბაკურიანმა, მართლაც და მოუცილებელი ჩემი მებაჭრეა სიკვდილი. მთავარზე უმთავრესია, არ შეკრთე მის ლოდინში".

დარბაზში გურანდუხტი შემოვიდა. მარიამმა სამივეს გასაგონად ბერძნულად სთქვა:

"მე მინც მინდოდა გამეგო, როდის გამგზავრებთ კონსტანტინეპოლს?"

დავითმა მიუგო:

"ბილ ახალი წელია, ენკენისთვის პირველი. კიდეც საში დღე დარჩა, მამიდავ ბატონო, მერმე მე და ნიანია და ტაძრეული ზუფთამდის გავაცილებთ, ავგუსტაჲ! მერმე გურანდუხტს გადაბედა და ქართულად დაძინა:

"დედოფალს აპირებდა თან წამოსვლას, მაგრამ ამ ბოლოქამს მას შაკიკო წამოეძალა და მეშინია, გზაში არ გაგვიხდეს ავად. შით უმეტესს, რომ დიდინიანია, რაც მას ცხენით არ უმგზავრია.

ზოლო ეტლით მგზავრობა კარგად მყოფისათვის რა ძნელია, ეგ მრავალგზის განგიცდია ლისზე გადასვლისას თავათაც. ავგუსტაჲ".

როცა დედოფლები წაბრძანდნენ დავითი მცირე ზანს სდუმდა, მარტო მარტო მარტო, მხარზე ხელი წაუცაცუნა თავის სპასალარს და უთხრა:



„როცა ხუფთიდან გამოვბრუნდებით, გეგუთიდან ტაძრული და მცირე სპა ტფილის წარვგზავნით, აქეთობას განვმარტოვდეთ, კირიონ ბერი მოვიანახულოთ, თუ ცოცხალია, და მზიანეთში წავინადიროთ მშველებზე. ორ ორი მეაზრე, და მეჭინბე თან წარვიტანოთ“.

ხუფთაში გულისშემძვრელი გამოთხოვება მოხდა. მარიამ დედოფალი აქვითინდა და გადაეხვია თავის სათაყვანებელ ძმისწულს. არც „გულით უძრავ დავეთ მეფეთის“ იყო იოლი მარიამის ჭერაც მშვენიერ, ნაღვლიან თვალებზე ცრემლების დანახვა.

როცა ნიანია ხელზე ეამბორა დედოფალს, მარიამს იქვე მოადგა თვალებზე ცრემლები და მახვეწარი ხმით უთხრა მას:

„აბა შენ იცი, ნიანია, დანაპირებს თუ შეასრულებ და კონსტანტინეპოლში მომინახულებ გიორგობას... მამაშენისეული მოურავი ნიკიფორე რახანია მოგველის“.

გეგუთში მიბრუნებულმა მეფემ ბრძანა, ტაძრული და მცირე სპა ტფილის წაშლაყენენ. ორიოდ დღე დაჰყვეს დავეთმა და ნიანამ გეგუთში.

დავეთი მოუსვენრად დადიოდა სასახლის ეზოში, აქ ყველაფერი დედისიმედსა და გვანცას აგონებდა... მათი საძილო ოთახები კარგამოკეტილი დაუხვდათ.

ეზოში, ბაღში, ყოველი ზე, ყოველი ბუჩქი ყვავილნარისა აგონებდა მათ. ნიანია ზედავდა ამას, მინც სდუმდა:

გელათი მოინახულეს, მხატვართუხუცესს თვედორე დაესრულებინა მარიამ დედოფლის სახე გუმბათზე. მეორე დღეს სათაფლიას დააპირა წასვლა, მეჭინბეთუხუცესს ცხენები მზად ჰყავდა, მაგრამ უკანაქნელ წუთში მეფემ გადაიფიქრა და ბაგრატის ტაძარში თან წაიყვანა ნიანია.

დავეთმა გაიხარა თავისი საყრდისი ადგილთა კვლავ მონახულებით. მახარა, თუმცა უკვე ხელჯობს დაყრდნობილად, ძლივს დაბოხავდა, ევედრებოდა მუფეს: ამ შემოდგომაზე კვლავ ჩამოსულიყო გეგუთს.

დავეთისათვის ამჯერად აუტანელი ვახდა გეგუთის დაერდომილ კარბაკეთა ჩიფჩიფი, საბია მახარას თან ჰყავდა გეგუთში. უკვე საკმაოდ ხანდაზმული საბია მანცდამაინც არ გამოცვლიყო.

დავეთსა და ნიანას სასახლის ეზოში დაუხვდა საბია, ნოშოთი მოსილი ოფოფებზე ნადირობიდან ახლად მობრუნებული იყო. სამი ოფოფი მიართვა სტუმრებს. მერმე ჭიბეებში ხელი ჩაიყო და მწყრები ამოიყვანა. იგი ოჩოკონს დამზავასებოდა. მეფის დანახვებზე გამზიარულდა მიხრწნილებამი გადამდგარი ბერიკაცი.

დავეთმა თავზიანად მოიკითხა მეშანდლეთუხუცესი.

„როგორა მყავს შენი თავი, საბიავ ჩემო? —“

„ყველაზე უკეთ, მეფეე ბატონო. ტფილისური სასახლის განახლების შემდეგ ყველამ მიივიწყეთ გეგუთი. მე უკვე აღარა ვარ მეშანდლეთუხუცესი. სტუმრიანობამ იკლო, ათასში ერთხელ ხუფთას მიმავალი ებისეკობოხები თუ ჩამოვილიან, სხვა დროს მზის ჩასვლის უმაღლესე ვწევებით ამ სასახლის ხელშინაურნი.“

როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან, ისე იღვეიან დღენი და თან მიაქვთ სიხარული ჩვენი გულისა. დღეები მიდიან და რა მოაქვთ? სიკვდილი. აგრე ამბობენ, სიკვდილი ყველგან არისო, ეს უეპველია, მეფეე ბატონო. ყოველ დღე ველი სიკვდილს, მაგრამ დღენი დაგ ნოშოთი შებურვილს მხედავს და აღბათ ვეღარა მცნობს ის პირშავი. ჰე, ჰე, ჰე“.

საბიამ აღმართა მარყუტეამომბმული თბილის წენელი, თავისი ერთადერთი

სანადირო იარაღი და ღიმილით განაგრძო:

„ერთი გვეგუთის ველზე შემხვდებოდეს სადმე სიკვდილი, ამ ძუის მარყუჟს გადავაცვამ თავზე და მოვგვლავ უცილოდ“.

დავითმა გაიღიმა და სამი ოქრო ჩაუღო საბიას დაჰქენარ მარჯვენაში.

საბია ღიმილით ეუბნება მეფეს:

„ვგონებ, მე ერთადერთი კაცი ვარ ამ ქვეყანად, მეფეზე ბატონო, რომელსაც ოქრო უკვე აღარა სჭირდება“.

• • •

მეოთხე დღეს უთენია გავიდნენ გვეგუთის ციხიდან დავითი, ნიანია, ორი შეაბჯრე და ორიც მეჭინიბე, რომელთაც მარტაფა ცხენები მოჰყავდათ პატრონისაგან მოშორებით.

დავითმა გაიხარა სალორიის ტყის მშვენიერებით, მუხის ფოთლები ნელნელა სცივოდნენ და საურმე გზებზე მოფენილ ფარჩაზე, ჯახველი წითლად დაქაჩებდა ზეგებში. ტატიოთ მიდიოდნენ ცხენები. დავითმა ცხენი შეაჩერა და თქვა:

„ეჰ, ამ მიდამოების ნახვა იღუმალ ნალევს იწვევს ჩემს გულში. რა მალე გავიდნენ წლები, ნიანია, უკვე ჰალარამ ჩამოსთოვა ჩვენს თავზე. რამდენი გენადირნია ამ მიდამოებში მე და შენი მართალი სთქვა საბიამ:

„როგორც მდინარენი მიდიან და აღარ მოდიან ისე ილევთან დღენი და თან მიჰქვთ სიხარული ჩვენი გულისა“.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ ტყეში დავითი და ნიანია, მეფემ კვლავ შეაყენა ცხენი, დახრამულ ფერდობს გადახედა და სთქვა.

„ხომ გახსოვს, ნიანია, ამ ბრეკზე შემეფეთა მე ერთხელ უზარმაზარი ტახტი. ხელშუბის გამართვა ძლივს მოვასწარი, მაგრამ შენ რომ არ მომშველდობდი, გამიჭირდებოდა მასთან მარტოხელა შებმა.

ეჰ, მაშინ უწვევრულნი ვიყავით მე და

შენ. ამ საქმის დიდოსტატი იყო კურთხეული მამაჩემი. მას მარჯვენა მუხლის თავზე აწნდა კიდევაც ტახტის წიგნი ვარი, მხარა და მენადირეთუხუცესი ნიკიფორე ციმორისძე მიეშველნენ, თორემ გაუჭირდებოდა იმ უზარმაზარ ტახთან ორთაბრძოლა“.

უკვე გამოჩნდნენ სოფლები, მეფე უთვალავალებდა ვენახებში მომუშავეთ.

მიკრიალებდნენ ყურძნით დატვირთული ჩელტიანი, ჩოჩიალა ურმები. მხიარული სიმღერა და ყრიაშული ისმოდა ვენახებიდან. დავითმა სთქვა:

„უკვე კარგა ხანია ამ კლდეებში შეფენილ სოფლებში მამლის ყვილი მოხშირდა...“

თუ გახსოვს ამ ათიოდე წლის წინათ ეს მიდამო თითქმის უკაცრიელი იყო. თურქების შიშით გვირაბებში გახიზნული ხალხი ამ ღიზმა გადაარჩინა საესეებით ივარქმნას ეს მშვენიერი მხარე.

მე აღარ ვიცი, ნიანია, თუ ოდესმე მოსპობა ოპის გასაგისი. შენ კიდევ ამბობ, უომრად მომეწყინაო. კაცისკვლაც ჩვეულებად ექცევა კაცთაგანს. განა მარტო შენ, მართალი ვითხრა, ხანდახან მეც იგივე მომდის.

ზოგჯერ ღომების ღვრინვა, ან ავაზების ღნეილი გამოძლივძებს ღამით და არა მჭერა, რომ ზვალზევ ისეც ომში არ მოგვიწყევს წასვლა.

რამდენი სისხლი და ჯაფა წაიღეს ამ წლებმა, რამდენი შესანიშნავი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ოპის ღვთაებას ტარივად“.

„იცით, მეფეზე ბატონო, ძნელია უმტეროდ ცხოვრება, სთქვა ნიანია, მართალი უთქვამს ბრძენკაცს: არ ვარგა კაცი უმტეროდ...“

„ჰო მაგრამ მასვე უთქვამს, მაგრამ არც მტერმორეული“.

უკვე ჩხერიმელის ხეობას მიაღწიეს.

დავითმა ახედა ირგვლივ მოჭარულ ქედებს და სთქვა:

„ეგეც ჩვენი ღიზი... ეს ტყიანი კლდეეთი იყო ჩვენი ციხე-სიმაგრე. ჩე-

მმა წინაპრებმა ალბათ ამ კლდეების იმედით ააგეს გეგუთის ციხე გვაკებაზე.

ჰე, იმ მთების წვეროდან საგორავებს რომ დაუშენდა ჩვენი ბაღი, რომელი მტერი შემობედავდა ამ კლდეებში“.

ნიანამ სთქვა:

„მეც ხშირად მინატრია, მეფე ბატონო, ლხის დარი ქედები საქართველოს აღმოსავლეთით. მართლაც და საოცარია, როგორ უძლებდნენ შირვანიდან გადმოხვეწილ ტრამალებზე მომქროლავ მტრის ცხენოსან ლაშქრებს“.

მეფემ შეაყენა ცხენი.

დავისვენოთო მცირედი.

მდინარის შხელი აყრუებდა გარემოს...

„ტყე და მთა ქვეყნის საფარი. სთქვა მეფემ, ტრამალი ცხენთა და აქლემთათვის ფიანდახა. ამირ ილაზის და სელჯუქიანთა სხვა სარდლებს დიდი შეცთომა მოუვიდათ დიდგორში. რა ბედითაღ ჭლოშინობდნენ მათი აქლემები, ხანდაკებითა და ჯებირებით მოფენილ გზებზე.“

სელჯუქიანთა სარდლებს წინდახედულება რომ აღმოჩენოდათ, ისინი ტაოდან როდი უნდა შემოსულიყვნენ, არამედ განძის მხარიდან.

აგრე ყოფილა შუდამ, უბირველესი ბირობა გამარჯვებისა ომის გონივრულად დაწყება, ნიანია, უცილოდ.

ტრამალებზე ჩვენ დიახაც გაგვიპირდებოდა მათი ცხენოსან და აქლემებზე ამხედრებულ მოლაშქრეებთან ბრძოლა.

აქლემი მანაც ჩინებული საომარი პირუტყვია, მაგრამ მთიანეთში საცხებით უვარგისი. თავის დროზე აქლემებით სძლიეს სარკინოვებმა და სელჯუქებმა როგორც ბიზანტიას; ისე ჯვაროსნებს.

აქლემებისა და ჯორების მეობებით აიღეს სარკინოვებმა ხირია და ეგვიპტე. აქლემი ჩინებულია საქურველთა და სურსათის საზიდად. შეიძლება ითქვას სელჯუქიანებმა და თურქომანებმაც რიგინად გამოიყენეს აქლემი მცირე აზია-

ში, განსაკუთრებით ანატოლიის ბარზე აქლემს სამოცამდე სახელი აქვს არაბულ ენაზე. ბერძნები დრომედარს უწოდებდნენ ორკუზიან, სწრაფმაქლემს აქლემს.

ერთ დროს მეც ვაპირებდი აქლემების მოშენებას და ერთ-ერთი ცხენოსანი ათასეულის აქლემებზე დასმას, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან აქლემი მთიანეთში უვარგისია. ცნობილია, აქლემი ძლიერ ჰყარს, ამიტომ სძულდა იგი მახარას. იგი დღენიდავ ჩიოდა: მოვაშროთოთ ეს აქოთებული აქლემები“.

„ოჰ, რა რიგ გაცოფდება ბოლმე ბრძოლის ველზე აქლემი, შენიშნა ნიანამ, ალბათ გენსომება, როცა დიდგორიდან დავსძარი მტერი, სამიოდე ეჯიც არა გექონდა გავლილი, მე ჯონდი ერისთავსა და ვალანგ ერისთავს შემოგვეყარა სელჯუქიანთ ერთი ათასეული. ჩვენ შევდექით, მე მხარმარცხნით მდებარე მთებში წარგზავნე ვალანგ ერისთავი ქვეითი ათასეულითურთ.“

მერმე ის იყო ვალანგმა დაუშინა საგორავები მტრის აქლემებს, გაცოფებული ცხოველები ხრამში სცივოდნენ მხედრებიანად... შავი დღე ვაყარეთ მაგ შეჯღალღლებს“.

დავითმა მითს ქიმზე შეაყენა ცხენი. ცას ახედა და სთქვა:

„ეჰ, არ მომწონს ეს ამბავი, ნიანია, ის დაცრეცილი შავი ღრუბელი, აღმოსავლეთისაკენ რომ განრთხმულა ურჩხულის დარად, სიკეთეს არ გვიქადის, იცოდე“.

„არაფერია, მეფე ბატონო, არც ისე დიდი მანძილია კირიონ ბერის წისქვილამდის“.

ამ ჯერადაც მშველების საჩიხეში დაუხედა კირიონ ბერი სტუმრებს. მან თვალეებზე ხელი მიიჩრდილა, საჩიხე გამოიარა და ჯიქურ მიეახლა დავითს.

რა ვაიგო, მზიანეთის ველზე აპირებენო სტუმრები ნადირობას, ახედა ენდროსფერი ღრუბლებით მოოქვილ ცას და სთქვა:

„აბა მე თქვენ გეტყვით, უფალნო,

ხელ უთუოდ ტაროსი დაგესწრებათ ღვთით... ცუდ ამიდში მანდ ასვლა საძნელო იქნება.

ამალამ აქ მოვასვენებთ, სთქვა და დაფაცურდა კირიონ.

ესეცაა კალმაში დამიტოვეს მესათველევებმა... რუისის ეპისკოპოზი უნდა მობრძანებულყო ამალითურთ..."

კირიონმა კაკლის ქვეშ ტაბაკი დადგა. ნიგეზის ფოთლები დაფინა. ხშიადებსა და კალმახებს ალაგებდა ზედ...

იმ ღამეს დიდხანს ისაუბრეს მეფემ და სპასალარმა.

„ვიდეე კარგი“, სთქვა დავითმა, რუისის ეპისკოპოზი რომ არ ჩამოვიდა, თორემ იგი უთუოდ გაუმხელდა ჩემს ვინაობას მამა კირიონს“.

ბოლოს დავითი ადგა, ნიანია მარტო დასტოვა, თავის საკანისაკენ მიმავალმა იმ საკანში შეიხედა, რომელშიაც გვანცამ გაათია ღამე. ღვთისმშობლის ზატება იმავე ადგილზე ეკიდა, ნიშებში თავლის სანთლები ბეუტავდნენ. „ღვთისმშობელი მშვენიერი სოსანი, მას უგალობს ანგელოსი ფრთოსანი“. ეს სიტყვები გახშიანდნენ დავითის გულში.

იგი მისთვის განკუთვნილ საკანში აპირებდა შესვლას, კირიონ ბერი თან შემოჰყვა, დაფაცურდა, საწოლის გასწვრივ სანთლები ანთო ნიშებში. რუდუნებით შეელოდა თორის გახდაში დავითს. მერმე საბარკლულებს მისწვდა მუხლმოყრილი.

ფეხზე გახადა, ტფილა წყალი შემოუტანა ტასტით და ფენის ბანას შეუღდა.

„რა მოხარული ვარ, რომ მშვიდობით გადაურჩი იმ პირძალ ილაღაზის დიდგორზე. აქ ერთმა ბერმა ამბავი მომიტანა, აზნაური მორკნეველი ვაჟკაცურად იბრძოდაო დიდგორზე“.

დავითმა არა მიუგო რა.

კირიონ ბერი გულმოდგინედ ხელს უწყამდა წვივებზე სტუმარს და დუღუნებდა:

„მე ისე მადლობელი ვარ, უფალო. შენი, იმ წერათ დავით მეფისთვის რომ არ გადავიცა ყოველივე, რაც შარშან მოვროშე. გაეიგე, ყოფილთა უმთავრესის ასული ცოლად მოუყვანია მეფეს.

როგორც გზადგამოვლილმა ბერებმა მაუწყეს: იოანე ქართლის კათალიკოსს მოუნათლავს თურმე დედოფალე გურანდუბტი. ახლა რომ ვუკვირდები, მართებულად მოქცეულა ჩვენი პატრონი. სხვა შჭულის დიაცი გვერდით მოისვა ყოველად ქრისტიან ბაგრატიონთა ტახტზე.

რა ვუყოთ მერმე, დავით მეფის დიდდუდა მარიამი ხომ სომხის ქალი იყო, მწვალებელთა ნაშიერი, მაგრამ იგიც ჩვენ შჭულად მოიქცა ბოლოს და გახდა იგიც სპეტაკი შჭულთა, სამღვდლოთა ქომაგი, ეკლესიათა და მონასტერთა დიდი მშენებელი, ქვრივ ოხერთა შემწყვალე“.

„როგორ? განა სომეხნი ქრისტიანენი არ არიან, მამაო კირიონ, ეინა სთქვა ეგ?“.

„განა შენ უკეთ არა უწყი, რომ სომეხნი მწვალებელნი რომ არიან?“

„არა მგონია, მამაო კირიონ, სომეხნი მწვალებელნი იყვნენ, სულ უმნიშვნელო და მცირედი სხვაობაა ქართველ და სომეხ ქრისტიანეთა შორის“... მიუგო დავითმა.

გაოცებულმა ბერმა პირი დააბჩინა და სთქვა:

„მე რა ეიცა, შეილო, აგრე მსმენია ჩვენ მოძღვართ-მოძღვართაგან, სხვა დანარჩენი ღმერთს უკეთ ეცოდინება“.

დავითი ახლა ნანობდა, ნეტავ უარი მეთქვაო ფეხის ბანაზე და ეს უთხრა მასპინძელს:

„ახლა უკვე ძილის ქამია, მამაო კირიონ, ჩვენ უთენია უნდა გავუდგეთ გზას. შენც დაილაღე ამდენი ჭაფისგან, წაბრძანდი და დაისვენე, მამაო“.

ბერმა ფეხები შეუმშრალა სტუმარს, მერმე წყლიან ტასტს ხელი წამოავლო, გარედ გაიტანა და ისევ შემოფათურდა დავითს უკვე ეგონა ისევ განაგრძობსო ბერი სომენთა „მწვალებლობის“ გამო ბეუტურს და საწოლისკენ გაიხედა.

ბერი საწოლთან მიფაცურდა, ბალოშები დაბერტყა, მშვლის ტყავები მიალაგა, პირჯვარი გადასახა სტუმარს და ღამე ნებისა უსურვა.

დილა ადრიან სტუმრები გამოადვიდა

კირიონ ბერმა. თაფლი, რძე და კალმახი მიართვა საუზმეზე, როცა მეჩინიბეებმა ცხენები მოართვეს დავითს და ნიანიას, კირიონ ბერი მიეჭრა სტუმრებს და ეუბნება...

„იმ აღმართს რა მოათავებთ, შვილნო ჩემო, შესამედი ფარასანგის მანძილზე მარჯვნივ გაიხედავთ და იქ ნახავთ შვიდგოდოლიან ციხეს, აწ უკვე დარღვეულს ვე იქნება მინდორელთა დედაციხე.“

მზარმარცხნივ სოფელია, მცირე ეკლესიის მახლობლად, იმ სოფელში შეხვალთ და იკითხავთ მეითარყოფილს თეოფანეს.

უქველია, თქვენ ძაღლები დაგვირდებათ სანადიროდ. მაგ თეოფანეს ჩინებული ძაღლები ჰყავს ყურყვითელანი, ჰო და ეგ ყურყვითელა ძაღლები, ნაშიერნი არიან იმ ძაღლებისა, რომელნიც მაგ თეოფანეს აჩუქა თავის დროზე მეფეთ-მეფემ გიორგიმ, დავით მეფის მამამ.

თურმე ეგ ძაღლები ბიზანტიის კეისარს გამოუგზავნია მეფეთ-მეფის გიორგისათვის ოდესდაც. თეოფანე უკვე დავრდომილია, მაგრამ მისნი შვილითა-შვილები წამოგყვებიან და თან წამოასხამენ მაგ ყურყვითელა ძაღლებს“.

ცხენოსნებს ძლიერ გაუჭირდათ მზიანეთის აღმართის დაძლევა, ბოლოს დავითი და ნიანია დაქვეითდნენ, მეჩინიბეებმა და შეაბჯრებმა წამოასხეს ცხენები.

დავითი ცას უთვალთვალებდა ნიადგ. გზის ასაქცევზე შესდგა და უკან მომავალ ნიანიას შეესიტყვა:

„მე მგონია, წვიმა მოგვისწირებს ნიანია...“

ნიანია შესდგა, მანაც შეათვალეირა ენდროსფერი ღრუბელი დასავლეთის თვალსაწიერზე და სთქვა:

„მე არა მგონია, საღამომდის გაავდარდეს. თუ ბედმა გვიმტყუნა, თავშესაფარს მოვძებნით სადმე“.

გავაკებამ რა უწიეს, კვლავ შესხდნენ ცხენებზე დავითი და ნიანია...

შვიდგოდოლიანი ბასტიონიც გამოჩნდა საესებით უკაცრიელი. დედაციხე

უცნაურად დაეღუწა მიწისძვრას, გოდოლები უცნებლად იდგნენ.

გასცილდნენ თუ არა ციხეს, მცირე ეკლესიაც გამოჩნდა და პატარა სოფელი.

დავითმა სთქვა:

„დაგვირდება ვითომ ძაღლები, ნიანია?.. ჩვენ თითო მშველიც რომ მოვკლათ, ეგეც იკმარებს. გარდა ამისა, ის მეითარყოფილი თეოფანე ალბათ შემიცნობს, რაკი მამაჩემთან უმსახურნია“.

„გვიცნოს მერე, რა უშავს, მეფეგ ბატონო, მაგ მეითარი ჩვენს სიყმაწვილში არა ყოფილა გიორგი მეფის სასახლეში.“

ვექმ, მართლაც შეგიცნოს... თუ ეგ მოხდა, რა უშავს, დავრდნობილი ბერიკაცი კირიონ ბერს ვიღარე ნახადეს, ჩვენ უკვე ტბილისში ვიქნებით“. ღიმილით სთქვა ნიანიამ.

თეოფანეს ეზოში უამრავი ძაღლები ირეოდნენ, მზვარეში დაბმულნი ვავებული ყფდნენ. მათი გნიასისაგან ყურთა სმენა არ იყო.

დავითი შევიდა თეოფანეს დედაბოძიან სახლში, მუზარადი მოიხადა და სთქვა:

„აქა მშვიდობა“.

უზარმაზარ ბალიშზე მწოლარე დღეულმა მოხუცმა თვალზე ხელი მიიჩრდილა, ახედა ახლადმოსულებს და ეინაობა ჰკითხა:

„ჩვენ დავით მეფის ყმანი ვართ, უფალო, აქ გამოვიარეთ გეგუთიდან, გვიდა წავინადიროთ. თუ ორიოდე ყურყვითელა ძაღლს გაგვატან“. უთხრა ნიანიამ.

მოხუცი მკლავზე დაეყრდნო, ზეწამოწია... გაიხარა, ნათქვამი რა შეისმინა და აგრე მიუგო:

„ვამ ჩემს სიბერეს, კენესოდა თეოფანე, ეგ ძაღლები მეფეთ-მეფის გიორგის ნაჩუქარი ძაღლებია ნაშიერებია. როგორ თუ ორს, ყველას ერთად გაგატანთ, შვილებო“. ესა სთქვა და დამადღურდულივით წამოიყვირა მოხუცმა: „ჯამლეთ, შიომ, შველუგ, აბა მოეშა: დეთ, საუკეთესო ძაღლები გაატანეთ“.

სამი ქერა ყმაწვილი შემოვარდა გამა-

ლებული. ქედმოდრეკილი მიეახლნენ სტუმრებს.

დავითმა და ნინიამ გარედ გასვლაც ვერ მოასწრეს, მოხუცის ყვირილი შემოესმათ:

„შველეგ, ჯერ საუზმე მიართვით სტუმრებს, მანდ მსხლის ქვეშ რომ დიდი ჭურბია, ის მოხადეთ... ასვით ღვინო, შოთა პურები მოატანინეთ ახლავე“.

ნინია წინ გადაუდგა სამათ.

„ჩვენ ნასაუზმენი ვართ და არა გეშია, ვაყებო, თითო ორშიმოდ ღვინოს თუ გეასმევთ, არ იქნება ურიგო“.

სამი ბარიანი ვაყეცი მიადგა მსხლის ქვეშ დამარხულ ქვევრს ლალისფერი ღვინო აკიაფდა ქვევრის პირიდან.

„რა თვალის მომჭრელი ლაპლაპი გაუღდის!“ სთქვა მომღიშარე მეფემ.

მასპინძლებმა თითო ორშიმოდ ჩამოურჩიეს ოთხთა.

ნინიამ შენიშნა, დავითს დაწვისთავე ბი გაუწითლდა, როცა პირველი ორშიმოდ გამოსცალა.

„დავიმუხლოთ, სთქვა სამთაგან უფროსმა, შველეგმა, და მსხლის ქვეშ გამართულ ფიქალის სუფრასთან მოაგროვა ძელქვის ჭირკვები.“

სამი ქალი შობობდა ცისქვეშა მარნისკენ, შოთი პურები და ყველი მიართვეს სტუმრებს. დავითმა ანიშნა მეჭინიბეებსა და შეაბარებებს თითო ორშიმოდ დაეღა თითოს.

ამასობაში დასადგებული ცხენები ატროკდნენ, სადავენი დასწყვიტეს. უცნაური ჭიხინი შორთეს. მეჭინიბენი და მეამბარენი ცხენების დასაოყებლად გაიქცნენ.

დავითმა და ნინიამ თითო თითო ორშიმოდ კიდევ გამოართვეს მოძალბებულ მასპინძლებს და წამოღვინენ.

შველეგ წინ გადაუდგა მათ.

„თუ დავეციდით მცირედს, ხბოს და გკლავთ და მწვადები შეგწვით დანდობილად. შეფეთა ყმებს როგორ უნდა გაკადროთ ხმელი პური, ჰაჲ“

დავითი უარზე დადგა: ჩვენ ახლაც უნდა წავიდეთ, გაავდრების გვეშინიაო. შველეგმა ძმებს გადასძაბა:

„აბა, ბიჭებო, თორმეტი ძალდი თან უნდა წავიყვანოთ“.

ნინიამ დავითს შეხედდა საშინო იკმარებსო.

დავითმა დაუმოწმა: „სამი კმარა, ჩვენ თითო მშველიც გვეყოფა“.

შველეგმა გაიღიმა.

„თითო მშველი ორთა? ჰმ, თითო მშველი ვახშმად მოგვინდება“.

მონდარეებმა მეჩხერი ტყე გადალახეს, დაქვეითდნენ, შველეგმა, ჯამლეთმა და შიომშა საბელები შეხსნეს ძალებს და ლაქაშთან ველზე გაუშვეს.

სულ მცირე ხანი გავიდა და ლაქაშებში ატყდა ის საამური ყუფა და წყავწკავი, რომელიც ეგზომ აღელვებს ხოლმე მონადირეთა გულს.

შველეგმა ლაქაშებში მიმავალ ბილიკებზე შეაყენა დავითი და ნინია, დაუბარა:

„თქვენ აქ მოიცადეთ და მე გამოვრეკავ მშველებს, როცა სტვენა შემოგესმებათ, ეს ნიშანი იქნება და მშვილდები შეწყობეთ. მშველი ამ სქელ ლაქაშებში ერიდება, იგი უშველად მოტელებილ შურებს გამოყვება“.

ლაქაშების ველი ბილიკებით დაღარული იყო. სულ მცირე ხანს მიდიოდა შველეგ, ბოლოს მაქკერალნი ხედავდნენ ლაქაშების ზღვაში ნელნელა მიმოცოცავ ქუდს ყმწვილისას.

დავითი დასავლეთისკენ იმზირებოდა. უცნაური სანახაობა სუფევდა ცაზე. კრაველივით დახტუქუქებულ ენდროსფერი ღრუბლების ზღვას გადაღმა ვარგარებდა გამოხრეებულ ოქროსავით ეასვასა ბორბალი, მზისა ხოლო სამხრეთისკენ მოსჩანდა ღრუბლის შავი ზოლი, როგორც ანახლად გაშვერილი მკლავი უფლისა.

„ეჰ, ჩემო ნინია, რომელი მხატვარი გაიმეორებს ამ ზეციური სასწაულის ეპითანიას. მარტო ამ განცხადების სახილველად ღირდა აქ მოსვლა“.

სთქვა დავითმა.

„და იმ უზარმაზარი ჭურის თავისა“... ღმილით სთქვა ნინიამ.

„ღვეის ბეჭედს არა ჰგავდა ის ლალი სფრად მოკიაფე პირი ქვევრისა“.

„კამდენჯერ გვინადირნია მშველებზე, კახეთსა და შირვანში, ავაზებიოთა და მწვერებითო მაგრამ მშველზე?.. ამგვარი წესი მშველებზე ნადირობისა არ ვახსოვს“, სთქვა ნიანიამ.

ამასობაში ყურყვითელა ძაღლების მონივრებული ყეფა მოახლოვდა. სულგანაბულნი იდგნენ ორნი და შეშართული ძირები შვად ჰქონდათ.

სჩანდა, მშველები ველარ ელუბდნენ ძაღლების ერთობლივ შემოტევას, იაი-ნი მალაყებს გადადიოდნენ და ისე მორიკაედნენ ლაქაშების აბაზინებულ ზღვაზე.

პირველი მშველი მოუახლოვდა ბილიყის თავს, რომელსაც დავითი სდარაჯობდა, მონადირეს ეგონა, რომ მშველი მალაყას გააკეთებდა, მაგრამ მადევიარი ძაღლებისაგან დამფრთხალი იგი ჭიქურ წამოვიდა მშვიდლოსანისკენ და, როცა ისარი ყელში გაერჭო, დანდობილად დაეცა მიწაზე.

დავითი ნადირისაკენ გაემართა, თიჯმის ასევე მოიტყა ნიანისაკენ მიმჭროლავი ხარ-მშველი.

ჭამლეთი და ყურყვითელა ძაღლები ახლა სხვა ბილიყებს მოსდევდნენ.

„ეს ორი კმარა, სთქვა დავითმა, მაგრამ ნიანიას გულმა არ მოუთმინა, ახლა მესამე ბილიყის თავზე დაუხვდა სტეენით მომჭროლავ შენს. ესროლა ისარი ყელმოღერილს.

დიღხანს არ დასცალდათ ნადირობა მენადირებებს. ცა წარიგრანა შავლეგო ღრუბლებით, ერთბაშად იელვა და მაცქერალთ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ანაზღად გაიხსნენ საქანელნი ცისანი და წამოვიდა უცნაური მერები. ამ უკანასკნელ ლაქაშის ველზე ცადაქნილის კიდემდის არც ერთი ხე არ იდგა. შორიდან მოისმა ზარების რეკვა.

ძაღლების პატრონებმა ასტეხეს სტეენა და ძაღლები მოიხმეს. შავლეგმა სთქვა:

„იმ კაბანს გადაღმა დედათა მონასტერია ერთი, სწორედ იქ რეკავენ მწუხარისას“.

სამი ძმა მარჭაფა ცხენებზე შესვეს

მეჭინიბებმა, მოკლული მშველები უმაგირის ტახტაზე გარდი-გარდმო გადააქიდეს. შავლეგ წინ წარუძღვა სტეენარებს მერები არა სცხრებოდა, რთხანით მარჭაფალი ცხენები გამალებული მიარღვედნენ ლაქაშის ზღვას, როცა მონასტრის ზღუდემდის მიადწიეს, შავლეგმა ძლივს მიაგნო კიშკარს. ზედ დაკიდული ზარი ჩამორეკა. რეკავდა, მაგრამ არავინ აპირებდა გამოხედვას.

ქარი ჰქროდა, ცხენოსნებს უმოწყალოდ აწვიმდა. ბოლოს ვიღაც მოფართურდა კიშკართან და მილუული ხმით იკითხა:

ვინა ხართ?

როცა შავლეგმა თეოფანე ახსენა, მოხუცებულმა მონაზონმა კიშკარში დატანებული კუტიკარი გააღო და ვინაობა და სადაურობა იკითხა ხელახლა.

შავლეგმა მახვეწარი ხმით მიუგო:

მონადირენი ვართ, ამ მერებისაგან ვაგლახად მოქცეულნი, დროებით თავშესაფარს ვითხოვთ.

მოხუცი მონაზონი წინ წარუძღვა სტეენარებს და საოსტიგნოში შეიყვანა. გალუმბული მხედრები გააღებულ შუაეცხლს მიეფიცხნენ.

დავითმა ხმადაბლა უთხრა ნიანიას:

იღუმენისთან მიდი, გადაკარებამდის აქ დაყოვნების ნება ითხოვეო.

მხციმომოსილი მონაზონი მონასტრისკენ წარუძღვა ნიანიას და როცა იღუმენისის საყოფლომდის მიადწიეს:

აქ მოიცადეთ მცირედი, უთხრა და ჩაბნელებულ დერეფანს მიჰყვა.

მომბრუნებულმა ნიანიას იდაყვზე ხელი წაუცაცუნა და სთხოვა თან გაყოლოდა. ვრცელი დარბაზის შუაგულში შვი, მრგვალი მაგიდა იდგა და მალაზურგიან სეღზე შავადმოსილი იღუმენია იჯდა. კედლებზე ხატები იყვნენ გამწკრივებულნი. საქმეველოსა და თაფლის სანთლის სუნი იდგა.

ნიანია კარის ზღურბლთან შეჩერდა.

მონაზონი მოკრძალებული მიეახლა სეღზე მჯდომარეს და ხმადაბლა უთხრა: მენადირენი შემოგვედრნენ; ვიდრე გაუღიდარებდეს, საოსტიგნოში დარჩენის ნება მოგვეცითო.

„რამდენი კაცია“? იკითხა შავოსანმა.
 „ექვსი კაცია მანდ, საწყალობელად
 ვალუმულან ამ თავსხმავი ბედშავნი“.
 მონაზონი მიფათურდა ნიანისათან
 და უთხრა:

ილუმენია, დამ დარია მობრძანებასა
 გთხოვო.

როცა ნიანია თეთრთავსაფრიან ილუმენიას მიუახლოვდა, ორივენი უცნაურად შეკრთნენ.

ილუმენია წამოდგა, პირჯვარი გადასახა ახლადმოსულს და სკამზე დაბრძანება სთხოვა, მერმე მონაზონს მიუბრუნდა.

„დაო სეფორა, სტუმრები საოსტიგნოში დასვი ცეცხლთან და გაუმასპინძლი“.

ნიანია საკუთარ თვალებს არ უჩეროდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბისტი გადაეკრაო თვალუბზე.

ილუმენია წამოდგა ანაზღად და სთქვა:

„ღმერთო, ვის ვხედავ, სიზმარია თუ სიციხადე?“ ბოლოს ორივე ხელი ღაწვის თავებზე მიიყრდნო და ხმადაბლა წაიღუღუნა:

„თუ არა ვცდები, ნიანია ბაკურიანი?... ჰა...“

ამ სიტყვებმა მხნეობა შეჰმატა თავათაც გაოცებულ სტუმარს და სთქვა:

„დედისიმედი!“

„შენთან ვინ არიან, ნიანია?“

კითხული არ დაიბნა.

„ჩემნი შებაჯრენი და მეჩინიბენი...“

მონაზონი სეფორა შემოფრატუნდა. სტუმრები ჯერ ცეცხლს ეფიცებებიან, თაფლი, ქუმელი და დედასპურები უნდა მივართვა“.

ილუმენიამ უბრძანა მონაზონს:

„აბა შენ იცი, სეფორა, არ დაამშოი სტუმრები“.

როცა სეფორა გავიდა, დედისიმედმა გახურულ კარს გახედა და ხმადაბლა უთხრა ნიანის:

„ნიანია ბატონო, მე და შენ მეგობრები ვიყავით ოდესღაც...“

ამეკამადაცო, დაუმოწმა ნიანიამ.

„ღეთისშობელს გაფიცებ, ამ მონას-

ტრის მფარველს, ამ შეხვედრის გამო სიტყვა არავისთან დაგცდეს...“

ნიანიამ ფიცი დასდო, ეს ნებაშია ჩემთან დარჩებაო.

ნიანია გაოგნებული შესცქეროდა სავსებით გაჭაღრებულს ერისთავის ასულს. ღაწვისთავებსა და თვალის ჭბეების გარშემო მწყურის ნაფებურებივით წვრილი, წვრილი ნაოქები დასაოდნენ მას. ნაოქები გასჩენოდა გამზღარსა და ზღალ კისერსაც. მხოლოდ მისი ჩაფეროფილი თვალების კართომში საჩინო იყო აწ გადასული მშვენების ათინათი. საესებით გაყვითლებოდა სახე.

დედისიმედი საუბარში ჩქარობდა, ალბათ სეფორას შემობრუნების მომლოდინე.

„მე თითქმის ყველაფერი ვიცი, რაც მოხდა ჩემს შემდეგ მეფის სასახლეში, მოგვხსენება, მონაზვნები ხშირად ჩამოდანი ტფილისიდან და ნაჭარმაგვევიდან“.

ახლა თავის ბედის გამოც დასძრა დედისიმედმა ორიოდ სიტყვა.

„როცა ნაჭარმაგვევის სასახლიდან გავიპარე და გავუჩინარდი, ბარე ორი თვე მატარა მექათმე თეონამ ფეხით, ბოლოს აქ მომიყვანა ღმერთმა, თუ თეონამ, უფლისა ნებით. აღარ მოგიხსრობ, თუ რამდენი ტანჯვა გადაამხდა გზაში.“

ამ მონასტერში მონაზვნად აღმკვეცა უკვე მიზრწილებამი გადამდგარმა ილუმენიამ, არგვეთის ერისთავის ცოლყოფილმა ნეოფიტემ.

ბოლოს იგი მოიხმო უფალმან. სიკვდილის წინ ილუმენიად შემრაცხა მანვე. იმ დღიდან ამ დღემდის ვიღწვი, შექლებისამებრ ეუვლი ამ მონასტერს. ამ ბოლო ხანს დაესწეულდი კიდევაც, სიყვიო თლგ დამემართა“.

ნიანიამ ახლა შენიშნა, სავსებით გაყვითლებული ჰქონდა მას არა მარტო სახე, თვალის თეთრონებიცა.

„არ ვიცი, როდის მიხმობს უფალი“.

დასმინა დედისიმედმა.
 ახლა ნიანიამ უამბო მას, თუ როგორის გულმოდგინებით ამებნინა იგი დავითმა, არზრუმსა, ბაღდადსა და პალესტინაში.

როცა დედისიმედმა თავსაფარი გაისწორა, ნიანიამ შენიშნა, საესებით გათვრებოდა თმები.

დედისიმედმა ერთი გაიხედა კარისკენ, ადგა, კედლის განჯინა გამოალო, ოქროს ჭვარი უსახსოვრა ნიანიას, მეორე ხელით გაუწორდა პატარა ყელსაკიდი ხატი მთავარანგელოზისა, აგრეთვე ოქროსი და დაბეჯითებით სთხოვა, არ კი გაეშხილა მეფისათვის, თუ ვისგან იყო იგი ნაძღვენი.

საოსტიგნოში მიბრუნდა თუ არა ნიანია, დავითმა უგუნებობა შეამჩნია პას, ხედავდა, თუ როგორ უგერგილოდ შეეჭკვოდა იგი საჭმელს.

გადაიკარა ცამ. მენადირენი გზას დაადგნენ. ისევე აყვავდნენ ფორთოხლისფერი ღრუბლები დასავლეთისაკენ.

ის ღამე მეითარის, თეთფანეს ოჯახში გაატარეს დავითმა და მისმა მსლებლებმა, მხოლოდ მესამე დღეს უწიეს მუხრანულ სასახლეს...

იმ ადგილას. სადაც მარიამ დედოფლისეული მამული მდებარეობდა ქრისტეობლის სანახებში, კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს მეც მინახავს ორ მინარეთს შორის, სანახევროდ შემუსვრილი პატარა ტაძარი, რომელიც თავის დროზე მიხილ დუქასეული კარის მონასტერი იყო, ისეთივე როგორიც ჰქონდათ ხოლმე ბიზანტიელ კეისრებსა და დიდბაზილიკებს.

მარიამ დედოფლის დროს ამ მონასტერში სულ ათიოდე ხანდაზმული მონაზონი ცხოვრობდა. მათი ილუმენია იყო მარიამ მართა ყოფილი.

აქ შემონახუნდა იგი თავის ერთადერთი ვაჟის კონსტანტინე პორფიროგენეტის სიკვდილის შემდეგ. საქართველოდან უკანასკნელად ჩამოსული, მონასტერში მოსვლის მეორე დღესვე ლოგინად ჩავარდა.

სამშობლოდან მობრუნებული, ზღვით მოგზაურობისაგან დაქანცული, ძლივს იცნეს მონაზვნებმა. იხმეს აქიძნი და მარჯისმეტყობნი, გულის მანკი აღმოაჩნდა დედოფალყოფილს.

მარიამ დედოფალი უკვე აღარ

ბრწყინავდა მისთვის ჩვეული სილამაზით. უამრავი ნაოჭი დასეროდა სახეზე. აედამყოფური სიწითლე მოსძლიებოდა ღაწვებზე. იგი უკვე აღარა მგავდა გელათის ტაძარში გამოსახულ ლეთისმშობელს, არც იმ პორტრეტს, რომელიც ვატიკანშია ამჟამადაც შემონახული. ამ სურათს ქვედა კიდზე ასეთი წარწერა აქვს: „Maria de Bagration Princessa real de Georgia, Emperatriz de Byzancio y del Impero Romano de oriente.“

— მარიამ ბაგრატიონი, საქართველოს პრინცესა, იმპერატრისა აღმოსავლეთ რომისა“.

გიორგობის ღამეს უცნაურად შეიუტია სატკივარმა მარიამს. როგორც ილუმენიის ნაცვალი თეოდორა, ისე ათივე მონაზონი თავგამოდებით უვლიდნენ, მაგრამ თანაც ჰხედავდნენ. თურა ავად მოაქცია იგი სენმა.

ნაშუალამევს სუნთქვა შეეკრა, ბალიშებზე წამოიწია, თეოდორამ მკერდზე მიიკრა მისი საესებით გაქალაქებული თავი, სულის ამოხდომის წუთებში მხოლოდ ორი ადამიანი ასხენა სულთმობრძავემა: კონსტანტინე პორფიროგენეტი ასხენა, ნიანია ბაკურიანი ხომ არ ჩამოსულაო? როცა თეოდორამ მიუგო არაო, პირზე დაეცა და უღვრტიწიველად მიწებდა სიკვდილს...

ნოემბერი იყო, მშვენიერი დღეები იდგა. მუხრანულ სასახლეში არავითარი ცვლილება არ დახედრია დავითს. კარისკაცებმა გაიხარეს პატრონის მობრძანებოსგან. ნიანია ისევე ნადირობისა და თევზაობისაკენ მიიწევდა. დაფაცურდნენ მენადირენენი და მესათხეველენი.

ქარიშხან სეტყიელი და ჩუხჩნი ფხიზლობდნენ, რადგან იმჟამად ყიფჩაღის დრტიწივდნენ უომრობის გამო, რადგან ნაალფარის შიტაცებას იყენენ ჩვეულნი. ქონდაქართუხუცესს ქარიშხან სეტყელს ილუმალი ცნობაც მოუვიდა ნინეებზე: ყიფჩაღთა ათასის თავს ბენ საბზავს საეჭვო მისვლა-მოსვლა აქვსო თრიალეთში შემორჩინილ ლიპარიტელებთან, მაგრამ

ქარიმან სეტიელი ხელმარჯვე შემთხვევას უცდიდა.

ერთ დღეს, დიდი ნადირობიდან მობრუნებული დავითი, სასახლის აივანზე ისვენებდა პერანგსამარა. ანაზად გაიშხულია ისარმა და მკერდზე ეძგერა მეფეს, მაგრამ იგი მთავარიანგელოზის ხატს მოხვდა და აგურის იატაკზე მოადინა ქრილია.

სამ დღესაც არ გაუვლია, ქარიმან სეტიელმა მიაგნო შეთქმულებსა და მათ მეთაურს, ყიფჩაღთა ათასის თავს, ბენ საბზავს.

ქარიმანმა შეიპყრო ბენ საბზავ და მისნი თანამზრახველნი. ბორკილები შეასხა გამოტეხილ ავისმზრახველებს და უფლისციხის დილეგში წარგზავნა. სამნი ლიპარიტელნიც დაატუსაღეს ერთი თვის შემდეგ.

ტფილისურ სასახლეში სრული მშვიდობა იყო... უგუნებოდ შეიქმნა მეფე. გვიან ლაშქრის ბუხრის პირად იჭდა და სწორედ იმ თვეს დაიწერა მისნი „გალობანი სინანულისანი“. შიო მღვიმის მონასტერში უკვე საჭაროდ წარსთქვამდნენ:

„უფალო, ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სოყრმისა და ცთომილებისანი“.

ზამთარი ჩამოდა. მეფე კვლავ ჰმუნავდა... დავითი დღენიადღ კითხულობდა ისევე ნადირობას წაეპოტინა ნიანია. შეახსენა კიდეც პატრონს:

„გასულ შაბათს მპირდებოდი მეფეც პატრონო, ავაზებით ვინადიროთო მშველზე.“

„იცი, ნიანია, ის მშველი რომელიც მზიანეთში შემომაცვდა, ისეთი საწყალობელი იყო, უნდა დავიფიცო, აროდეს ვინადირო მშველზე. ახლაც თვალწინ მიდგას შავ მშვენიერის აცრემლებული თვალები...“

ზამთრის უფერული დღეები წეროვბივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. მალემსრბოლები მოდიოდნენ ტაოსკარიდან, ნიკოფსიდან, ანისიდან და დარუბანდიდან.

დავითი ამჩნევდა უსამო ამბავთა გამო არაფერს მოახსენებდნენ მას. თუმცა მტრების ჰაჰანება არსადან ისმოდა, მეფე რატომღაც დარწმუნებული იყო, ამჯერად ტაოკლარჯეთიდან შემოუტევენ სამეფოს თურქნი.

მოაღწევდა თუ არა ამ მხრიდან ჩამოსული მალემსრბოლი, ციხისთავს არადაშელს იზმობდა, დაჰკითხვდა: ტაოსკარში ხომ არ გამოჩენილანო თურქნი?

ტფილისურ სასახლეში უარესად წამოქცალა უგუნებობა მეფეს. დედოფალი ელენე და ნიანია ბაკურიანი თერთად ათენებდნენ ლაშქებს. ხუფთიდან მალემსრბოლი მოვიდა. მარიამის ეზოს მოძღვარი ცინცილუკი და ილუმენია თეოდორე თუწყებოდნენ: გიორგობა ლაშქს ღვთით მიიცივალაო იმპერატრისსა მარიამ.

სრულიად საქართველოს ეკლესიებში სამგლოვიაროთ პანაშვილები გადაიხადეს. კათალიკოსი და ეპისკოპოზები მარიამ მართაყოფილის სულს ავედრებდნენ უფალს.

ერთი კვირაც არ იყო გასული, ახალი სიმძიმელი თავს დაატყდა მეფეს. ელენე დედოფალი ლაშქების თევისს გაცივდა და უეცრად გარდაიცვალა. სამ კვირას ბნელს იჭდა დამწუხრებული მეფე. იგლოვდა დედისა და მამიდის დაკარგვას. ფლასით შებურვეს დარბაზონის სარკმლები.

შობა დილას ეახლნენ მეფეს კირიონ მანგლელი, ნიანია ბაკურიანი და შერგილ ლიპარტიანი, ეაგნენ: ავალოთო დარბაზის სარკმლებს ფლასი.

დავითი დღისით ბოლთასა სცემდა დარბაზონში, ხანაც სარკმლებიდან იზირებოდა, გაოგნებული ყურს მიუგდებდა უმცირესს ჩქამს.

მომწუხრისას ბუხრის პირად ჯდებოდა, გასცქეროდა მოგიზგიზე ცეცხლს, ხანაც ნიანიას ესაუბრებოდა. იგონებდა ერწუხის, დიდგორის, შირვანის, ტფილისისა და ანისის სისტილიან ომებს. ცრემლმორეული ასსენებდა ბეშქენ ჯაყელსა და ომებში დაღუპულ ვაჟაკებს.

ხანაც განმარტოვებოდა და წიგნს კითხულობდა გათენებამდის. ზოგჯერ შეისვენებდა მუხლის თავებზე დაიდებდა ეტრატს, დანიშნავდა საკითხავს, მერამე ამაოდ ეძებდა დანიშნულ ადგილს, ფურცლავდა წიგნს, ჩიოდა: ვერ მივაგენო ხაზგასმულს.

ნიანია ბაქრაძისი ფრიად დაამწყურა მარიამ დედოფლის დაღუპვამ. გიორგობამდის აპირებდა მის სანახავად კონსტანტინეპოლს ჩასვლას, მაგრამ ავადმყოფის მოვლას შერჩა.

ვერსილი და ვითამა უბრძანა მესტუმრეთუხუცესს: აწვიეო იოანე კათალიკოსი ქართლისა, დარბაზისერნი და სპასალარნი. როცა ეახლენ მას დარბაზონში ყველანი, იხმო უფლისწული დემეტრე, ადგა, წარუდგინა თანადამსწრეთა, დალოცა ტახტისმეტე.

კათალიკოსმა იოანემ თავზე დაადგა დემეტრეს სამეფო „გვირგვინი ქვათაგან ბატონისათა“, ხოლო მეფემ „შეარტყა წელთა ზედა მახვილი ძლიერი და შემოსა პორფირი მკლავსა ლომებრსა და ტანსა ასოვანსა“.

მეორე დღეს მარტობა ისურვა მეფემ. ბუხარსა და სარკმელს შორის მოშოდიოდა. ნიანია დერეფანში ბოლთასა სცემდა, გაძალბებული ყურს მოტუდებდა უმცირესს ჩქამს, დარბაზონში გახშიანებულს.

გარედ დაუცხრომლად სთოვდა და ბარდნიდა. ნადირთა საჩიხეში ღნოდნენ ავაზანი, გათენებისას დვინავდა ოგსთა მეფის მიერ შორთმეული ბოკვერი ლომისა.

შაბათს მიმწუხრისას ზარების რეკვამ გამოადგინა ბუხარისპირად მთელმეარე მეფე. მცირე ხნის შემდეგ შემოესმა ფეხისხმა. მესტუმრეთუხუცესი ლანდოვით წარსდგა მის წინაშე და მოახსენა:

მზიანეთიდან ჩამოსული იგუმენია გეახლოვრთი. კარებთან ვალუტასულმა ნიანია მსენა წაატანა ნათქვამს. მყისვე მოხვდა თუ ვინ უნდა ყოფილიყო იგი. ნიანია თავათ გავიდა დერეფანში და შავოსანი იღუმენია შემოიყვანა. მეფემ იცნო ლიპარიტ ერისთავის ასული. წამოდგომა დააპირა, ბოლოს გარღვეული

ვით დაბარბაცდა და სელს მიამურა, თავისი გრძელი მარჯვენა თავზე დაადრმის წინაშე მუხლმოყრილს და წარბაზს რქმულმა უთხრა:

„მაპატიე, დავ, შენი და ჩემი სიციცხლე საქართველოს რომ შეეწირე ტარიგად“.

როცა დედისიმედი დარბაზონიდან გაპყავდა მესტუმრეთუხუცესს, დავითმა შენიშნა: მხრისთავები უკანკალბდა შავოსანს.

ამის შემდეგ ორი დღე საწოლიდან არ წამოდგარა დავითი, აქიმი თურმანისძე და მაჯისშემტყობნი ეახლნენ, ავადგახდომის მიზეზს ვერ მიაკვლიეს. მესამე დღეს დილაადრიან ცხენის ფლოქეთა თქარუნი შემოესმა, ადგა და სარკმელთან მივიდა. ციხე-სასახლის პირველ გოდოლთან ციხისთავი არღაშელი იდგა და ახლადმოსულ მალემსროლს ესაუბრებოდა.

დავითმა შენიშნა: შავ ცხენზე იჭდა მალემსროლი. შავი ჭაჭვი ეცვა, შავ მუზარადიდან შავი ლითამი! ჰქონდა ჩამოშვებული სახეზე.

მეფეს გაუკვირდა: როგორ ბედავსო მალემსროლი ციხისთავის წინაშე ცხენზემჭდომარედ საუბარს. დავითმა სარკმელი გააღო და მალემსროლი მოიხმო. დეზების ჩხრალით შემოვიდა დარბაზონში შავ ლითამიანი, ხმლიანი მხედარი.

ლითამი აიხადეო, შერისხა მალემსროლი მეფემ. მიეახლა შავლითამიანი მხედარი დავითს, ანაზად აიხადა ლითამი, წვერწითელსა და ცხვირწამახულს ვირთხის კბილსებრ წაწვეტებულს. მუჩხერი ლოჭები ჰქონდა:

მოშაინური ხითხითით სთქვა:

ტაოს-კარს მოადგენო თურქნი. შემკრთალმა მეფემ თვალი ვერ გაუსწორა ხანადაფრენილ სახეს სატანისას. თვალეზზე ხელი აიფარა და ბოლოს როცა მიმოიხვდა: დარბაზონში აღარავინ იყო.

ტაოს-კარს მიადგენო თურქნი? კედ-

1 ლითამი—არაბ. ზარადი, მუზარადიდან სახეზე ჩამოსაშვები, წერილფარგმოსანი ზადგრკინისა.

ლის კარადა გამოალო ანაზღად, თორი გამოილო, ველარ ჩაიკვა იგი, რკინისპერანგს მისწვდა, ვერც იგი ზიდა რკინას-შეჩვეულმა გოლიათურმა სხეულმა, სომკლავენი და საბარკულენი აღარ მოადგა, ახლა წაებოტინა ომებში ნაცადს ხმალს ბაგრატიულს, ხმალი გაუვარდა ხელიდან, იატაკზე დაეცა და ბედითი ეღრიალი მორთო...

„პარაი!“ დაიძახა დავითმა და ნიანია კარის ზღურბლთან გაჩნდა.

„შველითანიანი მალე მსრბოლი არ შეგხვედრიაა? კვითხავდა ვაოცებულ ბაქურაიანს მეფე.

„ღერფენიდან არავინ შემოსულა, არც დარბაზონიდან გასულა ვინმე, მეფეც ბატონო“.

„მოუცილებელი მებაჭრე იყო აღბათ“.

ნიანიამ დარბაზონში მიმოიხედა, კუთხეებშიაც არავინ სჩანდა, გაფითრებუ-

ლი მეფე საწოლამდის მიიყვანა ბაქურაიანმა. თურმანისძე და მაცისმეტყობნი პოვარდნენ, ისინი უკვე ამჩნეულნენ, სარეცელზე მწოლარეს დიდი აიკნე პკონდა.

სულთმობრძავი ბოდავდა, დედისიმედსა და გვანცას ახსენებდა. ნამუღალმემდის ბორგაედა, გააფთრებული იბრძოდა სიცოცხლისა და სიკვდილის უკანასკნელ სამანზე...

ნადირთა საჩიხეში დვრინავდა ბოკეერი ლომისა.

დემეტრე მეფე დარბაზონში შემოვიდა, პირფვარი გადაიწერა, სარეცელს წინ დაიხოქა და მარჯვენაზე ემახვია თავის სათაყვანებელ მამას.

ასე დაამარცხა ომებში უძლეველი დავით მეფე ყოველთა შემმუსვრელმა სიკვდილმა.

და ეს იყო უკანასკნელი ომი...

გოლოსიტყვა

უკვე 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი ტეტრალოგის — „დავით აღმაშენებლის“ წერას შევეუდექი. მე არ ვანგარიშობ იმ წინასწარ მუშაობას, რომელიც წინ უძღოდა ამ საქმეს.

„დიდოსტატის კონსანტინეს მარჯვენის“ ბოლოსიტყვაში დათქმული მქონდა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს გვერდით ამოვუყენებ-მეთქი შესაფეროსა და საკადრისს ექვივალენტს.

ეს ორი შრომა ასზე მეტ სასტამბო ფორმას შეიცავს, ჩემმა მკითხველმა თავთ განსაჯოს, თუ რამდენად შევძელი ამ დანაქადნების სისრულეში მოყვანა. უნდა ვაღვიარო, მე თავთ წარსულს ჩემი ერისას როდი განვიციდი როგორც „წარსულს“, გადავლენილს. მთელი ჩემი გულისყური იქითყენ იყო მიმართული, რომ იგი აწმყოში გადამენერგა და უკვე ლანდაღქეული გმირები ამ წარსულისა გამეცოცხლებინა.

თავისთავად ცხადია, ეამის უსრულო

დენაში, ზღომეტი, გინდაც ოცი საუკუნეც ეს ერთი დაფასულდება თვალისა.

მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, როგორც ხელოვანი და მამულიშვილი ჩემი ქვეყნისა, რომ მე და ჩემს ხალხს შეგვიძლია უკან მოვიხედოთ და თვალთ დავინახოთ, თუ როგორ უბრძოლია ქართველ ხალხს თავისი კულტურისა და თავისი ენის თავისთავადობისათვის.

ამ ხნის მანძილზე მრავალი ერი, მრავალი ტომი შეეწირა არსებობისთვის უსწორო ბრძოლას. მართალია, ჩვენს ხალხს აბჯარი შემოაცვდა პერმანენტულ ომებში, მაგრამ მისი შეუღრეველი სული თავგამეტებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც.

თავდაპირველად მე აგრე მეგონა, თითქოს მე ვწერდი მარტოოდენ ქართულ ენაზე მეტყველთათვის, მაგრამ მრავალმა გულტფილმა წერილმა, რომელნიც მომდიოდა და მომდის დღემდის, ოთხი ოკეანის ნაპირებზე მდებარე

რე ხალხთა შვილებსაგან, გამახარეს და დამარწმუნეს, რომ ჩემმა შრომებმა თანაგრძნობა გამოიწვიეს არა მარტო საბჭოეთის, არამედ ევროპისა და აზიის სხვადასხვა ერების გულში.

თავისდროზე ეს აღინიშნა ქართულსა და ფრანგულ პრესაში. ამ კორესპონდენციების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია და ჩემს არქივში ინახება...

იგივე სასიხარულო იყო ჩემთვის, ჩემი რომანები ჩემგან დაუხმარებლად რომ ითარგმნა და ითარგმნება მრავალ ენაზე. ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდა „ვაზის ყვავილობა“ ლიტერატურა ენაზე და „დიდოსტატის მარჯვენა“ უკვე ითარგმნა რუმინულად.

ბუნებრივია, რომ ამან ყოველივემ მხნეობა შემმატა... ამ წერალებს მწერდნენ მწერლები, მუსიკები, სამხედრო პირნი, სტუდენტები და მოსწავლენი.

შარშან კალევიდან მომწერა მოხუცებულმა მასწავლებელმა ქალმა. იგი შეკითხებოდა: „ბოლოს და ბოლოს, როდის შეირთავს დავით მეფე დედისი-მედს? სად არის მეოთხე წიგნი? თქვენ როგორა ხართ? გვედრებით მიპასუხოთ“.

ამ ერთი თვის წინად კიროვიდან მომივიდა რუს მწერალთა კოლექტიური წერილი, რომელშიაც მთხოვენ კიროვში ჩასვლას, მათთან გაცნობას და საღამოს გამართვას.

ჩვენი ქვეყნის უდიდესი მტრებიც ვერ წაართმევენ საბჭოურ ხელისუფლებას ამ სიმატლეს: კომუნისტურმა პარტიამ და ჩვენმა პრესამ გაუგონარი ინტერესი აღძრეს მილიონების გულში მწერლობისადმი.

გამოტეხილად მოგახსენოთ, ჩემთვის ჩვეულო სტილისა და წერის მანერის მეოხებით მე თავათ არა ვთვლიდი ჩემს თავს მაინც და მაინც პოპულარულ მწერლად. არც თუ ოდნემე ენერჯია და დრო დამიხარჯავს „სახელის ორგანიზებისათვის“, რადგან მუდამ ვიცოდი: სახელი სიყვდილსა ჰგავს, როცა საქიროა იგი თავათ მოგაკითხავს.

სამწუხაროდ ხან მოუტყულოების, ხან

ავადგახდომის მეოხებით მე ვეღარ ვაძლევდი სათანადო პასუხს ყველას.

რად დაიგვიანა ტეტრალოგის მეოხებე წიგნმა?

ჩემს მკითხველს, ალბათ, მოეხსენება, რომ ჩემი დიდოსტატი და დავით აღმაშენებელი მარტოოდენ ქართულ ისტორიულ ქრონიკებს როდი ემყარება. ამ რომანების გმირები მოძრაობდნენ საშინაოდ ვრცელ სამყაროში, რომელიც განფენილია ჩინეთის გალაგნებიდან ეგვიპტემდის, გულგულადან ანისამდის, ანისიდან დიდბრიტანეთის კუნძულებამდე.

ეს ამბები ხდებოდა საქართველოში, სომხეთში, კიევის რუსეთში, სირიაში-ლესტინაში და მთელს ევროპაში, სეათე მეთორმეტე საუკუნეთა მანძილზე.

უნდა ვაღიარო: მე უბირატესად ევროპელი ხალხების ისტორიაში მიმუშავნია განსწავლისა და მოგზაურობათა წლებში (1912—1923 წლამდის). ვართალია, თავის დროზე დიდი ენერჯია დავხარჯე ინდოეთის ისტორიისა და კულტურის შესაცნობად, მაგრამ წინა აზიის მუსულმანური სამყარო ჩემთვის ერთგვარი „ტერრა ინკოგნიტა“, — უცნობი მიწა — იყო. მაგრამ ისინი ხელმისაწვდომია ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, რამაც ეს საქმე გამიადვილა.

აქვე შინდა მადლობის გრძნობით ადენიშნო: ჩვენმა სახელოვანმა სემიტოლოგმა აკად. გიორგი წერეთელმა მითარგმნა არაბი ისტორიკოსის იბნ აზრაყ აღფარიყის, რომანში მოტანილი ციტატები.

ეგვეც უნდა აღინიშნოს: როგორც რუს მწერლებს, ისე დასავლეთელ რომანისტებს სრულიადაც არ დასჭირვებიათ პირველწყაროთა უშუალოდ შესწავლა, როცა ისინი თავიანთი გრის ისტორიის პოეტიზირებას ახდენდნენ თავიანთ რომანებში.

ფლობერი, რომელიც დიდად დავალებული იყო ფრანგ ისტორიკოსებისაგან თავის ხალამბოს წერის დროს, დასცინოდა კიდევაც მათ, ერთხელ ასეთი

უბეში ფრანც წამოსცდა: ვაფურთბებო თქვენს არქეოლოგიას.

ლევ ტოლსტოისა და ალექსეი ტოლსტოის ხელთ ჰქონდათ უცხოელი ელჩებისა, მოგზაურებისა და მემუარისტების შრომები.

ასე რომ, ზემოდწამოთვლილ რომანისტებს სჭირდებოდათ მხოლოდ და მხოლოდ რომანიული ქარგის მოხაზვა და ხასიათების გამოძერწვა.

ცნობილია, თუ როგორ დაბურღულია XI—XII საუკუნეების ისტორია. ეს იყო ეპოქა ხალხთა გადასახლებისა.

ერთი ევროპელი დიდი ისტორიკოსი თავის დროზე სწიოდა კიდეც: მე — XI საუკუნე ხალხთა გადასახლებისა წინააღმდეგ, დაწყვეტილი ეპოქააო.

ასეთი იყო არა მარტო სელჯუკიანების შუა-აზიიდან აყრა, ირანში, სომხეთში, საქართველოსა და ბიზანტიაში შეჭრა, არამედ თვით ჯვაროსნული ომებიც. ევროპიდან აიყარა ნახევარ მილიონზე მეტი სამხედრო, სამღვდლო პირი, და მათი მონასპანი, დაღმწერეს სირია, პალესტინა, მესოპოტამია.

ეს იყო, რა თქმა უნდა, რელიგიურ საფარველს ამოფარებული დასავლეთელთა იმპერიალისტიური ექსპანსია აღმოსავლეთში.

როგორც ვიცით, პირველი ჯვაროსნული ომი კატასტროფით დასრულდა, ბავარიის პერცოგს ველფ ფონ ბაიერნს მცირე აზიაში ჩამოჰყავს ორას სამოცი ათასი მონასპა და მთელი ეს უზარმაზარი არმია ჯვაროსნებისა სელჯუკიანთა ხმლის მსხვერპლი გახდა.

ჯვაროსნული ომების აღწერა „დავით აღმაშენებლის“ მეორე წიგნში იმდაც დამპირდა, რომ ჩემი მკითხველებისათვის მეჩვენებინა, სელჯუკების საზით თუ რა ვერაგ მტრებთან ჰქონდა ბრძოლა „უშიშარსა და გულითუძრავ“ დავით მეფეს. ბოლოს და ბოლოს დავითის ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ მცირე-სომხეთის მბრძანებელნი და ბიზანტიის კეისარი, ალექსი კომნენი.

1118 წელს, როგორც ვიცით, ალექსი კომნენი მოკვდა, კილიკიის სომხეთი გა-

დათქერეს თურქომანებმა, ასე რომ დავითი მარტოხელა დარჩა სელჯუკიანთა იმპერიის უშველელ ვეზირთან ბრძოლაში.

მე არ ვეთანხმები ჩემს მასწავლებელ ყოფილს, პროფესორს, პანს დელბრიუესს, რომელიც ამტკიცებდა თითქოს არც ანტიურ პერიოდში, არც შუასაუკუნეებში მეფეებსა და სარდლებს არა ჰქონდათ სამუხალეა დიდი არმიების შენახვისა და გადაყვან-გადმოყვანისა.

უნდა გავისხენოთ არა მარტო ჯვაროსანთა თავკაცების მაგალითები, თვით აელჯუკთა და მონღოლთა უზარმაზარი არმიების მოძრაობა კავკასიასა და წინააზიაში.

საქმე ისაა რომ ეს ნომადი ხალხები თავიანთი სამშობლოდან დედაწულანად აყრილნი, ასეულ ათას მონასპისაგან შემდგარ არმიებს დასძრავდნენ ბოლმე. ამ არმიებს თან ახლდა მრავალი ასეული ათასი ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები, გარდა ამისა, ისინი გზა და გზა ძარცვავდნენ დაღმწერულ ერებს.

ასე რომ მათე ედესსელის, გოტიე კანცლერის და იბნ არზაკ აღ ფარციის მიერ მოტანილი ციფრები მუსულმანთა კოალიციის მიერ საქართველოში მოყვანილი ლაშქრის გამო მე არ მეჩვენება ნაიბერბოლოდ.

რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის გენიოსურ სტრატეგიის ხელს უწყობდა ჩვენი მთიანეთისა და ჩვენი ტყეების მიერ შექმნილი დაბრკოლებანი, რაც დიდი არმიების ჯეროვანად გაშლის საშუალებას არ აძლევდა მტრებს.

ნაწილობრივ ამით უნდა ავხსნათ ფარცხისში გამარჯვება გიორგი მეორისა, „იდაც მან გაიმარჯვა მალე შა სულტანის აურაცხელ ლაშქართან ბრძოლაში და უშეგალითო გამარჯვება დავით მეფისა დიდგორში 1121 წელს.

სერთოდ ცნობილია: აღმოსავლეთის ხალხთა ანალები და ისტორია ფრიად და ფრიად დაბურღულია. მნიშვნელოვანი თარიღების დადგენაც კი უძნელდებოთ თანამედროვე ისტორიკოსებსა.

ცხადია, ეს ყოველივე მიეწერება ნაწილობრივ უცხოთა ინვაზიებს, ხანაც ჩვეულებრივ დაუღვევრობას.

ჩვენს განსვენებულ დიდ მეცნიერს, აკადემიკოსს ე. თაყაიშვილს თავის დროზე მოთხრობილი აქვს: თვით ისეთი ძვირფასი ძეგლი როგორც არის „ხელმწიფის კარის გარიგება“, ამ მეცნიერის თვალწინ ნაგავთან ერთად გამოეხვეტა ერთი დიდაზნაურის მსახურს.

თვით ქართული ისტორიის უდიდესი ბიროვნებების, დავითისა და თამარის ცხოვრების ზოგიერთი თარიღი ჭერაც დაუღვეველია და საკამათო.

პირველთქმულს რომ მივუბრუნდეთ „დავით აღმაშენებლის“ მეოთხე წიგნის გამოცემას ხელს უშლიდა შემდეგი გარემოება: როცა მწერალი რომანსა სწერს, შემოქმედების პროცესში გმირები იზრდებიან, ეფუკადებიან, შრავლდებიან, სიტუაციები რთულდებიან. აქტორი დაუცხრომლად ეძებს ახალსა და ახალ მასალებსა.

ყოველივე ზემოდსხსენებულის მიზეზით დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილმა ჩემმა ეპოპემამ, რომელიც ჩემის წინასწარი ვარაუდით 10 წელიწადში უნდა დამესრულებინა, 25 წელზე მეტი დრო მოინდომა, ე. ი. ჩემი შეგნებული ცხოვრების ერთი ნახევარი.

ხანდახან ვშიშობდი კიდევაც ვაჟ, თუ სიკვდილმა მიწიოს მეტეი. როცა ჭერ კიდევ პირველს წიგნს ვწერდი და კალამს ვიკლამებდი შემდეგი წიგნების დასაწერად, მე უკვე ვიცოდი რომ ჩემი ეპოპის უკანასკნელ თავს უნდა რქმეოდა „უკანასკნელი ომი“.

და აჰა, ეს უკანასკნელი ომიც გადავიხადე...

უკვე საკმაოდ დაქანცულს ავრე ნეგონა: ჩემი ფანტაზია დამშრტა და აწიერაფერს დავეწერ მეტეი. მაგრამ ამ წლის განმავლობაში ისტორიული პრონიკების ჩხრეკისას იმდენი მასალა დამიგროვდა, არსთავანმრიგემ თუ დამაცალა, შევეცადე მივსწვდე იმ ეპოქასაც, რომელიც მონღოლთა შემოსევით იწყება.

გარდა ამისა, განზრახული მაქვს ჩვენი ისტორიის ანტიურ პერიოდსაც შევეხო, რა თქმა უნდა, არც თანამედროვე საქართველოს დაგივიწყებ, რადგან ყველაფერი რაც მე შემიქმნია, ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის სადიდებლად. განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფედ და მეაბჯრედ მომაქვს კიდევაც თავი.

ყოველივე ის, რაც ჩვენი ქვეყნის ამჟამად არ ეკორესპონდირება, საესებით ამო ხარჯვია ენერჯისა და ქალაღისა.

როგორც ჩემი მკითხველი თავათ დაწმუნდება, თუმცა მეოთხე წიგნი დიდი ინტერგალის შემდეგ დაიწერა, ამ ხნის მანძილზე მე ჩემი მართლწერა და ლექსიკა არსებითად არ შემოიცვლია, ამიტომაც ამ ტომს არ დავუბრუნე ზოგიერთ სიტყვათა განმარტებანი.

ტფილისი

1962

აპრილი 25

ტეტრალიოგის ოთხივე წიგნში გამოქვეყნებული ლექსები ავტორს ეუთუნის.



მეგობან დებანიძე

ცაგერის რაიონის სამხედრო კომისიარს, ფრონ-
ტელ მეგობარსა და თანამებრძოლს,

მაიორ ალექსანდრე აბულაძეს.

ჩაეცქერდი სახეს ნაცნობს,
ისიც ჭიჭურ მაქცერდებამ;
სიზმარივით რაღაც მახსოვს,
მაგრამ არ კი მახსენდება.

ბეჭებრტყელი და ტანმორჩილი,
საბანკეტოდ გაპარსული,
ფართო მკერდი, გამოჩრილი,
ორღენებით გაბაწრული...

მოგონებამ ფრთები გამკრა,
საქმე არ ჩანს საიოლო.
შაპატივით, მაგრამ რა ვქნა,
ვერ გიცანით, მაიორო!

თვალს მოქუტავს მეგობარი,
ჭიჭით ბავეს გაისველებს,
შეკითხება მეომარი:
— ქლუბორს ხომ არ გაიხსენებთ?!

— ხომ არ გაიხსენებთ ტაორს?
— ან მარუხის კართან ბანაკს?!
— ათას ცხრაას ორმოცდაორს?!
— კრასნოდარის გზებზე ტალახს?!

ეცქერდები სახეს ნაცნობს,
ისიც ჭიჭურ მაქცერდებამ;
ეგ თვალწარბი სადღაც მახსოვს,
ეგ ღიმილიც მახსენდება.

მოგონების სევდა მწეწავს,
შეუცნობის ვრჩები კართან;
უცებ, გულზე ელდა მეცა,
უცებ, გული შემიქანდა...

3. „მნათობი“, № 7.

და შემკრთალმა ვკითხე ურჩად
(მოჩვენებას ღმისი არ ჰგავს!)
— კრასნოდართან ერთი ჭუჭა
ჯარისკაცი დამიკარგავს,

ძველი წყლული, ძველი დამლა,
აღბათ, გინდა გამიორო,
შენ თუ ალიოშა არ ხარ,
თავს მოვიკლავ, მაიორო!

...და ავარდა მიწა მზეში
და დაეშვა ზეცა ქვევით
და ვეძგერეთ ერთურთს ხენეშით,
ბურტყუნით და ძელებს მტვრევით...

სიზარული გვიცვლის სახეს,
ვდგავართ მოქცეული საბით.
ვითომ რა ხეირი ნახე,
შე თათარო, ჩემი ნახვით!

ილიმები, გზედავ, მაგრამ
წარბი გიკრთის ნაღვლიანად:
მთელმა ომმა თავში დაგკრა —
ფეხის ფრჩხილში გაგიარა.

და მეც, შენთან ერთად ბრძოლამ
ღამე ღღედ არ დამათენოს,
ჩან-ჯუს დედოფლებთან წოლა
და
პრინციობა არ გამახსენოს!

— ხომ არ გაიხსენებთ ტაორს?!
— ან მარუხის კართან ბანაკს?!
— ათას ცხრაას ორმოცდაორს?!
— კრასნოდარის გზებზე ტალახს?!

სხვა დღეების ვეცოცხლობ ხილვით,
წინ სხვა დღეთა ხმაურია —
იმის შემდეგ დაფით, გრგვინვით,
ოც წელიწადს ჩაუვლია.

ეს ცხოვრება მართლა რაა —
შემთხვევებით თავგასული:

ახლოს ლადოს ბარდნალია,
წისქვილებიც ნამკაშურის,
გაჩრილია გული ყელში,
ვითომც ფრონტები გაგვეცლოს.
ვდგავართ მეგობართა წრეში
და საოცარ ღვინით ხელში
ვსვამთ ერთერთის
სადღეგრძელს.

ვთამაშობ ნადირობას

მზემ ჭუნგლებს გახადა
თოვლის ზეწარი, —
დღეს ვიცი, უთუოდ
წავაქცევ ანტილობას.
ჩემი საყვარელი
თამაში ეს არი —
ვთამაშობ
ნადირობას...

ირმებმა ჩამიქროლეს —
რქა-გადაწყობილებმა —
დღეს მინდა, მარტორქის
ხორციით სადილობა.
ვთვალთმაქცობ პირველყოფილ
თემურ წყობილებას,
ვთამაშობ
ნადირობას...

— ო-პო-პოო! — ტყისპირად
გქვედები იჭვით —
ჩუ, ვილაც მოამტვრევს
ბილიკს ნარეკლიანს.
ეს — ქართუს ტომის
პატარა ბიჭი, —
სახელად ზაზუ, —
ჩემი მარეკია.

ის წაშიირეკავს
ჭყვიტინა კოლტებს,
ან ჩამომიდენის
ზლაზნია ბიზონებს
და ტბასთან, მან იცის,
ან უნდა მოჰკედეს,
ან მოჰკლას! და ერთად,
მხარდამხარ ვიბრძობლებთ.

და შემდეგ, როდესაც
ღმერთების ლოცვით,

მოკლული ლეშის
ზურგზე ავმალდებით,
დავანთებთ ცეცხლს და
უმთბილი ხორციით,
ცოცხალი ხორციით
კარგად დაენაყრდებით...

მაგრამ ხეობაში
სხვა ათასწლეულია!
და, არა ქვისა და
ბრინჯაოს ცულებით,
ტყიდან გამოდიან —
უცებ ტურისტები —
სილონის შარვლებით და
პლასტმასის-წნულებით.

ბაზრიდან იმ წნულებს
რაზე გამოჰყვება
და ფრთხილად გარეცხავს
მას თეთრი თითები —
უჭირს დედამიწას
ჩვენი გამოკვება,
ამ ათასწლეულში
რადგან წვიმით
არ ვართ მდიდრები...

და მცირე დაგლით და
მცირე შაშხანებით
ვბრუნდებით და ვყვებით,
როგორ დაფუშინეთ,
და შინ გულმოსული
ქალები ჯაჭლანებენ,
რომ საქმე აკლდათ და —
გავუჩინეთ.

ფიქრის სახეზე
ხათრი ახატია



და მხოლოდ ის პუტავეს
წერილ ჩიტებს ლხენით,
ჩვენ კი ვიმედოვნებთ:
მატრიაჩქატია
და მალე დადგება
ვაქაციის ჟერი!

მზემ ჭუნგლებს გახადა
თოვლის ზეწარი,
ბინდდება, ზვალ ვიცი
წავაჭყვევ ანტილოპას.
ჩემი საყვარელი

თამაში ეს არი —
ვთამაშობ
ნადირობას!

ირმები მესიზმრება
რქა-გადაწყობილები,
ზვალ ვფიქრობ მარტორქის
ჩლიქით სადილობას —
ვთვალთმაქცობ პირველყოფილ
თემურ წყობილებას,
ვთამაშობ
ნადირობას!

ლ ა დ მ

კორტოხზე პურის ძმა,
ჭალის ყანაში მარტო —
ჩემი უფროსი ძმა,
ჩემი ლაღო.

სიმინდი იღვა ტყედ —
სვრელი გაპქონდა ფართო,
ყანას თოხნიდა მხნედ
ჩემი ლაღო.

სამხარი ჩაეუტანე ჩრდილში,
ღენი დაგვიწყნია რადო?
ლექსი წავუყითხე შიშით
ლაღოს.

მითხრა: „ბევრი წერსო დღეს!
უნდა ოც წელიწადს რანდო.
სახლში წაიძღვანო თხებს! —
ლაღომ.

ცრემლი მომებჯინა ყელში:
— ვითომ რატომ?!
შენ ვის დაუწერე ლექსი,
ბიჭო ლაღო!

ბექიდან ბელტები ზვდება,
კენჭს ეძებს: „შეშლილხარ მთლაღო!“
იციინს, სიცილით კვდება
ჩემი ლაღო.

...სოფლისკენ მივდენი თხებს
და პირველ ლექსებზე ვდარდობ;
ჭალიდან თავისსივრძე ზელს
მიქნევს ლაღო...

კორტოხზე პურის ძმა,
ჭალის ყანაში მარტო —
ჩემი უფროსი ძმა,
ჩემი ლაღო.

სიმინდი აუშლია ტყედ,
წინ სვრელი მიუძღვის ფართო,
სველ მიწას შემოიყრის ზედ
შიშველ ფეხებზე ლაღო.

ვაი, შე დიდფეხა, შენი
ვაი, შე დიდგულა ლაღო!
რა მიწა გაგავრილებს შენ,
მაგ შენი ფეხების პატრონს!

ოი, შე ქილიკა, შენი
ოი, შე ლექსების ჯაღო!
ცოტა გავიზარდო ჯერ,
ბიჭო ლაღო!

ბარდნალას მივდენი თხებს
და ლაღოს სიმაღლეს ვნატრობ —
ჭალიდან თავისსივრძე ზელს
მიქნევს და მიციინს ლაღო.



პირი სპაჟი

აბელის ღაბრუნება

1

იგი გაზაფხულზე დაბრუნდა...

მატარებელი მცხეთას გამოსცდა თუ არა, გული მოულოდნელად აუთრთრლდა, გამაღებით დაუწყა ფეჭა. სიზარული გამდნარი სანთლის წვეთებივით ეღვინებოდა სულში და სხეულს შიგნიდან უთბობდა, ასეთი რამ თვრამეტი წლის მანძილზე არ განიცადა და ახლა თითქოს შეაკრთო ამ უეცარმა გულის ათრთოლებამ, კუბში მიიყუტა, თითქოს უნდოდა, როგორმე მორგებოდა კუთხეს.

თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე მატარებელი გამოიცვალა, რამდენიმე ათასი კილომეტრი გამოიარა. მგზავრები ყველგან ერთნაირები იყვნენ: ერთმანეთს ადვილად ეცნობოდნენ, ადვილად ეთვისებოდნენ და ეჩვეოდნენ, ადვილად შორდებოდნენ... ალბათ, ასევე ადვილად ივიწყებდნენ მერმე ერთმანეთს.

მთელი გზა მარტო იჭდა მიმყუდროებული. მარტო საუზნობდა, მარტო სადილობდა, მარტო ვახშობდა. უძილობა აწუხებდა და უკვირდა, სხვა მგზავრები რომ ადვილად იძინებდნენ.

რამდენჯერმე მეზობელ მგზავრთა ექვიანი მზერა დაიჭირა, ისე, როგორც ჩიტი იჭერს ხოლმე ჰაერში მწერს და მიხვდა: უნდობლად ეკიდებოდნენ და ეს უნდობლობა მისი სიყუჩონა და მიუყარებლობისა იყო. მიხვდა და მაინც არ ცდილობდა მათი ეჭვის გაქარწყლებას.

— რატომ ფანჯარაში არ იხედებო?

— ჰკითხა ერთ-ერთმა მგზავრმა.

აბელმა მხრები აიჩეჩა, გაუღიმა და არაფერი უპასუხა.

მართლაც, მატარებელი მიდიოდა, ქშენითა და გუგუნით მიდიოდა გაუთავებლად. ათასობით კილომეტრს ნთქამდა... გამოიარა დათოვლილი ტაიგები, თვალუწვდენელი სტეპები, სოფლები, დიდ-დიდი ქალაქები და აბელს ერთხელაც არ გაუხედავს გარეთ. მატარებელში ჩაქლომამდე ეგონა, ფანჯარას ვერ მოაცილებდნენ. მაგრამ ვაგონში ამოსვლისთანავე დაჰკარგა ასეთი სურვილი და თვითონაც არ იცოდა, რატომ დაემართა ეს, რატომ აღარ უნდოდა გარეთ გახედვა. ამიტომაც ვერ უპასუხა დაეჭვებულ მგზავრს და პასუხის ნაცვლად მხოლოდ გაიღიმა და გამზდარი მხრები აიჩეჩა.

ეს კი იყო, მგზავრთა თავისუფალი ქცევა პირველად ეჩითირა. აღარ ეგონა, თუ ადამიანებს შეეძლოთ, გაეკეთებინათ ის. რასაც მოისურვებდნენ, თუ შეეძლოთ მოუარიდებლად ლაპარაკი ყველაფერზე.

აბელი თვრამეტი წლის მანძილზე გადაეჩეჩა ასეთ მოქცევას, ასე აშვებულად ლაპარაკს, ალბათ, ამიტომაც დასჭირდა რამდენიმე დღე ადამიანებთან გასაშინაურებლად. მასში ნელ-ნელა, თითქოს ზმორებით იღვიძებდნენ თანდაყოლილი, მაგრამ მერმე მივიწყებული გრძნობები; იღვიძებდნენ ჩვევებიც, რომლებიც აქამდე აკრძალული ეგონა.

მთელი გზა საკუთარ თავს ადარებდა სხვა მგზავრებს და ამის მიხედვით უნდოდა თვალნათლივ დაენახა ის, რაც დაჰკარგა და მერმე იმაზეც ფიქრობდა, შესძლებდა თუ არა მისი ასაკის კაცი დაკარგულის დაბრუნებას, თუ აღდგენას.

სამი-ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ აბელი თითქოს გაშინაურდა. თავს უფრო მეტი ფიქრის უფლებას აძლევდა, ვიდრე მგზავრობის პირველ დღეს. ფიქრში უღიმოდა მგზავრებს, ესაუბრებოდა. ზოგჯერ ეთანხმებოდა, უსიტყვოდ უდასტურებდა ნათქვამს, ხოლო ზოგჯერ, ეს, რა თქმა უნდა, უფრო იშვიათად ხდებოდა, ეწინააღმდეგებოდა...

როდესაც აბელმა უცაბედად საკუთარ თავში წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღმოაჩინა, ჯერ გაუკვირდა, მერმე კი მონაცრინსფერო ჩვარში ყველასგან დაფარულად დამალა ცრემლი, როგორც ოქროს მაძიებელი ძონძებში მალავს სილაში ნაპოვნ ოქროს მარცვალს.

მგზავრობისას არასოდეს დაძაბულებია სურვილი, ვისმესთვის თავისი თავგადასავალი ეამბნა, ანდა უბრალოდ ეთქვა: ვინ იყო, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა. სხვა მგზავრები დიდი ხალისით უყვებოდნენ, კი არ უყვებოდნენ, ერთმანეთს არ აცლოდნენ ლაპარაკს და რამდენიმე წუთში უკვე ყველამ იცოდა, ერთმანეთის საქმიანობა, პროფესია, სად მიემგზავრებოდნენ, ან რისთვის მიემგზავრებოდნენ. მერმე ამას რიგ-რიგობით დაურთავდნენ ხოლმე ოჯახური ყოფის წვრილმანებს და ამის შემდეგ ნათლად ისაუბროდა მათი პიროვნება.

ყველანი იყვნენ კეთილი და უბრალო ადამიანები, ყველა რაღაცას აკეთებდა. ზოგი — დიდს, ზოგი — პატარას, მაგრამ ყველას ერთნაირად აამაყებდა საქმე, რომლისთვისაც ხელი მოეკიდათ, თუ თავი გადაედოთ. ყველას თავისი საქმე სხვისაზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნდა და ამას მოურიდებლად ამბობდა კიდევ.

აბელი იჭდა და უსმენდა. მატარებელი კი მიჰქროდა, დღე და ღამე მიდიოდა დაუღლელად. უკან რჩებოდა დაუსრულებელი ტაივები, სტეპები, სოფლები და დიდ-დიდი ქალაქები...

მატარებელს მატარებელზე იცვლიდა...

ისევ სხვა ვაგონი... სხვა კუბე... სხვა ხალხი...

— ზღვა! — წამოიძახა ვიღაცამ.

მგზავრები ფანჯრებს ეცნენ.

აბელი არ წამომდგარა. კუბეში მიუყუებული ხედავდა მგზავრთა ზურგებს, დაჭიმულ, წაგრძელებულ კისრებს და ესმოდა აღტაცებული შემახილები. გაახსენდა ზღვა. შებინდებისას ბევრჯერ უნახავს და არა მარტო შებინდებისას უნახავს ზღვა, მაგრამ ახლა საღამო იყო და, ალბათ, ზღვაზე ბინდი წვეებოდა ანდა ზღვას უკვე ეფინა ბინდი — მსუბუქი და მუქი იისფერი...

მოულოდნელად იგრძნო, თითქოს ვიღაც უთვალთვალუბდა, ვიღაც ცდილობდა მის სულში ჩახედვას და შეშფოთდა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ქალარა თმაზე ხელი გადაისვა და თვალები დახუჭა. მერმე მოეჩვენა, ის, რომელიც უთვალთვალუბდა, აქამდეც თითქოს მასში არსებობდა, მასში ცხოვრობდა. ოღონდ აღარ ახსოვდა როდის გამოეყო ანდა რატომ გაეთიშა. მერმე ისევ ფიქრობდა იმაზე, თუ ვინ იყო ის, რომელიც მის სულში ჩახედვას ცდილობდა...

— რა დაბლა ის ვარსკვლავი...

— ვარსკვლავი კი არა სიხათლეა...

— ჰო, გემია...

— გემია...

მატარებელი ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა.

აბელს გაახსენდა, თერამეტი წლის წინათ, როცა მატარებელი ტაიგაში მიჰქროდა, ასევე აედევნა ვიღაც, ასევე უთვალთვალუბდა შორიანლოდან. მერმე მიუჩონდა, გვერდით მიუჭდა და სულში დაუწყო ხელების ფათორი.

— აბელ, — უთხრა მან ჩურჩულოთ, — ხომ გაგტყხე, აბელ?!

— გამტყხი...

— დიდხანს კი მაწვალე... ძალიან დიდხანს...

— რა ვქნა, არ მეგონა თუ...

— რა არ გეგონა, აბელ?

— არფერი...

— გაგტყხე, მაგრად გაგტყხე.

— ჰო, გამტყხე.

— შენ დამნაშავე ხარ, აბელ!

— ჰო, დამნაშავე ვარ.

— შენ გამყიდველი და ორპირი ხარ, აბელ!

— ჰო, გამყიდველი და ორპირი ვარ.

— მოლაღატეცა ხარ, აბელ!

— ჰო, მოლაღატეცა ვარ.

— ამისთვის ისჯები, აბელ!

— ვიცი.

— შენ კაცი აღარა ხარ, შენ არაფერი აღარა ხარ.

— ვიცი, როცა გამტებზე, მაშინ ვიგრძენი, რომ აღარა ვარ კაცი.

— შენ არც მანამდე იყავი კაცი, აბელ,

— შეიძლება, მანამდეც არ იყავი კაცი, არ ვფიქრებ... როგორც შენ გინდა, ისე იყოს, როგორც შენ გინდა.

— მე ახლა აღარ მოგწვევები, აბელ.

— როგორც შენ გინდა, როგორც მოგესურვება, ოღონდ...

— რა ოღონდ?

— აღარ შემიძლია!... აღარ შემიძლია!...

მაშინ დაემხო აბელი პირქვე და აქვითინდა. სიყვდილი ინატრა და არსად იყო... არც სიცოცხლე იყო... ასე ეგდო დამხობილი, დარბეული, შეგინებული, ხოლო ის, ვინც აბელის სულში ზელებს აფათურებდა თავზე დასდგომოდა და სიცილით ეუბნებოდა:

— შენ დამნაშავე ხარ, აბელ!

— დამნაშავე ვარ, დამნაშავე.

მაგრამ ხანდახან, იშვიათად, ათასში ერთხელ, დამხობილი აბელი წამოდგებოდა, მხრებში გაიმართებოდა და თოვლიან სივრცეს უსიტყვოდ შეჰბღავებდა:

— განა მართლა დამნაშავე ვარ?!

— აბელ!

— მე არაფერი არ მითქვამს.

— შენ რაღაც გაიფიქრე, აბელ!

და იგი მართალი იყო: აბელმა რაღაც გაიფიქრა, ხოლო ფიქრი დანაშაული ეგონა, რადგან დააჯერეს, ტვინში ძალით, ჩაქუჩებით ჩაუჭედეს, რომ ორპირი და გამყიდველი იყო...

მერმე ებრძოდა ღამეებს, ენატრებოდა მშვიდი და უსიზმრო ძილი და ღია, მტკივანი თვალებით მისჩერებოდა ბარაკის სიბნელეს თუ არარაობას.

გადიოდა დრო და ისევ წამოიძვრებოდა აბელი.

— განა მართლა ორპირი და გამყიდველი ვარ?!

— აბელ!

— მე არაფერი არ მითქვამს.

— შენ რაღაც გაიფიქრე, აბელ!

ისევ დაემხობოდა აბელი და ბნელდებოდა მისთვის ქვეყანა. ხოლო იგი — უსახო და უპირო სიამოვნებით იფშვნებოდა თითქმის აბელის სულში მყოფი მჭლარი.

უსიზმრო ძილი ენატრებოდა, მაგრამ ხანდახან ეშინოდა სიზმრები არ დაეკარგა, ის სიზმრები, რომელშიაც ნათელი დღეები იელვებდნენ ხოლმე. ის სიზმრები უზრუნუნდნენ ჰაბუკუკ შემართებებს, ნაძალადევის შფოთიან წუთებს, პეტროვრადის ჭარიშხალსა და ბრძოლის ყიფინას, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ესიზმრებოდა, თუ დაესიზმრებოდა ხელადვე გაჭრებოდა სიზმარი...

— აბელ!

შემკრთალი აბელი თვალებს დააქუცებდა. მერმე გონს რომ მოეგებოდა, თავს მოიმძინარებდა, შებრუნდებოდა კედლისკენ და თვალებს ძალით დახუჭავდა, მაგრამ ვეღარ იძინებდა, ისევ შეიცვლიდა მხარს და გახელილი თვალებით მიანერდებოდა ბარაკის სიბნელეს.

ასე გადიოდა წლები და ერთ დღეს (თერამერტი წლის შემდეგ) უთხარეს, რომ უღანაშაულო იყო. თავხარი დაეცა აბელს, გაშეშებული იდგა და ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა. თვალები დაეღალა, დაუსივდა. გაშტერებულს ქუთუთოები დაუწითლდა. აბელი იდგა და ელოდა იმას, ვინც მის სულში ზელებს აფათურებდა. ეგონა, კიდევ წაადგებოდა თავზე და სიცილით შეახსენებდა: „აბელ!“... მაგრამ იგი ხმას აღარ იღებდა.

იქნებ მაშინ გაჭრა ის — უსახო და უპირო, მაშინ გაეთიშა აბელს?

მატარებელი ისევ ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა, ხოლო მგზავრებს უკვე მოსწყენოდათ დაბინდული ზღვის ცქერა და კუბეში დაბრუნებულიყვნენ. ახლა ზღვის სიყვარულს ზღვაზე ბედნიერად



გატარებული დღეების მოგონებით იკლავდნენ.

თუ მაშინ გაქრა ის — უსახო და უპირო, ვინდა უთვალთვალვებდა აბელს, ვინ აპირებდა მის სულში ზელების ფოთურს? ალბათ, არავინ. აბელს ეჩვენებოდა. აბელს ჭერ კიდევ ბევრი რამ ეჩვენება, ჭერ კიდევ ებრძვის უძილო დამეებსა და ცუდ სიზმრებს...

მერმე ყველას დაუცხრა ლაპარაკის ენის. თვლებმა მოერიათ. ვიდაცამ დაამთქნარა და ბოდისში მოიხადა. ცოტა ხნის შემდეგ ყველას უბოდისმოდ აუტყდა მოქნარება და საითათოდ დაიწყეს საძილედ მზადება. სინათლე ჩააქრეს, ტანსაცმელი გაიხადეს და თავთავიანთ ადგილებზე მილაგდნენ.

ვაგონი ირწეოდა და ბორბლები ხმაურობდა ვაუთავებლად, გულის წამდებოდ ხმაურობდა ბორბლებში. ხანდახან ელდანავით შემოიჭრებოდა კუბეში სინათლე და წამით გაანათებდა იქაურობას.

აბელი ჯდომამ დალადა. ფეხები საწოლზე აიტანა, და გულადმა დაწვა... აბელს მშვიდად და უსიზმროდ დაეძინა. როცა გაელვინა, მატარებელი ისევ მიჰქროდა გუგუნით.

თენდებოდა.

განთადის მკრთალმა შექმა ლურჯად ვაანათა ვაგონის სატყელი. მერმე სინათლემ იმატა, სილურჯე თანდათან მიმქრალდა და კუბე დილის სხივებით აივსო.

ისევ გაიღვიძეს მგზავრებმა, ზმორებით ადგნენ, ტანსაცმელი ჩაიცვეს. მშვიდობის დილა უსურვეს ერთმანეთს და მხარზე პირსახოცგადაკიდებულნი რიგრიგობით წავიდნენ პირის დასაბანად.

აბელსაც მივსალმნენ და აბელსაც უსურვა მათ მშვიდობის დილა.

მერმე, როცა მატარებელი მცხეთას გამოსცდა... თუმცა ეს უკვე ვთქვი და რა აზრი აქვს ნათქვამის გამეორებას, თუკი საერთოდ მკითხველის მეხსიერებისა გჯერა...

მერმე მატარებელი გაჩერდა და მგზავრები აიშალნენ...

თითქოს ბავშვი იყო დაუცხრო ქალაქში დაიკარგა, დაბნეული მიდიოდა. გზადგზა ჩერდებოდა იქაურობას მიმოათვალიერებდა და ისევ განავრძობდა გზას.

აბელი უფრო გავგნებული იყო, ვიდრე დაბნეული, თავი სიზმარში ეგონა. ასეთი ფერადი სიზმარი იქ უნახავს, იშვიათად, მაგრამ მაინც უნახავს ასეთი ნათელი და ფერადი სიზმარი.

ქალაქში გაზაფხული შემოსულიყო — მწვანე, ხასხასა, ნაირფერი. აბელს გაზაფხულის ფერები დავიწყებოდა, და ახლა თვლები უჭრელდებოდა, თავბრუ ეხვეოდა. ეს თავბრუ ტკბილი და თანმწარე იყო, როგორც პირველი თრობა.

აბელი შინისკენ მიეშურებოდა. თვრამეტი წლის შემდეგ უბრუნდებოდა თავის კერას, თავის ქალაქს, თავის ქვეყანას. მიეშურებოდა ნაცნობი ქუჩებით. ყველა ქუჩას სცნობდა, ყველა სახლს. იქ ეს ქუჩები და ეს სახლები აღარ ახსოვდა. თითქოს ქვეყანაზე არც არსებობდნენ. ახლა ისევ ადდგნენ, ოღონდ არა სიზმარში და არა ხსოვნაში, არამედ ცხადად... და შეუმჩნეველად, უჩუმრად უბრუნდნენ იმას, რაც აქამდე სამუდამოდ დაკარგული ეგონა... ნელნელა უბრუნდნენ აქ გატარებულ ცხოვრებას, ბედნიერსა და ნათელ დღეებს.

რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სახლს, მით უფრო უნელებდა ნაბიჯს. უცნაური ძალა უბორკავდა ფეხებს, მუხლებს უდუნებდა. ხანდახან ეშინოდა კიდევ: ბებერ და არაქათგამოკლილ ცხენივით არ წაქვეულოყო ქუჩაში. კედელს მიეყრდნობოდა და ღრმად და მძიმედ სუნთქავდა.

ასე მივიდა თავის სახლამდე.

შორადანვე დაინახა თავისი სახლი. მანდ ცხოვრობდა დიდი ხნის წინათ, მანდ — ორსართულიან, გრძელ შენობაში. ის ორი განაპირა ფანჯარა აბელითაა, ორი ფანჯარა და რკინის პატარა აივანი.

აივანზე არავინ ჩანდა და აბელს გული დაელია, ეგონა გულის ცემა შეუჩერ-

რდა, მერმე ბოძს მიეყუდა, დიდხანს უცქირა ქუჩაზე დაკიდულ აივანსა და ორ ფანჯარას, თითქოს ელოდა, საცაა კარი გაიღება და აივანზე...

აბელს არ ეგონა, თუ ხელი გაშვერილი ჰქონდა. მარჯვენაში ბოლჩა ეჭირა, მარცხენა კი რატომღაც გაშვერილი ჰქონია. ალბათ, ამიტომ გაჩერდა დედაკაცი და აბაზიანი გაუწოდა. აბელმა ხელი ზურგს უკან წაიღო უცებ, ღამილა და გაოცებით შეხედა თავსაფრიან დედაკაცს, რომელმაც ბოლჩი მოუხადა და შეწუხებული თუ გაწბილებული ღმილით გაშვარდა.

აბელმა ჯერ ხელზე დაიხედა და მერმე — ტანისამოსზე. თვალი გააყოლა მიმავალ დედაკაცს და ბოძს მიყრდნობილმა თავი ჩაჰკიდა. გულთან ყრუ ტკივილი იგრძნო, ეს ტკივილი გულიდან დაიძრა, თანდათან ზევით წამოვიდა და ჩამქრალ თვალებს მოადგა მწარე სინანულად...

უცებ ყველაფერი გადააფიქვდა: რკინის აივანზე თეთრკაბიანი გოგონა გამოვიდა. იდაყვებით დაეყრდნო მოაჯირს და ქუჩას გადმოხედა. მაშინ აბელი ბოძს მიეფარა და იქიდან დაუწყო თვალთვალი პატარა, ლამაზ გოგონას, რომელსაც გრძელი წვივები ჰქონდა და მოკლე კაბა ეცვა.

თითქოს იგრძნო, რომ აივანზე მდგარი თეთრკაბიანი გოგონა მისიანი იყო და შორიდან გაუღიმა. რა თქმა უნდა, აბელის შეილიშვილია, რა ლამაზი შეილიშვილი ჰყოლია აბელს. ხელით მოიწმინდა ცრემლი და ისევ ხარბად მიაჩერდა.

გოგონას პეშვი ბლით აეცხო, თითოთითოს იღებდა, ჭამდა და კურკებს ქუჩაში ისროდა. მერმე უცერად მოაჯირს მოშორდა და შინ შევარდა, ალბათ, ვიღაცამ დაუძახა.

აბელს მოეჩვენა, თითქოს იქაურობა დაცარიელდა, სწრაფად გადასჭრა ქუჩა და ქუჩის გადაღმიდან შეხედა აივანსა და ფანჯრებს. ვერაფერს დაინახა და აიარჩაიარა ფილაქანზე. არც ფანჯარაში, არც აივანზე არაფერს გამოჩენილა. ოღონდ ჭიშკრიდან გამოვიდა ვიღაც — ჩა-

ლისქედნიანი კაცი, დაბალი, მრგვალი. კაცმა ჩალის ქუდი გაისწორა და პერდოპირ აბელისაკენ გამოსწია.

აბელმა იცნო მეზობელი. აბელს დამალვაც უნდოდა, მაგრამ შუა ქუჩაში სად დაიმალებოდა, არა და პირდაპირ მოდიოდა აბელისაკენ, თითქოს პაემანი ჰქონდათ დანიშნული. აბელმა გაუღიმა, სხვა რა გზა იყო, და ნაბიჯიც წადგა წინ. მაგრამ მეზობელმა გვერდით ჩაუარა, ერთი კი შეხედა აბელს, მაგრამ არ შეჩერებულა. თანაც ისე ახლოს ჩაუარა, რომ აბელმა ჰაერის რხევაც კი იგრძნო.

ვერ გავგო, რისთვის იდგა ასე უაზროდ ქუჩაში ანდა, რატომ ადრევე არ შეატყობინა ჩამოსვლა. შინ მისვლას ვერ ბედავდა აბელი, საკუთარ თავსაც კი არ უშხელდა, რატომ ვერ ბედავდა შინ შესვლა. თვრამეტი წელი ელოდებოდა ამ დღეს და, აჰა, დადგა ეს დღეს! ბოლო აბელა მოკადრებულთვით დგას და ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს ჭიშკრისკენ.

ისევ გადასჭრა ქუჩა აბელმა და ეზოსკენ გაემართა. ჭიშკრის კარი ღია დახვდა და ეზოში შეიხედა. გრძელი, ოთხკუთხედი ეზო დაინახა აბელმა რიყის ქვით მოკირწყლული. დიდი რიკულეებიანი აივნები მწვანე გლიცინიით იყო შებურთული. გლიცინია ყვავოდა და თეთრია და იასამნისფერი ყვავილები ყურძნის მტვერნებივით ეკიდა.

აბელი იცნობდა ამ ეზოს, ღმერთმანი, ძალიან კარგად იცნობდა.

ფრთხილად შევიდა აბელი ეზოში, თითქოს შეიარა. ხის კიბეებს აჰყვა და ორკუთხედიან მოაჯირს ხელით დაეყრდნო. ზევიდან გადახედა ეზოს, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ძალა მოიკრიბა, სწრაფად გაიარა გრძელი აივანი და კარს მიადგა.

დააკაუნა...

კარი თეთრკაბიანმა გოგონამ გაუღო და, მგონი, რაღაცა ჰკითხა.

აბელი დაიხარა, თითქოს დაუბრუნლად ვერ გააგონებდა სიტყვას. საშინლად მოუნდა აბელს, ძალიან ახლოს მიეტანა სახე გოგონასთან.

— მამა შინ არის? — ჰკითხა აბელმა.

— არა.

— ბებია?

— სახლში დედიკოა, — გოგონამ დედას გასძახა: — დედა!

ღია კარს ტანსრული, შავგვრემანი ქალი მოადგა.

— ვინ გნებავთ, ბატონო? — ჰკითხა ქალმა.

— მე?... — და აბელმა უთხრა ვისი ნახეა უნდოდა და ვისთან მოვიდა. ქალი აიღუნა, ორივე ხელით გადაიწია, თუ შეისწორა თმა და აბელი შინ შეიპატოქა, მაგიდასთან დასვა და ხელმოკრედ ჰკითხა, ვინ უნდოდა აბელს. აბელმაც მოკრედ უთხრა, ვინც უნდოდა და ვისთანაც მოვიდა. ქალმა ისევ არაფერი უპასუხა და აწირალდა.

მამინ აბელი მიხვდა, რომ სხვა ოჯახს მოაკითხა. წამოდგომა სცადა, მაგრამ თავისი მაგიდა და კაფელის ლუმელი იცნო. მაგიდა ძველებური იყო, მუხისა; ოთხკუთხედი, მსხვილი და მრგვალი ფეხები ჰქონდა დაჩუქურთმებული. აბელს ეს მაგიდა სხვა მაგიდაში არ შეეცვლებოდა, არც ის — კაფელის ლუმელი, მოწვანო ლუმელი, რომელიც თვითონ გაკეთებინა ოსტატებს. და გაიფიქრა აბელმა, ალბათ, ქალმა ვერ გაუგო, რას ეკითხებოდა ანდა არ იცნო ქალმა, რომ მის ქმარს მამა ჰყავს.

— ბატონო, ეს სხვა ოჯახია, ისინი აქ აღარ ცხოვრობენ.

— ვინ ისინი?

— ვისაც თქვენ ეძებთ... ეს მამაჩემის ბინაა... თუ გინდათ, მამაჩემს მოუცადეთ.

— რამდენი ხანია აქ ცხოვრობთ?

— აღარც კი მახსოვს... მგონი, ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წელი, აქ რომ ვადმოვედით, მგონი, თოთხმეტი წლისა ვიყავი...

— მე დავეუცდი მამათქვენის მოსვლას.

— იქნებ საღამოს შემოიაროთ? მამაჩემმა, შეიძლება, დაიგვიანოს.

— არა, მე დავეუცდი მამათქვენის მოსვლას.

აბელი იჭდა მაგიდასთან და ელოდა,

თითქოს დაიცალა, დაცარაილდა, ანაფერზე აღარ ფიქრობდა და არც არაფერს გრძნობდა. იჭდა ცხვირს, მითქვამი. გავიდა ერთი სათი, ორი, სამი... აბელმა ისევ იჭდა გაუნძრევლად, ჩამქრალი თვალებით მოყვითალო კედელზე ამოიჩემა ერთი წერტილი და ბურღვა დაუწყო. ოთახში არავინ გამოჩენილა, მხოლოდ ერთხელ შემოადო გოგონამ კარი და გაოცებით შეხედა უსიტყვოდ მჭდარსა და გაქვავებულ აბელს.

აბელი დილით მოვიდა. მერმე მზე გადაიხარა და დასავლეთით, მთებისკენ დაეშვა. აბელი ჯიუტად იჭდა და მოთმინებით ელოდა კაცს, რომელსაც არ იცნობდა და არ იცოდა, რას ეტყოდა ანდა როგორ გაისტუმრებდა აბელს აქედან. დაუფიქრებლად გადაწყვიტა აქ დაჩენა და ლოდინი, მაგრამ ალღოთი გრძნობდა, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, ასე უნდა მჭდარიყო და უნდა დალოდებოდა, თუმცა არ იცოდა, რას მოუტანდა ეს ლოდინი.

ბოლოს გაიღო კარი და შემოვიდა ის, ვისაც ასე მოთმინებით ელოდა აბელი... მათ შეხედეს და იცნეს ერთმანეთი და შეხედვისთანავე მიხვდნენ, რომ ერთმანეთი იცნეს. აბელს წამოდგომა უნდოდა, მაგრამ აღარ წამომდგარა, იდაყვებით დაეხვინა მაგიდას და სახეზე ხელები აიფარა. ახლადშემოსული არ განძრეულა. აბელი გრძნობდა, რომ ის კარებთან იდგა ისევ და შეშფოთებული დასცქეროდა მოულოდნელ ტუმარს.

ახლა მეორე კარი გაიღო. აბელმა სახიდან მოიშორა ხელები და წამოდგა. ღია კარებში შემკრთალი სახეები დალანდა. მამინ აბელისთვის სულერთი იყო, ვინ შემოადო კარი და ვინ იდგა შემკრთალი თუ შეშფოთებული. ეჩვენებოდა, თითქოს ძველი იარები დაეხსნა და ამ იარებიდან მივიწყებული და მიუჩნეული ტყვილები სიზმარეული ადამიანებოვით გამოდიოდნენ. საზარლად იმანჭებოდნენ, იგრიხებოდნენ. ხოლო მერმე ისევ ევედრებოდნენ აბელს დახსნილ იარებში დაბრუნებას.

— დაბრმანდით, — გაიგონა აბელმა მამაკაცის მთრთოლვარე ხმა. ეს ხმა პო-

რველად არ ესმოდა აბელს, მაგრამ მაინც ეუცხოვა.

აბელი არ დამჯდარა, თვალუბში შეხედა ახლადშემოსულს, რომელმაც მაშინვე აარიდა თვალი და ოთახში დატრიალდა: სწრაფად მიხურა კარი, საიდანაც ორი შემკრთალი სახე მოჩანდა და მაგიდასთან მდგარი სკამი გამოსწია დასაჯდომად.

პირველად ვინც აბელს უთხრა: „შენ დამნაშავე ხარ, აბელ!“ ეს კაცი იყო. მაშინ გაოცებისაგან აბელმა თვალუბი დატყეცა და მორცხვად გაიღიმა. ეგონა, ესტუმრებოდნენ. ასე იცოდა აბელმა, როცა ვაგხუმრებოდნენ, მორცხვად იმუშენებოდა ხოლმე. მაგრამ მალე მიახვედრეს, რომ ხუმრობისათვის არავის ეცალა, რომ იქ სახუმროდ არავინ მიპყვდათ. მაშინ აბელი გააფთრდა და წამოიძარა... აბელს სიკაბუჯის და შემართების წლები დიდი ხანია უკან ჰქონდა მიტოვებული. მაგრამ მაინც გოლიათი იყო, ხარის ძალა ჰქონდა და გულიც ერჩოდა, ხოლო იქ დააჩქმუნეს — ხარის ძალა და გულოვნება არაფერი ყოფილა თურმე.

მერმე, როცა შეიყვანეს ოთახში, სადაც გიორგი იჯდა, აბელი სიხარულისაგან ატირდა, ეგონა, ახლა გაირკვეოდა ყველაფერი, გიორგი იტყოდა სიმართლეს, ყველას ეტყოდა: ვინ იყო აბელი, მაგრამ გიორგის თავი არ აუღია, თავჩაღუნული იჯდა, გაფთრებული, გაცრეცილი, ნაღვლიანი. მაშინ გული შეუქანდა აბელს და ტანმა ცუდად უაზრა, თითქოს გააცივა, მთელი სხეული უძაგდაგებდა. გიორგის კი ნაღვლიანი ფიჭვი აღბეჭდოდა ღრმა თვალუბში. მღუმარედ და უსიტყვოდ მკდარს უყვიროდნენ, ხმა ამოედო.

მაშინ პირველად ნახა აბელმა ასე დაპატარავებული, დამცირებული გიორგი, კაცი, რომელმაც სიკაბუჯეში თვალი აუხილა აბელს და მისცა სინათლე, დაანახვა ქვეყანა ბნელი და ქვეყანა ნათელი... ის იყო დიდი კაცი და უყვარდა აბელი და აბელიც ენდობოდა, როგორც მამას...

— დიდი ხანია, რაც ერთმანეთს იცნობთ, — ეკითხებოდნენ გიორგის გიორგი ჯერ არ პასუხობდა, შემდეგ, ხმადაბლა, ძლივს გასაგონად თქვა:

— მე ამ კაცს პირველად ვხედავ.

აბელს გაუკვირდა და უნდოდა ეთქვა, რომ ისინი დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს, ჯერ კიდევ ბაქოში გაიქცო გიორგი იატაკ ქვეშ, როცა აბელი უწვევრულვამო ჰაბუჯი იყო — ქარხნის მუშა. მაგრამ კიდევ დააცადა, რას იტყოდა გიორგი.

— პირველად ვხედავ. — გაიმეორა გიორგი.

ვერაფრით მიხვდა, რატომ დამალა, რატომ არ თქვა, რომ აბელს იცნობდა. მაშინ ეწყინა კიდევ, ნუთუ ასე სამარცხენო იყო აბელის ნაცნობობა.

მერმე ისინი აბელს მიუბრუნდნენ, მაგრამ გიორგიმ არ დააცალა:

— დანახეთ თავი...

ამ დროს ჯიქურ შემოიჭრა პირტიტველი კაცი და ორეცს გადახედა. გიორგის არც მაშინ აუღია თავი, არ შერბეულა, აბელი კი სწრაფად წამოდგა და თვალუბში შეხედა, რატომღაც ვერ გაუსწორა აბელმა თვალი და მზერა მოარიდა. მერმე კიდევ სცადა თვალის გასწორება და მაინც ვერ შესძლო, გამკვლავმა მზერამ ციებნასებით დაუარა მთელს სხეულში.

პირტიტველი კაცი გიორგის მიუბრუნდა:

— როგორ დაგემაართა ეს, გიორგი?!

გიორგი არც ახლა განძრეულა, არც ხმა ამოუღია. მაშინ პირტიტველმა კაცმა მარჯვენა მოუჭნია, მაგრამ არ გაურტყამს. ზედ სახესთან შეაჩერა ხელი. გიორგიმ თვალუბი დახუჭა და მოქნეულ ხელს სახე მოარიდა. პირტიტველმა გაიცინა:

— როგორ შეგეშინდა, გიორგი... შენ გეგონა, ძველ მეგობარს გაგიმტვრიდი? და უცებ აბელმა ლაწიანი გაიგონა და დანახა, როგორ აყირავდა სკამი, როგორ დაეცა გიორგი გულადმა. გიორგის ტყვილისაგან სახე დაემანჯა, მერმე თვა-

ლები გაახილა და მწარედ გაიღიმა. არავინ მოშველებია, თვითონ წამოდგა გიორგი, ის მწარე ღიმილიც მანამდე არ მოშორებია, ვიდრე ერთხელ კიდევ არ დასცა იატაკზე პირტიტველმა კაცმა... აბელმა მაინც ვერ გაიგო, რა დაამაგა გიორგიმ, მაგრამ მიახვედრეს, რომ დიდი დამნაშავე იყო და ამ დამნაშაულში მისი წილიც ერია... პირველად მაშინ დაეშვა აბელი...

ახლა თავის ყოფილ ოთახში დადიოდა აბელი, თავისი ყოფილი მავიდის გარშემო. ძველ ტუჩილებს, როგორც ბრძოლაში დაჭრილ მეგობრებს, ისე უვლიდა. აქ გაიგო აბელმა, რომ გიორგის სახელი და ღვაწლი ვიღაცას მოსვენებას უჯარგავდა, ვიღაცას უნდოდა გიორგის მოგებული ბრძოლების მითვისება. და ისევე გაახსენდა აბელს ის მწარე ღიმილი, რომლითაც იღიმებოდა გიორგი, იღიმებოდა მაშინაც, როცა ძირს ეგდო და ტუჩილი სახეს უმანჭავდა. ეს ყველაფერი ჩურჩულით ითქვა ამ ოთახში, თქვა კაცმა, რომელსაც ახლა ხმა უთრთოდა, შეშინებული აცეცებდა წყლისფერ, უახრო თვალებს და ცდილობდა, განემარტა აბელისათვის, რომ თვითონ არ იყო დამნაშავე.

თვრამეტი წელი ამ დღეს ელოდა აბელი და ამა, დადგა ის დღეც. სიძარტლე გაიგო და ეს იყო ყველაფერი, ამისთვის უძლებდა დამცირებას, დარბევას, გაპარტახებას, ახლა თუ მოეძოდა სიკვდილი, სიცილით შეეგებებოდა. ზოლო მაშინ სიკვდილი არ უნდოდა. ბევრჯერ უნატრია, მაგრამ არ უნდოდა აბელს სიკვდილი.

აბელმა დაავლო თავის ბოლხას ზელი და გარეთ გავიდა. ჩიქულებიან ხის მოაჭირს გადაეყუდა.

— მეზობლებო, — დაიძახა მან. — მე აბელი ვარ... ჩამოვედი!

მთელი ეზო დაიძრა მეორე საბათულისაკენ, მიზობდნენ ზეჟრით, ყიჟინით. ამოცვივდნენ მეორე საბათულზე და აბელს შემოეხვედნენ. აბელს არაფერი ესმოდა, უფრო სწორედ ესმოდა ღრბინევი, ალტაცების შეძახილები, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდა. როდენ

საც მეზობლები ცოტათი დაწყნარდნენ, აბელმა ჰკითხა მათ:

— სად არიან ჩემები? **გაქცნენ!**
— უეცრად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, აბელს ეგონა, დაყრუვდა. ბოლოს ვიღაცამ უთხრა: ვერცხლის ქუჩაზე ცხოვრობენ ამა და ამ სახლშიო და აბელი ვერცხლის ქუჩისკენ გაეშურა ჩქარი და დიდი ნაბიჯებით.

3

ვერცხლის ქუჩა შორს არ იყო, ხიდას გაივლიდა აბელი და მერმე ცოტაღბ დაჩნებოდა გასაღვლედი. არც ხიდამდე დარჩა დიდი გზა — ორასამდე ნაბიჯი თუ იქნებოდა, მეტი არა.

აბელი ჩქარობდა ოჯახში მისვლას. ცუდად ენისა ის უეცარი დღეილი და ამიტომ ჩქარობდა აბელი. წელან როდესაც იკითხა: „სად არიან ჩემები?“ მეზობლები ისე დაღუძნდნენ, თითქოს დამუნჯდნენ ანდა თითქოს აბელი დაყრუვდა. რატომ დაღუძნდნენ მეზობლები, რატომ დაიბნენ და მოარიდეს პირი? ეს დღეილი ენისა აბელს ცუდად. მაშინ არაფერი უკითხავს მეზობლებისთვის, არც დაშვიდობებია, ხის კიბეებით დაეშვა და დიდი და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ვერცხლის ქუჩისაკენ.

გზაზე ინანა აბელმა, არაფერი რომ არ ჰკითხა მეზობლებს და ისე წამოვიდა. მაინც რამ გააძლუბინა აქამდე? ნეტავი რამდენი საათი იჭდა იქ, რამდენი საათი ელოდა? ექვსი ან შვიდი... მეტი, ზევა საათი ელოდა აბელი.

— აბელი! — გაიგონა უცებ. ვიღაცამ მოულოდნელად დაუძახა ხიდაზე მიმავალს.

აბელი შეჩერდა, გაოცებულმა მიმოიხედა, ერთგვარად დაიბნა კიდევ: ვის უნდა დაეძახა ამ შუა ხიდაზე აბელისათვის? ვინ იცნო თვრამეტი წლის უნახავი აბელი.

ზიდი მასავით ჭალარა კაცმა გადმოსჭრა, გაუბედავად იღიმებოდა, ეტყობოდა, ჯერ დარწმუნებული არ იყო, ნამდვილად იცნო, თუ არა აბელი და მისევისთანავე ჰკითხა:

— აბელი ხარ ხომ?

— კი, აბელი ვარ.

— გამარჯობა შენი, ბიჭო.

— გაგამარჯოს...

— შეგარცხვინა გამჩენმა, ვერ მიცანი ხომ?

— ვერა, ვერ გიცანი.

— ბიჭო, ერთად არ ვმუშაობდით...

ჭალარა კაცმა თავი შეახსენა აბელს და აბელმა იცნო. ისინი, მართლაც, ერთად მუშაობდნენ, მაგრამ ეს დღეი ხნის წინათ იყო, ოცი წლის წინათ. აბელს გაუკვირდა და გაუხარდა, რომ ოცი წლის შემდეგ კაცმა ნახა იგი და იცნო.

— სად დაიკარგე, სადა ხარ? ისე კი, ჩემი არ იყოს, შენც შებერტყილხარ.

აბელმა არფერი უბასუბა.

— თბილისიდან წახვედი, არა?... რას იხამ, ძმაო, ასეა ცხოვრება.

აბელს არც ახლა ამოუღია ხმა.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ... ხომ იქნება, ბიჭო, ერთი ხუთი წელი?... კი, ხუთი წელი გავიდა.

აბელი ისევ დუმდა.

— ეს არის ცხოვრება, კაცს ამდენი ხანი ვერ შეზედე?! წამოდი, თითო ჭიქა დაელოთ... ჩვენებურად... ბებრულად... სხვა რა ეშრჩება კაცს...

ისინი ხიდზეგე დაშორდნენ ერთმანეთს; აბელს ეჩქარებოდა და დასალევად არ წააყოლია. დაშორდნენ და თავთავიანთი გზებით წავიდნენ. აბელი არ შეჩერებულა ისე მოხვდა ძველ მეგობარს, რომელიც ნელი ნაბიჯით მიდიოდა ხიდზე, კი არ მიდიოდა, მისერილობდა, ხანდახან შეჩერდებოდა, ხიდის მოაჯირს ჭადაეყუდებოდა და მტკვარს ჩახედავდა. სიარულში, მიხვრამოხვრამში ეტყობოდა, რომ კაცი კმაყოფილი მიდიოდა. სურმოდა კი არ არის, ძველ მეგობარს შეხვდა. მეგობარი რომ შეხვდებოდა ერთმანეთს, მერმე თითქმის ყოველთვის კმაყოფილი შორდებიან, მით უმეტეს. თუ ხუთი წელი არ უნახავთ ერთმანეთი. ასე დაშორდნენ. ერთი დარწმუნებული იყო, ხუთი წლის შემდეგ შეხვდა კაცს, რომელთანაც ოდესღაც მუშაობდა და მეგობრობდა, ხოლო მეორე ფიქრობდა, უკანასკნე-

ლად ისინი, სულ ცოტა, ცხრამეტე წლის წინათ მინც შეხვდნენ, თუ მეტე არა...

ვიწრო და მრუდე ქუჩებით გავიდა აბელი ვერცხლის ქუჩაზე, იქ თავისიანები ეგულუბოდა და ადვილდაც მიავნო მათ. ერთ პატარა ოთხში დახვდნენ რძალი და შვილიშვილი. არც ცოლი, არც შვილი არ დახვდრია, შვილი ომში დაეღუპა თურმე, ხოლო ცოლი გადასკოლია ვერ ქმრისა და მერმე შვილის დარდას.

აბელმა დაიგვინა და მაგიდას დაემხო. იგი უფრო მეტად ყოფილა უბედური, ვიდრე აქამდე ვგონა, თვრამეტი წლის მანძილზე ნუთუ ამას უმზადებდა ბედი, ნუთუ იმისთვის დაბრუნდა, რომ ეს გაეგო და კიდევ ერთხელ დამხობილიყო, კიდევ ერთხელ დარბეულიყო? დარჩა აბელი მარტო ქვეყანაზე...

— მამა, — გაიგონა აბელმა ქალის ხმა, — დამშვიდდი.

აბელმა თავი წამოსწია და ჩამჭრალი, ცრემლიანი თვალებით შეხვდა ქალს, რომელიც მამას ეძახდა.

— ჩვენ არ გვეგონა, თუ ცოცხალი იყავით.

— ვიცა, შვილო, ვიცა... მე კი... სულ ვფიქრობდი, ადრე თუ გვიან დავბრუნდებოდი და ცოცხლები დამხვდებოდნენ. გვიან კი დავბრუნდი, მაგრამ...

აბელი მიხვდა, რომ ეს ორი ადამიანი — რძალი და შვილიშვილი ნუგეშით შესცქეროდნენ მას. მიხვდა, რომ ისინი უცებ ბედნიერები გახდნენ და ამ ბედნიერების მიზეზი აბელის დაბრუნება იყო. თითქმის აქამდე უმწეონი და უსუსურნი, ახლა გაიშალნენ და ნათელი სხივები აუთამაშდათ თვალებში. იმედი მოეცათ და ახლა მისგან უფრო სხვას მოელოდნენ, ვიდრე გმინვასა და ცრემლის ღვრას. ოჯახი უკაცოდ იყო დარჩენილი და აბელი კაცად მოველინა ოჯახს.

მაგრამ აბელი ვეღარ მშვიდდებოდა და ბავშვივით ტირიდა. შვილიშვილი გულში ჩაიკრა და მორთოლვარე ზელი ქორიოზე გადაუსვა, თავი და შუბლი დაუკოცნა... ნუგეშიც სცა, იმედიანი

სიტყვაც უთხრა დედასა და შვილს. სიტყვა იმედანი იყო, გული კი ოტკვილისაგან მაინც ეწურებოდა. მერმე იგრძნო, თითქოს ტკვილიც დაეღალა, დაეჩანცა, როგორც ზელები ეღლება ზოლმე ადამიანს ანდა თვალეში. ტკვილიც სიყუჩესა სთხოვდა, მოსვენებას. აბელი წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. კრამიტის სახურავეებს იქით დიდი და კაშკაშა მთვარე მოჩანდა.

მერმე დუმილში გავიდა დრო და აბელმა დედასა და შვილს უამბო, როგორ მივიდა თავის ძველ სახლში და როგორ გაწბილდა, უამბო ისიც, რკინის აივანზე გადმომდგარი გოგო შვილიშვილი რომ ეგონა; უამბო ისიც, რვა საათი როგორ იჯდა და ელოდა კაცს, რომელმაც პირველად უთხრა, „შენ დამნაშავე ხარ, აბელ“. და ბოლოს დასძინა:

— ჩვენ შეგვიძლია ძველ სახლს დაუბრუნდეთ, მაგრამ მე აღარ მინდა იქ ცხოვრება. ჩვენ სხვაგან ვიცხოვრებთ და ის სახლი ბედნიერი იქნება ჩვენთვის... ჩემთვის სულერთია, თქვენთვის იქნება ბედნიერი...

შუალამით გამოედგინა აბელს. ფანჯრიდან შემოსული შუქი ოთახს მკრთალად ანათებდა, აბელმა დაძინება სცადა, თვალეშიც კი დახუჭა, მაგრამ ველარ დაძინა და გაახსენდა მატარებელში მშვიდად და უსიზმროდ რომ ეძინა დღემდე. აქ კი მთელი ღამე ძველი სახლი ესიზმრებოდა და ახლაც ის სახლი აგონდებოდა. მერმე ჩურჩული გაახსენდა და დაფეთებული თვალეები — უაზრო და წყლისფერი. მერმე მოაგონდა გოგონა, რკინის აივანზე რომ იდგა უზრუნველად, ბალს ჭამდა და კურკებს ქუჩაში ისროდა. მერმე ცოტათი წასთვლიდა და აივანზე უკვე გოგონა აღარ იდგა, რკინის მოაჯირს აბელის შვილი დაყრდნობოდა ორივე იდაყვით, ქუჩას ჩასცქეროდა, იცინოდა და გიშრისფერ ქოჩორს ხელით ისწორებდა. ასე იცოდა მუდამ, ქოჩორი ეწეწებოდა და ხელით ისწორებდა.

აბელი ძილშივე გრძნობდა, ეს სიზმა-

რი იყო, სიზმარში ხედავდა შვილს. უნდოდა დაუბრუნებლად გაგზავნილებულიყო ზმანება, ანდა თვითონ აღარ გადვიდებოდა და სულ ასე ეცხოვრა ნეტარ სიზმრებსა და ზმანებებში.

გულის ცემამ გამოადგინა აბელი. საშინლად უცემდა გული და სუნთქვა ეკვროდა, თითქოს მკერდზე მაჯლაჯუნა გადააწვა, პაერი აღარ ჰყოფნიდა. წამოიწია და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მერმე საკუთარ გულის ფეთქვას მიიყურა.

აბელს ეგონა, მოვიდა ის დღე, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ ყველას მოაკითხავს ხოლმე და რომელსაც კაცის აღსასრული ჰქვია. ფრთხილად მიესვენა ბალიშზე და თვალეები დახუჭა... მაგრა...

— გამარჯობა, აბელ!

აბელმა იცნო ხმა და იცნო ისიც — უსახო და უპირო, ოღონდ ეს კი იყო: ხმას აღარ ჰქონდა ძველებური ძალა და უფრო შემშარავად და ქლესურად მოისმოდა. აბელი დაიძაბა და სადღაც შიგნით, გულის სიღრმეში გაუხარდა, რომ ისევე მოაკითხა მან — უსახომ და უპირომ. აბელს აქ უკვე წყუროდა მასთან ლაპარაკი, ის კი აღარ აკითხავდა, თითქოს დაივიწყა აბელი.

— როდის აქეთ მესალმები?

— როგორა ხარ, აბელ?... ხომ დაბრუნდი, ხომ მოითქვი სული?

— დაბრუნდი და სულიც მოვიტყეი.

— თუ გაიგე რაზე ამ ცხოვრებისა?

— გავიგე; ყველაფერი კარგად გავიგე.

— რისთვის ისჯებიან ადამიანები, აბელ?

— ზოგი დანაშაულისათვის...

— ზოგი?

— სიმათლისათვის.

— მაშ საშარათალი არ ყოფილა ქვეყანაზე, აბელ?

— არც მასეა საქმე. მაშინ აღბათ, მე ისევე იქ ვიქნებოდი და შენც არ ავითრთოლდებოდა ასე ხმა, არ შეგვეითხებოდი: „როგორა ხარ, აბელ?“

— ასე ყოფილა ცხოვრება მოწყობილი.

— ახლა მე მინდა გკითხო: შენ როგორ ხარ?

— არც შენ უნდა იყო ძალიან კარგად, აბელ, ცოლი დაქვარე.

— ჰო, დაქვარე.

— შეილიც, აბელ.

— შეილიც... შეილი ბევრმა დაქვარეა... ომი იყო... დიდი ომი.

— შენს სახლში სხვები არიან.

— კი არიან.

— შენ რომ სხვასავით ჩვეულებრივად გეცხოვრა...

— მე არ ვიცი, როგორ ცხოვრობდნენ სხვები.

— დამაცადე, აბელ... ხომ ნანობ ახლა?

— რას?

— შეგეძლო წყნარად და უღრტვინველად გაგეტარებინა ცხოვრება. შენ კი დაუდევარი იყავი, ნაძალადევი იბრძოდი, მერმე ზამთრის სასახლეს შეუტეე... ჩვეულებრივად რომ გეცხოვრა...

— მე ვიცხოვრე ისე, როგორც უნდა მეცხოვრა.

— შენ გეშინია, აბელ. სიმართლეს არ ამბობ.

— მეშინია? მე არაფრის აღარ მეშინია. გვიან მივხვდი: შენ თვითონ იყავე მშინმარა და მხდალი. ყოველთვის გეშინოდა ჩემი, ამიტომ დამამხე, ამიტომ დამარბიე და გამაპარტახე. შენ ჩემი ფიჭვისაც კი გეშინოდა.

— მე ყოველთვის კარგად გეპყრობოდი, აბელ.

— ძალიან კარგად.

— რას იცინი, აბელ.


— მეციხება და ვიციანი.

— შენ, ალბათ, შეგეკითხებიან, როგორ გეშეოდი, აბელ... მე შენი იმედი მაქვს, შენ ჩემზე ცუდს არ იტყვი, აბელ...

• • •

მერმე გავიდა დრო და აბელი იჭდა გაჩირადღნებულ, დიდ დარბაზში. მართლმსაჯულებამ მიიწვია და დასვა ყველაზე მაღალ სკამზე, რათა დაენახა ყველას, როგორია სიმართლე. ხოლო ისინი — უსახონი და უპირონი — შეშინებულნი აცეცებდნენ წყლისფერ და უახრო თვალებს.

ისინი აბელისაგან შეწყალებას ელოდნენ.



თამაზ ჭილაძე

წიგნიდან „მზის საათი“

• • •

ადამიანიმა შეჰბედა კოსმოსს...
რამდენს ეძახდნენ ეს ვარსკვლავები!
ანთებდნენ რამდენ უჩინარ კოცონს!
და სებასტიან ბახის ხელებით
და რუსთაველის დიდი თვალებით
ადამიანიმა შეჰბედა კოსმოსს.

და მათ, ვინც წვავედა ჯორდანო ბრუნოს,
ის არ იცოდნენ, რომ ცეცხლის კვამლი
ინკვიზიციის თვალ და ხელ შუა
ნელნელა ზრდიდა ფიქრისა და უნარს
ხალხის, რომელიც უცქერდა ჩუმათ
თუ როგორ წვაედნენ ჯორდანო ბრუნოს.

მათ არ იცოდნენ, რომ ერთი სიტყვა,
ის: ბრუნავს,
ბრუნავს,
ბრუნავს
და ბრუნავს!
აჭრობდა ბურანს, ბუს თვალებივით
გაბუსუნებულ სიბნელის ბუნავს.

მათ არ იცოდნენ, რომ ყველა ფერფლი,
მძიმე დუმილი ცრემლის და ნაცრის
განათლებოდა, ვით ნატერფალი
კოსმიურ გზაზე გასული კაცის.

მათ არ იცოდნენ და გაჭრენ ასე...
კარდინალები რბილ აბრეშუმებს
დაედო მიწა, მტვერი და ზავსი...
და მათ საფლავზე არავენ ტირის,
არავის ახსოვს, არავენ იცავს
კაცის გონებას რა გააჩუმებს
და დაღარული, ვით დედამიწა
და დიდებული ვით დედამიწა
ადამიანის გუგუნებს ტვინი.



აღამიანმა შეჰბედა კოსმოსს...
 რამდენს ეძახდნენ ეს ვარსკვლავები!
 ანთებდნენ რამდენ უხილავ კოცონს!
 და სებასტიან ბახის ხელებით
 და რუსთაველის დიდი თვალებით
 აღამიანმა შეჰბედა კოსმოსს...

* * *

კრიკინას ფრთების აბლაბუდით,
 ყანების ოქროს ბორანებით,
 ზვინებით, მზით და ბუდეებით
 საესე ზაფხული მიილია.

ვით უეცარი მოლანდება,
 ბალახში ბრწყინავს ნაკადული,
 იქნებ ეს შენი ღიმილია,
 ჩემთვის სამუდამოთ დაქარგული.

ასე არასდროს მიფიქრია,
 დღეები როგორ მიფრინავენ,
 ნუთუ ეს ჩემი ოცნებაა,
 ცაზე ღრუბელივით მიფენილი.

იქნებ დაფერფლილი კოცონია
 ფიქრი შორეულ სიბერეზე,
 ასე მგონია, მირბენია,
 ბალახში ვწევარ დაქანცული...

ცაა შემკრთალი და განაბული,
 ბავშვის ლოყასავით გაკაწრული...

ფიროსმანი

მუზეუმების ფერმკრთალ წყვდიადში
 სძინავთ ოსტატებს დამფრთხალი ძილით.

- და უკვდავების სანთლის წინაშე
 ირხვეა მათი ამაყი ჩრდილი.

მოოქროვებულ ჩარჩოში სძინავთ
 გამარჯვებულებს სიკვდილის მერე,
 და მუზეუმის წყვდიადში სცივათ
 მდინარესავით დაწრტილ ხელებს.

ჩაფიქრებული ხიდები ქარში
 დაიხრებიან და მტკვარს მოსვამენ,
 ქუჩაში, მთვარის პატარა ტბაში
 გაღიმებული დგას ფიროსმანი.



დაბრუნებული უკვდავებიდან,
თავის საცოდავ საფლავს დაჰყურებს...
და ვარსკვლავები უმკლავდებიან
მზარყინავ კრამიტებს, ქვებს და აგურებს.

და საკინძეზე აწყვეტილ ღილებს
ხელის ფათურით დაეძებს მტკვარი
და როგორც ჭიქა ქარვისფერ ღვინით,
სარკმელი ისე ივსება მთვარით.

ის მწუხარება და ის ტირილი
თითქო შეუნდო ჩაჩეხილ ჩიხებს,
თითქო ჩირალდნით და ამნისტიით
გააღო სულის მთვლემარე ციხე.

„სად მივაქვს ჩემი დაჭრილი გული“, —
კვნესის დუღუკი, ქეთინებს თარი...
და ვერცხლისფერი და უცნაური
სულში შაშვივით ჭახჭახებს ქარი...

ცა არ მოჩანდა

ცა არ მოჩანდა, აკაციები
ყვაოდნენ, როგორც თეთრი სიზმრები.
ცა არ მოჩანდა, მაგრამ იცოდი,
მალლა ზღვასავით იდგა ცისფერი.

და ყვაილები ჰგავდნენ ნიჟარებს,
ცის მოგუგუნე და მთვრალ ნიჟარებს,
ასე თამამად, ასე გულუხვად
გაზაფხული რომ გადაგიშალეს.

იდექი ჩუმათ და ცას უსმენდი,
და გიხაროდა, რომ ცას უსმენდი,
ჩიტი უსტვენდა და უსასრულო
სიმღერასავით იდგა რუსთველი.

იდგა რუსთველი მოედნის თავში
და შენ ფიქრობდი: რა დიადია!
გული გწყდებოდა, წლები გადიან
ამ გაუბედავ ნაბიჯთა თვლაში.

ცა არ მოჩანდა... აკაციები
ყვაოდნენ, როგორც თეთრი სიზმრები.
ცა არ მოჩანდა, მაგრამ იცოდი,
მალლა ზღვასავით იდგა ცისფერი...

ისეთ ვარსკვლავზე თუ დავიბადე



ისეთ ვარსკვლავზე თუ დავიბადე,
ჩემო თბილისო,
ჩემო გელათო,
რომ ჩემი ხმა და თვალის სინათლე
ერთი დღის სუნთქვად შემოგემატოთ.
გვაკლდა ცა, მიწა, მაგრამ ოცნებით
ჩვენ არ გვექონია გული ნაკლული,
სხვა ღმერთი გვყავდა პატიოსნების,
კაცკაციონის ქედზე გაკრული.
რა გვექონდა: კალო ნაბდის ქუდივით
და მზის თოკივით მტკვარი გაბმული,
დავკანკალვდით ნატერას უდიდესს,
მას, რასაც ერქვა ჩვენი მამული.
და ქვესკნელივით უძირო ქვევრებს
ხან ჩვენი სისხლი ავსებდა მარტო,
არც სამათხოვროდ ვიშვერდით ხელებს,
და არც გვიკვირდა რისთვის და რატომ.
გვჯეროდა ყოფნა შემდეგ და შემდეგ,
გვჯეროდა მზე და ცისკრის აღმუჩი,
და მოვალწივით დღევანდელ დღემდე,
რადგან გვიყვარდა ჩვენი მამული.
თქვენია ჩემი გული ფხიზელი,
ვით მოდარაჯე რაზმის ნალარა,
ჩემი სიძლერა, სუნთქვა, სიზმრები
ვაზარდა თქვენმა ზეცამ მაღალმა.
ისეთ ვარსკვლავზე თუ დავიბადე,
ჩემო თბილისო,
ჩემო გელათო,
რომ ჩემი ხმა და თვალის სინათლე
ერთი დღის სუნთქვად შემოგემატოთ...

ფოთოლცვენა (ბათუმი)

სადგურის ახლოს, კვიპაროსივით,
დგას ეკლესია კათოლიკური...
და მატარებლის ბორბლების ჩქამი
ზარბში ცხოვრობს დამფრთხალ ჩიტივით.
თვლემენ ზარები და ცოტა ქვევით
თრთის ფოთოლცვენის წყნარი ხანძარი.
მატარებლები მიდიან სადღაც
და ორთქლმავლების ღუმელის ცეცხლი
გადაბის ქვებზე და გუბეებზე,
როგორც ციკლოპის წითელი თვალი.
ჰგავს ფოთოლცვენა შემკრთალ სიჩუმეს...
როგორც სილაში დამცხრალი ქარი,
წევს სიჩუმეში შენი სახელი...

დავით კვიციანი

ა ლ მ ა რ თ ი

რომანი

თავი პირველი

გამხალღილი ფიქრები

უსიამოდ უბერავს შემოდგომის ქარი და ყვითელ-ყვითელ ფოთლებს აფენს ქუჩებში. ზაფხულის ეშხი და სინედლე დაუკარგავთ ასწლოვან ცაცხვებს. ქალაქის შუაგულში დგანან ეს ხეები და ჯერ კიდევ მხნედ დაჰყურებენ მწვანეში ჩაფლულ ქუთაისს.

ბაღის კიდეზე კაცი კაცს ვერ უვლის ვერღს. ჭგუფ-ჭგუფად მოდიან ქალიშვილები და ჰაბუკები. ცისფერ სკამებზე ჩამომსხდარან ჭარმაგები და მოხუცები და ქვეყანას უთვალთვალებენ. ქალაქი საზეიმოდ მორთულა. ყველა უბანი გაჩირადნებულია და გამშვენიერებული. ელნათურების სიუხვემ ძალა დაუკარგა საღამოს ბინდს, რომელიც ფეხაკრეფით ჩამოიპარა გაბაშვილის გორიდან, საღდაც რიონის ხეობაში ჩაწვა და გაისუღრა.

ვაჟის აღმართზე დინჯად შრიალებენ ძელქვები. შორს, უფრო მაღლა, მოჩანს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. ნელა მიაგორებს ტალღებს რიონი. აღარ ღრიალებს, აღარ შფოთავს ძველებურად ნაპირს არ ეხეთქება გაშმაგებით. მხოლოდ თეთრ ლოდებს ლოკავს კვლავინდებურად, თეთრ ხიდთან კიდევ უფრო მშვიდდება, უფრო ქვევით გაივაკებს, გაიშლება და იტოტება.

მეტი გამოცოცხლება აეტოქარხნელთა უბანში. აეტომშენებლებმა საღდე-სასწაულოდ საჩუქრად მიიღეს კულ-

ტურის ახალი სასახლე და დღეს ორმხრივი ზეიმი აქვთ.

სასახლის მარმარილოს სვეტთან იდგა მაღალი, მხრებში ოღნავ მოზრდილი შუახნის კაცი, პაპიროსს პაპიროსზე წევდა და თვალს არ აშორებდა დარბაზიდან ნაადრევად გამოსულ შვილს. იდგა სვეტთან, ცდილობდა შვილს არ შეემჩნია და ფიქრობდა:

„რად მიატოვა ზეიმი, რა დაემართა! ცეკვამ დაღალა თუ ნიღაბი ეუხერხულა. იქნებ სასურველს ვერ მიაღწია ზღვა ხალხში? ახლა დარდის, დროა? ზეიმი!“

გიორგი ლომიძე გვიან მოვიდა კულტურის სახლში, მიტინგსაც ვერ მოუსწრო. ერთ ხანს იწრიალა და, როგორც კი დარბაზიდან მიმავალ შვილს თვალი მოჰკრა, იმ წამსვე უკან გაბჟყვა.

შვილი ქადრის ძირას იდგა. უბრალო ნიღაბი, რომელიც მხოლოდ თვალებს უფარავდა, ეხამუშებოდა, აწუხებდა, მაგრამ ნიღბის მოხსნა მაინც არ უცდია, რადგან ჯერ ვერ გადაეწყვიტა, დარბაზში შებრუნებულიყო თუ არა. უნიღბოდ კი ბალ-მასკარადზე არავის უშვებდნენ.

ქუჩაში და სკვერში იღარავინ ჩანდა. ყველა, დიდი თუ პატარა ბალ-მასკარადში ჩაბმულიყვნენ.

უკრავდა ორკესტრი.

მოისმოდა დარბაზიდან მზიარული შექაზილები და ახალგაზრდების სიცილ-კისკისი.

შვილი უცებ შებრუნდა, ნიღაბი შეისწორა და დარბაზის შესასვლელისკენ გაემართა.

მამას გულზე მოეშვა, ერთი ღრმად

ამოსუნთქა, სვეტს მოშორდა და იმ ადგილას მივიდა, სადაც რამდენიმე წამის წინათ ვაქიშვილი იდგა. სკამზე ჩამოჯდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

რა აწუხებდა ამ კაცს? რატომ დარბაზის შაუგულში არ ტრიალებდა, უბრალო თვალსახვევი მაინც რატომ არ გაეკეთებინა...

გული აღარ ერჩის?

მოსუცდა? მოტყდა? არა, ჯერ არ მოტეხილა გიორგი ლომიძე, ჯერ ადრეა. სითეთრე მორევი, მაგრამ ეგ კიდე უფრო ამშვენებს მის ახოვანებას.

ფეხი?

ფეხი დიდი ხანია აღარ ემორჩილება, მაგრამ ამას შეჩვეულია. უნამუსო საქმისათვის არ დამსხვრევია მუხლის ძვალი.

რა ვუყოთ... ბევრმა სიცოცხლე დასტოვა ბრძოლის ველზე. გიორგი ლომიძე ორ ფეხზე მაინც დგას და დადის. მარცხენა ფეხის მუხლი თუ ღალატობს, მარჯვენა შემორჩა და ამანაც რომ უმტყუნოს, მისი შეილი, მისი ერთადერთი გოგია ხომ დადის ამ ქვეყნად.

დადის მამასავით ზორბა, გულმართალი და პატიოსანი. დადის მეორე გიორგი ლომიძე, მთელი ქარხნისთვის საყვარელი ავტოინჟინერი, დადის და ცხოვრობს თავისი ცხოვრებით.

პაპიროსი ჩამქრალა. აღარ მოუკიდა. თავადაც შებრუნდა და, როგორც შეეძლო ჩქარი, ნაბიჯით სასახლის შესასვლელისაკენ წავიდა.

იმ წუთში თითქოს კოჭლობაც აღარ ემჩნეოდა.

კარებში თვალბეჭდიალა გოგონამ შეაჩერა, გაუცინა და თვალსახვევი გაუწოდა. ჯიბეზე ხელი გააკრა გიორგიმ, რამდენი ამოკვეა ქალაღდის ფული, არც კი დაუთვლია, და გოგონას თეთრ ყუთში ჩაუღო.

გოგონამ მადლობა გადაუხადა და თავად მონინდომა ლომიძისათვის თვალსახვევის გაკეთება, მაგრამ ვერ მისწვდა. ფეხის წვერებზე აიწია, გიორგის

ხელები ყელზე შემოხვია, თავი დაახრეკინა და მზრუნველად გაუქეთა ნიღაბი. გიორგის გაეცინა. გოგონას დაჯდომის ხელი გადაუსვა და სასახლეში შევიდა. შევიდა და იქვე შეჩერდა მოხიბლული.

ვეებერთელა დარბაზის ერთ კუთხეში, ოდნავ შემალლებულ ადგილზე, საესტრადო ორკესტრი უკრავდა. სამასკარადო კოსტუმებში გამოწყობილი წყვილები მოხდენილად დასრიალებდნენ დარბაზში. სასახლის ყოველ კუთხეში საზეიმო განწყობილება სუფევდა.

გიორგიმ ფრთხილად აუარა გვერდი ზემოთ გართულ ახალგაზრდებს და კუთხეში კედელთან გაჩერდა. პირველად ასე ეგონა, ყველა მას უტკეპრდა, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, რომ ამ საერთო-ფრიაამულში იგი არავის შეუმჩნევია. თავის გულთან გასაუბრება დასჩემდა გიორგი ლომიძეს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სიცოცხლის თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე ბევრჯერ ყოფილა მარტოდ...

„იზეიმე, გინაწილე ეს სიხარული, მარტო ახალგაზრდების დღესასწაული ხომ არ არის, მთელი ქარხნის, მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის ზეიმი!“

მოცეკვავე წყვილებს დააკვირდა. ბევრი მათგანი შეიქცო.

აგერ, ის ტანმორჩილი მელოტი, სანდრო მელია უნდა იყოს, მომარაგების განყოფილებიდან. ის მეორე, მგონი, სვირიდოვია, კონსტრუქტორი.

აგერ ელადიმერ ჯულელიც...

რა იქნება, რომ გიორგიც მივიდეს თუ გინდა აი, იმ ქალთან, მასავით განმარტოებით რომ დგას. თმაც თეთრი აქვს და სახეც. მივიდეს, თხოვოს და მასთან ერთად იცეკვოს ვალსი...

იმ ქალს მაინც არ აშორობს თვალს. ნელა შეაპარა თითები თვალსახვევს. ოდნავ ასწია ნიღაბი და ახლა უფრო გულმოდგინედ დაუკვირდა, მაგრამ ვერ იცნო.

„რამდენი ქალი მუშაობს ჩვენს ქარხანაში, ყველა საიდან მეცნობება!“

დილითაც, ტროლეიბუსში მის წინ მჯდომ ასევე ქალარა ქალს თვალი ვერ

მოსწყვიტა. მოედანზე უნდა ჩამოსულიყო და სადგურზე ამოჰყო თავი. კონდუქტორმა ხელმოკრედ მოსთხოვა ბილეთის შექმნა და მხოლოდ მაშინ გამოერკვა.

ამსობაში ქალთან სანდრო შელია გამოჩნდა, თვალსახვევი შეისწორა და რაღაც უთხრა. კიდევ წუთი და ქალმა შელიას მხრებზე ხელები დააწყო. ერთი მოიხედა და მიჰყვა.

დარბაზს თვალი მოავლო ლომიძემ. უნდოდა შევიღისთვის მოეკრა თვალი, მაგრამ ამაოდ. იმ წარმოსადეგ ქალს კი მოჰკრა თვალი.

ისევ საკუთარი გულის ძახილი მოესმა და დააყურა:

„რა გინდა იმ ქალთან, რა გემართება? იქნებ, შორეულ სიყვარულს, დაკარგულსა და დაუბრუნებელ სიყვარულს ვაგონებს მისი მოხდენილი ტანი... ტუჩებზე შერჩენილი დიმილი. ვამოტყდი, ხომ ვაგონებს? კარგა ხანია წავიდა შენთვის ეს დრო... შენი გოგიას დედას საფიჩხიაზე სძინავს უშფოთველად. სხვა, სხვა შეიძლება კიდევ შემოგვევარა ცხოვრების გრძელ გზაზე. მაგრამ მის შემდეგ ბევრი ვაზაფხული ჩათავდა. ახლა შენს მიწაზე, შენს ქალაქში გიდგას ფეხი და ნულარ იხედები უკან. დღეს მხოლოდ ერთმა უნდა გავახაროს ნახევარ საუკუნეს მიღწეული, — შევიღმა და მისმა სიყვარულმა.“

ლომიძე შეიძრა. ამ წუთში იგი ვეღარავინ ხედავდა. თავიც უბრუოდა ოდნავ.

მოულოდნელად, მისგან სულ ახლოს, სანდრო შელიამ ის ქალი მოიყვანა. ხელზე აკოცა, მადლობა გადაუხადა და გაშორდა.

ქალი გიორგისაკენ შემობრუნდა.

ახვეული თვალებით შეხვდნენ ერთმანეთს.

ორიოდე წუთი ასე იდგნენ უძრავად. გიორგის უნდოდა ნიღაბი ჩამოეგლიჯა. ეს თვალსახვევი ახლა სულს უხუთავდა.

ქალი გიორგისაკენ წამოვიდა. გიორ-

გიმაც გადადგა ნაბიჯი და იმ წამსვე იგრძნო გულის ტკივილი. **კეკელიძე**
— რატომ არ ცეკვავთ? **მეზღოძე**
ლომიძე გაწითლდა. შეკითხვა ესიამოვნა, ესიამოვნა ქალის ტკბილი ხმა, პასუხი დაუგვიანა. უნდოდა ისევ ქალს ამოელო ენა.

ქალმა არ აღოდინა.

— საერთოდ, არ ცეკვავთ?

არ ცეკვავთ! დრო იყო, დარბაისლურად ჩამოუვლიდა „ქართულს“. ოდნავდაც არ ერხეოდა მხარბეჭი და მუნღლები. როცა „მთიულურს“ ცეკვავდა, პირდაპირ დაფრინავდა. ქორივით უვლიდა წრეს. არც ეს ვალსია მისთვის უცხო, მოტივს უფრო ყურადღებით მოუსმინა. თითქოს სადღაც გაუგონია და გულის ერთ კუნჭულში შემორჩენია. აჰა, ვახსენდა „მანჯურიის მთებზე“.

— მაეცქვეთ! — ახალგაზრდული სიკეკლუციით უთხრა ვაგონებულ გიორგის ქალმა. პასუხს აღარ დაელოდა, და თავისი თეთრი ხელები გიორგისკენ გაიშვირა.

გიორგიმ ხელში ხელი ჩაჰკიდა და ოდნავ მიიზიდა ქალი.

შევიდნენ, შეცურდნენ ზღვაში.

მარტონი არიან, თითქოს სულ მართონი...

ჰერზე თეთრი აბრეშუმის ნაჭრები რომ ფრიალებენ, თოლიებია. ფარფიტებენ, ფრთებით ენებთან მათ მხრებს, ეალერსებთან, ამხნეეებენ.

გვერდით ახალგაზრდების წყვილმა ჩაიქროლა ტრილით. ეს ტალღებია, დაუდგვარი, მოუსვენარი ტალღები...

ქადაროსნებს რაღაც ჯიბრისმავგვარი ჩაუძვრათ მკერდში. გიორგის ხელი უკანკალუბს. ქალს სუნთქვა გახშირებია. მას აღარ აკმაყოფილებს ეს მდორე სელები, ლომიძე გრძნობს ამას და გამოწვევას ლებულობს. მხრიდან ხელს ოდნავ დასწევს და უცებ დატრიალდებიან. თითქო ვალსიც გაძლიერდა, თითქოს დამკვრელებიც მათ მხარეზე არიან.

აი, ის ტრომბონისტი, მარჯვენას რომ

დააცურებს სხარტად, ნამდვილად მათ გულში ზის, ისიც ცეკვავს.

ფეხის ტკივილსაც ვეღარ გრძნობს ლომიძე. სრულებით აღარ ემჩნევა კოჭლობა.

გუგუნებს ორკესტრი, გუგუნებს გიორგის გულიც. დაჰქრის ლომიძე, დაჰქროლებს ვიღაც ქალს, რომელიც ამ წუთში ყველაფერია მისთვის, მისი ახალგაზრდობა, მისი დაკარგული სიყვარული...

თავბრუდამხვევ ტრიალში შეიღს მოჰკრა თვალი. ისიც ასევე გატაცებით ატრიალებს თავის სიყვარულს და გიორგის ჰგონია, რომ ამ ვეებერთელა დარბაზში მხოლოდ ორი წყვილი ცეკვავს. ორი გიორგი ლომიძე...

გოგის გადახედა, მაგრამ ეს იყო წუთით, მერე ისევ მოჰყვა საკუთარი სულის დუღილს.

ვალსი დამთავრდა.

გიორგიმ ქალი ერთ კუთხეში მიიყვანა. სახეზე დააცქერდა. ქალი აწითლებული ეჩვენა. მოურიდებლად აკოცა ხელზე, მაგრამ, როცა ქალის თეთრ თიბებს კოცნიდა სანდრო მელია გაახსენდა და ცივად გაუშვა ხელი.

ასე ჩუმად იღვინენ, სანამ ორკესტრმა ახალი საცეკვაო არ დაუქრა.

ქალთან ვიღაც მაღალი მამაკაცი მივიდა და გაიწვია.

გიორგი ლომიძემ სასახლე დასტოვა. ქუჩაში გამოსულმა საოცარი დადლილობა იგრძნო, ფეხიც მეტად ატკივდა.

ნაბიჯს უკლო. უცნაურად სცემდა გული და შეისვენა. განა პირველი შემთხვევა! განა პირველად შეაერთო გულმა, მაგრამ ახლა, საქვეყნო ზეიმის დღეს სწორედაც არ უნდოდა გულის ტკივილს აპყოლოდა.

როგორც იქნა, ბინამდე მიიღწია და რატომღაც ფრთხილად შეაღო კარები. შევიდა და იმ წამსვე საწოლზე დაეშვა. საერთო საცხოვრებელი თითქმის დაცლილიყო. ყველანი ზეიმზე გაკრეფილიყვნენ.

ვერც საწოლზე მოისვენა გიორგიმ. წამოდგა, სინათლე ჩართო, ფანჯარა გა-

მოაღო და საწერ მაგიდას მიუჯდა. მცირე ხანს ასე იჯდა უძრავად. მერე საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და მოზრდილი რვეული ამოიღო. დააჩერდა და თვალეზზე ხელები მოისვა. თვალსახვევი გამოჰყოლოდა. უცებ მოიშორა და მაგიდის კუთხეში მიაგდო.

ეს რვეული რაღად გაახსენდა?

თავის ოჯახს მოშორებული, შორეულ რუსეთში თუ უფრო იქით, ხშირად უჯდა ამ რვეულს. ხან წერდა, ხან კიდევ ალაგ-ალაგ კითხულობდა და განვიღვდლებს იგონებდა.

ათას უბედურებაში გამოატარა ეს ხელთნაწერი. წვიმა არ დაკლებია, თოვლი და ქარიშხალი, ტყვია და სისხლი. ახლა აგერ იდო უჯრაში მყუდროდ. აქ ამ რვეულს აღარაფერი საფრთხე აღარ მოელოდა, ხელსაც არაფერ ახლებდა. თავდაც თითქმის გადავიწყებოდა დღიურის არსებობა. მან, რომ მოაგონა ახლა? რად უკანკალებს ხელი რვეულის გადაფურცვლისას?

მის სიყვარულს ჰგავს ეს რვეული.

გიორგი ლომიძის წარსული ცხოვრებიდან მხოლოდ ეს ხელნაწერია შემონახული. სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და პირველი სტრუქტონები ამოიკითხა:

„1940 წელი“...

უნდა გადახედოს. ერთხელ კიდევ უნდა განიცადოს ძველი დარდი თუ სიყვარული და იქნებ უფრო დამშვიდდეს.

და კითხულობდა გიორგი თავისივე ნაწერს. უხმოდ, მაგრამ გულისყურით. კითხულობდა და მის თვალწინ ცოცხლებოდნენ ადამიანები, ქალაქები, ქუჩები, რომლებთანაც მას რაღაც დიდი და დაუვიწყარი აერთებდა.

• • •

გიორგიმ რვეული დაუხურავად დასდო. წამოდგა, პაპიროსს მოუკიდა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩას გახედა.

ქალღრების ზეივანში ჯერ კიდევ ისმო-

და ახალგაზრდების ხმაური. ღამის მყუდროებას არღვევდა მათი სიცილ-კისკისი.

კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან. კარგა ხანს გასცქეროდა ქუჩას.

ყოველდღიურად უხდებოდა აქ გავლა. ახლაც ფიქრით ვაჟყვა ქუჩას და ქარხანაში შევიდა.

არც თუ ისე უხეიროდ წაუყვანია თავისი ცხოვრება და თუ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც თვით სურდა, რა ეუყოთ. ეს ხომ მთლად მასზე არ იყო დამოკიდებული.

რად უნდა იყოს უკმაყოფილო გიორგი ლომიძე! ამოდენა საწარმოში, რომელსაც რუსუბლიკის სიამაყეს ეძახიან, იგი ცნობილი ინჟინერია. მრავალი გამოგონებისა და სასარგებლო წინადადების ავტორი. ყველასაგან მიღებული და დაფასებული. მასაც წვლილი აქვს პირველი ქართული ავტომობილის შექმნაში. გიორგი ლომიძის თვალწინ აღიმართნენ ეს ვეებერთელა კორპუსები. მალაქის ველზე გაჩნდა ქალაქი, ნამდვილი მუშათა ქალაქი, ისევე ახალგაზრდა, ჯანლონით საესე და ლამაზი, როგორიც მისი შვილია.

მამა და შვილი, ორი გიორგი ლომიძე, ინჟინრები, ერთმანეთის მოყვარულნი, სინდისის, ოჯახისა და საქმის ერთგულები, კარგა ხანს ერთ განყოფილებაში მუშაობდნენ. ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა, მაგრამ ერთი რამ უჭირვებდათ საქმეს. დირექტორი ან მთავარი ინჟინერი რომ გამოიძახებდა, ორივე ემზადებოდა წასასვლელად. შემოაღებდა განყოფილების კარებს ის აპრეზილი გოგო, ლალისა, მუდამ საკანცელარიო ქალაღებში რომ არის თავჩარგული, ეშმაკურად მოკუტავდა თვალებს და დაიძახებდა:

— გიორგი ლომიძე დირექტორთან! — და უმაღვე გაბრუნდებოდა.

მამა შვილს ვადახედავდა, შვილი — მამას. ხან ერთი სჭირდებოდა დირექტორს, ხან მეორე. უფრო ხშირად შვილი მიდიოდა მაინც. ამ გაუგებრობას ლალისა ხელსაც უწყობდა.

ახალგაზრდების ურიაშული თანდათან მიწყდა. ღამემ სიმშვიდე გაამეფა. ხანდახან ჩამორჩენილი წყვილების ხმაღბალი საუბარი ერთვის ქარშოშინს და ღამეში იფანტება.

დღევანდელმა საღამომ ფარული სიამოვნება აგრძნობინა ლომიძეს. მაშინ, როცა იმ ქალის გრძელი თითები მხრებზე ეწყო, გამოუთქმელ ნეტარებას განიცდიდა მერე ვალსი, — თავბრუდახვევა — და ბოლოს სწორედ იმ ქალმა მოაძებინა ეს რვეული, — მისი განვლილი, ძნელად მოსაგონარი, მაგრამ სამარემდე დაუვიწყარი ცხოვრება.

გასაღების ჩხაქუნმა უმაღ გაფანტა ფიქრი. კარებთან ვილაც იდგა და ეტყობოდა, მარტო არ უნდა ყოფილიყო.

„ალბათ გოგია!“ — გაიფიქრა გიორგიმ, შებრუნდა და მეორე ოთახის კარები გაიხურა.

— გვიან არის, გოგი, მამას შევაწუხებთ! — მოესმა გიორგის მარინეს ხმა. სწორედ ის არის, მისი გოგიას რჩეული, გიორგის სარძლო.

ტახტზე მიწვა.

კარები გაიღო.

— შემოდი, მარინე, მამა, მგონი, არც უნდა იყოს მოსული!

— მით უმეტეს!

ოთახში მალაღმა სანდომიანმა ქალიშვილმა შემოაბიჯა. კარებთან შეჩერდა. ფაქიზად მორთული და დალაგებული ოთახი მოეწონა. დიდი ხანია უნდოდა აქ შემოსვლა, მაგრამ ერიდებოდა და დღეს რატომღაც ვაბედა.

იდგა ქალიშვილი, ადგილიდან არ იძვროდა. მომზიბვლელი ღიმილი დაჰკროდა ბაგებზე. უხდებოდა პატარა ტუჩები, მოკლე ცხვირი, თეთრი სახე, მადლიანი თაფლისფერი თვალები, ოდნავ ზვეული წაბლისფერი თმა, მაღალი მკერდი და ხალვათი ჩაცმულობა.

მის წინ გოგი იდგა. ერთი თავით მასზე მაღალი. შუბლზე ჩამოშლილი შავი ხუჭუჭი თმებით, დიდრონი შავი თვალებით და ოდნავ კეხიანი ცხვირით. ისიც უბრალოდ ჩაცმული. იდგნენ,

ერთმანეთს შეენოდნენ. ილიმებოდნენ მართალი ადამიანის საესე ღიმილით.

— მოწინაურდი, ვასაქცევად ნუ ხარ, დღეს ზემი და გთხოვ, ილიასახლისო! მამაც მოგვისწრებს და გაეხარდება.

მარინემ პალტო გაიძრო და დაკიდა, მერე მსუბუქი ნაბიჯებით მივიდა კარადსთან, გამთაღო, სასმელი და ხილი გამოიტანა და მაგიდაზე დააღაგა. ამა-სობაში გოგი დასაძინებელ ოთახში გასულიყო და იქედან ფეხაკრეფით მოდიოდა.

— სძინავს!

— სძინავს? მე წავალ, უხერხულია!

— რას ამბობ, მარინე, თითო სასმისი შევსვით, ოჯახი დამილოცე! — აჩქარდა გოგი, ორი მაღალყელიანი ჭიქა აავსო და ერთი ჭალიშვილს მიაწოდა.

— დაილოცე!

— იცოცხლე, გოგი, მიხარია, რომ ამ ოჯახში ვიღებ სადღეგრძელოს, მრავალ დღეს დღეს მოესწარი... — ჭიქა ასწია, წაზევრამდე შესვა და დადგა.

— ჩემთვისაც სამახსოვრო დღეა, ჩემო მარინე! — ვიცოცხლოთ, — გოგიმ სასმელი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

„ჩემო მარინეო“... რამდენი ხანია იცნობს მარინე გოგის. რამდენჯერ დარჩენილან მარტოდ. გრძნობს მის სიყვარულს, მაგრამ „ჩემო მარინეო“, ჯერ არ დაცდენია, უფრო მეტიც, აქამდე არაფერი უთქვამს ამ სიყვარულზე. დიდსა და პატიოსან გრძნობას აბა რა გამხელა უნდა! დღეს, ბოლოს და ბოლოს, გაიგონა ის, რაც უთქმელად იცოდა. იცოდა, მაგრამ სიტყვა მაინც ყოფილა საჭირო... ახლა კმაყოფილია მარინე. კმაყოფილია და კიდევ უხარია, რომ ასე უბრალოდ ითქვა ყველაფერი.

უხარია გიორგი ლომიძესაც. შუა კარებს იქეთ დასაძინებელ ოთახში ლოგინზე მიწოლილა. უნდა დაიძინოს, მაგრამ ძილი არ ეკარება. ანდა, რა ჰქნას, მისდაუნებურად ისმენს ახალგაზრდების საუბარს, ისმენს და ერცხვინება.

„ისაუბრონ, ისიყვარულონ, ყურსაც არ დაეუვლებ, ფიქრობდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ოღნავ ღია

კარებიდან გარკვევით ისმოდა მათი პარაკი.

მარინე ფანჯარასთან მივიდა, გოგომ სკამი მიაწოდა და ცოტა ხნით დარჩნა თხოვა, მარინე ჩამოჯდა.

გოგიც მარინეს გვერდით დაჯდა და ქუჩას გახედა. სულ ერთი საათის წინ ხეივანს ადამიანების ხმაური აესებდა. ახლა კაცის ჰაჰანება არ იყო. ჰადრის ტოტებს ნელა არხევედა ნიაევი.

კარგა ხანს ორივე სდუმდა.

გოგი ნერვიულად კმუქნიდა ხელში შერჩენილ ცხვირსახოცს. უნდოდა, როგორმე წამოეწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი იყო. ვერ იქნა და ვერ მონახა პირველი სიტყვა.

მარინეც გრძნობდა, ხედებოდა ამ დუმბილს.

— მარინე!

მარინემ თავი მიაბრუნა, გაუღიმა, თითქოს გაამხნევა...

— მარინე, შენ იცი ჩემი გასაჭირი, ლაპარაკი შეძნელება, მუნჯი ვარ, ნამდვილად მუნჯი, ჰოდა, ნუ მიწყენ, ჩემო მარინე...

მარინეს გაეცინა.

მეორე ოთახში გიორგი ლომიძე ფიქრობდა:

„ნუთუ ეს გოგია! უთქმელი და გაუბედავი რომ მეგონა! არც ისე მუნჯი ყოფილხარ“...

მარინე პირდაპირ თვალეში შესცქეროდა გოგის. თან ფიქრობდა, საპასუხო სიტყვებს ეძებდა. გოგიც იჯდა და ელოდა.

— მე ვენდობი შენს კაცობას, გოგი!

— ხმის კანკალით წამოიწყო ბოლოს, — ვენდობი და აღარაფერი შემიძლია გითხრა, ბევრი რამ მაქვს სათქმელი, რომ იცოდე რას განვიციდი მამაშენთან შეხვედრისას. მე მიყვარს გიორგი ლომიძე. შემხვდება, გამიღიმებს მამაშვილურად და მეც მთელი დღე მყოფნის მისი ღიმილი. თქვენ კარგები ხართ და მე... მე კი ბედნიერი იმით, რომ შენ გიყვარვარ...

გოგი წამოდგა.

— მე უნდა გიამბო ის, რაც არ შეიძლება ახლა, ამ წუთში შენ არ იცოდე. — განაგრძო მარინემ.

გოგი შეკრთა, სახტად დარჩა.

„ნუთუ ვინმე უყვარდა?“ ეს გაიფიქრა, მაგრამ მარინეს სხვა უთხრა:

— ნუ, მარინე, ნურაფერს მეტყვი, არ არის საჭირო. მე მიყვარხარ, და ნურაფერს მეტყვი, ნურაფერს მიაშობ...
— კარგი.

მარინე წამოდგა.

გოგიმ ხელები დაუჭირა, უცებ იგრძნო, რომ დააშავა, რატომ არ ათქმევინა, რისი დაფარვაც თავად არ უნდოდა?

— მაპატიე, მარინე. მე მოგისმენ. თუ გინდ მთელი ღამე ილაპარაკე, შენს ნაშობს, რა გინდ მწარე იყოს, ჩემთვის, გავიგებ...

— ხეალ გიამბობ, ახლა კი გამაცილე.

— ნუ გაფითრდი, ნუ გეშინია! არაფერი იქნება იმის მსგავსი, რასაც შენ, ალბათ, ფიქრობ. მე ჩემი ცხოვრების შესახებ მინდოდა მესაუბრა.

მარინემ უეცრად, მაგიდაზე გაშლილ რვეულს მოკრა თვალი.

— შეიძლება? — არ დაუხედავს, ისე ჰკითხა გოგის.

— რატომაც არ შეიძლება! — უბასუხა გოგომ და ახლა თვითონ დახედა რვეულს. „ალბათ, მამაჩემის ძველი ნახაზებია“. მაგრამ მარინემ რვეული ხელში აიღო და გადაფურცლა. მხოლოდ ორიოდ სტრიქონი წაიკითხა:

— მამა თქვენის დღიურები ყოფილა!

— შენ წაგიკითხავს?

— არა, პირველად ვხედავ!

— ძალიან მიყვარს დღიურები. ოდესმე იქნებ მივიღოთ უფლება და ერთად წაეიკითხოთ, არა?

— რატომ, ოდესმე?

— მეორე ოთახში გიორგი ლომიძეს ესმოდა ეს საუბარი და სისხლი ეყინებოდა.

„რომ დაინტერესდნენ და წაიკითხოთ? — ფიქრობდა იგი, და გადაწყვიტა: თუ რვეულს ჩაუჭდებოდნენ, წა-

მომდგარიყო და მათთან ვაშლიყო!.

მარინემ რვეული დახურა და თავის ადგილზე დასდო, პალტო ჩაიცვა და გოგისთან ერთად ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

თავის პატარა ოთახში ძლივს გაათენა მარინემ. უძილობა კლავდა ქალიშვილს. დაშორდა თუ არა გოგის, შემოვიდა და გაუხსნელად, მონუსხულივით დაეშვა საწოლზე. ეგონა, იმ წამსვე ჩაეძინებოდა, მაგრამ ტრიალებდა, წვალვობდა, ფიქრით ფიქრს ცვლიდა და ღრო გადიოდა.

„რა მემართება?“ წამოდგა, ოთახში გაიარა.

გიაშობო, შეპირდა გოგის. არც ერთი საალერსო სიტყვა არ დაცდენიათ გამოთხოვებისას და მარინემ იგრძნო, რომ ძინი დღეს ცივად დაშორდნენ ერთმანეთს.

თუმცა განა ყოველთვის ასე არ ხდებოდა! გოგი სახლამდე მოაცილებდა, ხელკავის გაკეთებასაც კი ვერ უხედავდა. მიყვებოდა ჩუმად და მარინე მინც გრძნობდა დიდსა და წმინდა სიყვარულს. მხოლოდ მარინეს კითხვებზე გასცემდა პასუხს ზნადაზნა და ისევ დუმილი ჩამოვარდებოდა კარებთან დაემშვიდობებოდა. არ უნდოდა მარტოხელა ქალიშვილს ოთახში შეჰყოლოდა. ამათაც გრძნობდა მარინე.

ერთხელ დღისით ძალით შეიყვანა ოთახში. გოგიმ მიიხედ-მოიხედა, ყველაფერს ქალის მადლიანი ხელი აჩნდა.

ეს იყო და ეს. მის შემდეგ ფეხი არ შეუღვამს მარინეს ოთახში, კიბეებს ამოათავებდნენ, კარებთან ხელს გაუწოდებდა. მარინე თავის პატარა თითებში შეაჩერებდა გოგის ხელს და ამით მთავრდებოდა აღერსი.

მეტი არც იყო საჭირო. მარინე ამითაც კმაყოფილი და ბედნიერი იყო.

წუხელ კი, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ითქვა, ყველაფერი გაიკრევა, როცა ერთმანეთს გაუტყდნენ და სიყვარული გაუშვლავნეს, სწორედ მა-

შენ გაახსენდა ძველი ამბავი, ვანა ეს საჭირო იყო!

მარინეს დედა მოაგონდა.

საბარალო დედანეში, მასაც ჰქონია სიყვარული, მასაც უყვარდა... ეპ, ვინ იცის ახლა, სად მარბია მისი ძვლები. მე კი, რა მიშავს, ვცოცხლობ და ვსუნთქავ, ვცოცხლობ ამ დიდებულნი მზის ქვეშ. მიყვარს და ვუყვარვარ. აღარაფერი უდგას წინ ამ სიყვარულს, აღარაფერი აბრკოლებს...

საბარალო დედანეში, შენ რომ ახლა შენი მარინე განახა, რა ბედნიერი ვიქნებოდით ორივე. თავს ჩაგიღებდი კალთაში, როგორც მაშინ და გეტყვდი ყველაფერს, ყველაფერს...

ფიქრით ყველა ნაცნობ-მეგობრები მოიარა. ყველანი კარგები არიან. ახლობლები და კეთილები, მაგრამ გოგი სულ სხვაა. გოგი მისია და უფლება არა აქვს, რაიმე დაუშალოს.

ტატზე მიწვა და მალე მიეძინა. ეძინა უშფოთველად, ღრმა ძილით.

ძილით კარებზე ფრთხილი კაქუნი გაისმა.

მარინე შეიძრა.

კაქუნი განმეორდა. ქალიშვილი წაშოღდა და კარები გამოაღო.

— გაგაღვიძე?

— შემოდი, გოგი

გოგიმ უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ მარინემ ხელი-ხელში ჩაჰკიდა და ოთახში ძალით შეიყვანა.

— შეგაწუხებ, მარინე!

— რას ამბობ, პირიქით, დაძინებულს მომიწიარა და მე უნდა მრცხვენოდეს. მაინც როგორ წამომეპარა დილა.

— მეც დამათენდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ვფიქრობდი და როგორც კი ინათა, შენსკენ გამოვსწიე...

მარინემ გაუღიმა, გოგის სკამი დაუღდა და დაჯდომა თხოვა.

ერთმანეთის პირდაპირ ნახევრად რბილ სავარძელში ჩასხდნენ. ერთხანს ორივე სდუმდა, მერე მარინემ დაარღვია სიჩუმე.

— დაგპირდი, ვიამბობ-მეთქი და ვასრულებ დაპირებას, ვეცდები ყველაფერი მოვიგონო, აღვადგინო, ვიყო გაბე-

დული. შენ არ იფიქრო, რომ ჩემი პატარა ბიოგრაფია მართლაც საინტერესო იყოს, არა!

ასეთი ბიოგრაფიის აღამიანები ბევრი დატოვა ომმა და მე არა ვარ გამოწყლისი. ჩემი ოჯახი და ცხოვრება იმ საშინელი ომის მსხვერპლია და დამნაშავეის ძებნა აღარ არის საჭირო. შორიდან უნდა დავიწყო. ვიამბობ იმ წუთიდან, რომელიც მე მახსოვს, მკრთალად, მაგრამ მაინც მახსოვს.

არც კი ვიცი, რა ხნის ვიყავი მაშინ. დაბადების წელი და დღე აქ, შენს სამშობლოში, საქართველოში დამიდგინეს. აქ მომცეს ყველაფერი, რაც ყოველ აღამიანს უნდა ჰქონდეს კანონიერად.

...კარგად მორთული ვაგონით მოვდიოდით მე და დედანეში. დედა მეუბნებოდა: მამასთან მივდივარ, ხეალ სად გურზე დაგვხვდებო. მე კი ძალიან მიკვირდა, რატომ აქამდე არ მყავდა მამა. თუმცა დედა მარწმუნებდა, მამაშენი სამხედრო სამსახურშიაო. ახლა ჩვენ სწორედ მასთან მივიჩქაროდით.

მატარებელი მიდიოდა და მე სულ მოუთქმელად ველოდი მამასთან შეხვედრას.

ის დილაც მახსოვს. ვამბობ — დილათილო, თორემ ჭერ კიდევ საკმაოდ ბნელოდა.

ჩვენი მატარებელი ისე მოულოდნელად შეჩერდა, რომ საწოლიდან გადმოვვარდი და მუხლი ვიტკინე. ყველანი უშფოთდნენ. მე ძილს თავი წაეპართვი, გამოვერკვიე, არ ვტრიოდი...

გარედან საშინელი ხმაური ისმოდა, რალაც გრუხუნებდა, რალაც წიოდა, ვილაც ყვიროდა, მგონი, შევლას ითხოვდა.

აი, როგორი ყოფილა სამხედრო სამსახური მეთქი, გავიფიქრე.

ეს იყო და ეს.

კიდევ ისიც მახსოვს, რომ დედამ მუხლებშუა მომიქცია და გადამეფარა. მე დავიბენი და ავტირდი. რა ხდებოდა, ამის გაგება ჩემთვის შეუძლებელი იყო.

და, ბოლოს, ერთი რამ ჩამჩა მეხსიერებაში და ამით დამთავრდა ჩემი იქაური ამბავი.

დღეა ფანჯრიდან ვილაცას უხმოზდა, ტირიოდა და ეძახდა. მე ძალიან მინდოდა მისი დანახვა, ვისაც დღეა შესტიროდა, მაგრამ პატარა ვიყავი და ფანჯრის რაფას ხელითაც ვერ ვწვდებოდი. დღეა წამომეშველა, აწვია და ფანჯრის იქით დავინახე მალალი, შავგვრემანი კაცი. ის, ალბათ, მამაჩემი იყო. ეს მოხდა მხოლოდ ერთი წამით და მატარებელიც დაიძრა. ჩვენ გავშორდით იმ კაცს, მამაჩემს...

დღეა ქვითინებდა, მეც ვტიროდი. უკანასკნელად მხოლოდ დიდი გრილის ხმა მახსოვს. ჩვენი ვაგონი შეტორტმანდა, თითქოს ყალყზე შედგა და გადაბრუნდა. ამით დასრულდა ყველაფერი.

ის იყო სწორედ ომის დაწყების დღეა. ის ავადმოსავონარი ოგნისის დილა. გონზე რომ მოვედი, თავი აკეანში შეგონა. ვილაც მარწყვედა, ვილაც მეფერებოდა და მინიც ვგრძნობდი, რომ ერთ ადგილზე არ ვიდგეით, მივდიოდით თუ მივცურავდით, ჩემთვის გაუგებარი იყო.

ახლა კი ვიცი, ჩვენ თვითმფრინავში ვისხედით. დღეაჩემი აღარ ჩანდა.

მე ვილაც სამხედრო კაცს ვეჭქეი კალთაში. ის კაცი მეფერებოდა, რალაც-რალაცეებს მპირდებოდა. მე გულდასმით ვაკვირდებოდი იმ კაცს, რა თქმა უნდა, იგი მამაჩემი არ იყო.

ეტიროდი, თვითმფრინავის გაბმული ზუილი და კიდევ რალაც ხმაური ყურებს მიხვრეტდა, მაგრამ მინიც მიმეძინა.

გამოღვიძებისას სადღაც დავეშვით. ცა საესე იყო ვარსკვლავებით. აღარ ისმოდა თვითმფრინავის გუგუნვი, ბომბების გრიალი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულყო. იმ კაცმა ხელში ამიყვანა. მე თურმე ფეხი მტკიოდა და სიარულიც აღარ შემიძლო.

...საე მოვხვდი შენს სამშობლოში, თბილისმა მიშვილა, მიმილო და მომეფერა ერთ უბედურ რუსის გოგონას და მერე დიღხანს მიარწყვედა აკვანს და მიწვედა დედობას.

აქ დამიცხრა დარდი. აქ გამაშორეს შორეულ ტკივილებს და, ხომ იცი, რა

არის ბავშვი! სულ მოკლე დროში ჩემს სახეზეც გაჩნდა ღიმილი. ვიხრდებოდი სხვებთან ერთად ბავშვთა სახლში. არაფერი არ გვაკლდა, ვგრძნობდით დიდ შრობილურ სითბოსა და მზრუნველობას.

დღეასა და მამაზე ხშირად მეკითხებოდნენ, მაგრამ რა უნდა მეთქვა, რა პასუხი უნდა გამეცა. არ ვიცოდი, სად დაკარგე დღეა, არ ვიცოდი ის ადგილი და ვერც მამის შესახებ ვამბობდი რაიმეს.

დრო კი მიდიოდა. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მე რატომღაც მოუთვენლად ველოდი ამ დასასრულს. ასე მეგონა იმ დღეს გამოჩნდებოდა მამა, შეიძლება დღეასაც მოვენახე, მაგრამ...

ეს ასე არ მოხდა...

მეტს აღარ გავავრძელებ, ყოველწერილმანზე აღარ შევაჩერებ შენს ყურადღებას. მთავარი, რაც იყო, მგონი, გათხარა.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ჩემი აღმზრდელი გახარებული იყო და კმაყოფილიც. მე დეიდა დარეჯანთან ვცხოვრობდი ვაკეში. მარტოხელა ქალი იყო. დღეას ვეძახოდი და მიყვარდა ნამდვილი სიყვარულით.

სამულო დავამთავრე, უნივერსიტეტში შევედი და მშვენიერი ვახშიმი გომიართა დეიდა დარეჯანმა... მე ის საკუთარ შვილად მთვლიდა. მეც მუდამ იმის ფიქრში ვიყავი, მისთვის ამაგი გადამეხდა. ეს იყო ჩემი ალალი ოცნება.

ერთი სიტყვით, ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდიოდა, მაგრამ აქაც წამომეწვია უბედურება, აქაც გავშვარდი.

ჩემი დედობილი ავად გამიხდა. ჩაწვა და აღარ ამდგარა... მე არ ვიცი, როვორ გადავიტანე მისი დაკარგვა, ერთი კი ცხადია, დედობილის სიკვდილმა გამანახვერა. ის იყო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი. ყოველ ჩემს დარღსა და ტკივილს მალამოდ ედებოდა

დედობილი, როგორაც შემიძლო, პატრით დავსაფლავე. მეგობრები არ მომიცილებიან.

იქნებ გინახავს ვაკის სასაფლაო! ქიშკარში შეხვალ, ხელმარტნივ მალალ

ნაძვებს გვერდს აუვლი და ზევით სამხრეთისაკენ ოღნავ შემალღებულ ადგილზე ჩემი ხელით დარგული ჩინარი ხარობს საფლავზე.

ის არის ჩემი დედის... დარეჯანის საფლავი.

თბილისში დარჩენა მაინც აღარ შემძლო. უნივერსიტეტიდან საბუთები გამოვიტანე და, მიუხედავად მეგობრების დიდი ხეყნისა, ქუთაისს მივაშურე...

წინათ ნამყოფი ვიყავი ქუთაისში. ექსკურსიაზე ჩამოვედი გელათში. მომწონდა ეს წყნარი, ძველი ქართული ქალაქი და გულიც აქეთ მეწეოდა.

ასე აღმოვჩნდი შენს ქალაქში, შენს გვერდით. ასე მოგნახე! აი, ესეც, ჩემი გზა, ჩემი პატარა ბიოგრაფია.

მე უკვე კარგად ვიცნობ ქართველი კაცის ბუნებას და სწორედ ამიტომ არ მინდოდა, რომ შენგან დაფარული მქონოდა რაიმე... ახლა შენ თითონ განსაჯე, იფიქრე, არ ამქარდე... რა ვუყოთ, რომ მე შენს გარდა აღარაფერი დამრჩენია ამქვეყნად... ახლა სიტყვა შენ გეკუთვნის, მე კი ნულარაფერს მკითხავ, მეყოფა, ერთი ადამიანისათვის, მგონი, საკმარისია ამდენი ტანჯვა, და ახლა დროა, მეც გაუხარო, მეც გამოვიხედო თვალეზში, თუ შენ...

მარინეს ქეთიანი წასკდა, ეტყობა, ვეღარ გაუძლო, ვეღარ შეიკავა თავი და ამდენი ხნის დაგროვილმა ნალველმა ერთბაშად ამოხეთქა, მერე ცოტა დამშვიდდა, მაგრამ გოგისკენ არ გაუხედავს, იქდა თავისთვის და სდუმდა, გოგიც სდუმდა, გულით უნდოდა რაღაც ეთქვა, თბილი და ალერსიანი, სანუბეშო...

სანუბეშო?

რატომ სანუბეშო?

კარგა ხანს იწვალა და, ბოლოს, როგორც იქნა — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— მეც უღედოდ გაზრდილი ვარ, ჩემო მარინე!

...ქუთაში რომ გამოვიდა, მისი ნათელი მოპტენოდა გარემოს. შემოდგომის ღამაში დილა იყო.

ქუჩებში გამოსულიყვენ ავტომანქანები. მთელი ეს გრძელი და ფართო პროსპექტი ხალხით იყო გაქედილი. ზემოი გრძელდებოდა.

ერთერთი საცხოვრებლის წინ, მოედანზე ახალგაზრდების ჯგუფს ცეკვათამაში გაემართათ.

ფერმერთალი, მაღალი ჰაბუკი აკორდონს აგრილებდა. საცეკვაო მოედანზე ტევა აღარ იყო.

გოგის აღარ უნდა შეჩერება. მიღის, მიაბიჭებს კიდევ უფრო დაფიქრებულ და ჩუმი.

— ყველა ზეიმობს, შენ რაღამ დაგაღონა! — ეს სიტყვები მას უთხრეს, დიახ, მას შეაგება ამ წითელტუჩება გოგომ, ლალისამ, პირდაპირ გადაუდგა წინ და დაურიღებლად უთხრა. ცოტა გული ატყინა, მაგრამ სწორი კი უთხრა.

— შენ ხარ, ლალისა, — სცადა ვალიმება გოგომ. — დაღონება რა შეაშია, და, დაღონებული რომ არა ვარ, ამას ამ წუთში დაგიმტკიცებ, — ქალიშვილს ხელი ჩაჰკიდა საცეკვაო მოედანზე გაიყვანა.

ლალისა მხრებამდეც ვერ სწვდებოდა გოგის, ტანად პატარა იყო, მაგრამ მოხდენილად კი ცეკვავდა. ცეკვის დროს ხანდახან ქვევიდან ახედავდა ლომიძეს.

ლომიძე ახლა გამოერკვა და ლალისას უფრო ყურადღებით დაუყვირა.

— „ასე დაიყინებით რატომ მიქქერის“? უცებ მიხვდა, მიხვდა, რომ ბერიძის ქალი მის მიმართ სზვავარად იყო განწყობილი. რამდენ მეტს ფიქრობდა და იგონებდა ლალისასთან შეხვედრებს, იმდენად უფრო რწმუნდებოდა სიმართლეში.

ლალისას ამ დროს მშვიდად მიედო თავი ლომიძის განიერ მკერდზე და გატრუნულოყო.

„რაღა მაინც და მაინც ამას შემოვეყვი საცეკვაოდ!“ — ფიქრობდა გოგი. დასხდნენ.

გოგის წასვლა უნდა. უნდა გაშორდეს

აქურობას და, რაც შეიძლება, ჩქარა. ადგომა მინც ეუბნებოდა. ლალი: მითხვდა და წამოეშველა.

— წადი, გოგი! საქმეზე მიდიოდი და დრო დაგაკარგვინე. შენთვის ხომ დასვენება და ზეიმი არ არსებობს. ახლა რაღაც ახალი მოგიფიქრებია და გულის იქით მიგიწევს. წადი, მხოლოდ ერთის პირობით...

— რა პირობა? — გაეცინა გოგის.

— საღამოს მე უნდა მაიკვებო, კარგი?

ნუ მიცქერი ასე გაკვირვებით! სულ ერთია ვერაფერს გაიგებ, წასვლა კი გიღნა, ხომ მიგიხვდი!

გოგიმ აღარ გაუბა საუბარი. პირობის ასრულება აღუთქვა და ნელი ნაბიჯით გაპყვა ზეივანს.

იმევე ქუჩით ოდნავი კოკლობით მოაბიჯებს გიორგი ლომიძე.

მიღის დაფიქრებული. დინჯად ესალმება ნაცნობებს. ვიღაცას დაეძებს თვალით, მაგრამ ვის?

იქნებ გოგის, ან მარინეს, ან იქნებ იმ ჭლარამორეულ ქალს, წუხელ რომ აცქევა...

თუ ასეა, რატომ მიატოვა ცეცვის შემდეგ გაუპარა, ნამდვილად გაუპარა... ახლა შეიძლება კიდევ შეხვდეს, მაგრამ ველარც იცნოს.

წუხელ ხომ შენიღბული თვალებით შეხვდნენ ერთმანეთს.

საიკვებო მოედანთან შეჩერდა. ვიღაც ახალგაზრდა წამოხტა და გიორგის ადგილი დაუთმო.

ლომიძე ჩამოჯდა.

მელია მიუახლოვდა.

— კარგად ცეკვავ, სანდრო!

— ეჰ, ბატონო გიორგი, ფინც გულს უნდა, ის გამიბრბის, თორემ...

სანდრომ თვალი იქით გააპარა, სადაც ლალისა იდგა.

გიორგის გაეღიმა.

— დამცინით, არა? ადამიანს ერთი საკუთარი რაღაც უნდა გააჩნდეს, ვერაფერს ვერ უნდა ჩაერიოს. საკუთარი დარდიც კარგიაო, გამიგონია...

ცეკვა განახლდა. სანდრო ლალისაკენ გაემართა.

ლომიძეც წამოდგა. ენთხელ მოავლო თვალი მოედანს და კოკლობით წავიდა ქარხნისაკენ.

თავი მიორა

ლალისა

შემოდგომის გრილი საღამო შემოიპარა ქალაქში. მზემ ერთხელ კიდევ დახედა მოზეიზე ქუჩებს, ერთხელ კიდევ მოუალერსა მზესავით ჰაბუკებსა და ქალიშვილებს. მერე სადაც შორს, ალბათ, შავი ზღვის პირად ჩაწეა ნებოვრად.

სიხარულსა და დარდს ზომიანე მტად ახალგაზრდები განიცდიან და ახლაც მათ ქრიაშულს აუვისია პარკები, ბაღები, ქუჩები, მოედნები.

მოლიან, მოიმღერაიან, შეუწყვეტლივ ნაკადად მოედინებიან და ვისაც როგორ შეუძლია, ისე გამოსატყვევს თავის საზეიმო განწყობილებას. შიგადაშიგ ჭიქები და უფრო მოხუცებიც გამოერევიან.

კულტურისა და დასვენების პარკში ძელქვების შრიალი შემატვბია ხალხის სიმღერას.

საეტომობილო ქარხნის სახლი კვლავ ხალხითაა გაჭედილი. აქ ჯერ კიდევ არ დაულაგებიათ სკამები და ვეებერთელა დარბაზი მოცეკვავეთა მოლოდინშია.

ორკესტრი ისევ აფუგუნებს ნაცნობ საცეკვაო მელოდიებს. აქა-იქ უკვე გამოცურდნენ მოცეკვავე წყვილები. ზოგ მათგანს ისევ შერჩენია თვალსახვევი.

ლალისა მოგვიანებით მოვიდა. იქვე, კარებთან შეჩერდა და გემოვნებით მოხატული კედლები შეათვალიერა. მერე მოცეკვავეებს დაუკვირდა, ვისაც ეძებდა, ვერ შენიშნა. ყველა ოთახი შემოიარა, მაგრამ ამაოდ.

ისევ დიდ დარბაზში მობრუნდა. ერთი კუთხიდან მეორეში გადაინაცვლა.

გოგი ლომიძე არ ჩანდა.

ლალისას რატომღაც ჯეროდა, რომ გოგი დანაპირებს ასრულებდა და

კვლავ გულდაგულ განაგრძობდა ლოდინსა და თვალთვალს.

წუხელაც თვალს არ მოუცილებია ლომიძისათვის. ცეცვის დროს ვინ მოთვლის — რამდენჯერ ჩაუარა გვერდით... გოგბ მთელი საღამო ერთადიმავე ქალიშვილიან ცეცვაზედა. ესეც თავისებურად ახსნა ლალისა ბერიძის ქალმა: „ახალგაზრდაა, ჩემი, გულგაუხსნელი, და გაუბედური, აბა, სანდრო მელიასავით ხომ არ ჩამოუვლის ყველას“, ასე ფიქრობდა ლალისა და იდგა თუ ცეცვაზედა, მაინც გოგი ლომიძის განიერ მხრებზე ჰქონდა მზერა მიპყრობილი!

გვიან კი, როცა გოგამ იმ ქალიშვილთან ერთად დასტოვა დარბაზი, ლალი-სათვისაც დაცარიელდა სასახლე. ეშინოდა, არავინ შემნიშნოსო, და მათი წასვლის შემდეგ რამდენიმე წუთი მაინც დაჰყო, მერე თავადაც გაუყვა სახლსაკენ. დღეს ვეღარ მოითმინა. ქუჩაში მიშავალ გოგის წინ გადაუდგა, მცირეოდენი საყვედურიც აკადრა და ბოლოს კიდევაც იცეცა მასთან.

ლომიძე ცუდად ცეცვაზედა. ხელი უხერხულად ედო ლალისას წელზე. ხანდახან ფეხსაც გაჰკარვდა უდიერად, მაგრამ ლალისა ამას ყურადღებას არ აქცევდა. პირიქით, მოსწონდა მისი მოუქნელობა.

უყვარს ლომიძე, უყვარს თავდავიწყებით და რა მისი ბრაღია... თავისთავად მოვიდა ეს სიყვარული, არავის მოუწვევია. მოვიდა, დაუკითხავად, შემოაღო კარები, ჩასახლდა სულსა და გულში და ასე იოლად დასტოვებს განა?!

არც თუ ისე პატარა დრო გასულა მას შემდეგ, რაც გოგისადმი ტრფილის ცეცხლი შემოეწითო ბერიძის ქალს.

დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოსაცდელ ოთახში შემოსულ გოგის მას შემდეგ გაღიმებული ხედებოდა. მაგიდასთან მოიხმობდა, გამოელაპარაკებოდა, ეშმაკურად გაუციუნებდა, სხვები უმალ გრძობენ ქალიშვილის ასეთ განწყობილებას, ხედებიან ასე უბრალო ეშმაკობას, ის კი არა, ყოველთვის ღიმილი შემოყვებოდა და იმავე ღიმილით გაიხურავდა კარებს.

ამან კიდევ უფრო დაინტერესა ლალისა, ერთხელ გადაწყვიტა ეთქვა გოგისთვის, გაემელავენებინა სიყვარული, საკმაოდ გაბედულია და შესძლებდა პირველი ძნელი სიტყვის თქმას, მაგრამ ვერა, სწორედ გადაწყვეტ წუთში გამოაჩნდა ქალური სისუსტე, თუ სიამაყე...

იმ საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ბალიში ცრემლებით დაასველა და დასწყევლა სიყვარულის გაჩენა.

„წარბსაც არ გავუშართავ“, — გადაწყვიტა მერე დილით სამუშაოზე წასვლისას, მაგრამ, როცა ლომიძემ ბოლოს ჩვეული ღიმილით შემოაღო მოსაცდელი ოთახის კარები, მაგიდასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და მოვიტახა, ლალისას ყველაფერი დაავიწყდა...

„ჩემი ხარ, ჩემთვის გაჩენილი და არც დაგთმობ იოლად“, — ჟოტად იმეორებდა ამ სიტყვებს და ეს სიჭოტე კიდევაც მოსწონდა.

„რატომ, ან ვის უნდა დაეუთმო? იქნებ სხვასაც უყვარს... იქნებ უფრო ადრინდელიცაა ის სიყვარული, უფრო ძლიერიც... უფრო ძლიერი? მაგრამ მეც ხომ მიყვარს, მიყვარს!“ ასე ეღავებოდა ლალისა „სხვას“. გულს რომ მოიჭერებდა, დავას რომ მორჩებოდა, მერე საკუთარ ცხოვრებას გადახედავდა. გოგი ლომიძის თვალებითა და გულსყურით შეამოწმებდა მის მიერ განვიღ პატარა გზას.

პედაგოგიური იმპიტატუტი დაამთავრა. სკოლაში უნდა დაეწყო მუშაობა, მაგრამ ეს არ მოხერხდა...

ერთ ხანს განათლების განყოფილების გამგის კაბინეტს კარებთან იდგა რიგში, მერე მოხერხდა ლოდინი და ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალს საავტომობილო ქარხანაში წასვლა არჩია. საამქროში შესვლა და მახუთში ხელების გასვრა მაინც არ ინდომა.

„საქანცელარიო საქმეებიც მნიშვნელოვანია, ვინმე ხომ უნდა იხედეს ამ მაგიდასთან, ხომ უნდა განაგებდეს ამოდენა მიმოწერას“, — ფიქრობდა იგი და თავისთავს ყოველთვის ამართლებდა.

ქარხნის დირექტორს შვილივით უყვარს ლალისა. თავდაც დიდად აფასებს ამ, ერთი შეხედვით, ფიზიკურად სუსტ ადამიანს.

ზუსტი კაცია დირექტორი, არასოდეს არ დაავიწყდება ერთხელ მიცემული დაჟღერება.

ლალისას მულამ მოწესრიგებული აქვს თავისი მეურნეობა. არც ერთ მიმართვას არ დატოვებს გაუტარებლად და უპასუხოდ. ხანდახან ასე ჰგონია, თითონ მართავს ამ ვეებერთელა საწარმოს...

მეტი რაღა უნდათ ერთი პატარა ქალისაგან, რაღას ითხოვენ მისგან!..

მაგრამ გრძნობს, რომ ლომიძეს ამით ვერ მოზიზღავს, ვერ გააგებინებს ამ მუნჯ კაცს ვერაფერს.

ასე მიდიოდა ბერიძის ქალის ცხოვრება.

თავის მხრივ, ერთ საქმეში გრძნობს დანაშაულს გოგის წინაშე. ახლაც მძიმე ლოდოდ აწევს გულზე და აწუხებს, აწუხებს, მაგრამ ჭერაჭერობით ვერ მოუშორებია.

ერთხელ დილით შემოსულ ფოსტას არჩევდა და აწესრიგებდა. მისი ყურადღება ერთმა ვარდისფერმა კონვერტმა მიიქცია. უფრო სწორად, „გიორგი ლომიძე“ ამოიკითხა კონვერტზე და ამან შეაჩერა. კარგა ხანს ატრიალა ხელში ეს კონვერტი. ბარათი მოსკოვიდან იყო. გამომგზავნის გვარი ძლივს ამოიკითხა, მაგრამ სახელი „თამარი“ გარკვევით ეწერა და მეტი მასაც აღარ უნდოდა. სულმა წასძლია, უნდოდა კონვერტი გაეხსნა, მაგრამ... ცდუნება მართლაც დიდი იყო. იწვალა, ებრძოლა გულს და ვერ იქნა, კონვერტი ვერ გახსნა.

„აქ თითქოს რწყილსაც არ აღვიძებს და თურმე სხვაგან გაუბამს სიყვარულის ძაფი... ვერ მოგართვი“, — ეს გაოფიქრა და კონვერტი მაგიდის ქვედა უჯრამში შეაგდო.

დღის მეორე ნახევრამდე არ შემოსულ გოგი, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა, ლალისას ერთნატივლად დაუარა მთელ ტანში.

ლომიძე ჩვეულებრივად მიესალმა და

კეთილად გაუღიმა. ლალისას მოეჩვენა, თითქოს გოგამ ყველაფერი იცოდა, გაფითრდა, შეშინდა და უნდოდა ბარათი იმ წამსვე გადაეცა. დაიბარა კიდეც უჯრის გასაღებად, მაგრამ თავის შეკავება მოახერხა.

მართოდ დარჩენილმა დიდხანს იფიქრა, გააკიცხა კიდეცაც თავისი მოქმედება, დანაშაული უკვე ჩადენილი იყო. მისი გამოსწორება ჭერ კიდეც შეიძლებოდა და...

„განა ესეც დანაშაულია, ცუდად მოვიქცევი, მერე რა ვუყოთ, ეს სიყვარულმა ჩამადუნინა, კისერი უტეხია ვილაც თამარს, რა ესაჭმება მასთან, ჩემთან! მოსკოვი დღედა და იქ ებიოს სიყვარული“, — ასე იმართლებდა თავს საკუთარ გულთან ბერიძის ქალი.

მეორე ბარათმა ცოტა დააეკუა.

„იქნებ გოგის არ ეკუთვნის ეს ბარათი, იქნებ მამამისს, გიორგი ლომიძეს უგზავნიან, იქნებ ვცდები!“..

მაგრამ გოგის მამა, გიორგი ლომიძე საკმაოდ ხანდაზმული და, ერთის შეხედვით, მკაცრი ადამიანი იყო. ლალისას აზრით.

„რაღა დროს მაგის სიყვარულია?“ — დაასკვნა ლალისამ ბოლოს და შეიძულა მოსკოველი თამარი, რომელიც გოგისა და ლალისას შორის ჩამდგარიყო და ართმევედა ყველაზე და ყველაფერზე ძვირფას ადამიანს. მერე საბრძანო რამოდენა მანძილიდან!

„გიორგი ლომიძე ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში არ მუშაობს, ბერიძე“, — მისწერა მოსკოვს და ამის შემდეგ ბარათი აღარ გამოჩენილა.

მაინც ეშინოდა, მაინც რაღაც აწვლებდა და სულ გაუთვალისწინებლის მოლოდინში იყო. ვინ ჩახედავდა გულში? ვინ გაუგებდა ამ პატარა, მაგრამ ბევრის შემძლე გოგონას. ან თვითონ ვისთან მისულყო? ვისთვის გადაეშალა გული? ვისთვის ეთხოვა შეელა? თუ ოდესმე მიზანს მიაღწია, თავად გამოუტყდება გოგის. ისიც ალბათ, გაუგებს და აპატიებს...

მულამ აბსოვდა ეს ორი ბარათი... ხანდახან, როცა მაგიდის ქვედა უჯრა

დასჭირდებოდა, ხელი უკანკალებდა, დაიბრებოდა, უკრას გამოაღებდა, ბარათები თვალში ეცემოდა და...

ასე ეგონა, იმ ბარათების ადგილას მოსკოველი თამარი ჰყავდა გამომწყვდეული და დადგებოდა დრო, მოვიდოდა წუთი, როცა იგი ამ უკრას გამომტკრევედა...

ბარათების გახსნა და წაერთხვა მაინც ვერ გაბედა. მათი განადგურებაც დაუშალა გულმა.

ასე იკავებდა გზას ლომიძისაყენ ბერიძის ქალი, მაგრამ დრო გადიოდა და ეს გზა არ მოკლდებოდა...

გუშინდელმა შეხვედრამ ცოტა გული მოუბრუნა, ო, ნეტავ თუ უსმენდა გოგი ლალისას გულისცემას! ნეტავ მცირე მანძილზე თუ მაინც გაჰყვა ის სიტყვები, რაც განშორებისას მოისმინა მისგან. ისევ მოავლო თვალი დარბაზს. ლომიძე არ ჩანდა.

სანდრო შელია აიტუნა ლალისას წინ. მორიდებით თხოვა საცქვეაოდ გაჰყოლოდა. ბერიძის ქალმა უსიტყვოდ შეაქცია ზურგი.

კარგი შესახედავი იყო ამ დროს ლალისა. განრისხება შვენიოდა. უცნაურად უბრაყინავდა თვალები, უთრთოდნენ პატარა ტუჩები. წარბები მალლა აეზო და და წაბლისფერი კულულები შებლზე ჩამოშლოდა. ერთხელაც არ უცდია თმის შესწორება. იმედგაცრუებულს იმ წუთში არაფერი არ აინტერესებდა, აღარავის სიყვარული აღარ გააჩნდა და თვით ლომიძეც კი სძულდა.

იღვა გაწბილებული. შურით უცქერდა იმ ბედნიერ წყვილებს, სახემომლი მარნი რომ ტრიალებდნენ დარბაზის შუაგულში და, ვინ იცის, რა სააღერსო სიტყვებს არ ჩასატურნებდნენ ერთმანეთს.

თავს დამცივებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა ბერიძის ქალი.

დასტოვოს დარბაზი და წავიდეს? არა,

აი, თუნდაც ამ ცეკვის დასასრულამდე მოიცდის, მერე წავა, წავა პირდაპირ საბლში. დაემხოზა საწოლზე და ცრემ-

ლებით დასველებს ბალიშს. მეტი რა შეუძლია!

ფართოდ გაღებულ კარებში ჩვეულებრივად შემოდიან ახალგაზრდები, მოდიან ლაღად, წელგამართულები, ხალისით აღსავსენი.

ღიას, ყველა ბედნიერია დღეს, ყველა... მხოლოდ ლალისაა უბედური ამ ზემიზე...

ერთბაშად შეერთა. ტუნზე იყბინა მისდაუნებურად. ხელებს ადგილი ვერ უბოვა და შეისწორა შებლზე ჩამოშლილი კულულები.

კარებში ლომიძე გამოჩნდა. მოვიდა ის, ვისაც ასე მოუთმენლად ელოდა. მოვიდა, მაგრამ გოგი მარტო არ იყო. მის გვერდით ახალგაზრდა ქალიშვილი მოაბიჯებდა.

ლალისამ იცნო საბავშვო ბაღის აღმზრდელი. სწორედ მასთან ცეკვავდა გოგი წუხელ...

დაუკვირდა. მუშტრის თვლით ვახომა და მოეწონა. უბრალოდ, მაგრამ ფაქიზი გემოვნებით იყო ჩაცმული, ასევე უბრალოდ უღიმოდა გოგის.

„შვენიან ერთმანეთს, რა ლამაზია, რა ტანი აქვს! მე კი მხოლოდ ერთი ციდა ვარ“, — გამოუტყდა თავის თავს.

ამ წუთში მოსკოველი თამარი გადავიწყდა. იგი მისთვის აღარ არსებობდა. მეტოქე აგერ, სულ ახლოს ჰყოლია და საჭირო იყო მოქმედება.

მარინე და გოგი ცეკვაში ჩაებნენ. გოგი მართლაც არ იყო ცეკვის ოსტატი, მაგრამ მარინესთან მაინც ფეხშეწყობილად ცეკვავდა.

ლალისა კი იღვა სუნთქვაშეკრული. ცოტა კიდევ და თვალზე მომდგარი ცრემლი გზას მოსქებნიდა. ეს კი არ უნდოდა.

თავი შეიკავა და ნაძალადევი სიმშვიდით გასასველელისაყენ გაემართა.

მიდიოდა და თითქოს კიდევ უფრო დაბატარაებულოყო. დარბაზიდან გასვლისას გულმა აღარ მოუთმინა. შემობრუნდა, ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი ლომიძის გაღიმებულ სახეს და უდიდესი ზიზღი იგრძნო მისდამი.

აქეთ, ამ მოზეიმე სასახლისაყენ სულ

სხვა ფიქრით მიდიოდა ლალისა. ახლა კი ტოვებს ზემს. განრისხებული, გაწვილებული და შეურაცხყოფილი.

პატარა ადამიანის განრისხებაც საშიშია...



...სხეივანში მიმავალ ლალისას სანდრო მელია წამოეწია. უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ მოერიდა. ჩანდა, სანდრომ იცოდა რაც მოხდა დარბაზში. სწორედ ამიტომ გაიპოყვა, ლალისა ხეივანში გაუჩინარდა. თვალი ვეღარ მიატანა სანდრომ და ფეხს აუჩქარა.

— ლალისა!

ხმა ეცნაურა ბერიძის ქალს და არ მოიხედა.

— ლალისა! ერთი წუთით დამიცადეთ, ლალისა!

ლალისა შედგა. ტანი შეარხია, წუთით თითქოს ყოყმანობსო, მერე ერთბაშად შემობრუნდა და სანდრო მელიასაკენ თითქმის სრბილით წამოვიდა.

მთელი სხეული უკანკალებდა, ალი წაჰკიდებოდა სახეზე და გადაწყვეტილი ჰქონდა სილა გაეწნა სანდროსთვის.

სანდრო მელია კი იღვა და ელოდა.

ლალისა მიუახლოვდა და უხეშად მიახალა:

— რას დამდევ კედში? რა გინდა ჩემგან? უსაქმური რომ ხარ, ეს დიდი ხანია ვიცი, უტვიროც ყოფილხარ!

— ლალისა! მე მინდოდა...

— გამეცალე! სხვა თუ არაფერი, მაშად შემეფერი!

— ლალისა! — ოდნავ აუწია ხმის მელიამ.

— წადი, შე დამთხვეულო, წადი! თორემ დედის საფლავს ფფიცავ, ლოყებს ავიჭრებ, წადი, მე ჩემი მეყოფა...

მელიას სახე აეწვა, თითქოს მართლაც გაართყეს სილა. თვალებზე ბინდი ვადფეფრა, წაბარბაცდა კიდეც, მაგრამ ეს იყო წუთით. თავი შეიკავა. განრისხებულ ქალიშვილს ცუდი არ აკადრა, თვალები გაუსწორა და ამოილულულა:

— ნუ ლეღავთ, მე წავალ, ლალისა! წავალ, მაგრამ გახსოვდეთ: როცა ამაზე

მეტად გაგიჭირდებათ, მაშინ მოგინახვთ. მე არც ისე ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გვინათ, — სანდრომ შემბრუნდა და მალე ხეივანში გაუჩინარდა.



სანდრო მელია დარბაზში არ შებრუნებულა. უბრაოდ ჩაუარა სასახლეს. მიდიოდა თავდახრილი, ფიქრებში ჩაძირული. ამ წუთში იგი ხელმოკარულ მონადირეს ჰგავდა, რომელმაც უკანასკნელი გასროლაც დააცილა.

ორმოც წელზე მეტი იცხოვრა ამ ქვეყნად სანდრო მელიამ ავად თუ კარგად. ბევრი შეურაცხყოფა გადაუწყაპავს, არ გაწითლებულა და არც სიმწრის ოფლი დადენია, მაგრამ დღეს, ზეიმის დღეს სიცოცხლე მოუშხამა ამ დღეულმა ქალმა.

მეორე წელია მომარაგების განყოფილებაში მუშაობს სანდრო. ბევრი სიბილი, თავმტეხა და უამრავი პროტექტორები დასჭირდა, სანამ ექსპედიტორის თანამდებობას იშოვნოდა.

ვისი წერილი არ მოუტანა განყოფილებას გამგეს, სარდიონ ბრეგაძეს. ვის არ დაარეკვინა, მაგრამ ვერაფერს ვახდა.

სარდიონი ჰკვიან და წინდახედულ კაცად თვლიდა თავს, ამიტომაც სპეკულაციის საქმეში გამოჩეჩილი მელიას შემომეება განყოფილებაში არ უნდოდა.

ყოველმხრივ წინ აღუდგა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დათანხმდა.

თვით თბილისიდან თხოვეს და რაღა უნდა ექნა. თავისი ფეხით მიჰყვა მელიას ღირებუროთან, სიტყვიერი რეკომენდაციაც მისცა, გამრჩე კაცია, საექსპედიტორო საქმეებში ჩახედული და გამოცდილიო.

სანდრო ექსპედიტორად დანიშნეს.

პირველ ხანებში უცოდველ ბატყნად მოაჩვენა თავი უფროსს. მორიდებით შეაღებდა განყოფილების კარებს და ასევე მორიდებით იკითხავდა:

— პატრეცემულო სარდიონ ილიჩ, შეიძლება?

— შემოდი, შემოდი და, თუ კაცი

ხარ, ამ ათსართულიან მომართვას მოეწევი! — უპასუხებდა სარდიონი.

მაგრამ მელია, მართლაც მელია იყო და მალე აუღო ალღო უფროსის ხასიათს.

ენადათაფლულმა სულ რამდენიმე დღეში შეიძვია ბრეგაძე. მერე და მერე სარდიონს კიდევ სიაშოვნებდა სანდროს მოსვლა და მასთან საუბარი.

დრო გავიდა. სანდრო მელიამ მრავალჯერ მოიარა რუსეთი. დავალებას ყოველთვის სიხუსტით ასრულებდა, ჩონებულად იცოდა ყველა გზები და უფროსების მადლობა-შეგებებასაც იმსახურებდა.

საქმის შიგნით კაცის სახელი გაუვარდა. უფრო მოიკიდა ფეხი.

ამის შემდეგ სარდიონ ბრეგაძის კაბინეტის კარებს რომ შეაღებდა, ოდნავ შეცვლილი მიმართვით ითხოვდა მიღებას.

— სარდიონ ილიჩ შეიძლება?

სიტყვა „პარტიკულური“ ლექსიკონიდან ამოიღო, აღარ სჭირდებოდა.

სარდიონი გრძნობდა მელიას წათამამებას. სქელ, ერთმანეთზე გადაბმულ წარბებს ქვემოდან შემოხედავდა ექსპედიტორს. მელია იმ წამსვე წელში მოხრებოდა და...

— შეიძლება, ბატონო?

სარდიონი ჩაიციხებდა და თავს დაუქნევდა.

მოსკოვში, ან რუსეთის სხვა ქალაქებში რომ გავზავნიდნენ, ცოტა რაიმეს „მეგობრებისთვისაც“ წამოიყოლებდა.

სანდრო მელია შეიცვალა. ფერი იცვალეს კოსტუმებშიც.

მალე იგი ზოგიერთებმა კობტად ჩაცმულ კაცად აღიარეს.

მელიტს ვერაფერი მოუხერხა. ეს ძლიერ აწუხებდა ქალების მოყვარულს. ყოველ დღით სარკის წინ გასათხოვარი ქალიშვილივით ტრიალებდა. ხან ერთ მხარეზე გადააწვენდა ათიოდეთმის ღერს, ხან მეორეზე.

მელია მარტოხელა კაცი იყო. ცოლი არ აწუხებდა და შვილი. დღენიადაგ დაოჯახებაზე ფიქრობდა. მიზანში ლაღისა ბერიძის ქალი ჰყავდა ამოღებუ-

ლი, მაგრამ ვერაფრით მოიგო მისი გულო.

პირველად თავსაფარი მართლაც ამ საჩუქარზე საცემოდ მადლიანი დიმილით უთხრეს მადლობა. მერე ნეილონის წინდები შეაბარა, ბოლოს საცაბე.

მამის კი განარისხდა ბერიძის ქალი, კაბები შეჰყარა, სკამიდან წამოვდგა, საცაბე უკანვე გამოუვდგო, თანაც გვარიანად გამოლანძლა.

ათას გზას დაადგა სანდრო, ათასი ბერძნი იხმარა, მაგრამ არც ერთი არ გამოადგა.

სამსახურის საქმეები ჩინებულად მოდიოდა. სანდროს ავტორიტეტი დღითი დღე იზრდებოდა, მხოლო სარდიონ ბრეგაძე ორჯერ გააწიალეს პარტიული კომიტეტის სხდომაზე. მითითება არ აკმაბრეს და გვარიანი საყვედურიც გამოუცხადეს.

უპარტიო კაცია სანდრო მელია, მაგრამ იმ დღესვე გაიგო სარდიონ ბრეგაძის წაფორჩხილება. კაბინეტის კარები დაუკითხავად შეაღო და შიგ არ შესულა, ისე ესროლა უფროსს.

— ხვალ შემავიანდება, ილიჩ!

სარდიონს პასუხი არ გაუცია, საკუთარი სადარდაც ბევრი ჰქონდა და მელიას წასვლა-მოსვლა დიდად არ აწუხებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მწარედ გააკრიტიკეს მომარაგების განყოფილება, დაურიღებლად ამხილეს ბრეგაძის უყაირათო მუშაობა. ბევრი რამ ჰკლებია ქარხანას.

სარდიონის დღეები დათვლილი იყო და ამასაც უმალ მიხვდა მელია.

მეორე დღით ისე დაუკითხავად შევიდა უფროსთან. ხელში თავჩარგულ სარდიონს მიუახლოვდა, მამბიჭურად დაჰკრა მხარზე თავისი პატარა ხელი და უთხრა:

— ნუ დარდობ, სარდიონ ჩემო! ცხოვრება აღმართია, ყველა ვერ აღის მწვერვალზე, მაგრამ ჩამოვარდნამდე ჯერ კიდევ დროა...

— რა გინდა, სანდრო! ანლა დამტოვე და თუ საქმე გაქვს, ცოტა მოგვი-

ნებით შემოდი! — თავაუწველად უპასუხა სარდიონმა, მაგრამ მელაი კაბინეტიდან გასულას არ აპირებდა. ორჯერ ფრთხილად ჩაახველა და შემპარავად განაგრძო:

— მე შენგან დიდად დავალებული ვარ, სარდიონ! ახლა თავად გიჭირს და ძმად მივლუე, შემსახელე!

— რა გინდა, კაცო, რას ჩამაცოდელი ხომ ხედავ შენთან ლაპარაკის ხასიათზე რომ არა ვარ! — თავი ძაწია ბრეგაძემ.

— ვიცი, მაღე მოგხსნიან, ეს თითქმის გადაწყვეტილია და მინდა ერთი სასარგებლო რჩევა მოგცე!

სარდიონს ბრაზისგან ცეცხლი წაეკიდა. თვალი თვალში გაუყარა მელიას. უცებ მოუნდა ძალღვეით გაეგდო ოთახიდან, მაგრამ თავი შეიკავა, სიღინჯე მოიშველია და ესლა უთხრა:

— თქვი და მოარჩი!

— მინდა გირჩიო! — ხმას დაუწია სანდრომ — შენი წყალობითა და ჩემი მუყაითი შრომით უფროსები კარგი თვალით მიყურებენ, ამ შემთხვევაში შენც დაგიჭერებენ და...

— თქვი, რას მიეღებ-მოეღები!

მელიამ ჩაისისინა:

— მე უპარტოო კაცი ვარ, მაგრამ რა ვუყოთ. იცოდეს ღმერთმა, გულით და საქმით ვარ კომუნისტი. ჩვენს დიდი ქვეყანაში უპარტოო ბოლშევიკები ძალზე ბევრნი არიან. ჰოდა, თუ კარგად დაუფიქრებ, შენთვისაც ასე აჯობებს...

— რა გინდა კაცო, თქვი! რას იღებები!

— იქნებ შენს ადგილზე მე მომცე რეკომენდაცია...

ბრეგაძე ისე ერთბაშად წამოვარდა ადგილიდან, სავარძელი წააქცია.

შეშლილივით გადმოკარკლა თვალები. პაერში გაასუსსავა ხელები, თითქმის დაბრჩობას უპირებსო მელიას. სანდრომ უტია, ბეჭებში მოიხარა და მაგიდის კუთხესთან ლეკვივით მიიბუზა.

— გაეთრიე! — იქუხა ბრეგაძემ.

მელია შებრუნდა. კარებამდე ისევ წელში მოხრილი მიიპარებოდა, მერე წელში გაიმართა და თავაუწველმა გაიხურა კარები.

— გაიძვერა, თაღლითი! — მოუსმა უკვე დერეფანში მიმავალს სარდიონის ხმა.

მიდიოდა და ყოფილ უფროსს გულში დასციწოდა.

ეს იყო და ეს. ბრეგაძე დააქვეითეს. სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. განყოფილებას უფროსად სხვა დანიშნეს, მაგრამ სანდრო მელიამ ექსპედიტორის არც თუ ისე სახარბიელო თანამდებობა მაინც შეინარჩუნა.

ახალი უფროსი მკაცრი გამოდგა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მელიამ მასაც აუღო ალღო. ქაღალდებით დატვირთული შედიოდა კაბინეტში. მოკლედ მოსჭრიდა სათქმელს და უშალ წასვლის ნებას ითხოვდა.

ერთი სიტყვით, უფროსის თვალში საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. დღედაღამ მის პატივისცემაზე ფიქრობდა.

ერთხელ მოსკოვიდან უცხოური პერანგები ჩამოუტანა. დავითმა (ასე ეძახდნენ ახალ უფროსს) ფული გაუწოდა. მელიამ შორს დაიჭირა თავი. არასგზით არ უნდოდა ფულს აღება, (ასე დაიწყო სარდიონთანაც) მაგრამ ახლა არ გამოუვიდა.

დავითთან რომ ვერაფერი გააწყო, იერიში მის ოჯახობაზე მიიტანა. მეუღლის გაცნობა მოახერხა. უცნაური საკაბე მიართვა. ამას სხვაე მოჰყვა და მელიამაც საბოლოოდ მოიგო ქალის გული.

ასე გადიოდა დრო.

სანდროს მხოლოდ ერთი მიზანი რჩებოდა განუხორციელებელი. ფიქრით ლალისას უტრიალებდა.

ამ საღამოსაც თვალყურს ადევნებდა და არ ეგონა, თუ გოგი ლომიძისგან შეურაცხყოფილი ლალისა, ასე უზემად მოეპყრობოდა. მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მიდიოდა ეს ჩია კაცი აშოლტილი ჭადრების ხეივანში და სახეალოო გიგმებს აწყობდა.

— ლომიძისკენ გიჭირავს თვალი?! კარგი საქმეა, რატომაც არ უნდა ფიქრობდე უკეთესზე; ინეინერია, კარგი ვაჟა-

ცია, კარგი მამის შვილი, მაგრამ ერთი გოგისაც ჰკითხე, შე მამაცხონებულო, ეს მუხა ბიჭი გვერდში ამოგიყენებს? გემოვნება კარგი გქონია, მაგრამ მართა გემოვნება ვერ გიშველის, გენაცვამე შემომხედე... წაგებული არ დარჩები... გამოიჯივრდი, გამოილანძლე, არა?! სხვა ვარ იცოდე, სხვა თონეში გამომცხვარი ლავაში ვარ. ერთი ხელს აქნევით ვერ ამაფრენ. საძიებელში ჩაგდევ და ჩემსას მიიწე გავიტან, მე ასე მიჩვევა“.

უკან მოიხედა. კულტურის სახლიდან სიცილტყრციალი ისმოდა. სანდრო მელა შემობრუნდა და სასახლისაკენ ჩქარი ნაბიჯებით წამოვიდა.

თავი მისაგ

ახალგაზრდა ინჟინრის ოცნება

თენდებოდა.

ბურსუში ჩაძირულ ქალაქს აღმოსავლეთიდან ნათელი წამოეპარა. შორს მტრედისფერი ცა გამოჩნდა, ჯერ მკრთალად, ძალიან მკრთალად, მერე იმარჯვა ცისკარმა ერთბაშად გადაწმინდა ციდან ბურუსი. მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევს ყაბალახივით შემორჩენოდა ნისლი. მზე მიდგომოდა აღმოსავლეთსა და წითლად შეეღება თვალსაწიერი.

ვაჟს აღმართზე ძელქვები შრიალედნენ და ძველისძველ ბაღში ცაცხვები იმეორებდნენ მათ ჩურჩულს.

დიღს ნიაგზე ირხეოდნენ ჭადრები. ჰაერი საყვირის ხმამ გაჰყვითა. ხან ერთი კუთხიდან ისმოდა ეს ხმა, ხან მეორედან.

ნელა მიიგორებდა ტალღებს დაუღეგარი რიონი.

თენდებოდა.

ქალაქში შემოდიადა ახალი დღე. ქუჩები თანდათან ივსებოდა მოქალაქეებით.

თეთრ ხილზე მისრიალებდნენ ტროლეიბუსები, მირიხინებდნენ ავტობუსები.

ჩვეუჩვეუვად მიდოდადნენ ქუჩებში

მუშები და ხმით ცნობდნენ თავიანთი ქარხნების საყვირებს.

სიცოცხლე იღვიძებდა ქალაქში. ალბათ ასეა ყველგან, ასე ცოცხალი, ასე ლამაზია მზის ამოსვლა ქვეყნის ყოველ კუთხეში, მაგრამ სულ სხვა ნაირად იწყებოდა დილა ავტოქარხნულთა უბანში.

ქარხნისაკენ მიიჩქაროდნენ ქართული ავტომობილის ოსტატები. რაღაც ახალი, ადვილად შესამჩნევი და გამოსაცნობი ძალა იგრძნობოდა ამ უბანში განთიფდისას.

ქარხნის მისასვლელთან, იქ სადაც რკინიგზის ლიანდაგი მთავარ ქუჩას ჰკვეთს, ექსკავატორები და ბულდოზორები მთელი დამე მუშაობდნენ. სულ მალე რკინიგზას ზევიდან გადაუღლის ტროლეიბუსს ხაზი და კიდევ უფრო მოწესრიგდება სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან.

ყურისწამლებად გრუხუნებენ მანქანები. მტვრის ბული დგას ირგვლივ და ამ მტვერში ტრიალებენ კუნთმაგარი მუშები.

გათენდა.

გაცოცხლდნენ საამქროთა უზარმაზარი კორპუსები.

ჩართეს დაზგები, დაიწყო შრომის მორიგი დღე.

ქარხნის შესასვლელთან დამორდნენ ერთმანეთს მამა და შვილი. გოგი დაწინაურდა, ძრავის საამქროში შეუხვია. გიორგი მარტო მიჰყვება ნაძვანარში გათელილ ბილიკს. ხელში ქუდი უჭირავს. კოქლობით მიაბიჯებს დეგაკცი. მის სახეზე ვერც დიდ სიხარულს ამოიკითხავთ და ვერც დიდ წუხილს. თვალბში ძნელად შესამჩნევი ნაღველი ჩასდგომა. მორიდებით უქრავენ თავს, გამარჯვებას ეუბნებიან და ისიც ძღვენივით არიგებს სალამს.

სამკედლოსთან სანდრო მელა წამოეწია.

— დილა მშვიდობისა, ბატონო გიორგი!

თავი დაუქნია გიორგიმ. ერთად განაგრძეს გზა.

— ასე აღრე რად გარჯილხარ, სანდრო? — ჰკითხა გიორგიმ.

მელიას გაუხარდა გიორგის გამოლაპარაკება და იმ წამსვე უბასუსხა:

— გორკში მივემგზავრები, ბატონო გიორგი. აღრიანად მინდა გავამზადო სამიწილინებო საბუთები, ისე უკუღმართადაა აწყობილი ჩემი ცხოვრება, რომ ამ თვეში მესამეჯერ მიხდება გამგზავრება, დიდსა თუ პატარა საქმეზე მე უნდა წამომკრან ხელი, დამალი ღობე ვარ, ყველა მე შერევა. ისე მგზავრობას კი შევეჩვიე, ველარც ვჩერდები ერთ ადგილას. — სანდრომ ჩაახველა, გიორგის ახედა და განაგრძო:

— ჩვენს დირექტორს საქმეს რა გამოუღევეს, სულს არ მოგათქმეინებს, თითქოს მოტორი შედგას ფელის მაგიერ. ერთი ფიქრით სამუშაოდან განთავისუფლებაც კი დაეპირე, მაგრამ სად უნდა წავიდე... გამწელდა სამსახურის შოვნა. ჰოდა, მატარებელში უნდა დავალამო და გავათენო, ბატონო გიორგი, ესაა საქმე?

— თვითმფრინავით იმგზავრე!

— აჰ, აჰ! ღმერთმა დამითაროს. თვითმფრინავში რაეა ჩაეჭდები!

— გეშინია?

მელიამ ჩაიციხა.

— არც უშავისობაა. მხოლოდ ერთხელ გამოვფრინდი მოსკოვიდან, ჩვენი განყოფილების უფროსმა, დავითმა, გამომიძახა სასწრაფოდ. სული ძლივს ჩამოვატანე და თავბედი დავიწყველე.

— გაწყინა?

— მაწყინა ჰქვია! — სანდრომ თავი გააქნია, ყურებზე მოისვა ხელი, თითქოს ახლაც ესმოდა უსიამოვნო წუთი.

— თქვენ თვითმფრინავით გიმგზავრიათ, ბატონო გიორგი?

— ბეგრჯერ!

— ჰო, რა თქმა უნდა, თქვენ ნაომარი კაცი ხართ, ყველა ტკივილს შეჩვეული. თმის დროს მეც ბევრი ვიწვალე, მაგრამ თვითმფრინავში ჯდომა არ შემხვედრია.

ამასობაში საამქროში შევიდნენ. გიორგი კარებთან შეჩერდა და თვალი მო-

ავლო დაზგებთან მოფუთაფუტე მუშებს. კარგახანს იდგა ასე ქანდაკევიც, ბოლოს მოიხედა. მელიაც იქვე გაჩერებულყო.

— რას უყურებთ, ბატონო გიორგი! იმ გოგონებში სარძლოს ხომ არ არ ჩევი?

ლომიძე მართლაც ქალიშვილებს უცქერდა, მაინც არ ეჭაშნიკა სანდროს სიტყვები.

— კარგი შვილი გყავთ, კარგი ვაჟაკია თქვენი გოგი, ბევრს უჭირავს მასზე თვალი და ღირსიც არის!

უცნაურია მამის გული. გიორგი კარგად იცნობს ამ ენაგაღესილს. იცის რომ მის სიტყვებში ცულწრფელობის ნატამალიც არ არის, მაგრამ შვილის შექება მაინც ესიამოვნა და მელიას მადლიერი თვალითაც კი გადახედა.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი, მე ბევრი რამ ვიცი, გიორგი ბატონო! ხომ გავიგონიათ ნემსი პატარაა, მაგრამ სად არ გაძერება... აი, თუნდაც ლალისა...

— ლალისა ვინ არის! — ოდნავ გაიღიმა გიორგიმ.

— ჩვენი საქმეთა მმართველი. მშვენიერი გოგოა, უმადლესი განათლებით, სანთელივით იღვევა გოგისათვის...

— შენ ვაგეშინია? — ახლა მართლა გაეღიმა ლომიძეს.

— არა, მაგრამ შეეპჩინე. ისე, ვითხრათ სიმართლე, გოგის შესაფერი ქალი არ არის, მაგრამ...

— გოგის მალე დავაქორწინებ!

— ლალისაზე?

— რატომ ლალისაზე! ვისაც თითონ ძურვეებს...

მელიას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღუმილი ამჯობინა. გუშანით მიუბედა ლომიძეს. გოგის ისედაც არ თვლიდა მტროქედ და ახლა, მით უმეტეს.

მელია კმაყოფილი იყო გიორგისთან შეხვედრით. თითქმის ყოველ დღით ასე იცოდა, შემოვიდოდა ქარხანაში და რომელიმე პასუხისმგებელ მუშაკს ატორღიალებოდა, საუბარს გაუბამდა, თავის გასაქირზე ცოტას წაიბუზღუნებ-

და და გაცეცხობდა. გიორგი ლომიძეს დიდი ხანია უტრიალებდა და აი, როგორც იქნა, ამ დილით „ჩაივლო“ ხელში. ახლაც მძიმე გვერდით იდგა დიდკუჩრად. გიორგის კი სანდრო მელაია აღარ ახსოვდა. საამქროში მოფუსფუსე ახალგაზრდებს გასცქეროდა.

სანდრომ ამოიოხრა.

— რად ოხრავ, სანდრო?

— თქმაც მიჭირს და უთქმელობაც, ბატონო გიორგი. ამ გოგოების ბედი მწუხრებს, ზედღე რას გვანან?

— რაო?

— თქვენ გამოცდილი კაცი ბრძანდებით, ბევრი რამ გინახავთ ამ ქვეყნად და ადვილად მიმიხედვებით. აბა, შესძელით და წარმოიდგინეთ ეს გოგოები მეთერთმეტე კლასის მერხებზე მტრედებოვით მოღუღუნენი, მეოცნებენი, სიყვარულისა და ბედნიერების მაძიებელნი, წარმოიდგინეთ?

ლომიძემ წარბები შეიკრა და პასუხი არ გასცა.

— არაფერს ამბობთ, ხომ! რა თქმა უნდა, ძნელია... მე რომ მკითხოს კაცმა, მაშუთმი გათხუბნული ქალის ყურება ვერაფერი სასიამოვნოა. მებრალე ბიან. აი, იმ ქალიშვილს ხომ ხედავთ! — ხელი მაიშვირა მელიამ დაზგისაკენ, — შეხედეთ, დაუკვირდით!

— მერე?

— შეელივით გოგოა, ვიცნობ მაგის შობილებს, იცოცხლე, ყოველმხრივ საესე ოჯახი ჰქონდეთ, არც მაგას აკლდა რამე, მაგრამ საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და პაიდა, ქარხანაში გამოიქცა.

— სწორად მოქცეულა!

— ვითომ? კი მაგრამ ვერ ხედავ როგორ მოხრილა ბეჭებში? სადღაა გუშინდელი ემხი და სიღამაზე, შეიყვარებს ახლა რომელიმე მავასავით ცხვირმოუხოცელი ბიჭი და მოჩა... —

— შენ ამ ქარხანაში არ უნდა მუშაო-

ბდე, მელაია, მეორედ ასეთი ლაპარაკი არ გამავიწყდეს, თორემ... დავით კვიციანი

სანდრო იმ წამსვე „დაუძვრა“ ლომიძეს და წავიდა.

გიორგი მთავარი კონვეიერისაკენ გაემართა.

მიდიოდა და სულ მელიაზე ფიქრობდა.

„შენისთანები ვერ გაუგებენ დღევანდელ ახალგაზრდებს, მელაია, მაინც საიდან მოათრევენ ამოსთანა გადადგარებულს, ერთი ვლადიმერს უნდა გკითხო მელიას შესახებ“ — გიორგიმ კარებში გასვლისას ისევე გოგონასაკენ მიიხედა.

გოგონა იღიმოდა.

რადაც მიმზიდველი, მაგრამ თითქოს ნალვლიანიც იყო ეს დიმილი. შავი, უზარმაზარი დაზგა ვუგუნებდა, ზანზარებდა. ამ გუგუნს მართავდა შნოიანი, ქართველი გოგონა.

დაზგა ზანზარებდა, გოგონა იღიმოდა.

გიორგიმ გზა განაგრძო, მთავარ კონვეიერთან შეჩერდა, თვალი ცაყოლა თვითმცლელს, რომელიც კონვეიერიდან ის ის იყო ჩამოვიდა, შოფერმა შეუჩერებლივ გაიყვანა მანქანა ეზოში, სადაც ასობით ასეთი თვითმცლულები იდგა. ვილაცას მივსალმა ლომიძე, ვილაცას ხელი ჩამოართვა, მერე მთავარი კონსტრუქტორის კაბინეტისკენ წავიდა.

სანდრო მელაია კი ამ დროს დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოსაყდელ ოთახში იჯდა. ხელში საქარხნო გაზეთ „ლენინელის“ ახალი ნომერი ეჭირა. ვაზეთი საზეზე ჰქონდა აფარებული, თავად ლალისას უჭერეტდა.

ლალისა თავის საქმით იყო გართული და მელიას ყურადღებას არ აქცევდა. ოთახში რომ შემოვიდა, ოდნავ თავდაკერით უპასუხა სალაშზე. მერე ქალღღებში თავი ჩარგო, მელიასკენ არც კი გაუხედავს.

თიბერაზ ჯანაღალიძე

ძალა მიწისა

პოემა

1

ომგადახდილი ღომა ბიჭები
გერმანიიდან მოვაბიჯებდით.
შინ ვბრუნდებოდით გამარჯვებულნი,
ამაყ გულით და მალალ ოცნებით,
ღვიოდა მიწა დამარჯნებული,
მაისის ტუჩით დასაკოცნელი.
ეს ეხლებოდა ფრთები დროშების,
მზეში დნებოდა დილის ცისკარი.
...არ მიმელოდა თეთრი კოშკები,
არც მუხისაგან თლილი ჭიშკარი,
არც საპატარძლო, —

ოქროს ჭოშები
სარკმელთან მდგარი, გზისკენ
მზირალი,
ჩემთვის მტირალი, ჩემთვის
მცინარი...

პატარა სახლი, პატარა ეზო,
ვარდი რომ დარგო, ია რომ სთესო,
ქედლები, კირით შეუფეთქავე,
ძველი კარები დასაკოცნელი,
მოხუცი დედის გული მფეთქავე,
ქმარზე მგლოვარი, შეიღზე
მლოცველი.

მარტო დარჩენილ ქალის უღელი,
დიდი ლოდინი, მძიმე წუხილი...
ო, ალბათ, დრომ და ომმა დაქანცა,
ვიფიქრე ეს და მომაწფა სევდა;
ფიქრით დასდევდა ჩემს გზებს
დაკვანძულს,
თვით ჯოჯოხეთშიც ხმას

მომაწვდენდა,
წერილებს მწერდა მეზობლის
ხელით...
— გასწი, დედა და სახლკარი გელის!
გაიღოს კარი,
ამაღლდეს ჭერი!

2

პატარა სახლი, პატარა ეზო,
ვარდი რომ დარგო, ია რომ სთესო...
იმ ეზოში ვარ, იმ სახლის წინ ვარ,
ბეჭზე შოლტს მირტყამს ზაფხულის
წვიმა,

მიწაზე ყრია ღამის გიშერი,
მე საკინძს ვინხნი და თავშიშველი
გავრბივარ, —

ჩემი შინ დაბრუნება
უნდა პირველმა დედამ გაიგოს,
გადავიწყდეს დამაბუნება
და ია-ვარდი ფეხქვეშ გაიგოს,
კარი გაიღოს, სადაც დავტოვე
დედის სიჭკვირვე და სიმარტოვე...
მივვარდი კარებს და ტივმა კლიტემ
შემაერთო,
მეკრდში გულს ველარ ვიტევ
და ჩავიკეცე კარებთან უხმოდ.
კარის დირეზე ვიჯექი ერთხანს
ფეხმოკვეთილი უტყვიოდ, უხმოდ
და ირგვლივ ღამის წყვილი
მერტყა.

მხრიდან მოვიხსენ მხედრის ტომარა,
ძლივსლა წამოვდექ გაქვავებული
და ჩემმა თვალმა ველარ დამალა
ცრემლები, გულში დახვავებული.
მეზობლის კარებს მივუკაყუნე,
ვინ ხარო? — ენა ვერ მოგაბრუნე;
ო, ღმერთო კარგი ბედი მარგუნე,
კარგი პასუხით შინ დამაბრუნე!..
აინთო შუქი, გაიღო კარი,
კარებში იღდა ძია გიგოლა.
სალამი მეთქი, ვთქვი ხმის კანკალით,
იმან კი თითქოს ვერ გაიგონა.
ჩემი ცნობა თუ უჭირდა, ალბათ,

გაოგნებული ჩამცქერდა ხარბად.

— არჩილ, შენაო...

იყვირა მერე
და მკერდს ჩამიყრა ღვიძლი

შვილივით,
მე ვგრძნობდი იმის მორთოლვარე
ხელებს,

იმან იცოდა ჩემი ტკივილი...

მე რა ვიცოდი...

— შემოდი, შევილო...

ჰო, დედაშენი?..

(სიმშვიდეს ცდილობს,
თავს ძირს ჰხრის თითქოს რალაცას
მალავს)

ის ბიძაშენთან წავიდა ლილოს,

— როდის და გუშინ...

ჯალაბო, ჩქარა,
გამოაღვიძე ე თამრო გოგოც.

ნატის არჩილა დაბრუნებულა!

...ვაპ, თუ მიცოდებს, ეი თუ

შხოგავს,
ვხედავ მარიდებს თვალს უნებურად.

შებრუნდა, ოთახს მზერა მოაელო,

— სუფრა გააწყეთ, ჩქარა ზედაზე!

— მერე და, ძიავე, როდის მოვალო?..

— ხვალ, ჰო, ხვალ დილას ნახავ
დედაშენს.

3

და ვნახე კიდევ...

მე ვნახე დედა —

ბატარა მთაზე ბორცვად ქვეული...

ცინცხალ მიწაზე ელავდა მზე და
იშმუშნებოდა მიწის სხეული.

გულდაკოდილი ასი ხანჯალით
უხმოდ ვიდექი გაოცებულო;

ყელს იღერებდა ყვავილთა ჯარი
იმ ბორცვზე მორცხვად აცოცებულო.

განა ბორცვია? დედაჩემია —

აღარც მლოცველი, აღარც მგლოვარი,

სადგომად ეს მთა აურჩევია,

კაბა ჩაუცვამს ყვავილოვანი.

...შენ ხომ შევ კაბას არ იშორებდი.

ქვრივის რათ დაჯჭირდა ეგ ქრელი კაბა...

შვილმა გამოვლო შორი შორეთი,

ომს გადაურჩა, გზა შენსკენ ჰკაფა...

იქნებ შენ მოსვლა გაიგე მისი,

გასტეხე ქმართან ნათქვამი ფიცი
და ქრელ სამოსში გამოწყობილი
შვილს დედისერთას დახვდა
მშობელნი...

მე, ალბათ, ვგავდი მუხას ნამეხარს
და ასმა მეხმაც ერთად დარეკა,
დავემხე საფლავს...

არა! ამდენხანს

უნახავ დედას მკერდში ჩავექარ.

სიკვდილისათვის სად ჰქონდა მოცლა,
შვილის ლოდინში თუ ჩეძინა...

როდის მოასწრო ყვავილმა მოსვლა,
წერილსა მწერდა სამი თვის წინაც.

ჩამოდნა თოვლი დათოვლილ მთაზე,
ჩამოინამა გიგოლას თვალი.

(ალბათ, არასდროს უჭირდა ასე,
მძიმე ყოფილა მეზობლის ვალი.

ტოროდა მისი მკრთალი ასულიც,
ჩამოეშალნა შავად ნაწნავი).

— ორი წლის წინად დალია სული,
შვილის ნატვრაში მოკვდა საწყალი.

რომ არ მოგშლოდა დედის იმედი,
რომ შეხვედროდი ღიმით მშვიდობას,

შენ ვერ გაცნობეთ, ვერ გაგიმეტეთ,
ცეცხლში მყოფს რაღა ცეცხლი
გინდოდა...

არ დავაკელით პატივი ცხედარს,
არ ვადავანხმეთ შენი კარბალი,

წერილსაც ისევ თამარი გწერდა,
დედის კი არა, გულის კარნახით.

იღვა თავდახრით თამრო, თამარი
წამოსაფრენად წამოჩიტული,

ქუფრად შეკრული წამწამთ კამარით
საფლავს დასცქერდა

წარბმომვილდული
დედის მაგიერ ეს დედისერთა

მწერდა და ვწერდი, ვწერდი და
მწერდა,

იმდენ თბილ სიტყვას, სიხარულს,
სევდას

სად პოულობდა ეს ბავშვი, ნეტავ...

ეპ, იქნებ იგი არც იყო ბავშვი,
მე კი რატომღაც ასე ვფიქრობდი...

გამოვიყეტე მთელი თვე სახლში,
წუხილის ხანძარს ვეღარ ვიქრობდი.

დედის საწოლთან ეიჭექი დიდხანს,
მომსვლელს ხედებოდა სუფრა ღარიბი.

მომისამძიპრეს, ნუგეში მითხრეს
 ზოგმა გულწრფელად,
 ზოგმა ცალი ყბით.
 მხართ ამომიდგა მე სოფლის მხარი,
 გულში იმედის შუქი ჩაირცხა
 და სისხლი, ომში მკერდზე მიმხმარი
 დედაზე დაღვრილ ცრემლმა ჩარეცხა.

4

ველარ გავძელი ცარიელ სახლში,
 ფართოდ გავადე კარები სახლის,
 დაძინდილ შინლით გავედი ხალხში,
 ყამირის ბელტით ეფერავდი სახნისს.
 მინდვრად, შრომაში ნათამამარი
 სახლში ვიყავი კაცი უმწეო,
 გადმოირბენდა ხოლმე თამარი,
 გამიმზევებდა ოჯახს უმზეოს.
 მიალაგებდა, მოალაგებდა,
 ოთახს დაგვიდა, სარკმელს აღებდა.
 იმ ვოგოს ზრუნვა გულს
 მითრთოლებდა,
 სახლი ხომ მუდამ ქალის ხელს
 ითხოვს,
 ის წავიდოდა, მე მიტოვებდა
 რალაც მშობლიურ სურნელს და
 სითბოს.

ბავშვი მეგონა.
 ცისფერთვალბას
 მართლაც ბავშური ღიმი შევნოდა,
 იმ წელს მეათე კლასდამთავრებულს
 მოწაფის კაბა შემორჩენოდა.
 გადმომხედავდა წამწამთ ჩეროდან,
 გულის-სიღრმიდან ნათელს დაღვრიდა,
 ჩემი შეხედვის თითქოს რცხვენოდა,
 გაწითლდებოდა, თავს ძირს დახრიდა.
 მე კი უდროოდ თმადართვილული
 ცივი ვიყავი როგორც ყინული,
 არც რა ვიცოდი სიყვარულისა;
 ან მისი სწავლა ვინ დამაცალა,
 ომმა მაწვალა, ჩემი გულისთქმა
 შრისხანე ბედმა ცეცხლს ანაცვალა.
 იმ დღეს ვიგონებ, ვგმინავ და ვხვნეში,
 გულზე მოწოლილ ცეცხლს ველარ
 ვაქრობ,—

ბავშვი მეგონა...
 ღვინობის თვეში

მომიკაცუნა კარებზე შაქრომ.
 სოფელში ჩემი ჩამოსვლის შემდეგ
 გზაზე შემთხვევით მხედებოდა
 დღემდე.
 თავი ამაყად ეჭირა მუდამ,
 სალამს მიგდებდა როგორც წყალობას
 და ცარიელი ჰაერის გულა
 გულით კუშტობდა, სახით
 მწყრალობდა.

ის ბიჭი ჩემთან ერთად სწავლობდა,
 ჩემი კბილაა, ჩემი ტოლია,
 მაგრამ მას ჩემთან არ უბრძოლია.
 წაუედით მისი ამხანაგები,
 ის სახლში დარჩა რალაც განგებით,
 ომისა არც რა გაუგია რა,
 შენ მომიტევე თუ იმის სახელს
 ვახსენებ ასე აუგიანად.
 — არა მაქვს მოცლა, დღემდე
 წვალება,

აქ დავალემა, იქ სამსახური,
 მითხარ, რომელ ერთს დავემალემა,
 და ჰა, გამექცა მთელი ზაფხული.
 მე დღემდე შენთან მოსვლაც ვერ
 შევძელ,

ვერ ამოგიდექ ქირში მხარიმხარ,
 მაგრამ მერწმუნე ვფიჭრობდი შენზე,
 შენ ხომ ბავშვობის მეგობარი ხარ.
 მან გული გახსნა ძველი სკივირით,
 სიტყვის მდინარე ჩქეფდა ლივლივით;
 მომიითხრო, მაგრამ კი არ მომიითხრო,
 დახატა რალაც ფერებით შავით,
 იმ გარდასული მძიმე ომის დრო
 და იმ დროს მისი „ტანჯული“ თავი.
 შრომით, წვალებით დაღვრილა
 ოფლად,—

უმაღლესი და თბილისში ყოფნა,
 კონსპექტის წერა, ადრე ადგომა,
 პურის რიგი და კიროვის ბაღი,
 კურსიდან კურსზე მძიმე ნახტომი,
 შუქშენილბვა და ფოიერბახი.
 — მაგრამ გავუძელ ყველა სიძნელეს
 და ადვოკატად მოუველ სოფელს,
 გზას კვლავ ილალი შრომით
 ვიგარძელემა,
 ვგონებ რომ ვჭირდები მოძმეს და
 მშობელს.
 მართლაც რომ მძიმე წილხვედრი

გეჰონდა...—

წამოდგა, ბრძნულად დაასკვნა ბოლოს;
არ გამიხსნია მე გული ოდნავ,
მიწას ჩავცქერდი და ვდუმდი
მხოლოდ.

შაქრო კი იდგა წეროსავითა,
ვერ მივმხვდარიყავ, ჩემგან რა სურდა,
ძმად მიგულეო, თქვა და წავიდა
და ეს შეხვედრა ასე დასრულდა.

5

მეწვია შაქრო სხვა საღამოსაც.

— კარგია თითო ბოთლის გამოცლა,
დამეპატიე სახლშიო, არჩილ.
მაგრამ მე აბა რას გავყვებოდი,
თვითონ ვიდექი მასპინძლის ვალში.
დავსხედით, ათას ამბავს ჰყვებოდა,
მეც გავხსენ გული, ვიქეცი ყბედად,
(ღვინოც მაგარი გამოდგა ბედად).
დაშაქრდა ენა, სიტყვები ვქარგეთ,
ვინ არ ვახსენეთ, რა აღარ ითქვა
და ბოლოს, როცა შევეთვერით კარგად,
სიყვარულზედაც ჩავარდა სიტყვა.
მე რა შეთქმოდა...

დაიწყო შაქრომ

— არ გაიკვირვო ვიცინი აქ რომ,
ვათენებ თეთრად, ვალამებ ტანჯვით,
გული დამჭრია ტრფილის ხანჯლით,
ჩემს ღრმა სიყვარულს არა აქვს კიდე;
ეს მანაც იცის, ვუყვარვარ კიდეც.
— მაშ რაღას დარდობ ასე თუ არი.
— რას და რატომღაც მითხრა უარი.
— თუ სიყვარულის წამალი წამლობს
გულის ჭრილობაც მორჩება მალე.
ვინაა იგი?

— ვიგოლას თამრო,

ვისი ტრფილიც ველარა ვმალე...
დამარტო მზერა მან როგორც ხმალი
მართოლვარე გულზე დამეცა დამლა
ყრულ ჩამესმოდა ხმა საიდანდაც
— ჩემი ძმობილი, ძველი მცნობელი
შენ ხომ იმისი ხარ მეზობელი,
გყურებს როგორც თავის ძმას
უფროსს,

შენ გაგიგონებს, გენდობა უფრო.
რატომღაც ძლიერ მეტყინა გული,
თითქოს ენახი ჩარეგვეს სეტყვით,

მძიმედ ებორგავდი სულგანაბული,
ისლა ვთქვი, ჯერ ხომ ბავშვებიმეფე
და შემდეგ ენა ველარ დეკარის...
ვეება ყანწი უცებ დავცალე,
რათა ჩამექრო გულში ხანძარი.
და ჩემს თვალთა წინ დადგა თამარი,
როგორც ვარსკვლავი ნაკამკამარი,
როგორც ცისკარი დამორცხვებული,
შეშფოთებული,
გაოცებული.

6

იმ ხანში ერთი ქალი გვეწვია
და ავრონომად დაუდგა არტელს;
იმ ქალაქელმა ქალმა, მზეწვიამ
გულში ხანძარი ჩაუნთო რამდენს.
ვიგოლას სახლში დაიდო ბინა
და თამროც მალე დაიდობილა.
მეც ჩემთვის ჩუმად ვიდაგებოდი,
ცის კარად მექცა მეზობლის კარი,
ღილით მზე და ის ერთად დგებოდნენ,
ორივ თვალს მჭრიდნენ უცნაურ
ძალით.

ვერც კი გავიგე ისე იალა
პირველმა ტრფობამ, პირველ იარამ;
მალე ვიდაცა უცნობ მეღექსის
ღექსმაც სოფელი ჩამოიარა
„ვისია ქალი ცისია,
მიწის მანანა, ცისია,
მე ჩუმად ჩემად ვიგულე,
მაგრამ, ვაი რომ სხვისია“.
...მაინც ვისია ქალი ცისია,
ვის დაუჯდება გულის ღედოფლად...
ამ ფიქრმა დარდი შემომისია,
თვალზე ზაფრანის ფერი მედო მთლად.
და სწორედ შაქროს მოსვლის

წინადღეს

იმგვარად მოხდა, როგორც ვინატრე.—
ერთად დავბრუნდით სახლში

მინდვრიდან,

წამოგვეპარა საღამო გზაზე.
როგორ მწყუროდა, როგორ მინდოდა
ქვეყნის ბოლომდე სულ გვევლო ასე...
მერე ჭიშკართან ვიდექით დიდხანს,
მთვარის ცრემლები დავგვეცა ნამად,
და უნდა შეთქვა ის ერთი სიტყვაც—
მალაპარაკა ამდენი რამაც,

რომ უცებ თვალი მოვკარი თამარს.
გაკვირებული იდგა ჭიშკარში
როგორც ცისკარი დამორცხვებული,
ჩემს თვალში უცებ გაზრდილი ბავშვი,
შეშფოთებული,
გაოცებული.

ივრძნო როგორც კი შევევლე თვალი
და მოსწყდა როგორც დამფრთხალი
შველი.

მალე საჯახშმოდ წავიდა მთვარე,
მთვარის შუქს მცემდა თვალთა გიშერი.
მენტო ცისია როგორც ცისკარი,
გულზე აპრილის წვიმა მედინა
და სიყვარულის გზაჯვარდინად
იმ ღამეს მეტეა თამროს ჭიშკარი.
იტყვი, მამ რატომ დამწყვიტეს გული
შაქროს სიტყვებმა, შაქროს
სურვილმა,

დაგხარე თავი დამძიმებული
უცნობ ტკივილით ჩამობურვილმა.
თვალწინ დამიდგა თამარი ბავშვი,
(რამ დამიბრძავე თვალუბი ისე!),
წინ მედგა შაქრო ჭადარი თმაში,
ტუჩზე ეკიდა ღიმილი მქისე;
განა კაცს თეთრი დაეზრახება? —
(ცხოვრების გზას რომ სისხლით
ვლარავდი,

თვითონ მეც ბავშვი გავქლარავდი)
კაცს ეზიზღება, ხალხს ეზარება,
როცა გულს შავი შეეპარება.

7

რა გავარძელო.
იმ დღიდან უკვე
ჩემს სახლს მოაკლდა თამარის ხელი,
ვერც ვგრძნობდი ამას...
ცისიას შუქი
თვალუბსა მჭრიდა მწველი და ცხელი.
ერთხელაც იყო, საღამო ხანზე
თამრო დამადგა მოულოდნელად;
წერილი მომცა და გადგა განზე.
თეთრი ქალაღი გავშალე ხელად,
დავკარი თვალი ცისიას ბარათს:
„მე ხვალე დღით მივდივარ ქალაქს,
შენც ჩემთან ერთად წამოდი არჩილ,
შენც ჩემთან ერთად ერთ-ორ დღეს
დარჩი,
სულ მინდვრად ყოფნა არ გეყო განა?“

ვითომ შემთხვევით, გაგაცნობ თანაც
„შენს სასიღედროს, შენს სასიამაოროს...
დააბარეო პასუხი თამროს“
სიხარულისგან გაგვიყდი ღამის,
წამოვხტი, უცებ ვაკოცე თამარს,
თითქოს იმ წუთში ვიგრძენი წამით,
რომ ცრემლის წვეთი დამეცა ნამად.
ჩაეხედე თვალში, თვალს მარიდებდა,
თან უცნაურად იღიმებოდა,
თურმე მის გულში ჩამდგარი სევდა,
ჩემს შეუმჩნეველად ცრემლად
დნებოდა.

მერე ორიოდ სიტყვა დამარცვლა:
გახარებული იყავო მარად...
კართან მივიდა, გაალო წყნარად.
— თამრო, ნუ წახელო! ცოტა დამაცა,
შენთან სათქმელი მქონდა რაღაცა.
ძლივს მოვაბრუნე, დაუდგვი სკამი
და ყრუდ აწვილდა ჩემს ყურში წამით:
„გიყურებს როგორც თავის ძმას
უფროსს,

შენ გაგოგონებს, გენდობა უფრო“...
მამ თუ ასეა, მეც მივცემ რჩევას,
რომ შაქროს ბრძყალებს გადავარჩინო,
ვამბობ, რომ ქალაქს წავიდეს

წლუთს,
ვამბობ, სწავლაა მისთვის საჭირო,
ვამბობ, რომ უფრო გამოადგება
სოფელს უმადლესდამთავრებულს;
მისმენს და უცებ ფეხზე აღგება
ვით ნაღვინევი და მთვარეული.
ერთხანს მიყურებს როგორც
სხვისიანს,

წარბებს შეიკრავს ცისარტყლის
რკალად,
ამბობს: გადავცემ შენგან ცისიას,
რომ მასთან ერთად მიდიხარ ქალაქს.
თამრომ პასუხად მხოლოდ ეს მითხრა
და შემაყინა ბაგეზე სიტყვა.
კართან მდგარს ვკითხე, რა მოგდის
მეთქი,

შენ ხომ გიყვარდა ჩემთან სტუმრობა-
თამრო, რით ავხსნა, რატომ არ მეტყვი,
შენი ასეთი უცნაურობა.
უცებ შემანთო თვალი გიზგიზა,
შედგა უზრუნველ ღიმიის მთოველი
და ისე ლალად გადიკისკისა,
რომ გამიფანტა ეჭვი ყოველი.

8.

ჩვენ მთაწმინდიდან დავცქერით
 ქალაქს,
 თბილისის მხარ-ბუქს არ უჩნდა კიდე,
 იმ წუთს უბრალო მთაზე კი არა,
 ბედნიერების მწვერვალზე ვიდექ-
 გვერდითა მყავდა ჩემი ოცნება
 და ხვალინდელი უღლის გამწვევი,
 სიცოცხლე ტუჩებდასაკოცელი,
 მზე, ნამდვილ მზეზე უფრო დამწველი.
 ცისიას თვალბს ჩაეჩერებვიარ,
 უძიათობა დიდი ბრალია,
 ვეხდავ ცას სხივთა ჩანჩქერებიანს
 და დედამიწას ფირუზ-ლალიანს.
 იმ თვალთა ელვამ შემაბარბაცა,
 რა ერუანტელი დამჩემებია...
 ასე ლამაზად, ასე წარმტაცად
 მე ვერ თბილისი არ მჩვენებია.
 რა დიდი იყო, რა დიდებული
 დედა, რომელსაც ვეძახით თბილისს!
 მერე ხელიხელ ჩაკიდებულნი
 ჩავეყვით ჩაღმა ჩამავალ ბიოკის.
 ის გვერდით მომდევს სახემცინარი,
 თამამიცა და მორიდებულიც
 და ვაგვიტაცებს ხალხის მდინარე
 რუსთველზე ტალღებმოდინებულნი.

კარშიგნით ზარმა გაიწკრილა,
 მალე კიდევაც გაიღო კარი;
 მკერდში ზღვა ბორგავს გული კი არა
 და ცხელ დაწვებზე ამყარია პწკალი.
 თითქოს წინ მეღვა მე ბეწვის ხიდი,
 ცხოვრების გზაზე მუდამ მხნედ
 მავალს
 მიპყრობდა რალაც შიში და რიდი, —
 როგორ მიძილებს ცისოს დედამამა,
 არ მოუვიდე თვალში ეგება...
 ღია კარებში გამოგვეგება
 ცისიას დედა
 და მე რატომღაც მეჩვენა ისე,
 რომ აღმაცერად ამხედ-ჩამხედა,
 თითქოს მზომავდნენ თვალები მისი.
 ჭერში ბრჭყვიალებს ქალის ცხრა
 თვალი,
 დარბაზს ელფერი დაპკრავს
 მდიდრული,
 ცისიას მამა ცხვირზე სათვალთ

ზის სავარძელში თავჩაქინდრული.
 შეგვხედა, ფეხზე წამოდგა უმალ...
 ირგვლივ კეთილი ღამის მფანტველი;
 ამბობს ცისია: იცნობდეთ სტუმარს,
 ბრიგადირია ჩვენი არტელის.
 თქვა და თან ჩუმათ ჩამიკრა თვალი
 და აღუღუნდა ბავშვის ბავითა,
 საუბრის ძაფი გაიბა მალე
 და მივუსხედით ვაშლილ მაგიდას.
 ცისიას დედამ წუწუნს უმატა
 და ყველას სიტყვა გაგვიწყვეტინა
 (შევეტეოდი ვახშამს უმალოდ,
 გულის სიღრმეში რალაც მეტყინა.)
 დაიცვრიანა მან თვალთა უბე:
 — ვაიმე შეილო როგორ დაგლუბე,
 ასეთი ნაზი, ასეთი კარგი
 დასაკარგავმა სად გადაგკარგე.
 ცისიას მამამ შეიკრა შუბლი,
 რატომ ამბობო, წარმოსთქვა მკაცრად,
 დედა კი უფრო წამოიღრუბლა,
 ღამის ღოყებიც ჩამოიკაწრა.
 — როდემდის გინდა ვიყო უბარი,
 სიმართლეს ვიტყვი თუნდ ხმალს
 ამაგონ,
 ნეტავ როგორ სძლებ პირდაუბანელ
 გლუხის ქალებში, ჩემო ამაგონ...
 კაცს ერთი შეილი ჰყავდეს და ისიც
 სადღაც სოფელში გადაკარგული...
 არა, შენ შეილის არ იყავ ღირსი
 და მეც რატომღა მომიკალ გული.
 თქვა და დაუშვა ცრემლის მზაპუნა
 და სხვა ოთახში გავარდა უცებ.
 გულში გამერტო ცხელი შამფური,
 გამომეცალა ფეხებქვეშ ფუქე.
 ჩვენც წამოვდექით. წამწამებს ღამაზს
 ნამავდა ცისო გულდამთუთქველად,
 ღია კარებში შეილსა და მამას
 დავემშვიდობე სიტყვის უთქმელად.

9

მე არ ავიწერ სოფლის მშვენებას,
 საკუთარ თვალთ თვითონვე ხედავ-
 სოფლად ცხოვრების თუნდაც ხსენება
 რათ ეჯავრება ზოგიერთს ნეტავ?

ივიწყებთ მიწას — მშვენიერ მშობელს,
 ცხელი ასფალტის ერთგულები ხარო

და თუ კურორტი არ ჰქვია სოფელს არ ჩამოდიხართ შევბუღებითაც. ნუ მიწყენ, ჰოდა ჩვენი მგოსნებიც ჩვენთან მოდიხართ მხოლოდ ოცნებით. სულ ორ ნაბიჯზე ქალაქში ზიხართ, გინდათ რომ შრომა იქიდან გვიქოთ და ბავშვობაში აზელილ თიხას დუღაბად ატანთ თვითთულ სტრიქონს. წერთ, გენატრებათ სოფელი ძლიერ, გავლა ყანაში, წოლა ბალახში, რომ რუსთაველზე ყიდულობთ იებს, რომ არ შრიალებს ყანა ქალაქში. სოფლად დარჩენილ დღეზე ჩივილით მესასედ სტოპავთ ბალღობის რიყეს, წერთ რაღაც დარღით, გულის

ტივილით, თითქოს სოფელი შორს საღვაც იყოს და ძნელი იყოს მისი მიგნება. მე წამიკითხავს თქვენი წიგნები, (ნუ გამიწყურები, ვცდები იქნება, მაგრამ გთხოვ პირძი მთქმელად მიცანი), მათში ვერ ვხედავ დღევანდელ სოფელს, ისეთ სისხლსავსეს, შექჩაუჭრობელს და ისეთ წარმტაცს როგორიც არი. ქალაქელებზე ვიტყვი აღარას, გულს მიკლავს ზოგი თანასოფლელი; მან უქმ ყიალით გზები დაღარა, იქ დარჩა, რადგან ვახდა შოფერი. ის სასოფლოზე სწავლობდა, მაგრამ მის თვალში უკვე სოფელი გაქრა, შედგა ზედსიძედ და მევენახე ლუდის კასრებთან მელუდედ ვნახე. მე არ გიხატავ სოფლის მშვენიერებას, მისით შენც აღარ მოგესვენება. ჩანგურს ყანის ფხა სიმაღ გაუბი, არ დაგარჩეს სოფლის წინაშე ვალი! ...ზოგიერთი რომ სოფელს გაურბის, იქნებ ამაში შენც ვიდევს ბრალი...

10.

პირველ ცეცხლს ვენდებ თვალდახუჭული, მივანდებ გული ცრემლით დაშალი, სოფელშიც მალე ატყდა ჩურჩული, ყველამ გაიგო ჩვენი ამბავი. თუმცა ცისია ჭერ არ ჩქარობდა, მაგრამ ვუყვარდი თვალშვს, ენაშვს.

ბევრი მლოცავდა, ბევრს უხაროდა, რომ ავანთებდი კოცონს კერაზე. უფრო დავრწმუნდი—სოფელს თავისი შვილი ყოველთვის რომ ყვარებია; მე მხოლოდ შაქრო ძველი ხალისით იმ დღის მერე არ მომკარებია. თითქოს სალამსაც კი მიმადლოდა, ვეღარ მამჩნევდა ვით კენჭს ნაროყალს; გულის ხეაშიადს რაღად მანდობდა, ვერ ამომეხსნა, ვერ მიემხვდაროყავ. ამ გამოცანას ვერ მოვერიე. მტანჯველმა ფიქრმა დიდხანს მღია, გვიან გავიგე ეს ყოველივე, გვიან გავიგე, ძალიან გვიან. შაქროს თამარის შერთვა უნდოდა, ბევრი ეცადა, ბევრი უარა, მაგრამ თამარი შეხვდა უნდობლად და შეუთვალა ცივი უარი. მერე როგორღაც გაიგო თურმე, რომ თავიდანვე ვუყვარდი თამარს; ვით მოეთმინა ამაყს და თამამს, ზურგსუკან ჩუმად მლანძღავდა სულ მე.

ჩემთან კი ენა რარიგ გამართა, მეც ეუმასპინძლე კარგად თუ ავად, არც კი შერცხვა და ბოლოს თამართან შუამავლობა მე მთხოვა თავად. ახლა კი, როცა ის აღარ მთვლიდა თავის მეტოქედ, თავის რაყიფად, მხარს ისევ ცივად მიქცევდა გზიდან და გესლიანი ენაც აყეფა. ერთხელ სალამოს შევაველე თვალი, შაქრომ შეაღო მეზობლის კარი. არ ვიცი რატომ, უბრად დავჯექი შინ და მშვიდი ძილი ვერ მოვიმადლე; იმ ღამეს თამროს სახლის ფანჯრებში გვიანობამდე ენთო სინათლე.

11.

ბევრი თხოვნის და ყოყმანის შემდეგ ცისიას მამამ მოგვცა დასტური; ის კვირა დილა კვლავ მახსოვს დღემდე,— მოვარდა წარბებგადალასტული, ბედნიერ ღიმილთ ტუჩგაფერილი და წამიკითხა მამის წერილი: „როგორ დაგტოვო განუკითხავი, განა გული სულ გამოგიკეტე,

შვილო, შენს მეტი ვინ მყავს, მითხარი,
 ვით არ მინდოდეს შენი სიკეთე.
 შემოვახებდა ახლა ნეტა შინ,
 თუმც ჩემზე კარგად იცი. ყოველი,
 გაგონებაც კი არ სურს დედაშენს
 შენი მანდ ყოფნის და გათხოვების.
 მაგრამ თუ ასე ძლიერად გიყვარს,
 და თუ კი შენი მომავლის გჯერა,
 დამილოცინხარ, ბედნიერ იყავ,
 მუდამ უქრობი დაინთე კერა!
 დედა გაიგებს, ძლიერ გაწყდება,
 მაგრამ დრო გავა, ისიც დაცხრება.
 აღარ შეგხვდავს არვინ ირიბად,
 ენას მოიფხანს ყველა მოცლილი,
 და დედაშენს რომ შემოვირიგებთ,
 მაშინ გავმართოთ თქვენი ქორწილი...

...მაგრამ არ შედგა ქორწილი ჩვენი...

ამევსო გული სინათლის ჩქერით,
 ამენთო კერა, ამაღლდა ჭერი.
 ტბილად ვცხოვრობდით და დღე
 ყოველი

თაფლით აღსავსე ფიქსას ჰგავდა,
 გზას მინათებდა მზე შუქცხოველი
 და წუთისოფლის მეგზურად მყავდა.
 ცისიას ანჩხლი, როგორც დედა
 ვერ იქნა ველარ შემოვირიგეთ,
 შეიღს სახლის კარი გადაუკეტა,
 ქმარსაც შეუკრა გზა და ბილიკი.
 დღე დღეს მისდევდა და თაფლს
 ფიქიდან

ვიღაც თუ რაღაც სწუწნიდა ნელა,
 როგორ მიმძიმდა, როგორ მიჭირდა,
 მაგრამ არავის შეეძლო შევლა.
 დღე დღეს მისდევდა, ცისიას რაღაც
 ჭმუნვა ზყრობდა გამოუცნობი,
 შინ მოსულს აღარ მხედებოდა ლაღად,
 გახდა გულცივი, რაღაც უგრძნობი.
 წლისთავზე უკვე ბიჭი გვეყოლა,
 მაგრამ ამანაც ველარ შეცვალა,
 ბაგეზე ღიმი ამოქოლა,
 თვალს ცისკრის ეღვა ჩამოეცალა.
 და გამოიჩყდა ბოლოს ცისია,
 მითხრა ყვედრებით და ხმის კანკალით
 — ჩემი სიცოცხლე რის მაქნისია,
 რა ყოფნა არის ყოფნა ამგვარი.
 ჩემი თქმა რისთვის გუუტხოვება.

თვითვე გვეფიქრა უნდა ამაზე,
 რატომ შეეცალათ სოფლად. ცხოვრებას
 ახალგაზრდობის წლებში დამიჩინებდა
 მე როდი ვამბობ რომ შენში შევცდი,
 მე ისევ ისე მიყვარხარ კიდევ,
 მაგრამ სიცოცხლის სიტკბოს ვერ

შევწვდი,
 ჩემს გულის ტკივილს არა აქვს კიდევ.
 კარგად მისმინე, ასე ნუ მიმზერ,
 ჩემი სიმართლით გულთან მიმიშვი,
 იფიქრე ჩემზე, იფიქრე შეილზე.
 მას უფრო კარგად გავზრდით
 თბილისში.

ამ ყრუ სოფელში რა დაგვრჩა ნეტაც...
 ვიცი უსიტყვოდ მიგვიღებს დედა,
 ჩვენი შორს ყოფნით გულმონწყენილი.
 (თურმე მიეღო დედის წერილი).
 პოდა გაყიდე შენი სახლკარი,
 წავიდეთ, ქალაქს დავსახლდეთ, არჩილ!
 ...ცისიავ, ეს რა მეხი დამკარი,
 ამ თვალციხიერ უღრუბლო დარში...
 ვაგშეშდი, სიტყვა ველარ დავძარი
 და შეშლილივით გავვარდი კარში.

ღამე ისროდა შვინდისფერ შუბებს,
 იქნებ ებრძოდა ჩაძინებულ მზეს...
 გადამიღელა ნიავმა უბე,
 ფრთა გამკრა ახლად დაჩნეულ
 წყლულზე.

ვაზებში შეველ, უებრო წამლად
 თვალშესულ მტევნის ნამი მეჭურა,
 ვენახის თაფში ბეჭდილი წაბლი
 მთვარის ნათელში იღვა მეფურად
 და დედამიწას ბუღბუღთა ენით
 ტბილ ძილისპირულს უმღერდა
 ლხენით.

ვაზებში დიდხანს დავბუბუნებდი
 სოფლის ტრფიალის ცეცხლით
 დამწვარი,

დედამიწის და დედა ბუნების
 ერთი სხივი და ერთი მარცვალი.
 ვიდემ, უმწეოდ ვიმტვრევდი ხელებს
 და თან ვფურცლავდი გარდასულ
 დღეებს;

წინა წელს იყო.

ჩხრიალა ღელე
 საღამოს ზღაპარს უთხრობდა ხეებს.
 ღელისპირ, ხეთა ჩრდილში, მდელოზე

ერთად ვისხედით მე და ცისია, ხელი წამავლო მან საყელოზე და საკოცნელად წამოიწია. მერე შეავლო თვალი იფნიანს და მითხრა:

— ნუთუ არ ვიფიქრია, რა კარგი არის ამ დროს თბილისი— ზღვა შუქისა და ადამიანთა; მას მე რამდენჯერ ვნატრობ, ვინ იცის, რა ექნა ტყვილი არ დამიამდა. ვფიქრობდი, სოფელს შევეჩვეოდი, მაგრამ ახლა ვრძნობ მიჭირს ძალიან, არ გეწყინოს და ჩემთვის თვეობით აქ ყოფნა მართლაც დიდი ბრალია, თვითონვე მატყობ, საქმეშიც მიჭირს (ვატყობდი, მართლაც ამბობდა მართალს) მკობნის უბრალო სოფლელი ბიჭიც თავისყანისგან ძლივს ვარჩევ თავთავს. თქვენთან მოსვლამდე არც კი მენახა ბაღი, ბოსტანი, ყანა, ვენახი; ახლა ყველა ეს გადმეჭეცა ჭვარცმად, რადგან ჩემი გზა ვერ შევიცანი...

...ასეა ზოგჯერ არ იცის კაცმა თვისი მომავლის გზა და მიზანი.

12.

ცისიას მუდამ ვაიმედებდი, დარდისთვის როგორ გავიმეტებდი, სახლში თუ კარში ვედექი მხარში, გაათკეცებულ ძალით ვშრომობდი, ვბრიგადირობდი ჩემს ბრიგადაში, და მასთან ერთად ვაგრონობობდი. მაგრამ ვერ იქნა, ნაღველის ჩრჩილი ვერ ავაფრინე მისი გულიდან, ჰერქვეშ ნელნელა გამუქდა ჩრდილი, დიდხანს ვიკვებეთ მწარე პურითა. მისმა დედამაც ჭადონსურ ხელით ჩვენს გულთა შორის დაასო სოლი; ზან ცივი სეტყვა, ხან წვიმა ცხელი— ასეთად მეჭეცა კეთილი ცოლი. რაღაც მტკიცე ხმამ დარეკა ბოლოს ამ თბოვნაში თუ ამ მუქარაში „თუ ესურს ოჯახი, თუ გინდა ცოლი წამო ქალაქში, წამო ქალაქში!“

ძალს ის იყო და ძალს მე ვიყავი, ვერც მე დავძალე, ვერც მან დამძალა და ბოლოს ერთურთს გავფაროვდით ცხოვრების გზებზე დავრჩით ცალცალად.

13.

არჩილმა თავი მძიმედ ჩალუნა, მეც ენა ველარ მოვატრიალე; მაგიდის თავში იდგა ჩაფუნა, ჩასძინებოდათ ბროლის ფიალებს. აიენის სვეტზე მოქნილ მკლავებით ჯამბაზებზეთ აცოცებულნი ვაზები, მწიფე მტევნის თვალებით, თითქოს დაგვეტყერდნენ ვაოცებულნი. ხშირ ფოთლებს ნამი ჩამოემძივა, გაისმა პირველ მამლის ყვილიც, თუმცა ჯერ სოფელს ისევე ეძინა თავისი შვეებით, ლხენით, ტყვილით. საღდაც ბულბული ტკბილად გალობდა, გატეხილიყო დამე ბებერი, ვრცელ აივანზე დაფართალობდა სიო—რიყრაყის მაუწყებელი. სიბნელის ფუნჯით ცას მიხატული იცრიცებოდა მთვარის ნალევი, ჩქარობდა დილა მზით დარახტული და დაჭედილი ოქროს ნალეებით. არჩილიც უცებ ისევე აჩქარდა, თავი ასწია უღლის ხარივით, სველ ჩაფუნაში ღვინო აჩქამდა და ტაბაკაზე გადნა მარილი. — ჩემო სტუმარო, მითხარა ერთი, რომ არ გამეხსნა ეს გული შენთვის, სახლიდან ისე როგორ გამეშვი... კაცის სიცოცხლე, კაცის ცხოვრება ყოფილა ერთი თვალის მოვლება, დაჯექ, იამბობ თუნდ ერთ ღამეში. მოვსულვართ—ჩვენი ვალიც ვიცოდეთ, ნუ ვუღალატებთ გულსა და ნამუსს. მამ გაუმარჯოს, ვინც ამ სიცოცხლეს მთლიანად სწირავს ხალხსა და მამულს!

14.

—თამარზე მკითხავ?—იქნებ, სტუმარო, მე არც რა უნდა მეთქვა თამარზე, მაგრამ ეს დარდი ვის დავუშალო,

ვერ აუგედი ფიქრებს ამაზრუნეს.
 გული მტკივა რომ მეც მის წინაშე
 ჩემს უნებურად მიმიძღვის ბრალი,
 იმის უზრუნველ სიყმაწვილეში
 დავტოვე მძიმე ტყვიელის კვალი.
 ჩემით დააჩნდა პირველი წყლული,
 მე გავხდი მისი ტანჯვის მიზეზი,
 ვერ წავეიკითხე მე მისი გული—
 ვარდის ფურცელი უფაქიზესი.

...შაქრომ ჭიშკარი აუტალახათ,
 მწვანე „მოსკვიჩის“ მსუბუქ
 ბორობლებით,
 თამროს არ სურდა მისი დანახვაც,
 დაიყოლდა თამროს მშობლები.
 ბოლოს კი, ბოლოს გატყდა თამარიც...
 გაფრინდა ათი წელი ფრთამალი
 და შარშან მამის სახლს დაუბრუნდა...
 თავის გოგოთი და ნამზითვარით...
 ჩვენი სიცოცხლის სინათლეს მუდამ
 ჩვენ თვითონვე ვქმნით, განა მზით
 არი.

მხოლოდ მზიან გულს მოაქვს სიკეთე,
 სითბო, სიტკბო და ბედნიერება.
 ჩიტიც კი ბუდეს მამინ იკეთებს,
 როცა ტოლს შესტრფის, ტოლს

ეფერება.
 თურმე შაქროსი თვალიც, გონებაც
 შესტრფოდა თამროს მამის ქონებას,
 (თამროს მეტი ხომ არ ჰყავს არავინ).
 მოხუცს ოჯახი გაუჩანავა,
 ამოუსრუტა საესე მარანი,
 გამოუღია ბეღლის ბარაქა.

შაქრო ბრუნავდა ყველგან, ვით
 მორავი,

ქვეყანას სათლელ ყველს ადარებდა,
 მალე „მოსკვიჩი“ შეცვალა „გოლგით“
 და უზრუნველად დროს ატარებდა.
 იმ გულდრძობ კაცმა პირველ დღიდანვე
 ამოუშხამა სიცოცხლე თამარს,
 ია—აპრილის სუნთქვის მზიდავი,
 დააზრო ზამთრის მსუსხავმა ფრთამა.
 შაქრომ დაცინვით, ლანძღვით

ურციცხვით
 თამროს იმედი დაფქვა და გაცრა,

პირველ უმწიველო სიყვარულისთვის
 სამაგიერო მიუზლო მკაცრად
 ცოლმა თუმც ბევრი სცადა, იმთხინა,
 გონს ვერ მოაგო ქმარი მზაკვარი
 დაიმსხვრა თამროს გული ვით მინა
 და მიატოვა შაქროს სახლკარი.

15.

მიწას გულმკერდი შეერხა
 თრთოლვით.

გააქრილა გარეშემოსა,
 ჩვენ აივანზე ვიდექით ორნი
 და შევეცქეროდით დილის შემოსვლას.
 მოდგა დილა და უხილავ ხელით
 გაალო კარი ყოველი სახლის,
 წამოაფრინა მიმინო ცერით,
 ფხა მოუსინჯა სახნავში სახნის.
 გამოიღალა სოფლის ნახირი,
 დაგავა ეზო ფოთოლდაყრილი.
 პატარა ყანწით მოსვა არაყი,
 დახუნძლულ ზერებში ჩადგა ამაყი,
 დანა-მაკრატლით, გოდორ-ვიდლებით;
 ვაშლს მოუსინჯა ოქროს ვარაყი,
 მსხლეები მონახა წითელ-ყვითლები.
 და მხეც თავისას აღარ იშლიდა.
 მალლა ფრთას შლიდა როგორც არწივი,
 მხარიმხარ შებმულ ორი ჭიშკრიდან
 ერთად გავიდა ორი ყმაწვილი.
 გზას მიჰყვებთან სხივენამქერიანს
 თამროს გოგო და არჩილის ვაჟი;
 გზის პირს წყარონი ტუბილად მღეროან,
 თეთრმა ალვეებმა შემოჰკრეს ტაში.
 ამ გზას გავყურებთ მე და არჩილი,
 უღმილონი როგორ დავრჩებთ
 გვავიწყებს ტყვიელს გულში

ჩარჩენილს,
 ეს გზა, ეს დილა, გზა და ბავშვები.
 მიუხარიათ თვალმეტყვრილებს,
 თავზე დაქანათით მოწმენდილი ცა,
 სკოლის პატარა ზარი წკრიალებს,
 რეკს დიდი ზარი მზიან დილისა.
 ერთად მიდიან ამ ზარის ხმაზე
 და მზის ბილიცზე ინამქრებთან,
 მიწის ღიმილი კიაფობს ცაზე,
 გზაზე სხივების მინანქრებია.

ღამო მკვლავილი

ყ ა ბ ა ხ ი *

ექიმი კაკუნზე შემობრუნდა და გაოცდა: კარებთან იდგა ვიღაც ვეება და ოთახში შემოსვლის ნებართვას თხოულობდა.

მასპინძელმა პენსენე მოიხსნა, ერთხანს უცქირა, მერე ისევ გაიკეთა და, რაკი დარწმუნდა, არ მეჩვენებო, სახლში შეიწვია.

— გამარჯობა, ძია სანდრო, სიბნელე ძალიან გყვარებით.

— გაგიმარჯოს, — უფრო გაოცდა ექიმი.

დამხვდურმა ფანჯრიდან ფარდა გადასწია, მთვარის შუქი მოსულს სახეზე მიიბჯინა და დააკვირდა. მერე სკამი აიღო და შესთავაზა.

— სიბნელე არასოდეს მყვარებია. ამ წუთში დავბრუნდი ავადმყოფიდან და სინათლის ანთებაც ვერ მოვასწარი. რაც შეეხება სახლში ყოფნას, ეს ჩემი ვნებაა. მიყვარს დამღამობით აქ ჯდომა და მთვარის შუქში ალაზნის ქალებისა და მთების ცქერა. ოთახში გრილა და ფანჯრებიც ფართოა. ხოლო თუ სტუმარი ინებებს, შეიძლება ჩაი აივანზეც დავლიოთ.

— გმადლობთ, ძია სანდრო. რა თქმა უნდა, აივანზეც შეიძლება რქაწითელი მოწრუბოს კაცმა, მაგრამ სტუმარი ვალდებულია მასპინძელს დაემორჩილოს და, სადაც მას სურს, იქ დარჩეს საამო საუბრის მოსასმენად.

თანდათან განცვიფრებული მასპინძელი დაწყურული თვალებით ჩააკვივდა უცნობს და მერე წამოდგა:

— კარგი, რქაწითელი იყოს, მე თა-

ნახმა ვარ. სუფრა და ღვინო ადამიანებს აახლოებს და გულახდილს ხდის, იქნებ, მაშინ ინებოს სასურველმა სტუმარმა და გაამეღავენოს თავისი ვინაობა.

მოსულმა მოიბოდიშა, ფარდის იქით გასასვლელად გამზადებული მასპინძელი შეაჩერა და სთხოვა, არ შეწუხებულყო.

— ვიხუმრე, ძია სანდრო, ნავახშმევი გახლავართ და არც ისე დიდი მუშტარი ღვინისა, ვსვამ, როცა საჭიროა. ახლა კი მხოლოდ თქვენს სანახავად მოვედი.

მასპინძელი მაინც წამოდგა, ნათურის დიდი გადაატრიალა და როდესაც ოთახს ჩახჩახა სინათლე მოეფინა, მოსული თავით ფეხამდე შეათვალა.

— ოპო, — წამოიძახა და ოდნავ ჭალარა შერთული წარბები აზიდა: — ეს თქვენ არ იყავით, ამ ორიოდე დღის წინ მოედანზე ვადარეულ ულავს რომ მოახტით, და ჩვენებურებს პირები დაადებინეთ?

სტუმარს გაეღიმა, დაუდსტურა, მართალს ამბობო, და დაუმატა: რამდენი ხანია, რაც ექიმი თანასოფელად არა მთვლისო.

ექიმი შეცბუნდა.

— ეს როგორ, მეგობარო?

— ნუთუ ვერ მიცანით, ძია სანდრო? მასპინძელს შუბლი უფრო დაუნაოჭდა:

— მაპატიეთ, ჭაბუკო, მაგრამ ცნობა სადაურობას არ ნიშნავს. ნახვით კი, თუნდაც ფიცივეშ ვიტყვი, რომ იმ კვირის მეტად არსად შემხვედრებართ.

მოსულს თვალებშიაც ღიმილი ჩაუდგა და არ შეიმჩინია მასპინძლის ვაგონება.

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 6.

6. „მნათობი“, № 7.

— როდესაც ბედი კაცს შორეულ მხარეში გადასტყორცნის, მაშინ მშობელ ქვეყანაში დარჩენილი სახეები და საგნები უფრო ნათელ გამოსახულებას ღებულობენ, რათა მხესიერებას უკეთ შთააბეჭდონ. მე თქვენ ერთ დროს გიყვადრით. ნუთუ არ გახსენდებათ, შამრელაანთ თედოს ბიჭი შავლეგო?

მასპინძელს ოდნავ შეეტყო, გაოცება, მერე ადგა, ზელი გაუწოდა, და ამ შემთხვევისთვის წამომდგარი სტუმარი ისევ დასვა სკამზე.

— მაპატიეთ, ჭაბუკო, რომ უცებ ვერ გიცანით. საერთოდ ძნელია მაშინდელი ბავშვის ცნობა თქვენს ასაკში. მოხარული ვარ, რომ გხედავთ უვნებლად სრულიად ჯანმრთელად. რით შემძლია, გემსახუროთ?

სტუმარი არ მოელოდა ასეთ მიღებას, გაოცდა და გამსჭვალავი თვალით დააკვირდა მოსაუბრეს.

წინათ მიმზიდველი და ფეროვანი სახე სიფერმკრთალეს შეეპყრო, თმა მთლად გაეთეთრებინა შეუცნობ ნაღველს, მაღალი შუბლი დაღარულიყო, ხოლო ჭალარა წარბებქვეშ ცივად იმზირებოდნენ ჯერ კიდევ ლამაზი თვალები, რომელთა კილოებშიც იღუმბლად ჩაწოლილი სევდა ოდნავ ამუქებდა მათ ბრწყინვას.

და შავლეგომ უფრო შეიგრძნო, ვიდრე მიხვდა, რომ ამ კაცს საშინელი მართობის სული დაუფლებოდა.

უცებ წამოღვა და მოიბოდიშა.

— დაღლილი ჩანხართ, ძია სანდრო, ალბათ მოსვენება გასურთ. მე კი ჩემი გაუფრთხილვები და მოულოდნელი სტუმრობით დავარღვიე თქვენი მყუდროება. შემოგთარეთ, როგორც მამაჩემის ძველ მეგობარს.

მასპინძელს მწარედ გაეღიმა და ხელით ანიშნა:

— დაბრძანდით, დაბრძანდით, ჭაბუკო, ჩემი მყუდროება კარგა ხანია დარღვეულია და ახლა თავისი შეწყუბებად არ ღირს. უმჯობესია, თქვენზე მოთხრათ რამ, ვანა უნივერსიტეტში არ სწავ-

ლობთ? როგორღაც ასე მოგვარ ყურაი. შავლეგო კვლავ დაკვირვებით უცქეროდა.

— დღემდე ვსწავლობდი. ახლა კი დაემათაურე და შინ დაებრუნდი.

— სასიამოვნოა. — გაციანურებით წარმოთქვა მასპინძელმა. — მაშასადამე, იქ ცხენოსნობასაც ასწავლიან.

— ცხენოსნობა აღრეც ვიცოდი, ჯარში კი უკეთ შევითვისე.

— ვანა ომის დროს სასწავლებლად გეცალათ?

— არა, ძია სანდრო, ათწლეულის დამთავრებისთანავე ცხენების სიყვარულმა არზიაში გამაქცია მოხალისედ.

ექიმმა შეიკვირვა.

— თქვენ თითონ წახვედით ომში, თქვენი ნებით?

სტუმარმა გაახსენა, რომ მაშინ ომი არ იყო.

— ანდა რა გასაკვირია, ვანა თქვენ თქვენი სურვილით არ ებრძოდით ფრანკოს?

მასპინძელმა ოდნავ შესამჩნევად შეიკრა წარბი და მერე დიდხანს დუმდა.

— დიახ, კაცი მხოლოდ მაშინ იქცევა თავისი სურვილის წინააღმდეგ, როცა აიძულებენ. თქვენ სად ომობდით?

— მებუთე არზიაში.

— და ელბაზე შეხვდით ამერიკელებს?

— არა, ბერლინამდე ვერც კი მივედი. შპრეესთან დავიჭერი და ცხრა მაისი ზურგში ვიზეიმე. თქვენ კი ნუთუ ახლა დაბრუნდით ესპანეთიდან?

ექიმმა ფანჯარაში გაიხედა და მთვარის ირგვლივ მოვლებული სინათლის კალოს დააკვირდა. დიდხანს უცქერდა. მერე მობრუნდა და სტუმარს კი არა, მაგიდაზე დადგმულ გრაფინს უთხრა:

— არა, ჭაბუკო. როდესაც მადრიდიც დავტოვეთ, პირინეებისკენ დავიხიეთ და ესპანეთ-საფრანგეთის საზღვარი გადავჭერით. აქ საფრანგეთმა ბარკარესის საკონცენტრაციო ბანაკი გვაჩვენა, — ექიმი შეჩერდა და ტუჩებზე რაღაც ღიმილის მსგავსი აეკრა, — ფრან-

გები მხიარული ხალხია და ერთი წლის შემდეგ გაგვათავისუფლეს... ვერ მოვასწარი სამშობლოში დაბრუნება, რომ ბელგიიდან შემოიჭრნენ გერმანელთა ღვიზეები და ვიბრძოდი ფრანგების მხარეზე. ხოლო, როცა ფაშისტებმა პარიზი დაიკავეს, ტყეში წავიდი მაკინარებთან. მას შემდეგ ბევრი ვიხეტიალე. მხოლოდ ცოტა ხნის წინათ ჩამოველთბილისს და დღეს აქ ვახლავართ, ქაღისპირში.

— თქვენ ქეშმარიტი მეომარი ბრძანებულხართ, ძია სანდრო.

მასპინძელს მწარედ გაელიმა.

— სცდებით, მეგობარო, თუ ასე ფიქრობთ. მე ისევე მძაგს ომი, როგორც ბავშვს თევზის ქონი. აი, შეხედეთ, იქ ქაბუეო. შეხედეთ და კარგად დააკვირდით. ეგ სურათი ჩემმა მეგობარმა უნგრელმა მხატვარმა დახატა ჩემთვის. ისიც მოხალისე იყო ჩემსავით. ერთად ვიბრძოდით მადრიდთანა და ორჯერ ვიხსენი იგი უმჯველი სიკვდილისაგან.

სტუმარმა ზურგს უკან ახედა კედელს და ფეხზე წამოდგა.

ოქროს წყლით დაფერილ ვეებერთელა ჩარჩოში მშვენიერ შიშველ ქალს უღონოდ დაეღაგებინა მკლავები თეთრხალათიანი ექიმის მხრებზე და თავი ნის მკერდზე ჩამოეგდო. ცალ მუხლზე დაჩოქილ შავი სიკვდილის ჩონჩხს წელზე და მუხლებს ზემოთ მოეხევივნა ქალისათვის ცივი და შემზარავი ძვლები. ექიმს მარცხენა ხელით ქალი ექირა, ხოლო მარჯვენათი სიკვდილს თხემზე ისე დასწოლოდა, რომ თავის ქალა ძირს დახრილიყო.

— აი, მედიცინა როგორ ცდილობს მიაშოროს ადამიანებს სიკვდილის ლანდი, პირველი ეგვიპტელიდან მოყოლებული უკანასკნელ თურმანიძემდე, ამაზე იტებდა თავს მთელი კაცობრიობა. ახლა კი, თითქოს მსოფლიო გაგიჯდაო, ჯოჯოხეთის მანქანებს იგონებენ ბუნების უმშვენიერესი ქმნილების შესამუსრად.

სტუმარი დაჯდა და ნახატი მოიწონა.

— სურათი მშვენიერია, მაგრამ მსოფ-

ლიოს გაგიყვებაზე რა მოგახსენიოთ, ახლა მე მგონია, ხალხი ის ნორჩილი ცხერის ფარა აღარ არი, რომელიც სარჩევნო ბიულეტენს ყუთში ისე აგდებდა, რომ არ იცოდა, ხმას ვის აძლევდა.

ექიმი გაოცებული უცქეროდა სტუმარს. ნელა მოისრისა წვერი და, ბოლოს გაიკვირვა:

— ნუთუ თქვენთვის ცნობილი არ არის, რომ ამოსარჩევი ამომრჩეველს მხოლოდ მანამდე ელოლიაეება, სანამდე აირჩევედეს?

— ეგ საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ გაანჩია, ვის ირჩევენ და სად. შეიძლება წყალი დაელიო? — და გრაფინს გადასწედა.

ექიმი წამოდგა.

— ეგ თბილი იქნება. ნომეციოთ აქ ახალ წყალს მოვიტან.

შავლეგომ იუარა.

— მე თვითონ მოვიტან, ძია სანდრო.

— თქვენ არ გეცოდინებათ, სად არის ონკანი. მომეციოთ აქ.

და როდესაც ექიმი გავიდა, სტუმარმა იქაურობას თვალი მოავლო.

შუაზე მაღალი ფარდით გადატიხრული ოთახის ღარიბ მორთულობას ბევრს ვერაფერს მატებდა რამდენიმე კარგი სურათი და წიგნებით სავსე კარადა. წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჩანდა საწოლთან მიდგმულ სკამზე. წიგნები გაბნეულიყო წაქეუულ ჩემოდანზე, წიგნები და ნაწერი ქაღალდები ეყარა კუთხეში მიდგმულ პატარა მაგიდაზე, რომელთა გვერდითაც ადამიანის გაყვითლებული თავის ქალა იდო. საწოლის თავთან ეკიდა ევროპის პოლიტიკური რუკა, ხოლო ზედ — სპილოს ძვლის ლამაზტარიანი მოკლე და წვრილი დამა. ამას ემატებოდა იქვე მიდგმული ორიოდე კოლბა და რამდენიმე სინჯარა; მოხრილი, სწორი და წვრილი მინის მილები და ერთიც სპირტნათურა, რომელნიც ოთახს ნარტახელა მკვლევარის სამყოფელს უფრო ამსგავსებდნენ. ვიღრე სოფლის ექიმის მყუდრო ბინას.

ექიმი შემოვიდა და კიქაში წყალი დაასხა.

— მაპატიეთ, რომ დაგტოვეთ.

შველევომ მოსვა ცივი წყალი.

— შეწუხებოდ არ ღირდა, ძია სანდრო. — და გაწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა, — განა სწორს არ ვამბობ?

ექიმმა თავისთვისაც დაისხა წყალი.

— არა, მეგობარო, მაგაში ვერ დაგეთანხმებით. აღამიანი ყველგან აღამიანია თავისი ფიზიონომითა და ფსიქიკით. განა ერთი და იმავე ავადმყოფობით არ ხდებიან ავდ აქაც და იქაც?

— ავადმყოფობა საერთო გვაქვს, მაგრამ აზრი სხვადასხვა. — შველევო ავალს ადევნებდა, როგორ ერწეოდა ექიმს კიქა ხელში. „ძლიერ მოტეხილა“, აიფიქრა და მოხუცი დაენანა.

ექიმმა კიქა დადგა და ჰალსტუხი ოდნავ მოიფონა.

— აზრი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ახლა მთელს დედამიწას საერთო ნერვითი ცახცახი აქვს შემდგარი მოსალოდნელი საშიშროების გამო, რადგან მომავალ ომში, ერთი ჰკვიანი კაცის თქმისა არ იყოს, დანარცხებულნი და გამარჯვებულნი არ იქნებიან.

— თქვენ ასე ფიქრობთ? ჩემი ფორმულა კი ასეთია: ვინაც აღილოს მახვილი, — მახვილითვე წარწყმდეს.

— მე კი მგონია, მომავალ ომში ერთად წარწყმდებიან მტყუნანცა და მართალიც... იცით აინშტაინმა რა უპასუხა, როცა ჰკითხეს, შესაძლო მსოფლიო ომი როგორი იქნება? — და პასუხს აღარ დაუცადა — შესაძლო არ ვიცი, მაგრამ მეოთხე კი უეჭველად კეტებით იქნებაო. აი, რა უპასუხა, ჰაბუკო.

— მაპატიეთ, ძია სანდრო, თუ ვიტყვი, რომ ეგ ქველი ანეგლოტია. ხალხი ახლა ნებას არ მისცემს მთავრობებს, რომ კვლავ მოაწყონ მსოფლიო სასაყლო.

მასპინძელმა ახლოს მისწია სკამი მადიდასთან და ზედ გადაიხარა.

— ხალხიო, მეგობარო, შენ ამბობ? ხალხმა უკვე მისცა ნება და უხვად ღერის თავის სისხლს კონტრეპოზივად რანტიანს, რომ აქეთაც არ გადმოინაცვლებს?

უეცრად კარზე მკვახე კაქუნე გაისმა. განცვიფრდა სტუმარ-მასპინძელი.

ასე აკაქუნბენ, როდესაც სახლის პატრონისა არ ერიდებთ, ანდა მწუხარებისაგან არიან გათამამებულნი.

ექიმი წამოდგა და კარი გააღო.

ოთახში შუახანს გადაცილებული ქალი შემოვიდა.

— მიშველე, ექიმო, აგრემც შენს მუხლებს შემოვევლები, ბალლი მიკვდება.

დედაკაცი თავსაფრის ყურით იწმენდდა დანაოკებულ სახეზე დაგორებულ ცრემლს.

მასპინძელმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— რა დაემართა?

— რა ვიცი, გენაცვალე, რკინის ყუთში ჩადებული თევზი ჰამა დილასა და... ექიმმა შველევოს გადახედა.

— კონსერვი უქამია. შეიძლება სისხლი მოეწალო. — მერე მობრუნდა და სასწრაფოდ საშინაო აფთიაქი გააღო. იგი თან საჭირო ხელსაწყოებს ალაგებდა იქიდან და თან გულგახეთქილ დედაკაცს ამშვიდებდა.

— არაფერია, რა დაგემართა, შე კაი ქალო! ამ წუთში მოვალ და ხვალვე ჩიტვით დაიწყებს ფრენას.

— ჰო, შენი ჰირიმე, — აქვზებდა დედაკაცი, — რაც შენ ჩამოგვიხველ, ავადმყოფობა ეგრე ადვილადა აღარ გვეკარება.

ექიმმა პატარა ჩემოდანი აიღო, სტუმართან ბოდიში მოიხადა გაწყვეტილი საუბრისათვის და დაემშვიდობა.

— შემდეგ დავამთავროთ, თუ კიდევ მიწვევით. აბა, გამიძეხით ავადმყოფთან.

დედაკაცი ფაციფუციით ჩაჰყვა კიბის სახელურს და ტუსტუსით გასწია ბერხევისაკენ.

2

საბჭოს ეზო ხარხარმა გააყრუა.

ბიჭები ხითხითებდნენ, მწვანეზე გო-
რაობდნენ და თან იძახდნენ:

— ვაიმე, დედავ, მუცელი!

— ოჰ, შენ რა გითხრა, თირკმელები
ჩემი აღარ არი!

— კუჭი ჩამწყდა, კუჭი!

— ეგ რა სთქვი, შე სასიყვდილე?

— მოგვკლი, დედავ, შენ გამოელიე
შენს პატრონს, ჩასაბერო!

ჩასაბერი დინჯად ისწორებდა ფეხ-
საცმლის შესაკრავს.

— შენი თვალთ ნახე? — არ იყე-
რებდა ოთარი.

— ჩემი თვალთ ვნახე, — არწმუნებ-
და შაქრია.

ოთახიდან, რომლის ფანჯრებიდანაც
წინათლე სცემდა და რომელიც ბიბლი-
ოთეკად და კლუბად ითლებოდა, გა-
მოვიდა მაღალი, ახალგაზრდა, მსუქანი
ქალი და მზიარული კომპანიისაყენ წა-
მოვიდა.

— თქვენ ისევ აქა ხართ? — შედგა
და მკვახედ იკითხა.

— არა, ბორჩალოში გადავედით, —
უბასუხა მახარემ და ბიჭები ააფხუქუნა.

— ნეტავი სახლში რას გეუბნებიან,
გვიანობამდე რომ აქ ყრიხართ?

— ჩვენებს უხარიათ კიდევაც თვალ-
ში წარამარა რომ არ ვეჩხირები, —
შხართემოზე წამოწვა ნოდარი.

— რას ჰქვია „ყრიხართ“? შენ ცოტა
კულტურულად ილაპარაკე, — წესიე-
რებისაყენ მოუწოდა სოსომ.

— კლუბის გამგე ხარ და არ იცი, ჩვე-
წისთანა პატივსაცემ პირებს როგორ უნ-
და ელაპარაკო, — კვლავ გულადმა გო-
დაწვა მახარე.

— პატივსაცემი კი არა, ჯოხით უნდა
გაგრეკოთ კაცმა აქედან. ახლა სხვაგან
წადით. ქალისპირში სხვა ადგილი ვე-
ლარ იბოვეთ?

— რა უქნათ, თუ კი აქ მოგვწონს?

— კლუბი აქ არი და სადღა წავიდეთ?

— სადაც გინდათ, იქ წადით. აქედან

კი მოშორდით. ხალხი გაზეთებს კით-
ხულობს და თქვენ კიდევ ხელს უშლით.

ბიჭები უკმაყოფილოდ აყვირდნენ:
— რაო, რაო? ჩვენ გიშლით ხელს,
თუ თქვენ გვიშლით?

— თქვენ თუ ერთობით, ჩვენ ვართო-
ბა არ გვინდა?

— სად დამალეთ ჭადრაკი, რატომ
არ გვამოვეთ?

— ნარდი სად არის, ნარდი?

— ან შაში რა უყავით?

— როცა ვინმე მოვა თელავიდან, ნა-
შინ გამოაჩენ ხოლმე.

— მართალია, ისეთ ადგილას მაღავს
ხოლმე, რომ მკითხავი ფეფენაც ვერ
მიაგნებს.

გაბრაზებული კლუბის გამგე პანტის
ჩრდილიდან გამოვიდა და უფრო მიუ-
ახლოვდა ბიჭებს.

ქალს ქალაქური შეხედულება უფრო
ქონდა, ვიდრე სოფლური. თეთრი და
ფეროვანი სახე ამრეზოდა და ლამაზ
ტუჩებს ზიზლითა გრებდა. ცისფერი
აბრეშუმის კაბა სავსე მკერდზე და გო-
დორა წელს ქვევით ისე ჰქონდა შე-
მოტმასნილი, რომ ნისი დანახვა ბიჭების
თავში ყოველთვის ცუდლუტურ ფიქ-
რებს ბადებდა.

ქალმა შიშველი წვევები გაიდგა და
ნიშნის მოგებით უთხრა:

— თვალებსაცა გთხრით, რომ გიმო-
ლავთ. აფუჭებთ და ფიგურებსა ჰკარ-
გავთ. მე ძალიან კარგად ვიცი, ვისი დაჯ-
ლაბნილია რედაქციაში გაგზავნილი წე-
რილი. ხომ მოვიდნენ, შეამოწმეს და
თქვენს ჯიბრზე ვერაფერი ვერ იბოვეს?
მურთაზსა ჰგონია, რომ მომხსნიან და
მაგის ბიძაშვილს დააყენებენ ჩემს ად-
გილზე.

მურთაზი გაბრაზდა და წამოვდა.

— შენ ჰქვიანად იყავი, ბოჭკავ, თო-
რემ იქნება თავივით კატა გამოსთხა-
რო. სწორედ შენი წერილისთვის მცხე-
ლა და მეტი საქმე არა მაქვს. დაბრუნე,
დაბრუნე ტუჩები, ვითომ ძალიან ლამა-
ზი ხარ.

— შენ მაინცა გჯობივარ, შე უბედუ-

რო, და ჩემს მოხსნას ვერ ეღირსები.

— რა თქმა უნდა, ვერ ვეღირსებით, თუ სხვებსაც იგრე ასიამოვნებ, როგორც ამ წინაზე მოსულს ეცი პატივი.

ბიჭები ისევ აფხუჯუნდნენ.

ქალს ცეცხლი მოეკიდა, გაბრუნდა და განიერი თეძოების გამოშწვევი რხევით წავიდა.

— თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ, ხულიანები ხართ სუყველა.

— ოპო-პო-პო! ერთი უყურეთ, ბიჭებო, როგორ მიდის, გავა იგრე მიაქვს, გეგონება ნათხოვარი აქვსო.

— შენ ფეხები ნახე, რამისიქვა. სილოსის სმეკი გეგონება.

— კარგა ხანია, არჩილი არ დამინახავს. არ იცით, სად არი, ბიჭებო? — სცადა ოთარმა საუბრის თემის გამოცვლა, რაჟი ბრძოლის ველიდან გაქცეული კლუბის კარამდე მიაცილეს „შესამკობი სიტყვებით“.

— ის, ალბათ, ლოგინში წევს და ნაღრძობ მკლავს იშუშებს. ქლიავი! ნაილადარ ცხენზე მომინდომა ჭირითი. კიდევ კარგი, რომ არა მოსტყდა რა.

— ისარს კი კარგად ისროდა. ვინმეს რომ არ დაენახნა, ტყეში დადიოდა. ვითომ ყაბახი უნდა აელო. სავარცხელი ვერ აუწევინია, თმა დაივარცხნოს და გაგიყებულ ცხენზე ჯდება. იქვე ვიჯექი ბალახზე, ბილეთი არა მქონდა და მესერიდან გადავედი. გავიხედე, მოაქუნებს. მოსწია შვეილდი, მაშინვე ყირაზე წამოვიდა და ყარაჯღურ საზამთროსავით დაასკდა ძირს. გადაირია ცხენი, მოდის, მაგრამ რა მოდის. ვუყურებ. — გეზი პირდაპირ ჩემკენ უჭირავს. წამოკვარდი და რომ ვერტაკე მალა, თითო მალაყზე თითო რიგს ვახტებოდი. ნახე თელაველი გოგოების წივილ-კივილი! მოვიხედე და, მთელი ხალხი მე მომდევს გნაისით. რაიკომის ტრიბუნის უკან დავდექი და მოვბრუნდი. ვილაც მოხტომია ამ დამთხვეულ ცხენს და სერავს მოედანს. ვუყურებ და თვალებს არ ვუჭერი. ბიჭია, მაგრამ რა ბიჭი! ვიძახი: გორგასალი თუ ადგა და სასაცი-

ლოდ გვიგდებს-მეთქი. ცხენს ხან მუცელქვეშ მოექცევა და ხან ზურგზე-ორ სროლაზე ჩამოაგდო ყაბახი და მერე გადმომხტარი სადლაც დაიკარგა. გუშინწინ კი ყური მოვკარ: გოლდერძიანთ შავლეგო იყოო. უპ, რა გამიხარდა, ბიჭო!

— მე იქ არ ვიყავი, ჩასაბერო? საიდან გადახვიდოდი, მე რომ ზურგზე არ შემესვი? იქ კი მიმართვე და მართო გაიქეცი.

შაქრიამ ნეკი გაუწოდა.

— ალუუ! ერთი ჭოჭინა უნდა გიყილო, რომ ფეხი ღროზე აიდგა. ის ვინ გეწოდა, მოკლევ, ნახევარ საათს მესერზე გადასატანად, შე არ ვიყავი? — ყაბახი ხომ მაინც ჩვენმა აილო.

— მერე? ვინ ჩავითვალა შალავე?

— რა ჩათლვა უნდა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჩვენი იყო.

— ამბობენ, მუშტით ვოჯიან ფიცარს ამტერევსო.

— მუშტისა არ ვიცი და იმ ცხენს რომ მაშინ სამი კაცი ვერ დაიჭერდა, ეს ნაღლია.

— სად იყო, რატომ აქამდის არ ჩანდა?

— სწავლობდა, განა შენსავით სალამურზე ჰხედნიდა ვირსა.

— შენ ჩემს სალამურს ნუ გადასწვდები ხოლმე წარამარად, ჩასაბერო. აღარ გახსოვს, რომ მეღრიჯბოდი მეც მასწავლეო?

— შენ არჩილსაცა პირდებოდი, მაგრამ, როგორც კი იმ წიწლაკა გოგოზე ლექსი დაგიწერა, მაშინვე აიკირაძალე...

— შენ ტყუილად მირაკუნებ, მახარე, მე კი არ ავიკირაძალე, თითონ ვერ ისწავლა. ზოგს ლექსებში აქვს ნიჭი და ზოგს სალამურიში.

— არა, ბიჭებო, ის ახლა გამოცდებისთვის ემზადება და სალამურისთვის არ ეცლება.

ბიჭებს გაეცინათ, რადგან სამი-ოთხი წელი ზედოხედ აბარებდა არჩილი თბილისში მისაღებ გამოცდებს და ვერც

ერთხელ ვერ მოხვდა სასწავლებელში.

— დაუეინია, გინდა თუ არა, უნივერსიტეტში უნდა მოვხვდეთ, და ისიც ფილოლოგიურზე, — გააბა სოსომ, — თითქოს, თუ ლიტერატურული ფაკულტეტი არ დაამთავრე, იგრე ლექსები არ დაწერება. თუ პოეტია, სადაც არ უნდა გადაადგო, მაინც პოეტი უნდა იყოს. ეგრე არ არი, ბიჭებო?

— მართალია, — კვერი დაუკრა ფირუხამ, — სიკა ჩანგაშვილს ორი კლასიც არ დაუმთავრებია და ქვეყანა იცნობს.

— ოპო-პო-პო-პო! შენ თუ წარამარა სიკა ჩანგაშვილი არ ახსენე, არ იქნება. ერთხელ იყვენ ოლიმპიადაზე ერთად და მას შემდეგ ყბები გადაიცივთა იმაზე ლაბარაკით.

— აბა, თქვენც წადით, თუ ბიჭები ხართ. რატომ თქვენ არ მიღიხართ? — თავი გამოიღო ფირუხამ.

— შენ ტყუილად გგონია, ფირუხ, რომ მართლა სალამურს უკრავ კარგად და იმიტომ წაგიყვანეს — მთლად გაუქარწყლა შაქრამ.

— მაშ რატომ შენ არ გაგგზავნეს, ჩასაბერო.

— შენ იქ სანიმუშოდ წაგიყვანეს, საჩვენებლად. გადაშენებული ცხოველებიდან ესლაა გადარჩენილიო.

ბიჭები ხარხარებდნენ.

ჩასაბერი ცეცხლს უფრო უკეთებდა:

— მე შენს ადგილას სულ ფეხზე ვიდგებოდი, თორემ დაწოლილი იმსტგრძე ხარ, კაცი რომ ფეხებთან გედგეს, შუბლი დურბინდით უნდა დაგინახოს. თუმცა შუბლი არც გიჩანს და ცხვირიც ძალიან ფინთ ადგილასა გაქვს.

— რატომ შენ კი არა სწერ, ფირუხ, მშაკაკმა ვერ გასწავლა?

— ნეტა მაგის მეტი საქმე არა გაქვთ? თქვენ თავს დასცინეთ, საცოდავებო, რომ ზოგიერთი ორ-სამჯერ მაინც აბარებდით გამოცდებს და თელავშიც ვერ მოხვდით...

ბიჭებს ემწევათ და უქმყოფილოდ აბუზღუნდნენ:

— ერთი შენ გაცდევინა და იწვევ, როგორია გამოცდები.

— შენ არც კი იცი, ბრძეფო, თუ გამოცდელს შენი ჩაქრა უნდა, მამაღმერთიც ვერ გიშველის.

— ეპ, გაანებეთ თავი, — ხელი ჩაიქნია სოსომ, — ეგ თავის სიცოცხლეში ვერ გაიგებს, რას ეუბნებით. თუ გინდა, რომ უმაღლესში მოხვდე, ან ფული ბლომად უნდა გედოს ჭიბეში, ანდა ლამაზი გოგო იყო.

— ეგ მართო უმაღლესში კი არა, ყველგან ეგრეა.

— ნუ სულელობთ ერთი, — ამირიზა მურთაზი, — გგონიათ, არჩილი რამეს მეცადინეობს? თქვენც არ მომიცვდეთ. აიკიდებს თავის ლექსებს, როცა გამოცდები მოატანს და უნდა, ამ ლექსებით დაჯდეს პირველ კურსზე.

— თქვენ რაც გინდა, თქვით და ძალიან კაი ლექსები კი აქვს, — შეეხარება ოთარს.

— პო, ცილას უწერდა ხოლმე, — გაიხსენა სოსომ.

— ახლა, ახლა ვილას უწერს, ის ხომ უმუხოდ არაფერსა სწერს?

— ახლა, მგონი რუსუდანს უტრიალებს, — ჩაიფრუტუნა მახარემ.

— ნუ მიჰქარავთ, ბიჭებო, რუსუდანი ოთხიოდე წლით მაინც იქნება მაგაზე დიდი.

— ეპ, მურთაზ, შენ ჯერ ბალღი ხარ და არა იცი რა სიყვარულისა. ვანა სიდილეზეა? — ამოიოხრა ოთარმა.

ბიჭებმა თანაუგრძნეს ოთარს და მხოლოდ მორიდებით ჩაიჭირტილეს.

ბიბლიოთეკაში სინათლე ჩაქრა, აჩხაკუნდა კლიტე და რამდენიმე ლანდმა პანტის ქვეშ წამოწოლილთ ჩაუარა.

— ოპოპოპო! გამოიშალა ინტელიგენცია!

ვილაც ფეხზე წამოხტა, მუშტი აღმართა და დირიჟორივით დაიქნია:

— მწერლებსა და მეცნიერებს ჩვენიი...

— სალამი! — ერთხმად დაიღრიალა ხუთმეტრიოდე ბიჭმა.

ლანდებმა უხმოდ ჩაიარეს.

უკან კლუბის გამგე მიგოგმანებდა.

— სახრე დაიჭირე, ლილი, არსად გაგექცნენ.

ქალს ხმა არ ამოუღია.

— ერთი უყურეთ, ბიჭებო, როგორ მიცურავს. ნოეს კიდობანი გეგონება.

ბიჭები კვლავ მოლზე გაგორდნენ.

— ოჰ, შენ გამოილიე, ჩასაბერო!

მეზობელი სახლის აივანს თეთრი ლანდი ვადმოადგა და სასოწარკვეთილი ხმით იკითხა:

— კარგი, წადით, შეილო, არ გეძინებათ მაინცა?

ბიჭებმა წიცილო შეწყვიტეს.

— შენ რა გინდა, ძია გიგლაე, შენს ეზოში ხომ არა ვართ?

— დიდი ხანია, ფეხი ავიდგით და აცვანი აღარ გექირდება.

— კაცი ახლა ჩვენ სიფხიზლისაკენ უნდა მოგვიწოდებდეს და შენ ძილს გვირჩევ?

— რამ გამოგაღვიძა, ცუდი ხომ არა ფერი დაგესიზმრა, ძია გიგლაე.

— შენი პანტა ჯერ არა მწიფს და პირის გამწკლარტებისა ჩვენ თითონ გვეშინიან.

ლანდმა უცქირა, უცქირა და მერე ოხვრითა და ხენეშით ისევ ისე გაქრა, როგორც გამოჩნდა.

— გინდათ, ბიჭებო, ისევ კარტი დავარიგო? — მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია შალვამ, გაცვეთილი კარტი ამოადო და აურდაურიო.

— სინათლე ჩააქრეს ბიბლიოთეკაში, აღრაფერი ჩანს.

— მაშინ საბჭოს აივანისაკენ მივიწიოთ ცოტა.

— კარტი აღარ გვინდა. მომბეზრდა უკვე.

— ბიჭებო, მსხალი არ იქნება სადმე მწიფე? — წამოჭდა მახარე.

— მთელ სოფელში მარტო ჭოპელას უდგას ადრეულა მსხალი.

— არა მგონია, მწიფე იყოს.

— შენი მეზობელია, ტიტავ, აბა უსუნე.

ტიტას, ეტყობოდა, უკვე ნასუნები ჰქონდა, ისე დამაჯერებლად თქვა:

— ჯერ არა მწიფს, მაგრამ თვალში მაღლე შევა.

— აი, გემო იმასა აქვს, — ააწყლართუნა ტუჩები სოსომ.

მურთაზი წამოდგა, ქვა ამოაძრო, რომელმაც თქმო დაუბეგვა, რიყეში ისროლა და ისევ ბალახზე მიწვა.

ხალხი დაბერდით და ისევ მსხალზე გიჭირავთ თვალი. ერმანა ყოველ კრებაზე გიქადაგებთ: „არა იპაროთო“. თქვენ კი ყურები მუხის ფიცრისაგანა გაქვეთ გაკეთებული.

შაქრია დინჯად მისწვდა მეზობელს და ბუჭის თავები ნელა მოფხანა.

— რას მეარწიყები, ჩასაბერო, — გაკვირვებით მოიცილა მურთაზმა ფრთხილად მოცაცუნე ხელი.

— მხრები არ გექავება?

— რად უნდა მექავებოდეს? ყოველ კვირა აბანოში დავდივარ.

— მარტო უსუფთობამ კი არა, ფრთების ზრდამ იცის ხოლმე. დიდი ხანია, რაც ანგელოზობა დაიწყო?

სიცილს რომ მოარჩნენ, ნოდარს გაახსენდა, რომ იმ დღეს კომკავშირის კრება იყო.

— დილას შევიარე კანტორის ეზოში და ცაცხვზე ფარდაგის ოღენა ვანცხადება მიეკრა ერმანას.

— საქმე არა აქვს ხუროსა...

— მივსულიყავით, ბიჭებო, ერთი გვენახა, რას მოგვახსენებდა.

— შენ სულელი ხომ არა ხარ? რა უნდა მოგახსენოს ახალი? რამდენი ხანია, სულ ერთსა და იმავეს ნაყავს.

— ალბათ, ისევ სანერგზე დაიწყებდა, ხალხი არა გვეყოფნის და ფუჭდებაო.

— ახალგაზრდათა ბრიგადა უნდა, ჩამოაყალიბოს.

— მერე ვინ უშლის? ჩვენ მოგვეშვას და თითონ აყალიბოს, სანამ მოსწყინდება.

— ადგებიან, ბიჭებო და გაგვიცხა-

ვენ, თუ ერთი-ორჯერაც არ მივედით, — წუხდა ნოდარი.

— მივსულიყავით, გვენახა რას იტყოდა.

— შენ თუ ძალიან გესიამოვნება, წაღი, ფირუზ. მე კი უკვე მომბეზრდა. ლაპარაკის გარდა არაფერი გამოდის. არც ვინმე გეკითხება რამეს. საითაც უნდათ, თავს იქით გვიკრავენ. წინათ კი ეგრე არ იყო, — კომკავშირელებსაც კაცადა სთვლიდნენ.

— წინათ სხვა იყო, სოსო, ახლა სულ სხვაა. მაშინ პერიოდი იყო იგეთი.

— შენ, მურთაზ, ნიკაბი თბილი წყლით იბანე ხშირ-ხშირად, წვერს ძალიანა ზრდის.

— წვერი რა ჭირად მინდა!

— დიდ სიბრძნეს დიდი წვერი შეეფერება.

— მაგას სიბრძნე რად უნდა? ჭკუა ფეხებში აქვს წასული. ეგა და ბურთი. სიბრძნე ტოპრაკასა აქვს ჩაბარებული.

— ბურთს არც სხვები აკლებენ ფეხს. მხოლოდ ეგ არი, ადგილი გვჭირდება საბურთაოდ.

— ის თქვენი ნაფეტქვარი ადგილი არ არი, ჩასაბერო?

— განა აუცილებელია იმ ნარიყალში თავპირის მტკრევა? მარტო ჯაგებზე სამჯერ დაგვეფუკა ბურთი. სხვაგან სადმე უნდა მოვძებნოთ ადგილი, მოკლევ.

— სადღა უნდა მოვძებნოთ. ძია ნიკო ყველგან ჭიტლაყით გვერეკება.

— ძალიან კარგადაც შერება. ერთი-ორჯერ რომ მოვჩვენებოდით კოლმეურნეობაში, იქნება, მარტო ადგილი კი არა, ის მთელი ფორმაც მოეცა ფეხ-ბურთელებსა, საწყობში რომ აქვს ჩაკტილი, — წამოდგა ფეხზე მურთაზი და შარვალი დაიბღერტყა.

— ოპ, ბიჭო, რა იქნებოდა! აბა მაშინ ნახავდით წვრთნას. კურდღელაურს ნაღღში დაეურტყამდით.

— ნუ გეშინიათ, არც ახლა დავაკლებთ ხელს.

— შენ ხომ დადიხარ ხოლმე, ნოდარ,

სამუშაოდ ხანდახან. ან რალა შენა, ერმანა და დანარჩენი ბიჭები, სულ იქ არა ყრიან? რატომ იმათ არ აძლევენ?

— ეპ, გინდა მოგვეცენ, მახარე, განა რამდენჯერ მოვასწრებთ თამაშს? ორსამ დღეში უნდა შეეხვდეთ კურდღელაურს.

— ეშმაკია, ძია ნიკო, მაგითი უნდა მიგვიტყუოს.

— მიგვიტყუოს, თორემ გაწყენს, თუ ერთი-ორი შრომადღე გააკეთე, აი. არ მოდიხარ, ნოდარ?

— დაიცა, მოვდივარ.

აიშალენ დანარჩენნიც.

— რა გეჩქარება, ნოდარ, ეგრე აღრე რომ შინ მიხვიდე, დედაშენს გული გაუტკდება, ავად ხომ არ გახდო.

— რალა აღრეა. დილაზე თელავს უნდა წავიდე, შეიძლება, ავტობუსს ვერც კი მივუტყურო.

— შენ თუ ავტობუსით არ წაბრძანდი, ისე თელავში არ მიგესვლება.

— აბა, ფეხით სიარულს მოუკვდა პატრონი.

— ფეხით ვინ გეუბნება, აი, ფირუზაზე შეჩქეი, — ურჩია სოსომ.

— არც ეგ არი ურიგო აზრი, თუ ერთი გადაყარა კანკები, ასოცზე აიყვანს სპილემეტრს.

— სასაცილო თავი ზედ გაბიათ.

— მე კი არ გირჩევ, ძმაო, ფირუზაზე შეჯდომას.

— რატომ, ჩასაბერო?

— მაღლა ცივი ჰაერია და სურდო შეგეყრება.

3

შავლეგომ ნეკერჩხლების ჩრდილი გაიარა, ბერხევაში დაეშვა, პატარა აღმართი აათავა და ვეებერთელა თავბურქა აეკის ქვეშ შევიდა.

შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა და მერე შუა ეზოში შედგა.

ახლაც ისევ ისე მოჩანდა მთვარიანში კლების ნანგრევები, როგორც ამ სამიოთხი წლის წინათ. ერთი ეგ იყო, რომ

ქვა და კრამიტი, აგური და ხის მასალა აღარსად ჩანდა. ჩამიწებულ კვიშა პატარ-პატარა გორაკებად ამალღებულყო ნაკლებბარზე, ხოლო კედლის ძირები ყვითელი აბრეშუმითი გადაბმულანწლსა და ჭინჭარს მოეფარადაგებინა.

დიდხანს დაპყურებდა თავზე და როცა ცქერით გული იჯერა, ახალ კლუბისთვის ჩაყრილ საძირკველს მიუბრუნდა.

ეზოს შუაგული მუხლამდე ამოსულ სწორკუთხა და კვადრატულ კედლებს დაეუფლათ. გალაქულიყვინ სიჭრძივ და თოვლით წვიმითა და მზით ჩამოღადრულ თავპირს მთვარის ცივ სხივებზე იგრილებდნენ.

გახუნებულიყვინ ბერხევას ლურჯი ლოდები და უღიმღამო თვალით უცქეროდნენ სამი წლის წინ ახელილ და ქვადაქეულ კირსა.

შავლეგო კედელზე ჩამოჯდა და თავისი შორეული ბავშვობა გაიხსენა.

მაშინ აქ კლუბად გადაკეთებული თავადის სახლი იდგა და ვარშემო ქვითკირის გალავანი ერტყა. ჭალისპირის ახალგაზრდობა უამრავ წარმოდგენასა და სეირნობას აწყობდა კლუბსა და ეზოში. ხოლო მას რამდენჯერ მოხდენია გალავანზე გადაპარვა, რათა კუსავით თითონაც ფეხი გამოეყო. უამრავი სხვადასხვა ხეხილი ყვარდა ეზოში და უხვი ნაყოფით დახუნძლული ნერწყვის მომგვრელად იმზირებოდა გაზაფხულ-შემოდგომობით. ჭარი აშრიალუბდა დასაფლეთით მდინარის ნაპირზე ჩამწყრივებულ ალვებს, ხოლო ხშირრტოება ბროწეულებზე ყვავილების ცეცხლითა სწვავდნენ გალავნის სამხრეთ კედელს...

შემდეგ გალავანი თანდათან დაიხვრა. ვაშლი, მსხალი და ნუში მოუველეობამ გააქრო, ხოლო ცერის სიმსხო ხართუთა — აბრეშუმის ქიამ.

მაგრამ კიდევ ერთხელ ივარგა ახალგაზრდობამ: გალავანი მთლად აიღო, კლუბს ხის მესერი შემოავლო, მესერს შიგნით აკაცია შემოუშყარია, ხოლო მთელი ეზო ყვავილების კვლებად და-

ყო და გაზონებზე დაფხენილი აგურციკი მოაფრქვია,

გაქინებული

აქა-იქ გამოჩნდნენ კვიპაროსებიცა ვი აღირეს და ბერხევადან ამომავლნიავზე კეკლუცად არწევდნენ წერწებატანს.

ოჰ, რა დრო იყო!

გუშინდელივით ახსოვს ყოველივე და განა მისი ხელი კი არ ერია იმ საერთო ორომტრიალში? დირექტორი გაკეთილებს შემდეგ წამოიყვანდა მოწაფეებს და ისინიც ორიოდ საათს მაინც ფხვნიდნენ ბელტებს, არჩევდნენ ქვა-ლორღს და რიყეში ჰყრიდნენ. ხოლო იქიდან თავგმარილა ამოჰქონდათ, რათა გაზონის პირები თეთრად მოეკირწყლათ.

ასე გაშენდა და დამშვენდა ის ლამაზი ბალი, რომელიც გულს ახარებდა და თვალს სიამეს ჰგვრიდა.

ახლა კი... ახლა სად არი ის წითელმწვანელ მოჭარგული მრგვალი კორდები, სამკუთხა კვლები და ირიბი გაზონები? სად გაქრნენ კვიპაროსები, ტუიები, ბზეები და ლურჯ-ყვითელ კაბა ყვავილ-ვარდები? ან სად არიან თითონ ისინი, ვისმა მარჯვენამაც შვა ყოველივე? სად წაეიდა ის უნაღვლო და მხიარული ახალგაზრდობა, რომელიც ასე იწონებდა თავს სატრფოსთან ღამის პაემნებზე ყვავილთა შორის?.. წყეულისმც იყოს! — ეს ყველაფერი შთანთქა ოცდაორი იენისის იმ შავმა ღამემ, რომელიც ბევრს თეთრად აღარ გასთენებია. წყეულისმც იყოს! — ეს ყველაფერი ცეცხლმა მოძოვა და სისხლმა დააღო...

— ექიმი რაღაცაშია მართალი, — დაასკვნა კედელზე ჩამომჯდარმა, წამოღდა და მდინარის ნაპირისაკენ გასწია.

ალვის ხეები შეუბრალებელ ხელს გაეჩხნა, გულდაფუტუროებული მსხალი ტოტებშიმომღწილი იდგა, ბროწეულის ძირგამოთხრილი ბუჩქი განწირულივით კლდეზე გადაკიდულიყო, ხოლო ერთადერთი გადარჩენილი აკაცია გაზრ-

დილიყო და გრძელი ტოტები გაეტანა ოთხივე მხარეს.

შავლეგომ ხეს ალერსით დაუსვა ტანზე ხელი და მწარედ გაეცინა. ტანი ვილაც ბრიყვს ჩამოეთალა ნაჯახით. მაგრამ ხეს ევაჟკაცნა და ისევ შედუღებულყო.

ხელები შემოაქდო, მძლავრად შეარხია და გაიფიქრა:

— იქნებ, ჩემი დარგულიც არი.

იქ, სადაც მდინარე მუხლივით მოხრილიყო, კლუბის ეზოსთვის კარგა ბლომა მიწის ნაქერი მოეგლიჯა და თან წაეღო.

— რატომ დაუწყიათ ამ ეზოში ახალი კლუბის აშენება? ნუთუ მარტო შენობის დატევაზე ფიქრობენ და სხვა რამ საქიროდ არ მიაჩნიათ? და თუ დაიწყეს, სამ წელიწადში — მხოლოდ საძირკველი? იქნებ, სულაც არ აპირებენ აქ აშენებას? და თუ აქ არ უნდათ, მაშ სად მოესურვიათ? ან საერთოდ, თუ მოესურვიათ, რაღას უტკებრიან? ნუთუ ქალისპირს ადარა ჰყავს ახალგაზრდობა? მერე, სად არიან? თვალი რომ ვერსად მოეკარი?... იქნებ, ჩემი ბრალიც არი. მომიწოდებთ და ნანახვა და ვერა ვხედავ. ან თითონ კოლმეურნეობა და საბჭო რას ფიქრობს? უჰ, დღეს რამდენი დავლიე! კარგი იყო, არ გადავყროდი იმ ბიჭებს. მაინც ეს ზაჭრე რამხელა გაზრდილა. სხვებიც არ აკლებენ. — აი, ახალგაზრდობა! როგორ არა ჰყავს, ჰყავს ახალგაზრდობა ქალისპირს... ახლა, მგონი, დედაჩემი ზის აივანზე და თვალგადაღული მელოდება. მთელი დღე გარეთ დავაღამე.

შავლეგომ კლუბის ეზო გადასჭრა, სასოფლო გზა ჩაიარა და შარაზე გავიდა.

საბჭოს ეზოსთან ძლიერი ხარხარი მოესმა, შედგა და იქით გაიხედა.

— აი, კიდევ სად არი ახალგაზრდობა!..

ერთი ხანს უგლო ყური პანტის ძირიდან მოდენილ ყაყანს, მერე გაღიმებუ-

ლი სახით გააბიჯა შინისაკენ და აღრღინდა:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგემს ლეკვები მგლისნაირი...

4

ფართო ოთახში შეიდიოდნენ ახალგაზრდა შეკრებილიყო და რალაცის თუ ვილაცის მოლოდინში წყნარად საუბრობდა.

ბიჭები შორიშორს მოთავსებულყენენ ღია ფანჯრებთან, ხოლო ორი გოგო ისე ახლოს მიმსხდარიყენენ ერთმანეთთან, რომ მხრებით ერთი მეორეს ეხებოდნენ.

საწერ მაგიდასთან თვრამეტ-ცხრამეტი წლის ქაბუკი იჯდა და გადაშლილ რვეულში რალაცის აღნიშნავდა. ელნათურიდან დაშვებული ჩახჩახა სინათლე თეთრ ფურცელს ირიბად ეცემოდა და ზედ დახრილ შავგვრემან სახეზე მკრთალ ანარეკლად ფათურობდა.

— არ მოიხარშა, კაცო, როდემდე ველოდოთ? შემოიტანეთ, თორემ დავწყდით მშვივრები.

ოთახში წყნარმა სიცილმა გაიბრინა და ყველას თვალი მაგიდასთან მჯდომს მიებჯინა.

— გაიწი, გოგო, — შეუწყრა ერთი მეორეს, — რა ზედ მეკვრები, იანვარია?

— რა იყო, ქალო, შენ რას გეკვრები, მე ჩემთვისა ვზივარ, — იწყინა მეორემ.

— ისევაც შენთვის იჯექი, მაგრამ მე რას მეტმასნები. თაფლი მისვია? ეს დოყლაძეები კიდევ ფანჯრებთან წამოპლაკულან და ჰაერსაც არ უშვებენ აქეთ.

— ტყუილად ჯავრობ, ელიყო, აღრე მოხვიდოდი და ფანჯარასთან ადგილიც გექნებოდა: ვინც დაგვიანდა, ის დაზიანდაო. არ გაგიგია? — ბიჭი ბეჭებით სკამის ზურგს გადააწვა და აქეთ-იქით

გდაყრილი მკლავები ფანჯრის რაფაზე გაფარჩხა გამოსაჯავრებლად.

— მოდი, ლამარ, სკამი თავისუფალია, — მიიწვია გოგო მეორე ფანჯარასთან მჯდომმა, — ელიკოს კი ცხვირი იმხელა აქვს, რომ იქიდანაც ისუნთქავს გრილ ჰაერს.

ელიკომ დაცინვით დაწვერა მომწვანო თვალები და ბიჰს ზიზლით გადახედდა.

— შე უბედურო, სხვის ცხვირზე როგორ იღებ ხმას? თუ სარკე არა გაქვს სახლში, ჯამში წყალი ჩაასხი და შიგ ჩაიხედე. შენ რაღა ფსალმუნებით გაგიშლია ეგ რვეული და ვანკა-მღვდელივით ჩაპირკიტებ შიგ? ხომ ხედავ, აღარავინ არ მოდის? თუ იწყებ, დაიწყე, თუ არა რას გვალოდინებ მთელი დღის დაქანცულ ხალხს.

— ჰო, ერმან, თუ უნდა ჩავატაროთ კრება, ბარემ ჩავატაროთ, თორემ იმ დღესაც რვა კაცი ვიყავით და ჩაგვეშალა.

დანარჩენი ბიჭებიც აყაყანდნენ:

— თუ ვიწყებთ, დავიწყობთ, თუ არა და წავიდეთ შინ.

ერმანამ რვეულს იქით გასწია, შავ, ხუჭუჭ თმაზე ხელი გადაისვა და იქ მყოფთ თვალი მოავლო წარბშეკრულმა:

— ნეტა წესდებას მაინც არ იცნობდეთ. რვა კაცით კრება დავიწყო, როცა სიაში ოცდაცხრა კომკავშირელია? შენ, შოთავ, აკი დამპირდი, თონაიკეს ბიჰს მოვიყვანო?

შოთამ ისედაც გრძელი კისერი უფრო წაიგრძელა.

— თავისმა დედამაც არ იცოდა, სად იყო, და მე სადღა ვნახავდი?

— შენა, დათაჟ, აკი ტოპრაკანთ ოთარას მოვიყვანო?

— ოთარა მგელივით სულ ტყეში დაწანწალებს. მე სად უნდა მეპოვნა?

— რა პოვნა უნდა, წელან საბჭოს ეზოში გორაობდა.

— მერე რატომ არ წამოიყვანე?

— ახლა, ყოველდღის კი არ ვაგხსენ-

დება კაცსა, რომ ისიც კომკავშირელია. ერმანა გაბრაზდა.

— რა ვენა, ძამო, მეც კომკავშირელი ვიყავი, ბიუროზე საკითხს დავაყენებ და გავრიცხავთ კომკავშირიდან. ეს მესამედ მეშლება კრება. თუ ჩვენთან არ უნდოდათ ყოფნა, რაღას მოვიდნენ? რაიკომიდანაც ადგნენ და ტერიტორიალურს მიაწერეს. რა ეშმაკად მინდოდა ამდენი უსაქმური, აქ ცოტა მყავდა? არც სადმე სწავლობენ, არც მუშაობენ და ტყუილად მეთვლებიან სიაში. მალე სხვები დაამთავრებენ სკოლას და ახლა ისინი მომადგებიან.

— ჩვენც ავღვეთ და ნულარ მივიღებთ. — ურჩია დათამ.

— ნულარ მივიღებთ! ზოგი რაიკომსა ჰკითხე. მამ სად წავიდნენ?

— სადაც უნდათ იქ წავიდნენ. ოთხივ მხარეს გზა ხსნილი აქვთ.

ერმანას გაეცინა.

— ჰო, გზა ხსნილი აქვთ! აბა, თუ ბიჭები არიან, უთავმჯდომარეოდ გადადგან სადმე ფეხი. ძალიან კარგად გააყეთა ძია ნიკომ. აი, ნახავ, თუ მალე არ მოგვაკითხავენ.

— რაღაც სამავისო ნიშნები არა ჩანს?

— გამოჩნდება, — ერმანამ თავი გვერდზე მიიბრუნა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირზე მიიფარა და შიგ გულმოდგინედ ჩააბერა.

— ძალიან კარგადაცა შერებიან, რომ ახლოსაც არ ეკარებიან კოლმეურნობას, — გამომწვევად გახედა ელიკომ კომიტეტის მდივანს. — ან ჩვენ რაღას ვიხოცავთ თავებს? იმუშავენ მთელი წელი, იმუშავენ და ბოლოს რა გხედება? კილო სიმინდი და ხუთასი გრამი პური. ერთი ეგ არი, რომ კაცი უსაქმოდ ვერ გაჩერდება და სახლშიც სამუშაო იმდენი არაფერი მაქვს, თორემ იმ მზეზე დავიხრუტებოდი?

— რათა სტყუი, ელიკო, შარშან პური შეიდასი გრამი არ განაწილდა? წელს უფრო მეტი იქნება. მოსავალს კარგი პირი უჩანს, — გამოეპასუხა შოთა.

— დიდი რამე, თუ შვიდასი გრამი განაწილდა. მერე შვიდასი გრამი დაარჩენს ოჯახს? განა რამდენი ნათეს-ნახნავი გვაქვს? ამოდენა სოფელი ვართ და ყველაზე ცოტა მიწა ჩვენ გვიჭირავს: რომელიც ვინდა აიღე, ვინდა ნათარეული, ვინდა ფშაველი, ვინდა ლალისყური. სანიორესაც კი მეტი მიწები აქვს. გაზეთში კი მოწინავედა ვწერივართ. საიდანა ვართ მოწინავე, თუ სხვა სოფლები ჩვენზე მეტ პროდუქტს ანაწილებენ? მართო მრასავლის ჩაბარებაზე ფიქრობს ძია ნიკო.

— გაჩუმი, გოგო რას ლაპარაკობ, გესმის კი? — შეუტეის ბიჭებმა.

ლამარამ შიშისაგან გვერდზე გაიწია. კლიკომ ათვალწუნებით დაგრიხა ტუჩები.

— ძლივს არ მოგიშორე თავიდან, ნეტავი აღრე დამეწყო თავემჯდომარეზე ლაპარაკი.

მერე ბიჭებს მოუბრუნდა და აგღებთ მიუგო:

— მე კი მესმის, რასაც ვამბობ, მაგრამ თქვენ თუ გესმით, თქვე საცოდავებო. რისთვის ხართ აქა და ან კომკავშირში? დატატყუნობთ ქალისპირის მტვერში და ერთხელაც აზრად არ მოგივით, რისთვის გაჩენილხართ და ან რად ამძიმებთ დედამიწას.

— დაიცა, დაიცა ელიკო, — შეაჩერა ერმანამ, — შენებურად ნუკი გააჰენე. ჩვენ აქ კრება იმიტომ მოვიწვიეთ, რომ ეგეთი საჭირობოროტო საკითხები განგვეხილა. როცა დრო მოვა, მაშინ თქვი. დღის წესრიგში აი, სწორედ სახანავ-სათესი მიწების გაფართოება უნდა შევიტანო, თუ თქვენც მხარს დამიჭერთ და ახალგაზრდათა ბრიგადის ჩამოყალიბებაც ამისთვის მინდა.

— შენ კარგი რამე გადასწყვიტე და მხარს ყველა დაგიჭერს. ამ ახალგაზრდათა ბრიგადას რამდენი ხანია ვაყალიბებთ, ვაყალიბებთ და, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ვერ ჩამოვაყალიბეთ, — ცხვირსახოცით იგრილებდა მაღალ ყელს ელიკო.

— არა გროვდება ხალხი და რა ვქნათ? — იმართლა თავი ერმანამ.

— ხალხი ძალიან ბევრია, მაგრამ კაცს თუ მუშაობა უნდა, ყველგან იმუშავენს. რა შუაშია ახალგაზრდათა ბრიგადა?

— მართალია. ეს ბრიგადაც კოლმეურნეობისა არ იქნება? სადაც ვინდა იმუშავე, ოღონდ კოლმეურნეობაში იყოს, — დაეთანხმა გოგოს ორი თუ სამი ბიჭი.

რაკი მხარდამჭერები გამოუჩნდნენ, ელიკომ თავი გამოიღო:

— მე ჩემი მხრით ახალგაზრდულ ბრიგადაში არც ვიმუშაებ.

— ვითომ რატომ? — გაუკვირდა ერმანას.

— იმიტომ, რომ მე უკვე დედაჩემის ბრიგადაში ვარ და წიგნაკიც იმ ბრიგადისა მაქვს.

— წიგნაკი რა შუაშია? წიგნაკი კი არა, შენ თუ დედაკაცებში არ ჩაჯექი და იმათ ჭორაობას არ უგდე ყური, ვერ დაისვენებ.

— შენ მანდ სკამზე სხვანიარად რომ გამოჭიმულხარ და მსხვილმსხვილად როხავ. აღარ დაიცდი? ნუ იტყლარტები უგემურად. ჯერ აღრეა შენთვის თავემჯდომარეობა.

ერმანას ის იყო რაღაც მკვახე უნდა ეთქვა, რომ კარი გაიღო და თავმჯდომარე გამოჩნდა. იგი ცოტა ხნით შეჩერდა ღია კარში, ოთახში მყოფთ დაკვირვებულნი თვალი მოავლო და მერე მაგიდისკენ წამოვიდა.

ერმანა მარდად წამოხტა სკამიდან.

— იჯექი, იჯექი, შვილო.

— დაბრმანდით, ძია ნიკო.

— დაჯექი, შვილო, არა უშავს. ცარიელი სკამები შენი კომკავშირელების წყალობით აქ უამრავია.

ძია ნიკო დაჯდა და გოგოებს შიამჩერდა.

ლამარამ შიშნარევი თვალი ძლივს გაუსწორა ახალმოსულს. ელიკომ თავი ჩაღუნა და კაბის კალთას დაუწყო სწორება.

— კრება მოათავეთ, თუ ჭერ არ დაგინწყიათ?

— რის მოვითავეთ, ველოდებით, ჭერ მოსასვლელები არიან.

— სხვა გოგოები სად არიან?

— რა ვიცი, — ხელები გაშალა ერმანამ, — სამი-ოთხი დღეა სულ იმას ჩაეჩინებ, დღეისთვის კრებაა დანიშნული-მეთქი და ამით მეტი არავინ გამოჩნდა. განცხადება ერთი კვირაა, რაც გამოვაკარით.

ძია ნიკომ ნიკაბი მკერდზე დაიბჯინა, ლოყები უფრო გაბერა და მსუქან მუხლის თავებზე დალაგებულ ფუნჩულა ხელებს დახედა. მერე უჩუმრად ადგა, მაგიდასთან მიდგმულ სკამზე დაჯდა და განიერ კრილა მინას დააკვირდა.

ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

— აბა, სხვა რაღა გიყოთ, შვილო, — ძია ნიკომ თავი აიღო და ყველა იქ მყოფი ხელახლა მოათვალიერა. მერე მარცხენა ხელი მინაზე გადმოშალა და მისი ნეკი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით მოკეცა. — მთხოვეთ, კრების დროს ადრე დავანებებთ თავს სამუშაოსო, დაა — „ეგრე ქენით-მეთქი, შვილო“, გითხარით;

— ცალკე ბრიგადას ჩამოვაცალიბებთ ახალგაზრდებისაგანო მთხოვეთ დაა — „ეგრე ქენით-მეთქი, შვილო“, გითხარით;

ნეკს არათითი შეუერთდა;

— კრებას შენს კაბინეტში ჩაეატარებთო, მთხოვეთ დაა — „ეგრე ქენით-მეთქი, შვილო“, გითხარით;

საშუალო თითი თავის ორ თანამომხმეს მიეტმასნა;

— ცალკე ნაკვეთები გამოგვიყავით დასამუშავებლად და იმას დავამუშავებთო, მითხარით დაა — „ეგრე ქენით-მეთქი, შვილო“, მაგაზედაც დავთანხმებთ;

საჩვენებელი თითიც მოიხარა;

— მემინდვრეობა არ გვინდა, მევენახეთა ბრიგადა ვიქნებითო, მთხოვეთ დაა არც მაგაზე მითქვამს უარი.

ცერი თითი დანარჩენ ოთხს შეუერთდა და ერთ მთლიან მუშტად შეიკრა.

გატვირთულები ჩხდნენ მსმენელნი და მონუსხულები მისჩერებოდნენ მოსაუბრის ხელს.

და როცა ისიც დაიმუშტა, ყოველ მათგანს ეჩვენებოდა, რომ სიტყვები კი არა, ყურის ძირში ის მუშტი ხვდებოდათ.

თავმჯდომარემ მარცხენა ხელი მოათავა და მარჯვენაზე გადავიდოდა, რომ ერმანა სულმოკლეობას არ მოეცვა და ფეხზე არ წამომდგარიყო.

— ეგ ყველაფერი მართალია, ძია ნიკო, მაგრამ ერთმა კაცმა, აბა რა ვუყო? თქვენი თვალით ხომ ხედავთ, აქ რამდენია მოსული. უკვე თერთმეტი საათი დაიწყო და მხოლოდ შვიდი თუ რვა მოვგროვდით. არ მოდიან და მე რა ვქნა?

ძია ნიკომ ბანჯგლიანი ჩალისფერი წარბები ზევით აზიდა და ქრუტა თვალებით ქემად გახედა ფეხზე წამომდგარს.

— ბრმა რასა ჩიოდა და ორსავე თვალებსაო. განა მე მაგას არ ვჩივი და ვტირი, რომ ეს ახალგაზრდობა სულ მოდუნდით, გაფუჭდით და გათახსირდით? თქვენზე დიდი აღარ ვარგა ახლა, შვილო და თქვენზე პატარა. განა ჩვენ თქვენოდენები არ ვიყავით? განა წინათ უფრო არ ქირდა კოლმეურნეობაში მუშაობა? სულ პირველად კოლმეურნეობაში ხუთი-ექვსი კაცი ვიყავით და უიარალოთ ფეხს ვერსად ვადგამდით კულაკების შიშით. რამდენჯერ გადავრჩენილვართ და კოლმეურნეობაც გადავვირჩენია, რამდენჯერ ბუწვზე ეკიდა ჩვენი საქმე, დავგიბოღევი, წევრებისთვის წევრი მიგვიმატებია, მიწისთვის — მიწა. მთელი სოფელი გავვეერთიანებია და თქვენამდე ეგრე პირნათლად მოგვიტანია. რაღა მარტო ჩვენ შემოგვყურებთ, შვილო, და ხელებში შემოგვციცინებთ. აიღეთ და ახლა თქვენ უპატრონეთ. სწავლით თქვენ არა სწავლობთ

და სახლში მუშაობით თქვენ არ იცხელებით ქედსა.

— ყველას ერთ ტაფაში რათა გვეყრი, ძია ნიკო, — ვერ მოითმინა ერმანამ, — ერთი იმერელი კახეთში ძაღლმა დაგლიჯა, წავიდა და იმერეთში მოკლა სხვა ძაღლი, შენც იმის ჯიშისა ხარო. ჩვენი რა ბრალია, თუ დანარჩენები არ გამოდიან სამუშაოდ?

ძია ნიკომ უკმაყოფილოდ აბურცა ტუჩები და მინახე დაწყობილ მოკლე, მსხვილ თითებს დახედა.

— როცა უფროსი გელაპარაკებთ, შეილო, პირში კი არ უნდა შევბათ, — ყური უნდა დაუგდოთ ხოლმე. შენ იმიტომ გელაპარაკები ახლა, რომ უფროსად შენ ავირჩიეთ კოლმეურნე ახალგაზრდობისა, შენ უნდა იმტვირო ახლა თავი და სოფლის მოზარდობა შენ უნდა ჩააბა შრომასში. აბა იფიქრე, შეილო, მე რომელ ერთს უნდა მივხედო და ვუბატრონო. წვიმა ხომ წვიმაა, მაგრამ იგრე გადაივლის, რომ ყველგან ვერ დაასველებს მიწას. რომ ამბობენ ახალგაზრდობა არ უყვარსო, რატომ იმას აღარ ამბობენ, რათაო? როგორ შეიძლება, შეილო, კაცი პატროსანი იყოს და ახალგაზრდები ეჭაერებოდეს? ჩვენი მომავალი და იმედი თქვენა ხართ. ჩვენ მიმავლები ვართ და თქვენ მომავლები. ეს სოფელი თქვენ უნდა გაფურჩქნოთ და ააყვავოთ. სხვა ვინ უნდა გვიყვარდეს? მაგრამ, ერთი მითხარით, განა შესაყვარებელია ის კაცი, რომელიც გაკეთების მაგიერ სულ იმას ცდილობს, რა გავაფუჭო და სოფელს ენება რით მოვუტანო?

ძია ნიკო შედგა, კიდევ გაშალა მარცხენა ხელი და კიდევ ჩანოთვალა:

— საავადმყოფოსთან ბაღი იყო, სულ გაღუნეს, მოთხარეს და გაატიალეს, ბიბლიოთეკაში წიგნები და გაზეთები მიხიცი-მოხიციეს. საბჭოს ეზოა და როგორც ნაცეცხლრაზე, იგრე თავიანთ ნაგორავებზე ბალახი აღარ ამოუშვეს. ერთი ზედი გვაქვს და მოაჯირი ზედ ჩამოსხდომით მოაჩყიეს, დაამბუნეს და მე-

რე გადაამტვირეს კიდევაც. უბრალოდ ხე აღარ დარჩათ, ხე, რომ არ ჩამოთხლონ, ზედ ოკრო-ბოკროდ გულის არ ამოჭრან და შიგ მიღრეცილ-მოღრეცილი ხანჭალი არ გაუყარონ. აბა, ახლა მითხარო, შეილო, შესაყვარებელია ეგეთი ხალხი?

— განა ჩვენ კი მოგვეწონს, ძია ნიკო — წააგრძელა კისერი შოთამ. — მაგრამ მარტო ვერც ჩვენ გავწვდებით. თქვენც უნდა მოგვეხმაროთ. თქვენც უნდა უთხრათ რამე.

— მე რაღა უნდა ვუთხრა რამე, განა ცოტას ველაპარაკები? უკითხე რამდენიც გინდა სახარება, მიანც ტყისკენ უჭირავთ თვალი. ერთს ვეტყვი და ათს მეუბნებიან, გამოვცდები და ჩუმჩუმად ქირქილებენ. არა, ძალიან გაფუჭდა ახალგაზრდობა, ძალიან.

ძია ნიკომ ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, სათვალეები გაიკეთა, ბოლომდე ჩაიკითხა და ისევე ჯიბეში შეინახა. მერე სათვალეებსაც თავის ბუდეში უკრა თავი, კომკავშირელებს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და წამოდგა.

— მუშა კაცისთვის ყოველი წუთი ოქროა. უნდა დაისვენოს და ცისკარს ჯანზე მოსული შეხვდეს. დარაჯს დაუძახეთ და დაკეტოს კაბინეტი. ახლა კრების დრო აღარ არი. როცა რამეს აპირებთ, ჯერ უნდა მოამზადოთ და მერე დაიწყოთ. გითხარით, ის ბიჭები მოიყვანეთ-მეთქი და ცხვირთან კი პიტნასავით თქვენ მეჩხირებით ყოველთვის გადაიტანე სხვა დროისათვის და ხალხი მოიყვა.

ერთხანს იფათურა თავის უკრაში, მერე მაგიდის მინის ქვეშ რომელიღაც ქაღალდი გაასწორა და კარისკენ გასწია.

— კოტე, გესმის, კოტე! — გასძახა დარაჯს გარეთ გასულმა — დაკეტე კაბინეტი.

და როცა დარაჯი მოახლოვდა, ხმას დაუღაბლა. — დილაზე, როგორც კი შინ ჩახვალ კუმრაქას გაუარე და შინ გამომიგზავნე.

კაბინეტში ახრავუნდა შედილოდ

სკამი და გარეთ გამოსული კომკავშირელები მდუმარედ ვაეიდნენ კანტორის ეზოდან.

ელიკომ ზევით წასულ ამხანაგებს გახედა და უწადინოდ გაუყვა იმავე გზას, საითაც თავმჯდომარე წავიდა.

მთელი გზა მიდიოდნენ უხმოდ, სახლთან გამოეთხოვა ქალი თანამგზავის და ლამემშვიდობისა უსურვა.

ძია ნიკო წუთით შედგა და გოგოს თავის ოდნავი ქნევით მიაჩერდა.

— ლამემშვიდობით იყავი, მაგრამ ეცადე კი, რომ გრძელმა ენამ მოკლე ჯოხი არ მოგახვედროს.

და ეზოს კიშკარი ბრაბუნით მიიკეტა.

5

გოდერძიმ ნახვრეტში ჩხირი მარჯვედ გაურტო, შიგ კობი ფრთხილად გაუყარა და მერე ერთიმეორეზე ლამაზად გადაგრიხა, რათა ქალამანს თასმის გასაყრელად ყულფი დაჰყოლოდა.

სტუმარმა გვერდზე გადავარდნილი გრძელი კაბის განიერი კალთა მუხლზე გადაიფარა და ზედ ნიკაბს შებჯენილი იდაყვი ჩამოღო.

— რად გინდა ზაფხულში ქალამანი, ერთი ლაზათიანი ხარაზული ჩუსტი არა სჯობია? გამოუქნელი ტყავი გახმება, კობი გაქვავდება და ფეხზე ისე მოვიქვრს, რომ იქნება დაბორკილი ცხენივით გატყუნოს.

გოდერძიმ თავი აიღო.

— ეს კანჩისა, ან ხარის ტყავი ნუ გგონია, ღორისაა და მეგრე როგორი ღორისა, რომ გენახა, ტაშზე იყო გასუქებული.

— ტყავი ტყავია, გინდა ღორისა იყოს და გინდა აქლემისა, — არ გაიტეხა უღური სტუმარმა. — წმინდა აღდგომის მადლმა, ახლა რომ შენ ქალამნები ჩაიცვა, ყველა იტყვის გადარეულიაო.

გოდერძიმ ჩაიკინა და სწრაფად შეავლო თვალი გვერდით მჯდომის შორთულობას.

— შენ ქალამნებისა რა გესმის ვანკავ, ან რას ეჩრები იქ, სადაც საჭირო არ არი? შენი საქმე საცეცხლურის ქნევა და დაეთინია. შაშვიც ფრინველია და ბიჭო-გოგიაც, მაგრამ ერთის ზორცი იქმება და მეორის არა.

ვანკამ ჭალარა და გრძელ წვერზე ხელი დაისვა, მოუჭირა, კარგად მოთელა და მერე ისევე ფრთხილად გაასწორა.

— შენ ფიქრობ, მსუბუქი იქნებაო? გადაყრუებულხარ, ბებერო, განა ჩუსტი კი ჩატყვიებულია? ამ სიცხეში გახმება და ფეხზე ხუნდივით მოგიქვრს.

— ღორის ქალამანს იმდენი ცხიმი კიდევა აქვს შერჩენილი, მღვდელო, რომ სიცხეზე დადნეს და ტყავი დაარბილოს. ჩუსტი, მართალია, მსუბუქია, მაგრამ დახურულია და წინდიან ფეხს ჩაახურებს და გააფუჭებს.

— შენც შალის წინდას ნუ ჩაიცვამ, ძაფით ნაქსოვი ჩაიცვი.

— რას ამბობ, მღვდელო, ხომ არ შეიშალე? გახურებული ყანის მკაა და ძაფისა ივარგებს? ან გადაჭრილი სარეველა გეჭახება, ანდა თავთავის ფეხებით გაგვესება და დაგფხავნის. ჩუსტი არ ივარგებს. ქალამანი უფრო მსუბუქია. ფეხს ჰაერი კარგად გაუვლის და მიწაზეც მარჯვედ დაცოცავს.

მღვდელმა ძველი შლიაბა მოიხადა, თავზე ხელი გადაისვა, კეფას ფრთხილად ჩამოაყოლა და კისერთან ჩაყრული გრძელი თმის კულულები საყვლოს უკან მხრებზე გადაიყარა.

— მაშ, უარს შეუბნები?

გოდერძიმ გავლიდა:

— შენი აღდგომის მადლმა, ერთი მოთხარი, ყრუებისთვის ცალკე თუ რეკავ ხოლმე. ვითხარი, არა მაქვს-მეთქი, და თუნდაც მქონოდა, არ მოგცემდი.

— რატომ, კერპო, სარაოდ გინდა შეინახო? ამ ცოტა ხანში ხომ არაფერს აპირებ? შენ გაბედე რამე და ქელუხი ჩემზე იყოს.

— ნუ სცოდავ, მღვდელო, უკან დახევა რა ვაეკაცობაა. შენი სამწყსოს წი-

ნამძღვარი იმიტომა ხარ, რომ ყველგან წინ უნდა უძღოდე.

— ღმერთმა დაიფაროს ყველა სამწყსო შენისთანა სამწყემსაჲსაგან, ბებერიო მგელო. ვანა არ გიცნობ, რაცა ხარ? თუ ერთი წამოგცდა არა, მორჩა, გირტყან თუნდა კეტი თავში, ველარ გადა გათქმევიწინებენ. დამაცა, თუ ხატზე არ გადავცე.

— საღა გაქვთ ხატები? ვანა ხატილუწიას კიდევ გადაურჩა რამე?

— ჭოჯოხეთის კუბრშიამც მოხრაკულა ის ცოდვიანი და სატანას გასჩხორვია ყანყარტოში. მარტო ტარტაროზმა თუ იცის, საღ წაიღო ჩარჩოებზე აგლეჯილი ოქრო-ვერცხლი.

— გული ნუ გწყდება, წვერცანცარა ეშმაკო. მაშინ არც შენ იხეირე ნაკლები.

— სამების ძალსა ვფიცავ, სულ გადარეულა ეს ბებერი ყაჩაღი. — მღვდელმა ვანიერი სახელოებიდან გამხმარი ხელები გამოყო და მალა აღაპყრო. — ღმერთო, შეუნდე, ცოდვილსა და ნუ ისმენ ძაღლის ყეფასა.

— ჰოი, რა თვალთმაქცი ხარ, ვანკავ. პატიოსნებით ცოტათი მაინც მიემსგავსე იმ შენს ძმავაც და ღმერთის მაგიერ სველი ხელადა დაიფიცე.

აივანზე შავლეგო ამოვიდა. ცოტა ხანს შედგა, სტუმრისკენ განგებ თავმოღრევილი წამოვიდა და მღვდელს მოწიწებით მიუახლოვდა.

— შენდობა, მამო.

— შეგინდოს, შვილო. — მღვდელმა მოსულს პირჯვარი გადასახა და მერე ხელი გაუწოდა. — და გარდამოვიდეს კურთხევა შენზე მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.

— ამინ! — შავლეგომ ხელი ჩამოართვა და იქვე ჩამოჯდა.

გოდერძიმე ქალამანს ცხვირი გაუკერა და თასმის ჩასაბმელი კობი დაგრიხა.

— სადა ხარ, ბიჭო, აქამდის? გადაეღია დედამენს შენი ლოდინით გული. მერე მიწვა ტახტზე გაუხდელად და იქნება მიეძინა კიდევ.

— ბიჭებმა შემათრის სასადილოში და მერე ექითან შევიარე ცოტა ხანს სანახავად.

მღვდელთან ბოდიში მოინადა, გაბრუნდა და სახლში შევიდა.

— ჰო, რა გაგეზარდათ ამ შამრელანებს, ხეცსურო! საღ იყო აქამდის, რაც ომიდან ჩამოვიდა, აღარ მინახავს. რატომ ზაფხულობით არ ჩანდა სოფელში?

— მთებში დაშლივინობდა. ერთი ზაფხული კი მოსკოვს გაატარა.

— მეტი რა საქმე აქვთ, რა ღმერთმანი ყანა ჩაეწვებათ კალოში.

გოდერძის ტუჩებზე ღიმილმა გაივლვა.

— შენზე უსაქმო ვილაა სოფელში, მღვდელო!

— ნუ სცოდავ ღმერთსა, შვილო ჩემო. ამ ქვეყანაზე ყველას თავისი საქმე აქვს.

გოდერძი მკირე ხანს გაჩუმდა და მერე შეუმჩნეველად ამოიხზრა.

— „შვილო ჩემო“... ჩემი თედო შენზე ორი-სამი წლით თუ იქნებოდა უმცროსი, მღვდელო.

— უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი წიაღსა შინა აბრაამისასა!.. ნამ არ იძლევი?

გოდერძიმე ამოსხმული ქალამანი გვერდზე გადადო, ამოსასხმელი აიღო, ქუსლთან კობი გაუყარა და დააორკეცა.

— ძალიან დაურევია სიბერეს ხელი, ვანკავ. შენთვის. თუ არ გახსოვს ჩემი უარი.

— მაშ ვთხოვო წმინდა გიორგის, სულ დაგიშროს, მთელ ზაფხულს თუ გქონდეს.

გოდერძის გაეცინა.

— სთხოვე. შენ სოლიკოსაც ეგრე დაემუქრე, მაგრამ ზომ გახსოვს, რა გიპასუხა?

ოთახიდან შავლეგო გამოვიდა და იქვე ჩამოჯდა.

— დაუძინია დედაჩემს, პაპაჩემო. რათ, სოლიკოს ვინ ემუქრებოდა?

ვანკამ ქუდი დაიხურა თავზე და სასწრაფოდ აიკეცა კაბის კალთები.

— ქურდია სოლიკო, ქურდი! რად მიჰქონდა სახლში სხვისი საქონელი? — ელექტრონის შექმნე ბრწყინავდა წვრილი უფერული თვალები და ბრმათაგვასავით დახტოდა უწამწამო ქუთუთოებში მომწყვედეული.

— რა მოგპარა მამაო, სოლიკომ?

— კოჭები მოპარა. ტყიდან მოპარა დათლილი კოჭები.

— ეგ როდის?

— ახალი შემოსულები იყვნენ ჩვენებო.

— მერე?

— მემრე ეს მიადგა სახლში, გარეთ გამოიხმო სოლიკო და ეუბნება: „სოლო, შე გარეცხილო, შენ რომ ტყიდან მორები მოიპარე, შენი ხელით ისევ უკან მოიტანე, თორემ დაგკრუნხხავ — დაგბლუნძავე!“

— მერე?

— მემრე ხო იცი, მაშინდელი ამბით გაამაყებულნი ჯეილი ბიჭი რას ეტყოდა, რომელსაც აღარც ღმერთისა სჯერა რამე, აღარც ხატისა და, მით უმეტეს მღვდლისა.

— მაინც რა უბასუხა?

— „შენ აი, ჩემ ფეხებს დაჰბლუნძავე! შენ ის დრო ხომ არა გგონია ვირს როდღე უტყუებ ჰხენდინდი? ახლა შენი ყველაფერი ჩემიაო“.

შავლეგო იცინოდა.

— ყური ნოვკარი, თითქოს დაპატიმრებულაო. სადა ყოფილა?

— სადღაც ციმბირში გაგზავნეს და დიდხანია არა ისმის რა.

— წმინდა ელიამ დასცეს თავისი მეხი იმ სიბრიტყევით გამოტენილ თავზე და ნურც დაბრუნებულა იქიდანა.

— ძმაცაყები სადა გყვანან, ქობელამ ვერ გიშოვა სადმე? ან ილუა რას გიკეთებს? ხომ არ გაუხუნდა ანდაზა: „სადაც ბოლი მაღალია, მეც იმისი მაყარაო“.

— მიხას არა შეუძლიან რა და ორი დღეა ილუა ვერ მიბოვნია.

— მაშ თეთრი-ვიორგში აღარაგინ მოგდის?

მღვდელი წამოდგა და კაბაში გახსწორა.

— ყველა შენზე უარესად არი გამამაძალეებელი.

— აი, მარიამობა მოვა და ამოივებ ჩიჩახეს მღვდელს.

— ნეტა წელიწადში თორმეტი მარიამობა იყოს, ბებერო.

— ჰაი, შე უთოფო ყაჩაღო, განა ეგ საკმარისი არ არი?

— იქნება მეტიც. — დაურთო შავლეგომ.

— ერთი მალე მოვიდეს და ნეტა არ ნინდა, იქ დაგინახოთ ამოსული ან ერთი და ან მეორე. ქიგოთი შეკოვამტვრევთ ფეხებს. არ მაძლევ და სულაც დაგამარებია.

მღვდელმა კიბე ჩაიარა და ზედ მიკარდინილ ძაღლს შეუტია.

— ვახშმად დარჩებოდი, ვანკავ.

— მადლობელი ვარ, ბებერო, ვახშამი შენზე გვიან ვიახელი.

შავლეგომ აივნიდან ისკუბა და სტუმარი გზამდე მიაცილა.

— რაზე უთხარი უარი, რას გთხოვდა? — იკითხა მობრუნებულმა ბიჭმა.

— ღვინო ნებავდა. გინდა მომყიდე, გინდა მასესხეო.

— რომ არა გქონდა?

— არ დავიჯერა. იგრე ჩამაცივდა, გვგონება, ვახვახიშვილისეული ზვრები წლეულ ამას დაუქრეფიაო.

— სირცხვილი კია, ქართველ კაცს სახლში ღვინო არა ჰქონდეს.

გოდერძი მოიღუშა, ქალამანს ქუსლთან ყულფი გაუკეთა და შეილიშვილს პირქუშად ახედა.

— სირცხვილი მაშინ არი, რომ ვენახი გქონდეს და ღვინო არა.

— ხომ გვაქვს ვენახი.

— ჩვენ რომ ვენახი გვაქვს; ორ იმოდენს საჩუქრად აძლევს ნათესაებებსა და ძმაცაყებს თავმჯდომარე.

— შენ ნუ იცი ხოლმე, პაპაჩემო, არამარის დაყრა. რამდენიც გვეკუთვნის, იმდენი გვაქვს.

გოდერძიმ ქალამნის ამოსხმა შეაჩერა და შევილიშვილს განრისხებული თვალი მიანათა.

— ის მეკუთვნის მარტო, რაცა მაქვს? ვინ შევიდა კოლმეურნეობაში პირველად? ვინ შეიყვანა საუკეთესო ცხენი და კამეჩები კოლმეურნეობაში პირველად? ვინ შეიტანა სამი დღიური მიწა კოლმეურნეობაში, ვინ გააერთიანა მთელი ავღალიდგება პირველად? ცხენის აკაზმულობაც კი არ დაეიტოვე შინ. მითხრეს, გვათხოვეო. ვათხოვე მემრე დაკარგეს და ანაზღაურებაზეც უარი მითხრეს. აი, ესაა ჰექტრის ოცდასუთმეტი მესაედი მე მაქვს და ვისაც მიწები ბლომად ჰქონდა, ესაა ჩემზე მეტი დარჩა. იმათ სამოცდასუთმეტი მესაედი დაუტოვეს და ზოგს მეტიც. თქვენ, ჭეილო, ნამეტანს ნუ გაგდით თავს. რომ გამოდგებით და გაპყვირით, რევოლუცია მოგანდინეთო, რა ვალრიალუბით? თქვენ მოახდინეთ, თუ ჩვენ? შენ მაშინ სად იყავ, როცა ჩვენ ნადირებზეთ დეკარწოდით ტყელარეში. ეს ჩვენ მოვანდინეთ რევოლუცია და მენშევიკების გარეკვაც. მაგრამ მარჯვენას ვფიცავ, რომ მკოდნოდა, თუ ამ ვირაღლეტების ხელში მოვხვდებოდი, თითსაც არ გავანძრევდი. ზოგჯერ დავფიქრდები და ვიკითხავ ჩემთვის: რისთვის ვიბრძობდი? აბა, ჭეილო, მითხარი სად არი აქ თანასწორობა? — ნიკოს ცოლის ძმებს იმოდენა ვენახები აქვთ, რომ ძლივს უვლიან. მე კი ერთი მტკაველა მომაგდეს, თავში რომ გადააფურთხო, ბოლოში დაეცემა. სხვებსაც ბლომად ატიალიათ. აბა, რომელი მათგანი გამოვა კოლმეურნეობაში სამუშაოდ მანამდე, სანამ თავის საკუთარ მიწას არ დამუშავებს? გიჟები არიან? მართალია, მიწები ცოტა გვაქვს, მაგრამ რაცა გვაქვს, ის რომ წესიერად დამუშაო, ხუთი იმდენი უნდა მოიყვანოს, რაც ახლა მოჰყავს. შეიძლება უფრო მეტიც.

— უცნაური ხარ, პაპაჩემო, რას არ მოიგონებ.

— მე კი არ ვიგონებ, — ვირო-შამა-აძლო! — უფრო აენთო მოხუცს თვა-

ლები. — ეს ეგერა. რომ გავიდვია ქროჩი მხარზე და დადიხარ ყალაღინად, ერთი ცხოვრებაშიაც ჩაიხედევ. რომ მოდის, საიდან მოდის. ღმერთო! გგნებურის მალლიდან, თუ ნარიყვიით მოაქვს ბერხევას. სახნავ-სათესი მე აღარა მაქვს და მომხნავ-დამფარცხავი არა მყავს. მაგათი დედაც! — მოხუცმა ღვარძლიანად შეიგინა. — თითონ „პაბელით“ დაბრძანდებიან და მე კი ღორი რომ არ ვიყოლიო, ზამთარ ზაფხულ უქალამნოდ დავრჩებოდი. თანასწორნი ვართო, საიდანა ვართ თანასწორნი? თანასწორები ზევით, — გოდერძიმ ჩხირი ეკლესიისაკენ გაიშვირა, — სასაფლაოზე არიან. თუმცა იქაც ზოგს ანატულ-ჩამონატული ქვა და მარპარილო ადევს და ზოგზე კი უბრალო ლოდიც არ აგდია. იქნებ გგონია, სხვაზე ნაკლებს ვმუშაობ? ერთი კანტორაში ადი, უბრალოდ ადი და შეიხედე მაინც, ნახე, ვისზე ნაკლები შრომადღეები მაქვს... ეგ წურბელები! ერთი დრო იყოს, მე ვიცოდი, სისხლს როგორ გამოვუშვებდი.

შავლეგომ გაიღიმა და გაჩაერებულ მოხუცს მხარზე ხელი სიყვარულით მოუთათუნა.

— ის დრო წავიდა, პაპაჩემო, როცა ბერდენკას აგრიალუბდი. არც გასაჩაერებელი ვაქვს რამე. ცოტა ხანს დაცადე და მანქანა ჩვენც გვექნება. ესაა დაიძინე, თორემ ზაფხულის დამე მოკლეთ. მეც ცოტას წავიმუშავებ და დავწევები.

— შენ მე ჰქუას ნუ მასწავლი, ზაფხულის დამეც შენზე ადრე ვნახე და იმისი სიმოკლევ. — და მოქურუხებული თვალი გააყოლა აივანზე მიმავალ შევილიშვილს. მერე ძლივს მოსწყვიტა თვალი აშოლტილ ვაჟაკს და ამაყად გაიფიქრა:

— ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება, როცა ეუცქერი, ზედგამოჭრილო მამამისია. მხოლოდ ჰქუა არ აქვს თავში. წყეული, ფეხებზე ჰკიდია ორი და ათი შაური. ეეკ, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა და ქალამნის ამოსხმა განაგრძო, — სისხ-

ლის მაგიერ ღუბელა უდგათ ძარღვებში.

შავლეგო პატარა ოთახში შევიდა, წიგნების თაროდან შანიძის „ხევსურული პოეზია“ გადმოიღო, გადაშალა და ნიშნულ ადგილზე და ახლოს მოდგმული ლამაზ გვერდზე გასწია.

თავი მეოთხე

„პობედაში“ მტერის კუდი ჭალისპირაში დატოვა და სოფლის გარეთ გაიშინღვრა.

გზის ორთავე მხარეს მწყრივზე გარბოდნენ მალაქაწებმა აღვები, თმაგამლილი ტირიფები და ქლიავისა და კაკლის ხეები.

ქარი იჭრებოდა მანქანის ღია ფანჯრებში.

— ნელა ატარეთ, კუპრაჯ, თორემ ანთი ქროლვით კარგად ვერ მოვასწორებ ალაზნის ველისთვის თვალის შევლებას. უცნაურია, — ვაიციან მძღოლის გვერდით მჯდომმა, — რატომ გეძახიან კუპრაჯას?

— რა ვიცო, ყური კი იგრე მაქვს შეჩვეული, რომ სახელის დაძახება მეხამუშება კლდეც. შენ რა საქმე გაქვს ალვანში? რამე საკბილო გინდა?

— საკბილო ყველგან არი. ალვანში კი იმიტომ მივდივარ, რომ ნარკვევი გავაკეთო რადიოსთვის მოწინავე მეცხვარეებზე. ხარჯი ხარჯია... ბარემ ჩამოვსულვარ, კვიცსაც გავხედნი და მამიდასაც ვნახავ.

— მამიდის ნახვა ადვილია, კვიციას გახედნაზე კი რა მოგახსენო. ჩვენში კარგი ანდაზაა: „როგორც დამკარავ ჩონგურსა, მეც იგრე დაგირაკლებიო.“ ჩვენი გაზეთის რედაქტორი რატომ თითონ არ წამოვიდა?

— ძალიან გენატრება მისი ნახვა? — ვაიციან კორესპონდენტმა.

— რად უნდა მძულდეს? მიყვარს გაბედული ხალხი. ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი ეგ შემხვდა, რომელიც ვერც სიტყვით დაგითათბირე და ვერც საქმით. ფეხდაფეხ მღევდა ყველგან და ვერაფერში ვერ დამიჭირა. ვერც მე დავი-

ქირე. რა უნდა გააწყო იგეთ კაცთან, რომელიც ღვინოს არა სვამს? ერთხელ იგრე მაინც ასტყვიდეს ეს უშუქურთმ თან გადაიტანოს.

— რაო, მაინც რაზე გადაგვიდა? — ახმეტაში დიეტური სასადილო ვერ გავუხსენი და იმიტომ.

კორესპონდენტი სიცილით მიაწყდა სავარძლის რბილ ზურგს.

— შენ კაი საქმის გაკეთება თქვი, თორემ ავის ქნა ყველას შეუძლია, — განაგრძო კუპრაჯამ, — ახმეტიდან თელავში გადმოვედი და აი, ხომ ხედავ, თოქოს ნაწლავი ნაწლავს აბიოო, აქაც გადმომყუვა. არც აქ ისვენებს. შენ ამბობ, ადგილიო, ადგილისა რა ბრალა? ჭიანჭურის ხილზე ჯაფარა შეხვდა კაქკაუს და შეეკითხა: „სად მიდიხარო?“ „ჩაქათალაში მივდივარ, ახლა იქ უნდა ავაშენო ბუდეო. „კახეთი ეგრე რად მოგძულე ბიოო?“ „რალაცა ყარს აქაურობა და ამ სუნისაგან ველარ მოვისვენეო.“ „მერე ეგ ბოლოც თან მიგაქო?“ „აბა, აქ ვის დაუფტოვებო.“ „მამ იქაურობაც იგრე ეყარება, როგორც აქა ყარსო“. თურმე ბოლო სკინტლში ჰქონდა დასერილი. ადგილის გამოცვლა კაცს რას უშველის? სადაც უნდა წაივდეს, თავისი ზნე და ხსიათი თან წაპყვება. ისე კი გეტყვი, რაც უთქვამს, მართალი უთქვამს. ან ის რად გინდოდა? მოხვიდოდი ჩემთან და მე მეტყოდი. ჩემი საქმისა მე უფრო კარგად არ ვიცო?

კორესპონდენტი გაოცდა და ვაიფიქრა: „მართალი უთქვამს ჩემთვის ჭალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარესო“.

უეცრად მანქანამ სვლას უკლო და კუპრაჯამ კორესპონდენტი ზელმარცხნივ მოსუნსულე ღორების კოლტისაკენ მიახედა, რომელთაც გრძელი კომბლით პატარა ბიჭი მოსდგომოდა გვერდით.

— აი, აი ის ჭრელი ღორი რომ მოჩანს. სხეებზე უფრო დიდი და მსუქანი, ჩემი ღორია. ვანა მარტო ეგ არი? ყოველ სოფელში მყავს ეგეთი ღორები და ნახირში მოზვერ-დევეულები.

ვაიარეს ფშაველი და უკან ჩამოიტოვებს ყვფით დაღვენებული ძაღლები.

— სინდისს გეფიცებით, მე თქვენ მაკვირვებთ, — ძლივს ამოდერლა მართლაც გაოცებულმა კორესპონდენტმა.

კუპრაჰამ ჩაიცინა.

— განა მარტო ეხლა ვაკვირებებ ვინმეს? ბალღობისასაც თითით საჩვენებელი ვიყავი. რაიონიდან ან ქალაქიდან რომ ვინმე მოვიდოდა სკოლაში, მაშინვე ჩემზე ეტყოდნენ: ისაო, აი ისაო, ხუთი წელია ერთ კლასში ზისო.

კორესპონდენტი ახარხარდა.

კუპრაჰამ განაგრძო.

— იქიდანვე ფულისკენა მქონდა მოდრეკილება. მასწავლებელი რომ მკითხავდა: ხუთს რომ ხუთი მივუმატოთ, რამდენიაო, მე ვეტყოდი — თუმანო-მეთქი. ერთადერთი მახსოვს, მასწავლებელს რომ კითხვაზე სწორედ ვუბასუხე: ზოოლოგია გვქონდა და რაიონიდან კაცი გვესწრებოდა. მასწავლებელმა იკითხა: ვინ დამისახებლებს უხერხემლო ცხოველი რომელიაო? ერთი ფრიადოსანი გვეყავდა, იმის მეტმა ვერავინ ასწია ხელი. აბა, დაასახელე რომელიაო. ჰიყველაო — უთხრა. ყოჩაღ, კარგიაო! და დავა. აბა, კიდევ ვინ მეტყვიოსო? — მთელი კლასი გაისუსა. მარტო მე აწიეი ხელი და გადაირია მასწავლებელი. ჩემ სიცოცხლეში გაკვეთილზე ხელი არ ამიწევია, თუ არა ვინმესთვის თავში ჩასაფარებლად. აბა, გენაცვალე, მითხარ: კიდევ რომელია უხერხემლო ცხოველიო? — მკითხა გახარებულმა მასწავლებელმა. მეც აუღეი და ვუბასუხე: მეორე ჰიყველა-მეთქი.

კორესპონდენტი ძლივს ხიზინებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა სიცილისაგან.

— სასწავლებელი როდისღა დაამთავრეთ?

— არ იამითავრებია, გამრიცხენ... გამრიცხეს. მაგრამ ისოა, რომილიც უმაღლეს დამთავრებული და ნასწავლია, მოვედეს და მომეტოლოს, თუ ბიჰია. მაგათ მე რომ არა ვყავდე, ვერც ერთი ვერ იცხოვრებდა: ფული დასჭირ-

დებათ, — ჩემთან მორბიან, ღვინო და პურ-მარლი დასჭირდებათ, ჩემთან მორბიან, მანქანა დასჭირდებათ, ჩემთან მორბიან. პოდა, მეც ყველას ვუმართავ ხელსა. ეგრეთა: ხელი ხელსა ბანსო. მხოლოდ ერთადერთი ეგ რედაქტორი არ მოსულა ჩემთან, რა არა ვცადე, მაგრამ ვერ გავიკარე.

თანდათან განცვიფრებულმა კორესპონდენტმა მძლოლის სახე მოათვალიერა და იკითხა:

— ეგ ჰრილობა სად მიიღეთ, ფრონტზე იყავით?

კუპრაჰამ დამცინავად ახედა კორესპონდენტს.

— ფრონტზე? ფრონტზე რა გამიყვანდა? სროლა საუკეთესო ვიცი, მაგრამ მარტო ნასანგრალი თუ მინახავს. მე-თაურს ვუყვარდი და სურსათის საწყობში გამგზავნა.

— მაშ სროლა სად იწავლეთ?

— აქა, ტირში.

— სანადიროდ ალბათ ნშირად დადიხართ.

— სანადიროდ? ჰმ, სანადიროდ იმან იაროს, ვისაც მუხლებში ქარი უღვა და თავი გახურებული აქვს. მე სუფრანზე მიყვარს ნადირობა.

— ჰრილობა?

— რის ჰრილობა, ახმეტაში ჩხუბში გამიხეთქეს წარბი.

მანქანა ტახტიგორას ვასცდა, ლალის-ყური გადასჭრა და ალვანის ველზე გავიდა.

და კორესპონდენტს თვალწინ გადაეჭიმა ტახტიგორადან ბახტრიონამდე გადაქიმული ულამაზესი სანახაობა, რომელსაც ერთ მხარეს ტყით შემოსილი რუხი მთები მოსჯარებოდნენ, ხოლო მეორე მხარეს ალაზნის ლურჯი ზონარო დაკლავნილიყო.

აქ უთელიათ ლანგ-თემურის მრუდე წვივებიან მეომრებს ხასხასა ბალახი ყვითელი წაღებით.

იონა ჰაქელი ხელაშვილების ოჯახი

კომედია 3 მოქმედებად

მოქმედი პირობი:

- გაიოზ ხელაშვილი — მხატვარი, 32 წ.
მარიკელა — გაიოზის მეუღლე, 24 წ.
რუსუდანი — მარიკელას და.
დევანი — ახალგაზრდა მხატვრები
ნოდარი — ახალგაზრდა მხატვარი, ხელოვნების დარგის ერთ-ერთი მუშაკი, 45 წ.
გივი — ხელოვნებათმცოდნე, გაიოზის კვისლი.
ივა — აბესალომის ნათესავი, მძღოლი.
ლუარსაბი — კომბინატის პასუხისმგებელი მუშაკი, 55 წ.
ალექსანდრე — დირექტორის მოადგილე.

პირობები:

- დომოდე — მარიკელას მამა, 60 წ.
პორფირე — ოფიცინტი.
სიმონი — გაიოზის მეზობელი.
ნანული — აბესალომის ცოლი, 40 წ.
უტრუხუნე — სამეურნეო დარგის მუშაკი.
ტკია — უტრუხუნეს თანაშემწე.
დარეჯანი — ალექსანდრეს მეუღლე.
ჭულიბტა — ლუარსაბის მეუღლე.
ეთერი — ლუარსაბის თანამშრომელი.
არჩილი — მხატვარი.

მოქმედავა პირველი

ხუროთი პირველი

- აბესალომის სამუშაო ატელებ, სცენის სიღრმეში კაბინეტის კარები მოჩანს.
ივა ლილინით შემოდის.
ივა — მომავლედ ყანწებიო, რერო,
დაეთერები და დავწეებიო, რერო...
ჩემო კარგო, ჩემო შშენიერო!..
(კაბინეტიდან მოისმის აბესალომის ხმა).
აბესალომის ხმა — ივა!
ივა — აჲ ვარ, გენაციალე!
აბესალომის ხმა — ერთი კიჲ ჩაი მომიტანე!
ივა — საჯივრველი კაცია! ჩამდენი ხანია გათენდა და ჩაის ახლა სევამ. წუხელის აჲ, სტუმ-
რებთან, ჭადრაკს თამაშობდა, წააგო და კინალამ დავეხოცა ხალბი. იჲ! ნამდვილად
ახირებული კაცია! (ივა ვიდის, კაბინეტიდან გამოდიან ტკია და უტრუხუნე).



- ტკობა — ხედავ, უტრუხუნე, რა გვაყო ხაზინმა! კი მაგარი ციებ-ციებება მოგვაყენა!
- უტრუხუნე** — ჩვენი ბრალო. ფეშქაში დავეგვიანეთ!
- ტკობა — მერე, ყოველთვის გაგონილა?
- უტრუხუნე** — რას იზამ, გენაცვია მგის ხელში არა ვართ!
- ტკობა — ვაჰ, კაცო, ეს რა ხდება ქვეყანაზე! სამართალს აბრე აერია?
- უტრუხუნე** — ორმოც წელს გადაცილებული კაცი ვარ, მთელ დღენაზე ზოიქსა და ოინენ ოსტატად ვითვლებოდი, მაგრამ ახლა რომ პალსტუხიანი მატყუარები გამოჩნდნენ, ღმერთმანი, იმათთან არიდად მოეჩანეარ. წამოდი, ტკობა!
- (ტკობა და უტრუხუნე გადიან. ღლინით შემოდის აბესალომი. ჯერ მოღბერტს ჩაუვლის, შეათვალიერებს, შემდეგ ფარდას გადასწევს. შემოდის ივა).
- აბესალომი** — რა ქენო, მომიტანე პაპიროსი?
- ივა — აგერ დევს მავიდაზე.
- აბესალომი** — ეგ რად მიწდა! შე სიგარეტი მიყვარს... როცა ღეკვე და პირში თუთუნის გემოს გრძნობ, იმას რა ჯობია!
- ივა — მაშინ თუთუნის მხრიდან ჩაიღე პირში და სიგარეტი იქნება, გენაცვალე!
- აბესალომი** — (პაუზა) პო, მართლა, საღამოს ხუთი საათისათვის არსად გაიბნე. სამგორში ვი-პირებ. იქ აეტომანქანის მართვა უნდა მისწავლო!
- ივა — თავს რისთვის იწუხებ, რად გინდა, გენაცვალე!
- აბესალომი** — გემინ მძლოლის წიგნაკი ავიღე და ტარება ხომ უნდა ვიცოდე (შემოდის გივი).
- აბესალომი** — რა ქენი?
- გივი — არაფერი გამოდის.
- აბესალომი** — შევარცხენე შენისთანა კლუბის გამგე!
- გივი — რა უნა, კაცო, შტატში ისეც მაკლია ხალხი, კიდევ ვინ უნდა შევამოკლო?
- აბესალომი** — რა უნდა, კაცო, მაგისი ერთი ვინმე, როგორ არ გეყოლება დაწესებულებაში ისეთი, რომელიც თვალიშე ეკლად გესობა, ამოგადე ბოლოყვიით და გათადდება საქმე!
- გივი — ო, როგორ იოლად დაპარაკობ!
- აბესალომი** — აბა, წარმოიდგინე ერთ წუთას! ფეხზე თითი გავისივდა, გამავდა, სიცოცხლეს ემუქრება, არ უნდა მოიკეთოს?
- გივი — რად უნდა მოიკეთოს! განგრენა კი არ გვჭირს ჩვენ!
- აბესალომი** — შენ თუ ვიყურე, არაფერი გამოვა, აბა, შედი, შედი-მეთქი კაბინეტში... მე თვით დაგებმარებო! (აბესალომი ძალიად შეავდებს გივის კაბინეტში და თვითონაც შიგ შეყვება).
- ივა — (მარტო) მართლაც და ძალიან ძნელი საქმე კი ყოფილა ეს მხატვრობა. აგერ, ამ ქა-ლიშვილს რამდენი ხანია ზატებს აბესალომი და საშველი არ დაადგა! მაინც რად უნდა ამ ანგელოზს ღუარასაბის დახატვა, ისეც უაღმით არა დახატული! მე მგონია, სულ ტუფილად ცოდვილობს აბესალომი!
- (შემოდის ლევანი).
- ლევანი** — გამარჯობა, ივა! სად არის აბესალომი?
- ივა — აგერ კაბინეტშია, გივისთან თათბარობს... აი, შენი და, მარჯველაც აგერაა ჩვენთან!
- ლევანი** — სად?
- ივა — აგერ, ტილოზეა გაკრული. მოგწონს?
- ლევანი** — რა უნდა მომეწონოს? ჯერ კონტურებია მხოლოდ დახატული... (შემოდის გივი და აბესალომი).
- აბესალომი** — აბა, ივა, გივი ჩემი მანქანით გააცილე!
- (ივა და გივი გადიან).
- ლევანი** — ეს რა არის, კიდევ არ დაგიმთავრებია მარჯველას სურათი?
- აბესალომი** — ამის მიზეზი შენ დას ჰკითხე. აღარ დადის... აი, დღესაც უნდა მოსულყო და ჯერაც არა ჩანს. სხვა რა ჰქენი, იშოვნე ძაღლი!
- ლევანი** — ძაღლი შიაკდა კირილეს სულში. შან არ დამიხვდა.
- აბესალომი** — აბა უძაღლოდ წავიდეთ, ბიჭო, კურდღელზე სანადიროდ?
- ლევანი** — ეგ არაფერი. სანამ ძაღლს ვიშოვნიდე, აგერ ცოტა ხნით კომკავშირში შევიბრუნე.
- აბესალომი** — რა გინდა, ბიჭო, კომკავშირში? კაცი ოცდაათი წლის შესრულდი და კიდევ კომკავშირში დადიხარ?..

- ლევანი** — განცხადება უნდა შევიტანო. აი, ნახე რას უწერ! ვთხოვთ აღმადგინოთ კომკავშირის რიგებში. მართალია, ერთხელ ვიყავი თქვენს მიერ გარაცხული უღმინობის გამო, მაგრამ არასოდეს არ დამაიწყებდა ის სიამოვნება, რაც კომკავშირში პირველმა მიღებამ მომანიჭა. ამიტომ მინდა ეს სიამოვნება ხელახლა განვუკადრებ ახსნალოში — რას ამბობ, ბიჭო! კომკავშირი ნაყინი ხომ არაა — ერთ პორციას რომ შევამ და შემდეგ ისევ დაუძახებ!
- ლევანი** — აბა, წავედი! თუ ძალი ვიშოვნე, აუცილებლად დაგირეკავ!
(ლევანი გადის. ტელეფონის ზარი ახსნალოში უფრმიალეს აიღებს).
- ახსნალოში** — ო, მარკელა! სად ხარ, ძვირფასო! რამდენი დღეა აღარ ჩანხარ! ახლა მოდიხარ? კარგი, კარგი, შინ დაგხვდები.
- (შემოდის ალექსანდრე).
- ახსნალოში** — ო, რა ცუდ დროს მოხვედი, შე კაცო! ახლა მარკელა მოვა ჩემთან და ხელს შემეშლი!
- ალექსანდრე** — არაფერია, შე მხოლოდ ორი წუთით. ასპირანტურაში მისაღები კანდიდატების დახასიათებას ვეთხოვე!
- ახსნალოში** — მერე, რატომ არ უგზავნი?
- ალექსანდრე** — უშენოდ არ მინდა წარვადგინო.
- ახსნალოში** — აბა, დასახელე ვინ არიან!
- ალექსანდრე** — აგერ, შათირიშვილი მიზის პირველ რიგში.
- ახსნალოში** — როგორია?
- ალექსანდრე** — უნიკა, მაგრამ მონდომებული უმაწეილია.
- ახსნალოში** — დატოვე. შემდეგ ვინ ოხერია?
- ალექსანდრე** — შემდეგ, არეშიძე მყავს სიაში. ნიჭიერია ეგ ციგანი, მაგრამ რათ გინდა, თავ-გასულა... ავტორიტეტებს არაფრად აგდებს, დიალოში ისე დაწერა, რომ შიგ ერთხელაც არ მოუხსენებია შენი სახელი.
- ახსნალოში** — ამოაგდე შავ ღღინძალის შემდეგ ვინ არის?
- ალექსანდრე** — შემდეგ კომლაბაძე. ჭერჭერობით ვერაფერს იტყვის კაცა რა გამოვა მისგან, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — ჩვენი კაცა იქნება.
- ახსნალოში** — შავ დარჩეს, სხვა, როგორაა შენი საქმე, შევბუღებაში წასვლას არ აპირებ?
- ალექსანდრე** — რად მინდა! ერთი საგზურით უკვე მოკლმა ოჯახმა დავისყენეთ.
- ახსნალოში** — როგორ?
- ალექსანდრე** — სიღვლით გავგზავნე აგარაკზე.
- ახსნალოში** — აიტ, შე ცუდლურა, შენა!
- ალექსანდრე** — ო, მართლა, როდის მაფორმებ დირექტორად?
- ახსნალოში** — რად გინდა გაფორმება, ისევ ფაქტიური დირექტორი არა ხარ?
- ალექსანდრე** — კი, ამათამ, შინაარსი უფორმოდ სად გაგონილა!
- ახსნალოში** — კიდევ რაღა გინდა, არჩილი ხომ დაგვლავა? ჭერ მოძრაობა ვცადე მისი, მაგრამ რომ გაუბრდა, ახლა ისე ჩაეაგდე ბოთლში, როგორც საცობი.
- ალექსანდრე** — მერე, კარგია ეს? ახლა გაეჩხირება ბოთლს ევლში და ბიჭი ხარ, დაასხი ღვინო შენ ვემოზე! აბა, ნახვამდის! (გადის).
- ახსნალოში** — (ახსნალოში მარკელას სურათს უტრიალებს) არ, იქნა, ჭერ კიდევ ვერ დავასრულე. მაინც რატომ გამიჭირდა ასე? (ფუნჯს რამდენჯერმე გაუსვამს ტილოს) რაც მინდა, ის მაინც არ გამოდის. რა შემართება? ნუთუ სულ ამოშრა შთავსების წყარო?! არა, მაინც არ დავყრი ფაქტბალს. (პაუზა). ო, რა ქალია! რა ჩასაკბები ტუჩები აქვს! არა, დღეს აუცილებლად გაუტყდები... ბოლოს და ბოლოს. ვატყვი პირდაპირ, რა მოხდება! (შემოდის მარკელა). ო, მოდი, მოდი, ჩემო სიხარულო!
- მარკელა** — ბოლოში, ახსნალოში! ამდენხანს უნდა მოვსულიყავი, მაგრამ დრო ვეღარ ვიშოვნე... უნდა მაპატიოთ...
- ახსნალოში** — ეგ არაფერია. რომ ხშირად გველოთ, ახლა სურათიც მზად იქნებოდა.
- მარკელა** — ჩემი ბრალია. აბა, ვნახოთ ერთი, წინ თუ წაიქცა ჩვენი საქმე! (სურათს დახვდავს) ეს როგორ! ჩემს შემდეგ ამაზე აღარ გიმეშვებით?
- ახსნალოში** — რას ამბობთ, უთქვენოდ როგორ გაებედავდი! მართალია, თქვენი ფოტოსურათები აქა მატყვს, მაგრამ, სად ფოტო და სად ცოცხალი ადამიანი!
- მარკელა** — მამ, სანამ არ დაასრულებთ, სულ თქვენთან უნდა ვიარო?

- აბესალომი — რა თქმა უნდა. ჭერ ერთი — ეს საქმეს სჭირდება და, მეორეც, ჩემთვის ეგ დიდ სიამოვნებას წარმოადგენს.
- მარიკელა — მაგრამ, მე რომ დრო არ მექნება ამისათვის?
- აბესალომი — უნდა მოიკალათ. მე ხომ თქვენთვის ყოველთვის შხადა ვარ! შეტყობა გეტყვით, თქვენი აღერსიანი ხიტყვა, თქვენი სიბოძო, მუდამ თქვენთან ყოფნა მჭირდება! (ხელს დაუჭერს) ამ ხელებს შეუძლიათ კიდევ მომკლან და კიდევ მაიკოცლონ!
- მარიკელა — საოცარია! დღეს თქვენ პირველად ამეღავენებო ჩემდამი სიმპატიებს!
- აბესალომი — როგორ! განა დღემდე არა გრძობდით ამას? აბა, წარმოიდგინე კაცო, რომელი ყველაფერს აკეთებს ამისათვის, რომ თქვენი მოწონება დაიმსახუროს! როგორ გგონია: ეს ყველაფერი უშიზნოდ კეთდებოდა?
- მარიკელა — და ამისათვის ნუთუ ცოლი უნდა გავხდე თქვენი?
- აბესალომი — დიხ. მე ის აბესალომი აღარა ვარ. ახლა უკვე რაღაცას წარმოადგენ საზოგადოებაში. მომავალშიც იმედოვნებ მაქვს წარმატებისა... მე ვიცი, წინათ თქვენ დიდი გაჭირვება გაიარეთ ცხოვრებაში!
- მარიკელა — ეგ არაფერი. საკუთარი შრომით შექმნილი ლეკვა ყველაზე ტკბილი საზრდო არის.
- აბესალომი — სწორედ ამიტომ ვაფასებთ თქვენ! გამოგატყუდებით, რა წამს კონცერტზე განახეთ, გულში სიხარბემ გაიღვიძა... აი, ვინ უნდა შეეუთონოდეს მე, ვთქვი გუნებაში.
- მარიკელა — მაგრამ, მე რომ ერთი უსახელო გოგო ვიყო, მაშინაც ასეთი აზრის იქნებოდით?
- აბესალომი — არა, მე სახელს და დიდებას არ მივსდევ. მე მეგობარს დავეძებ. ჩემი ცოლი ჩემი თანაშემწეც უნდა იყოს. თქვენი ნიჭი, თქვენი გავლენა ჩემი მტრების გულს მოინადირებს და ამით ორივეს ფართო გზა გაგვებსნება ცხოვრებაში.
- მარიკელა — გეტყობათ, თქვენ მხოლოდ თქვენ თავზე ფიქრობთ, ზაჭონო აბესალომი!
- აბესალომი — განა უფლება არა მაქვს, ცოტათი მაინც ვაფიქრო ჩემს თავზეც?
- მარიკელა — მარტო თავისთვის არაფერს ცხოვრობს ქვეყანაზე!
- (შემოდის გაიოზი).
- აბესალომი — აგერ, სტუმარიც მომივიდა... მოდი, გაიოზ! ვთხოვთ, გაიცნოთ ერთმანეთი! ეს მარიკელა ვახლავთ... ეს კი მამაჩემის ნათლულია, გაიოზ ხელაშვილი!
- გაიოზი — მგონია, ხელი შევიწმალეთ!
- აბესალომი — არაფერიო. მუშაობა ჭერ კიდევ არ გექონდა დამწყებულ.
- გაიოზი — აბა, ენახით ერთი, როგორ დულს და ვაღმოდის შენი ენერჯია! (ათვლიერებს მოღებრტზე გაკრულ ტილოს) ეტყობა, ახლახან დაგოწყია!
- აბესალომი — რას ამბობ, თუზე მეტია, რაც ეყახირობ. მაგრამ ამისი ბრალა, არ დადოდა წესიერად.
- გაიოზი — (ხან მარიკელას უცქერის, ხან კიდევ მოღებრტზე გაკრულ ტილოს) აბა, ცოტახნით ფუნჯი მომაწოდე!
- აბესალომი — უნდა დამეხმარო?
- გაიოზი — რატომ! ხან მე წამოგვევლები, ხან კიდევ შენ გამომკარი კვანტო და ასე დავეხმაროთ ერთმანეთს!
- აბესალომი — ხედავ, რა იკადრა!
- მარიკელა — (იციანის) აბესალომ, მოკვდი სიცილით, მეტი აღარ შემოძლია!
- გაიოზი — მაინც რა ვთქვი ამისთანა?
- აბესალომი — ამან ასე აცის, სულ ხუმრობის გუნებაზეა...
- გაიოზი — აბა, აბესალომ, ახლა ეს ფუნჯი მომაწოდე!..
- აბესალომი — ყმაწვილო, თავი დაანებე!
- გაიოზი — ამ ჭალიშვილის თვალეზი არც ისე იოლად დასახატავია!
- აბესალომი — რა დაგემართა, ცოტა მოუყელო, ბიჭო, რამსიგრძე ენა გაქვს!
- გაიოზი — ამსიგრძეა და მაინც არ მყოფნის მტრების საგვწავად და მოკლე რომ იყოს, მაშინ რაღა მესველებოდა!
- მარიკელა — როგორ, თქვენ მტრებიცა გყავთ?
- გაიოზი — რამდენიც გნებავთ!
- მარიკელა — რა უნდათ თქვენგან, რა აბრძოლებთ?
- გაიოზი — უნიჭობა! უნიჭო ხალხი საკმაოდ ბოროტია. მათ საოცარი თავდაცვის აღლო გააჩნიათ. ისინი ძლიერების წინააღმდეგ არასოდეს ცალ-ცალკე არ იბრძვიან — დაგუფდებიან ხოლმე ერთად და ბიჭი ხარ გაუმკლავდი!

მარიკელა — (მარიკელა გაიოზის მუშაობით აღტაცებულია) დედა, რა კარგია! როგორ უკმა
გაეცოცხლდა... რა დალოცვილი ხელი გქონიათ!..

აბესალომი — გაიოზ, დავისვენით, გვეუთვა მუშაობა!

გაიოზი — (ფუნჯს დასდებს) ჩემი წასვლის დროც მოვიდა. აბა ნახვამდის, კარგად მოხარდეთ!

მარიკელა — თუ შეიძლება, დამიცადეთ, მეც მოვდივარ!

გაიოზი — თქვენც!

აბესალომი — როგორ შეიძლება! ჩვენ უნდა განვაგრძოთ მუშაობა.

მარიკელა — ახლა არა... როგორმე შემდეგ შემოვივლი...

აბესალომი — შენ საით, ბიჭო?

გაიოზი — გამოფენის საქმეზე შემოვიარე. მაგრამ არაფერია, შემდეგ იყოს... ნახვამდის, აბე-
სალომი!

(მარიკელა და გაიოზი გადიან).

აბესალომი — (მარტო) აჲ, რა მიყვს! მაინც რა ეშმაკმა შემოახტა ახლა გაიოზი! ერთად
რომ წავიდნენ, არც ეს მომეწონა! (პაუზა) კმ, ფუნჯის ერთი ორი მოსმით, რო-
გორ გაეცოცხლებია ეს ადგილი! არა, უთუოდ ნიჭიერია; მაგრამ მე რა ღმერთს
გამიწერა? რა მემართება, ნუთუ მართლა უნიჭო ვარ? ეს ხომ იმ არამზადსაც
წამოკლა: უნიჭო ხალხი ბოროტიაო... მე შენ ვიჩვენებ, ბოროტები როგორი
არიან!

(მოლბერტს ჰკრავს წიხლსა და წააქცევს).

ფ ა რ დ ა

სურათი მეორე

დიომიდეც ბინა. ფარდის ახლამდე ისმის ტუბილი, ზმამუწობილი სიმღერა, ვიტარის
აკომპანიმენტით, ფარდა იხლება; სუფრის გარშემო სხედან სტუმრად მოსული ქალ-ვაჟნი.
სიმღერა ერთხანს ისევ გრძელდება.

ნოდარი — ყოჩაღ, გოგობო! აბა, ერთი კიდევ და შემდეგ...

ივა — შემდეგ რა, ბიჭო?

ნოდარი — გავიდეთ იმ ოთახში და ვიმეცადინოთ!

ივა — ა, არ მომწამლა ცაკი!

ნოდარი — აბა, რა ვინდა, ვიტარა გეყოფა ყველაფრად?

რუსუდანი — ზომ ზედაც, როგორ ბეჭითობს ჩვენი ნოდარი! შენ კი რამდენი წელია, რაც
დაუსწრებელზე სწავლობ?

ივა — შეემქვე წელიწადია.

ნოდარი — შერე, დამთავრებას აღარ აპირებ?

ივა — რა მენქარება! დაუამთავრებ და პირდაპირ პენსიაზე გადავალ!

რუსუდანი — ა, ასე ვაფუქდნენ ჩვენი ახალგაზრდები!

ივა — ვაფუქდნენო, რომ გაიძახი, მართლა ჩვენა ვართ ყველაფრის მიზეზი?

რუსუდანი — ახლანდელი ახალგაზრდები ეწირო შარტლებია და მეტი არაფერია!

ივა — ვეა, ნანა! სულ არ ამოავლო ჩვენი სინსილა!

რუსუდანი — ოჲ, ვაჟუნებს თქვენი ქოქი არც ერთი თქვენთაგანი ოჯახის შექმნაზე არ ფიქ-
რობს. იოლ ცხოვრებას ეძებთ... ორმოცდაათი წლის ქვრივებს ირთავთ მშითვეის
ხათრით!

ნოდარი — არც თქვენ ხართ, გენაცვალე, სულ ანგელოზები. სამოცი წლის პროფესორებზე
თხოვდებით, რომ მეუღლის სიყვილის შემდეგ ქონებას დაუბატრონოთ!

რუსუდანი — დიდუმი! ეს რა თქვი ბიჭო?

ივა — ეთქვი და რა ექნა ახლა. ამ ჩხუბს ისევ სიმღერა ჯობია, გენაცვალე! (იწყებს);
ზამთარია. მოდის თოვლი

ჩემს გულში კი დარება,

გოგოვ, გოგოვ, მე შენს გარდა

ჭერ არაფერს მყვარებია!

(შემოდის დიომიდე).

დიომიდე — შეილება, აგერ სტუმარი მოგიყვანეთ!

რუსუდანი — ვინ მამა, ვინ მოიყვანე?

დიომიდე — ვინა და შენი უფროსი, პატივცემული აბესალომი მობრძანდება. (შევიდეს აბესალომი, ყველანი ფეხზე წამოდგებიან).

ივა — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

აბესალომი — ა, ივა აქ ყოფილას!

ივა — აქ ვარ გენაცვალე!

აბესალომი — მანქანა როგორაა?

ივა — ევა, ნინა! სულ რომ მანქანას მეციხეები, ერთხელ ის მეციხე, მე თვითონ როგორ ვარ!

აბესალომი — ა, ამისთანა ახირებული მძღოლი შეყავს, ბატონო დიომიდე!

დიომიდე — რა ქნას, ბატონო, ახალგაზრდაა, ეპატიება!

აბესალომი — ჩემი ნათესაეი რომ არ იყოს, მაგას ვუჩვენებდი თელას სერის! ეს რა ამბავია, დიომიდე! როგორ დაგვხვია თავზე ეს ახალგაზრდები!

დიომიდე — რა ქნან, ბატონო, მოდიან, ერთობიან!

აბესალომი — ასეა. როცა ბაღში ყვავილები გაიშლება, ფუტურებს რა დაეკვებენ!.. გაშლიან ფრთებს, მოფრინდებიან და შექმნიან ბუჩქს! (საერთო სიცილი) მარიკელა სად არის?

დიომიდე — სადღაც წავიდა და მალე დაბრუნდება.

აბესალომი — წუხელ ძალიან მომეწონა თქვენი ქალიშვილი. შესანიშნავად უკრავდა.

დიომიდე — რა ვიცო, ბატონო, მგონია, იმედი გამიშარტოლს.

აბესალომი — კი, კი... რუსუდანიც ჩინებული გოგოა. მალე მას სამსახურში დავაწინაურებ.

რუსუდანი — თქვენი უფრადლება ისეც არ გვაცლია, პატივცემულო აბესალომი!

დიომიდე — ავერ, ჩემი უმცროსი ქალიშვილიც! (შემოდის მარიკელა).

აბესალომი — (მეგვებება) აი, სწორედ თქვენზე ვლამაზობდით ახლა!

მარიკელა — ჩემზე?

აბესალომი — წუხელ გისმენდათ. დიდად აღტაცებული დავარჩი. თქვენ ნამდვილი ვირტუოზი ხართ!

მარიკელა — აჭარბებთ, პატივცემულო აბესალომი!

აბესალომი — არა, არა... თქვენ დიდი, ძალიან დიდი მომავალი გაქვთ!..

მარიკელა — რა ვიცო, ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო... დაოსტატებას ბევრი შრომა უნდა...

აბესალომი — ერთ ჩემს მეგობარს თქვენზე წერილიც შეუუკეთეთ... ვახუთში დაბეჭდავენ.

მარიკელა — რა საჭირო იყო, რისთვის წუხდებოდათ!

დიომიდე — თავი ხომ არ შეგაწყინეთ, პატივცემულო აბესალომი?

აბესალომი — აბა რას ბრძანებთ! როცა უფუნებოდა ვარ, ყოველთვის აქ დავდივარ, თქვენთან სულეერად ვისვენებ.

დიომიდე — თუ გვისამოყენება, ხშირ-ხშირად გვინახულებთ, პატივცემულო აბესალომი!

აბესალომი — წელან კარგად მღეროდნენ, რატომ შეწყვიტეს, ჩემი ხომ არ ერიდებთ?

დიომიდე — თქვენი საკადრისი რა უნდა იზღერონ, როგორ გახედავენ!

აბესალომი — პირაქით, მე ძალიან მიწნდა, რომ იზღერონ! მეც დაგვამარტობით!

დიომიდე — რას უყურებთ! აბა, გოგონებო, სტუმარი არ მომიწყინოთ!

(რუსუდანი გიტარაზე უკრავს და მღერის, „ჯერ არ იქნება გვიან“... სხვები ეხმარებიან).

აბესალომი — ყოჩაღ! აი ეს არის სიცოცხლე... მთელი ჩემი ვაჟაცობა იმას შევალე, რომ ასეთი თბილი კუთხე შემექმნა, მაგრამ სად არის... ოცნება ჯერ კიდევ ოცნებათ რჩება.

დიომიდე — აღბათ, არც ისე ძალიან ისწრაფობით მზნის მისაღწევად, პატივცემულო აბესალომი!

აბესალომი — როგორ არა. ჩემი იდეალი ყოველთვის ეს იყო: სახლში სიმშვიდე, ღამაში ცოლი, რომელიც უკრავს, ცეკვავს და მღერის. მაგრამ დავეხსნათ ამას. (მარიკელას) კარგი იქნება, თუ არ დაიზარებთ, და ერთხელ კიდევ დაგვატყობთ თქვენი ხელოვნებით!

მარიკელა — ახლა არა. მერე იყოს.

დიომიდე — რას ამბობ, შვილო, აბესალომს უარს ეუბნები?

აბესალომი — არა, თუ განწყობა არა გაქვთ, მე არ ვაძალეობ!

დიომიდე — არა, ბატონო, ამას რა განწყობა უნდა... აბა, გოგო, სირცხვილი არ მაქამო! (მარიკელა რთავს მიუჭდება და ასრულებს რაღაც უცნობ მელოდიას. როცა დაკრას დამთავრებს, ყველა აღფრთოვანებული ტაშს უკრავს).

ახესლომი — (ხელებს დაუკონის) აი ეს შესმის! ოქროს ხელები გაქვთ, ასეთი რამ იშვიათად მომისწენია!

მარიკელა — კარგი, ნუ მაქვთ, თუ ღმერთი გწამთ!

ახესლომი — არაფერია... ჩვენ ვიცით ტლანტების ფასი!

დიომიდე — თქვენი ყურადღება არ გვაკლია, პატივცემულო ახესლომი, მაგრამ არაფერია, აგერ შეილება წამომხარდნენ და იმედია გადავიხდი. ჩემი რუსუდანი ხომ არ გაწუხებთ სამსახურში?

ახესლომი — აბა რას ბრძანებთ. კარგი შეილება გყავთ, დიომიდე, ძალიან მიხარია, ბედნიერი კაცი ხარ.

დიომიდე — ეხ, რა ვიცი, ბატონო! სულ ბედნიერი ვინაა ქვეყანაზე?

ახესლომი — გვეც მართალია.

დიომიდე — ჯერ არ დაბადებულა ისეთი კაცი, თუნდაც ამჟამად ბედნიერი, — უკან რომ მოიხდოს და ერთი მაინც არ ამოიოხროს სიხანულთ!

ახესლომი — კი, ბატონო, ნამდვილი ქვემარტებაა. კი, მართლა, ახლა გამახსენდა, როგორ არიან, მე რომ წყნეთიდან გოჭები გამოვატანე?

დიომიდე — აგერ, ეზოში პატარა საღორე გავუყვით და შესანიშნავად იზრდება.

ახესლომი — მართლა? აბა ვნახოთ ერთი, როგორ გამოიყურება შენი მურხნეობა!

დიომიდე — ცოტა კი მუხუბრხელება, საღორე დროებით ბრუხენტით გადავხურე!

ახესლომი — ეგ არაფერი. ქვეყანა ჩალითაა დახურული და საღორეს ბრუხენტით რა დაუშვდება!

(შემოდის ლევანი ამხანაგებით. კარბუში გაჩერდებიან და იქვე განაგრძობენ სიმღერას).

(ლევანი მღერის)

სიყვარულმა ჩემი ფეხი თმომიყვანა,

შენს ეზოში შემოვედი ღია გულით,

იქ დამიხვდა ყვავილების მაყრიონი

მეც აყვავ და შემოვძახე კამანჭული.

ეს ქვეყანა მხოლოდ ღვინის ადგალია,

ყველგან ქონდეს ქვიფს კარი გაღებული,

ვადღეგრძელოთ. მხოლოდ ღვინი ვადღეგრძელოთ!

და შეთვალა გოგოს ტრფობით სავსე გული!

ლევანი — ბიჭოს! კარგი შემთხვევაა. ამ შესანიშნავ კრებულს გაუმარჯოს!

დიომიდე — დალიეთ, ხომ?

ლევანი — ასე, ცოტა, უღია ჩავიკოვლოზინეთ.

დიომიდე — რა ქვებით, როგორ დამთავრდა თქვენი ამხანაგური მატჩი სტუდენტებთან?

ლევანი — ცუდად, ჩვენმა გუნდმა წააგო ერთი ნოლზე.

ახესლომი — მომილოცავს ბრწყინვალე გამარჯვება!

დიომიდე — და ამის შემდეგ კიდევ იტყვი ჩემი გუნდია პირველი?

ნოდარი — ლევანმა დიდად იყოზადა, ერთი ბურთი მაინც გაიტანა, მხოლოდ თავის კარში.

ლევანი — ნოდარინო! ჭკვიანად იყავი!

ნოდარი — მერე, რა კარგად ჩანდა ყველაფერი ეს ტელევიზორზე!

ახესლომი — ხა,ხა, ხა... თავის კარში! რა სასაცილო ამბავია!

ლევანი — არაფერიც არ არი სასაცილო! მამ როგორ გინდათ, ან აქვთ უნდა გაიტანო, ან იქით. მე მძულს უმოკმედობა!

ახესლომი — მაინც რა გახდა ეს ფეხბურთი! ქალებიც კი გადავირია. არ ჯობს სხვა რამეში გამოვიჩინოთ უნარი, სხვა სახით დავეხმაროთ სამშობლოს?

ლევანი — ვისაც რა შეუძლია, იმით ეხმარება. ჩვენ ფეხებით ვეწვეთ სამსახურს!

ახესლომი — რაღა ფეხებით! არ ჯობს თავით ვეშახტოთ?

ლევანი — ხან თავითაც გაგვაქვს ბურთი.

ახესლომი — ხა, ხა, ხა... ამათ ვერაფერში მოუგებს კაცი!

ლევანი — აბა, გოგოებო, რას უყურებთ, დატრიალდით!. სუფრა რაღაც ღარიბად მჩვენება!

ახესლომი — ნუ წუხდებით. ყველაფერი საყმაოდ არის.

ლევანი — აბა, თითო-თითო ჭიჭა, ბატონებო!

ივა — ნუ გეშინია, გენაცვალე, ეს სასმელი არსად გაგმკვებავ!

ლევანი — ღვინოს და ქალებს გულგრილად ვერ უყურებ შე.

დიომიდე — როდის იქნება, ბიჭო, ერთი შენი დაჭკვიანება!

- ლევანი — დაქვიანებას მოუკედეს დედა! ვის რაში სჭირდება ქვიანები! ვისაც ქვიანობა დაეშარათა — ყველა უბედურია. ცხოვრებაში გულგრილ ადამიანებს გაუმარჯოს!
- მარიკელა — ალბათ, ისეთებს, მუსტიკრივით რომ თავი მოაქვთ!
- ლევანი — ჭერჭერობით ძლიერუნებაა ეს ქვეყანა!
- აბესალომი — რას ერჩით, კაცი სიმაბთლეს ღამარაკობს.
- მარიკელა — მაგრამ ქვეყნის წინ წამყვანი — მაინც პატიოსანი კაცის მარჯვენაა, პატრუცემულო აბესალომ!
- ლევანი — კარგი, გეყოფი... აღარ ვეინდა ამდენი აგიტაცია!
- ივა — ცუდად ვაპქვს დადილი, გენაცუალე!
- ლევანი — მე ჩემი ადგილი უკვე ნაპოვნი მაქვს ცხოვრებაში, ყველაფერი გამზადებული მიყვარს. დე სხვებმა იტყნონ თავი, იმუშაონ! ავერ კომუნისტებს კარზე მივადექით, ადამიანი მთვარეზე გაფრენას აპირებს... რა დიდი საქმეა, ქვეყანამ ერთი თავისი გულის ამყოლი კაცი შეინახოს. ეენაცუალე ჩემ სულციოს, სულსაც მიძლევს და ფულსაც!
- აბესალომი — მაინც თუ უყვარხარ, ბიჭო?
- ლევანი — ჩემი გულისთვის სიცოცხლეს გამწირავს!
- აბესალომი — შენ კი რას იზამდი, იმის გულისათვის, თავს ვასწირავდი?
- ლევანი — ჩვენ, ბატონო აბესალომ, მამაკაცები, საერთოდ, ცოტანი ვართ და არა ღირს ქალუბისათვის თავი ვავიმეტრო!
- რუსუდანი — შერე, კარგია ეს! შენ ჭულიეტასთან ფულისათვის დადიხარ!
- ლევანი — ფული მავინტინია, გენაცუალე!
- მარიკელა — სწორედ ამ ნიადაგზეა ასე უბოზოდ რომ მომრავლდა ქალაქში სტილიაგა ბიჭები... ვადააღებენ გოგოს მხარზე ხელს და დადიან ქუჩაში უსირცხვილოდ!
- ლევანი — მოდაა, გენაცუალე!
- დიომიდე — ისიც მოდაა, ბიჭო, ჭმრიან ქალს რომ ვადაკიდებიხარ და ოჯახის შექმნაზე აღარ ფიქრობ?!
- ლევანი — რის ოჯახი! სანამ ჭულიაზე გული არ შემიცვლია, იმასთან რა დამაშორებს! რა თმა, რა ტანი, რა თვალ-წარბი! (კონკნას უგზავნის) ჭულიეტა, მწუ!
- დიომიდე — ა, შეხედე, პატრიცემულო აბესალომ, როგორ მსჯელობს! ერთი მაგის დაქვეყნებას მოვესწრებოდე და მეტი არაფერი მინდა.
- ლევანი — გული არ გაიტყნო, მამა. ერთ დღეს ჩემგან კაცი დადგება, მაგრამ ცოტა მოთმინებაა საჭირო.
- დიომიდე — სანამდე, ბიჭო, სანამდე უნდა გიყურო?
- ლევანი — მაინც სანამდე აპირებ სიცოცხლეს?
- დიომიდე — შენ რომ არ ვამჩნევდი, ას წელიწადს მაინც დავარგველებდი!
- ლევანი — უორალ, მამაჩემო, კარგი იყო. (შეშოდის გივი).
- აბესალომი — ო, ჩვენი ერთგული გაღერების თედადადებულ გეშავს გაუმარჯოს!
- დიომიდე — მოდი, შევილო... სადა ხარ, როგორ დაგვეკარგე?
- ლევანი — მობრძანდით, სიძევ, თვალის ჩინო!
- დიომიდე — რატომ ჩემი ლილიკაც არ წამოიყვანე, ავად ხომ არ არის?
- გივი — არა, კარვად არის. მე ახლა ამხანაგთან ვიყავი, გაიოზ ხელაშვილთან. ორი წუთით შევირბინე მასთან... რამდენიმე ახალი სურათი მაჩვენა და ვერ წარმოიდგენ, როგორი ნასიამოვნები დავრჩი.
- აბესალომი — სასიამოვნოა.
- გივი — მე შგონია, გაიოზი აღარ ხუმრობს, ჩემზე საოცრად იმოქმედა!
- აბესალომი — შართლა!
- გივი — ჭერ ჩვენში ასე ნიჭიერად არავის უცდია ფუნჯის ძალა!
- აბესალომი — არ მიყვარს, რაცა ზოგიერთებს ასე ვადაკარბებულად აქებენ!
- გივი — თქვენ რა გული მოვდით, ბატონო აბესალომ? პირიქით, უნდა გიხაროდეთ ყოველი ჩვენგანის გამარჯვება!
- აბესალომი — როგორ არა, ბატონო, მიხარია... ძალიან მიხარია...
- გივი — და თუ გიხარიათ, წერაღმანებს თავი დაანებეთ! გაიოზ ხელაშვილის მარჯვენას გაუმარჯოს!
- დიომიდე — რა იყო ახლა ეს? რაღა გაიოზს მიხატი პირველად! სხვას, უფრო ღირსეულს ვერავის ხედავ ამ სულგრაზე?



გივი — თქვენ ხომ არაფერი გეწყინათ, ბატონო აბესალომ?!
 აბესალომი — არა, მაგრამ, მართალი თუ გინდა, საჭირო არ იყო.

მარიკელა — ალბათ, ეს ლაპარაკი იმ მხატვარზეა, თქვენსას რომ გავიციანი?

აბესალომი — დიახ, ის არის.

მარიკელა — გივი მართალია. იგი მეც ძალიან მომეწონა.

აბესალომი — ამდენს არაფერს წარმოადგენს.

გივი — როგორ თუ არაფერს! მისი ზაღალი ჩვენში არაფერს მგვეტობა.

აბესალომი — მერც, შენ ვის ესაჩჩალები! შამაჩემის ნათელს ჩემგან იცავ! გეტვობა, შენ ძალიან გტყვიე მასზე გული!

გივი — მე გული საქმისათვის მტკივია!

დიომიდე — ვიცი, რა მოგივიდა, შვილო?

აბესალომი — პატივცემულო დიომიდე! თქვენი სიძე ძალიან უტაქტო კაცი ყოფილა! თქვენს ოჯახში შეურაცხყოფას მაყენებს.

გივი — მართალია, მე აქ უფლება არ მქონდა... ჩემი სიამპრის ოჯახში ვარ... თუ რამე გეწყენინეთ, გვაპატიეთ, პატივცემულო აბესალომ!

აბესალომი — შემდეგში მაინც გამოასწორე შენი დანაშაული!

დიომიდე — კი, ბატონო, შემდეგში აღარ დაუშვართება ასეთი უზრდელობა.

აბესალომი — ახლა ნება მომიცით, გამოგვთხოვოთ... ხეალ საღამოს აუცილებლად უნდა მესტუმროთ... ჩემი დამადების ორმოცდახუთი წლისთავს ვიხდი. იმეღია, არ გამაწიბლებთ. ვთხოვთ, ლევან, ნოდარ, თქვენც მარიკელა?.. გვიყის კი ახა რა ეუთხრა, თუ ესიაშოვნება, ჩემი სახლის კარი მისთვისაც ღია იქნება! (აბესალომი მიდის, მაგრამ კარებთან უცებ შეჩერდება და რუსუდანს დაუძახებს) რუსუდან, ერთი წუთით! ამას იმიტომ ვიბედავ, რომ ჩემი თანამშრომლებიდან ყველაზე უფრო გაუასებ.

რუსუდანი — ბრძანეთ, პატივცემულო აბესალომ!

აბესალომი — ხეალ სამსახურში ნუ წახედალ... სახლში მჭირდები და შენ იცი, როგორ იღია-სახლისებ!

რუსუდანი — ვუცდებო, პატივცემულო აბესალომ!

(აბესალომი გადის).

გივი — ეჰ, ძლივს არ ამოვიხსენებ! წავიდა, მოგვწორდა ერთი აბეზარა!

ლევანი — რა ვიცი რა, ყველგან კი ძალიან ბერავენ და!

გივი — ტკის მაშინ ბერავენ, როცა ცარიელია.

ნოდარი — თუ ასეთი უყუღმართია, რატომ ვერ მოიშორეთ თავიდან?

გივი — რას ამბობ შენი კაცი ნომენკლატურას მეშვია!

ნოდარი — მერც, ასე ძნელია ნომენკლატურიდან კაცის ამოგდება?

გივი — რა თქმა უნდა. თუ ერთი გავიდა კაცი ორბიტაზე, მერც იმას ჩამოაგდებ იქიდან!!

დიომიდე — კარგი. გეუფათ, აღარ გაათავებთ ლაპარაკს იმ კაცზე?

ნოდარი — შენ მაინც ძალიან გჭულვებია... კაცი სულ ჭირის ოფლში ამანავე!

გივი — ევადრებოდა, რაც ეუთხარი!

ლევანი — კი, მაგრამ, საცვარველია, საიდან შეიქმნა მასზე ასეთი ცუდი აზრი? შეხედრა კი აქვს, თავაზიანი... ხან ზედმეტადაც კი იცის-თავის შეწუხება!

გივი — ეჰ, სულ გარეგნული პოხაა. ისე კი, ნამდვილი ვერაგია, როცა სიცილით უელს გადაგიწევს, ე, მაშინ უფროსილი — მაშინ გჭრის თავს!

დიომიდე — ეს რა თქვა, ბიჭო? როგორ ბედავ ჩემს ოჯახში აბესალომის ასეთ შეურაცხყოფას? მარიკელა — მამა!

ლევანი — სირცხვილია! გივი პატარა ხომ არ არის, რომ ავტო უეშვივით უყვირი!

დიომიდე — ახა, რა უნდა იმ პატროსან კაცთან გუჟაღრა, მოვიდა, დაგვატრევა და ვინებსა ჩაღას ვემართლებით!

გივი — ბოღინი... ვთხოვთ მამართ, შეიძლება ცოტა გადაეკარებ, მაგრამ...

დიომიდე — უკვე მიხვდარი ვარ, რაშია აბესალომის საქმე! ერთი ხანია აბესალომს ჩემს მარიკელაზე უჭირავს თვალი და...

მარიკელა — მამა!

დიომიდე — გვიყის, ალბათ, არ უნდა იმისთანა გამოჩენილი კაცი დაგვემოყვაროს!

მარიკელა — მამა! რას ამბობ, რა მოგივიდა?!

ლევანი — რას ჩაიციედი, კაცო, ამ ჩემს გამორჩეულ სიძეს და საშველს აღარ აძლევ!

რუსუდანი — ნუ შეაძულე აქ მოსვლა!..



გივი — არაფერია ამით არაფერ შემძულდებით!
 დიომიდე — წაღო, გამშორდი, ჩემს სახლში მეტრ აღარ ვნახო!
 ლევანი — მამა!
 მარიკელა — მამიკო!
 რუსუდანი — უიშე, უიშე, მამა გამიგიედა! (დიომიდე გულმოსულა ვადის).
 გივი — მოხუცი ცოტა გაგვიცხარდა, მაგრამ არაფერია, მალე შევრეკლებო. (ქიქს აიღებს)
 კარვალ იყავით! (დალევს) ნახვადის, შეგობრებო!

ფ ა რ ა

სურათი მისამო

აბესალომის ბინა. ერთი შეხედვით სცენაზე თითქოს არაფერია გაგაოცებთ, მაგრამ ყუ-
 რადღებებს იპყრობს ნაირ-ნაირი გობელენები, ქანდაკებები, ფერწერის საუკეთესო ნიმუშები;
 სადარბაზო ღია კარებიდან მოჩანს ვესტაბიულისაკენ იატაკზე დაგებელი ხალიჩა... ისმის მე-
 სიკა, ზოჩქოლი, შეძახილები. შემოდინ რუსუდანი და აბესალომი.

აბესალომი — აბა, რუსუდანი, შენ იცი, სირცხვილი არ მამამო!
 რუსუდანი — ნუ გეშინია, ბატონო.
 აბესალომი — თუ დაგპირდეს — ივაც დაიხმარე!
 რუსუდანი — საჩუქრებს რა ვუყო? ბევრია ბატონო, მოტანილი!
 აბესალომი — ზოგი კაბინეტში დააწვევ, მცირე და უმნიშვნელო — ატლავში შეიტანე. აბა,
 ვასწი და სტუმრებს მიმიხედე! (რუსუდანი ვადის. შემოდინ ტკიპა და უტრუხუნე).
 უტრუხუნე — ო, ჩვენს ოქრო გულის კაცს ვაფშარყოს! აბა, პაროჭი ერთი! (გადაკოცნიან
 ერთმანეთს).
 ტკიპა — (ქიბიდან ბუკედს ამოაძვრენს) აი, ერთი შეხედე, პუკლი, რა საქონელია!
 აბესალომი — შერე, შე რა?
 ტკიპა — შენთვის მოგვიტანია.
 უტრუხუნე — აბა დღეობაზე უფეშქამოდ როგორ მოვიდოდით?
 აბესალომი — (სინჯავს) ყალბი ხომ არ არის?
 უტრუხუნე — რის ყალბი, დახედე, ხამი ხომ არა ხარ!
 ტკიპა — ნაღდი ოთხმაცი თქმანი მიგვიცია!
 აბესალომი — არ მიყვარს ასეთები. პარტიაც გვიერძალავს...
 უტრუხუნე — არა უშვავს. დედის რძესავით შეგარგავს ზეციერმა! (თავისთვის) ვაჰ, ეს რამ
 არ მოგვეტანა — ხეალ სამსახურში აღარ ვიქნებოდით!
 (შემოდის ლუარსაბი და ჩუღოეტა).
 აბესალომი — ამახ ვის ვხედავ! ჩუღოა, ჩემო ძვირფასო ჩუღოა!
 ჩუღოეტა — ეგ არა... არ ვარ ყაბულს... შე პირზე კოცნით უნდა მოგილოცოთ!
 აბესალომი — გმადლობთ, რომ გავახსენდით! ლუარსაბ, ეს რა ამოგიზნია ილიაში! განა ამი-
 სთვის მოგიწვიეთ?
 ლუარსაბი — აბა ეს რა სათქმელია... ხომ იცი, ჩვენი კეთილი ურთიერთობა უფრო მეტს გვაფ-
 ლებს, მაგრამ...
 აბესალომი — ღმერთო, მოშკალი!
 ჩუღოეტა — კარგი, თუ ღმერთი გწამს! ნუ ხარ ასეთი ქარაოცი!
 აბესალომი — კი მაგრამ, რა საჭირო იყო... ვინ დაგავალათ, რისთვის წუხდებოდით!
 ლუარსაბი — გულით კიდევ მეტი გვემეტება, მაგრამ ამ ქერალ ასე იყოს.
 (შემოდის ალექსანდრე თავისი შეუღლით).
 ალექსანდრე — ჩვენს ძვირფას ოთხილარს ვახლავართ ღია ველით, მცირე ძღვენით და დიდი
 სურვილებით! (გადაკოცნის და საჩუქარსაც ჩაუღებს ხელში).
 დარეჯანი — იცოცხლოთ, აბესალომ, დიდხანს იცოცხლოთ!
 აბესალომი — სხვა როგორა ხართ? ასე უნდა, დარეჯანი, სულ როგორ დამივიწყე?
 დარეჯანი — რა ექნა, ბიჭო, ოჯახის გადამკიდევ ელარსად დავდივარი
 ალექსანდრე — კი, კი, ასეა... ოჯახი, შვილები, თან წლებიც, ბატონო, წლებიც გვემატება...
 აბესალომი — ა, ეგ არა თქვა! შენი ცოლი ახლაც კარვალ გამოიუყრება!
 ალექსანდრე — ეჰ, ჩემ მტერს დაუბერდა ცოლი ოჯახში!
 (უტრუხუნე და ტკიპა იცინიან).
 უტრუხუნე — ვაჰ, დიდი მახალო რამე იყო, აი!



- დარქანი — ესენი ვინ არიან... გაგვაცანი, ლუარსაბ!
 ლუარსაბი — ეს ჩემი საწყობის გამგეა, უტრუხუნე.
 დარქანი — კარგი კაცია?
 ლუარსაბი — ნამეტანი წარმტაცია.
 დარქანი — მართლა?
 ლუარსაბი — რაც საწყობში საქონელი შედის, თითქმის სულ სახლში მოაქვს.
 უტრუხუნე — ვაჰ, კარგად უყარაჰ, აი!
 აბესალოში — კარგი, გვეყოფათ ხუმრობა! ვთხოვთ, დარბაზში მობრძანდეთ, შეგობრებთ! (სტუმრები დარბაზში შედიან. მონიანი სტუმრების მოძრავი სილუეტები, ხანდახან სიმღერა, შეძახილები. შემოდის ივა) რა ქენი, ივა, დაპატრეე მარიკელა?
 ივა — უკვე გაიარებლია საქმე.
 აბესალოში — მადლობა ღმერთს!
 ივა — ვაჲ, ნანა! მადლობა ღმერთს კი არა, შე უნდა მითხრა, მაგრამ შენ აღამიანს მადლობას ეტყვი!
 აბესალოში — რატომ, ივა?
 ივა — მე რომ არ წვესტორიყავი და არ შევხვეწოდი, მარიკელს აქ ვინ მოიყვანდა?
 აბესალოში — მაგრამ ვერ ხომ არ მოსულა?
 ივა — ეჲ, ნანა! არ მოსულა, მაგრამ ხომ მოვა, გენაცვალე!
 აბესალოში — ო, რა ჭალია ხელიდან გასაშვება ნამდვილად არ არის.
 ივა — მერე რა ვიშლოს, რატომ არ შეირთავ, გენაცვალე?
 აბესალოში — ეჰ, ერთი ათი წლით ნაკლები ვიყო! მაგრამ რე დროს ამბეე ლაპარაკია... ვაღი და სუფრას მიხედე!
 ივა — სუფრა უკვე გაწყობილია, გენაცვალე!
 აბესალოში — გოჭები ხომ გვეყოფა?
 ივა — აბა რა ვიცი!
 აბესალოში — კი მაგრამ, ერთი გოჭი სუფრაზე რამდენს შემოიარენს შენი ვარაუდით?
 ივა — თუ ცოცხალია — მთელ სოფელს შემოიარენს, მარა შემწეარა შე და შენ გვეყოფა და კიდევ რამდენიმეს...
 (შემოდის რუსუდანი).
 რუსუდანი — თქვენ ვთხოვე, ბატონო აბესალოში!
 აბესალოში — აბა, ივა, როგორც კი მარიკელა მოვიდეს, იმ წუთში ჩემთან გაჩნდი! (მოდის).
 რუსუდანი — ივა, ვისთვის ეშხადება აბესალოში ასე უსაშველოდ?
 ივა — ვისთვის და, შენი და რომ არის, მარიკელა, სულ იმისთვისაა ეს ფუსფუსი.
 რუსუდანი — ხედავ, ეს მუღა, როგორ მოხერხებულად ეპარება საქაშიმს!
 ივა — ეს რა არის, ვოგო? ასეთ საზოგადოებაში ამისთანა კაბას ჩაიცვამს ჭალი?
 რუსუდანი — არ მოგწონს თუ? აბა კარგად შეხედე, როგორ მიხდება! ნაკერი იმდენი არაფერ-რია, მარა ტანი მაქვს, ბიჭო, კარგი, ტანი!
 ივა — შენი ტანისა და შენი სულის ჭირამე! (წაეტანება).
 რუსუდანი — დაიღუპე იქით!
 ივა — შენ მაშინ ნახე, სამეგრელოში რომ წაგიყვან ჩემი „ვოლგით“, ქორწილს ოჯალეშით გადავიხდიო...
 რუსუდანი — ნეტა შენ არ გადაგიდებოდი ხათაბალად და მეტი არაფერი მინდოდა... (მოისმის სიმღერა).
 ივა — ვაჲ, ნანა! ვიგები მოვიდნენ... ახლა რაღა გვეშველება!
 (რუსუდანი გადის. სიმღერით შემოდის ლევანი და ნოდარი).
 არაფერს არ ვთხოვ, ჩემო ლამაზო, მხოლოდ იმას კი ვინატრებ გულით—
 ჩემს ახლოს იყო მდინარის პირად,
 როცა ის ღელავს აჭაფებულნი.
 და მის ღელვაში ჩვენი ფიქრები
 არც ილუგოდეს და არცა კრთებოდეს,
 არც არაფერი გვიშლიდეს ხელს და,
 არც არაფერი გვენანებოდეს!
- ლევანი — ისარე, ჰერო, მოკვდი მტერაო აი, ამიტომ მიყვარს აბესალოში... იცის ცხოვრება!
 ნოდარი — ბიჭოსი დიდძალი ხალხია! ჩვენ ამაღამ კარგ დროს გაეატარებთ!
 ლევანი — შენ არ იყავი, წამოსვლა რომ არ გინდოდა?!



ნოდარი — ზხდავ, მიმიქარავს.

ლევანი — რას შეეხები, ივა, ცოლი ჭერ კიდევ ვერ შეირთე?

ივა — ვერა, გენაცვალე.

ნოდარი — მერე — და, რას უყურებუ?

ივა — როგორ შეეირთოს! ყველა გოგოს თმა ნატეფარით აქვს გაყრტილი! ვეღარ გავიკა, რომელია ბიჭი და რომელი გოგი!

ლევანი — მერე-და, ამან შეგაშინა?

ივა — მოდი და ნუ შეშინდები შენ! შარშან ჩემ საცოლეს ეუთხარა: მდიდარი ბიბა მყავს-მეთქი, და სამი თვის შემდეგ იგი ჩემი ბიცოლა გახდა.

ლევანი — აბა, სუფრისაკენ!

(შხედრულად შოტრილდებიან და სიმღერით გაემართებიან დარბაზისაკენ, მაგრამ ამ დროს შემოდის რუსუდანი).

რუსუდანი — ივა, ჩემი და მოვიდა, მარკელა!

(მცირე ხნის შემდეგ შემოდის აბესალომი, მას მოყვებიან სტუმრები, მარიკელას შემოსვლისთანავე სრულდება საზეიმო მუსიკა. აბესალომი თაივლით წინ წარსდგება).

აბესალომი — მობრძანდით, მარიკელა! ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ოჯახში!

მარიკელა — გმადლობთ, პატარაგონო აბესალომი!

აბესალომი — ნება მომიკეთ, პატარაგონო ნიშნად ეს ყვავილები მოგართეთ! (ყვავილებს გადასცემს).

მარიკელა — რატომ სწუხდებით ბატონო!

აბესალომი — მიიღეთ ჩემი სიამოვნების გულსათვის!

მარიკელა — აგერ, ლევანიც ჩემზე ადრე მოსულა!

ლევანი — ერთ-ორ ოჯახში ჭერ კიდევ შეიძლება მისვლა, დროს გატარება და იქაც არ მივიღე? ქვეყანა სიამოვნებისათვის არის გაჩენილი!

აბესალომი — უჩიარ! ლევანი აბა, დარბაზისაკენ, მეგობრებო!

ლევანი — აბა, სამღერით გაეწიოთ სუფრისაკენ. დაიწყეთ, ნოდარი! მღერიან: „ჩქობი ბეხე-რაი ცირა“.

(აბესალომი შკლავში ხელს ზგაუყვებენ მარიკელას და მიჰყავს. მას სხვები მიჰყვებიან. სადარბაზო ღია კარებიდან მოისმის მუსიკა, ჩოჩქოლი, შეძახილები: „მავსტრო, ვალსი!“ გაისმა დარბაზში და ამ დიასახლზე იწყება მოცუვაგეთა თავბრუდამხვევი ტრალი. აგერ ერთი, მეორე, მესამე მომღიმარე სახეები ჩაივლიან ცეკვით. აგერ, ნოდარიც გამოჩნდა, შემდეგ ალექსანდრე... შემდეგ ლევანიც შემოიჭრება, იგი გაშმაგებული ცეკვით მოაქანებს ქულიტას).

ქულიტა — შენი ჭირიშე, ნელა, ლევან, არ წამაქციო!

ლევანი — შენ ქმარს არ ეშინია, რომ მოგიტაცო?

ქულიტა — მაგან არ მომკლა იმდენად უყურადღებოა, თავმოყვარეობაზეც კი მოქმედობს!

ლევანი — მაშ, პაროზტი ერთი! (კოცნას).

ქულიტა — ვიცოდი, შენში პატარა ეშმაკი იქნა. ის ეშმაკი ახლა უკვე დიდია და სამიში ხდება.

ლევანი — ნუ გეშინიანი ცელტე ეშმაკები არც შენ გაკლია!

ქულიტა — ლევან, რას იტყვი შენ მე შინდა ჩემ ქმართან კიდევ უფრო დაგაბლოვო! მას სამსახურში სპეციალისტი ქირდება, ხომ დადგები?

ლევანი — კარგი, შენი ხათრისათვის გავიღებ ამ მსხვერპლს! (შემოდის ლუარსაბი)

ლუარსაბი — სად ხარ, ქულია, გენაცვალე?

ქულიტა — აგერ, ლევანს ვეზვეწმობდა, დაეთანხმე კიდევ... კომბინატში რომ მხატვრული კონტროლას ადგილი გაქვს, ის უნდა მისცე. ეს დიდი სპეციალისტია!

ლუარსაბი — რად შინდა, ჭალთ, სპეციალისტი, მე თვითონ ვიცი ჩემი საქმე.

ქულიტა — არ გინდა, რომელია! ამისთანა სპეციალისტს შენ სიცოცხლეში ვერ იშოვნის...

ლუარსაბი — (თავმოხერხებულნი) ლუარსაბი ჭიჭინით გადის, უკან მისდევენ ლევანი და ქულიტა. შემდეგ გამოჩნდება მარიკელა. იგი ისე მოფრინავს, თითქოს პეპელა იყოს. მას უკან აფორიაჩებული აბესალომი მოსდევს).

აბესალომი — შესდეგ, შეჩერდო, მარიკელა!

მარიკელა — არა, არაფრის გულსათვის!

აბესალომი — კარგი, გეყოფა, ნუ მაწვალუმ!

მარიკელა — გინდა, რომ ცეკვით თავბრუ დაგახვიო?

აბესალომი — შინდა, ძალიან გეზვეწები!

მარიკელა — აბა, სცადე, თუ დამეწიო!

აბესალომი — ო, რა კერპი ხართ ქალებში!

(დაეწევა, ხელს ჩაივლებს და ცეკვით გადიან შემდეგ შემოდის გაბრუნებული იონა სუთის იყურება, საითაც აბესალომი და მარიკელა გავიდნენ).

გაიოზი — რა შესანიშნავი ტანი აქვს, რა თვალწარბი... ამ დღეს, აბესალომიდან რომ ერთად წამოვდით, ვერაფერა ვუთხარი, ო, როგორ მინდა მასთან გუთბილი საუბარი... (შემოდის ივა).

ივა — როგორ განმარტოებულხარ, ეს უყურებ ასეთი გამტკრებით?

გაიოზი — ხედავ, ივა, რა უცებ დაქალებულა მარიკელა!

ივა — ქალებში ასე იციან, გენაცვალე, ტყეშალსავით უცებ აყვავდება!

გაიოზი — მერე, არ იტყვი, რა მშვენიერება შეუქმნია ბუნებას ქვეყანაზე!

ივა — თუ ასე მოგწონს — მხატვარი შენ ხარ და დახატე!

გაიოზი — მოთხარი, რა პროფესიის ქალია?

ივა — ლამაზ ქალების პროფესიის ვინ კითხულობს, გენაცვალე!

გაიოზი — ბევრი მინახავს, ბევრი მომწონებია, მაგრამ ასეთი? არა, ასე უოველმძრივ შემკული ბუნების ნაქანდაკარი ვერ არ შემხვედრია. ალბათ, მეწვია პირველი სიყვარული! ასეთი გრძნობა ჯერ არავისადმი არ აღმძვრია. თოქოს ზელახლა დავიბადე, ახალი ძალი მემატება, ქვეყანაც სხვაგვარად მეჩვენება, უფრო უაქეთსად, ვიდრე არის.

ივა — რა გემართება, ხომ არ ჩაიწვი, გენაცვალე!

გაიოზი — ან ის, ან არავინ, ასეთია ჩემი გადაწყვეტილება.

ივა — მარტო გადაწყვეტილება რას გიშველის... მგონია, ის ქალი აბესალომის უნდა იყოს.

გაიოზი — მერე, რად უნდა ღობს ფართობალი?

ივა — რა ვიცი: ძალღსაც არ უყვარს ვაშლი, მარა, როცა ქამ, სულ ხელში გყურებს... (ფანჯარაში გადახედავს).

გაიოზი — ეს რა არის?

ივა — სამტრედია, გენაცვალე!

გაიოზი — (გადაყოფს ხელს და გალიიდან ერთ მტრედს ამოიყვანს) რა კარგია. რა მშვიდი ფრინველია!

ივა — მშვიდი კი არა, მაგათ რომ ერთმანეთს ჩანისკარტება იციან, შენს მტრეს იმისთანა! (შემოდის მარიკელა, ივას და გაიოზს ვერ ამჩნევს. მიდის ტელეფონთან და ციფრებს აკრფის).

მარიკელა — მამა ხარ? მე ვარ, მარიკელა, არ შეგეშინდეს, ლევანიც აქ არის... კი, კი, მალე დავბრუნდებით... (ივა ფარდას მიუფარება, მარიკელა მხოლოდ ახლა შეამჩნევს გაიოზს) თქვენ აქ იყავით?

გაიოზი — ნება მომეცით, ხელი ჩამოვართვათ!

მარიკელა — ეს რა გვაუთ ხელში, მგონია ფრინველია!

გაიოზი — დიას, მტრედია, წელან სამტრედეში ზელი გადავავ და იქიდან ამოვიყვანე.

მარიკელა — დედა, რა კარგია! ნეტავ მეც მყავდეს ასეთი ჩიტუნია!

გაიოზი — თუ მოგწონთ, ინებეთ, ქალებათონო!

მარიკელა — ო, რა სულელი ვარ... მამატიეთ, ეს ისე წამომცდა, ჩემდა უნებურად.

გაიოზი — მერე, რა არის ამოში ცუდი! მე ძალიან მინდა ეს თქვენთან იყოს. ნუ მტყვით უარს. ეს თქვენთან უფრო ბედნიერი იქნება... თუმცა, თქვენთან ვინ არ იქნება ბედნიერი!

მარიკელა — რაკი ასე მთხოვეთ, მე მხოლოდ მტრედის ერთ ბუმბულს წავიღებ თქვენდა სა-მასსოფროლი (ერთ ფრთას ამოაცილის).

ივა — ვაჟა, ნანა! ამ სიყვარულობაში ესენი ამ მტრედს სულ გაპუტავენ!

გაიოზი — კიდევ ინებეთ... მე ეს ძალიან გამაზარებს.

ივა — შენ კი ვაგახატავს, მარა ერთი მტრედსაც კითხეთ, ეს მშრალად გაპუტვა როგორ მოწონს!

(შემოდის აბესალომი).

აბესალომი — აქ რას აკეთებთ?

გაიოზი — ავტო შენი გალიიდან მტრედი გამოვიყვანეთ...

აბესალომი — პატარები ხომ არა ხართ! უხერხულია, წამოვლით, დარბაზში ხალხი გელოდებათ!

მარიკელა — წავიდეთ, გაიოზ! (გადაიან).

აბესალომი — ივა!

ივა — რა იყო?

აბესალომი — მარიკელა აქ იმპიტო მოიყვანე, რომ გაიოზი გავერთო?

ივა — ვაჟა, ნანა! მე რა შეიძლება ვარ?

აბესალომი — ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელია. ჩვენ შორის დარჩეს და სულ მჩვივალე კაცი.

ივა — ვაჟა, ნანა!

ივა — რა ვიცი რა, წელან კიდევ იცინოვით და კიდევ თამაშობდით!

აბესალომი — ასეა. ჩვენ ახლა ყველა მხიარუბულებას ვთამაშობთ. ხუბულებს ვაშენებთ, ერთ-მანეთს ვატყუებთ... ფუქი ყველაფერი მოჩვენება და მიამიზნობა ყოფილა! აგერ, ლუარსაბ და ალექსანდრე მოდიან, წაივლით, იეა!

(აბესალომი და ივა გადიან. შემოვლენ ლუარსაბი და ალექსანდრე).

ალექსანდრე — ლუარსაბ! ხედავ რა დღეშია ჩვენი აბესალომი?

ლუარსაბი — მაინც რა დღეშია?

ალექსანდრე — ერთობა, მარიკელას გაიოზი უფრო მოეწონა, ვიდრე აბესალომი.

ლუარსაბი — მერე, აბესალომი დათმობს ამას?

ალექსანდრე — ყველაფერი ქალზეა დამოკიდებული. ენახოთ, გაიოზის ტალანტი გადაწონის, თუ აბესალომის სიმდიდრე და ძლიერება.

ლუარსაბი — ეჰ, ქალებს სიმდიდრე აჩვენე და მერე არაფერს დაგიდევინ!

ალექსანდრე — ჰუ, რა ენა გაქვს, შე შეჩვენებულო! წელან აბესალომსაც ისეთი სიტყვა უთხარი სადღეგრძელოში, რომ კაცი პირდაპირ დადნა!

ლუარსაბი — ეჰ, შენ ახალგაზრდობაში უნდა გენახე! რეაქციის წლებში, მუხა-ესტატეს ტყეში ნამეზარ მუხას რომ შევხატო და სიტყვა გეპქე — ხალხი მოძრობაში მოიყვანე.

ალექსანდრე — ვიცი, მეც იქ ვიყავი მაშინ.

ლუარსაბი — შენ იქ რა ვანდობა?

ალექსანდრე — რაზმელი ბიჭი ვიყავი, თოფი მეჭირა ხელში.

ლუარსაბი — მერე თოფი თუ გეჭირა, ვერ შესროლე, შე უღმერთო!

ალექსანდრე — რა დროს ეგ არის. წაივლით, ჩვენს ცოლებს მივხედოთ.

(გადიან, შემოდის ივა და აბესალომი).

აბესალომი — ხომ საკუთარი თვალებით დაინახე?

ივა — ჭირ არაფერიც არ დამინახავს, გენაცვალე!

აბესალომი — ბრმა ხომ არა ხარ! არ ხედავდი, როგორ ცეკვავდნენ, ერთმანეთს ჩახვეულნი!

ივა — აგერ, მოდიან, გენაცვალე!

აბესალომი — ნუ წახვალ, ჩემთან დარჩი.

(ივა და აბესალომი კუთხეში შეჩერდებიან. შემოდის გაიოზი და მარიკელა).

მარიკელა — კარგო, გეყოფა, დავიდალე...

გაიოზი — თუ აგრეა, ცოტა ხნით დაეცევენოთ.

მარიკელა — აქ მოსულას არ ვნანობ. (გაიოზი დუმს) აბესალომისას რომ გავიცანით — პირველად მაშინ გავიგე თქვენი ძალა. ფუნჯს ისე ხმარობდით, როგორც ფერწერის ვადოქარი!

გაიოზი — მართალია, მე მაქვს შრომის უნარი, მაშვილი თვალი, ცოტაოდენი გონების სინატი-ფეცი, მაგრამ ვასაქანს არ მაძლევენ!

მარიკელა — თუ ასეა, რატომ აბესალომის გაყვანას არ გამოიყენებთ ზოგიერთ საჭირო შემთხვევაში?

გაიოზი — ის გულცივი აღამიანია.

ივა — ვაჟა, ნანა! ეს რა წამოცდამ!

აბესალომი — ლაწირაკი!

მარიკელა — ნუთუ აბესალომი ასეთია?

გაიოზი — რა ვიცი. მაგრამ დავეხსნათ აბესალომს. იმედია, დღეიდან ჩვენ მეგობრები ვიქნებით! (ხელებს დაუყოცნის).

ივა — ვაჟა, ნანა!

აბესალომი — არაშადა!

მარიკელა — ნუ, ნუ... წაივლით, ვინმე დავეინახავს!

გაიოზი — არა... დაიცა, თქვი ერთი სიტყვა, რომ ვიყვარვარ!

მარიკელა — რა წამს დაგინახე, მას შემდეგ ეს გულა შენ გეყოფინის!

გაიოზი — სხვაგან რომ მეტი ბედნიერება გელოდეს, სხვაში არ გამოვლი?

მარიკელა — მარიკელა ისეთი ფრინველია, რომელიც ბუდეს მხოლოდ ერთ ხეზე იკეთებს!



აბესალომი — გავგუდები!

მარიკელა — (გაიოზს) ალბათ, გვეძებენ, წაიღეთ, უხერხულია.

გაიოზი — ცოტა კიდევ, ერთი წუთი, თუნდ ერთი წამი!

მარიკელა — არ შემოგვიწაიროს, მეშინია, უკვე თენდება.

გაიოზი — შეხედე, რა განთიადია ამას დატოვებს ახლა კაცი?

მარიკელა — არა, არ მიყვარს განთიადი!

გაიოზი — რაო?

მარიკელა — აი, ხომ ხედავ, როგორ ქრებიან ვარსკვლავები!

გაიოზი — სამაგიეროდ მუწება იღვიძებს, ავერ, ბალში ჩატები როგორ საამოდ ელურტულობენ, ვესმის? ეს ბუღბუღია, თავის გულისწორს თავს აწონებს.

აბესალომი — (თავისთვის) დაიცათ, მე თქვენ კარგად გაბუღბუღებთ!

მარიკელა — რაღაც მომესმა. წაიღეთ, სარცხვილია...

(მარიკელა მიდის. გაიოზიც მას გამოუდგება უკან, მაგრამ აბესალომის ხმა შეაჩერებს).

აბესალომი — გაიოზ!

გაიოზი — (შეჩერდება).

აბესალომი — კარგი იღურსი გცოდნია!

გაიოზი — გეითვალთვალდები? ეს არ არის კარგი საქციელი.

აბესალომი — ის კი კარგი საქციელია, ყმაწვილო, რომ ჩემ სახლში სასყვარელო სცენები გამიმართე?

გაიოზი — მე მას ვუყვარვარ!

აბესალომი — პირდაპირ გცხადებ: გზიდან ჩამომეცალე, ის ქალი ჩემია!

გაიოზი — როგორ თუ შენია? იგი შენ ასაკითაც არ შეგვეყვარება!

აბესალომი — მერე რა ვუყოთ!.. შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ თმა უკვე გლალატობს, მე კი შეზრდება.

გაიოზი — თმა შევლარსაც ვზრდება ერთ ხანს!

აბესალომი — შენ კარგად არ იცნობ იმ ქალს. ის დიდი პრეტენზიების ადამიანია. პირველი გატაცების დღეები გაივლის. თახჩი წამოვიყენებს ათას მოთხოვნილებებს, გაწვალდება, დაგაიწყდება ყველაფერი, სიცოცხლე შეგვავარდება... ამას იმიტომ გეუბნები, არ მინდა დაიღუპო!

გაიოზი — მე არ დავიღუბები.

აბესალომი — მაგრამ იმ ქალს ნამდვილად დაღუბაე!

გაიოზი — შენ მარიკელასათვის წუწუხდები!

აბესალომი — ვიცხადებ. გზიდან ჩამომცილდი, თორემ არ დაგინდობ!

გაიოზი — შენ ისედაც არ მინდობ. აბა მიზიარო, რაში დამზოვე, ათასი ცილი დამწამე, მრავალ ტანჯვაში გამაბარე. ბოლოს ფორმალისტადაც კი გამომაცხადე!

აბესალომი — აბა რა მექნა. ხელს ხომ ვერ დაგავარდები?

გაიოზი — ხელს დაფარება არაყის უთხოვინია, მაგრამ ცილისწამება დიდი სიარცხვილია...

აბესალომი — თუ აბესალომი ვყოფილვარ, მაგ სიტყვებს განანებ თავის დროზე!

გაიოზი — გულს წუ გაკლია. მე შენ ისედაც ბევრი მანანე.

აბესალომი — ხედავ, რა ლეარძლიანი ხარ! ცოცხალს რომ ამას მიზიდავ, მერე რას მიზამ! როცა მოვედები, ალბათ, მოხვალ და ჩემს საფლავზე უტოტრად დააფურთხებ!

გაიოზი — ამას კი ნამდვილად არ ვიზამ!

აბესალომი — ეითომ რა დაგიშლის?

გაიოზი — იქ დაფურთხების გულისათვის რიგში ვერ დაედგები!

აბესალომი — მაინჩემს რა ეთობრა შენი მონათელისათვის... გაეთრიე!

გაიოზი — დიდად გმადლობთ, პატივცემულო მასპინძელი!

(გაიოზი გადის. შემოდის მარიკელა).

აბესალომი — სად ხარ, სად დამეკარგე? მე თქვენზე დიდად ნაწყენი ვარ!

მარიკელა — ეს კარგი ნიშანია.

აბესალომი — პირიქით. მთელი ღამე გული გამიწყალე. სხვებს დასდევ, სხვებს იქვე უყრად-ღებას. მაგრამ ეს თამაში ჩემთან არ გავივით!

მარიკელა — რაში შეტყობა, რომ ეთამაშობ?

აბესალომი — მხოლოდ ჩემსას ვაიციანი გაიოზ ხელაშვილი და ამ მცირე დროში ისე დაუბლოვდი მას, რომ...

მარიკელა — ა, რაში უფილა საქმე!

აბესალომი — დაბ. გული მატყანეთ. მაგრამ ამას არ ვაქციე უყრადღებას!



მარიკელა — შე მინდა ჩვენ მეგობრები ვიყოთ!

აბესალომი — არა, შენ ჩემი შეუღლე უნდა გახდე.

მარიკელა — შე ჯერ თქვენდამი არავითარი გრძნობა არა მაქვს. გულს ხომ ავერებებოქანებო
ძალად შევიყვაროს?

აბესალომი — გაიოზისათვის ხომ უბრძანე?

მარიკელა — ეს თქვენ საიდან იცით?

აბესალომი — აქედან გიყურებდით!

მარიკელა — გვითვალეთაღებდით? ეს როგორ იკადრეთ?

აბესალომი — თუ შეტყუით, შე დღესვე შემოძლია თქვენზე ვიქორწინო!

მარიკელა — არავითარ შემთხვევაში!

აბესალომი — საბოლოოა თქვენი სიტყვა?

მარიკელა — დიახ!

აბესალომი — ჯერ ქალს ასე არასოდეს დავუწიხლივარ! ვისაც თვალებს დავაქანებდი, იგი ჩემს ტუჩებს ნატრულობდა; ვისაც ტუჩებით შეგებებავარ, ის მერე ჩემი გამხდარა სიკვდილამდე... მოკვდეს აბესალომი, თუ ეს დაწიხლვა ვაპატოს!

მარიკელა — ყოჩაღ! კარგი მასმძიქელი ხართ. დიდად ნასიამოვნები მივდივარ... შშვიდობით ბრძანდებოდეთ! (მიდის).

აბესალომი — მარო, მარიკა, მარიკელა! წაეიდა... მერე როგორ უხეშად მიმატოვა! ამიერიდან მეც სასტიკი ვიქნები: არა, არა, არავის დავხოვავ, არავის არაფერს ვაპატებ!

ფ ა რ დ ა .

სურათი მართხა

გაიოზის ბინა. გაიოზი ნაღვლიანად უცქერის ჩამაჯალ მზეს. იგი უცებ მოწყდება ადგილს და რთილს მიამურებას. უკრავს რაღაც უცნობ მელოდისას. შემდეგ უცებ შეწყვეტს დაკრას, სწრაფად მიიბრუნს შოლბერტთან და ფუნჯს რამდენჯერმე, მღელვარედ გაუხეშავს ტოლოს. ერთხანს ასე შთავიწინებელი შემოაბნის. აგერ, ელექტრონობრძა დააწყობია: გაიოზი კარებს მივირდა, ვალთ. კარებში გამოჩნდება მარიკელა. გაიოზი პირველად შეკრთება, შემდეგ — კი მოაშურებს მარიკელას — ჯერ ხელზე ჰკოცნის, მერე უეცრად გულში ჩიხუტდება...

გაიოზი — მარო, ჩემო ძვირფასო მარიკელა!

მარიკელა — ო, როგორ გამახარე! ასე მგონია თითქმის სიზმარში ვარ!

მარიკელა — არ მომელოდი?

გაიოზი — გუმანში მაინც ვეჭვობდი... ვაი თუ...

მარიკელა — ეგ რამ ვაფიქრებია!... სურათების სანახავად მოვედი.

გაიოზი — მხოლოდ სურათების? ახლა შე უკვე ჩემს სურათებზე ვეჭვავანებ!

მარიკელა — მთელი დღე თითქმის ბურანში ვარ... ვერსად მოვისვენე... გული სულ შენსკენ მეწეოდა...

გაიოზი — შენი ტირილე, შენი!

მარიკელა — ხომ ხედავ, არაფერს ვიმაღლა... (თავის სურათს დანიხავს) დედა, ეს არის ჩემო სურათი, როდის, გაიოზ, როდის მოასწარი ამის შექმნა?

გაიოზი — ჯერ ბევრი უკლია, დასრულებული არ არის.

მარიკელა — დედა, რა შესანიშნავია ნუთუ ცხოვრებაში ასე კარვად გამოვიყურები?

გაიოზი — შენ კიდევ უკეთესი ხარ, მარიკელა... შენი სილამაზის გადმოსაცემად ჯერ ფერები კიდევ ვერ დამიმორჩილებია... მაგრამ შე იმედს არ ვკარგავ!

მარიკელა — რაღა აკლა, კიდევ რა უნდა შექმნათ?

გაიოზი — ფერები, ფერები, მარიკელა! მხატვრობა ნაირფერების ლეილეია. იცი, როგორი ხარბი ვარ ფერების ძიებაში! ერთს რომ ვიღებ, მეორეს უკვდავდებ, ვეჭებ და ვიტანჯები, მაგრამ, როგორც კი სასურველ ფერს მივაგნებ, აი მაშინ ვარ ბედნიერი.

მარიკელა — ასეა, დიდი შემოქმედება დიდი ტანჯავა არის.

გაიოზი — ამ სურათს უშენოდ ვერ შეექმნიდი, ჩემო მადონა! (ტელეფონის ზარი, გაიოზი ყურმილს აიღებს) ალო! ვინა ხარ?

არჩილას ხმა — (ტელეფონიდან) — არჩილი ვარ. ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხე, მაგრამ შენ გამიგებ და იმიტომ დავიბრუნე. აბესალომმა უკვე მომხსნა სამხატვროდან!

გაიოზი — მერე? მკვდარი ხომ არა ხარ! ხმა ამოიღე, იბრძოლე ვაკაცურად!

- არჩილის ხმა** — ბევრა ეიბრძოლე, ვის არ შეეჩივლე, მაგრამ არავინ მომისმინა.
- გაიოზი** — ერთი და ორი უყურადღებო კაცით კი არ ამოიწურება ქვეყანა. არიან ადამიანები, რომლებიც შენთვის მოიცლიან.
- არჩილის ხმა** — ეჭ, ჩემთვის ვის სცალია. მე ახლა უკვე წაქცეული კაცი ვარ!
- გაიოზი** — შერე რა ვუყოთ, რომ წაქცეული ხარ. ამ ცხოვრებაში ერთხელ ვინ არ წაქცეულა. მაგრამ რომ წაქცევი, გაიმოტები და აღარ ამირებ ადგომას — ეს არის უბედურება! კი, კი, ნუ გეშინია, აუცილებლად დღესვე განახე... ნახეამდის. (უფრო შიშს დასდებს) აი, აბესალომის კიდევ ერთი მსხვერპლი!
- მარიკელა** — ო, რა საშინოი კაცი ყოფილას!
- გაიოზი** — და ეს ლენციოფა კაცი ისეთ გვაჯილს ეტანებოდა, რომლის ღირსი ნამდვილად არ იყო!
- მარიკელა** — არ მეგონა, თუ აბესალომი ასეთი იყო!
- გაიოზი** — დიდი ურატუია. ადვილად არაფერს არა თმობს... ჩვენ მასთან დიდი ბრძოლა მოგვიბეჭდა.
- მარიკელა** — ეგ არ მაშინებს!
- გაიოზი** — არა, მე შენ ბრძოლაში როგორ ჩაგრევე!
- მარიკელა** — შენ არ ჩამრევე, მაგრამ მე თვითონ ჩავერევი... შენს მტრებს სიცოცხლეს ვაუფმწარებდი...
- გაიოზი** — ოჰო! მართლა არაფრის შევეშინებება?
- მარიკელა** — შიში რას მიჭედა! შიში უიდეო და რწმენადაკარგულ ადამიანს ეიშვიშია!
- გაიოზი** — მაგრამ ფათერაკში რომ ჩაეარდე, ცხოვრება გავიჭირდეს?
- მარიკელა** — ყოველთვის შენს გვერდით მივლევ: შრომამო, ლხინში და ვახუცაშვიცი!
- გაიოზი** — მარი, ჩემო ძვირფასო მარიკელა!
- მარიკელა** — ჩემო სიცოცხლე! (მთვა და ჩაუცონება).
- გაიოზი** — ო, რა ტყბილი ხარ! სიცოცხლე მხოლოდ სიყვარულში ყოფილა... ნეტავ, სულ მუღამ ასე იქნებოდეს... არასდროს შეჩერდებოდეს ეს ჩვენი მართალი გულისძგერა.
- მარიკელა** — ეს შენი ნატვრა კეთილად შეგვსრულდებოდეს, ჩემო სიხარული!
- გაიოზი** — ამა, წაეიდეთ, ახლავე წაეიდეთ და ხელი მოეაწერათ!
(ამ დროს გარედან მოისმის მანქანის გაჩერების ხმა. შემოდის აბესალომი.)
- მარიკელა და გაიოზი სახტად დარჩებიან).**
- აბესალომი** — არ მომელოდით? ასეა, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებს კაცი! (მარიკელას სურათს შეამჩნევს) ოჰო! მარიკელა!
- მარიკელა** — მოგწონთ, პატივცემულო აბესალომ?
- აბესალომი** — (მტრისხანდ) ხმა გაიყმიდე!
- მარიკელა** — (გაიოზისაკენ გადაინაცქლებს).
- აბესალომი** — სად ამირებთ?
- მარიკელა** — ხელის მოსაწერად.
- აბესალომი** — ვერ წახვალთ!
- გაიოზი** — მინც რა დავეშლის?
- აბესალომი** — მე მარიკელას არავის დავეთმობ! იგი ჩემია, მე იგი მიყვარს!
- მარიკელა** — (გაბედულად წინ წარსდგება) მაგრამ მე რომ არ მიყვარხართ, ნუფთ ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს!
- აბესალომი** — მშ! უყურეთ ერთი ქალებს ვინ მისცა იმის კეუა, რომ მათთვის რა ჯობს, იმას მიბედნენ!
- გაიოზი** — წაეიდეთ, მარიკელა!
- მარიკელა** ფეხს ვადადგამს, მაგრამ აბესალომი წინ გადაუდგება. მარიკელა მას გაუსხტება და გაიოზს უკან მოეფარება. აბესალომი გაიოზს მიამურებს, მაგრამ გაიოზის ძლიერი ბიძგისას უკან დაახევინებს. აბესალომი სკამს წამოაყვებს ხელს, მაგრამ ამ დროს იგი შემოვარდება და აბესალომს ხელს დაუტერს).
- ივა** — ეეა, ნანა! რა მოხდა, გენაცვალე!
- აბესალომი** — არაფერია, გაიოზს სამაგიეროს გადავუხდი!
(ივას აბესალომი ძალიად გაჰყავს).
- გაიოზი** — ნულარ ვაყვინებთ, წაეიდეთ, მარიკელა! (მიდიან).

მომხმობა მიწაზე

სურათი მხსნა



აბესალომის კაბანეტი. აბესალომი აღვლევს შემოვარდება კაბანეტში. იგი პორტფელს გულმოსული მიაგდებს მაგიდაზე.

აბესალომი — მარჯველი უკვე გაიოზის ცოლია. მაგრამ ყველაფერი არ ვათავებულა. შერისძიება ახლა იწყება... რუსუდან, რუსუდან, (შემოდის რუსუდანი) დაწერეთ განცხადება და დღეიდან შენი ლანდი არ ვნახო სამხატვროში!

რუსუდანი — კი, მაგრამ რა დავაშავე, ბატონო?

აბესალომი — არაფერი.

რუსუდანი — აბა, რატომ მითხოვთ?

აბესალომი — შეე, რაც თქვენზე გვიასარჯე, ამიერიდან გაიოზი გემსახურებთ ჩემზე უკეთესად!

რუსუდანი — გამოდის, რომ მარჯველს წავერი ჩემზე გინდათ ამოიყაროთ!

აბესალომი — თუნდაც ასე იყოს. წადით, დაწერეთ განცხადება!

(რუსუდანი გადის. შემოდის ეთერი).

ეთერი — შეიძლება?

აბესალომი — თქვენ ვინ ბრძანდებით?

ეთერი — ეთერი თელაშვილი.

აბესალომი — აა! ვასაგებია. თქვენ, ალბათ, ვითხრათ ლუარსაბმა, თუ რისთვის დავიბარეთ ეთერა — დიან.

აბესალომი — ერთ მხატვარს თქვენი დახატვა განუზრახავს...

ეთერი — რომელს, ბატონო?

აბესალომი — გაიოზ ზელაშვილს. იგი ნიჭიერი კაცია, სულ რამდენჯერმე მოგობდება მასთან სახლში მისვლა... რაც შეეხება თქვენ ვასამრჯველს, ამის შე გვესტუდობ!

ეთერი — თქვენგან ისედაც დიდად ვართ დავალეზული, ბატონო!

აბესალომი — ევ არაფერი.

ეთერი — როგორ თუ არაფერი! შე ყველაფერი ვიცი... შამა რომ თქვენთან მუშაობდა, ცოტა ფული დააკლდა თურმე საღარიბოში, თქვენ რომ არ გეხსნათ...

აბესალომი — მართალია. მაგრამ დავეხსნათ ძველ ამბებს. როგორც ვითხარათ, თქვენ გაიოზ ზელაშვილთან ივლით ბინაზე!

ეთერი — კი, ბატონო.

აბესალომი — მაგრამ საქმე მართო იმაში როდია!..

ეთერი — სხვა კიდევ რა არის, ბატონო?

აბესალომი — ისეთი არაფერი. მიხვალთ მასთან ატელიეში. იგი შეუდგება თქვენს ხატვას. საერთოდ, ხატვის დროს შეუძლებელია ზელოვანმა პოზის შერჩევა არ გიყარინახოს... ჰოდა, როცა იგი თქვენ უელს, ან თავს ხელით შეეხება, აი შამინ ატეხეთ სიანდალი!

ეთერი — სიანდალი? ეს რა საჭიროა, ბატონო?

აბესალომი — საჭიროა, ჩემო კარგო. ძალიან საჭიროა.

ეთერი — არა, ამ საძაღლობას არ ჩავიდენ!

აბესალომი — ჩაიდენთ, ჭალიშვილი, სხვა გზა თქვენ არა გაქვთ!

ეთერი — მაინც, რა მიძლეხს?

აბესალომი — საბუთები, ჩემო კეთილო, საბუთები... მამაშენის მამილეგელი საბუთები ჯერ არ მომისპია!

ეთერი — ვაიმე, შამა!

აბესალომი — ვიშვიში საქმეს ვერ უშველის. თუ შესაძლებელია ჩემ თხოვნას, თავისუფალი იქნება მამაშენი, თუ არადა, მე ნურაფერს დამპირალვობ.

ეთერი — არა, არაფრის გულისათვის!..

აბესალომი — შამ წაბრძანდით, თავისუფალი ბრძანდებით!

ეთერი — კარგი, წავალ... ოღონდ მიტხარით, როდის წავიდეთ?

აბესალომი — ამის შე თვითონ შეგატყობინებთ ტელეფონით.

ფ ა რ დ ა

(დასასრული იქნება)

ნომერი 3333333

გერონტი ქიქოძე

ლიტერატურათმცოდნეობაში ორი ნაკადის არსებობა შეიმჩნევა. ერთი ნაკადის წარმომადგენლები მხატვრულ ლიტერატურაში აღგენენ გარკვეულ კანონზომიერებას, სწავლობენ, იკვლევენ ლიტერატურის ფაქტებს. ეს ლიტერატურათმცოდნეები ლოგიკურ მსჯელობას, დისკურსიულ აზროვნებას, მეცნიერულ არგუმენტირებასა და მეტნაკლებად ზუსტ ანალიზს ეყრდნობიან. ესენი ცდილობენ ამათივე მხატვრულ ნაწარმოებში არსებული ობიექტური ქვეშეობრივობის და კანონზომიერებების გამოავლინონ, რომელთა აღქმას არ უნდა დასჭირდეს არც სუბიექტური გემოვნება და არც განსაკუთრებული მხატვრული აღღო. ესაა, პირობითად თუ ვინმართ, ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერული ნაკადი.

მეორე ნაკადი ცოტა სხვა მიზანს ისახავს: მისი მიმდევრები ცდილობენ მკითხველს აგრძნობინონ, განაცდევინონ, უშუალოდ დაანახონ მხატვრული ქსოვილი, მისი დაფარული, ჩვეულებრივი თვალისა და ყურისათვის მიუწვდომელი სიღამაზე. ესენი შთაბეჭდილებას, სუბიექტურ განცდას ეყრდნობიან და აზრსა თუ დებულებას ლოგიკური არგუმენტირების გარეშე, ემოციური დასაბუთებით, სახეობრივად გვაწვდიან. მათი მიზანია სპეციფიკის ცოცხალი, თვალნათლივი, გრძნობად-ხელშესახებები ჩვენება — განცდევინება, ამდენად ასეთ ლიტერატორთა ნაწიერი მხატვრული ქმნილებსა და კრიტი-

კული ნარკვევის თავისებურ ნაზავს წარმოადგენს. ესაა მხატვრული ლიტერატურის მხატვრული ინტერპრეტაცია და ესაა ლიტერატურათმცოდნეობის ესეისტური ნაკადი. ჩვეულებრივ ასეთ ესეებს თვით მწერლები, შემოქმედნი წერენ სხვა მწერლებსა ანდა რომელიმე საკითხზე.

გერონტი ქიქოძე სწორედ ამ მეორე ნაკადის, ამ მეორე ტიპის ლიტერატორი გახლდათ, რომელიც თავის ბრწყინვალე ლიტერატურულ წერილებში სილოგიზმზე უფრო მეტად ემოციურ საბუთსა და მხატვრულ სახეს იმარჯვებდა. მეცნიერისა ანდა პედანტი ფილოლოგის სკრუპულოზურობა მისთვის უცხო იყო. მკაცრი ლოგიციზმი არ ყოფილა გერონტი ქიქოძის თავისებურება. მისი ესეები. — ესაა მწერლის მიერ დაწერილი მწერლებზე ანდა მწერლის თვალით დანახული მწერლები... გერონტი ქიქოძე უბრწყინვალესი ესეისტი იყო. მისი ესეი წარმოადგენს ქართული პროზისა და ევროპული ესეის ბედნიერ სინთეზს. სამწუხაროდ, ჯერ არავინ დაინტერესებულა სპეციალურად ქართული ესეისტიკის შესწავლით, რომლის სფეროში პირველობა, უძველესად, გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის.

ასევე ჯერჯერობით შესწავლულია გ. ქიქოძის სტილი და ენა. გერონტი ქიქოძე ქართული ენის უდიდესი არტისტი. მის ხელში ქართულმა ენამ საოცარი მოქნილობა, ფეროვანება და ელვარება შეიძინა. გ. ქიქოძის ენა კიდევ

დიდხანს შეინარჩუნებს სტილური ნიჭის მნიშვნელობას. გერონტი ქიქოძე უნატიფესი სტილისტი იყო, რომელსაც აბსოლუტური ენობრივი სმენა ჰქონდა: მის ნაწერებში ვერსად ვერ ნახავთ ერთ ყალბ, დისონანსის შემტან ბგერასაც კი, ვერცერთ საერთო კონტექსტიდან ანდა წინადადების საერთო მუსიკიდან ამოვარდნილ სიტყვას. გ. ქიქოძის ენა თითქოს სადაა, მაგრამ უაღრესად ემოციური, მაქსიმალურად ექსპრესიული, არამაღალფარდოვანი და პათეტიკური, ამვე დროს ყოველგვარ ლვარქნილობასა და მანერულობას მოკლებული, სალაპარაკო მეტყველებასთან მიხლოებული, მაგრამ უკიდურესად ნატიფი და გამჭვირვალე. მუსიკალური და მელოდიური, მაგრამ მინც არამღერებელი და ამაღლებელი.

ნიცშე ერთგან ამბობს, კარგი პროზა განუწყვეტელი და ფარული ომია პოეზიასთან. ჩემი აზრით, გ. ქიქოძემ ეს საიდუმლოება ჩინებულად იცოდა: ისევე როგორც ვალქსილი და გართმული პროზა ჯერ კიდევ პოეზია არაა, ასევე ურთიმო და ურითმო ლექსიც პროზა ვერ იქნება.

მიუხედავად გ. ქიქოძის ესეებისა და თარგმანების სტილის ფილიგრანული დახვეწილობისა და სისალექსისა, მინც ეს სტილი, ენა თვითმინის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. არსად თვალში არ გვეჩხირება ენობრივი ორნამენტები და არაბესკები. ზოგიერთი მწერლის სტილში იგრძნობა კოკეტობა, ლამაზი, კომწია ფრაზებითა და გამოთქმებით ქექლუცობა, ისე რომ მკითხველს ეკარგება ზოლმე ამ ფრაზებში გამოთქმული აზრი. გ. ქიქოძის ენა საოცარ ეფექტს ახდენს გარეგნულად უპრეტენზიო და სადა ენობრივი საშუალებებით.

გერონტი ქიქოძე — შემოქმედი და პიროვნება პარმონიულ ერთიანობას ქმნიდა. იგი კაბინეტური სწავლული არ ყოფილა, მას არ იზიდავდა ფოლიანტების ქექვა და წიგნსაცავებში ხანგრძლივი, თავაუღებელი მუშაობა. ამდენად,

მისთვის უცხო იყო კაბინეტური სწავლულის ასკეტიზმი.

გ. ქიქოძე თავისი ტემპერამენტით ერთგვარი პედონიკოსი და ეპიკურელები იყო, მაგრამ მის მიერ ცხოვრების აღქმა და განცდა არ ყოფილა პანტაგრუელი და ორგანისტული. მას ექსცესები არ უყვარდა. მისი ტკბობა წიგნებით, ბუნებით, სეირნობით, მეგობრებთან მასლაათით შემოიფარგლებოდა. ბოქმური ტემპერამენტი არ ჰქონია. მაგრამ საოცრად არაორგანიზებული და არადისციპლინირებული მწერალი იყო, თავისუფალი ხელოვანის „ამბლუა“ ჰქონდა და პროდუქტიულობით ვერ დაიკვეხნიდა, თუმც ეს მარტო ტემპერამენტის ბრალი არ იყო, არსებობდა აგრეთვე მისგან დამოუკიდებელი მიზეზები, როკელთა ძიება და დადგენა შორს წაგვივანდა.

გ. ქიქოძე სულაც არ ჰგავდა იმ გაფუფულ, გაბღენძილ „სწავლულს“, რომელიც არამცდარაზმც არ გამოტყდება, რომ ამ ქვეყნად შეიძლება რამე არ იცოდეს.

მახსოვს, სიყმაწვილისას გერმანულ ენაში სავარჯიშოდ დაწერილი ლექსები მივეტანე. ლექსები ჰაინეს ეპიგონობის უტყუარ დაღს ატარებდა. ბატონმა გერონტიმ ეს მორიდებით მითხრა, თან დასძინა (მხრები თავისებურად აიწურა და თვალები მოჭუტა): გერმანულ ენაში ავტორიტეტად ვერ გამოვდგები, გერმანული დამაფიქსაო. და ამას ამბობდა კაცი, რომელიც ლაიპციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში ფილოსოფიურ სემინარებზე დებატებში მონაწილეობდა.

გ. ქიქოძეს არაბდროს არ ჰქონია უცდომელი და უკოდველი დალაილამას პროზა. ვერ იტანდა ფანატიკოსებსა და პირზე დორბლმოჩეულ დოგმატიკოსებს, თვითონ უაღრესად ტოლერანტული იყო და სხვისგანაც ტოლერანტობას მოითხოვდა. მისი ეს შემწყნარებლობა ერიკულდებოდა არა მარტო მსოფლმხედველობრივ თუ ლიტერატურულ სფეროზე, არამედ ადამიანურ — ინტიმურ ამბებზეც. იგი თავად უაღრესად ეთი-

კური პიროვნება იყო, მაგრამ არასოდეს მორალისტი და სხვათა იოლი გამჭირდელი არ ყოფილა. ცდილობდა როგორმე გაეგო ადამიანებისათვის, მათი ხელაღებით განსაზღვრება არ უყვარდა. მას არასოდეს არ უსვრია ქვა ცოდვილისათვის, თუმც თავის თანამედროვე მოკვდავ ადამიანთა შორის, ალბათ, ყველაზე ნაკლები შეცოდება ჰქონდა.

გ. ქიქოძეს მებრძოლის ტემპერამენტი არა ჰქონია. არ უყვარდა ბარიკადებზე ხმალამოწვდილი დგომა. იგი ლიდერად და ბელადად არ ყოფილა დაბადებული. თაყვანისმცემლებისა და მეგობრების მეტად ვიწრო წრე ჰყავდა და ტრიბუნაზე შედგომა არ იყო მისი სტილი. ფართო აუდიტორია არ იზიდავდა, უყვარდა ვიწრო წრეში ხმადაბალი, დარბაისლური მასლაათი.

გ. ქიქოძე არც პოლემისტი ყოფილა მოწოდებით, დავა და კამათი საგანგებოდ არ ყვარებია. მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი და ქვეყნისადმი იყო ოდნავ ირონიული, ჰუმორული და შემწყნარე. ბევრი რამ ენახა, ავიც და კარგიც, და მისი აღშფოთება და აღტაცება ძნელი იყო. ქრისტიანი მქადაგებლის პათოსი არასოდეს არ ჰქონია და მიუხედავად გმირული ეთოსისა, მაინც ჰეროიკული შემართება არ იყო მისი სტილი.

გ. ქიქოძე არასოდეს ამქვეყნიურ დი-

დებას არ გამოდევნებია, მატერიალური სიკეთისადმი საოცრად მტკიცედ იყო, არ უყვარდა ოფიციალური ცერემონიები და პრეზიდენტის მაგიდასთან მიჯდომა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ესწავლა და საკმაო ხანს ეცხოვრა კიდეც, ზოლო საფრანგეთში სულ რამდენიმე თვე დაეყო, მაინც ფრანგული კულტურა, ფრანგული ლიტერატურა, ფრანგული სამყარო უფრო ნათესაური და ახლობელი ესახებოდა. იგი ვალუარი პლასტიკურობის, ფრანგული „ესპრის“, ფრანგული დახვეწილი ფორმის თაყვანისმცემელი უფრო იყო, ვიდრე გერმანული „ჩალრმავებულობის“, გერმანული „გრიუბელის“, გერმანული მისციტიზმის და გერმანული ამორფულობისა. წერის მანერაც თითქოს უფრო ფრანგული ჰქონდა. მართალია, მისი სტილი უადრესად ქართულია, მაგრამ პირობითაც მას ევროპულ ყალიბს თუ მიუხედავებთ, მისი სტილის ფრანგული გამჭვირვალობა და პლასტიკურობა უნდა ვაღიაროთ.

დიდი მხატვრული ინტუიციით და გემოვნებით აღჭურვილი მწერალი, ფართო და ღრმა ერუდიტი, მოუსყიდველი ეთოსის ადამიანი — ასეთი შემოვიღა და და ასეთი დარჩა ჩვენს ცნობიერებაში გ. ქიქოძე.

ეროვნობა

კომუნისტური პარტიის მუშაობა „კამელოში“

მაისის დამლევის ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა საქ. სსრ ხალხთა არტიტის დავით (დოდო) ანთაძის დაბადების 60 და თეატრალური მოღვაწეობის 40 წლისთავი.

რესპუბლიკის ყველდღიურმა და ლიტერატურულმა პრესამ ვულთადი წერილები მიუძღვნა მის ხანგრძლივ ნაყოფიერ შემოქმედებას. 28 მაისს რუსთაველის სახ. თეატრში გაიმართა დ. ანთაძის საიუბილეო საღამო. ზეპირი ამხანაგებმა და თანამეგობრებმა, სამწერლო-სახელოვნო და სამეცნიერო საზოგადოების მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა მისასალმებელ სიტყვებში გაიხსენეს ჯიშისუნარიანი თანამედროვენი დ. ანთაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიული, დაუფიქარი დღეები, რომლებსაც ათეული ათასი მკითხველისათვის ჰუმანიტარული მნიშვნელობა და საჭიროება აქვთ დღემდე მათ მესხიერებაში.

შემთხვევითი არ იყო, რომ მომხსენებელმა ბ. ვლენტი დ. ანთაძის თეატრალური მოღვაწეობის მიმოხილვა დაიწყო და დამთავრა იმ ამაგის აღნიშვნით, რომელიც ქართული საბჭოთა თეატრის შემქმნელს კ. მარჯანიშვილს მოუძღვის ახალი თაობის თეატრალურ მოღვაწეთა, კერძოდ, დ. ანთაძის მხატვრული მარჯმისა და შემოქმედებითი სახის ფორმირებაში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დ. ანთაძე იყო ერთ-ერთი უახლოესი უმცროსი თანამებრძოლი კ. მარჯანიშვილისა ქართული თეატრის განახლებულ მიმართულ მის მოღვაწეობაში. თუ ქართული თეატრი ოციან წლებში თავისი იდეურობით და მხატვრობით ჩვენი ქვეყნის მოწინავე თეატრებს გაუთანაბრდა, ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ კ. მარჯანიშვილმა თეატრალურ ახალგაზრდობაში მოქმენა და მხარში ამოიყენა ისეთი ენთუზიატები, როგორც არის, კერძოდ, დ. ანთაძე.

თავდავიწყებაში მისული ვატაცება თეატრალური ხელოვნებით, შინაგანი მობილიზებულობა და მუდმივი მზადყოფნა ყველაფერი ვაკეთოს თავისი საყვარელი საქმიანობის, — აი თვსება, რომელიც სიყრმიდანვე ახასიათებდა დ. ანთაძეს და რომლის გამოც ასე დაიხლოვა იგი კ. მარჯანიშვილმა, რომელმაც დ. ანთაძის ამ განუყოფელ სიყვარულსა და თავდადებაში დაინახა მისი შემოქმედებითი ზრდის და სრულყოფის საწინააღმდეგო.

უწინარეს ყოვლისა, ხანგასმით მოსახსენებელია ის ფაქტი, რომ დიდმა რეჟისორმა დ. ანთაძის უახლოესი შემოქმედებითი თანაშრომლობით ქუთაისის თეატრის სცენაზე განხორციელდა არა ერთი და ორი ბრწყინვალე დადგმა, რომელთაგან ზოგიერთს („პოპა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „როგორ“) სეტყაო მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული თეატრის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ დ. ანთაძეს წილადა ხვდა დადგმა პ. კაკაბაძის პირველი პიესა „ღიხინის ტუსაღები“, რომელიც, მართალია, სცენას არ შერჩენია, მაგრამ ვარკვეული როლი ითამაშა კ. მარჯანიშვილის შემოქმედებით კოლექტივთან ჩვენი სახელოვანი დრამატურგის დაახლოებაში, რაც დაგვირგვინდა ისეთი სპექტაკლებით, როგორც იყო „უვარცხარე თუთაბერი“ და „კოლმურის ქორწინება“. დაუფიქარი სპექტაკლებად დარჩა ჩვენს ხსოვნაში და ახალი ქართული თეატრის მატარებელიც დ. ანთაძის ისეთი დადგმები, როგორც იყო შ. დედანიანის „ნიმუშის გურია“, ვ. ბაზოვის „მუხტები ალაპარკდენ“, ი. ვაკელის „შამილი“ და შექსპირის „მეფე ლირი“.

ჩვენი საზოგადოებრიობა დიდად აფასებს დ. ანთაძეს, როგორც თეატრალური ცხოვრების ნიჭიერ ორგანიზატორს, რომლის თავდაუზოგველი მუშაობის მეშვეობით ქუთაისის თეატრმა ოცდაათიან წლებში აღიღწა თავისი ბრწყინვალე სახელი; ხოლო მისი მოღვაწეობა გრძობედოვის სახელობის თეატრში იმითაც არის მნიშვნელოვანი და დასაფასებელი, რომ ქართული დრამატურგიის დადგმას ამ თეატრში მიეცა სისტემატორის ხასიათი. ცნობილია, რომ დ. ანთაძის მიერ გრძობედოვის სახ. თეატრის სცენაზე დადგმულმა სპექტაკლმა „რევისბერი ვინა“ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს მოსკოვში მკითხველთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ყოველივე ამასთან ერთად დ. ანთონე გახლავთ კარგი ქართულით მოხაზურე, თეატრალური ხელოვნების საკითხებზე დ. ანთონის საქარო გამოხვლებს და მის წერილებს ყოველთვის ღრმა ინტერესით ხვდებოდა და ხვდება ზვენი საზოგადოებრიობა. ამ შხრივ უურადლებას იქვეყნ მისი წერილები ჩვენი რესპუბლიკის ახლო თეატრალურ წარსულზე, კერძოდ, მისი სტატიები მარჯანიშვილზე, რომელთაგან ერთი ქვემოთ იბეჭდება.

1925/26 წლის სეზონის დასაწყისიდან კოტე მარჯანიშვილი დიდი გატაცებითა და ექსპრესიით შეუდგა მუშაობას „ჰამლეტზე“. ეს დადგმა საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა ქართული თეატრის ისტორიაში. მთავარი აქ ის იყო, რომ კოტე მარჯანიშვილი მხოლოდ თამაში გადაწყვეტილება: ჰამლეტის როლო დაყვისრა ახალგაზრდა 25.26 წლის მსახიობს—ტუშანგი ჩხეიძეს.

... მარჯანიშვილის ვაგებით ჰამლეტი სრულად თავისუფალია ყოველგვარი მისტიციზმისაგან, სახსებით რეალური და უაღრესად ადამიანური სახეა. ამიტომ გარემო რომელშიც ის ცხოვრობს და აზროვნებს, ასეთივე რეალური და კონკრეტული უნდა ყოფილიყო. კ. მარჯანიშვილი ჰამლეტი დაუახლოვა ჩვენს სინამდვილეს. ჰამლეტი წარმოადგინა ჩვენი დროის გრძნობათა და აზრთა განმსახვებელ ადამიანად.

„კოტე მარჯანიშვილის თეატრი, ამ სიტყვის სრული და ნამდვილი მნიშვნელობით, ცოცხალი ადამიანის თეატრი იყო!“—წერს ცნობილი მკვლევარი გ. კრივიცი. მართლაც, მარჯანიშვილის შეფოქმედების ცენტრში ყოველთვის იდგა ადამიანი, მაგრამ არა განყენებული აზროვნების განმსახიებელი, არამედ ამოცოვური ზემოქმედების უნარის მქონე. ამიტომ ჰამლეტის ვაგება, როგორც მხოლოდ აზროვნების ტრაგედიის განსახიებებისა, მიუღებელი იყო მარჯანიშვილისათვის.

კლასიკურ შემკვადრეობას კ. მარჯანიშვილი ყოველთვის უდგებოდა ჩვენი ეპოქის სოციალური პრობლემაციას თელსაზრისით, ღობედე ვეგას „ცხვრის წყაროში“ მან წინ წამოსწია იდგა თავისუფლების მწუერვალე ხალხის ბრძოლაში ტირანიის წინააღმდეგ; თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებს დაეკავშირა აგრეთვე კ. გუცოვის „ურიელ აკოსტას“ მთავარი თემა.

ასევე მიუღდა დიდი რევისორი ჰამლეტის სახის გახსნასაც. კ. მარჯანიშვილი არ უგულებელყოფს ჰამლეტს, * როგორც მოაზროვნეს, ამასთანავე პრინცს, მაგრამ მისთვის მთავარია ჰამლეტის ადამიანურე ბუნება, მისი მალაო

ჰემანიზმი, ცხოველი და წრფელი გრძნობა. მართალია, ჰამლეტი მალაბუნებოვანი ადამიანია, მას ღრმა ყოველმხრევი ცოდნა აქვს, ფილოსოფიური აზროვნების უნართაა დაკიდლოვებული, თხზავს, პიესებს, შესანიშნავად მსჯელობს თეატრალურ ხელოვნებასა და მუსიკაზე, მწუერბეტიყველია, მაგრამ კ. მარჯანიშვილის ექსპრესივაში ხაზსამელია არა იმდენად ეს თვისებები, არამედ ის, რომ ჰამლეტი მოყვარული გულის ადამიანია: ის თავიანსა სცემს მამის სსოენას, ნაზი სოყვარულით უყვარს დედა, თუმცა მწუერედ ვანიციდის მის შეცდომებსა და ქალურ სასუსტეს; უსაზღვროდ უყვარს ჰამლეტს ოფელია, და ეს სოყვარულიც ღრმა ტანჯვის მიზუნად გადაქცივა. ასევე მძლავრი და მტკიცეა მისი მეგობრული სოყვარული პორაციოსაღში და იმ პატიოსან გულმართალ ჯარისკაც-გუშეგებისაღში, რომლებიც მისი ერთუღლი არიან. ჰამლეტი მალაო და ფაქიზი ზნეობრივი გრძნობის ადამიანია; ამიტომია, რომ სულმდაბლობის, მეხანათობის და თელთმაქციობის ყოველი ცალკეული შემთხვევა ასე ღრმად აღელვებს და აღაშფოთებს მას. უაღრესად თავმდაბალი ადამიანი, ის არეის არ თხოვს სამსახურს. თუმცა როგორც პრინცს, შეუძლია ეს გააკეთოს—სამსახურს არ გთხოვთ, თქვენ მიმეგობრეთ ისე, როგორც მე თქვენ გმეგობრობთ“.

„ჰამლეტის“ კოტე მარჯანიშვილისეული მონტაჟი და ჰამლეტის როლის მთელი ტექსტის რევისორული წაკითხვა იქითკენ იყო მიმართული, რომ ვანსაკუთრებული ძალით გამოკვეთილიყო ჰამლეტის დიდებუნებოვანი გული, მისი მეზუნებაჟე ჰემანიზმი, დიდი სოყვარული ადამიანებასა და მთელ კაცობრიობისაღში. მარჯანიშვილმა უყუარადო ჰამლეტის ფილოსოფიური პესიმიზმის თეატრალური პოზა და გახადა იგი ჩვენთვის მახლობელ, საყვარელ, ყველასათვის გასაგებ ადამიანად. ეს იყო მისი, როგორც რევისორის, პირველი და უძნელესი ამოცანა, რადგან აქ ამოჯანის დასახეითა და შესრულებით მარჯანიშვილმა ვაბედულად გამოუცხადა ბრძოლა ჰამლეტის როლის შესრულების დამკვიდრებულ ტრადიციას.

მეორე ამოცანა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ის იყო, რომ მყუერებლის წინაშე უნდა წამდგა-

გ. კრივიცი. კ. მარჯანიშვილი და რუსული თეატრი. (რუსულად, გვ. 114).

ჩიყო კამლეტი არა როგორც სუსტი ნებისყოფის, უნაათო პიროვნება, არამედ როგორც თავის ეპოქის მოწინავე იდეალისტათვის მებრძოლი. კამლეტის ბრძოლა ბნელებისა და ბოროტების ძალებთან ხორციელდებოდა მთელი სპექტაკლის მანძილზე, მის ცოცხალ ურთიერთობაში სხვა მოქმედ პირებთან, მეტადრე, მეფე კლავდიუსთან მის დაპირისპირებაში.

ამით მეორე მიზნად მიღწეული იყო. მაყურებელი ხელახლა კამლეტში არა მარტო მგზნებაზე ჰქმნიდა, მისთვის საყვარელ ადამიანს, არამედ მებრძოლსაც, იმ იდეალების მებრძოლს, რომელთა განხორციელება ჩვენი, დღევანდელი ეპოქის კონკრეტულ ამოცანას შეადგენს, თუმცა ეს იდეალები ჭკად კიდევ აღორძინების ეპოქაში აღმოცენდა. მწერალი ე. ლენდბერგის სწორი თქმით, კოტე მარჯანიშვილმა, „...გადააქცია „კამლეტი“ აჯანყებულ ინტელიგენტის ტრაგედიადა, რომელიც წინააღმდეგ მთელს ევროპის საბავლობასა და ტუქუს, მარჯანიშვილმა მოახდინა კამლეტის დემოკრატიზაცია, ისევე მან გაარეკოლუციონერა „ცხვრის წყაროს“ გმირები.“¹

თავის შესავალ სიტყვაში კამლეტის პირველი რეპერტიციის დაწყებამდე და შემდგომ განმარტებებში², ისევე როგორც რეპერტიციების სველულობაში, კოტე მარჯანიშვილი სწორედ ამ მიზნობულებით ხსნიდა კამლეტის სახეს. შესავალი სიტყვა მან იმით დაიწყო, რომ „კამლეტი უაღრესად ფილოსოფიური ტრაგედიაა“. მაგრამ იმისათვის, რომ მას შესაფერი და ღირსეული მხატვარი და შინაარსობრივი ელემენტობა მიეცეს, ეს ტრაგედია გაყურებულთა მასწავლებლის გასაგებად უნდა იყოს.³

როგორ, რა პირობებში მოხდება ეს?—მომინთუ კამლეტის ტრაგედია მხურვალე გამოძახილს მოიბოვებს მაყურებელთა გულში, თუ კამლეტში ჩვენი ეპოქის სულიერი დრამის გამოშატვლის დაინახავთ. ყოველი ეპოქა ხომ თავისი სულიერი მოთხოვნებით უდგებოდა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს და ეძიებდა მასში პასუხს თავისი დროის მტკივნეულ „წყევლ“ კითხვებზე.

ჩვენი ეპოქისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ბრძოლა ძველსა და ახალ სამყაროთა შორის. ასეთი ბრძოლა მძაფრადაა მოცემული „კამლეტში“. ამიტომ კოტე მარჯანიშვილმა ამ ტრაგედიის დედა-აზრას გამხსნელ ფრაზად აღიარა: „დროთა კაცობრი დაიბრუნა და წყევლმა ბედმა მე რად მარჯუნა მისი შეგერა“...—ამ სიტყვებს პირველი აქტის ბოლოს ავანსცენაზე მეოფე უშანგა განსაკუთრებ-

ული გრძნობით წარმოთქვამდა: კამლეტისთვის ძველი სამყარო, მისი უსამართლობისა და ხნობრივი კუჭით, მიუღებელსა და სილბრასალი—მიუღწეველსა, რადგან იგივე სხვადავს იმ მტკიცე ძალას, რომელზედაც დაყრდნობით შეეძლოს ბრძოლა ახლის დამცვიდრებისათვის. მაგრამ კამლეტი პირადად მიიწეებობოლება ამ „სიბილწის სამყაროს“ და მის ამ მებრძოლებს უფილესი მორალური, იდეური მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობისათვის...

უშანგა ჩხვიძემ ზედმოწყენით შეითვისა რეჟისორის ჩანაფიჭი, შეისისხლხორცა და თავისად გაიხადა იგი, მით უფრო, რომ ეს ჩანაფიჭი საესებოდ შეესაბამებოდა მის შემოქმედებითა და ადამიანურ ბუნებას...

...რეპერტიციები წარმოცად მიდიოდა. კოტე მარჯანიშვილის რეპერტიციებზე გამოვლინდებოდა ხოლმე მსახობის დღი და ხალასი ნიჭი და მდიდარი ინტუიცია, რომელსაც ასეთი ოსტატობით იყენებდა ნაწყინეალე რეჟისორი. იგი, ამ ფაქტორების სინთეზმა განაპირობა ჩვენი აზრით, ამ სპექტაკლის ქეშმარიტი შემოქმედებითი გამარჯვება. კოტეს შემოქმედებით ენთუზიამს აქ ის გარემოებაც აძლიერებდა რომ მას უხდებოდა შემოაბა სრულიად ახალგაზრდა, და ამასთანავე, მალაონიჭიერ, შესანიშნავი მონაქმეების მქონე მსახობითან.

კოტე მარჯანიშვილი ერთ-ერთ წერილში წერს: „განსაკუთრებით მე მაინტერესებდა სცენაზე ისეთი ახალგაზრდა და შემოქმედის გამოწერთა, რომელსაც ღრმა განცდის უნარი ჰქონდა. ძველ არტისტებს სჭირად, გრძნობების მავიერ, გამოვლილბითა და სასცენო ოსტატობით გაქონდათ ლელო და მარჯველ ატყუებდნენ საზოგადოებას, მაგრამ მე, პირიამდე აღსავსე შინაგანი თრთოლივით, ადვილად ვერ მომბატყუებდნენ. სრულიად ბუნებრივია რომ ვარჩევი მუშაობას ახალგაზრდებთან, რომელთა ჩემს თავღწინ შლიდნენ თეატრში თავიანთ გრძნობას, ამქლავებდნენ თავიანთ ფაჭებს სულიერ მღელვარებას“.⁴

ამ დაუეწყურ რეპერტიციებს გულითადი და მითრთოლვარე გრძნობით იხსენებენ თავიანთ მოგონებებსა და სტატუებში უშანგა ჩხვიძე, ვერაქო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, ელენე დონაურო, კუკური პატარიძე,—ისინი ხომ ამ უბადლო შემოქმედებითი წუთების უშუალო მონაწილენი და დამსწრენი იყვნენ!

კოტეს არ უყვარდა პესაზე მუშაობის განკინარება „კამლეტის“ მომზადება ჩაებრ მთლიანად 38 რეპერტიციაში. ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ის, რომ მსახობები —ღიდი და პატარა—დამაბული ენერჯიცია და მონაღობით მუშაობდნენ. მათ დაეუწყდით მოსვენება. რეპერტიციაზე აღრე მოდიოდნენ, რომ

¹ „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ. № 10, გვ.

24, ე. ლენდბერგი. „კოტე მარჯანიშვილი“.

³ ე. მარჯანიშვილი, „მემორარები და წერალები“. 1947, გვ. 83—86.

⁴ „კოტე მარჯანიშვილი“ ყვარლის მუზეუმის კრებული, დ. ქანელიძის სტატია, გვ. 60.

ადღენით კოტეს მოსვლამდე მის მიერ დადგენილი მიზანსწრაფი, ინტონაციები, განწყობები, ვიან მიდობდნენ რეპერტიციებიდან, რომ ფიქსირება მოეხდინათ ამ მიზანსწრაფებისა და განწყობებისთვის. ასეთი ატმოსფერო ცხადია, უდავლად მუშაობას იკოტ მარჯანიშვილისა. ამა იმაზე მსჯელობას, ეოლა თუ არა როლი აქტიორმა, ვინ წარმოადგინდა! თუ შეძლება ითქვას, კოტე მარჯანიშვილი რეპერტიციების დროს მგზნებაზე შემოქმედებით ატმოსფეროში იმყოფებოდა...

მას კარგად ახსოვდა მრავალი მაღალნიჭიერი მსახიობის მიერ შესრულებული „ჰამლეტის“ როლი. ხშირად კითხვობდა ხოლმე ადგილებს იმ ინტონაციით, როგორთაც ესა თუ ეს მსახიობი ასრულებდა მას. კ. მარჯანიშვილი აცხადებდა ამის საილუსტრაციოდ, თუ როგორ სწორად შექმნა გაგებულა მას ჰამლეტის სახე ანდა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ უნდა იყო და შეესაბამო ესა თუ ეს შესრულება. ეს შესანიშნავი გაყვითლები გახლდათ, რომლებიც სწორ გეხს ამდევდნენ მსახიობებზე შემოქმედებით მუშაობას. კოტე ასაბუთებდა, რომ ვანი მაჩაბელს უგაჩნებია, ვანცელა შექსპირის სული და მისი განწყობა უფრო სწორად აქვს გადმოტანილი, ვიდრე სხვა მთარგმნელებს. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავდა ინგლისურად დამახსოვრებულა პირველი ფრაზები მონოლოგის „ყოფიანარყოფნა...“ და აჩვენებდა, თუ როგორ ემთხვევა წყობისა, შინაგანი რატმისა და განწყობილების მიხედვით ქართული თარგმანი ინგლისურ ორიგინალს.

უშანგი შემოქმედებითად იზრდებოდა ჩვენს წინ, რეპერტიციოდან რეპერტიციოდ, მაგრამ აქ მარტო როლი იყო... ერთი მეორეს ეცოდნობოდნენ ბრწყინვალე აქტიორები. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ მაღალნიჭიერი ძალები, რომელთაც უკუდები და ღრმად შთამბეჭდავი სახეები შექმნეს.

რფელის ნახი, მარჯანი, თავისი სისპეტაკითა და პავშვილი გულბრწყინობით გულში ჩაჰყვდომი სახე შექმნა ვერეკო ანჯაფარიძემ. მშვენივრად ახსიათებს ვერეკო-ოფელას მისივე პარტიორი უშანგი—ჰამლეტი: „...თითქოს დღესაც მაქცირაან მისი სეფიანი თვალები, დღესაც მესმის მორთილვარე ხმით წარმოთქმული სიტყვები. ამ სიტყვებში ისმობდა ისეთი სიწმინდე, ისეთი უმანკობა, რომ ადამიანი, არ ვიცი, სიბრალულსაგან თუ სიამოვნებისგან, რაღაც ტყვიის იგრძნობდა...“¹

კლავდიუსის შთაქმენტი, ვერაგი, ბორტი, მაგრა თავისივე სიბოროტით თვითვე შემკრთალი, შეშარავი, დემონური პირივნება განასახიერა აკაკი ვასაძემ. კლავდიუსის

როლი ჩვეულებრივად, მეორეხარისხოვნედ მიხნეული, კოტე მარჯანიშვილმა წინ წაიწია. კლავდიუსში კონცენტრირებულნი სიბოროტე, ლაბრობა, სულდაბლობა, რასაც ებრძვის ჰამლეტი, რაც აუტანელია ჰამლეტისათვის. ბრძოლა ჰუმანიზმა და ობსერვანტიზმს შორის დრამატულად იშლებაოდა, როგორც ქრილი ჰამლეტსა და მეფე კლავდიუსს შორის. ვარგებული პორტრეტები მშვენიერი გამოსახებნა ა. ვასაძემ: აწიული ცალი წარბი, ფრთხილი და უნდა გამოხედვა. ხან შინაშარ, ხან კანდიერი, ხან კა კოდეტი დამიმბეული კლავდიუსი—ვასაძე წარმულად შთამბეჭდილებას ტოვებდა. დავიწყარი იყო სცენა სამლოცველოში, ანდა ფინალური სცენა.

ბრგე, ვეკაცი, ფიცხი ლაერტი—აკაკი ხორავა, დედოფლის რაილს შეშარებულნი—ნ. დავითაშვილი, ე. ღონაური, ც. ამირეჯიბი; მორაკი—დ. ჩხეძე, ოსრიკი—ა. კორკოლიანი, პოლონიუსი—გ. კოცირაძე, ყველანი გამოყვეთალები მეტად კოლორიტული იყვნენ. ფორტანბრასი—მ. ლორთქიფანიძე მეტად მოხდენილი და ლამაზი, თვით განსახიერება ახალგაზრდობის, ოპტიმიზმის სიშფოთი, რომლითაც მასვილად დაუსვა სპექტაკლს წერტილი, როცა ფინალში შემოიყვანა ფარგზე მდგომი, მოცლენიერ ანჯარი გამოწყობილი ფორტანბრასი... არ შეიძლება გვერდი ავიართ ჰამლეტის როლის შესრულებას გიორგი დავითაშვილის მიერ. ეს იყო უკვე დაოსტრებული, გამოცდილი მსახიობის შესრულება, რომელსაც ჰამლეტი წარსულში ბევრჯერ ჰქონდა ნათამაშები და ახლაც კიდევ ერთხელ დამტკიცა თავისი ნატი და უნარი ამ როლში.

მაკოყეს გენიალური შესივა და ნიჭიერად გაკეთებულ დეკორაციებზე შესანიშნავი თეატრალური მხატვრის ირაკლი გამრეკელისა, სტილიზებული და რეალისტური ერთდროულად, შეერწყმნენ სპექტაკლს.

მოახლოვდა გენერალური რეპერტიციების დღეები. მუშაობა გადაიტანეს სცენაზე, დაიწყო კოსტუმებისა და გრამების ვასიწვა. კოტემ ებოძის შესაფერისი კოსტუმები შეაქმნევინა მხატვარს, ჰამლეტისათვის მან გაითვალისწინა უჩვეულო კოსტუმი: გრძელი ტანსაცმელი, მუხლებს ქვემოთ, რადგან ავ სახისათვის ჩვეულ ტრიკოთი გამოსვლა სცენაზე არ იყო მთლად ხელსაყრელი მსახიობისათვის. გრამიც უჩვეულო გასკეთა. ოდნავი, ახლად ამოსული წერები... ასევე გულმოდგინედ იმუშავა სხვა მსახიობების კოსტუმებსა და გრამებზე. მრავალი გრამი გამოიცვალა ა. ვასაძემ, სანამ საწადელს არ მიღწია, რომ მარჯანიშვილი კმაყოფილი დარჩენილიყო. ვასაძე ხომ როლზე მუშაობას პერაოლი სიამალოთად დაუზარებელია!

დაიწყო სრული გენერალური რეპერტიციები. რამდენი სიხარული, ღელვა, ევირობა, დამკვა-

¹ უშანგი ჩხეძე—მოგონებები და წერილები, 1956, გვ. 199.

ბა, სასოწარკვეთილება, უიმედობა და საბოლოოდ ბრწყინვალე, ტრუმფალური გამარჯვება!..

საზოგადოება მოთმენლად მოელოდა ამ სპექტაკლს. ბევრი იყო მაყურებელთა შორის ისეთი, რომელსაც კარგად ახსოვდა ჰამლეტის განსახიერება როლი მესპინჯლის მიერ. ამ ხარკებში ეს რაღა თბილისში ითამაშეს შესანიშნავა რუსმა მსახიობებმა პეტროპამ, ჩეხოვმა, სომეხმა მსახიობმა ვაგრამ ფაფაზიანმა. ესენი გამოცდილი, სახელმოხვეცილი აქტიორები იყვნენ, და მათ უპარისპირდებოდა ახალგაზრდა მსახიობი უშანგი ჩხიძე! ყველანი და ყველგვარი იყო მოთბობებული ამ სპექტაკლის ირგვლივ. მარჯანიშვილს არ გამოჰყავდა ყველა ადგილში მამას აჩრდილი, ის ხორცმესხველი ერთხელ ჩნდებოდა სცენაზე—ჰამლეტთან საუბრის დროს. დანარჩენ ადგილებში კი მამის აჩრდილის მავიერი მოძრაობდა შეჭი. რადგან ამ შემთხვევაში კოტე ელექტრომონტორის არ ენდობოდა, ეს მოვალეობა შე დამაყისა.

დადგა პრემიერის დღეც. მსახიობებზე არა წაკლებად მე მგონია, ლეკვდა თეთთან ადოტორიაც. აიხადა ფარდა... დაიწყო სპექტაკლი უჩვეულო რიტმით, ამალეუდებოდა განწყობილებით. გუშავთა გადაძახებოდა... სცენაზე გამოჩნდა ჰამლეტი, ის ჩამოდის კიბას საფეხურებზე ფერდაკარგული, აფორიაქებული. საზოგადოება სულგანაბელი თვალყურს ადევნებს ყოველ მის ბეგრას... დამყარდა კონტაქტი მსახიობსა და მაყურებელს შორის, მაყურებელმა დაუჭრა უშანგის შინაგან სიმატლებსა და გაუხვა მას. ეს კავშირი ბოლომდე არ გაწყვეტილა, პირიქით,—თანდათან იზრდებოდა, ძლიერდებოდა და დასასრულს ელმინაციას მიაღწია.

„შეირი ფიქრების“ კიბეზე ჩამავალი ჰამლეტის პირველ მონოლოგს მოჰყვა სცენა სასაბლემში. კლავდაუს-შეფის სეფე სიტყვა... პირველად, ყვირლით წარმოთქმული ფრაზები... მაყურებელი გრძნობს, რომ მეფე მხოლოდ გარეგნულად ყოჩაღობს, ისე კი ძლიერ შეშინებულია, მან იცის რომ იდუმალი და საზარელი შეკვლეობის გზით მიაღწია სამეფო ტახტს. კლავდიუსი თანდათან ეუფლება თავს: ატყობს, რომ ყველანი მისი მორჩილნი არიან და ბოლოს ფრაზებს უკვე გულღარწმუნებით წარმოთქვამს... ჰამლეტის სველიანი, დიწი რებლკები... კიბის საფეხურებზე მდგარი ქარისაკაცებს შებრუნება,—და სასაფლ ფარების კედელში დაფარა მაყურებელთა თვალთაგან. ჰამლეტს აენობებენ მამამისის აჩრდილის გამოჩენას. ისევე სუსხიანი ღამე, აჩრდილის გამოჩენა და მისი გულსაკლავი აღსაზრება... ფაქიზად, სათუთად, შეამალებული განწყობილებით ასრულებდა მამის როლს მსახიობი ვანი ლანდი, რომელიც ამავე სპექტაკლში პირველ აქტიორსავე თამაშობდა... გადაჭყარტენიებული დაწე-

ბი... ჰორაციო და ვერგევი ეფიციენსიან ჰამლეტს, შეინახონ მისი საიდუმლო. მარტო დანიჩენილმა ჰამლეტმა—უშანგიმ გვიდგვა რაზედნიმ ნაიწი აენსციენსკენ. მაყურებელი სულ ახლოს ხედავს მის მკრთალ სახეს, ღრმა სველით აღსაფე თვალბს და ესმის გულში ჩაწეულში სიტყვები: „ღრმთა კვეშირი დაირღვა და წყველშია ბედმა მე რად მარჯენა მისი შეყვარა?“

უკვე პირველმა აქტმა მოხიბლა მაყურებელი, ბოლო მეორე მოქმედებამ საბოლოოდ დაატყვევა იგი, რეცესორტულად და აქტიორულად უნდალოვ განსახიერებელი ცნობილი სცენა სამლოცველოში... ფიქრებით დამძიმებული შემოდის და სახატეს მიაყრობს შვერას კლავდიუსს-ვასაძე; დაიწყო მისი მონოლოგი, სუბარა საყეთარ თავნა, საყეთარ სინდასთან. ამაოდ ლამბს კლავდიუსი აღიღონოს სულღერი სამშვიდვ, წყნარი ლოცვის გზით,—ის ისეთივე აფორიაქებული და შეძარწუნებული გადის სამლოცველოდან, როგორც შეპოვდა ამ მშვიდ სავანეში. რა ძლიერი, რა შთამბეჭდავი იყო ამ სცენაში აიკი ვასაძე!

გაისმა „ყოფნა-არყოფნას“ პირველი ფრაზები. უშანგიმ შესძლო და ჩაახვდა მაყურებელი ჰამლეტის სულში. უნაზესი ღრმით აღსაფე შეხვედრა ჰამლეტსა და ოფელიასი. ვერიკოს ოფელია — განსახიერება ბავშვური სისპეტაკის, სათუთი, ნაზი გრძნობისა. ეთარდებდა მოქმედება. — სცენა წიგნაკაცეში: პოლონიუსის შეკითხვა: რას კითხულობთ, უფლისწულო? და ჰამლეტის მკვებე დაციინეთა და სველით აღსაფე პასუხი: „სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს!“ ისტატურად ასრულებდა პოლონიუსის როლს ნაყო გოციორძე. ბუნებრივი კომიზმი აქლევდა მას სრულ შესამდებლობას განსახიერებინა გაბავშვებული მოხეტე. ცხოვრების საპარძინთაც დაფილოცებულა, მაგრამ მაინც გონებაშეზღუდული, ბევრის არმყოფენ, მოფუსფუსე და სასაცილო... რაზენკრანცისა და ჰალდენსტერნის გამოსვლა... ჰამლეტი ჯერ სიხარულითა და ნდობით ხედავდა მათ, მაგრამ სულ მალე მის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარება, რომ გუშინდელმა შეგობრებმა დღეს მისი ჯამუშისა და შეთვალთვალის როლი იკორეს... კიდევ ერთხელ უტრუნდება ჰამლეტს რწმენა ადამინისადმი... გამოჩნდა აქტიორთა დასი და პირველმა აქტიორმა-ლანდიმ ღრმა გრძნობითა და აღფრთოვანებით წაიკითხა მონოლოგი...

დაიწყო მესამე მოქმედება.—„სათავფერი“. მეფე-დედოფლის საზვიმო გამოსვლა. სპექტაკლის გათამაშება აქტიორების მიერ, სცენა სცენაზე. დიაბაბა აღმოსფერვა, ჰამლეტ-უშანგის მღელვარება ელმინაციას აღწევს. აი, შემფოთდა თვით მეფეც დაიბადა ეჭვი, რომ ჰამლეტმა გაიფო მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქ-

მედებს ამბავი. მეფე გარბის სცენიდან. ამ მოქმედების მანძილზე თანდათან გაძლიერებულია რიტმმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. როგორც უზანგი ჩხეიძე წერს თავის მოგონებებში, „ქარიშხალით ავარდნილი კორიანტოლოვით აიშლა ყველაფერი, ამორწინდნენ ჩირადნები, შეშინებული სეფე-პალები: ერთმანეთს ეკრთოდნენ... დამფრთხალი აქტორები სცენიდან გარბოდნენ, რაკეტების მელურვარე ხმები აძლიერებდა საერთო განგაშს...“¹

რამდენჯერ გადაუღობა გზა მეფეს პამლეტმა. ბოლოს გონებადაკარგულმა მეფემ შესძლო და გაეცა პამლეტს მამხილებელ მზარას. უკერძოდ შეწყდა პამლეტის დემონური ხარხარი, მიწვნარდა ყველაფერი და გაისმა გულგანმგმირავი სიტყვები: „დაპირღ ირემს ცრემლები სღის, ნუკრი ცქრიალებს, რა ვუყოთ რომ ეს ქვეყანა ასე ტრაგედია...“

სცენა დედამთავრის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ამ დიდგმარში, დიდი ტაქტიით, ზომიერების გრანობით ანახიერებდა დედოფალ პეტრუელას როლს ელენე დონაური... მოქმედება მთავრდებოდა ოფელიას შემოღობობის სცენით... ამ შეუღებებელი იყო ვერკით. მის თამაშს არაფერი საერთო ჰქონდა მკუთრიან შემოღობობის პათოლოგიური მდგომარეობის გადმოცემასთან. სასიკვდილო ლხვარშია გთვგმირა გული ოფელიას. მამა მოუკლა იმან, ვინც ყველაზე უფრო უტყარდა ამ ქვეყანაზე. საბრალო გოგონას ნორჩმა გონებმა ვერ გაუძლო ამის შეგნებას—ესაა მისი შემოღობობის მიზეზი. ხალხურ სიმღერას წარმოთქვამს „ეაღვინების დღეზე“, თუ ყვავილებს ეაღვინება.—ოფელიას ერთი წუთითაც არ ავიწყდება თავისი უბედურება, ის თვითონაა ცხოვრების მსახერხელი ზელოთ ამოკლებილი და გასრული ყვავილი, უმწყო, შესაბრალისი და მხრვალე თანავრძნობის გამოაშფეველი... დარბაზში ვაისმა ქვითანი, ყველას გული აუჩუყდა... ვერკითს თამაშს თვალცრემლიანი შესაქროდა დიდი მსახიობი, მსკოვანი მაკო საფაროვა-ამაშიძისა, ერთ დროს ოფელიას როლის უბაღლო შემსრულებელი. მოქმედების დამთავრებისთანავე ეს გამებრა ვერკითს სამირფარეშო ოთახსაყენ, გადაკოცნა დაგზა დაულოცა მშვენიერი, ახალ ოფელიას ქართულ სცენაზე...

ახლა უკვე აღარაფრის გვეშინია, — ზეიმისა და გამარჯვების ვრძნობა დაუფლდა დარბაზსაც და სცენასაც.

აი, მეოთხე მოქმედებაც. იგი შეუტრეებელი რატობით მიეძინება სპექტაკლის დასასრულისკენ: სცენა სასაფლაოზე... ისმის ჩაიკოვსკის სამგლოვიარო მარშის გულშიამყვლადი მელოდია... პამლეტს მწარე ფიქრები ცხოვრობენ წარ-

მავლობაზე... ხოლო შემდეგ პამლეტის მგზნებარე პაექრობა...

უკანასკნელი სცენა სასახლეს დაჩაჩხვით. ირონიით აღსავსე რეალიზმი პამლეტის გარეგნულად ზრდილობიან, ფუქსავატსა და მლიქვნელ ოსტაიონ განაუბრებისას. მშვენიერი ოსტაიო იყო აღკოჩოლიანი: მსუბუქი, ზეარტლე, გამოფრთხილი, თან გაპარწყული და მაღალფარდოვანი.

... იწყება ორთაბრძოლა პამლეტსა და ლეორტს შორის... აი, პამლეტმა ხელიდან გააყვებინა დაშნა ლეორტს, პეტრე დივიტია იგი და სამავაიგოლ თვისი დაშნა შესთავაზა. მავურებელი სულგანბული ადევნებს თვალყურს მათ შერკინებას. ვამაფრდა ბრძოლა... დედოფალმა დასცალა შხამგარეული ღვინით სავსე თასი, იგი კვდება... კვდება ლეორტიც.—მოწამულაია ეს დაშნაცა, მაშ. საწამულაყო, ქმენ შენი საქმე!...“ როგორც ბუდისწერის აღმართული მახვილი, ისე ეკეთება პამლეტი კლავდიუსსა და კლავს მას.

პამლეტს ეწადა შებრძოლებოდა არა ერთეულ ბოროტმოქმედების აქტსა და მის ჩამოღენ კლავდიუსს, არამედ, საერთოდ, ირგვლივ გამეფებულ ბოროტებს. ეს იმიტომ, რომ ის, თავისი ბუნებით, მსჯავრდებელია შეგნული ვარემოსი, პამლეტი არ კლავს კლავდიუსს სადმე ჩემბად, მალედად, მხოლოდ იმისთვის, რომ გული იჭეროს. ის კლავს მას იმის შემდეგარე კლავსებით გამოაშყარადა არა მარტო კლავდიუსის, არამედ ყველა მისი თანაშემქმელის, მთელი სამეფო კარის ბოროტება. და თვით კლავდიუსიც—იმ დროის სავსე მთავარი განმასახიერებელი და სიმბოლო—მთელი მსოფლიოს წინაშე წარდგა არა მარტო როგორც მისი მკვლელი და მისი პატების შემოიღწეული, არამედ როგორც ლაჩობობა და სულმდაბლობის გამომსახველი, წამქეზებელი და უნებლიე მკვლელო ცოლისა და ლეორტისა.

ახლა უკვე კლავდიუსის მოკვლა არა პირადი შერისძიების აქტაა პამლეტისთვის, არამედ სამართლიანი და უცილობელი მსჯავრდება, რომელსაც უღრმესი საეციობრო-მორალური მნიშვნელობა აქვს.

სასიკვდილოდ გაწყირულია თვით პამლეტიც. მასაც ზომ გაუქარა სხეული დაშნის შხამიანმა წვეტმა მხნე და ერთგულ პორაციოსაც სურს თავი მოკლას, მას აღარ უნდა სიციობზე პამლეტის შემდეგ, მაგრამ პამლეტი ამის ნებას არ აძლევს. ის უანდრებებს პორაციოს.—გახდეს შუამავალი პამლეტისა და მომავალ თაობათა შორის, იუწყოს შთამომავლობას სწორი ამბავი მის შესახებ...

მართალია, პამლეტმა უკვე დათრგუნა კლავდიუსების სამყარო, ნიღაბი ახადა და ამხილა იგი. მაგრამ ის არ გაცლია ბრძოლის ველს, გმორულად დაიღუპა, როგორც პატოისანი მემარბა. პორაციოს მეშვეობით იუწყოს შთამომავ-

¹ უზანგი ჩხეიძე. „მოგონებები და წერტილები“. 1956, გვ. 155—156.

ლობას ბნელეთს სამეფოსთან თავისი თავგან-
წირული ბრძოლის ამბავი სწორედ იმიტომ,
რომ მომავალმა თაობებმა განახლებული ძალით
გააგრძელონ და გამარჯვებით დააგვირგვინონ
ეს ბრძოლა...

ბრწყინვალე, ოპტიმისტური ფინალა შეექმ-
ნა კოტე მარჯანიშვილმა თავის სექტაკლს პიე-
სა მთავრდებოდა არა ტრაგიკულა, არამედ სი-
ცოცხლის განმამტკიცებელი, ოპტიმისტური
განწყობილებით. თვით პამლეტის სიკვდილი გა-
დაიქცა მის აზოთუოზად. სულ მცირე პაუზა
პამლეტის უკანასკნელი სიტყვების შემდეგ. —
შეიცვალა განათება, გაისმა საყვირების სა-
ზეიმო ხმა და სცენაზე შემოიყვანეს ფარზე
მდგარი, შოელვარე აბჯარ-მუზარადასმული,
ტხადო სილამაზის ვეჯაკი ფორტინბრასი (მ.
ლორთქიფანიძე). — ცოცხალა სიმბოლო იმე-
ლისა და სიხარულის. ის მოუწოდებდა იქ
მყოფთ,—მიეკოთ პამლეტისათვის „მზედართ
პატივი“, დაეკრძალათ ავი, როგორც ბრძოლის
ველზე გამართლად დაღუპული მეომარი. სა-
ზეიმოდ განთებულ სცენაზე მკვეთრად იცე-
ლებოდა მიზანსცენები, სამგლოვიარო მუსიკა
საზეიმო ელურადობით გაისმოდა, გრგვეინავდა
სალუტო და მყურებელაც იმსვენალეზობდა

რწმენით, რომ პამლეტი კემპირიტად იყო ევ-
თილშობილი მებრძოლი მთელ კაცობრიობის
მადლი ქემანური იდეალუბისთვის.

სრულ შექმე, ფარზე დასვენებული, შალა
აწველი ვაჭონდათ პამლეტი სცენიდან და ხალ-
ხი თვალს ვერ ამორებდა მის დაშვილებულ სა-
ხეს...

დამთავრდა სექტაკლი... უსაზღვრო ზეიმი,
სიხარული, ოვაციები... ყველა კოცნის და
ულოცავს მსახიობებს. ჯერ კიდევ ვერ დამ-
შვიდებულან, შემოქმედებითი აღგზნებიდან ვერ
გამოსულან, თითქოს ბურანში არიან უშანგი,
ვერიკო, აკაო და სხვებო, მაგრამ კიდევ და
კიდევ ესალმებიან აღფრთოვანებულ საზოგა-
დოებს. აი, გამოიყვანეს კოტე!—ისედაც მკე-
ქარე ალოდისმენტები გაასკეცდა, თითქოს თე-
ატრის კედლებზეც მისცეს ბანი საერთო ზეიმ-
სა და აღტაცებას.

დიდხანს არ გასულა მოზეიმე ხალხა თეატ-
რიდან. ეს ნამდვილი, დიდი გამარჯვება იყო.
გაიმარჯვეს აქტიორებმა, გაიმარჯვა სექტაკლ-
მა! გაიმარჯვა, უბარველესად ყოვლისა, გენია-
ლურმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, გაი-
მარჯვა განახლებულმა ქართულმა თეატრმა!

პირის პირში

რუსთა სახალხო არტისტა

მასმების ღამრაფმედი თეატრის პიონერი

(კოტე ძარჯანიშვილის დაბადების 99 წლისთავის გამო)

ხანგრძლივ თეატრალურ ცხოვრებაში, შეხვედრების, ნაცნობობის, მეგობრული ურთიერთობის კალიდოსკოპში არის უამრავი მოვლენა, რომელიც მკვეთრად გამახსოვრდება და სამუდამოდ გრჩება გულში.

ასე დამამახსოვრდა 1933 წლის 17 აპრილი, როცა შეგვატყობინეს, — უცხრად გარდაიცვალა ა. ვ. ლუნაჩარსკის ბინიდან ავტოთი შინ მიმავალი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი... საღამოს, ლუნაჩარსკის მყუდრო სახლში გაჩაღდა თურმე კამათი თეატრზე, მის აღმასვლაზე, თუ ჩავარდნებზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დავა იყო ცხარე, გულის სისხლში ამოვლებული, რადგან დამწვიდებული, „პარლამენტალური“ დისპუტი ვერ ეტყებოდა კოტე მარჯანიშვილის მცხუნვარე ტემპერამენტს.

გარდასული თეატრალური ამბები თითქმის ყოველთვის იმოსება ან უწყინარი ღინღლით ან შხამიანი ობით. მარჯანიშვილზე მუდამ მსჯელობდნენ როგორც დიდ და მარად მოსუენარ მხატვარზე. სამხატვრო თეატრში ხანშოკლე მუშაობამ (1910 წლიდან 1913 წლამდე) უზომოდ გაამდიდრა მკაცრი და მომთხოველი ხელოვანი — კ. მარჯანიშვილი. მისი თეატრალური სახელი არა ერთხელ დაგვირგვინდა გამარჯვებით — „თავისუფალ თეატრში“, სადაც მან ახლებურად დადგა ოფენბახის „მშენიერი ელფე“, კიევის თეატრში, სადაც მან „ფუნტო ოვენუთი“, დიდებული ვ. ი. იურენევას თამაშით ლაურენსიას როლში გააოცა მაყურებელი; სადაც მან აღმოაჩინა ახალგაზრდა, აწ უკვე განსვენებული მხატ-

ვარი ისააკ რაბინოვიჩი. ამ სპექტაკლში მარჯანიშვილმა ახლებურად გაიანზრა ეს კლასიკური პიესა, შექმნა მისგან რევოლუციური პათოსის ნაწარმოები.

საქართველოში კ. მარჯანიშვილმა გადაიხადა და მოიგო კიდეც დიდი შემოქმედებითი ბრძოლები და დროებით მოსკოვს ჩამოსული შეუდგა იბსენის პიესის „მშენებელი სოლენისი“ დადგმას კორშის ყოფილ თეატრში, სადაც იმხანად მეც ვმუშაობდი.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს ჩვენ მოველოდით, მაგრამ გამოგვეცხადა მოულოდნელად. ისე მიმზიდველად და გულახდილად გვირა თავი იმათთანაც კი, ვისაც იგი არ იცნობდა, რომ გვეგონებოდათ, თითქოს მრავალი წელი გაგვეტარებინოს მასთან მეგობრობაში.

მაგონდება პირველი დღეები ჩვენი ნაცნობობისა. გამჭრიახი მახვილი გამოხედვა, ამავე დროს კეთილი გაღიმება; ტანმორჩილი, გაჭალარაგებული შავი თმა; კონტად შეკრეტილი პაწია შავი უღვაშები; სადა, ელვანტური კოსტუმი, მეტყველი მოძრაობა. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ბარიტონული ტემბრის რბილი ხავერდოვანი ხმა, ძლივს შესამჩნევი ქართული აქცენტით. ჩინებული ინტელიგენტური ლექსიკა.

მარჯანიშვილთან რეპეტიციის პირველსავე დღესვე ჩვენ გავგაოცა მთელი სპექტაკლის სიმფონიურმა პარტიკურამ. განათებასთან დაკავშირებული პირველი მუსიკალური აკორდიდან პიესის ფინალამდე

ყველა დეტალი ღრმად მოფიქრებული და დაწმენდილ-დახვეწილი ჰქონდა. „მშენებელ სოლნესის“ იმპრესიული იდეა — ინდივიდუალიზმის გამართლების და დამკვიდრების იდეა, მარჯანიშვილის აზროვნების შუქზე იქცა ადამიანობისადმი აღვლენილ რომანტიულ-რევოლუციურ ჰიმნად.

მახსოვს შინათეატრალურ დისპუტზე მწვავე და საინტერესო კამათი გაიმართა; დისპუტანტები იყვნენ — ა. ვ. ლუნაჩარსკი, ა. აფინოგენოვი, ლ. ავერბახი, კ. მარჯანიშვილი, ნ. რადინი (სოლნესის როლის შემსრულებელი). ვერ ვკისრულობ დეტალურად აღუადგინო მოკამათეთაგან გამოთქმული აზრები, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარი დარჩა „ინტელექტთა ეს შეჯახება“. გამოთქმის დახვეწილი ფორმა შერწყმული იყო ელვარე გონებამახვილობასთან და ღრმა შინაარსთან. ხშირად იმარჯუებდა მარჯანიშვილის ლოგიკა და მგზნებარე გული.

როცა მარჯანიშვილზე ვფიქრობ, როცა წარმოვიდგენ თუ რა პარმონიულად იყო მის არსებაში შეთავსებული ნიჭიერი მხატვარი, მოქალაქე, დიდი გულის ადამიანი, აღტაცებას ვეძლევი. გამოერეოდა დღეები, როცა იგი უქეიფოდ ან მოუხვეწარად იყო, მაგრამ სიმშვიდეს და დასვენებას მაინც არჩევდა შინ ემაცადინა მსახიობებთან. მსახიობები თავს მოიყრიდნენ ხოლმე სასტუმროში, მის საწოლთან. მიმდინარეობდა რთული სცენების რეპეტიციები, საბოლოოდ ირკვეოდა და მტკიცდებოდა მოქმედ პირთა შინაგანი ურთიერთობა. ყველაფერი ეს გამსჭვალული იყო სასახიობო შემოქმედების ფსიქოლოგიის და ბუნების ფაქიზი ცოდნით. კოტე იყო მკაცრი მომთხოვნი, ვერ ურიგდებოდა მცირეოდენ უზუსტობასაც კი. მოითხოვდა ყურადღების გამახვილებას ყოველ დეტალზე, ყოველი მათგანი მსახიობს უნდა შეესრულებია მაქსიმალური სიზუსტით, „სნაიპერულად“ უნდა მოერტყა მიზანში, ე. ი. ზუსტად გაეხსნა ყოველი ქვეყის და მოქმედების ქვატექსტი.

შემოქმედებითი და პროფესიული დისციპლინა — ყოველი საქმის წარმატებით დასრულების საფუძველიაო.

რეპეტიციის დაწყებამდე ათი წუთით

აღრე კოტე მარჯანიშვილი თავისი სარგეთ-სორო მაგიდასთან იდგა. გამოკითხავდა თანამშემწეს, ყველაფერი რიგზეა თუ არაო, და უმაღლეს შუადგებოდა პიესაზე მუშაობას. განათების რეპეტიციები ისევე, როგორც მუსიკალური, იწყებოდა პირველივე დღეებიდან (სპექტაკლის ყველა კომპონენტის დამოუხვევბას კოტე მარჯანიშვილი იმდენსავე ყურადღებას უთმობდა, რამდენადაც მსახიობებთან შეცადინეობას), სპექტაკლში განათება არ შეიძლება არსებობდეს სცენური რიტმის გარეშე. შუქი სპექტაკლში უნდა ხუნთქავდეს აქტიორებთან ერთად — სიტყვასიტყვით ასეთი იყო კოტე მარჯანიშვილის ფორმულა. ამიტომ გამანათებლებისაგან ისევე, როგორც მსახიობებისაგან, იგი მოითხოვდა საჭირო რიტმს.

მე მომიხდა თამაში იმ პიესებში, რომლებსაც კ. მარჯანიშვილი დგამდა კორმის ყოფილ თეატრში — ლ. სეიფულინას და უმთავრებელ „Попутчики“-ში და იმხენის „მშენებელ სოლნესში“, სადაც მე მოხუც ბროვიკის როლს ვთამაშობდი. რა დაწვრილებით ძერწავდა ამ სახეს მარჯანიშვილი! ჩემს მიერ ბროვიკის შინაგანი სულიერ სამყაროს. ათვისების შემდეგ, მარჯანიშვილს თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავდი სახის ურთულეს დრამატულ კოლოზიებაში. ჩინებულად ფლობდა რა თეატრის მთელ ტექნოლოგიურ სიმდიდრეს, მარჯანიშვილს შეეძლო ლოგიკურად შეეხამებია მსახიობის ინდივიდუალობასთან განათება, ფერი, რიტმი, მუსიკა, ზგერითი ეფექტები. მახსოვს რეპეტიცია, როცა კოტე მარჯანიშვილი ცდილობდა ჩემგან მიეღო მაქსიმალური გამომსახველობა ბროვიკის სიკვდილის სცენაში. ამ სცენის ფსიქოლოგიური განვითარება ასეთია. უცებ ბროვიკმა იგრძნო ტკივილი გულის არეში. შინაგანად დაძაბა ყურადღება. ადგა, გადადგა ნაბიჯი. პაუზა. კიდევ ნახევარი ნაბიჯი. ხელი მკერდთან მიიტანა. ტკივილმა სახე დაუღრიჯა. სურს გადადგას კიდევ ნაბიჯი. სახე დაუმშვიდდა. ფეხზე ვერ ჩერდება. ბროვიკი ბრახუნით ეცემა ძირს. კვდება. — აი, გარეგნულ გამომსახველობათა ზუსტი პარ-

ტიტურა, მაგრამ რა გულმოდგინებით სცდილობდა კ. მარჯანიშვილი მიმდევრია ჯერ შინაგანი სვლების, ხოლო შემდეგ ნაწრთობი ტექნიკური ხერხების მთელი ჯაჭვის სულქმნისთვის.

— გესმის შენ, რას ნიშნავს, ბრახუნით დაცემა? ამის რეპეტიცია შენ რამდენჯერმე სახლში უნდა გააკეთო! ისე უნდა დაეცე, რომ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგეს — ყვიროდა პარტერიდან კონსტანტინე ალექსანდრეს ძე. რამდენიმე დღის შემდეგ, მე უკვე ვახერხებდი ბრახუნით დაცემას, მაგრამ დაგვარგე ამ აქტის შინაგანი აზრი. „ასე არ კვდებიან“ — მომესმა დარბაზიდან; მარჯანიშვილმა შეაჩერა მოქმედება და პარტერში მი ჩვენა, როგორ უნდა ვკვდებოდე. ეს იყო სულის და სხეულის ლოგიკურად გამართლებულ, შერჩეულ, ძუნწ მოძრაობათა რიტმულად გამართული დემონსტრაცია... მხოლოდ ასლა ვხვდები და ვაფასებ აქტიორული ოსტატობის ტექნიკის ძალას, სტანისლავსკის თეატრში შობილს, ასლებურად გააზრებულს და დაწერგის მარჯანიშვილის მხატვრულ ნაშეუფერებში, ტექნიკის ძალას, რომელსაც ამჟამად ავითარებს კედროვი.

კოტე მარჯანიშვილი ვერ იტანდა შემთხვევითობას, თვითნებობას. აქტიორის შემოქმედება უნდა იბადებოდეს აქ, ამ წუთში, მაგრამ აქვე, ამ წუთში უნდა იმოსებოდეს ფორმით. ღრმა შინაარსით ავსებული ფორმის გარეშე არ არსებობდა მარჯანიშვილის

სცენური ხელოვნება. მე ახლაც ხშირად ვფიქრობ, რატომ გვანიჭებდა ესოდენ დიდ სიხარულს კოტე მარჯანიშვილთან მუშაობა! მისი რეპეტიციები ყოველი ჩვენთაგანისათვის იყო დღეობა, დღესასწაული. წყნასაც ღიმილით ვიტანდით, კოტე მარჯანიშვილს ჰქონდა დიდი მაღლი — შექმლო გულწრფელად შეეყვარებია ის, ვისაც მუშაობაში უახლოვდებოდა, არ იშურებდა მისთვის თავის მშურვალე გულს, თავის ნააზრევს და ჭეშმარიტად თავის მამობრივ მზრუნველობას. იქ, სადაც მარჯანიშვილი იყო, უხვ წყაროდ ჩქეფდა სილამაზის კანონებზე დამყარებული თემა სიცოცხლისა.

მარჯანიშვილი იყო პოეტი. გონივრული, პრინციპული, რევოლუციური თეატრის, დიდი საზოგადოებრივი სუნთქვის თეატრის, სახალხო მასების დამრავლებელი და აღმზრდელი თეატრის ერთი პიონერთაგანი.

კოტე არასოდეს არ პოზიორობდა, არ ცდილობდა თავი „სხვად“ მოეჩვენებინა; ყოველთვის იყო განრისხებული ბოლომდე, კეთილი ბოლომდე. არავითარი ნახევრობა! სინათლე, სიხარული, მგზნებარება ჩქეფდა მისი დიდი დაუშრეტელი გულის სიღრმეიდან.

ვიმედოვნებ, რომ თეატრისმცოდნეები შეისწავლიან და თაობებს გააცნობენ ცხოვრებას და მოღვაწეობას ამ შესანიშნავი ადამიანისას, რომლის დაბადების 90 წლისთავი მიმდინარე წლის 9 ივნისს შესრულდა.

დავით ნაკათელი

შესანიშნავი პართველი მხატვარი

დავით კავაბაძის შემოქმედებით მოღვაწეობა მოიცავს სამ პერიოდს: რევოლუციამდელს, ევროპაში ყოფნისა და საქართველოში დაბრუნების ანუ საბჭოთა პერიოდს.

დავით კავაბაძის შემოქმედების რევოლუციამდელი პერიოდი მოიცავს ახალგაზრდობაში შექმნილ მის ნამუშევრებს, კერძოდ, იმერეთის ეპოსს — პეიზაჟებსა და პორტრეტებს. ამ პერიოდში იგი გატაცებული იყო მემარცხენე ხელოვნებით, და პეტროვრადში, სტუდენტობის დროს, მონაწილეობდა მემარცხენე მხატვრების წრეში „ბუბნოვი ვალეტში“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ქმნიდა რეალისტურ მხატვრულ ნიმუშებს იმერეთის ციყლის სახით.

იმ დროს ფორმალურში თბილისშიაც ძლიერ იყო ფეხმოკიდებული.

როცა დ. კავაბაძის ამ პერიოდის პორტრეტულ მხატვრობას ვაკვირდებით, ცხადია ხდება, რომ მის ძველი პართველი და ევროპული კლასიკური მხატვრობა ათვისებული ქონდა თანამედროვეის, ქართველი ხელოვანის თვალით.

ევროპული კლასიკა მას აინტერესებდა, როგორც დიდი რეალისტური მხატვრობა და, ამიტომ მის შემოქმედებას მეთოდად იგი იყენებდა როგორც ინდივიდუალური თვალსაზრისის მქონე ქართველი ხელოვანი. საკუთარი თვალთა ნახა, იმერეთის წერილმწავთრულ, პატარა-პატარა ყანებით დაჯარული მთავორაკების ფარდავსებურ ფონზე დ. კავაბაძემ თავისი საყვარელი დედა გამოსახა.

დღის პორტრეტი, პეიზაჟთან ერთად, განზოგადებული ხასიათისა. აქ დედის სახესთან ორგანულად მოკმეულია მიწაც: პეიზაჟი აქ მარტო ფონი კი არ არის, უღიღესი მატერიალურობით წარმოსახულია, იგი დიდი ფილოსოფიური კანონზომიერებითაა შერწყმული ადამიანთან. ბუნებამ წარმოშვა ეს ადამიანი და ისევე ეს ბუნება მიიღობა მას.

ასევე საყვარელია დ. კავაბაძის ერთ-ერთი ავტობიოგრაფიკი. აქ მკრთალი, მომწვანო-მოყვითალო სახე, ლოყის ოდნავი დაქუცავი, მეტად თამამადაა დაკავშირებული ქართულად ზაქარე მტკვითელ ფარდასთან და ჩამავალი მზით გამუქებულ წითელ ღრუბულთან. მსგავ-

სა ამოცანის დაძლევა ცნობილია მხოლოდ ძველ კლასიკოსთა პორტრეტებში.

მეტად საინტერესოა მისი მეორე ავტობიოგრაფიკი იმერული ეზოს, კერძოდ, ბროწეულუბის ფონზე გამოსახული. მხატვარი აქაც იმავე კონტრასტს მიმართავს, მაგრამ ეზო, ხეები, მთა და ცა საშუალო მეტ ტონებში აქვს აღებული. ეს კონტრასტი, სტუდენტის შავ კოსტუმთან ერთად, ზუსტად ვანგაგარშებულ ტონალურ მთლიანობაშია მოცემული.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე მისი ძმის, ცნობილი ისტორიკოსის სარგის კავაბაძის პორტრეტი. მისი კომპოზიციური გაზატება იმდენად ძლიერია, რომ იჭრძნობა სარგისის პირადი ხასიათიც და მეცნიერის ინტელექტუალური პორტრეტის ფერწერული ტონალობის დამახასიათებელი ის არის, რომ ცენტრალური ლაქები — საყულო და მანუეტები სამკუთხედებაა განაწილებული, სახე კი ისეთი სიმშალო ტონით აქვს აღებული, რომ ზღეს უწყობს ღრმად ჩაფიქრებული მეცნიერის შინაგანი განწყობილების გადმოცემას. ასევე ლოგიკურად ვითარდება მთელ პორტრეტში სხვა ნაწილების ტონალური ურთიერთობა.

დავით კავაბაძეს თავისი ავტობიოგრაფიკები მიუთმენტურად აქვს წარმოადგენილი. ამ პორტრეტებით გრძნობთ, რომ ხელოვანმა ამ პერიოდში თავისი რეალისტური მხატვრული პრინციპები მტკიცედ დაადგინა. ეს მხატვრული პრინციპები დამყარებულია მის დიდ რეციონალურში, მისი შემოქმედებითი პრიციპული განსახლებულია დიდი ურძნობით და გონებით. უნდა შევნიშნოთ, რომ ხელოვნების ისტორიაში დიდი, მყარი და ეპოქალური ნაწარმოები არ შექმნილა დიდი გრძნობისა და გონების გარეშე. ასეთი იყო თავისა დროისთვის დავით კავაბაძე.

მეტად საყვარელია დ. კავაბაძის ვარემოება, რომ დ. კავაბაძის პორტრეტები მხოლოდ პირველ პერიოდში აქვს შექმნილი. როგორც ვიცით, პორტრეტული ხელოვნება ყველაზე რთულია. მხატვარი ბევრს ფიქრობდა ამ დიდ პასუხისმგებლობაზე, ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა ასახულიყო ახალი ადამიანი. იგი არ ეკუთვნოდა იმ შემოქმედთა კატეგორიას, რომლებსაც შეუძლიათ გამოეხმებურონ ყოველ-

დღიურ მოთხოვნილებას, მაგრამ არ ძალუძთ ნაწარმოებებს მისცენ ეპოქის ღიაპროზა. დ. კაკაბაძეს სწორედ ამ სირთულის შეგნება ახერხებდა, და ერთგვარ სიძუნწეს იჩენდა პორტრეტების წერაში.

მის ხელოვნებაში პორტრეტს მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ მისი ძირითადი, წამყვანი ტანარი პეიზაჟია.

დავით კაკაბაძემ პირველმა ასახა იმდროინდელი იმერეთის პეიზაჟის ფარდავისებური ხასიათი, მაგრამ მის ვერც ერთ პეიზაჟში ვერ ხილავთ იმერეთის რომელიმე კონკრეტულ ხეივანს, ყოველი პეიზაჟი კომპოზიციური ხასიათისა და თვითელში მთელი იმერეთის სპეციალური მოცემული. ეს არის მხატვრის მიერ საყვარელი მშობლიური მხარის სანთეზური წარმოდგენა.

ლენინარდო და ვინჩი აღიარებდა, რელიეფი სულა მხატვრობისათ. რა მისაწყენი და ერთგვაროვანია უმჯობესებება, ამბობდა ის თავის შესანიშნავ ტრაქტატში, — წარმოადგინეთ ღრუბლიანი დღე, რა უფერული და უსიცოცხლოა იგი. მაგრამ ამ დღეებ ღრუბელი ვიხსნა და მზის სხივმა გამოანათა, როგორ ვაცოცხლებდა ყველაფერი, ბუნება მრავალფეროვანი ხდება და რელიეფი გამოვლენდება. ამრიგად, ლენინარდო ბუნებაში არსებული შექმნილობისა და სავნის რელიეფის გამოსახულებაზე დასყვარა მხატვრობის კანონები. დავით კაკაბაძემ კარგად იცის ეს კანონები, მაგრამ შემოქმედებითი სათამაშოთ უარყო ბუნებაში არსებული შექმნილობის კანონით რელიეფის გამოსახვა. დ. კაკაბაძემ თავის წიგნში ლენინარდო და ვინჩის ფორმულა უპიჯრატად წარმოდგინა ამ თემის განყოფილებას და საკუთარი მხატვრობით, ორიგინალური მხატვრული ხერხებით დადასტურა რომ, „რელიეფი სულია მხატვრობისა“.

ამ ხერხების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ბუნებაში არსებული სივსებების ლოკალური ფერი, რითაც იგი დიდი რეალისტური კლასიციზმის შემოქმედებებს სამაღლეს აღწევს.

ასეთივე მხატვრული ხერხებით არის შესრულებული მარნას ჭურჭლისა და იარაღების შესანიშნავი ქართული ნატურმორტი.

ასეთია მოკლედ დ. კაკაბაძის პირველი პერსონაჟი შემოქმედება, რომელიც მტკაცად შედის ქართული რეალისტური მხატვრობის ისტორიაში.

დ. კაკაბაძის შემოქმედების მეორე პერიოდში—ევროპაში ყოფნის, პარიზში მოღვაწეობის პერიოდია. პარიზი ამ დროის ხელოვნების მსოფლიო ცენტრად და წარმართვლად ითვლებოდა. აქ ხელოვნების მრავალი მიმდინარეობა არსებობდა და ებრძოდა ერთმანეთს. მთავარ მიმდინარეობას მაინც კუბიზმი წარმოადგენდა. დ. კაკაბაძე ფრიალ განათლებული და

ხელოვნების მრავალი მიმდინარეობის მოკლედ იყო. შესწავლილი ჰქონდა ბუნებისმეტყველება, პირატქნიკა, ოპტიკა, იყო რელიეფების კონსტრუქციული გამოვლენებელი, აგრეთვე მხატვროვნებაში თამაშად შესცურა ამ ახალი ხელოვნების ოცნებები და ერთ-ერთი წამყვანი შემოქმედელი გახდა.

პარიზში ყოფნისას დ. კაკაბაძე შეიმჩრო კუბიზმს და მის თეორიას, რომელიც აღიარებდა, პლასტიკის განვითარებისათვის, ხელოვნებაში მისი გამაჩრვებისათვის, უარყოფილი უნდა იქნას საკანი, ცხოვრებისეული შინაარსი და იდეები, ამ აზრის დასაბუთება იყო ხელოვნების დანიშნულების შესახებ დ. კაკაბაძის მიერ 1924 წელს პარიზში გამოცემული წიგნი, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ მანქანების ხანაში აღარ არის საჭირო აღზრდულობითი ხასიათის სურათები, რადგან ამ რაოდენობა ასრულებს ბუნებრივ სიტყვა—წიგნი, ვახუთი, აგრეთვე რადიო და კინოლა აქვანდ გამოვლენარე, მხატვარი კუბიზმს პირველი ეტაპიდან მივიდა უსაზრო მხატვრობამდე, რაც მის შემოქმედებაში, ამ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ბრწყინვალედ იყო გამოსახული.

დ. კაკაბაძის ეს შეხედულებები ხელოვნების განვითარებასა და დანიშნულებაზე, რასაც ვიკრეველია, არ იყო სწორი. იგი მეტად მეჭანისტურ ხასიათის ატარებდა. მაგრამ კუბიზმით ვარტყების წლებში მისი მოღვაწეობა ემყარება რაციონალიზმს და მისი შემოქმედების პირველი პერიოდი რაციონალიზმით არის აღბეჭდილი. კუბიზმის თვალსაზრისით, მისი ეს შემოქმედება ლოგიკური იყო.

მიუხედავად ამისა, დ. კაკაბაძეს რეალისტური გზისათვის არ უღალატია. ამის დამადასტურებელია პარიზში ქართულ თემზე შექმნილი მისი ნაწარმოებები: „მეწურბლე“, პარიზის მრავალი პეიზაჟი და პარიზის მკვიდრთა ხასიათები. რეალისტური სახლით აღბეჭდილი ეს სურათები შინაარსობრივად გასაგებია, თუმცა აქ კუბიზმის რეალიზმზე დამყნობის ცდა შეინიშნება.

ასევე საინტერესოა მისი ბრეტანის პეიზაჟები, სადაც მოცემულია ბრეტანის ზღვისპირის ბუნების ხასიათი. ბრეტანის პეიზაჟების მხატვრული ხერხები ძირითადად განსხვავდება პარიზის ზემოთდასახელებული პეიზაჟების მხატვრული ხერხებისაგან.

საყურადღებოა, რომ დ. კაკაბაძეს თავის შემოქმედების პირველ პერიოდშივე აქვს შექმნილი ფინეთის პატარა ეტიუდები—ზამთრის პეიზაჟები. ამ ეტიუდებში მეტად დამახასიათებელია ასახული ფინეთის ბუნება, რომლის წარმოსახვით მხატვრული ხერხები სრულიად განსხვავდება სხვა პეიზაჟების წარმოსახვისაგან, რაც მის მიჩვენებელია რომ დ. კაკაბაძეს ძიების დიდი ტანარი ჰქონდა. ყოველ ახალ მოკლენას,

ახალ ობიექტს იგი ახალი თვალთ ზედვდა და მათ დამახასიათებელი თავისებურებას ამჩნევდა. ეს თვისება კი იწვიათი მოვლენა შემოქმედთა შორის. იგი, როგორც ვიცით, მხოლოდ რუს დიდ მხატვარს—ერუხელს გააჩნდა.

დ. კაკაბაძის შემოქმედებაში ყველაზე უფრო რთული და საყურადღებო პერიოდია გერმანიის დამბრუნების შემდეგი საბჭოური პერიოდი.

პარიზში იგი პირველად როდი ეზიარა ევროპულ ახალ ხელოვნებას. როგორც უკვე ითქვა, იმ წლებში, როცა დ. კაკაბაძე პეტერბურგში სწავლობდა, რუსეთში ფეხს იკიდებდა მემარცხენე ხელოვნება, და ერთხანს დავითი ამემარცხენე მხატვართა წარმომადგენელი. მკვირვნი მის არ გაჭირვებია პარიზში კუბიზმის სადღმველანო ათვისება. ბურჟუაზიული წყობილების პირობებში წარმომადგენელი ხელოვნება განსაზღვრავდა დავით კაკაბაძის იმდროინდელ შემოქმედებას.

სულ სხვა, აბსოლუტურად საწინააღმდეგო მდგომარეობა დატვდა კაკაბაძეს, როცა საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა.

ნუ დაგვაიწყებება, რომ როდესაც რუსეთში (ჩვენში კი უფრო გვიან) ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, დავით კაკაბაძისათვის ისე, როგორც სხვა საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს თანამემამულეთათვის, ეს დიდი პოლიტიკურ-სოციალური ბრძოლა ერთხანს გაუვებარი დარჩა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დ. კაკაბაძე უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელსუფლება უკვე გამტკიცებული იყო, თავაშობულები იცადა კუბიზმის პოზიციებს. ამას იპიტომაც აკეთებდა, რომ იმ დროს ჟერ კიდევ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი „ახალი ხელოვნებისათვის, მემარცხენეობისათვის“. იმ დროის ქართულ სახეობის ხელოვნებაში, მართლაც, იგრძნობოდა მხატვრული აზროვნების მოდერნიზმი. დ. კაკაბაძის მოხსენებებმა მხატვრულ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი და აფორიაქება გამოიწვია, ისე, როგორც ერთ დროს ეს მოხდა მწერლობაში. ამ ხანებში დავით კაკაბაძე ცენტრალური ფიგურა შეიქნა. ქართველი დღურბრისტები მისი კუბიზმის მომხრენი იყვნენ, „ცისფერი ყანწილები“ კი უფრო იმერეთის პეიზაჟების ციკლს უჭერდნენ მხარს. საყურადღებოა, რომ კაკაბაძის პოზიციებს ნაწილობრივ ზოგი ოფიციალური პირიც იცადა. მაგალითად, ვანათლების კომისარის მოადგილემ მარიამ ორახელაშვილმა სამხატვრო აკადემიაში ერთი თარიის გამოსვლის დროს შესაძლებლად აღიარა კუბიზმის გამოყენება თეატრსა და პლაკატის დარგში.

ევროპიდან დაბრუნებულმა დ. კაკაბაძემ პირველ ხანებში თავისი მოღვაწეობა უმთავრესად თეატრალური ხასიათი წარმართა და ბრწყინ-

ვალე წარმადებას მიაღწია კიდევ ამ დარგში. თეატრალურ დადგენებში მის დიდი ზომიერებით პქონდა გამოყენებული კონსტრუქტივისტული მეთოდი. დიდი რეჟისორის კარტ მანკინიშვილის ხელმძღვანელობით, დ. კაკაბაძემ მალე დონეზე აიყვანა ქართული თეატრალური დეკორაციული ხელოვნება.

როგორც ზემოთ ითქვა, დავით კაკაბაძისათვის საბჭოთა წყობა, მისი იდეოლოგიის ახალი იყო. ამ ახალი მოვლენის ასახვა იმერეთის ციკლის ავტორისათვის რთული საქმე იყო. ეს კაკაბაძემ, როგორც მოაზრებენ შემოქმედმა, ძალიან კარგად იცოდა. ამიტომ ის ფრთხილად და თანმიმდევრულად იბრძოდა ახლის ათვისებისა და გამოსახვისათვის.

30-იან წლებში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. სოფლად ახალი ხანა დაიწყო. მხატვარი ამ დიდი მოვლენის მოწმე გახდა და ისიც ეზიარა ახალ იდეოლოგიას პრაქტიკულად.

ამავე ხანებში ხდებოდა საბჭოთა ხელოვნებაში არსებული მდგომარეობის დიდი ვალდაუსება. 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ დიდი ბიჭი მისცა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს ახალი გეზით წარმართათ თავისი შემოქმედება. დაიწყო ბრძოლა ახალი რეალისტრიკ მეთოდის, სოციალისტური რეალიზმის, ათვისებისათვის. დავით კაკაბაძემაც მონაწილეობა მიიღო მხატვართა შემოქმედებით გადახალისებაში. 1934 წელი — ახალი ნაბოჯი დავით კაკაბაძის პეიზაჟურ ფერწერაში. ამ დროს ეკუთვნის მისი ახალი იმერეთის პეიზაჟები, რაც შემდეგში კიდევ უფრო განვითარდა, თუ მის ადრინდელ პეიზაჟებს იმ დროის გერმანიკა, წერბილი მესაყურთობის ხასიათი მძაფრად ემჩნეოდა, მესაყურთობა ნახევრათესებები მცირე ზომების ობიექტებში გამოისახებოდა, ახლა იმერეთის პეიზაჟებში ეს ობიექტებები დიდად ფართოვდებოდა და მერტი ნათელი ფერებით იმპევილება. ასეთია მხატვრის ახალი ცდები. თუმცა აქაც მხატვრული ფორმა პირველი პერიოდის იმერეთის პეიზაჟის ხასიათს ატარებს.

მეტად საყურადღებოა, რომ დ. კაკაბაძემ, ევროპიდან დაბრუნებისთანავე, 1927 წელს ე. ი. საქართველოში ინდუსტრიული ობიექტების აგებამდე, შექმნა ნაწარმოები „ინდუსტრია“, სადაც სოციალისტური მრეწველობის ჩასახვა და განვითარება ნაწვევებია ალგორითულად: რალაც ზიდისებური სამკეთხედი ნაგებობანი თითქმის მიზიყებენ და გვაუწყებენ, რომ მხატვრის შრომობიური ქვეყანა სულ მალე ინდუსტრიული გახდება.

1933 წელს — კი, როდესაც ჩვენში უკვე აშენდა რამდენიმე ინდუსტრიული საწარმო, დ. კაკაბაძემ, როგორც იმერეთის მომღერალმა, პირველმა ასახა რიონებისა და სურათი აღბეჭ-

დილა ავტორის ჩვეული გამომგონებლობით და კავაბაძისებულ მხატვრული ხერხებით, კომპოზიციური ხასიათის ამ ნაწარმოებში მოცემულია ინდუსტრიული მოვლენის განვითარება. შემდეგ წლებში ამ თემის კიდევ უფრო მეტი განვითარებით და სიყვარულით იმეორებს.

1942 წელს დ. კავაბაძემ წარმოადგინა ახალი იმერეთის პეიზაჟი სახელწოდებით „მიტინგი იმერეთში“. პეიზაჟის წინა პლანზე ასახულია დიდი ნახანაფ-ნათესიანი მთა, რომლის ძირში ვაყვზე გამოსახულია ხალხმრავალი მიტინგი. თუმცა ნათესების ფართობები მეტად ვრცელ და ვაშლია, პეიზაჟის ძირითადი მხატვრული საბუთი მაინც ისევ პირველი პერიოდის იმერული პეიზაჟის სახეს ატარებს. მიტინგი კი დავით კავაბაძის შემოქმედებაში, როგორც თემა ახალი იყო, ამიტომ მან ვერ შესძლო მხატვრული კანონზომიერებით გამოეხატა პეიზაჟი და შერჩევითი პეიზაჟის მთლიანობაში, ეს ნაწარმოები მანაც მხატვრის შემოქმედებით წინსვლას მოასწავებდა, რადგან იგი წარმოადგენდა საკმაოდ ნაყოფიერ ცდას აეთვისებია და მხატვრულად აღუბუქდა ახალი ეპოქის დიდი მოვლენები.

ამევე 1942 წელს დ. კავაბაძემ შექმნა მეტად სანტიტრესო ნაწარმოებზე „ომის დრო სპარტელოში“. იგი გამოირჩევა იდეის მეტად ლაინიური გამოსახვით და კომპოზიციის დახვეწილობით, სურათი ფაქტურად ორ პლანშია გადამყვანი: წინა პლანზე ძლიერ მცირე ზომის მიწის ნაკვეთია ნაბეჭები, სურათის დანარჩენ ნაბეჭებზე მოწმენდილი ცა არის გამოსახული, ცაზე კი გამსჭვალნი უფშარია. თავდაცვითი ბრძოლის ეს მომენტი ასახულია დიდი მხატვრული ოსტატობით. განსაკუთრებით საყურადღებოა ცა, მისი სივრცე. ეს სურათი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მანამდე დ. კავაბაძის პეიზაჟებში ცა თითქმის არ ჩანდა. ამ ნაწარმოებში დ. კავაბაძემ რეალიზმის ამოცანა ახლებურად და მეტად თავისებურად გადაწყვიტა.

მანამდე შემოქმედებით წინააღმდეგობათა დაძლევის ერთ-ერთი ცდაა 1944 წელს შექმნილი იმერეთის პეიზაჟი „წითელი მთა“. ამ ავტორი შეეცადა გახედულად დაერღვია პირველი პერიოდის იმერეთის პეიზაჟის მხატვრული კონცეფცია გვიანდელი რა ამ ნაწარმოებში იმერეთის განვითარებული საკოლმურნეო ფართობები, პირველად თავის შემოქმედებაში უცვლად თანამაღ ღრუბლიანი ცა და უხედა დაფრქვეა მისი სივრცე საყვარელ იმერეთის მიწაზე. ეს ის დრო იყო, როდესაც შეტევებზე გადასული საბჭოთა არმია მტერის საბოლოოდ სახლურებს ბოლო მიერეკებოდა.

უნდა შევინშნოთ, რომ იმერეთის ნიადაგები, ძირითადად წითელი თიხნარისაგან შედგება, ამდენად ამ ნაწარმოების სახელწოდება „წითელი მიწა“ გამართლებულია და საყვარელი გამო-

ხატავს ეთნოსისადმი მხატვრის დამოკიდებულებას.

თუ პირველ პერიოდში მხატვრის შემოქმედებითი ობიექტი მხოლოდ იმერეთის ითვისებულ გლეხობა, ახლა მისი მხატვრობის წყაროდ საქართველოს თითქმის ყველა მხარე შეიქმნა. საღებავების უფთოთა და ფანქარით დ. კავაბაძე ბევრს მოგზაურობდა, არ ღარჩენია ჩვენში თითქმის არც ერთი ეთნოტი, რომელიც თავის ფეხით არ მოივლეს; ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე გაუთევია მთა-გორაკებში მარტოდ მარტოს, საწიშ ადგილებშიაქ კი.

დ. კავაბაძის ამ პერიოდის პეიზაჟები გავრცობილია მხატვრული მხარის, პლასტიკურობის და პოეტურ განცდებში გადაყვარით. მის პეიზაჟებზე ზედამოჭრილია პოეტ პაოლი იანვილის ლექსის „იმერეთის“ ერთი სტრიქონი სტრიქონი, სადაც იმერეთის მხარეში მხატვრული მიმართულება პოეტის მთავრებით წარმოთქვამს: „გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებად“.

დავით კავაბაძის შემოქმედებითი მოგზაურობის ნაყოფი იყო — სევანეთის პეიზაჟები (1939-1942 წ.წ.), გორისა და ძველი თბილისის ეტიუდები (1944-1945 წ.წ.), თბილისის ვარჯიშის — კოჭრისა და ქიქეთის ეტიუდები (1944-1949 წ.წ.). ამ ნაწარმოებებში იშვიათი სიღამამით და მხატვრული ოსტატობით არის მომართუებული ავჯარული გეგმა, ტემპერა და ფანქარი. მათი დამახასიათებელი თვისება ისიც არის, რომ მართალია, ძირითადად სიბრტყის ხახიათი აქვთ, მაგრამ მაინც დაუტოვია ბუნებაში არსებული სივრცის გრძობა. მაგალითად, სევანეთის პეიზაჟებში სივრცე ბევრად ნაკლებად იგრძობა, ვიდრე თბილისისა და მისი მიდამოების სურათებში; მხატვარმა კარგად იცის, რომ სევანეთი უაღრესად მალაღობიანი ადგილია, რომ წინა პლანსა და შორეულს შორის ჰერი ვიშვითებულა. ეს ნაწარმოებები, როგორც მოხდენილად შეინშნა მხატვარმა კ. ზღანდინი ერთ პატარა რეცეპტშია, ფანქარის შემების მოხატულობის წიაგავენ.

დ. კავაბაძემ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დიდ გზაზე ახსლია რა მისთვის მეტად რთულ გარემოში შექმნილი ანტირეალისტური მსოფლშეგარანება, ეთნისტური შეგნება და მისი პრაქტიკა, ევროპიდან დაბრუნებისთანავე ბრძოლა გაიწვია ახალი ეპოქის რეალიზმისათვის. ამ შემოქმედებითი ბრძოლის შედეგება მისი უკანასკნელი რეალისტური ნაწარმოებები. ამ ვერ იხილავთ მის ადრინდელ რეალისტურ ნამუშევრებში არსებულ ზოგადი პირობათობას (ამის კარგი გაგებით) და ერთგვარ დეკორატიულობას.

უკანასკნელ წლების ნაწარმოებებში თქვენ ამჩნევთ ახალი რეალისტური ზედალი თანა-

მედროეობის ხედვას, მაგრამ ისევ თავისებურებით აღსავსეს და ნაციონალურ ასპექტში მოცემული.

დ. კაკაბაძის პირველი პერიოდის პეიზაჟური ფერწერა მხოლოდ იმერეთის პეიზაჟების ციკლით იყო შემოფარგლული. საბჭოურ ხანაში, როდესაც მისი მხატვრული ასახვის ობიექტად საქართველოს თითქმის ყველა ელთხე შეიქმნა, მხატვრის შემოქმედებაში წარმოისახა ინდუსტრია და ახალი პეიზაჟები.

ამ მხატვრული მიღწევების ნიმუშებია: 1949 წელს შერელებული „ყაზბეგი“, სადაც სრულიად ახალ კოლორიტით მოყვანილია ანდუზიტის დამუშავება და მთის ბუნების ხასიათი; „მანდის დამუშავება სენაეთში“, — ნაჩვენებია ელ აზიოტური ციკაბრ კლდე, სადაც ოქროს მანდის ამოღება წარმოგება. ამ ნაწარმოების კომპოზიცია გადაწყვეტილია ისევ იმერეთის მთა-გორაკების ადრინდელი ასახვის პლანში; ეს ნაჩვენებია ძლიერ ძუნწად, სამაგიეროდ ოქროს საბადოება წარმოდგენილია გონუმენტურად. ეს ნაწარმოები ბუნების კოლორიტთან შეტად მიახლოებით არის შესრულებული. კლდის ძირში გაშლილია სოფელი თანამედროვე ნაგებობებით, სოფელი — კი ხალხის დიდი შეკრებაა. უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ეს მის 1942 წლის ნაწარმოებში „მითრეგი იმერეთში“, ფოთი პეიზაჟი პირველი პერიოდის იმერეთის პეიზაჟის ხასიათის განმეორებაა, ხოლო მიტინგის მხატვრული სახე წინააღმდეგობაშია პეიზაჟის მხატვრულ სახესთან, ნაწარმოებში „მანდის დამუშავება სენაეთში“ პეიზაჟის, სოფლისა და ხალხის მხატვრული სახეები, თანაბარი რეალისტური ხასიათით, ერთ მთლიანობაშია მოყვანილი.

დ. კაკაბაძის შემოქმედების მრავალგვარობის მიჩვენებულია 1949 წელს შესრულებული „ფოთის ელვატორი“ და 1951 წელს შექმნილი „მარგანეთს ვადატორთა“. ეს ორი ნაწარმოები, გარდა იმისა, რომ კომპოზიციურად და ფერწერულად მაღალ დონეზე დგას, უტრადლებს იქვეყნს უმთავრესად იმით, რომ ზღვის თემად აღებული თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრეტანის ეტიუდებს, რომლებიც სულ სხვაგვარი ხასიათისაა არიან, ამ ნაწარმოებებში ისეთი საფუძვლიანი ვაგებაა ზღვის თემისა, რომ ერთი შეხედვით, დ. კაკაბაძე მხოლოდ ზღვის მხატვარი გვეგონება.

1951 წელს გეოთხის სურათები „გუმბრინის დამუშავება“, „სადნობი ღუმელი“ და „რუსთავის პირველი ფოლადის გამოღობა“, რომლებშიც ახალი მხატვრული ხერხებით არის შესრულებული. ამ თემების ასახვა კლდე ერთხელ ცხადყოფს თანამედროეობასთან დავით კაკაბაძის უფრო ახლოს მისვლას.

ყურადღებას იქცევს პირველი ორი ნაწარმო-

ების კომპოზიციური მხარე. „გუმბრინის დამუშავება“ — ში წარმოდგენილია სამადრო ნიადანების ტერასები, შრომის პროცესები ველებულია წინადა რიტმობაზე. „სადნობი ღუმელი“ შესრულებულია ავტორისათვის უჩვეულო ხერხით. სახელდობრ, ღუმელი ნაჩვენებია პრილში, და ეს თამაში აუბრავია საშეალებას აძლევს მხატვარს თვალსაჩინოდ გახადოს ადამიანთა შრომა და ღნობის პროცესი. ეს შრომის პროცესი კი ისევე, როგორც „გუმბრინის დამუშავებაში“, სრულ რიტმზეა დამყარებული.

საყურადღებოა აგრეთვე მისი კაბიტაღური ნაწარმოები — „რუსთავის პირველი ფოლადის გამოღობა“. ამ სურათში თვით ფოლადის ელვატორმა, რაც ხშირად სხვა მრავალი მხატვრის ნაწარმოებში ცენტრალურ მომენტადაა ქცეული, შენელებულია. სამაგიეროდ ქარხნის ეს სართული ხალხითაა სავსე, მხატვარმა ხალხი მოათავსა ცენტრში და გამოხატა მისი სახეობა გაწყობილება. ამ ნაწარმოებებში ისე, როგორც „სადნობ ღუმელში“, დ. კაკაბაძემ გვიჩვენა არა მარტო კომპოზიციური ოსტატობა, არამედ სამრწველო არქიტექტურის კარგი ცოდნაც. ცნობილია, რომ რეალისტური ნაწარმოებს შესაქმნელად არაა საქმარისი მხოლოდ გრძნობაზე დამყარებული პოეტური ფანტაზია. როდესაც კლასიკოსები რელიგიურ ან საერო თემაზე ავებულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ, კომპოზიციამი არსებულ არქიტექტურულ ნაგებობებს ხშირად ისეთ მკაფიო გამოსახულებას აძლევდნენ, რომ ისინი ნამდვილ არქიტექტურულ პროექტებს ემსავსებოდნენ, მაგრამ პლასტიკურობა კლასიკოსებს მაღალ დონეზე შეონდათ აყვანილი. ასევე იქცევა დ. კაკაბაძე იმ ნაწარმოებებში, სადაც არქიტექტურული ნაგებობანია გამოსახული.

დ. კაკაბაძის შემოქმედება მთლიანად იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა შეისწავლო და გამოიყენო კლასიკური მემკვიდრეობა ისე, რომ თანამედროვე მხატვრულ ნამუშევრებში არ იგრძნობოდეს წარსული საუკუნეების კლასიკოსთა შემოქმედების ხასიათის ვაგებობა. მთავარი ვაგიო მაღალი ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდი, რომელსაც ყოველ ახალ ხანაში მუდამ მაღალ დონეზე აყავს რეალისტური ხელოვნება. ეს კარგად ეხმობა დავით კაკაბაძეს და ამიტომაც არის მისი შემოქმედება თანამედროვე, ინდივიდუალური და მაღალი ეროვნული ხელოვნება.

ასეთია მოკლე დავით კაკაბაძის მხატვრობა. როგორც აღვნიშნეთ, მისი შემოქმედების დავირებელი და ღრმა შესწავლა ვაირკვევს იმ დღიად საყურადღებო მოყუნას, თუ რა კანონზომიერად ვითარდებოდა ახალი საუკუნის ქართული რეალისტური მხატვრობა.

გუგუნი ასათიანი

სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახეები

უკანასკნელ დროს ქართულ პოეზიაში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ მხატვრული ოსტატობის საკითხებზე. ამის გამო ბუნებრივად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ჯერჯერობით უფრო შემოქმედებითი დაპირების ხასიათს ატარებენ, ვიდრე დასრულებული პოეტური სისტემისას.

ცხადია, ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას იმ გადაუდებელ პრობლემებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს, რომლებიც ქართული მწერლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან, მის ხვალისდელ დღესთან არის დაკავშირებული. მაგრამ, შეიძლება ითქვას რომ ამ თვალსაზრისით დღეს განსაკუთრებით საჭიროა აგრეთვე იმ მდიდარი გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინებაც, რომელიც დაგროვილია ქართული პოეტური სიტყვის თანამედროვე გამოჩენილ ოსტატთა შემოქმედებაში.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ჩვენი პოეზიის უფროსი თაობის წარმომადგენელთა რამდენიმე უაღრესად საყურადღებო კრებული, ახალი პოეტური ციკლები და ცალკეული ლექსები. მათში ნათლად იგრძნობა ქართული საბჭოთა პოეზიის ტრადიციათა სიმდიდრე და მისი შინაგანი შესაძლებლობების დიდი მარაგი.

არსებობს წიგნები, რომლებიც თავისებურ პოეტურ შეგავმებს წარმოადგენენ მწერლის ბიოგრაფიაში. აქ ყოველი ნაწარმოები, როგორც მკითხველისათვის დიდხნის ნაცნობი, ისე შედარებით გვიანდელიც, თითქოს ახალ მნიშვნელობას იძენს და ახალი კუთხიდან

ხსნის პოეტის ნიჭისა და ოსტატობის თავისებურებას.

სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელი კრებული ყურადღებას იპყრობს არა მარტო ახალი ლექსებით, მასში საგულისხმოა ძველის ახლებური შერჩევაც და საერთოდ მასალის ორიგინალური განლაგება.

როდესაც ამ უაღრესად ვრცელ და მრავალფეროვან პოეტურ სამყაროში შედიხართ, თანდათან რწმუნდებით, რომ აქ ჩვენ წინ არის არა მხოლოდ პოეტის სულიერი ბიოგრაფიის ცალკეულ საფეხურთა ანარეკლი, არამედ შინაგანი მხატვრული კანონზომიერების შემცველი თავისებური სისტემა.

სიმონ ჩიქოვანის ახალ კრებულს წინ უძღვის 1925-35 წლებით დათარიღებული ლექსი „გასაუბრება ნიკოლოზ ბარათაშვილთან“. ეს არის ჭაბუკური გატაცებით ნათქვამი აღსარება თუ ფიცი პოეტისა, რომელიც მის მიერვე ამორჩეული გზის დასაწყისში საკუთარ ლიტერატურულ თვისტომობას აღგვის.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი დღეს, როდესაც მისი დაწერის შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, განსაკუთრებით ორგანულად ძღერს პოეტის შემოქმედებაში.

როგორც ცნობილია, სიმონ ჩიქოვანის პოეზია ქართული მოდერნიზმის წიაღში აღმოცენდა.

ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართველმა პოეტებმა, რომლებმაც ქართული ლექსის რეფორმაცია დაიწყეს, განსაკუთრებით მძაფრი იერიში მიიტანეს კლასიკური პოეტიკის რაციონალისტური საწყისების მიმართ.

ეს იყო ლირიკის უშუალო ემოციუ-

რი შინაარსის გამდიდრებისა და განახლების თავისთავად სრულად კანონზომიერი სურვილით გამოწვეული მოძრაობა.

ამ პოეტებმა მოახდინეს ქართული პოეზიის თავისებური „განწმენდა“ მკვლარი ეთიკურ-ლოგიკური სქემებისა და საზოგადოდ გონებისმიერი სიმშრალისაგან, რაც განსაკუთრებით ხელშესახებდა კლასიკური პოეზიის ეპიგონთა შემოქმედებაში გამომქლავნდა. მაგრამ რაციონალისტური საწყისის უარყოფა ახალი დროის ქართულ პოეზიაში უკიდურესობამდე მივიდა.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქართული პოეზია გათავისუფლებული აღმოჩნდა ეპიგონური სქემატიზმისაგან, მაგრამ მან ნაწილობრივ დაპყროვა ის მძაფრი ინტელექტუალური ძიების პათოსი, რომელმაც თავის დროზე სული შთაბერა ბარათაშვილის „მერანის“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ უკვდავ სახეებს.

გასაგებია ამის გამო, რომ ქართული საბჭოთა პოეზიის წარმომადგენელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ჩვენი ეროვნული მწერლობის ამ დიდ ტრადიციათა აღდგენა და შემდგომი განვითარება წარმოადგენდა.

სიმონ ჩიქოვანის მიერ უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე დაწერილ ლექსებში პოეტური ფიქრი, აზროვნება, რეფლექსია აღდგენილია თავის უფლებებში, თავისებურად ესთეტიზირებულია და პოეტის შთაგონების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

იდეისა და ემოციის, ნაფიქრისა და განცდილის ერთიანობა განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ს. ჩიქოვანის ლირიკის მხატვრულ შინაარსს.

მის საუკეთესო ლექსებისათვის ერთნაირად დამახასიათებელია როგორც გრძნობის სიმწიფე, ისე აზრის სიღრმე, რაც ხშირად სრულიად ბუნებრივად პოეტური ფორმის გარკვეულ სირთულეს მოითხოვს.

საყურადღებოა, რომ ს. ჩიქოვანის სატრფიალო ლირიაში სიყვარული იშვიათად წარმოვედგება უეცარი აღ-

ტაცებისა და თავდავიწყების სახით. ეს არის „ჰქვიანი“ სიყვარული, მოეღე „შინაგანი გამოცდილებით გამოწვეული“ და მომწიფებული, რომელიც უმაღლესი ბედნიერების წუთებშიც კი თავისებური სევდანარევი მოწიწებისა და კვდამოსილების ელფერს ატარებს.

„შემოქმედებას სიმწიფე უყვარს“ — ვკითხულობთ ს. ჩიქოვანის „მესამე მინაწერში“. სწორედ ეს შინაგანი თვისება არის განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლენილი კერძოდ მისი უკანასკნელი წლების ლირიკულ ლექსებში.

თუ აღრინდელ ინტიმურ ლირიაში პოეტის შთაგონებას სატრფოს „ლერწმად რხეული ნაზი სხეული“ ანთებდა, ამ ლექსებში, სადაც „ხანდაზმული გრძნობა რეკავს“, სწორედ იმგვარი ხასიათის სულთა კავშირი არის ამღერებული, რომელიც: „ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტყიცებულსა“.

სიმონ ჩიქოვანმა რთული მსოფლმხედველობრივი და შემოქმედებითი ევოლუციის გზა განვლო. პოეტის სიტყვით, თავის აღრინდელ ლექსებში იგი შეგნებულად მიმართავდა სიტყვიერი მასალის იმგვარ გაგებას და გამოყენებას, რომელიც ქართული პოეზიის ისტორიაში ბესიკის „ტანო-ტატანოსთან“ და „შენიშნავისთან“ არის დაკავშირებული.

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ოსტატობის განვითარების გარკვეული პერიოდისათვის, მართლაც, მკაფიოდ დამახასიათებელი იყო ლექსის გარეგანი, განსაკუთრებით ბგერადი სტრუქტურისადმი გამახვილებული ყურადღება.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ შემდგომში სიმონ ჩიქოვანი, როგორც ლექსის ოსტატი, სრულიად სხვა გზით წავიდა და ბევრი რამ უარყო თავის პოეტიაში.

უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები თითქოს განგებ მოკლებულნი არიან ფორმალურ ეფექტს (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით).

სიმონ ჩიქოვანის პოეტური ხელოვნების თავისებურება მდგომარეობს არა სიტყვის ვარეგნულ ელვარებაში; აქ შთავარი, გადამწვეტი როლი მინიჭებული აქვს ლექსის შინაგან ფორმებს, პოეტურ აზროვნებას, სახეთა თავისებურ სისტემას.

მართალია, თავის ცნობილ ლექსში „იქვი“ პოეტი სასოწარკვეთით შემოგვიჩივის:

„ვერ შევიტყუე სიტყვაში ფიქრი,
ვერ მოვახვიე წაშენი გარეთ.
კვერცხის ცილით სტრიქონი მიორთის
და მთაში მიხშობს არაგვის მთვარე.“

ზნირდება გულის საშიში ფეთქვა,
მსურს საჭაშნიკო სიმღერა გითხრათ.
შე სრულიად სხვა მინდობა შეიქვა
და სხვას მიმღერებს წყველი რითმა“.

მაგრამ სიმონ ჩიქოვანის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის შინაგანი არსი სწორედ პოეტური სიტყვის ფორმალური, შემთხვევითი იმპულსებისაგან გათავისუფლებასა და საკუთარი სულიერი სამყაროს შინაგან კანონზომიერებისადმი მათ დამორჩილებაში მდგომარეობს, რაც სწორედ ამ ლექსში არის ფორმულირებული განსაკუთრებული სიზუსტითა და პოეტური ხატოვანებით:

დღი პოეტის თავისება არი —
გრძნობას სიღრთილით გაულოს ვარი,
თუ გაელენთილი არ არის ქნარი,
არ შეამფოთოს მთელმარე ლარი.

არ დაყოვნოს დამწვება ლუხის,
ნაწვიმარ სულში დაწრიტოს ღვარი
და მიმოქცევას მღვღარე მუხის
გზა უჩვენოს და დაუღოს ზღვარი.

ეს სტრიქონები თითქმის კლასიკური პოეტიკის იდეალებთან დაბრუნებას მოასწავებენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი საოცრად ეხმარებიან აბალი დროის ისეთი შესანიშნავი პოეტის სტრიქონებს, როგორც ალექსანდრე ბლოკი იყო.

„Но ты художник твердо веруй —
В начала и концы, Ты знай,
Где стерегут нас ад и рай,
Тебе дано бесстрашной мерой
Измерить все, что видишь ты.
Твой взгляд — да будет тверд и ясен.
Сотри случайные черты.
Пушай же все пройдет неспешно,
Сквозь жар любви, сквозь холод ума...“

სიმონ ჩიქოვანის საუკეთესო ლექსებში თითქმის ერთნაირი სიძლიერით იგრძნობა ეს „სულის მგზნებარება“ და „გონების სიცივე“, რაც განსაკუთრებულ ელფერს აძლევს მთელ მის პოეზიას.

ჩვენი დროის საბჭოთა ლირიკაში სიმონ ჩიქოვანს, როგორც ლექსის ოსტატს, უადრესად თავისებური ადგილი უკავია. მისი შემოქმედება უკანასკნელ დრომდე ყურადღებას იპყრობს დაუცხრომელი და გაბედული ძიებებით, როგორც მხატვრული შინაარსის, ისე პოეტური აზროვნების სფეროში.

თანამედროვე ქართველი მკითხველის შეგნებაში არსებობს თავისებური, გარკვეული თვალსაზრისით ტენდენციური წარმოდგენა პოეტური ოსტატობისა და საერთოდ პოეზიის შესახებ.

სიტყვა პოეტი ჩვენში ხშირად „მგოსნის“ სინონიმად იხმარება და თვით პოეზიაც სიმღერის, გალობის თავისებურ ნაირსახეობად არის წარმოდგენილი. ასეთ შეხედულებას თავისი ობიექტური, ისტორიული ხასიათის საფუძვლები გააჩნია.

ძველ დროშიც იყვნენ და დღესაც არსებობენ პოეტები, რომელთათვის სინამდვილის ყოველი მოვლენა, უწინარეს ყოვლისა, თავისი შინაგანი, განუმეორებელი მუსიკით არის მნიშვნელოვანი. ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები:

«Быть может, все в жизни лишь повод
Для ярко певучих слов».

მაგრამ არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა დამოკიდებულებას სინამდვილისადმი სხვა ხასიათის თვისებები განსაზღვრავს.

მართალია, პოეტური ხელოვნება

უხსოვარი დროიდანვე დაკავშირებული იყო მუსიკასთან, მაგრამ საგულისხმოსა, რომ უკვე ანტიკურ ეპოქაში არსებობდა სხვა შეხედულებაც პოეტის დანიშნულების შესახებ. მაგალითად, ძველ ბერძენებს პოეზია „მეტყველებულ მხატვრობად“ წარმოუდგებოდათ. ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი სახელოსნო მდიდარია მხატვრული გამოსახვის მრავალფეროვანი ხერხებით და საშუალებებით. მისმა პოეზიამ გარკვეული როლი ითამაშა თანამედროვე ქართული ლექსის რიტმიკისა და ინტონაციური თავისებურების განახლებაში.

პოეტის კლასს ეკუთვნის არაერთი ნაწარმოები, რომელიც სწორედ თავისი ელფერადობით გვხვბლავს, ასეთი ლექსებია მაგალითად „ძველი მცხეთა“ „ქართლის საღამოები“, „დავით გურამიშვილის გამოთხოვება და ომში წასვლა“ და, საერთოდ, ამ ციკლის ლექსთა უმრავლესობა.

გავიხსენოთ თუნდათ რამდენიმე ადგილი ამ ლექსებიდან:

ძველი მცხეთა, საქართველოს ფეხე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როზარი.
შევეთვისე გულით დაფიქრებულე,
შრიალეზენ ვარდები და დროზანი“ .. ან:

„უცუარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს ჰკრფედი, ვინანე,
მსხმოიარე ვინახი ხარ სიყრმის,
ვერ გიმოვე, სიმძიმილი ვინამე.“

ამხედრების შემხედა ჭერი,
დაითერე თაფლისფერი ბაია,
დამიქროლე დარაია ჭკელე,
ბაღისფერი, როგორც კიამია.

მაგრამ პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია სწორედ მხატვრული წარმოსახვის ფორმები.

ეს გარემოება არაერთგზის იქნა აღნიშნული პოეტის შემოქმედების მკვლევართა და შემფასებელთა მიერ.

სიმონ ჩიქოვანი კლასიკური და თანამედროვე მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო მკოდნეა ჩვენს მწერლობაში.

პოეტი როგორც თავის ადრინდელ უკანასკნელი წლების ლექსებშიც, ხშირად მიმართავს იმპრესიონისტული ხერხების განსაკუთრებით საყურადღებო რასა: წვიმას, მზეზე აღმართულ თივის ზინებს და სხვ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ მხატვრული საშუალებების თავისებურება, რომლებსაც პოეტის შემოქმედებაში ვხვდებით.

ს. ჩიქოვანის პოეტური სახეებს თავისი მკაფიოდ ინდივიდუალიზებული ხასიათი აქვს. მათი გამოცნობა ზოგჯერ ადვილია კონტექსტის გარეშეც, ზოგიერთი გარეგნული ნიშნის მიხედვით. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ პოეტი განსაკუთრებით ხშირად მიმართავს კავშირ „თუ“-ზე აგებულ მეტაფორებს და შედარებებს, რომლებიც ჩვეულებრივ ორმაგ, სამმაგ და კიდევ უფრო რთულ სახეებს ქმნიან.

ს. ჩიქოვანის პოეტური სახეები, კლასიკური ლირიკის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ხშირად მოკლებულნი არიან ფერთა მკაცრ სისადავეს და ჰარმონიულობას, ვინაიდან პოეტის მთავარი მიზანია კონტრასტული საღებავების რთული შეზავება და სწორედ ამ გზით მდიდარი ელფერებისა და განწყობილების მიღწევა.

მისი მთელი რიგი ლექსებისათვის სრულიად უცხოა ელფერების ის შესამჩნევი სირბილე და წყნარი, ერთგვარად ბუნდოვანი ტონალობა, რაც სიმბოლიზმის პოეტიკაში სწორედ იმპრესიონისტული ფერწერიდან შევიდა. ამ მხრივ დამახასიათებელია პოეტის ერთ-ერთი უკანასკნელი დროის ლექსი „გომბორზე გადასვლა“, სადაც შემოდგომის ფერთა ჭიდილი წითელუფითელო ცხენების დაფეთებულ რემასთან არის შედარებული.

სამყაროს ხილული მშვენიების მძაფრი განცდა და სახეების ორიგინალური, ფერწერული გააზრება სინამდვილისადმი ს. ჩიქოვანის პოეტური დამოკიდებულების უადრესად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის, რომ ახალი რუსული

პოეზიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა მას „ბრწყინვალე ფერწერული სახეების ოსტატი“ უწოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტურ შემოქმედებასა და სახვით ხელოვნებას შორის გარკვეული კავშირისა თუ მსგავსების დადგენა არ განეკუთვნება ჩვენი დროის აღმოჩენათა რიგს.

თავისთავად ცხადია, აგრეთვე, რომ პოეზიისა და მხატვრობას შორის ყოველგვარი პარალელის გავლება შესაძლებელია მხოლოდ პირობითად; ე. ი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება თითოეული მათგანის შინაგანი სპეციფიკაც და მიუხედავად ამისა თავის დროზე აუცილებელი აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ინტელექტური ენერჯიის დახარჯვა ამ უბრალო ამბის დასამტკიცებლად.

ახალი რეალისტური ესთეტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ევროპაში ლესინგმა საჭიროდ სცნო სპეციალური შრომა მიეძღვნა ამ პრობლემისათვის. პოეზიის მიმართება სინამდვილისადმი არ შეიძლება შემოითვარგლოს სახვითი ხელოვნების სპეციფიკური მხატვრული საშუალებებით. ეს იქნებოდა ძალდატანება პოეზიის ბუნების მიმართ და ამავე დროს მისი შინაგანი შესაძლებლობების ხელოვნური შეზღუდვა.

ს. ჩიქოვანის შემოქმედების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს არა ჰერეტიკით, აღმწერლობით მხატვრობაში, არამედ პოეტური წარმოსახვის უაღრესად მძაფრ, „დინამიკურ“ მანერაში, რაც მის მიერ შექმნილ პოეტურ სახეებს, ან თუნდაც უბრალო ჩანახატებს უმრავლეს შემთხვევაში ექსპრესიულ ხასიათს ანიჭებს.

თავის საუკეთესო ლექსებში ს. ჩიქოვანი თითქმის არასდროს არ იძლევა სინამდვილის მკვდარ, გაყინულ ასლებს, რადგანაც ასეთი მხატვრობა ორგანულად მიუღებელია მისი პოეტური ბუნებისათვის.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება არაერთი მაგალითის მოტანა მისი შემოქმედებიდან. აქ შევჩერდებით მხო-

ლოდ ერთ მათგანზე, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებლად მიგვჩინია ამ მხრივ.

გავიხსენოთ პირველი სამი სტროფი ლექსიდან „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“.

„გაუქმებელი ვით სახარება,
კლდეზე ეკიდა ვარძიის ვარი.
ზე ჩანდა ფიჭვი და ვაქანება,
ქვეშ გაქცეული ნაცნობი შტკვარი.“

ღამდებოდა და ვარძიის თაღებს
შე ვუტყვროდი გაოცებული,
პავლა ბექობზე გადმოსხმულ ტალღებს
მთიდან მომსკდარი ლოფთა კრებული.

უსინათლო და მრავალთვალემა
კლდე დაგვეჭვროდა, ოსტატო ჩემო,
საკვირველება, საკვირველება
გადმომდგარიყო მდინარის ზემოთ“...

ეს სამი სტროფი ამ ლექსში წარმოადგენს ერთგვარ ლირიკულ ექსპოზიციას, რომელსაც ვარძიის გარემოში შეეყავართ. შემდეგ იწყება ვარძიისა და მისი ოსტატის აპოლოგია. თავისთავად ცხადია, რომ აქ ავტორის უშუალო ამოცანას შეადგენდა ამ გარემოს ასე თუ ისე ობიექტური აღწერა და თვით აღსაწერი მასალაც — ეს მღუშარე და უდაბური მხარე, ეს უმოძრაო ქვის ნანგრევები — თითქოს პირდაპირ მოითხოვდა მხატვრის მშვიდსა და აუღელვებელ ხელს. მაგრამ დაუევირდით რა ექსპრესიით არის ამეტყველებული აქ ეს, მართლაც, „მკვდარი ბუნების“ სურათი, რა მძაფრი შინაგანი დინამიკა იგრძნობა მის ყოველ დეტალში.

პოეტური წარმოსახვის ექსპრესიულობა წარმოადგენს ს. ჩიქოვანის ოსტატობის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანთვისებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს ნიშანი თავისთავად ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმ მხატვრული შთამბეჭდაობის გასაგებად, რომელიც პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთათვის არის დამახასიათებელი.

მართლაც, რა ოსტატურადაც არ უნდა დაგვიხატოს პოეტმა სინამდვილის სურათი, რაგინდ მძაფრიც არ უნდა

იყოს ამავე დროს მისი წარმოსახვის მანერა, ადვილი შესაძლებელია ჩვენ მაინც გულგრილნი აღმოვჩნდეთ მისდამი, თუ მის მიერ შექმნილ გარე სინამდვილის სურათში ვერ დავინახავთ ადამიანის სულიერი სამყაროს ანარეკლს, ვერ შევიცნობთ მის ფიქრს თუ განცდას, ვერ განვიმსჭვალებით მისი სულისკვეთებითა და განწყობილებით.

არავითარ მხატვრულ სახეს, რა მალალი ოსტატობის ნაყოფსაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი, არ გააჩნია თავისთავადი პოეტური ღირებულება, თუ იგი მოკლებულია ამგვარ შინაგან დატვირთვას. და როდესაც თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში „თბილისის თოვლი“ პოეტი ამბობს:

ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი,
მაინც თერთია თოვლის ფიფქები.
შენი ყელი ვარ, შენი საყვარი
და შენი ფესვიც მალე ვიქნები

აქ უწინარეს ყოვლისა, გვხიბლავს და გვაღვლეებს არა თავისთავად ოსტატურად გააზრებული ფერწერული სურათი, არამედ სწორედ ის შინაგანი განცდა, რომელიც ამ სახის საშუალებით არის გადმოცემული.

სხვა წერილში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თანამედროვე ქართული პოეტიკისათვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება, რომლის საილუსტრაციოდ ჩიქოვანის შემოქმედებას მივმართეთ.

ეს არის ტენდენცია პოეტური სახის ემოციური შემოქმედების ერთგვარი გართულებისა და გაფართოებისადმი. ამ თვალსაზრისით ჩვენ მოვიგონეთ დავით გურამიშვილზე სიმღერის ერთი სტრიქონი: „წიგნში დგახარ როგორც წერო“, და მას „სინთეტიური“ ხასიათის სახე ვუწოდეთ. რადგანაც ამ შედარებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ გარეგნული, პლასტიკური მსგავსება, რომელსაც მხედველობაში აღვიქვამთ, (გავიხსენოთ გურამიშვილის ავტობიოგრაფიული „დავითიანი“), არამედ განწყობილებათა ის რთული ასოციაციური

კავშირი, რომელსაც ამ ფრინველს სახე აღძრავს ჩვენს შეგნებაში.

ს. ჩიქოვანის პოეტურ ხელოვნებაში მხატვრობას თითქმის არასოდეს არა აქვს თვითმიზნური ხასიათი. გარეშე სინამდვილე, „მკვდარი“ თუ „ოცობა“ ბუნება მას, როგორც პოეტს, უმეტეს შემთხვევაში აინტერესებს არა როგორც აღსაწერი საგანი, არამედ როგორც მასალა თავისი პოეტური სახეების გამოსაძერწად, ხოლო ამ უკანასკნელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს არა უბრალო ფერწერული ეფექტის მიღწევა, არამედ გარკვეული ადვის, განცდისა თუ განწყობილების ხელშესახები გადმოცემა.

მიუხედავად ს. ჩიქოვანის ლექსის ერთგვარი კომპოზიციური სირთულისა, რომელიც ხშირად გარეგნული შეუკერელობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი პოეტური ნაწარმოების ყოველი კომპონენტი ჩვეულებრივ ექვემდებარება ერთიანი მხატვრული ჩანაფიქრის შინაგან მოთხოვნილებას. კონტრასტული საღებავებისა და ნახევარტონების სიმდიდრე აქ თითქოს კონტრასტის პრინციპებს ემორჩილება და პოეტის სულოვრ მოძრაობათა რთულ გამას გადმოგვცემს.

მხატვრული საშუალებების მრავალფეროვნება ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში გაპირობებულია თვით სათქმელის შინაგანი მრავალმხრივობით. აქ თვით ფორმის სპეციფიკაც ე. ი. პოეტის მიერ არჩეული ამა თუ იმ მხატვრული ხერხის თავისებურება გარკვეულ კავშირში იმყოფება ნაწარმოების პოეტურ კონცეფციასთან.

ამ თვალსაზრისით კარგი იქნება გადავხედოთ, როგორი გამოყენება აქვს ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში, კერძოდ, ე. წ. „პოეტურ დეტალს“.

ცნობილია, რომ დეტალისადმი ე. ი. მთელის შემადგენელი ნაწილისადმი გამახვილებული ყურადღება საზოგადოდ დამახასიათებელია ახალი დროის პოეზიისათვის. თანამედროვე პოეტებმა გარე სამყაროს მხატვრული ასახვისას ფართო პლანით გამოაჩინეს სინამდვი-

ლის ისეთი მხარეები, რომლებიც ფაქტიურად კლასიკური პოეტური აზროვნების ფარგლებს გარეშე რჩებოდა. (თუმცა, ცხადია, ეს არ გამოირჩევა ცალკეული გამოჩენილების არსებობას XIX საუკუნის პოეზიაში).

აი რას წერდა ამასთან დაკავშირებით ერთი ცნობილი რუსი მწერალი:

«У Пушкина есть некоторые строки, наличие которых у поэта той эпохи кажется просто непостижимым:

«Когда сюда на этот гордый гроб
Придете кудри наклонять и плакать»...

«Кудри наклонять» это результат обостренного приглядывания к вещи, несвойственного поэтам тех времен. Это слишком «крупный план» для тогдашнего поэтического мышления.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ს. ჩიქოვანი ჩვენ წარმოვიდგება როგორც მხატვრული დეტალის ერთ-ერთი დაკვირვებული ოსტატი. აქ შეიძლება არაერთი ცალკეული მეტაფორის ან შედარების მოყვანა, მაგრამ პოეტს აქვს მთელი რიგი ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მთლიანად ასეთ პრინციპზე არის აგებული. გავიხსენოთ მისი «მერხცლის ბუდე». აქ პოეტის თვალს თითქოს ერთი წუთითაც არ შორდება ამ პატარა „პეშვივით შეკრულ ბუდეს“, მაგრამ დაუკვირდით, როგორ ამომწურავად არის გამოყენებული აქ ეს „დეტალი“ პოეტური ჩანაფიქრის ყოველმხრივი გადმოცემისათვის. რა მდიდარი ნიუანსებით არის გახსნილი მისი მეშვეობით ამ ლექსის ორიგინალური იდეა!

მხატვრული დეტალის მაქსიმალური დატენვა პოეტური შინაარსით, სივრცისა თუ დროის მცირე მონაკვეთზე დიდისა და ზოგადის მოთავსება წარმოადგენს ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი ოსტატობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას.

ამგვარ პრინციპზე არის აგებული, კერძოდ, მისი ლექსები „ძველი საათი“, „ნიჟარის საფერფლე“ და სხვ. აქ ჩვეულებრივი, ყოფითი სინამდვილის შეგ-

ნებულად არჩეულ ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულია შინაგანად მრავალმხრივი და ღრმად პოეტური ჩანაფიქრი და როგორც პატარა კოლხური ნიჟარა, რომელშიც მარადმწვთვარე სტრიქონის გუგუნია ჩამწყვედული, სიმონ ჩიქოვანის პოეტური სახეებიც ზშირად დიდი შინაგანი ცხოვრების სუნთქვას იტევენ.

მხატვრული გამოსახვის საშუალებათა შერჩევისას პოეტი ჩვეულებრივ ერიდება ზედმეტ მალაღარდოვნებასა და პიპერბოლურ სახეებს. მაგრამ როგორც წესი, მისი პოეტური აზროვნებისათვის დამახასიათებელია კერძოდ ან უნივერსალურისაკენ, მცირედლიდან მონუმენტურისაკენ მსვლელობა.

ამ მხატვრის ძიებებსა და შთაგონების შინაგან პათოსს თითქოს „სიერცისა“ და „ქამის“ განსახლდერულობის დამღევა წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების აღნიშნული თავისებურება გარკვეული თვალსაზრისით ნიშანდობლივია ჩვენი ერის წარმომადგენლის, ქართველი პოეტის მსოფლმხედველობისა და პოეტური აზროვნებისათვის.

ამ მოსაზრებას ჩვენ გვეყარნახობს კერძოდ მისი ცნობილი შედეგის „ვიწა სთქვას“ ორიგინალური და ამავე დროს ქართველი ხალხის ისტორიული თვითმხედვებისათვის ნამდვილად ორგანული კონცეფცია, რომელიც შესატყვის პოეტურ ფორმებში არის ჩამოყალიბებული:

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ქვოვა პატარა ციხე,
ვინ მოვიონა სამცირე მისი?

აბა შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები შეშეული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაავიწეთ ყვირილი ირმის!

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
ღარუბანიდან მოტანილ კარებს
და გაიხსნება სამშობლო ჩემი
უსასრულობის შემცველი მხარე.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ს. ჩიქოვანმა, რომლის შწერლური ბიოგრაფია ფორმალისტური ხასიათის ექსპერიმენტებით დაიწყო, თავისი შემოქმედებითი სიმწიფის დროინდელ პოეტურ ნაწარმოებებში შეგნებულად უარყო ლექსის გარეგნული, ფორმალური სამკაულები.

პოეტის ამდროინდელი შემოქმედება აღბეჭდილია დაუცხრომელი ძიებებით უმთავრესად მხატვრული შინაარსის სფეროში.

ს. ჩიქოვანი ეკუთვნის იმ თანამედროვე პოეტთა რიგს, რომელთა სახელთან დაკავშირებულია კერძოდ, ე. წ. „წმინდა ლირიკის“ ვიწრო ჩარჩოების გარღვევა და საბჭოთა პოეზიის გამდიდრება ეპიკური ხასიათის მოტივებითა და სახეებით.

ჩვენს დროს სხვა ქართველ პოეტებთან ერთად, სიმონ ჩიქოვანმა შესძლო თანამედროვე ქართული პოეზიის გაწმინდა დეკადენტური პოეტიკისათვის დამახასიათებელი პირობითობისა და ესთეტიზმის ელემენტებისაგან.

ერთ თავის ადრინდელ წერილში ს. ჩიქოვანი წერდა, — შევეცადე მოქალაქეობრივ უფლებებში აღმედგინა სიმბოლისტური პოეტიკის მიერ უგულვებელყოფილი ზოგიერთი სიტყვა.

შეიძლება ითქვას, რომ თავის ლირიკაში პოეტმა კანონიერი უფლებები დაუბრუნა და ორიგინალური პოეტური ფორმებით წარმოგვისახა აგრეთვე ობიექტური სინამდვილის ისეთი მხარეებიც, რომლებიც დეკადენტებს „ცხოვრების პროზად“ მიაჩნდათ.

ახალ ქართულ პოეზიაში რეალისტური ტრადიციების დამკვიდრების მხრივ, თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, კერძოდ, პოეტის ცნობილმა ლექსებმა ციკლიდან „მთაო, გადმიწვი“.

ს. ჩიქოვანის პოეტური მანერა, მისი ლექსის ინტონაციური ქლერადობა და თავისებური მხატვრული ქსოვილი, რომელიც ხანგრძლივი შემოქმედებითი ევოლუციის შედეგად დადგინდა, უაღრესად თვითმყოფადი და ორიგინალური ნიშნებით გამოირჩევა.

ს. ჩიქოვანის პოეტური სიტყვა ზოგჯერ მოკლებულია ფორმის გარეგნულ სინატიფეს. „შენ მიმიე ხარ ჩემი ლექსით“, — წერს პოეტი ერთ თავის ადრინდელ ინტიმური ხასიათის მიძღვნაში. მართლაც, მისი ლექსი იშვიათად გვხიბლავს პოეტური სილამითა და სიმსუბუქით. სწორედ ამის გამო იგი თითქმის გულგრილად ტოვებს იმ კატეგორიის მკითხველებს, რომელსაც მხოლოდ ეს თვისებები იტაცებს.

ს. ჩიქოვანის ლექსი მკითხველისაგან მოითხოვს გარკვეულ მხატვრულ ალღოს, პოეტური აზრის მსგეღლობისადმი გულსისყურის ერთგვარ დაძაბვას, დაფიქრებისა და წარმოადგენის უნარს. ლექსის „სიმძიმე“ აქ აიხსნება არა ფორმალური, ტექნიკური ხასიათის მიზეზებით, აქ მთავარია ის გარემოება, რომ ს. ჩიქოვანი პრინციპული მოწინააღმდეგეა პოეზიის დანიშნულების გაიოლებისა. მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის შინაგანად მიუღებელია „მსუბუქი ქანრი“.

ს. ჩიქოვანის ლექსი ჩვეულებრივ ქარბად არის დატვირთული რეალური, ნივთიერი საწყაროს ცოცხალი საგნებითა და საღებავებით. მისი სტრაქტონი, როგორც ვაზის ჭიკო მწიფობისთვეში, დახუნძლულია მიმიე მტევნებივით სისხლსავსე და მკიდროდ ასხმული სახეებით, რომლებიც პოეტურად განსაზღვრული ფიქრისა და სულიერი წვის ნაყოფს წარმოადგენენ.

აქ გასათვალისწინებელია პოეტის თავისებური მხატვრული კონცეფციაც, კერძოდ, მისთვის დამახასიათებელი პოეტური შემოქმედების შინაგანი არსისა და მნიშვნელობის გაცება.

ს. ჩიქოვანისათვის პოეზია, თვით შემოქმედების აქტი არის არა უმტყიფნეულო, წუთიერი განწყობილებით ნაკარნახევი წრფელი გალობა, არამედ შინაგანად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც მთელი სულიერი ძალებისა და გამოცდილების დაძაბვას მოითხოვს.

ს. ჩიქოვანისათვის უცხო არ არის

ნიაღვარებით მოვარდნილი შთავონების მოულოდნელი აკამყამება:

მე თვეში ვიყავ და შენ ანკესით
მაჯართქალე და მომეცი ღონეც.
აბელი ვიყავ და შენ საკვესით
გამაცოცხლე და პატრუქი მომეც. —

წერს პოეტი და მისი ლექსი ხშირად სწორედ სიტყვასთან თავგანწირული ჭიდილით, შემოქმედებითი წიგნის შინაგანი დრამატუზმით გვხვობავს.

მაგრამ შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ჩიქოვანი იშვიათად ენდობა პოეტურ იმპროვიზაციას და ზოგჯერ ათეულობის წლების მანძილზე ხელახლა უბრუნდება, აკსებს და ამდიდრებს ერთხელ დაწერილს.

პოეტურ ნაწარმოებზე მუშაობისას ჩიქოვანი ახდენს არა მხოლოდ მთელი თავისი პირადი გამოცდილების მობილიზაციას, იგი შეგნებულად ეყრდნობა იმ დიდ, ფასდაუდებელ სიმდიდრესაც, რომელიც პოეტური აზროვნების მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე არის დაგროვილი.

შემოქმედებითი აქტი მისთვის წარმოდგენს არა მხოლოდ სინამდვილიდან უშუალოდ აღებული საგნებისა და სურათების პოეტურ ამტყველებას, არამედ პოეზიის გარდუვალ, მარად უტყნობ სახეებთან თავისებურ შემოქმედებით შეხმანაებასაც.

ს. ჩიქოვანი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენი საუკუნის ქართულ პოეტთა იმ პლუადისა, რომელმაც კლასიკური პოეტიკის გარკვეულ ტრადიციათა კრიტიკული გადასინჯვა მოახდინა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტის არა მხოლოდ აღზინდელი ფორმალური ძიებები, არამედ გაცოცხებით უფრო სერიოზული ხასიათის ძიებები, რომლებიც მისი შემოქმედებითი სიმწიფის დროინდელ ლექსებში შეინიშნება. ამ შემოქმედებით პროცესს თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა.

— წერს ს. ჩიქოვანი უშანგი ჩიქინი-სადმი მიძღვნილ ლექსში და, როგორც ეს ლექსი, ისე პოეტის სხვა რაერთი ნაწარმოებზე შინაგანად რთული და ტევადი პოეტური ფორმებით აზროვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოდგენენ. აქ ჩვენ წინ არის არა კლასიკური ფორმების უბრალო უარყოფა, არამედ მათი შემდგომი კანონზომიერი განვითარება და გამდიდრება ახალი საშუალებებით.

როგორც ცნობილია თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში „ტრადიციული“ პოეტური აზროვნებისადმი და კერძოდ ე. წ. კლასიკური სისადავისადმი ფორმალური ერთგულება არააშვიათად ყოფილა გამოყენებული როგორც მნატურული სიმღერისა და პრაიმტივიზმის გასამართლებელი საბუთი. სინამდვილეში ეს იყო სწორედ კლასიკოსთა გამოცდილების, მათი შექვედრების ცოცხალი შემოქმედებითი მნიშვნელობის უგულვებელყოფა.

ერთი გამოჩენილი საბჭოთა მწერლის სიტყვით, საბჭოთა პოეზიაში უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებით მომრავლდა იმ ყაიდის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არასოდეს არ დაწერილიყოს დანტეს „ლეთებრივი კომედია“, ვოეთეს „ფაუსტი“, ბუშკინის „ბორის გოდუნოვი“ და ბლოკის „შურისგება“.

ვინც ნამდვილად ეთაყვანება ქართულ ლირიკას, ვისთვისაც მართლა ძვირფასი და ახლობელია „ვეფხისტყაოსნისა“ და „მერანის“, ძველი ქართული ფრესკებისა და საგალობლების შემოქმედთა მძალია! ოსტატობა, არ შეიძლება მას ჩვენი ხელოვნების ისტორიული ტრადიციები მნატურული აზროვნების სიმარტივისა და სილატაკის გამართლებად მიანდეს.

თანამედროვე პოეტურ ხელოვნებაში სირთულისა და სისადავის პრობლემა ბევრად უფრო რთულად დგას, ვიდრე ეს ზოგიერთ ლიტერატორს წარმოუდგენია. თვით სიმონ ჩიქოვანს ისევე, როგორც მისი თაობის ზოგიერთ სხვა

„დრომ დაგვაჯალა არა მარტოვი
გაგვეხსნა სული მზით და ჩრდილებით“

ქართველ პოეტს, თავის დროზე მთელი სიმამართლი მოუხდათ ამ შინაგანად წინააღმდეგობრივი პრობლემების მხატვრული დაძლევა.

ს. ჩიქოვანს აქვს ლექსები, რომლებიც ნათლად მოწმობენ თუ რა მწვავე შემოქმედებით კრიზისთან იყო დაკავშირებული პირადად მისთვის ამ პოეტური ამოცანის გადაწყვეტა. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კერძოდ მისი ცნობილი ლექსი „ტბასთან“.

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე პოეტთა შორის ს. ჩიქოვანი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც მხატვრული სისადავის საკითხი თეორიულ ასპექტში დასვა. (მხედველობაში გვაქვს მისი წერილი „Высокая простота“, რომელიც მოსკოვის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა).

სისადავის პრობლემა თავისი პრაქტიკული შემოქმედებითი ხასიათით დაკავშირებულია არა მხოლოდ კლასიკურ ტრადიციებთან, არამედ კიდევ უფრო უშუალოდ საბჭოთა პოეზიის ხალხურობის პრინციპებთან და თანამედროვე მკითხველის ახალ სულიერ მოთხოვნილებებთან.

იმ ქვეყანაში, სადაც პოეზია, როგორც საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყველა მონაპოვარი, ხალხს ეკუთვნის, ცხადია, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურ ხასიათს ატარებს. ამ გარემოებამ, რომელიც ობიექტურად ჩვენი მწერლობის იდეური და მხატვრული სიმდიდრის ერთერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, ერთგვარი ბაძვი მისცა ზოგიერთ უკიდურეს ტენდენციას საბჭოთა პოეზიის განვითარებაში.

სხვათაშორის, თვით ს. ჩიქოვანსაც გარკვეულ ეტაპზე დაწერილი აქვს ლექსები, რომლებშიც სისადავისადმი დაჟინებულმა მისწრაფებამ იგი პოეტური აზროვნებისა და გამომსახველობით საშუალებათა ხელოვნურ გაუბრალოებად მიიყვანა. მაგრამ ლირიკულ პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“

პოეტმა შესძლო მოეძებნა ერთადერთი სწორი გადაწყვეტა მის წინააღმდეგობრივ მხატვრული ამოცანას.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ თავისი იდეური და მხატვრული კონცეფციით ქვეშაირიხად ხალხური ნაწარმოებია და ამასთან ერთად მისი პოეტური სახეები უშუალო შემკვიდრებით კავშირში იმყოფებიან ქართული კლასიკური პოეზიის ცოცხალ ტრადიციებთან.

„დავით გურამიშვილში“ ს. ჩიქოვანის პოეტური ენა თითქოს ახალ, მისთვის ადრე უჩვეულო თვისებას იძენს. გამომსახველობით საშუალებათა სიკვადე და ლაპიდარობა აქ პოეტურა გამოხატვის ერთერთ ძირითად პრინციპად არის ქცეული. მაგრამ ამ ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ფორმების სისადავეს არაფერი აქვს საერთო პოეტური ხელოვნების გამარტივების აღნიშნულ ტენდენციებთან, რადგან ეს არის შინაგანად რთული პოეტური ნააზრევით გამდიდრებული სისადავე.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ჩვენი ეროვნული ისტორიის ერთი მკაფიო ფურცლით შთაგონებული პოეტური ნაწარმოებია. ს. ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის არა ერთი ლექსი, რომლებიც ასევე ცოცხლად და ხელშეახლებად წარმოგვისახავენ ძველი საქართველოს სინამდვილეს.

„არმაზის აჩრდილებში“, „თეიმურაზ პირველში“ პოეტურად აღდგენილია ჩვენი წარსულის კოლორიტული სახეები. აქ იგრძნობა ისტორიის ცხოველი განცდა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სულიერ ტრადიციებთან უშუალო შეხმიანება.

მაგრამ ს. ჩიქოვანი თავისი მოწოდებით და სინამდვილისადმი დამოკიდებულების თავისებურებით იმ პოეტთა რიგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვეობის სუნთქვით არის განმსჭვალული. მისი შთაგონების მთავარ წყაროს სინამდვილის დაუცხრომელი ძიება წარმოადგენს:

შემოქმედებას სიახლე უყვარს
ციხარტყელს და ქუხილის ფერი...

სიახლის განცდა, ახალი პოეტური ფორმების დამკვიდრების პათოსი წარმოადგენს ს. ჩიქოვანის პოეზიის განუყოფელ თვისებას.

ამიტომ არის, რომ დღესაც, შემოქმედებითი სიჭარბავის ასაქმი, იგი თითქოს კვლავ ახალი პოეტური აღმოჩენის წყურვილით არის შეპყრობილი.

პოეტური შინაარსისა და ფორმის ჭეშმარიტი თანადროულობა დიდ შემოქმედებით გაბედულებას და ზოგჯერ შეგნებულ მსხვერპლსაც მოითხოვს პოეტისაგან. ნამდვილად თანამედროვე ხელოვანი ამავე დროს მომავლის ოსტატიც არის, ვინაიდან მისი შემოქმედება დღევანდლობიდან ხვალისდელ დღეში გადავსულ თავისებურ ზიდს წარმოადგენს.

ს. ჩიქოვანის მიერ შექმნილი სახეების უადრესად მდიდარი სისტემა, მის მიერ დამუშავებული ორიგინალური მხატვრული ფორმები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავისთავადი პოეტური ღირებულებით, მათში კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია იმ ახალი საშუალებებისა და შესაძლებლობების მინიშნე-

ბა, რომლებიც თანამედროვე ქართულ სიტყვას გააჩნია.

გაქვეყნებული

შწერლობაში ახალი შინაარსისა და ფორმების დადგენა ყოველთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ მტკივნეულ პროცესებთან. აქ თავს იჩენს ლიტერატურული ინერციის ძალა და თვით მასალის წინააღმდეგობაც, რომელიც ახალ, უჩვეულო ყალიბში უნდა ჩამოისხას.

შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ორიგინალური და თანამედროვეა პოეტის ესთეტიკური იდეალები, მით უფრო მოკლებულია მისი ხელოვნება გარგნულ დაბეწვილობასა და „უეჭველობას“ მისივე დროის მკითხველთა თვალში. ასეთ ხარისხს პოეტური ფორმა იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ტრადიციულად იქცევა.

ჭეშმარიტად თანამედროვე პოეტი არ შეიძლება იყოს შეუხმცდარი, რადგანაც იგი ყოველთვის რჩება არა უკვე აღმოჩენისა და დამკვიდრებულის სრულყოფილად, არამედ ახლის დაუქანცავ მაძიებლად.

სამაგიეროდ მხოლოდ მას შეუძლია ითქვას მთელი უფლებით თავის ხელოვნებაზე:

Поэзия — вся! — езда в неизвестное!

შეხედულებით იწვევენ მთლიანი ზეგნის პატერნისკენ. ანალოგიურ თელახარისს ჰოგარტი ანოთარენს დიდი თანამდებობის მქონე სახელმწიფო მოღვაწეებისა და მოსამართლეების ტანსაცმელზე. სრულად უშეველია, რომ ზომა სილამაზეს აძლევს სიღაღეს. მაგრამ უოველთვის თავიდან უნდა ავიცილოთ გადაჭარბება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ზომა გახდება მორჩილა, მძიმე ან ხასიათი. „უადგილო ან შეუთავსებელი ხედვებთანაა უოველთვის იწვევენ სიცილს; ვამსაკუთრებით როცა მათი ფორმა მოხდენილობით არ გამოირჩევა...“¹ მაგრამ ჰოგარტს არც ის გამოჰპარვია მხედველობიდან, რომ ჩვეულება და შიდა დროთა განმავლობაში თვალს აჩვენებს თითქმის ყველა უბარბოს ან ელარს ამჩვენებებს მათ. სიცილს იწვევს მოხდენილი გარეგანი ფორმა, ისიც შეუფერებელი, რომლის მაგალითადაც დასაბუთებელია „დოქტორ ფაუსტი“² ის სცენა, სადაც მწიფიჯილის ტომარა სცენაზე ბლომს იწყებს. იგივე რომ გაეცეთებინა ლამაზი ფორმის ღარნაქს, ჩვენ ასევე გავაყოლებდა, მაგრამ არ გავაყენებდა. ღარნაქს სილამაზე თავიდან ავაკიდებდა საყოველთაო სიცილს. მაგრამ ჰოგარტს მითითებულ არა აქვს, რომ თუ ეს ღარნაქი კომიკურ სიტუაციაში მოხვდა, მაშინ სიცილის მიზეზის მხრივ იგი ელარს გამოარჩევს. სილამაზეს არ შეუძლია კომიკური სიტუაცია შესცვალოს. რაც შეეხება ტანსაცმელს შესახებ ჰოგარტს დამწიკობებით მსჯელობას, შეიძლება იგი მიგვეჩინა გამოყენებითი ესთეტიკის ნაწილად, ხოლო დებულება, რომელიც სილამაზეც წარმოადგენს იმ ძალად, ბუნებრივ სილამაზეს რომ ზღვს უწყობს, — ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, თუ რამდენად დიდი იყო ჰოგარტი, როგორც სილამაზის ობიექტი და თეორეტიკოსი. სწორედ ეს სილამაზე და ბუნებრივობა მოიწონა ჰოგარტმა კვაკერების დოქტრინაში, რაც ისინი ამ მხრივ ყველაზე მაღლა დაყვეს.³

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხაზებს ჰოგარტი მთელი ტრაქტატის მანძილზე განიხილავს, ერთი სპეციალური თავი მაინც ცალკეა გამოყოფილი (მე-7) და მოიცავს ანალოზს, რასაც შემდგომი მსჯელობისათვის ავტორი დიდ მნიშვნე-

ნელობას ანიჭებს. როგორც წინასიტყვაობაში, ისე აქაც განმარტებულია, რომ სილამაზის ხედვა პირი გარსია, რამდენადაც შეეძლება ერთმანეთზე. მჭიდრად მსჯელებული დიდი რაოდენობის ხაზებისაგან! მაგრამ არის თუ არა ეს ხაზები თვით სილამაზე? ჰოგარტი ფიქრობს, რომ ქალაქზე საგნების გამოსახვის ხაზების მუდმივმა გამოყენებამ, რასაც მათემატიკოსები და მხატვრები მიმართავენ, შექმნა დადგენილი წარმოდგენა, თითქოსდა ეს ხაზები არსებობენ თვით სილამაზეზე. ამ საკითხს ჩვენ ამჟამად არ შევეხებით. თვით ჰოგარტისათვის კი ყველაფერი ის, რაც ითქვამს წინამდებარე იმისათვის, რომ წარმოაყენოს შემდეგი დებულება: „პირდაპირსა და შრეგულ ხაზებს, განსხვავებულ კომბინაციებსა და კარიანტებსში, შეუძლიათ შეზღუდონ და შემოხაზონ რომელიც გნებავთ ხილული სიგანი, და ისინი ქმნიან, ამის წყალობით, ფორმათა ისეთ უსასრულო ნაირსახეობას...“⁴ საერთოა მთელი სამყარო ამ ხაზების მიხედვით ასეა წარმოდგენილი, რომ ერთი მხოლოდ პირდაპირი, სწორი ხაზებისაგან შედგებიან, მეორენი — შრეგული ხაზებისაგან, ხოლო მესამენი შეიცავენ ერთსავე და მეორესაც. პირდაპირი ხაზები აქვს კვებს, შრეგული — სფეროს, პერისს, ხოლო ერთი და მეორეც — ცილინდრს, კონუსს, სფერების კაბიტელები და ღარნაქები შეიცავენ პირდაპირს, შრეგულ ხაზებს და ისეთებს, რომლებიც შედგებიან ნაწილობრივ პირდაპირი, ნაწილობრივ შრეგული ხაზებისაგან. მაგრამ სილამაზეს მხოლოდ გველს ეძღვნება ერთი ხაზი აქვს უმადლეს სახეს. ლამაზი ფორმები ყოველთვის იმით გამოირჩევიან, რომ მათ ყველაზე ნაკლები პირდაპირი ხაზები აქვთ. ტალღისებური ხაზი, როგორც სილამაზის ხაზი, კიდევ უფრო შრეგულსაგანია, და ყველა ხაზზე მეტად ქმნის სილამაზეს, არ ვიცი, რამდენად მართალი ექვებით, თუ ვიტყვით, რომ ჰოგარტისათვის როგორც ტალღისებური, ისე გველისებური ხაზი — სილამაზის ხაზია. მაგრამ ზოგჯერ უპირატესობას მაინც პირველს ანიჭებს, რომელიც მეორისაგან შედგება. მათ შორის მსგავსება იგივეობას მაინც არ ნიშნავს, როგორც მსგავსებისა და ლამაზზე ვიტყვით.

ყოველგვარ შემთხვეულთან დაკავშირებით პრობლემა, რომელსაც ჰოგარტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, იყო იმის გამოკვევა, თუ რა ნაწილობისაგან და როგორ შედგე-

¹ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 157, ხაზი ჰოგარტისაა—გ. ჯ.

² B. Хогарт, Анализ красоты, стр. 160.

³ იქვე, გვ. 162.

⁴ იქვე, გვ. 162. ხაზი ჰოგარტისაა—გ. ჯ.

⁵ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 163.

ზიან მოხდენილი, ღამაში ფორმები. ყველაფერი ის, რაც წინა დიქვა, მხოლოდ იმის დადასტურებას წარმოადგენდა, რაც ხელს უწყობს სილამაზის შექმნას. მთელი მერყე თავი კი, რომელშიც ფიგურების პრობლემატიკა დაყენებული, მიზნად ისახავს შეისწავლოს ხაზების იმგვარი შეერთება, რათა ღამაში ფიგურები ანუ კომპოზიციები შეიქმნას. მაგრამ მთელი მსჯელობა უმათერესად აქტივტირული მასალა, აქტივტირება, როგორც ხელოვნების დარგს ემყარება, რაც შეიძლება იმითაც იყოს გამართლებული, რომ ფიგურები და კომპოზიციები ილუსტრაციისათვის პოგარტს შეეძლო უფრო ადვილად სწორედ აქ ეთვათ. შევსებათა გაკვირვებას იწვევს გარემოება, რომ პოგარტი, რომელშიც აქტივტირება ბრწყინვალედ იცოდ, ოთხ ორდერის ასახვლებს — დორიულს, იონიურს, კორინთულს (ეს სამი განილაზებული ჰქონდა ჯერ კიდევ ვიტრუვიუს თვის „ათ წიგნში არქიტექტურის შესახებ“). ტოსკანურს და სხვებშიც არ იხსენიებს ართულს (კომპოზიციონს), რომელიც ამ დროს უკვე პრაქტიკულად არსებობდა. ამ საკითხს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. თუცა პოგარტი ოთხ ორდერის თვალს ძველი ბერძენებისა და ძველი რომაელების ღამაზ ორდერებთან, რაც სავსებით სწორია არ არის ტოსკანუ შინს მიმართ, ვინაიდან იგი, ისევე როგორც მეხუთე, შედგე იყო მიმატებული, მოგვიანო რენესანსის ეპოქაში, ამავე დროს, რთული ორდერის კანიტლებში წარმოადგენდნენ კორინთული და იონური ფორმების შეხამებას. მითითებული ოთხივე ორდერი ხასიათდება სწორი პრაქტიკული და პოგარტი ისინი მიანიშნა თვის სქემისათვის მშვენიერ ილუსტრაციებად. ეს სქემა, როგორც უკვე ნაწილობრივ დახასიათებული ვაქვს, ფერწერიდან ვადმოტანილა არქიტექტურაზე მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქცერტი გაყვებულა ღამაზ კომპოზიციების შექმნაზე ხაზების ურთიერთმიმართების წყალობით. ყოველგვარ საგანს თავისი ფორმა აქვს და უფორმო საგანი ისევე არ არსებობს, როგორც უსაგნო ფორმა. ეს დებულება პოგარტს არ წამოუყენებია, მაგრამ მთელი მისი მსჯელობიდან შეიძლება იმაგვარი დასკვნა გამოვეტანა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის მითითებაც, რომ აღიარებული ორგვარი ფორმის — შინაგანი და გარეგანი ფორმის არსებობა, რამდენადაც გარეგანი ფორმა მთლიანად განირობებულია საგნის შიგთავსით და მისი სიღამაზე პროპორციულად დამოკიდებულია შიგ-

თავის სიერცის მრავალსახეობაზე. მაგრამ აქაც, ისე როგორც თოქმის ყველა სხვა შემთხვევაში ხაზგასმულა სისადაგრამს სუცხლებლობა და წამოყენებულია დებულება: რომ კომპოზიციის სისადავე ანუ გამოყვეთილობა ყოველთვის უნდა მივიღოთ მხედველობაში, ვინაიდან იგი სიღამაზის შემადგენელი ნაწილია. გარდა ამისა, სინათლე, წრდელნი, ფერი ანუ ყველა მკაფიო უნდა იყოს, რათა საგანი საბოლოოდ ღამაში გავხადოთ. აქ სხვადასხვაობა დიდ როლს ასრულებს, მაგრამ თუ იგი გადაამეტებულა, იქცევა იმადა, რასაც უგემოვნობასა და დაბნელობას ვეწოდებთ. ამ აზრით ერთი და იგივეა კარგად შედგენის ხელოვნება და კარგად სხვადასხვაობის ხელოვნება მხოლოდ ის წესები, რომლებიც პოგარტს წინა მსჯელობაში დადგენილად მიანიშნა, ჰქმნიან სიღამაზეს და ამ მეთოდსაგან გადახვევა ნიშნავს დაარღვიო ნაწილთა მოხდენილი პროპორციები. ილუსტრაციისათვის აღებულია სინამდვილაში არსებული ფიგურები და მითითებულია, რომ მათი სიმბინივე შეპრობებულია იმავე მიზეზებით, რაც საფუძვლად უდევს ყოველგვარ უწნო საგანს ასეთთა, მაგალითად, კატრისი, ნარშავა და ამ ვგზობიერო უხეში მცენარეების მთელი გვარი, რომლებიც მიხინჯია იმავე მიზეზებით გამო, რაც ასეთად წარმოგვიდგენს შინდასაც, ხოლო შროშინისა და შამპახის სიღამაზე წარმოსდგება შედგენის დიდი სხვადასხვაობისაგან. შრავალსახეობრივობის სიღამაზე დაუსრულებლად შეიძლება ვინაილთ ბუნებაში და თვით ბუნება, როგორც პოგარტი ამბობს, გვათავაზობს ჩვენ ამ მიზნისათვის ნივარების, ყვეალებების ფორმებში მოხდენილი მავალთების უსასრულო არჩევანს. ლეგენდური ისტორია კორინთულ კაპიტელისა, ვიტრუვიუსის წიგნში მოთხრობილი, ამ დებულების დამადასტურებელია.

ეს ლეგენდა ვიტრუვიუსს ასე აქვს ვადმოყვეული: „კორინთელი მკაქალქის ქალიშვილი, უკვე მოწიფელი ასაკის ხანაში, ავადმყოფობით ვარდაიყველა; მისი დაყრძალის შემდეგ მიძამ, შეპკობა რა მისი საბავშვო სათამაშოები, ჩააწყო ისინი კალთაში და წაიღო საფლავზე, სადაც დადგა საფლავის ძეგლის ზემოთ. შემთხვევით კალთა მოთავსებულ იქნა ავანტის ფესვზე, რომელშიც, ზევიდან სიმბინე დამოილიმა, გაზაფხულზე ფოთლები და ლეროები გაუშვა

- 1 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 165.
- 2 იქვე, გვ. 166.
- 3 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 166.
- 4 იქვე, გვ. 167.
- 5 იქვე, გვ. 167.
- 6 იქვე, გვ. 167.
- 7 იქვე, გვ. 168.

1 დაწერილობით იხ. Анализ красоты, შენიშვნები, გვ. 260—261.
2 იქვე, გვ. 260.

კალათის გვერდებზე; მისი ღეროები, კრამიტის კუთხვებით ძირს მოხრილი, დაწოლის გამო ძალუნებურად ქმნიდნენ ვარდან ხეშუქების ხეღულს. ამ დროს ჯელონის ახლოს ვაიარა კალიმაქემ, რომელმაც მარმარილოზე თავისი ნამუშევრების სიფაქისისა და სილამაზისათვის, აფენულებისაგან მიიღო მეტსახელი „დახელოვნებული“, მან შეამჩნია კალათა და მის ირგვლივ მზარდი ნაზი ფოთლები, და ფორმის სიხალთა და სახით აღტაცებულმა, ამ ნიშნის მიხედვით კოინონელებს გაუკეთა სვეტები, და აქწესა შესატყვისი ზომები და, აქედან გამომდინარე, შეიმუშავა კანონები კოინონის ორღერის სამშენებლო ნაწარმოებთა აგებულებისათვის.¹

ესეთა კორინთული ორღერის წარმოშობის ლეგენდური ისტორია, ნამდვილად ასე იყო, თუ იგი ბერძნების ნატიფი ფანტაზიის შედეგია, ეს კი არ არის მთავარი, არამედ, ამის ალარგება, რომ ბუნების მოვლენათა უსასრულო საშუაროში უთვალავი სილამაზეუა, ხელოვანს შეუძლია მათი შემჩნევა, ნიშნად აღება და სრულიად ახალი, ორიგინალური მხატვრული ფორმების შექმნა. თავისი დროის არქიტექტურაში პოგარტი ეძებს ამ ტენდენციებს და პოულობს არა ორნამენტების სილამაზეში, რომლის ძველ ხელოვნებას ახლებმა ბევრა ვერაფერი მიუმატეს; ეს ტენდენციები ნაწნის სისადავევსა, მოხატულობისა და შენობათა გულმოდგინე მოწყობაში, რაც უმადლესი სრულყოფილების დონემდეა აყვანილი.² ამის მაგალითია ლონდონში წმინდა პავლეს ტაძარი, რომელიც „არქიტექტურათა მეფემ“³ ქრისტეფორუსმა ააგო. ეს ტაძარი თავისში განსაზღვრებს ახალი არქიტექტურის ზემოთაწითელი მიღწევებს და გარეგნულად რომში პეტრეს ტაძარზე უკეთესია; ეს უნაწესკელი მხოლოდ შინაგანი შორთულობით სჯობია პავლეს ტაძარს, რომელსაც ახასიათებს უდიდესი მრავალსახეობრივობა დაუხლოებელი, გუმბათებულნი სისადავე, უზრუნველი მშენებრება, მკაცრობა სისატყის გარეშე და გადაეპარებულა სიდიდე. პოგარტს რომ პეტრეს ტაძარი ნახული ჰქონებოდა, შესაძლოა თავის მოსაზრებას სულ სხვა ვით წარმართავდა. მაშინ ის მიხვდებოდა, რომ ლონდონის პავლეს ტაძარი და რომის პეტრეს ტაძარი ორივე თავისა დროის არამარტო სილამაზეს, ამაღლებულის გრძობასაც გამოხატავდა, ორივე შემთხვევაში მშენებელი ამაღლებული ერთმანეთში ჩაქსოვილად, რიგორც ერთიანობა, რომლის მიზანი უსასრულო გრანდიოზულობის მიღწევაში პოულობს თავის აღქმავტურ გამოვლენას. ეს

მარტო ფორმა კი არ არის, ერთმა და იმავე დროს თვით ნაგებობას დანიშნულებიდან გამომდინარე შეინარსია. უდასრულესებამ განსაზღვრა სტრასბურგის ტემპლში⁴ გოტიკური შილები და განთქმული სამრეკლო, რომლის სრულ კონტრასტს ვესტმინისტერის სააბატო წარმოადგენს. მისი მთავარი დამახასიათებელია, როგორც პოგარტი ამბობს, „ფილოზოფიული ორნამენტების დიდ რაოდენობა“. მგერამ შენობის ყველა ნაწილსაც ერთნაზება კარგ გოტიკურ სტილში პირქვე იღებებს, რომლებიც მას უნდა გამოუჩაბა, რომ საბოლოოდ ამ ნაწილებმა მყარი, გამოკეთილი ხასიათი შეიძინეს.⁵ ასეთი შენობა სრულიად გამოუსადეგარი აქნებოდა სხვა დანიშნულებითა თვის, მაგალითად, სამხიარულად ან ვაჟართობად, მაშინ ის პაროფანაციად იქცეოდა, როგორც თვით პოგარტი აღიარებს. მთელ მის მსჯელობაში ფორმისა და დანიშნულებების (გარეგანი შინაარსის) ერთიანობის, სრული თანხმობის პრინციპი იმდენად ხაზსამულია, რომ სრულიად უმკველია პოგარტი მივიჩნიოთ ამ ერთერთი ძირითადი კანონის ურყვე დამცველად.

თუმცა ტალღისებური ხაზების ყველა სახეობა, თუ ისინი სწორად არიან გამოყენებულნი, დეკორატიულია ანაბობს პოგარტი, მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთი ზუსტი ხაზი, რომელსაც „სილამაზის ხაზი“ ეწოდება. ამ ხაზს იგი პოულობს როგორც სულიერ, ისე უსული საგნებში. არ არსებობს ოთახი, ტალღისებური ხაზი რომ არ ჰქონდეს. ამ ხაზების გარეშე ყველა მოძრავე საგნის ფორმა ულამაზო იქნებოდა. ასევე უზრალა და ფორამენტო განდებოდნენ კარნიზებისა და ბუხრების ძერწილი მორთულობანი, რომლებიც მთლიანად ტალღისებური ხაზებისაგან შედგებიან. სადაც ეს ხაზები არ არის, იქ არც სილა, მანვა, — შეიძლება ასეთი ვარი გამოვიტანოთ პოგარტის ამ მსჯელობიდან, მით უფრო, რომ იგი თვითონვე აკეთებს შემდეგ დასკვნას: ამით შეგვიძლია არამარტო გრადიკულად ავსნათ ბაყაის, ლორის, დათვისა და ობობის სიმახინე, რომელთა ფორმები სრულიად მოკლებულნი არიან ამ ტალღისებურ ხაზს, არამედ, ვანგარტოთ სილამაზის სხვადასხვა ხარისხი იმ საგნებისა, რომლებსაც ეს ხაზები აქვთ.⁶ მაგრამ, თუ ოთახებს განაწიოთ ტალღისებური ხაზები, ვანა პოგარტის მიერ ჩამოთვლილ ეკსტრალ არსებებს ეს ხაზები არა აქვთ? ეს ჩვენთვის გურკვევილია და ამ გურკვევილობით იმ სიმახინის ახ-

1 В. Хогарт, Анализ красоты, стр. 169.
 2 იქვე, გვ. 170.
 3 В. Хогарт, Анализ красоты, стр. 171.
 4 იქვე, გვ. 172.

1 იხ. შენიშვნები, გვ. 261.
 2 В. Хогарт, Анализ красоты, стр. 168.

სნა, რომელსაც პოპარტი გვაძლევს, კიდევ უფრო ბუნდოვანი გვეჩვენება.

ამ სორთელს პოპარტიც ვერ მალავს. იგი აღიარებს, რომ ტალღისებური ხაზის ილწურა ისევე ძნელია, როგორც ფანქრით მისი დახატვა. მართალია, ეს ხაზი სილამაზის ხაზია, მაგრამ იგი ფორმის ამალღებულ ბაზისაა ემსახურება. საბოლოო ანგაბილი ლამაზი ფორმა და ამალღებულ ფორმა ისე იჭრება ერთმანეთში, რომ ზოგჯერ შეუძლებელი ხდება მათი მკვეთრად განსხვავება. სასმელით სავსე ყანწის მავალითზე პოპარტი ასახულებს კონუსისებური ფორმისა და მოზარდობის გაძლიერების კვლად თვით მისი სილამაზის, მიმზიდველობის ზრდას. ტალღისებური ხაზები თანდათან იქცევიან გველისებურ ხაზებად, რომლებიც პოპარტს უმალღესი სილამაზის შემქმნელებად მიიჩნია, ვინაიდან მათ განსაკუთრებული თვისებები აქვთ. ამავე დროს, პოპარტი მოითხოვს გველისებურ ხაზებს მიეუფონოს ის, რაც ტალღისებური ხაზების შესახებ თქვა! აქედან ის უნდა გამოდინარყოზღებ, რომ ორივე ხაზს ყველაფერი საერთო აქვთ, მაგრამ გველისებური ხაზი თავისი ხარისხით თუ თვისებებით აღემატება ტალღისებურ ხაზს, და როგორც ტალღისებური ხაზების მრავალგვარიანში მხოლოდ ერთია ქემშირტად სილამაზის ხაზი, ისე არსებობს მხოლოდ ერთი გველისებური ხაზი, რომელსაც პოპარტი მიმზიდველობის ხაზს უწოდებს. მართალია, ეს ხაზები — სილამაზისა და მიმზიდველობისა ერთმანეთისაგან გამოყოფილია, მაგრამ პოპარტი საჭიროდ სთვლის დასძინოს, რომ ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან და უერთდებიან კიდევ. მაგრამ მართო ეს ყო არა, ისინი ასევე ენაცვლებიან და უერთდებიან უბრალო ხაზებსაც² იმდენად ღილია მათი მნიშვნელობა მშვენიერისა და ამალღებულის შემქმნაში, რომ პოპარტი საყვებით სერიოზულად ამტკიცებს: წარმოეთ თვითონ ყველაზე საუკეთესო ანტიკურ ქანდაკებას ყველა მისი გველისებური მოზრილი ხაზები და იგი ხელოვნების ფაქიზ ნაწარმოებთან გადაიქცევა ისეთ ზვეულდებრივ ფიგურად, რომლის ზუსტი ასლის გადაღებასაც უბრალო ქვისმთელი ან ხურო თავისუფლად შეიძლება. ამ მეტრე: ეს ხაზები რომ არა, ყოველ ხარატს თავის სახარატო დაზგაზე შეედღებოდა გამოეზარბა გაცილებით უფრო ლამაზა ყელი, ვიდრე ბერძნული ვენერას ყელია.⁴ და პოპარტს

სრულად ეუქველად მიიჩნია ადამიანობით გასივებული ფეხების ისევე სიაღვლილო გამოსახვა, როგორც ბოძისა. მაგრამ რატომ უნდა და მიმზიდველობის ხაზების მნიშვნელოვნებას პოპარტი ხელდას ანტიკური ხელოვნების ძეგლებში, რომლებსაც იგი ხშირად მითართავს, როგორც თვითონვე შენიშნავს. მათი პოპულარიზის გამო, არამედ, ბუნებაში, ცოცხალ სინამდვილეში, გამოკვავს რა შედეგი დასკვნა: ანტიკურობის ფანატრკობის გარდა, ვინ იტყვის, რომ არ უნახავს ცოცხალ ქალღმში ისეთი პირსახენი, ყელნი და ხელები, რომელთა გვერდით ბერძნულ ენერაც კი ასლად გვეჩვენება?³ *აქედან*

სრულად უქვევლია, რომ აღამაინს ფიგურის სილამაზე თანაზომიერებას ემყარება. ეს ძველმა ბერძენებმა და ძველმა რომაელებმავე შესანიშნავად იცოდნენ. მათ ეუფონეს აგრეთვე თანაზომიერების პირველი განმარტებანი, რომლებშიაც პოპარტს ეჭვი ეპარება. სილამაზის ანალღში⁴ იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მთელთან მიმართებით ნაწილების სიმეტრია და პარპონია“, როგორც თანაზომიერების პირობები, ქემშირტ განმარტებას არ წარმოადგენს, დაყენებულ პრობლემაზე ბუნდოვანი პასუხია და ამდენად ახალი განმარტების შემუშავება აუცილებელი ხდება. მაგრამ ანტრევის რა ძველს, პოპარტი ახალს პირდაპირ არ იძლევა. ისე იწყებს მსკელობას ფორმის ზედპირზე, ისევე აღიარებს ორნამენტებს ბუნების ნაწარმოებთა მიბაძვლან ასლდადღებდა. აყენებს პროპორციისა და თანაფარდობის, შედეგე კი შესატყვისის პროპორციელობის პრობლემას: თვით შესატყვისი პროპორციელობა მიიჩნია ისეთ მოვლენად, რომელსაც ჩვენი ცნობიერება აღიქვამს, როგორც სილამაზის შემალღგენელ ნაწილს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ თეალისათვის ეს ყოველთვის ასე არ არის. ფორმათა მიზნების მიხებაზე მოვლოდნელი გადასვლით პოპარტი უფრო ლიტერატურულ სისუსტეს ამლავნებს, ვიდრე თანმიმდევრობის უქონლობას (ეს ობიექტურად გამოდის), ვინაიდან საბოლოო დასკვნებით ამკარა ხდება, რომ იგი არსებობდა პროპორციებისა და თანაზომიერების შესახებ ღამარკობს.

ყველა ფორმა, რომელაც სინამდვილეში საყენებს გააჩნია, წარმოშობილია საჭიროე-

¹ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 182.
² ჩვენს წიგნში — „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიყენეს რენესანსის ფაქტის მხატვრულმა კანონმდებლებმა ანტიკური სილამაზის პრინციპები. იბ. გ. ჯობლაძე, „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, 1961 წ., გვ. 202—269.

³ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 174.
⁴ იქვე, გვ. 174.
⁵ იქვე, გვ. 177.
⁶ იქვე, გვ. 177.

ბით, მოთხოვნებით, რამაც ადამიანს ასწავლა მატერიალისთვის მიეცა განსხვავებული ფორმები და შეცაყვისი პაროპოციები, რათა თვით საგნები მოხერხებულად გამოეყენებინა. ასე წარმოიშვა ბოთლები, ქიქები, დანები, თევზები და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები, «განა შეუტაცხყოფის გრძნობამ არ შექმნა მახვილის ფორმა, ხოლო თავდაპირველად უფრო მრგვალი იქნებოდა ფარი?» ყველა სხვა საბრძოლო იარაღის ფორმაც ამავე მიზეზებითაა შეპირბობული. ცხოველთა სამეფოშიც ფორმითაა შეიღობილი სხვადასხვაობა წარმოშობილი უმთავრესად ობსიდუმიდან. თუ რამდენად ჩინებულია მათი ნაწილების შესატყვისობა იმისათვის, რაც მათ უნდა შეასრულონ მოძრაობის თვითუღვარში. ამ მხრივ პოგარტი ვაქილებით მალა აყენებს ბუნების მიერ შექმნილ ცოცხალ მექანიზმებს, ვიდრე ადამიანების მიერ საცოდაოდ გაკეთებულთ. მაგალითისთვის დამატებულად მოიხსენიებენ პარისის მიერ 1725 წელს გაკეთებულ საათი, რომელსაც პოგარტი უწოდებს «ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ მექანიზმს», რაც ოდესმე ადამიანის ხელიდან გამოსულა. მაგრამ საოცარი მექანიზმისათვის მოთავსი იყო ძირითადი ამოცანის — მოძრაობის შესრულება და არა თვალისათვის სისაინათვისო შენახვადობა, რაზედც გამოგონებულს ნაკლებად უფიქრია, რის გამო გარეგნულად მისი საათი ღამაზი არ იყო, თუ განვირბახავდით მის გამშვებნიერებას, მაშინ დაგვირბედებოდა ფიქრი ისეთ მორთულბათა აღმატებზე, რომლებიც მის მოძრაობას ხელს არ შეუშლიდნენ. ბუნების მექანიზმებში კი, — შენიშნავს პოგარტი, — ჩვენ ჩინებულად ვხედავთ, სიღამაზე როგორ არის შეთანხმებული სარგებლობასთან. თუ ამავე მიზნისათვის ბუნება შექმნიდა მექანიზმს, მაშინ მას მოლანად, ცალკეულ ნაწილებთან ერთად, ფორმის სრულყოფილი სიღამაზე ეჭნებოდა. ეს სიღამაზე საფრთხეს რაღაც შეუქმნიდა თვით მექანიზმის სრულყოფილ მოძრაობას და მოგვიჩვენებოდა, რომ თითქოს დეკორატიულობა მისი მთავარი დანიშნულებაა. პოგარტის აზრით, ასეთია განსხვავება ბუნების მექანიზმებსა (ადამიანი ერთერთ ასეთ მექანიზმად არის გამოცხადებული) და ადამიანთა ხელით გაკეთებულ მექანიზმებს შორის. მასვესებით სამართლიანად შენიშნავს ალექსევი, რომ პოგარტს ამ მსჯელობისათვის გამოყენებული აქვს ფრანგი მატერიალისტის ლამეტრის (1709—1751) ცნობილი წიგნი — «ადამიანი-მანქანა», რომელიც პირველად ჟილანდომა ანონიმურად გამოვიდა 1748 წელს. პოგარტი ფიქრობს, რომ ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილ მექანიზმთა შორის განსხვავების დადგენით იგი უკვე მიუახლოვდა ამოსავალ პუნქტს, ეკარგა, იმის ჩვენებას, თუ რა შედეგებს პაროპოციის უმალდეს სიღამაზე. მაგრამ ამ საკითხაც პოგარტი უშელოდ არ ეტება. მსჯელობას აწევს ფრანგი მექანიციოსის ეაკ ვაკანსონის (1709—1782), რომელსაც მარქსმა მალა შეფასება მისცა, ეკტომატური იტების მოძრაობათა დახასიათებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს იტები ფრენდნენ, კულ აწვევდნენ, ფრთხილ ატყაბუნებდნენ, თავს აბრუნებდნენ და დაყარო საკვებს კენკვევდნენ, პოგარტისათვის ეს უბრალო და მართიე მოძრაობანი მაინც უსიამოვნო იყო, ვინაიდან ღია სახით ეს მექანიზმი მეტად რთული და შესაბუნად მიუღებელი იქნებოდა. თუნდაც რომ ცოცხალი იტეს მსგავსად ყველაფერი კანთ დეფაჩათ, ეს მაინც მის ფორმას არ ვასწობებდა. აქედან გამომდინარეობს პოგარტის დაცხვაც: რაც უფრო გულბლობთ მეტი-მრავალფეროვნება მიეცეთ ჩვენი მექანიზმების უმნიშვნელო მოძრაობებს, მით უფრო დასაბრთელი და უღამაზო ხდებათ თვით ფორმები. ბუნებაში კი სრულიად საწინააღმდეგო ხდება: რაც უფრო მეტად მრავალგვარია მოძრაობანი, მით უფრო ღამაზებია მათი შექმნილი ნაწილები. ცხოველთაგან უღამაზესნი ყველაზე უფროსად მოძრაობენ, ხოლო უბრალო ფრენველი იმიოთი კარგად დაფრინავდნენ ვაკალების ცხენი უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ღოლის ცხენს; პირველის ზღმეტი ძალა რომ მეორისათვის მოგვემატებინა, ღოლის ცხენი შეიძენდა ახალ თვისებას, მაგრამ დაკარგავდა სისწრაფეს და ამ მოძრაობისათვის საჭირო ფიგურას რთულ არსებობათგან პოგარტი ცალკე გამოკვეთდა ღამაზის მოდგმას, რომელსაც მხოლოდ ერთსა აქვს უნარი იმოძრაოს ქეშპატიად მრავალნაირი და მოხდენილი მიმართულებებით. ამიტომ არც კი ღირს ვილაპარაკოთ, თუ რამდენად უფრო აღმატებულია ადამიანური მოდგმის ფორმებისა და სტრუქტურის სიღამაზე. პოგარტისათვის სრულიად უშეველია

1 იტვე, აკადემიკოს მ. პ. ალექსეივის შენიშვნები, გვ. 264.

2 იტვე, გვ. 186.

3 მ. პ. ალექსეივის მოხსენებული აქვს აგრეთვე ვაკანსონის მიერ გაკეთებული ფიგურის დამკვრელი. იხ. შენიშვნები, გვ. 264.

4 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 186.

5 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 187.

6 იტვე, გვ. 187.

1 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 185.

2 იტვე, გვ. 185.

3 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 186.

ის კუჭმარიტება, რომ ბუნებამ საკითხად მიიზ-
 ნია შეეძენა პროპორციების სიღამა-
 ზე და მოძრაობის სიღამაზე, რო-
 გორც ერთმანეთისათვის აუცილებელი
 ანტიპოდა, რომ ვინც ყველაზე უფრო პროპორ-
 ციულად ღამაზია, ის ყველაზე უფრო შეეუ-
 ებდება მოზღვნილ მოზაობებთან, როგორც
 ცა, მაგალითად, მანერტების თავისუფლება
 და გრაციოზ ან კლდე ცეკვების ყველა ზე-
 მოთქმულის დამადასტურებლად ჰოგარტს მიან-
 ნია აგრეთვე ისეთი ზეორეზარისხოვანი, მაგრამ
 ყურადღების ღირსი მოვლენა, როგორცაა ადამი-
 ანის სხეულის რომელიც ვნებავთ ნაწილი,
 დაფარული რომ არის ან უშუალოდ არ მონა-
 წილებს მოძრაობაში, დეკორატიული
 ფორმების უტყუარება (რაც მათთვის სპე-
 რია არარის), ვინაიდან „ბუნება არაფერს არ
 ქმნის ფუძე-ტყუილ-უბრალოდ.“¹ გამოწყ-
 ლისია მხოლოდ გული, კეთილშობილი
 ნაწილი, რომელიც უბრალო, მაგრამ საჭირო
 მრავალნიან ფორმის წარმოადგენს, რომლის
 მიხედვითაც შეიქმნა უღამაზისა რომელიც ურ-
 ნები და ღარნაკები.² ყოველივე ეს ჰო-
 გარტს საფუძველს აძლევს გაილაშქროს ლო-
 მაციოსა და აღბრებტი დიურერიის მ-
 თემატიკურ განზომილებათა წინააღმდეგ, წამო-
 აყვოს დებულება, რომ „ადამიანის სხეულის კ-
 ზმარტი პროპორციები არ შეიძლება მათემა-
 ტიკური სიზუსტით განზომის ხაზების დაზმ-
 რებით.“⁴ ჰოგარტი აქ მართალი არ არის, ვინა-
 იდან არც ლომაციოსა და არც დიურერის
 ისე უხეშად არ წამოყენებიათ თავიანთი შე-
 ხედულება, როგორც ამას თვით მათი კრიტი-
 კოსი წარმოადგენს. ერთიც და მეორეც მათემა-
 ტიკურ განზომილებას ანტიპო მიმართავდა,
 რომ აქედან ზოგადი კანონი გამოყვანათ,
 შემოქმედებითი პროცესი დად-
 ვინათ და მათი მიზანი სტუდებით ის არ უყო-
 ლა — უშუალოდ ბუნების განზო-
 მილება სიღამაზის ქვაკუთხედ და
 ექციოთ. ვინა ვიტრუვიუსი, როცა
 ადამიანურ პროპორციებს იყენებდა თავისი
 არქიტექტორული გენიოსათვის, ამავე გზით
 არ მიდიოდა? ადამიანის სხეულის პროპორცი-
 ათა შესწავლა პროცესის დადგენას
 გულისხმობდა და არა ხელოვნებაში უშუ-
 ალოდ გადატანას. მთელი რენესანსი ასე
 მოექცა ანტიკურ თეორიას და მით უფრო მი-
 უღებელი გვერვენება ჰოგარტის დებულება.

რომ თითქმის „ანტიკურ ფიგურათა გზამკვ-
 შედლოა ერთგვარი სამსახური გავწიოს ფერ-
 წერლებსა და მოქანდაკეებს.“¹ და
 ახალაზრდა, დამწყებ ფერწერებს და
 მოქანდაკეებს.¹ ამ სიტყვებით თვით ჰო-
 გარტმა სანახევროდ მაინც უკან და-
 ახია, რაც ნაწილობრივ მაინც აღარა ერთ-
 გვარი საკვებლობა იმ დებულებას, რომელიც
 მან აბსტრუდულად მიიზნა. მაგრამ აქ ზომ თვით
 ანტიკური კანონი შეზღუდული და დამცირებუ-
 ლია. რაც შეეხება არქიტექტურას, იქ ჰოგარტ-
 მა დატოვა ეს „მათემატიკური განზომილბე-
 ნი“, ამ მოტივით, რომ თითქმის არქიტექტო-
 რებსა და მშენებლებს საქმე აქვთ უბრალო გე-
 ომეტრიულ ფიგურებთან. საერთოდ კი ასეთი
 განზომილებანი, ჰოგარტის აზრით, ემსახურე-
 ბიან მხოლოდ იმის ასლგადაღებებს, რაც
 წინათ იყო გაცემებული.

მაგრამ, არის თუ არა მაინც საჭირო განზო-
 მილებაანი?
 განზომილებანი საჭიროა, დ ჰოგარტი ვით-
 ვიზობს სხეულისა და კიდურების ყველაზე ზო-
 გად საზომებად სიგარტებს, ვანს, სის-
 ქეს, თუმცა მისთვის არც სახაზავი, არც
 ცირკული ამ საკითხს ისე სწრაფად, ისე
 ზუსტად არ წყვეტს, როგორც სანდო თვლი,
 ეს მით უფრო სწორად მიანია ჰოგარტს, რომ
 მისი აზრით, მცირე სხვაობას დიდ სიგარტში
 თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.
 ადამიანი საღამოს დასაძინებლად რომ წყება
 ნახევარი გოჯით მოკლეა, ვიდრე დღით, რო-
 ცა ის ღვება, თუმცა თვლისათვის ეს შეუძნე-
 ველია.² ანტიკურ წამოყენებულა დებულება,
 რომელიც მხოლოდ თვალს აძლევს ერთად-
 ერთ უფლებას იყოს ნების ხელმძღვანელი ყვე-
 ლაზე სასიამოვნოს შერჩევაში. რაც შე-
 ეხება ადამიანის სხეულის პროპორციების ზე-
 სტი დადგენისათვის რეალურ წესებს ხაზების
 საშუალებით, ისინი არ არსებობენ. სრულიად
 უეჭველია, რომ ჰოგარტი აქ ცდება, უმჭობის
 იყო მას დატოვებდა სახაზავები, ცირკულ-
 ბიც რეალური წესებიცა და თვლისათვის მი-
 ეცა უზუნავის ადგილი, თუმცა ჰოგარტმა იყო-
 და რომ თვლი ზოგჯერ გეატყუებს, სრულიად
 საწინააღმდეგო სახით წარმოვიდგენს იმას,
 რაც სინამდელეშია. მაგალითად, ფანქარის მი-
 ნაზე დამქდარი ზუზი შორიდან ხანდახან ყვა-
 ეად და უფრო დიდ ფრინველად ვეჩვენება,
 ვიდრე რაიმე ვარემოება ამ შეცდომას არ გაას-
 წორებს და მის კუჭმარიტ სიდიდესა თუ
 მდგომარეობაში არ დაგვარწმუნებსო.³

ანალოგიური მაგალითები ჰოგარტს შეეძლო

¹ იქვე, გვ. 187.
² იქვე, გვ. 188.
³ იქვე, გვ. 188.

v B. Хогарт, Анализ красоты, стр. 189.

⁴ დაწერილებით იხ. ზვენი წიგნი—„ესთე-
 ტიკური თეორიის საკითხები“, 1961 წ., გვ.
 202—269.

¹ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 189.
² B. Хогарт, Анализ красоты, стр. 191.
³ იქვე, გვ. 209.

დაუსრულებლად მოგტანა. თოჯინები ამადლებულ სკენაზე (თოჯინების თეატრში, უთუოდ განათების წყალობითაც) შეუღარებლად დიდი ზანს, ვიდრე მამინ, როცა აქტიორები საზოგადოების წინაშე მათ გამოიტანებენ ოცა-ცოცხე მადლობის გამოსაცხადებლად. მხატვრულ ფაქტორ ანალიტიკური განზომილებებისათვის ყველაფერი საქირია, ხოლო ასეთ განზომილების ვარჯიშ, რომელიც შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებულთ, ხელოვნებას წინსვლა არ შეუძლია. პოგარტი მართალი იყო, როცა ხელოვნების მოვლენათა საზომად ხელოვნების საზომებს მოითხოვდა, უარყოფდა ჩვეულებრივ ფიზიკურ საზომებს, მაგრამ ლოპოცოც და დიუბრეტიც. ლეონარდოც და მიქელანჯელოც ხომ ასეთ საზომებს გულსმობადნენ? მაშინ რალა საქირი იყო „რეალურა წესების“ ასე ხელალებით უარყოფა და აბსურდად მათი მიჩნევა? მიუხედავად მთელ რიგ დებულებებში კონსერვატივის მართებულ კრიტიკისა, პოგარტი აქ აკარბებდა და შესაძლოა ამტომც გამოიწვია „სილაშაის ანალიზის“ ამ ადგილმა ყველაზე მეტი თვდასხმა მოწინააღმდეგეთა ბანაყლანა!

მაიცი რა შეადგენს პროპორციების უმადლეს სილამაზეს?

პოგარტი ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, ხოლო ნიმუშად ასახელებს ანტიონოიას¹ ქანდაკებას, რომელსაც პროპორციების უმადლესი სილამაზის თვალსაზრისით უძველეს ქანდაკებათა შორის ყველაზე უფრო სრულყოფილად მიიხნებს. ამოლონ ბელჯედერელისა და ანტიონოიას ქანდაკებათა შეპირისპირებით, პოგარტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ორივეს თანასწორი სილამაზე და გრაციოაქეთ, მაგრამ ამოლონი გამოირჩევა ზესიდიადით. ორივე ხელოვნებას შედეგრია. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ თუ ანტიონოიას მნახველი აღტაცებაში მოჰყავს, ამოლონი ანციფერებს ზეადამიანროთ. პაიიოდლეს მეორე, რომელმაც ეატეიანის ესოში ბელჯედერის ზალი გააშენა და იქ დადგა ანტიუერი ტანდაკებები (ლაოკოონი, ანტიონოია და სხვ.), როცა მე-15 საუკუნის მიწურულში აღმოჩენილ ამოლონის ქანდაკებას იძენდა ბელჯედერის ზალში დასადგმლად, ვერ შეინწნავდა, რომ ხელოვნებას ამ გენიალურ ძეგლს, რომლის ავტორიდაც ჩვენს წელთაღიგვამდე

მეოთხე საუკუნის გამოჩენილი შოქანდაკე ლეონარდოსია მიჩნეული¹ დიდი ნაკლიც ჰქონდა — სხეულის ნაწილთა არაპროპორციულობა.² მაგრამ, როგორც პოგარტს მისმა მეგობარმა მოქანდაკემ ლეონარდოსიამა დაუდასტურა, რომელმაც ბელჯედერში ამოლონის ქანდაკება ნახა, სწორედ ფეხებისა და ბარბაყების მეტისმეტი სიგრძე სხეულის ზემო ნაწილთან შედარებით ამოლონს აძლევს იმ გასაოცარ მიმზიდველობას, რაც სილამაზის უკვე ამადლებულთაან შეერთების მაუწყებელია.

იყო თუ არა ეს მოქანდაკის შეცდომა? მართალია, პოგარტი მოუხსენებლად იმეორებს ლონგინის აზრს, რომ ხელოვნების უდიდეს ქანდაკებებში სწორად შესაძნენეია წერომანებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, მაგრამ აქ ასე არ არის. ამოლონის სხეულის ქვედა ნაწილები განზრახ გადიდებულია და ამგვარად, აშკარა ხდება, რომ ის, რაც იუწერელ მშვენიერებად ჩანდა ამოლონის მთელ ქანდაკებაში, მიღწეული ყოფილა მის ერთ ნაწილში ნაკლოვანებით. ამოლონის, რომ ბუნებრივი, უფრო სწორად, ფიზიკურად დისპროპორციულობა ხელოვნებაში ხშირად უდიდესი პროპორციულობის საფუძველია ამ აზრს შემდეგ იზიარებდნენ დიდრო და ლესინგი, მაგრამ ყველაზე ადრე ანალიტიკური მიხედვრია — ბუნებრივის არაპროპორციულობის ზოგჯერ აუცილებლობისა ხელოვნებისათვის შენაშნეს ანტიკურმა ესთეტიკოსებმა, ხოლო ლონგინმა ცალკე თეზისად ჩამოყალიბა, როგორც ეს ჩვენ უკვე ვნახეთ. ლესინგს კი ისე მოეწონა პოგარტის აზრი, რომ აღტაცების შენიშვნის არ იყოს, სილამაზის ანალიზიდან მთელი გვერდი მოიტანათვის „ლაოკოონში“ და მიუთითა: „ყველაფერი ეს მეტისმეტად სწორი და გონებაშაბვილურია. ჩემის მხრივ მხოლოდ იმას დაუვებებ, რომ უკვე თეით პომეროსი გრწმობდა და მიუ-

¹ ამ საკითხზე დაწერილებით რ. კარლ Верман, „История искусства“, 1903 г., стр. 466—468. ლეონარდოს მიეწერება ავტოტეფროტორის ვიოტმანი შენიშვნაც, ვრსალის დიანა, რომელიც შეკმედეგბითი პრინციპებით ამოლონ ბელჯედერულს უაბლოგდება. საერთოდ, ლეონარდოსი წარმართულ დმერთებს აქანდაკება, ფილიპონში ყოფილა მის მიერ გაკეთებული „აღტქანადრე დიდის, მისი მშობლების—ფილიპესა და ოლიმპიას, მისი ბაბუისა და ბებუის—ამიტოსისა და ევრიდიკეს ქანდაკებანი“ (იქვე, კარლ Верман, История искусства, 1903 г., стр. 466.).

² დაწერილებით იბ. გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, გვ. 133—134.

³ В. Хогарт, Анализ красоты, стр. 195.

¹ დაწერილებით ეს საკითხი იბ. შენიშვნები, გვ. 264—265.

² თეოლოგებაში დღემდე გაურკვეველია—ეს მართლაც ადრიანეს დროინდელი ანტიონოიაა (რომლის ქანდაკება ეატეიანის ბელჯედერის ბაღში დგა), თუ სხვა რომელიმე გვირისა.

თითებდა იმის შესახებ, რომ ფეხებისა და ხარბაყების ზომათა უბრალო გადღება ფეხურას აღწევს უფრო ღირებულ შეხედულებას.¹

როგორც ქანდაკება, ისე ფერწერა ფიზიკური აპარატორციულობით რომ აღწევს ხშირად დიდი სი და გრანდიოზულს, პოვარტს დამტკიცებულად მიანიჩა, ვინაიდან არა თვით ქანდაკების ან ტალოს სიდიდე, არამედ, მხოლოდ სხეულთა ნაწილების პროპორციულობა წყვეტს სიდიადის საეიხს. მართალია, ნატურალურ ზომაზე გეტი სიდიდის ქანდაკებანი ყეს კი ანტიონის გამოსახულებაზე მეტი (კაა) ეყველთვის იგებენ კეთილმოიღებამო, სიდიდის კანონის თანახმად, როგორც ეს უკვე ვნახეთ თვით პოვარტის ტრაქტატის მეექვსე თავის განხილვის დროს, მაგრამ მარტოოდ ეს ეს სკეპარისა არ არის იმის მისაღწევად, რასაც პროპორციუბში სიდიადეს უწოდებენ. შესაძლოა ფეხურა ათი ფუტით უფრო მალო ვაევაკეთო, მაგრამ იგი მაინც შეინარჩუნებდა თავის პიკმეურ პროპორციას, იმ დროს, როცა მხოლოდ ორი გოყის სიმაღლის ფეხურას შეუძლია გამოსახოს გიგანტური სიმაღლე.² აქედან პოვარტს გამოჰყავს დასკვნა, რომ, პროპორციის სიდიადე განხილულ უნდა იქნას, როგორც სიდიდის კანონისაგან დამოკიდებული, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონი გამოყენებულა მხოლოდ სხეულის იმ ნაწილების მიმართ, რომლებსაც მას შეუძლია მოძრაობებში გრაციის მისიკეს ამიტომ, ანტიონიას ქანდაკებისათვის აპოლონ ბეღეღერელის დიდებული სიმალე რომ მოვეცე; ეს მაინც საკმარისი არ იქნებოდა იმისათვის, რათა პირველს ისეთივე ჩინებული შთაბეჭდილება მოეხდინა სიდიადის ახრით, როგორსაც ეს უკანასკნელი ახდენს. არც თავის გადღება (მაშინ ქანდაკება დამხინჭდება), არც ხეღებას ცეს მისიკემა მას რაღაც ტრანქსა და არაკეთილშობილურ შეხედულებას), არც სხეულის სიგრძისა და სიგანის მომატება (რაც ქანდაკებას აზიარია და უხეშ გახდინდა) ანტიონიას გამოსახულებას არ მისიკემს იმ სიდიადეს, რითაც აპოლონ ბეღეღერელი რელი გამოირჩევა. ანტიონია კი სხეულის ნაწილების პროპორციით უნაკლოა, ხოლო აპოლონი—მანკიერი. მაგრამ თუ აპოლონის ამ ნაკლს—უღელის, ფეხებისა და ბარბაყების მთელ სხეულთან აპარატორციულ სიდიდეს ანტიონიაზე გადავიტანთ, მაშინ და მხო-

ლოდ მაშინ ეს უკანასკნელი შიღებს აპოლონ ბეღეღერელის სიდიადეს. ფერწერაში ამ კანონის საუკეთესო დადასტურებმა პარმიჯანინოს ტილოები, რომლებზედაც სტატუილია გამოყენების აუწერელი სიდიადე, თუცა სხვა მრავალი მხრით ისინი არასწორია.³ ფიზიკური პროპორციების დარღვევა აქაც, პარმიჯანინოს შემოქმედებაში, უკუშმარტივ ხელოვნების პროპორციებს იპყრობს და გამოყენების არაჩვეულებრივ სიმაღლეს აღწევს. მაგრამ პარმიჯანინო გამოჩინავს რაღაცა პოვარტს შეგელო არაერთი ვენიოსი ფერწერალი და მოქანდაკე დაესახელებია, ვინაიდან ეს უკუშმარტივ დიდი ხელოვნების ერთერთი ძირითადი შემოქმედებითი კანონია — ბუნებრივობის დაცვით ხელოვნებაში სინამდვილის იდეალურად გადატანა.

მთელი მსჯელობა აპოლონ ბეღეღერელის სილამაზესა და ამაღლებულ ხასიათზე პოვარტს დაკავშირებული აქვს თავის მოძღვრებასთან ფიგურათა პირამიდისებური ფორმის შესახებ. აპოლონიც პირამიდის საზღვრებშია მოქცეული, ხოლო მარეზიდან დაშვებული მოფარდაგება, ამავე პირამიდულ ჩარჩოებში, სამ ფუნქციას ასრულებს: ეხმარება შენარჩუნებულ იქნას სიერთო ზედი; ავსებს თავისუფალ ელთხეს ზედის ქვევით და ამსუბუქებს ხაზების პირდაპირულობას, რაც აუცილებლად წარმოიშვება ხოლმე სხეულისადმი ზედი ასეთი მოძრაობით; აყაყაფილებს თავის მთლიანად კომპოზიციის კეთილშობილებით და მწახველს შესაძლებლობას არ ართმევს შევიკანონს მიშველი სხეულის სილამაზე.⁴ ლეციო რომ შეგვეკეთება იმ თემაზე, — შენიშნავს პოვარტი, — აპოლონის ფეხურა მაგალითად გამოადგებოდა ყველა წესს, რომელთა შესახებაც ლაპარაკი ზევით ვეკონდაო. ტრაქტატის ამ ნაწილში, ანტიკური ობიისა დამი კრიტიკულად განწყობილი პოვარტი, დიდ პატივისცემასაც ამკლავებს, თუმცა მაინჩა, რომ მთელ ანტიკურ ქანდაკებამო ოციც არ მოიჭებება ისეთი, რომლებსაც შეიძლება ჩინებულნი ვეწოდოთო. რათქმა უნდა, ეს იყო მკდარი შეხედულება, მაგრამ „სილამაზის ანალიზის“ ავტორს, ეტუობა, იმისათვის დასჭირდა, რათა მოწინააღმდეგე კონსიორებისათვის კიდევ ერთი მახვილი ჩაეთდა ფანტიკური თაყვანისმცემლობისაგან გამოეღხილებინა. ეთქვა მათთვის, რომ ანტიკური ხელოვნება სილამაზეს, სიდიადეს აღწევდა ზუსტი გველისებური ხაზის გამოყენების ჩინებულ ცოდნით, რაზედაც დამო-

¹ Lessing, Laokoön или о границах живописи и поэзии, 1883 г., стр. 186.
² В. Хогарт, Анализ красоты, стр. 196.
³ იგვე, გვ. 196.

¹ В. Хогарт, Анализ красоты, стр. 197.
² В. Хогарт, Анализ красоты, стр. 198.

კლებული იყო მათი შალაღი გემოვნება. მაგრამ ანტიკური მშენებლების ეს მიზნი თავიდანვე საცნაოდ არ იყო გაგებული და ამიტომ ვასაკვირო არ არის, თუ იგი ეჩვენებოდათ საიდუმლოებათ, რაც კაცობრიობას ანტიკური ნაწარმოებებისადმი ჩაღაც რელიგიური თაყვანისცემის მსგავსად განაწყობდა, ბრძმა პეტროსკისმასაც კი უნერგავდა. პოგარტი ფიქრობს, რომ ამან წარმოშვა აგრეთვე ის ვაჭნილო ადამიანები, რომლებმაც ზოროტად ისარგებლეს ანტიკური ხელოვნების ბრძმა თაყვანისცემლებით და ყალბისმქნელობას მიჰყვეს ხელი. მათ დაიწყეს ყალბი ასლების ორიგინალუბად გასაღება, ზოლო ვინც მათ აშხელს, მას ნათლავნ ისეთ უციც, შურთან ადამიანად, რომლისთვისაც უცხო ყოველგვარი კვამარიტა და ამადღებულ კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილი უმთავრესად აღტაცებაში მოდის იმით, რაც მისთვის ყველაზე ნაკლებად არის გასაგები. მითყუებული და მომტყუებული ხომ ორივე ერთნაირად ჯდოვდებიან, როგორც ბატლერმა თავის ჰუმორში — „გუდობრასი“ შენიშნა! არამარტო უცნო სიარტის, არამედ, საერთოდ ანტიკურის სახელით ყალბის მქნელთა, ხელოვნების ეპირთა და ყოველგვარი ძველისადმი ფანატურად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ ამ მთურიდებელ ბრძოლაში პოგარტი აღდენად მართალი იყო, რამდენადაც გულწრფელი.

საივე გულწრფელად სწამდა მას გველი ისე ბუჩუკი ხაზების მნიშვნელობა აგრეთვე პირისახის სიღამაზის შექმნაში. უამრავ პირისახეთა შორის ორიც კი არ არის ისეთი, რომ მათი განსხვავება ადამიანის თვალმა ვერ შეიძლოსო, თვალის ამ მჭკრეტელობითი უნარის სრულყოფით კიდევ შეიძლება მეთოდური გამოკვლევებით, რასაც მხატვარმა ჯონათან რიხარდსონმა, როგორც პოგარტი ამბობს, „ხედვის ხელოვნება“ უწოდა. სულ ელემენტარული დაყირვებაა სპირო, ზოლო თუ მეათლის ნაჭრებით პირისახის ასლს ვადავლები, დავინახავთ, რომ პირისახე შედგება გველისებური ხაზებისაგან, ზოლო სავოველთაო აღიარებით „სახე — ეს სხვეულის სარკეა“. ამიტომ ადამიანის პირისახის ცვლილებას მრავალი მიზეზი იწვევს და ხშირად გარეგნული გამომეტყულება შინაგანი არსების სრული გამოვლენაა, კეთილი სახე, პატოსანი, გულთა გამოვტყულება, ცბიერი კაცის, თაღლითის, ქვე-

ანის, სულელის პირისახე თითქმის აღვილი გამოსაცნობია, მაგრამ ხელს გვიშლის წინასწარი აზრი, როცა ვუყურებთ მეფეებსა და მკვლელებსა და წმინდანებს, მაგრამ არას შექმთხევეები — სახე ერთნაირ შთაბეჭდილებას ახდენს ყველა მნახველზე. მაგალითად, რეგენის (იდიოტის) ყველაზე უფრო სრულყოფილი გამოხატულება თვით საენის მიმართ არაენს გვეს არ აღუძრავს. მაგრამ პოგარტი მაინც ფიქრობს, რომ ამით ოდნავაც არ ერყვეა საფუძველი უძველეს სენტენციას, რომელსაც გენიალურ რომაელ სატირისოს იტყვენალს მიაწერენ —

Fronti nulla fides — „შუბლს ნუ ენდობი“ (გარეგნობით კაცს ნუ შეაფასებ), ვინაიდან არის მრავალ მიზეზი, როცა ადამიანის სახეს ან მოძრაობას ცელის ბევრი შემთხვევითი მოვლენა, ვანა მკვლელს ზოგჯერ ნაზი და მოძლიმარე სახე არა აქვს? თაღლითს — მიმზიდველი, რითაც ის თავის მსხვერპლს უბედურების ბადეში იტყუებს, ზოლო ჭკვიანს — უსიზმარო? ეს მაინც გამონაკლისია, ზოლო ტიპურთა ძირითადი ნიშნებით აღტურვითი სახეები, რამაც სატურენების მანძილზე შექმნა გარკვეული გამომეტყუებლის თვისებები (პატარა და დიდი თაღლითი ხასიათების მიხედვით წარმოდგენილი და ა. შ.). ძველმა ოსტატებმა ეს კარგად შეისწავლეს, ფიქრობს პოგარტი, და მას იყენებდნენ როგორც მდამბალი, ისე ამადღებულნი სახეების შესაქმნელად. ყველაფერი ეს „სიღამაზის ანალიზის“ ავტორს დაეპირლო აქვს უბრალო და გველისებური ხაზების ფუნქციებაზე, რითაც ამტკიცებს, რომ ერთთან ეს ხაზები სულ სხვა მნიშვნელობას იძენენ, ზოლო მეორესთან კიდევ სხვას. პოგარტს მოჰყავს მის მიერ ნახული ერთი მათხოვრის მაგალითი, რომელსაც თვით ძმანებში ოსტატურად ჰქონდა გახვეული, სახეც საცნაოდ გამხდარი და ფერმკრთალი, რათა სიბრაღული გამოეყენია. მაგრამ პირისახის ნაკვეთები ამ მიზანს არ შეეფერებოდნენ და როცა ის ცდილობდა ტკივილისა და მწუხარების შთაბეჭდილება შეექმნა, უფრო მეტად მხიარულ ღიმილს ემსგავსებოდა! ამიტომაც, რომ სერიოზული გამომეტყულება და საზეიმო მუხედულებანი ყოველთვის არ წარმოდგენენ სიბრძნის დამახასიათებელ ნიშნებს, ჯამაზში, რომელაც ერთ წერტილში თავს უყრის მთელ ყურადღებას წონასწორობის შესანარჩუნებლად, შეიძლება იმ წუთში არანაკლებ ბრძნულად გამოიყურებოდეს, ვიდრე უდიდესი ფილოსოფოსი მეზობის დროს.

1 B. Хогарт, Анализ красоты, стр. 198—199.

2 იქვე, გვ. 220.
3 იქვე, გვ. 221.

სხეულის მდგომარეობას, მოძრაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიღამაზისა და ამადღებულის შექმნაში, მაგრამ ყვე-

ლაფრო აქვს პოგარტისათვის ხაზები, რომლებიც არსებითად წყვეტენ საქმის ვითარებას. ყველაზე მიზიდულად ადამიანს შეუძლია თავისი ვარგებობა დაამახინჯოს, თუ მიიღებს პოზებს, რომლებშიც მისი სხეული და კიდურები წარმოდგენილი იქნებიან უბრალო ხაზებით¹ და ყველა მოძრაობა მით უფრო ლამაზი გვეჩვენება, რაც უფრო მეტად ტალღისებური, გველისებური ხაზებით იქნება განსაზღვრებული. საერთოდ, მოძრაობაში ადამიანს შეუძლია მთლიანად გამოავლინოს თავისი თავი, ამიტომ მოძრაობას ეძება ყველა ის წესი, რაც სილამაზის ან სიმახინჯის მიღწევას ემსახურება. გრაციოზული მოძრაობა საერთოდ წარმოუდგენელია, ჩვენებს თან ერთად, გონების ვარგებუ, მაიმუნსაც თავისი აღნაგობით შეეძლო საკმაოდ გრაციოზული ეოფილიყო, მაგრამ ამისათვის მას გონება ესაჭიროება. რაკი ვინცა არა აქვს, არავითარი შესაძლებლობაც არ არის, რომ მაიმუნი ვაძულოდ ლამაზად მოძრაობდეს² ყოველი დეკორატიული მოძრაობა ხასიათის გამომხატველია. მოძრაობის სწრაფი ტემპი გამოხატავს ვინებამახეულობას და სიმკვირცხლეს, ხოლო ნელი — სერიოზულობას, ზეიმსა რაკი ცეკვა ტალღისებურ და გველისებურ ხაზებს არ შეიცავს, მაშინ ის პოგარტისათვის სასაცილოდ, თეთი შექსპირი „ზამთრის ზღაპარში“ ცეკვის აღწერას ზღვის ტალღისებურ მოძრაობას უკავშირებს. ასეთი მოძრაობის საუკეთესო აღმქმადურ ფორმად პოგარტს მიანია მენუეტო, როგორც მოძრაობათა მშვენიერი კომპოზიციის³ თუ ცეკვა მოკლებულია გველისებურ, ტალღისებურ ხაზებს, მაშინ ის მდამალი გროტესკული და კომიკური ზღვება. მაგრამ მოძრაობათა მრავალფეროვნებაში პოგარტი განარჩევს მოძრაობათა ხასიათს შამაკაცებისა და ქალებისათვის. უხეშში მოძრაობანი, რომლებიც დასაშვებია მამაკაცებისათვის, ზიზღს გამოიწვევდნენ, თუ მათ ქალები შეასრულებდნენ. და პირიქით, უმაღლესი გრაციოზულობა, რაც ქალთა სქესში გვიზიდავს, საზიზღარი იქნებოდა მამაკაცებში. ყოველი პოზა ხასიათის გამოხატველია და ამიტომ განსხვავებენ არღეკონის,

სკარამუნოს, პიეროს, პულჩინელოს პოზებს, მაგრამ, ჩვენთვის სრულად გაუგებარია პოგარტის დებულება, რომ თითქმის „სერიოზული ცეკვა“ — ეს ზომი თეთი ტრამინებშიც კი წინააღმდეგობა⁴ და ამდენად იგი არ არსებობს. სამაგიეროდ თეთი პოგარტის მიერ აღწერილი კონტრდანსი, „იდუმალეზი მოცული ცეკვა“, რომლის ანალოგიას ხედავს მილტონის ანგელოსთა ცეკვაში მოაწმინდასთან, ამ აზრს აქარწყლებს. პოგარტს რომ ენახა მარტოაღენ ქართული⁵ ან „სამაია“, თავის დებულებაზე აღბად უარს იტყობდა.

თიქოს სამაგიეროდ პოგარტმა იქვე გენაღერად შენიშნა, რომ აქტიორი ქალი საკმაოდ გრაციოს აღწევს მოძრაობათა ნაკლები რაოდენობით, ვიდრე აქტიორი მამაკაცი. პარალელად გამოყენებულია ვენერა მილოსელი და ამოლონ ბელვედერელი. „სადგანად ხაზებს, რომლებსაც მოხაზულობას შეადგენენ, აქვთ დიდი სისადავე და სინარჩარე, ვიდრე ამ ხაზებს, რომლებიც ამოლონის მოხაზულობას შეადგენენ, მაშინ აქტიორი ქალის მოძრაობანიც შესაბამისად უნდა განსხვავდებოდნენ აქტიორი მამაკაცის მოძრაობათაგან⁶ ეს იყო თეატრალურ ზელოვნებაში რეალისტური პრინციპების განმტკიცებისათვის ბრძოლა და შემთხვევითად არ ჩაითვლება, რომ პოგარტმა შექსპირს მიმართა, კერძოდ, მის „ამალეტს“. საიდანაც დანისა პრინცის ენობილი სიტყვები მოიბანა, თუ როგორი უნდა იყოს ქვეშეპირი ხელოვნება. სრულად უეჭველია, რომ პოგარტი, მსგავსად განმანათლებლებისა, რეალისტური ხელოვნებისათვის იბრძოდა. ეს შენიშნეს როგორც ვერმაენლა და ფრანგმა, ისე რუსმა განმანათლებლებმა. ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს „სილამაზის ანალოზი“ აეტრის, რომელმაც მთელი თავისი ბრძოლა კონესიორიზმის წინააღმდეგ ხელოვნების ყველა დარგში რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლად გადააქცია. პოგარტის ანტიკონესიორიზმი რეალიზმისათვის გზის გაკაფვას წარმოადგენდა.

¹ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 229.
² იქვე, გვ. 233.
³ იქვე, გვ. 234.
⁴ იქვე, გვ. 237.

⁵ B. Хогарт, Анализ красоты, стр. 238.
⁶ იქვე, გვ. 240.

ი. შოშია

დიდი მეცნიერი და მოქალაქე

გარდაიცვალა თანამედროვე ქართველოლოგის უპირველესი და უწარჩინებულესი სიბრძნისმეტყველი, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დიდი მემკვიდრე აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

ქართველოლოგიის დიდი მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, ჩვენს მეცნიერებას არ განუცდია ესოდენ მძიმე დანაკლისი.

უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იგი საოცარი სიმზნითა და ჭაბუკური გატაცებით განაგრძობდა თავის მეცნიერულ მოღვაწეობას, რომელსაც თითქმის სამოცი წლის მანძილზე დაუტყრომელი შრომითა და რუდნებით ეწეოდა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული მწერლობის წარმოსაჩენად და სადიდებლად, თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრის სასახელოდ.

კორნელი კეკელიძის მთელი მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია მეცნიერებისადმი, მშობლიური კულტურისადმი თავდადებული და უანგარო სამსახურისა. კ. კეკელიძე ღარიბი ოჯახიდან იყო გამოსული. ყმაწვილი ხარბად ეწეფება ცოდნის წყაროს, ერთიმეორეზე სძლევს სხვადასხვა დამბრკოლებას და შეუპოვრად მიიწევს წინ მეცნიერების მწვერვალებსაკენ. მაღალი ნიჭითა და იშვიათი გულმოდგინებით მან ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს საერთო ყურადღება მიიპყრო. კორნელი კეკელიძე

წარმატებით ამთავრებს სემინარიას. ხელმოკლეობამ მას ჩაუხშო ოცნება პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შესვლისა. კ. კეკელიძეს საშუალება მიეცა სწავლა განეგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, სიტყვიერების განყოფილებაზე. იგი იმთავითვე ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში და თავი გამოიჩინა მეცნიერული კვლევის დიდი უნარით. აქ მას განსაკუთრებით იზიდავდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზებულ ხალხთა ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. სასულიერო აკადემიის კედლებში იგი ახერხებს მიიღოს ფართო და საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება, რასაც შემდგომ წარმატებით იყენებს ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა კვლევისათვის.

გამოჩენილ მეცნიერ-სპეციალისტთა მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურა 1904 წელს კ. კეკელიძის საკანდიდატო დისერტაციამ ქართული ლიტურგიკული ძეგლების შესახებ, რომელიც მან შემდგომ მნიშვნელოვნად შეავსო და გადაამუშავა და 1908 წელს ბრწყინვალედ დაიცვა, როგორც სამაგისტრო დისერტაცია. ეს იყო კეკელიძის პატრიოტიზმით გამსჭვალული ვრცელი და ფრიალ სოლიდური გამოკვლევა, ახალგაზრდა მეცნიერის პირველი დიდმნიშვნელოვანი წვლილი მშობლიური ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში.

მომდევნო წლებში კორნელი კეკე-

ლიძემ თავი ისახელა ახალი შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევებითა და მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“, „ძველი ქართული არქივარტიკონი“ და სხვა. მეტად საგულისხმოა, რომ, როდესაც 1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაადგინა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სერიის გამოცემა, ამ გამოცემის საუკეთესო შემსრულებლად ერთხმად იქნა აღიარებული კ. კეკელიძე, რომელსაც მიენდო ამ დიდი და რთული საქმის განხორციელება.

ინტენსიურ და ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევადმიდებთან ერთად კორნელი კეკელიძე ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და აქედან თავი გამოიჩინა, როგორც მშობლიური ენისა და მწერლობის შეუპოვარმა ჭომაგმა. იგი თავგამოდებით ესარჩლებოდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას ჩვენში. გარდა ამისა, კ. კეკელიძე იმთავითვე ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სხვა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობაში.

მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის ფართო პორტოფოლი გადამიშალა კორნელი კეკელიძის წინაშე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში. ამ დროიდან იწყება განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი მის მოღვაწეობაში. სოციალისტური წყობილების პირობებში მძლავრი აღორძინება-აყვავების გზაზე დამდგარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში ლაღად გაშალეს ფრთები კ. კეკელიძის ბრწყინვალე ნიჭმა და არაჩვეულებრივმა შემოქმედებითმა ენერგიამ. უკვე 1923-1924 წლებში მან გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური ორტომეული — „ძვე-

ლი ქართული მწერლობის ისტორია“. ეს იყო ფასდაუდებელი განძი თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, მთელ ჩვენს მეცნიერებაში.

ამ კაპიტალური ნაშრომით, რომელიც წარმოადგენს ავტორის მთელი წინადროინდელი მეცნიერული მუშაობის ახალ შესანიშნავ განვითარებასა და შეჯამება-განზოგადებას, კორნელი კეკელიძე მოკვეცილია ძველი ქართული მწერლობის ყოვლისმომცველი და ნამდვილად მეცნიერული ისტორიის შემქმნელად. სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე ავტორი შეუწელებლივ სრულყოფდა თავისი მეცნიერული ნაღვანის ამ გვირგვინს, რომელიც მკითხველს ხიბლავს მასალის სიუხვით, მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით. ეს არის სამაგიდო წიგნი ყველა იმათთვის, ვოსაც აინტერესებს ქართველი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის საფუძვლიანი გაცნობა. ყოველ ახალ გამოცემაში (დღემდე პირველი ტომი გამოშვებულია ხუთჯერ, ხოლო მეორე ტომი — ოთხჯერ) ახალი ძალით იჩენს თავს ავტორის სამაგალითო ერუდიცია და უზადლო მეცნიერული აღღო ურთულეს საკითხების გარკვევისა.

კორნელი კეკელიძე არის ქართული მწერლობის ისტორიის უდიდესი მკვლევარი, რომლის შრომებმა შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს კულტურულ წარსულს და მთელ ქვეყანას თვალნათლივ დაანახეს ქართველი ხალხის ღირსეული წვლილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. კ. კეკელიძის მრავალი შრომა, მათ შორის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველი ტომი, გამოცემულია სხვადასხვა უცხოურ ენაზე და დიდად დაფასებულია მეცნიერთა შორის, განსაკუთრებით ორიენტალისტთა წრეებში.

დიდი მეცნიერის გონების შოქი გადასწვდა მსოფლიო ლიტერატურის არაერთ ბრობლემატურ საკითხსაც. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ კორნელი კეკელიძის თვალსაჩინო როლი და დამსახურება ბიზანტიური

ლიტერატურის ისტორიის შესწავლაში. კ. კეკელიძემ დიდი დრო და ენერგია მოახმარა ქართულბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხთა შესწავლას და ნაყოფიც უხვად მოიშკო. მან აღმოაჩინა, მეცნიერულად გამოკვლია და გამოსცა ბიზანტიური მწერლობის მრავალი საყურადღებო ძეგლის უძველესი ქართული თარგმანები, რომელთა ბერძნული დედნები დღემდე დაკარგულად ითვლება, და ამით შეიქმნა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი ხარვეზი. კ. კეკელიძის ამ გამოკვლევებმა და პუბლიკაციებმა მსოფლიოს გამოჩენილ ბიზანტისტთა ცხოველი ინტერესი და მხურვალე მოწონება დაიმსახურეს, კერძოდ მისმა შრომამ „ოიანე ქსიფილინოსი— სვიმეონ მეტაფრასტის გამგრძელებელი“ მსოფლიო მეცნიერებაში დიდი სენსაცია გამოიწვია. არ შეიძლება აქ არ მოვიხსენიოთ კ. კეკელიძის ძვირფასი გამოკვლევა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, რომელიც შეიცავს უაღრესად საყურადღებო და ხშირ შემთხვევაში უნიკალურ ცნობებს მსოფლიო მნიშვნელობის მთელ რიგ ავტორებსა თუ ცალკეულ ნაწარმოებებზე და რომელსაც დიდი ინტერესით შეხვდნენ საზღვარგარეთ.

კორნელი კეკელიძე იყო ფართო დიპლომატიის მკვლევარი, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ქართველოლოგიის არა ერთ დარგში. მან დიდმნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ძველი ქართული ენის, ქართული პალეოგრაფიის საკითხებს. ერთ კარგ მამულიშვილს სასახელოდ მართო ისიც ეყოფოდა, რაც კ. კეკელიძემ ქართულ სკულმდებლობის ისტორიის შესწავლისათვის გააკეთა. იგი იყო დიდი ტექსტოლოგი და წყაროთმცოდნე. მის მიერ აღდგენილი და გამოცემული ტექსტები ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობის ძვირფასი მონაპოვარია. ყველას, ვისაც კი ტექსტების მეცნიერულკრიტიკულ დადგენასა და კომენტირებაზე უმუშავნია, არ შეიძლება არ ხიზ-

ლავდეს ის ბრწყინვალე ფილოლოგიური კვლევა-ძიება, რაც კ. კეკელიძეს ჩუქარებია, რათა აღედგინა და გაეშუქებინა თამარის მეფობის უზადლო ქართული — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომლის ტექსტი წარყვნილი სახით იყო შემონახული.

ჩვენი ისტორიოგრაფიის დიდმნიშვნელოვანი შენაძენია აგრეთვე კორნელი კეკელიძის მთელი რიგი შრომები, სახელდობრ, „ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი“, „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, „ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში“ და სხვა. ეს შრომები მრავლად შეიცავს საისტორიო წყაროთა კომენტირების შესანიშნავ ნიმუშებს.

კორნელი კეკელიძის შრომებში ჩვენ გვხვობავს დარბაისლური ქართული, მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის მდიდარი მხატვრული ლექსიკა. ამასთან იგი იყო რამდენიმე ძველი თუ ახალი ენის ჩინებული მცოდნე. მან დაგვიტოვა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებისა და ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობის ცნობილ ნაწარმოებთა უზადო რუსული თარგმანები.

კორნელი კეკელიძე იყო მეცნიერული მუშაობის შესანიშნავი ორგანიზატორი. ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან შექმნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ მომენტამდე. მისი ინიციატივით შეიქმნა აგრეთვე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი სათავეში ედგა მრავალი წლის მანძილზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში კ. კეკელიძე უძღვებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას, როგორც დეკანი და პრორექტორი.

დიდა კორნელი კეკელიძის ღვაწლი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად-

დემიის ისტორიაში, როგორც ამ აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა, მისი ერთ-ერთი უპირველესი და უწარჩინებულესი წევრისა, რომელიც არაფერს იშურებდა ქართული საბჭოთა მეცნიერების ამ მეთაური კერის განვითარებისა და აღზევებისათვის.

ფასდაუღებელი დამსახურება მიუძღვის კორნელი კეკელიძეს პედაგოგიურ სარბიელზე. იგი იყო ახალგაზრდა თაობათა დიდი აღმზრდელი, მათი საუკეთესო და მზრუნველი მეგობარი. კ. კეკელიძისაგან ბევრად არიან დავალებულნი მთელი რიგი ჩვენი ცნობილი მკვლევარები და მწერლები, რომლებიც ამჟამად ამდიდრებენ ჩვენს მეცნიერებასა და ლიტერატურას. კორნელი კეკელიძე იყო მგზნებარე პატრიოტი, იშვიათი ადამიანი და მოქალაქე, თავდადებული და გულისხმიერი მასწავლებელი. მეცნიერების უპირველეს დანიშნულებას იგი ხალხის სამსახურში ხედავდა. მისთვის ყოვლად უცხო და მიუღებელი იყო კარჩაკეტილი მეცნიერული მუშაობა, მუდამ ხალისიანად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, საამისოდ მუდამ პოულობდა დროსა და ენერჯიას, ინტენსიური მეცნიერ-

რული მუშაობით უაღრესი დატვირთულობის მიუხედავად.

თავისი დიდი და მრავალმხრივი მოღვაწეობით, ამასთან მაღალი მოქალაქეობრივი და იშვიათი ადამიანური თვისებებით კორნელი კეკელიძემ ჩვენში საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა. ამის მკაფიო გამოვლინება იყო ღვაწლმოსილი მეცნიერის 80 წლისთავის იუბილე, რომელიც დიდი სიხარულით იხეიმა ქართველმა საზოგადოებრიობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა. იუბილარმა გულითადი მადლობა გადაუხადა მშობელ ხალხს, მისი ღვაწლის დაფასებისათვის, ხოლო თავის მოწაფეებსა და ჩვენს ახალგაზრდობას უანდერძა: დაუცხრომლად განაგრძეთ ქართველოლოგიის საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება, რათა ამ მუშაობის ცენტრმა სამშობლოს ფარგლებს გარეთ არ გადაინაცვლოს.

კორნელი კეკელიძის ღვაწლსა და ამავს ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წინაშე ყოველთვის დიდად აფასებდა ჩვენი პარტია და ხელისუფლება.

კორნელი კეკელიძის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება ქართველი ხალხის გულში.



პ. ზირსხალიძე

მხატვარ გ. გ. გაგარინის მოხსენება მინისტრ ჩერნიშევსადმი

გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინს (1810-1893) ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც დიდ და ნიჭიერ მხატვარს. მან ორჯერ მონა-ხელა საქართველო, გაიყნო ქართულ ხალხს, მის კულტურას და თავისი მხატვრული ნამუ-შევრებით უკვდავო იგი.

საინტერესოა გაგარინის მიერ რუსეთის სამ-ხედრო მინისტრ ჩერნიშევისადმი წარდგენილი, დღემდე სრულიად უცნობი, „მოხსენებითი ბა-რათი“, რომლის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა შეადგენს ამ წერილის მიზანს.

გ. გაგარინმა განათლება მიიღო პეტერბურგ-სა და იტალიაში. საქართველოში გაგარინი პირველად 1840 წ. ჩამოვიდა და დაყო 1843 წლამდე. მონაწილეობას ლეზღობადა სამხედ-რო მოქმედებაში მთელთა წინააღმდეგ. 1843 წ. იგი დაინიშნულ იქნა ფლიგელადიუტანტად. მეორედ საქართველოში ჩამოვიდა და ცხოვ-რობდა თბილისში 1848-1854 წლამდე. საქართ-ველოში ყოფნის ხანა მისი შემოქმედების ყვე-ლაზე ფერო ნაყოფიერი პერიოდია. გულად-მა, ენერგიულმა და ტემპერამენტთანა ქართ-ველმა ხალხმა, თელწარმტყმა ბუნებამ, შო-რელ მხარეში სამხედრო ლაშქრობამ წარუშ-ლული შთაბეჭდილება დატოვა გაგარინზე და მის შემოქმედებას ახალი საზრდო მისცა. თბი-ლისში მეორედ ჩამოვლისას გულმოდგინედ სწავლობდა იგი საქართველო-სამხეთ-აზერბაი-ჯანის ხალხთა ყოფიერებას და ხელოვნე-ბას, განსაკუთრებით დაინტერესებულ იყო ძველი არტიშტრით.

1848-1850 წწ. თბილისში ყოფილ ვრევის მოედანზე (ახლა ლენინის მოედანი) მოქალაქე თამაშებმა ააგო ქარავსლა და გაგარინის მიერ შედგენილი გეგმით — თეატრი, რომელიც შემოკო, მოხატა იმავე გაგარინმა. ამ თეატრის შესახებ მეფისნაცვალ ვორონცოვი თავის მოხსენებაში ამბობდა, რომ ეს იყო „ერთი

ულამაზესთავანი თეატრი ევროპაში“¹ გაგარინ-ის გეგმითვე იქნა აგებული რამდენიმე ვა-ლესია.

გაგარინის ეკუთვნის ლიტერატურული შრო-მებიც, ზოგი მათგანი დაიბეჭდა თბილისში, ზოგი — პეტერბურგში.

თბილისში გაგარინი წიღებულ იყო პოეტ ა. ქავკაიძის ოქაზში, სადაც ხეღებოდა ქართ-ველ და რუსეთიდან ჩამოსულ მოწინავე ინტე-ლიგენციას. განსაკუთრებულ ყურადღებას იყ-რობენ გაგარინის მიერ შესრულებული დ. ქავ-კაიძის (ა. ქავკაიძის ვაჟის), მაიკო ორბელია-ნისა და სახალხო მომღერალ სათაბას პორტ-რეტები და სურათები: „მოდანი და შაითან-ბაზარი“, „ქვიფი ორთაჟალის ბაღებში“, „თე-ატრი წყარო, სამეგრელოს-პოლკის მთავარი ბა-ნაიკი“, „უარაღაჯი, ნიეგოროლის პოლკის მთა-ვარი ბანაიკი“, „გზა თბილისსა და თელავს შო-რის“ (აქყარელი) და სხვ.

1855 წ. 27 სექტემბერს თბილისის საზოგა-დოებამ გაგარინს გამოსათხოვარი სადილი გა-უშარათაჟ მეორე დღეს (28 სექტემბერს) გაზ. „Кавказ“-მა გაგარინს უძღვნა ფელეტონი². „თავად გ. გ. გაგარინის სამხატვრო დამ-სახურება ამიერკავკასიის მხარისათვის დი-დი და ყველსათვის ექვს გარეშეა. ...თვა-ლწარმტაცია კავკასიონის შესანიშნავი შენობა (La Caucase pittoresque), მის მიერ მო-კეთებულ და მოხატულ ჩვენი თეატრი, რომ-ელშიც უწყვე დიდი ხანა ფართოდ გაითქვა-სახელი, როგორც კოსტამ, მეტად ორიგინა-ლურმა და ამავე დროს წარმატებულმა ცდამი გამოეყენებინათ არაბული სტილი შენობისათ-ვის, რომლის დანიშნულება სრულიად უცხოა

¹ Акты Кавк. арх. ком., т. X, стр. 99.
² Акты, т. XI, № 969.
³ გაზ. „Кавказ“, № 76, 1855 г.

აღმოსავლეთისათვის, და ბოლოს... სიონის ტაძრის შინაშორებულობის იღვცნა (...ეგრძო შენობებოც კაცასიის ფარგლებს ვარტო ამენე-ბულა ან მოკეთებულო მისი ნახატებით, ან მისი მხატვრული მონაწილეობით) — წერდა ფელეტონის ავტორი.

გაგარინის მხატვრობაში, როგორც ა. სავი-წოვი წერს, ჩვენ ვერ ვხედავთ აოციციალურ, რეაქციურა დიდმპყრობელობის ელფერსაც კა, ასინი ინტერესთა და პატივისცემით არიან გამსჭვალული ამერკაცეასიის ხალხთა შემოქმედებითი ნიქისადმი¹.

გაგარინი, გაეცნო რა ცარიზმის მმართველობას ამერკაცეასიაში, 1849 წ. 27 დეკემბრის ახარლით უზგაენის მოხსენებას სამხედრო მინისტრს ა. ი. ჩერნიშევს. ამ მოხსენებაში მოკლედ და სხარტადა მოცემული კალონიურა ამერკაცეასიის სურათი.

გაგარინის გამოსვლა ნიკოლოზ I რეაქციულ ხანაში იყო დიდი მოქალაქეობრივი ვაბედულება. ასეთი აშკარა და გულწრფელი კრიტიკა იმ დროს არავის არ მოუცია, ვანსაკუთრებით ისეთი მხალი თანამდებობის პირს, როგორც იყო მეფის ფლიგელადიეტანტრა სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბ. ზ. ვაგარინი.

ვაგარინის ასეთი გამოსვლა შემთხვევითი რომ არ იყო, ეს ჩანს შემდეგიდან: ვაგარინი ვიცე-პრეზიდენტობისას თავგაყოფებით გბრძოლა აკადემიაში არსებულ ჩამორჩენილობასა და მიუროკრატიზმს. 1872 წ. მან თავი ვაინება აკადემიაში მუშაობას. თანამშრომლებთან საფარო გამომშვიდობებისას კი განაცხადა, რომ მას, როგორც ვიცე-პრეზიდენტს, შიანნი „безчестным занимать место, которое лишено всяких занятий, всякой пользы“. ამ სიტყვებიდან ვერწმუნდებით, რომ ვაგარინი იყო მისი დროის დიდი მოქალაქე და მეცენატი, რომელიც თავის სინდისს არ ყიდდა მხალი თანამდებობის საეარმელზე. იგი იყო აგრეთვე თავისუფლებისმოყვარული კაცასიის ხალხების მეგობარი. ვაგარინის მოღვაწეობა შინეწებულა იმისა, რომ რუსი ხალხის სუყე-თესა და მოწინავე შეილებს სიმპათია ცარიზმის უღლით დანაგერული ხალხის მხარეზე იყო.

ჩერნიშევი ვაგარინის მოხსენება წარუდგინა მეფე ნიკოლოზ I. ჩერნიშევი თავის პასუხში ვაგარინს აცნობებს: „ხელმწიფე იმპერატორი აქვენი შრომის წაქითხვის შემდეგ თვლის მეტად სანაჭებოდ, რომ მისი უღიდებულებობის ფლიგელადიეტანტები გამოსოქვენ თა-

ვინათ აზრებას და შენიშვნებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც არიან ამდენად შენიშვნელოვანი სამსახურისა და სახელმწიფოს კეთილმოწყობისათვის“.

ეს ამონაწერი უფრო დაციენაა, ვიდრე ქება, ვაგრამ ამას არ მოყოლია რეპრესია ვაგარინის მიმართ.

ქვეშით ვაქვეყნებთ ვაგარინის მოხსენებას.

30 დეკემბერი 1849 წ.

მის ბრწყინვალებას თავად ა. ი. ჩერნიშევს მოწყალეო ხელმწიფე.

თავადო აღექსანდრე ივანეს ძეგ!

თავადო, მე კარგად ვიცნობ თქვენს გრძობათა სიდიადეს, მოსწრაფებას საერთო კეთილდებობისაყენ და სომართლის სიყვარულს, ამიტომ შემთხლა იყო დამედებული, რომ თქვენი ბრწყინვალება მომცემს ნებას გულახდილად ვაგაზიაროთ ზოგიერთი ჩემი აზრი, რომლებიც გამოვიტანე კაცასიაში ორგზის ყოფნის შედეგად და რომლებიც ჩემთვის ვადიქცენ რწმუნად. თუ თქვენი ბრწყინვალება მიიჩნევს, რომ მე ვცდებო, მხად ვარ გამოვთვა სინანული იმის გამო, რომ თქვენ მოვადინეთ უფრო მნიშვნელოვან საქმეებს. და თუ, პირიქით, თქვენი ბრწყინვალება ჩასთვლის, რომ ჩემ მეტ გამოთქმული ერთი აზრი მიიქც არის სასარგებლო და განსაბორკილებელა შესაძლებელი, ასეთ შემთხვევაში, ვქნები ყოველმხრივი დავიდლებული და გამსჭვალული, თქვენი მზრუნველობის დარსი ამ მხარის უკეთესი მომავლის იმედით.

1840 წელს მომავლინეს ვანის მეთაურობით არსებულ დროებით კომისიაში. ვანამდე კაცასია ჩემთვის ცნობილი იყო მხოლოდ ლეგენდარული ვაღმოკებით პროშეთისის შესახებ, ანდა მოთხრობით ომის შესახებ მის მცხოვრებლებთან; ვაგრამ ამამად ნამდვილად ვავიგე, რომ აქ, კაცასიაში, სურთ მოახდინონ ახალი ვარდაქმნები, ვინაიდან ამ მხარის მმართველობის საქმეები შეტად არადამაკაყოფილებელ მდგომარეობაშია. ამ უკანასკნელმა აღმიძრა სურვილი გამეგო საქმის ნამდვილი ვითარება და მისი ვაღჭობებისათვის მიღებული ზომები.

თბილისში ჩემი ყოფნისას, უპირველეს ყოვლისა, შევამჩნიე, რომ ის ადამიანები, რომლებსაც საჭაროდ ბრალს სდებდნენ ვამიდირებაში, მათ ვამგებლობაში მყოფი მოსახლეობის ხარყზე, შთავრებული შიშის წყალბობით სარგებლობენ ვარეგნული პატივისცემით. იმ დროს ჩემთვის ის იყო ისეთი ახალი რამ, რომ მათ ვუყურებდი როგორც ბუნების ვანსაკუთრებულ სიმანაყეს. ჩემი უცოდინარობის გამო მეგონა, რომ საეგარისი იქნებოდა მათთვის ნილ-

¹ А. Савинов, Т. Г. Гагарин, стр. 21, М. 1957 г.

² იქვე, გვ. 29.

ბის ახლა, რათა ჩემს მიერ აღმოჩენილი ბოროტება ძირშივე აღმოფხვრილიყო. მაგრამ როგორც იყო ჩემი გაკვირება შემდგომში, როდესაც სომხეთის ოკუპირებული ნაწილის დროს ვაევიგე, რომ იქ მოხელეთა ყველა ადგილს იჭარბით აძლევდა მზარის უფროსი, რომელიც ასეთი ხერხით თავის სასარგებლოდ აგროვებდა ნაბარკის ნაწილს, აძლევდა ამ ადგილებს მხოლოდ მათ, ვისაც შესწევდა გამბედაობა ეცხოვრა ქრთამებით, მარცხითა და ადგილობრივი მცხოვრებლების შევიწროებით. რაც უფრო მეტს დავდიოდი დაპყრობილ მზარეში, მით უფრო მეტს ვხედავდი სხვადასხვაგვარი სახის უსამართლობას. ამ წესრიგმა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უწესრიგობამ დაამარწმუნა, რომ, მცირედ გამონაკლისის გარდა, სამსახურებრივი ბარაკმოქმედებანი უფროსებისათვის საერთო წესი გახლდათ.

თუორიულად შესანიშნავ ახალ გარდაქმნათა გეგმას ჰქონდა ის ნაკლი, რომ იგი არ იყო მოსახერხებელი და მისაღები აზიურა ჩვეულებებისათვის და ამიტომ მეტად გაამარჯალა მჩაგვრელები.

ამის სამწუხარო საბუთია გეროის არეულობა, რასაც ბოლო მოუღო თქვენმა ბრწყინვალეობამ. რაც უფრო ვტყებოდი კავკასიის შესანიშნავი ბუნებით, რაც უფრო გულადებად, გულისხმიერებად და მორჩილებად მიმაჩნდნენ მისი თვალტანადი მცხოვრებლები, მით უფრო დანაშაულებრივად და საძულველად მიმაჩნდა მათ საწინააღმდეგოდ მამართული უკანონო მმართველობა. ჩემ მიერ გამოთქმულ ყოველ გაკვირვებაზე, თუ როგორ შეუძლია ენდობოდეს მთავრობა ასეთ უფროსებს, მესმოდა ერთი და იგივე პასუხი: ეს უფროსები მოქმედებენ ამდენად ოსტატურად და წინდახედულად, რომ მათი გამოხედვებმა შეუძლებელიაო, და ხშირად ყოველგვარი ბრალდება, ჩამდინადაც სამართლიანი არ უნდა იყოს იგი, იქნება მხოლოდ დამლუბველი იმისთვის, ვინც მას წამოაყენებს. მე არა მაქვს განზრახული დაწერილობით ელაპარაკო მოხელეთა ყველ ბოროტმოქმედებაზე — ისინი, სამწუხაროდ, ძალზე ცნობილი ყველასათვის, ვინც კი იყო კავკასიაში და ვისიარჯა ვასცნობოდა ამ მზარის მმართველობას. მაგრამ დაწმუნებული ვარ, რომ ყველა ვისაც მოუხმენია ხალხის ჩივილი და სილად მოაზროვნე და კეთილმოსურნი კავკასიელთა მსჯელობა ჩვენი მოხელეების შესახებ, შეუძლია დამეთანხმოს, რომ კავკასიის ნამდვილი ავადმყოფობა და მთავარი წყლული ბუღბუს მოხელეთა უზნეობაში. მე არ ვეხები მთავარ, მოსახლეობისათვის ნაკლებად მისაწყდომ მოხელეებს. მაგრამ მათგან შეორუხარისხოვანი, რომელნიც მუდმივ ურთიერთობაში

არიან ხალხთან, უქმნიან მათ ყალბ წარმოდგენას ჩვენს მთავრობასა და რუს ხალხზე. კავკასიელი ხალხის ეს წარმოდგენა არც აზრი ჩვენს ადმინისტრაციის შესახებ იმდენად არახელსაყრელია ჩვენთვის, რომ სრულიად დაიკარგა ყოველგვარი რწმენა ჩვენი სიტყვებისა და დამპირებების მიმართ. ხალხები, რომლებიც წინათ მთლიანად ჩვენი ერთგულნი იყვნენ, ახლა ჩვენდამი მხოლოდ ფარული სიძულელით, ზიზილთა და სასტიცი უნდობლობით არიან განწყობილი.

იმულებითმა შიშმა და ცხოვრებამ, რაც ჩვენთვის გარდუვალი შედეგია, განუფითარეს კავკასიელებს არაჩვეულებრივი გამჭირაობა, რის საშუალებითაც პირველივე შეხედვით გამოუვლენს მათთან ახლადამოსულ თანამდებობის პირს მის ყველა თვისებასა და ნაკლს. ამავე დროს, ეს მდებარე და გუნათლებელი ადამიანები პატიოსანი და სამართლიანი უფროსების მიმართ აელენენ უსაზღვრო ერთგულუბას, განსაკუთრებულ თავგამოდებას, რაც ხშირად აღტაცებამდე მიიღის.

თუ ამდენად არაკეთილგანწყობილია ჩვენს მიმართ ჩვენივე რწმენისა და თავისივე ნებით დამორჩილებული ტომების აზრი, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რას ფიქრობენ ჩვენს შესახებ ის მთელი ტომები, რომლებმაც უარი განაცხადეს ჩვენს მორჩილებაზე და ფლობენ თვით ბუნების მიერ გამაგრებულ ადგილებს. არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი მოხელეების მიმართ უღელს მათ ომის საშინელებანი ურჩევნიან, ვინაიდან ისინი ვარჯად იცნობენ ამ ხალხების არამიზიდველ ბედს, რომლებიც ჩვენ დაგმორჩილდნენ.

მე არა მგონია, რომ ჩვენს დროში საქმიანები და ღრმად მოაზროვნენ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „საქიროა ამოვხოცოთ, მოვსპოთ ყველა უკანასკნელ მთიელად, რათა ბოლო მოვუღოთ კავკასიის ომს“. ამის გარდა, ამ საშუალებათა გამოყენებაზე ლაპარაკი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მისი შესრულება. ეს, ჩემი აზრით, არ ეკადრება ადამიანს, რომელიც პატივს სცემს თავის თავს; მე მგონია, რომ ღონიერი, ტყვიანი, გამჭირაბი მთიელებისაგან შეიძლება მთიელი უფრო უკეთესი სარგებლობა, ვიდრე გვაძების გროვა.

ჩვენ ამყარად ვხედავთ, რომ მთელი რიგი ბევრად თუ ნაკლებად წარმატებულ და ბრწყინვალე, სამხედრო ექსპედიციებით ვერ დავიბრუნებთ დაკარგულ პატივისცემასა და ნდობას. ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ზემოთხსენებული გარნობებით არის შესაძლებელი დავამყაროთ ჩვენი ბატონობა მტრისა და ურყევ საფუძველებზე.

ამ მთავარი მიზნის მისაღწევად, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო საიმედო იქნებოდა ყვე-

კასიაში ყველა თანამდებობა დაეკავებოდა კეთილსინდისიერ და კეთილშობილად აღზარდულნი. მაგრამ თავი დავანებოთ განუხორციელებელ და გადავიდეთ იმაზე, რისი განხორციელება შეესაძლებლება.

მუხედავად იმისა, რომ ჩვენდამი პატივისცემა და ნდობა ნაკლებად, ხომ არ შეგვიძლია მოვიფიქროთ კავკასიელი ტომების გული იმით, რომ ვაჩვენოთ ჩვენი ბატონობის ხელსაყრლობა მათთვისაც. აი ის აზრი, რომელიც მინდვარი დამესაბურთებია და განმეფითარებია იმის იმეულით, რომ მხოლოდ მას შეუძლია შეაერთოს თავისთავში სამი მნიშვნელოვანი პირობა: ბორცტმოქმედებათა მოსპობა, მშვიდობიანი მომავალი და ამ მხარის განათლება.

ამ სამი წინადადებიდან პირველი, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანია. ის შეიძლება იყოს ერთგვარი ვასალები შემდგომისათვის. სამწუხაროდ, ბორცტმოქმედებანი ერთბაშად როდი ისპობიან.

მაგრამ, რატომ არ ავუარაოთ გვერდი დაბრკოლებებს, რათა უფრო სიმძვირედ დაეძლიოთ ისინი მომავალში? აუცილებელია, რომ ის იყოს ორივე მხარისათვის თანაბრად სახიერი; საჭიროა, რომ კავკასიელმა თავისათვის იპოვოს იმდენივე საჩვენებლობა ამ მდგომარეობაში, რომ ის ჩვენ გვეკუთვნის, რამდენიც ჩვენ იმით, რომ მას ვფლობთ. ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ მარტოოდენ ვაჭრობით.

შეიძლება მსოფლიოში არ არის უფრო უხვი და ნაყოფიერი ქვეყანა, მისი შრავალიანარი ჰავა იმდენად ცივი მრდილოეთისა და ცხელი სამხრეთის ნაყოფს; ლენქორანში იზრდება შაქრის ლერწამი და უკა, კახეთში — ინდიგო და რევანდი. სომხეთის ოლქი მდიდარია ბამბეულითა და ჭიანჭყით, შირვანი და შაქი — აბრეშუმით, სამეგრელო ძვირფასი ხიით, ღერბნდში ბევრია ენდრო. ყარაბაღი ვანქშეულია გინიანი ცხენებით. ქართლში ლეონო უკეთესი დამუშავებისას არ ჩამოუვარდება ფრანგულს. იქ შელებილ მატყლს, აბრეშუმს და ტყავს უკვე ახლა ამჟობინებენ ევროპულს. ხალიჩებში, იარაღში, ფოლადის წითობაში და ბევრმა სხვამ კავკასიის მხარეში მოიპოვეს დამსახურებელი სახელი. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ კავკასია, თვით ბუნებითაა განუკუთვნილი იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო წერტილი მთელს მსოფლიოში.

კოლონიური მცენარეები, ინდოეთის ნაწარმი — ჩვენ თვით გვაჭვს. ნუთუ არ გამოვიყენებთ მათ? და ამისთანავე ჩემ მიერ ნახსენები ყოველი დარგი სათანადოდ განვითარების შემდეგ შეუძლებელია არ გახდეს რუსეთისათვის აუცილებელი სიმდიდრის წყარო და მაშინ ხომ არ გახდება კავკასია ჩვენი ვაჭრობის ისეთივე

წყაროდ, როგორც იყო რღესდაც სიცილია რომის იმპერიისათვის?

ინგლისელები თავიდანვე სწორად იმეორებდნენ ამ მხარეს. მართლაც, მისი გრძლივმა გამოცდილებამ ასეთ საქმეებში მათ შესძინა შესანიშნავი სავაჭრო აღლო და უნარი იპოქმედონ შეთანხმებულად, მთელი საზოგადოებით, როგორც ერთმა აღმინიშმა. ჩვენში, სამწუხაროდ, უფროსთა თანხმობის ნაკლებობა და, კერძოდ, ხელშეწყობებს შორის უთანხმოება, ექვს ვარგევა ხელს შეუშლის ყოველგვარ წამოწყებას. მაგრამ ჩვენი ფინანსური მუშაების გამოცდილებას შეეძლო შეექმნა მერად მკაცრი კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფდა დატყევისაგან სულ მცირედი ფულადი თანხის გადარჩენასაც კი, ისევე როგორც ყოველ სხვანაირ ვაჭრობაში.

რადგან კავკასია მდებარეობს ორი ზღვის შორის, მთელი თავისი მდგომარეობით ხომ არ არის შექმნილი წარმოებისა და ვაჭრისათვის უდიდესი წარმოებები, რომლებსაც უნებმძღვანელებს მთავრობა, ან ვადასცემენ კერძო საზოგადოებებს მთავრობის კონტროლით, აღმოუჩენენ სამუშაოს მოსახლეობის დიდ რაოდენობას. შრომის შესატყვისი ხელფასი მათ თანდათანობით დაუბრუნებდა დაკარგულ კეთილდღეობას.

ჩვენი ხელშეწყობით კავკასიელი ხალხების შვარდი დოვლათიანი ცხოვრება ღრთია ვითარებაში უპეველად შეუცლიდა ჩვენთან მტრულ ურთიერთობაში მყოფ. მათ მგზობელ მთიელთა განწყობილებასაც. ეს მთიელები, ბოლოს და ბოლოს, აგატყვე მთიანობებენ მიიღონ მონაწილეობა ამ სავაჭრო თანამშრომლობაში, რათა ისარგებლონ მისი სიყვითი. ესაქმო და მეომარი მთიელი ტომები მიეჩვენებენ შრომას და თანდათანობით დაიჩიყებენ თავის იარაღს. მაგრამ, სანამ ვაჭრობობდენ ესოდენ შორეული ვარაუდით, მე უფრო მტკიცე საფუძველი უნდა მიეცე ჩემს ვეგმას.

ვაჭრობას არ შეუძლია იარსებოს მოსახერხებელი და უშიშარი სამომავლო გზების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში სიძნელები და საშიშროება საქონლის გადახადვის დროს მოსაძობენ ყველა სეარაუდო მოგებას. ამის თავიდან ასაცილებლად უფრო კარგი იქნებოდა საქართველოს დიდი სამხედრო გზის გარეშე გავყვანა კარგი გზატკეცილი, მგალოთად, სიშქონის მკავსად და დავეცევა ის წყლის ნაკადებისა და თოვლის ზეავებისაგან. წვიმებით ჩამორეცხილ წინასწარ სამუშაოებზე აშემაღლ გამოუღლი ხარკები საქმარისი იქნებოდა ასეთი გზის გასაყვანად. ამ გზას შეეძლო ყოფილიყო ძველი მთელი ხალხისათვის და უკვლავყო ხელმწიფის სახელი. ხელმისაწვდომ ადგილებში აგებული სიმაგრეები უზრუნველყოფენ თავისუფალ მოძრაობას და მგზავრ-

თა უშიშროებას. თბილისის ცენტრალური მდგომარეობა შეიძლება გამხდარიყო ორი სხვა გზის შემავარდნულ ადგილად: პირველი წაივდოდა რედუტ-კალესკან და დუკაეშვირდებოდა ოდესას ორთქლშავალი გემების საშუალებით, მეორე ჩავიდოდა ბაქოში და იმავე საშუალებით დაუკავშირდებოდა ასტრახანსა და ვოლგას. თუ შემდგომში ვაყენილი იქნება გრინიგზა მოსკოვსა და სარატოვის შორის, მაშინ მანძილის ასეთი დიდი შემცირების შედეგად (მოსკოვსა და თბილისს შორის) ვაჭრობა მოგვეცემა დიდ შედეგებს. გვუს ვარაუდი, რომ მაშინ რუსეთი თვითონ დაიცავიყოფილებს თავის მოპოვებულებას, ვაიტანს რა ზედმეტ ნაწარმოებს უცხო ქვეყნებში და აღარ აყიდის იმათგან არაფერს.

როდესაც წესრიგის, სიმკაცრის და წინდახედულების აუცილებელ წესებზე დადგენილებული ეპირობა გახდება ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი საქმიანობა, აუცილებლად დაეცემა აწინდელი მოხელეების გავლენა. წარმოების ყველა საღაო საქმე შეიძლება განხილული და გადაწყვეტილი იყოს სპეციალურ საეპირობა სამართალში, რომელიც მისი დაარსებისთანავე უნდა გავფიქრინდა უზნეო ელემენტებისაგან.

თუკი ვუძენებოდა ამგვარი სამაგალითო დაწესებულება, შესაძლებელი იქნებოდა დიდი წარმატებით გვემოქმედა ნამდვილ ბოროტმოქმედებამთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება შთან დაღესტანს, მე ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, თუ რა მიზნით შეიქმნა ჩვენი პირველი დამპყრობილება ამ უფსკრულუბნასა და უნაყოფო კლდეების ლაბირინთებში? რატომ გვიანდერძეს მათ მძიმე, უსარგებლო ვალდებულება ყოველწლიურად ვხარჯოთ მისზე ფულებისა და ადამიანების უთვალავი რაოდენობა? ამაზე ჩვეულებრივად უპასუხებენ: მთიელები აწანაგებენ ბარს და სასურველ იმსახურებენო. ვთქვათ, რომ ეს ასეა, მაგრამ, რას წარმოადგენს ძარცვა არც თუ ხშირი თავდასხმების დროს, მთიელების მიერ ცხენებისა და საქონლის ქურდობა ჩვენი საყოფარღო მოხელეების ქარცევასთან შედარებით, რომლებიც დაუზოგოდლად და დაუსჯელად ძარცვებენ ყველას? მართლმსაჯულება, მგონია, მოითხოვდა, რომ მათგან დაგვეწყოს, მაგრამ, ვთქვათ, რომ მკარგი დატაცებანიც არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. მაგრამ რატომ უნდა მოვიკლათოთ სრულიად არაფრისათვის საჭირო, შესაძლებელ მერტლ ძვირ და არაფრის მომცემ ადგილებში? დაღესტნის ტარველ მწვერვალებზე მჭიდროდ დაჯგუფებული ჯარები უფრო წარმატებით დაიკავენ ჩვენს საზღვრებს, და მთიელებიც ძალაუნებურად გადაეჩვენვიან ბარის მცხოვრებთა ძარცვას.

ამტიკიებენ ავრთვე, ძალას ძალით უნდა უპასუხოთო. თანახმა ვარ, მაგრამ ველტრს ძალას ვარდა არა აქვს სხვა თავდაცვითი საშუა-

ლება იმ დროს, როდესაც განათლებული ადამიანი ძალას უმეტებს გონებას, რომელიც ხშირად ზარბაზნებზე ძლიერია, განაყვანებულთა იმ დროს, როდესაც მთავრობის სწავლის წესები ერთსულოვნად ერთიანდება ერთი მუდმივი და ურყევი ნების გასამარჯვებლად. ნება იპყრობს, ძალა აიძულებს პატივი სცენ ნებას.

ავარაუთს ყოისონ ნაბიჯებით შეიძლება გასულიყო გზა, ცხადია, სამხედრო მიზნებისათვის ვაყენილი, საქმის ცოდნით და სიფრთხილით, რასაც მოითხოვენ მთავარიანი ადგილები, რომელიც დაცული იქნებოდა ციხე-სიმაგრეებით მთელს მის სიგრძეზე. ასეთი გზა, ვადაყვითა რა ლეკების ხაზს, ავარეთს და ყოისონს ნაწილს, იმდენად დააბოლოებდა კახეთს თემირ-ხან-შურასთან, რომ ამ ზუნტებს შორის იქნებოდა არა უმეტეს 100 ვერსისი. იმ დროს, როდესაც თანამედროვე გზით ეს მანძილი 500 ვერსია, ხოლო სამხრეთის შემოსევებით — 2000 ვერსი.

ასეთი გზა მოგვეცემა სწრაფ და თავისუფალ შესასვლელს დაღესტანში, როდესაც დამსჯელი მიზნებით ჩვენი ჯარის იქ ყოფნა აუცილებელი შეიქმნებოდა, იქ დაწყებული აჩუქობისა და თავდასხმების გამო. მაგრამ მის შემდეგ, რაც ჩვენი ჯარები იქაურობას გაუსწრებდებოდნენ, ისინი შესაძლებდნენ თავის რაიონში შეეფერხებლად დაბრუნებას და მათში აღარ განჩნდებოდა ის ავადმყოფობანი, რომლებსაც იწყებს ჯარის დიდი ხნის ყოფნა ოია ცოლ ქვეშ ისეთ მხარეში, სადაც სწრაფი გადასვლა დღის სიციხიდან ღამის სიციხეში ხშირად სასიციველოა.

ამრიგად, თავს ნებას ვაძლევ, მოკლედ ვაგვიმეორო ჩემი ვარაუდი, დამორჩილებული ქვეყნებისათვის მსურს შექმნა დიდი საეპირობა დაწესებულებებისა, რომლებიც დაეყრდნობიან მტაცე კონტრილით უზრუნველყოფილ სიმელო გზებს. დაუმორჩილებელი მთიელებისათვის კი მე მსურს შეიქმნას კარგადმოვლილი და დაცული ხაზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართვების შემთხვევაში, მასზე სწრაფად გადავიდეთ და კვლავ უკანვე დავბრუნდეთ.

აი ჩემი მთავარი აზრების მოკლე შინაარსი, და მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ ვადაყვ იხინი თქვენი ბრწყინვალეების მოწყალე განხილვას. ისინი ბევრს მოსკოლია აზრად, მაგრამ მე ვაგებედე მათი ვამოქმემა, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად მიმაზნია. თუ მე შეეცდო, ასეთ შემთხვევაში, იმედი მაქვს თქვენი ბრწყინვალეება მომიტყუებს, და მიიღებს მხედველობაში ჩემი რწმენის გულწრფელობასა და კეთილგანზრახულობას.

თქვენდამი სრულიად პატივისმცემელი და ერთგული, თქვენი ბრწყინვალეების მოზიბილი მსახური, ფლიგელადიუბანტი თაეა დი ვაგარი ი. ი.

ა. ძიძგარი

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ

ისტორიკოსი ნიკო დადიანი თავის „საქართველოს ისტორიაში“ საინტერესო ცნობებს იძლევა აფხაზეთის შესახებ, განსაკუთრებით, 1821 წლის აწინებებაზე, რომლის უშუალო მოწვევითაც იყო.

ჯერ კიდევ 1810 წელს ი. იოსელიანი ცდილობდა სოფელ ლინში, მამინდელი აფხაზეთის პოლიტიკურ ცენტრში, გაეხსნა სკოლა აფხაზი ბავშვებისათვის, მაგრამ მხოლოდ 1851 წელს გახსნა დ. მაჭავარიანმა სოფ. ლქუშში სკოლა: ეს იყო პირველი სკოლა აფხაზეთში.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე სამეცნიერო მოღვაწეობითა და პრაქტიკულ საქმიანობითაც ცდილობდა ხელი შეეწყო აფხაზეთში სწავლავანათლებლისა და კულტურის განვითარებისათვის. მის კალამს ეკუთვნის ამ შპარისადმი მიძღვნილი რამდენიმე სამეცნიერო და მიმოხილვითი ხასიათის წერილი, სადაც მოცემულია ძვირფასი ცნობებები აფხაზეთის გეოგრაფიის, ისტორიისა და სახალხო განათლების საკითხებზე.

ნაწროში „Кавказ в древних памятниках христианства“ დ. ბაქრაძე გვამცნებს 1860 წელს მის მიერ დათვალიერებულ ძველი აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს მონუმენტურ ძეგლთა (ბედაის, მოჭვის, ილიორის, ანაკოფსიის, ლინისა, ბიჭვინთის და სხვ.) აღწერას, მისივე წერილში

„Очерк Мингрелии, Самурзакан и Аджарии“ მოცემულია ექსკურსია ამ შპარის ისტორიისა უძველესი დროიდან. აკრიტიკებდა რა უცხოელ ავტორებს, რომლებიც მცდარ შეფასებას აძლევენ აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობას, ბაქრაძე ამბობდა: „მეცით მათ მოიხილეთ და შეურწმუნეთ იქ განვითარდება ისეთი ვაჭანებით, მათი გვეყვანა ვახდება მეორე შეეცარია“. წერდა იმ ძეგლებზე, რომლებიც შეინიშნებოდა ამ შპარის ცხოვრებაში, რუსეთთან ეკონომიური და კულტურული კავშირის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებას სკოლებში ინსპექტორად მუშაობის დროს, დ. ბაქრაძემ 1864-1866 წლებში რევიზია ჩაატარა აფხაზეთის სკოლებში. თავის ანგარიშებში იგი ასაბუთებდა, რომ აფხაზებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ

სწავლა-განათლებაო. ამასთან, აღნიშნავდა განათლებასავე ხალხის მისწრაფებას და სწავლაში ბავშვების ნიჭსა და უნარს. დ. ბაქრაძე აყენებდა სპეციალური განათლების შტონე მასწავლებელთა შერჩევის საკითხს: იგი მკვეთრად აკრიტიკებდა ბუცებს, რომლებიც „თავად ნაყლებად მომზადებულნი არიან იმისათვის, რომ სხვებს ვადასცენ ცოდნა“. დ. ბაქრაძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა აფხაზეთი ენის სწავლებაში მომავლელ წარმატებებს და სთხოვდა მასწავლებლებს, უფრო მეტი ყურადღება მიექციათ მშობლიურ ენის სწავლებისათვის. მან შეარჩია რამდენიმე ნიჭიერი ბავშვი პედაგოგიური საქმიანობისათვის მათი მომზადების მიზნით.

1862 წელს პ. გ. უსლარის თაოსნობით შეიქმნა აფხაზეთი ანბანი, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1865 წელს. აფხაზეთი ანბანის ერთი შემდგენითავე იყო დ. პ. უფრცულაძე, რომელიც ამასთან ერთად, ავროვებდა და ამუშავებდა აფხაზეთ ზღაბრებს.

ლევან მელიქიშვილისადმი 1861 წელს გაგზავნილ წერილში, სადაც საკმაოდ დაწვრილებითაა დაბარაკი იმავე წელს აფხაზეთში მომხდარ აწინებებაზე, გრ. ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავდა: „აქამდის მიიყვანეს იქებრმა (აფხაზების) ნაჩაღიერებმა ხალხის შეწუხება უფროდის ქცევითა, ლანძღვა-თრევიითა, ყოველგვარ შევიწროებითა, უსამართლობითა...“¹

ყიბიშისა და კავკასიის მოსახლეობის ნაწილის თურქეთში გადასახლების გამო, რის შედეგადაც „აფხაზეთი ნაწილობრივ დარჩა მოსახლეობის გარეშე“. გრ. ორბელიანი 1866 წელს წერდა: „არაოდენი უბედურება წარმოსდგა, რაოდენნი დაიხოცნენ, რაოდენნი გაობრდნენ... ახლა მოგვიტანეს ამბავი, რომ იარაღსა ართმევენ ხალხსა... მამასადავ. ჩემის თეჭრით, იარაღს ართმევენ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდგენი რაც უნდა მწუხარება მოადგესო, ხალხმა ვეღარა სთქვას რა... მსურთ ხალხის უიარაღობა? შეიყვარონ ხალხი და ზრუნავდნენ მისთვის კეთილსა?“ ისტორიკოსმა ს. გ. ბარათაშვილმა როგორც

¹ ლიტ. შტაინე, წიგნი I-11, 1940 წ. გვ. 301.

² იქვე, გვ. 302.

სპეციალური კომისიის თავმჯდომარემ, 1866 წელს შეამოწმა კოდორის (ომალინის) ეზნის რიგი სოფლები და შეადგინა დაწერილებითი მოხსენებითი ბარათი, მეტად საინტერესო, რეფორმისწინანდელი აფხაზეთის სოციალურ-თეორიკობათა ვარჯიშის თვალსაზრისით. 1879 წელს გახზე „ტიფლისკი ვესტნიკი“ გამოქვეყნებულ მის დიალოგში მიუცემლად ძვირფასი ენობები აფხაზეთის 1866 წლის აჯანყებაზე.

სახელგანთქმული შწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ქავჭავაძე დიდ ინტერესს იჩენდა აფხაზეთისადმი. „ივერია“, „დროების“, „მომამბის“, „კვალის“, „კავკასიის“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები ამ მხარის მგომარობაზე, კერძოდ, „ივერია“, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლოდეატორბდა ი. ქავჭავაძე, აფხაზეთის ყველა რაიონიდან დებულობდა კორესპონდენტობას.

1898 წელს სოხუმის საქალაქო გამგეობის არჩევნების დროს ადგილობრივ მსჯობათა გვერდსა თხოვნით მიმართა ილიას, წამოეყენებინა შესაფერისი კანდიდატურა ქალაქის თავის თანამდებობაზე. ილია კმაყოფილებით შეხვდა ამ თხოვნას და რეკომენდაცია მისცა თვალსაზრისო საზოგადო მოღვაწეს, გახზე „ივერია“ აქტიურ თანამშრომელს ალექსანდრე საჩავიშვილს. ეს უკანასკნელი აჩრეტლ იქნა ქალაქის თავად, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა.

ზეღმძვეანელობდა რა ქართულთა შორის წერაკითხვის გამავრცელებლ საზოგადოებას, ილია ვაჟუდებოთ ზრუნავდა აფხაზეთში სკოლების ქალის ვაფართოებაზე. 1903 წლის მაისში ილია დაესწრო ვაგრაის სკოლა-თავშესაფარს ვახსნას. 22 მაისს, ალექსანდრე ობრელიანისა და დიმიტრი ჩოლოყაშვილის თანხლებით, იგი სოხუმს ესტუმრა გვიმთ. აფხაზეთისა და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მ. ანნაბაძის მეთაურობით, გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დიდ შწერალს. 24 მაისს ა. შერავაშვილის ბაღში (ამჟამად ილია ქავჭავაძის ქუჩა, № 10) გაიმართა საზეიმო სეფრა; მოწვეულ იქნა თბილისის დრამატული დამი (ვისო აბაშაძის, ნატო ვაზნუში-ცავარციის და სხვათა შენადგენლობით), რომელიც იმხანად კავკასიოლოდ იმყოფებოდა სოხუმში. ვახშაშვი სიტყვა წარმოთქვა ილიამ, რომლის შინაარსი გამოქვეყნდა „ივერია“ და „ენობის ფურცლებში“. ილია აღნიშნავდა, „ამჟამად ამ მშვენიერს აფხაზე-ქართულთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევიწახეც დაეცო... დღეს სხვა მტერია შოღის, როგორც ვხედავთ, ისე გულ და გულ და პირდაპირ-კი არა, როგორც პატრიონანი ხმელი, არამედ ჩემად, ჭერადულად, როგორც მაცდური და მპარავი, იგი მტერი ფულია ვაძივერა და მხაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგაქცევია, და ისე გამოგაკლით ხელიდან ამ ლამბე. ბრძოლას, მდიდარს ქვეყანას, რომ პარ-

ველ ხანში იქნება მადლობელიც გაუხდეთ“,¹ ი. ქავჭავაძემ მოუწოდა დამსწრეთა ხალხში სწავლა-ვანათლებლის ვაგრცილებსაც „შეშდემს“ სურათი ვადაილო ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ქართული ლიტერატურის მეორე სახელოვანმა კლასიკოსმა აკაკი წერეთელმა აფხაზეთი მანამდე აკავთ თავისი ენობილი პოემა „გამზარდელი“, რომელიც 1918 წელს აფხაზეთი ენაზე თარგმნა დ. გულამი. ეს თარგმანი შესულია აფხაზეთი ლიტერატურის ოქროს ფონდში. აფხაზეთი ზეზარსიტყვიერებისადმი აკაკის ყურადღებებს აღსატრებს ის ფაქტაც, რომ ნიკო ჭანშიამ მისი დავალებით ჩაიწერა თქმულება აბრისკოლზე (ამირანზე), რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“.

აკ. წერეთლის ვარდაცვალების ვამო აფხაზეთის ინტელიგენციის მეორე ვაგზავნილ ტელეფონოგრაფიაში ნათქვამია: „ჩვენი სახით აფხაზეთი, უღრმესი მწუხარებით თინაუტრძნობენ თავიანთ მძებს — ქართველებს, რომლებთანაც ერთად ათსწრობით ვინარებდით სიხარულსაც და ცრემლსაც, მშობლიური მიწის დიდი მოზარისა და მომღერლის აკაკის ვარდაცვალების ვამო, რომელმაც ასე მშვენიერად უმარაო ჩვენს მხარესა“.

გამოზნეილი ქართველი პედაგოგი და ვანმანათლებელი იაკობ ვოგებაშვილი კარგად იცნობდა აფხაზეთს. 1875 წლის შემოდგომა ვოგებაშვილმა სოხუმში ვაგარა. თავის „ბუნების კარში“ მან თვალსაჩინო ადგილი დავთმო ამ მხარეს. ეხებოდა რა აფხაზი ხალხის წარსულს, იგი წერდა: „აფხაზეთი ჩამომავლობით შეადგენენ ცალკე ტომს. მაგრამ აფხაზეთი პირი ყველა კავკასიის მთის ხალხებზე ახლო არიან ჩვენთან. შუა საუკუნეებში საქართველო და აფხაზეთი ერთად იყვნენ შეერთებულნი და ერთ სამეფოს შეადგენდნენ: მეტადრე თამარ დედოფლის დროს მტკიცე კავშირი არსებობდა მათ შუა... საქართველოს ვაგლემა აფხაზეთისთვის ყოველის მხრით სისარგებლო იყო...“² შემდეგ ავტორი ვაგაწვდის ენობებს აფხაზეთის ვეოგრაფიის, კლიმატისა და ბუნებრივი სიმდიდრის, მოსახლეობის საფურცენო საქმიანობის, „ნეოლოგური მმართველობის“. კერძოდ, „ხალხის ყრულობის“ შესახებ, რომელსაც „აფხაზეთში კარგე შნიშვნელობა ჰქონდა“. ეხება აგრეთვე 1866 წლის აჯანყებისა და მის შედეგად მომხდარი ვადამსახრების (მავაჟრობის) საკითხებს და სხვ. ამასთან — ერთად, უნდა ითქვას, რომ ვოგებაშვილის სახელმძღვანელოების საშუალებით აფხაზეთის სკოლებში ისწავლებოდა ქართული და რუსული ენები.

შწერალი და პუბლიცისტი ვიოტგი წერეთელი

¹ „ივერია“, № 118, 1903 წ.

² ი. ვოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 6, 1958 წ. თბილისი, გვ. 213-216.

„დროებისა“ და „კვლის“ რედაქტორი, ამ გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად ათავსებდა კორესპონდენციებს აფხაზეთის შესახებ. გ. წერეთლის რომანში „გულქანი“ მოქმედება ნაწილობრივ აფხაზეთში წარმოებს. გაზეთ „კოლოსის“ 1877 წლის 26 ოქტომბრისა და 5 დეკემბრის ნომერებში დაბეჭდილია გ. წერეთლის „წერილები კავკასიიდან“, რომ ავტორი გულის ტყვეილი აღნიშნავს, სადა რუსეთ-თურქეთის ომის დროს სულთანის კაცებმა „წიყივანეს ჩივილი ოსალყადრვა ათასი აფხაზი“, ამასთან მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქართულმა ნაწილებმა, რუსეთის ჯარებთან საბრძოლო თანამეგობრობით, ვხა ჩაუტეტეს თურქეთის ურდოებს სოხუმის აქეთ.

ქართული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი, რომელიც ამ წელაწილებზე მეტ ხანს რედაქტორობდა „დროებას“, ასევე დიდილ მასალებს აქვეყნებდა აფხაზეთისა და აფხაზეთის შესახებ. ს. მესხი ღრმა თანაგრძობით წერდა აფხაზ და ჩერქეზ ვაჟასახლებულთა — მამაჩირთა შესახებ. იგი მთვალაშობდა მათს დაბრუნებას სამშობლოში, მკვეთრად ილაშქრებდა ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა შვიი ზღვის ახალ არაონთა დაკარიელებას მისი კოლონიზაციის მიზნით.

1896 წელს სოხუმის საზოგადო მოღვაწეთა წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ცნობილ ლიტერატორსა და პუბლიცისტს ივანე მარჩბელს, რათა იგი სოხუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე დათანხმებულიყო. საპასუხოდ მარჩბელი წერდა: „... სიტყვის მოციმა შემობილიან, რომ ყოველ ზემს ღონისძიებას შევასრულებ, ხალხის მონდობილობას არ ვუმტყუნო, მით უფრო, რომ ქართველებს უფრო მაგისთანა განაპირებში, როგორც სოხუმში, გემართებას თავის გამოჩენა“.¹

მისე განაშეილმა 1894 წელს გამოაქვეყნა საფლქელიანი ეთნოგრაფიული ნარკვევი „აფხაზეთი და აფხაზეთი“, ხოლო კ. მამაჩირაიანმა 80-90-იან წლებში სტავდასხვა ყურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდა მთელი რიგი შრომები, ემთავრესად, აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიაზე; კ. მამაჩირაიანი, დ. გულიასთან ერთად, 1892 წელს გამოცემული აფხაზური ანბანის ავტორია.

თეატრალური ცხოვრების განვითარება აფხაზეთში 80-იანი წლებიდან დაიწყო. სოხუმში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ თბილისელი არტიტები, გამოჩენილი ქართველი მსახიობის ლალო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. 1889 წელს სოხუმში ქართულმა დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა ი. ჭავჭავაძის პიესა „დედა და

შვილი“. არის ცნობები, რომ ლ. მესხიშვილმა სოხუმში დაჯგა ვ. ვენიას პიესა „და-ამა“. 1893 წელს გ. შერვაშიძის ინიციატივებამ სოხუმში დაიდგა პიესა „ფიჩინი ჩიბი“ (რუსულად „ენახე“) და „ახირებული“ (ქართულად ენახე). 1895-1900 წწ. ქართულმა დრამატულმა კოლექტივმა სცენახე განახორციელა ა. ყაზბეგის „ისევია“, გ. ერისთავის „ძუნწი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ვ. გუენის „მონადირე“ და სხვ. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა იღებდნენ ა. ჯუღელი, ვაიანე, ალათი და ტერეზია შერვაშიძეები.

რუსული და ქართული კულტურის ტრადიციების ვაელებით დაიწყო აფხაზეთის ინტელიგენციის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო აფხაზი ინტელიგენტი იყო მასონ ზეანბა (1809-1855). პოღმოლოკენიკი ზეანბა თანამშრომლობდა თბილისის გაზეთ „კავკაზში“ და ორმოცდაათიანა წლების პირველ ნახევარში გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი („Абхазская мифология“ და სხვ.) რომლებმაც თვალსაჩინო როლი ითამაშეს აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლის საქმეში.

გამორდნენ პირველი აფხაზი პედაგოგები, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს, სადაც 1871-72 წლებში სწავლავდა ოთხი აფხაზი. ამ სკოლის აღზარდილები: გ. ემუხვარი, ვ. ინალიფა და შერვაშიძე სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში ნაყოფიერად მუშაობდნენ აფხაზეთის სკოლებში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პირველი აფხაზი შვერალი გიორგი შერვაშიძე (1846-1918) თავისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებით ეხმარებოდა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის, რომელსაც ი. ჭავჭავაძე შეთურობდა. დიდ შვერალს გ. შერვაშიძესთან შეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მათს შემოქმედებითს ურთიერთობაზე მივკითხეთებს მუელისაღმად პეტერბურგიდან 1873 წლის 19 დეკემბერს გამოგზავნილი ილიას წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „...იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავი... ამას წინათ თითონ მოვიდა, მთხოვა შექსპირის ტრაგედია, კოროლი ლრი, რომელიც ქართულად ანგლაურიდან გადათარგმნეთ, წაგვეცითო. წავედი წასაყობხად, კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მიწონეს...“²

გ. შერვაშიძე მკიდრო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ა. წერეთელთან და ეს ურთიერთობა მათს პოეზიაშიც აისახა. ერთ-ერთ ლექსში აკაკი ამბობს: „შენი ნახვა ნერვებამილს სამყურნალოდ შერვაგბა!“ საპასუხო ლექსში გ. შერვაშიძე წერს:

¹ ვ. ჭეიძე. ცხოვრება ივანე მარჩბელისა, თბილისი, 1955 წ. გვ. 354-357.

² ი. ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1937 წ. გვ. 83.

„სვანი ყანწით გაღვებრძელებს,
მე, აფხაზი წრფელი გულით,
ვით სყოღნათ ჩვენსა ძველებს,
მშობითა და სიყვარულით“.¹

გ. შერვაშიძე ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა ქართული ლიტერატურის განვითარებაში. გარდა ლექსებისა და პოემებისა, იგი წერდა პიესებს, რომლებიც თბილისისა და ქუთაისის სცენებზე იდგმებოდა.

იმევე საზოგადოებრივ-კულტურული წრის, რომელსაც გ. შერვაშიძე ეკუთვნოდა, წარმოშობდებოდა ნიჭიერი პუბლიცისტი და ვით ჩხოტვა (1849-1928). ვახუთ „დროებაში“ მან მოათავსა მთელი რიგი წერილები, მათ შორის, „ორი აფხაზური ადათი“. დ. ჩხოტვას გამოქვეყნებული აქვს შრომები, უმეტესად ბუნებისმეტყველების თემაზე. მაგრამ ჩხოტვას ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „რუსთაველის პოემის ვარიანტი და მათი მსოფლმხედველობა“.

ოთხმოც-ოთხმეოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდნენ შესანიშნავი პედაგოგები, მხარეთმცოდნეები, საზოგადო მოღვაწეები: იონა გეგია, თომა ეშმა — აფხაზური სკოლის პაპა, ექტორ ლარქია, პეტრე ქარაია — „თეთსანწიელი ლენგვისტი“ (ნ. მარი), ნიკო ჯანაშია, აგრეთვე, გამოჩენილი მხატვარი ალექსანდრე შერვაშიძე, ა. ქარაია და ნ. ჯანაშია აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ეფრნალ-ვახუთებში და ფართოდ აშუქებდნენ აფხაზეთის წარსულსა და აწმყოს. ილია ჭავჭავაძის მიწერ-მოწერა ჰქონ

და ი. გეგიასთან — 1865 წელს გამოცემულ აფხაზური ანბანის ერთერთ შემქმნელთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1892 წელს თბილისში გამოიცა ე. მაჭავარიანისა და დ. ვულახაშვილის შედგენილი აფხაზური ანბანი. ამ ანბანის შემდგომში შექმნა დ. ვულახაშვილი (1874-1960) პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები აფხაზურ ენაზე. აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. გულიას სულიერ ხაზოვანიებაზე დიდი გავლენა მოახდინეს როგორც ქართული შუბრლობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა — ო. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა, ასევე რუსული ლიტერატურის კლასიკოსებმა. გულიამ ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა ქართული ენა; ხოლო შემდეგ ღრმად შეისწავლა ქართული ლიტერატურა. იგი ყმაწვილობიდანვე გატაცებული იყო დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“, რომლის თარგმანიც ხანდახან მუშაობდაში შეასრულა.

მომდევნო თაობიდან აღსანიშნავია ა. მ. კოჭუა. მას დიდი აზავი მიუძღვის სახალხო განათლებისა და აფხაზური დაწვებითი სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნაში.

მწერალი ვერონტი ქიქოძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „იმპერიალისტური ძალბომრების ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველმა და აფხაზმა ინტელიგენტებმა — აკაკი წერეთელმა, გიორგი შერვაშიძემ და სხვებმა, რომელთაც ბუნდოვანი შეუწყეს მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის კავშირის ტრადიციის აღდგენას ამ ორ მონათესავე ერს შორის“.¹

¹ გ. შერვაშიძე, სოხუმი, აფხაზეთის სახელგამო, 1946 წ. გვ. 86-87.

¹ გ. ქიქოძე, მოგონებები, სიტყვები და წერილები, თბილისი, 1955 წ. გვ. 243.



მოთა ბერიძე

ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის*

საქართველოს ისტორიის საწყარომცოდნეო პრობლემატიკაში კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილის შესწავლა. მრავალი მკვლევარი შეხება ამ საკითხს: დ. ბაქრაძე, თ. ყორღანიძე, მ. ჯანაშვილი, ნ. მარო, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროსუვა, ს. უაუბნიშვილი, ვ. მელიქიშვილი, კ. გრიგოლია, ს. გამსახურდია, ვ. გაფრინდაშვილი.²

XIX საუკუნის დასასრულს „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილი ერთდროულად განიხილა თ. ყორღანიძემ და გამოიტანა დასკვნა, რომ თხზულებათა ამ კრებულში, არქაულ ნაწილში, ხუთი ავტორის თხზულება უნდა იყოს შემონახული, და ეს ავტორები აღწერილ ამბავთა თანამედროვენი არიან... (ქრონიკები... 1892, XXX—XXXVIII, XLIX).

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი შეეხო ამ თემას. მასი დასკვნით, „ქართლის ცხოვრების“ არქაულ ნაწილს ავტორი არის XI საუკუნის მოღვაწე ლეონტი მროველი. ლეონტი მროველს ეკუთვნის ქართველთა უძველესი ლეგენდარული ფერებთ აღწერა და თავგადასავალი, ნინოს მთერ ქართველთა მოქცევის ამბავი და VIII საუკუნის ქართველთა მეფის არჩილის მარტვი-

ლობა (ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. შევ. რლობა, თბ., 1946, გვ. 172).

ამრიგად, ქართული კულტურის ისტორიაში ჩანს დიდი ფიგურა, რომელმაც თავისი თხზულებებით საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საქართველოს ისტორიოგრაფიის უველზე დიდ ძეგლს — „ქართლის ცხოვრებას“, ამ თვალსაზრისის მიხედვით წარმოგვს „ქართლის ცხოვრების“ პებლიკაციი (ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი უველი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. უაუბნიშვილის მიერ, გვ. 3—318, 245—248; ქვემოთ უველგან. ქ. ცხ.).

არსებობს მეორე შეხედულება ს. კაკაბაძისა (იხ. მისი „რეცენზია კ. კეკელიძის შრომაზე — „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროებია“); ს. კაკაბაძე იმ აზრისაა, რომ ლეონტი მროველი (ძირველად ანა და მარიაშვილი ნუსხებით ცნობილი) უნდა იყოს ანუ ავტორი, არამედ ის პირი, რომელსაც გარკვეულ საჩუქარად მიუღწია უნდა ჩაეტარებინა; იგი საძებარი უნდა იყოს XII ს. მეორე ნახევრის მანძილზე (საისტორიო მოამბე, ტ. 1, 1924, გვ. 283); თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აზრი ბოლომდე არაა დასაბუთებული ხსენებულ რეცენზიაში.

ვ. მელიქიშვილიც იმ აზრისაა, რომ ლეონტის ავტორობის საკითხი სერიოზულ ეჭვს იწვევს, თუმცა, ანგარიშს უწევს რა ძლიერ ტრადიციას ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ი. წ. „მეფეთა ცხოვრების“ განხილვისას, იგი მაინც საგანგებოდ მსჯელობს ლეონტი მროველსა და მის თხზულებებზე (К истории древней Грузии, გვ. 30—31).

• • •

* იხედვება განმარტების წესით, რედ.

1 ტერმინი „არქაული“ ჩვენს წერტილში პირობითაა უველგან ნაშვარი და უველსსობით იმ ნაწილს „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც უნდ უძღვის ეხტანგ გორგასლის ისტორიასა და ავტორეცე უწიდა არჩილის მარტვილობას.

2 იხ. კ. გრიგოლია, ლეონტი მროველი — XI ს. ქართ. ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, თსუ. შრომები, ტ. 27, 1960, გვ. 223.—238; ს. გამსახურდია, საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნების განვითარება XI ს. საქართველოში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყ. შრომაბე, 1961 წ., ნ. 1, გვ. 166—184; ვ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის სამეცნიერო წარწერა თრეხების ქვაბებიდან, დასახ. თრგანო, გვ. 239—257.

ლეონტი მროველი ქართლის ცხოვრების არქაული ნაწილის ავტორია თუ ვადამწერი, ან რედაქტორ-ვადამკეთებელი? ასე ღვას საკითხი ლეონტი მროველის შესახებ. ლეონტის ავტორად აღიარების კონცეფცია ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის შრომაებშია წარმოდგენილი (ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 171—184; С. Какабадзе, о древне-грузин.

ких летописцах XI столетия, 19-2, гл. 21—27). თუმცა, უკანასკნელად, როგორც ხევიძი ვთქვით, ს. კავაბაძემ ეს აზრი შეიცვალა. შემდგომ მეცნიერთა დასკვნები, მიუხედავად მრავალი ურთიერთწინააღმდეგობისა, ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ ერთხანია.

ივ. ჭავჭავაძემ ავტორობა ძიება კონკრეტულად იმ ორ ანდერძშიაწერებრ აკეთა, რომლებშიც „ქართლის ცხოვრების“ ანა და მარიამის შესახებ ნუსხებშია დაცული:

1. „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს (მეგრ) ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ (ქ. ცხ., ტ. 1, გვ. 244);

2. „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღწერებოდა ქაითი-ქამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჟუანშერ ჟუანშერისამან, ამისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან“ (ქ. ცხ., ტ. 2 გვ. 248).

დღესათვის ცნობილ უძველეს ქართულ ნუსხებში პირველი მემენტო მოიპოვება ვახტანგ გორგასლის ისტორიის ტექსტის შემდეგ, მეორე კი მოთავსებულია წ-ა არჩილის მარტივობის ბოლოში. საგანგებოდ ხაზგასასმელია, რომ არჩილის ცხოვრებასაც აგრეთვე, მოეპოვება საკუთარი ანდერძშიაწერის (ამაზე ქვემოთ).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწავლიდან ის დასკვნა გამოდიოდა, რომ არ შეიძლება მისი დაწერის დრო (იმ სახით, როგორც ის ცნობილია) XI საუკუნეზე ადრე გვევათუდ. რადგანაც დოქტორებმა უკვე დამუშავებული იყო, ამიტომ იმ საკითხზე, თუ რომელ ავტორს რა ნაწილი ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ი. ჭავჭავაძე იმ აზრით დასკვნად მსჯელობდა: ვახტანგ გორგასლის ისტორია დაწერილი უნდა იყოსო ჟუანშერის მეტრ, რადგანაც მეორე მემენტო გვეუბნება: თითქოს „ვახტანგ მეფისითგან“ დაწყებული, ე. ი. ვახტანგის ისტორიაც, ჟუანშერის მეტრ აღწერა. იმ თხზულებაა. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, მისი ავტორი ლეონტი მროველი უნდა იყოს, რადგანაც პირველი მემენტო გვეუბნება, რომ „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს (მეგრ) ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“. რომ ლეონტი მროველი მანდღამანაც ავტორია, ამას შემდეგნაირად ასაბუთებდა განსვენებული ისტორიკოსი: „როგორც ამ შენიშვნისაგანა ჩანს, ქ-ცის ძველ დედანში „მეფეთა ცხოვრება“, „ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ ლეონტი მროვე-

ლის თხზულებად იყო ცნობილი“ (რუსთა. თხზულ., გვ. 171). ივ. ჭავჭავაძის აზრით, „როგორც ჟუანშერია ავტორის სახელიც და არა გადაწერისა, ამგვარადვე აქაც ტექსტის მრავალი ავტორის სახელია“, რომ ეს ასეაო, ფიქრობდა იგი, „ამას თვით ზნა „აღწერა“ ამტკიცებს, რომელიც ძველ ქართულში შეთხზვასა მნიშნავდა“ (ibidem).

ივ. ჭავჭავაძე იტყობს: „ლეონტი მროველი რომ მწერალი და ისტორიკოსად ითვლებოდა წინათაც, ეს წ-ა არჩილის ახალ ცხოვრებთგანაც ჩანს, რომლის ავტორი ამბობს: არჩილის „ღირსებათა ქებათა ვერცან მკადრე ქმნილ არს, თვნიერ მის ქაშიაა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრულო ცხოვრება და ღუაწლი ვრცელად აღწერა, ვითარცა მოგვითხრობს მტრანე ქარაველთა ცხოვრებისა“ (ესე არჩილი II-ისა, და ბეჭდილი მ. ჭანაშვილის „ქართ. მწერლობაში“, I წიგნი, 258, რგ. ჯავ-ბიშვილი, op. cit; გვ. 174).

ასეთია არგუმენტაცია ლეონტი მროველის ავტორობის სასარგებლოდ, და თუ კარგად ჩავუვირდებით, ვნახათ, რომ ამ აზრის ერთადერთი საფუძველი თავად „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ისაა, რომ, ვითომც, ზნა „აღწერა“ ძველ ქართულში შეთხზვასა ნიშნავს... ეს რომ მართლა ასე იყოს, პირველი მემენტოს მიხედვით იძულებული ვიქნებოდით ლეონტი მროველი ავტორად მიგვეჩინო, მაგრამ ამავე არგუმენტისა და სხვა საბუთების განხილვა გვარწმუნებს, რომ ეს აზრი დამაყრებელი არაა, რომ ამის შემდეგ ძველი ქართული მწერლობის რიგე საკითხების კვლევისას ბევრ რამეს სხვანაირად უნდა მივუდგეთ.

1. ნიშნავს თუ არა ძველ ქართულში ზნა „აღწერა“ მხოლოდ შეთხზვას? არა, არა ნიშნავს.

ძველი ქართული მწერლობის ძველთა გადათვლიერება გვარწმუნებს, რომ ზნა „აღწერა“ ნიშნავდა როგორც „შეხზვას“, ასევე „გდაწერას“. ამის დასამტკიცებლად მოვიტანთ მავალითების მხოლოდ ერთ ნაწილს.

პირველ რიგში სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ ლეონტისავე სახელის შემცველი ანდერძი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ თემურაზისებულმა ნუსხამ შემოგვიანა. ანდერძში ვკითხულობთ: „არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლად იოანე დეკანოზმა აღწერა“. უძველია, რომ ზნა „აღწერა“ ამ შემთხვევაში გადაწერის მნიშვნელობითაა ნაშნარი, და იგი ოდნავდაც არ შეიცავს იმ აზრს, თითქოს ლეონტი მროველი შემთხვეულია. ნათელია, რომ (სხევე ფიქრობს გ. მელი-

1 მემენტო (ლათ. memento — დაიხსოვ, გასაზრდეს) — დასამახსოვრებელი მინიანიშნი ტექსტში.

ქივილი) ამ მინაწერის შემდგენელი არც ლეონტისა და არც იოანეს ავტორად არ ითვალისწინებდა, რამდენადაც აღარ იყო საჭირო ხელმოკრულ შეთხზვა (გ. მელიქივილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31).

მაგრამ ამა მარტო 1700—1705 წწ. გადაწერილ ამ ნუსხაში, არამედ X საუკუნეშიც ეს ზნა ამგვარი მნიშვნელობითაა ნახვარა. შატბერდისებულ კრებულის გადაწერარედაქტორი ითან ბერაჲ ასეთნაირად წერს თავის ანდერძს: „...გაყვარულე ჳმინდაჲ ესე წიგნი: კაცისა შესაჭრე, და მეთრედ წიგნი თელათაჲ და სახის მერტუელ, და აზოლტე, და ქართლის მოკცევაჲ... და შეწვირე შატბერდის საყოფელსა წმიდისა ღვთის შობლისასა, რომელსაცა შინა აღწერე სალოცველად ხელსა ჳემისა...“ და ა. შ. ც. თაყაიშვილი, სამი ისტორიული სრონიკა, 1890, გვ. XV).

ახლა მივმართოთ თუნდაც ლაბეჭინის ცნობულ სახარებას, ამ სახარების ბოლოში მოყვანილია ვიორგი მოთწმინდელის ანდერძი, სადაც ნათქვამია, რომ მას „ესე წმიდა ოთხოვი“ ახლად უთარგმნია. ანდერძს მოსდევს ვრცელი ბოლოსტყუვაბა, რომელიც გვაუწყებს, რომ შემდეგ ეს სახარება — ოთხოვი გადაწერა დედამ ვიორგის „დაიწერნეს კლითა დედამ კისითა“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 16-17), მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის საინტერესო ცნობები, რომლებიც 13-14 საუკ. გაბრეულ ლაბეჭინელის ვრცელ მინაწერს დაუცავს. სასტკია მიწისძვრის შემდეგ, როცა სულერთიანად დანგრეულა ყველაფერი, გაბრეული აღუდგინა და წესრიგში მოუყვანია იქურობა. როცა ჩამოთვლის თავის ლეწელს, სავანეებოდ შენიშნავს: „...მოვასხენ შერალნი და დეჳწერე ერთი დიდი ნეტარისი და ერთი სენქსარი, ...ერთი მარბჯანი და ა. შ. (იქვე, გვ. 20). საყურადღებოა, რომ, მაგალითად, XI ს-ში, ვიორგის მიერ დაწერილი ექვთიმე ათონელის ცხოვრება, 1074 წელს გადაწერია მიქელ დლადასონელს, რომელიც გვამცნობს: „დაეწერე ცხოვრებაჲ“-ო (ათონის კრებულო, გვ. 175; კ. კეკელიძე, იტრუდები, II, ნინოს ცხოვრების მატეანისებული რედაქციას ავტორი, გვ. 270, მისივე, ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, ვტ-ი, IV, გვ. 102, შენიშვნა 2).

ამევე მნიშვნელობითაა ნახვარი ეს ზნა მესტიის სახარების მინაწერში. სადაც მოყვანილია ილარიონის სიტყვები: „მე, ილარიონ ძემ-ნ მსაქარისმ-ნ იშხნელ ეპისკოპოსმან... მოვიგე! წ-დ ესე ოთხოვი და აღეწერე ესისთა

სოულებითაო“... (ე. თაყაიშვილი, დასახელ. ნაშრ., გვ. 281).

შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ვიორგი ათონელის მოწადის თეოფილეტის (ქუციშვილი) წინს ანდერძი, რომელიც მოთავსებულია სეპტემბრის თვის „საკითხავების“ მეტაფრასულ რედაქციაში. „საკითხავები“ ბერძნულად გადმოცლია და გადმოუწერია იმავე თეოფილეს. ანდერძში ის ევედრება იმათ, ვინც მომავალში გადაწერს ამ წიგნს: გთხოვთ, ნუ დაივიწყებთ და ეს ჳემი ანდერძიც არ გამოტოვოთ. „ვინცა ესე ჳემი წიგნი დასწერელთ, ვათ სოუერტულ და ამას ჳემსა ანდერძსა ნუ დააგდებთ, რამეთუ თქუწმთჳ მადლ არა და წიგნისათჳ შემტაცის არს“ — ო ამბოსთ თეოფილეტ ხუცესბოძანაზი (R. Blake, Catalogue des manuscrits de la Bibliothèque ue la Laure d'Jviron au mont Athos, P., 1932—34, გვ. 129). გაეიხსენოთ, თუ გიძდ, „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისებელი ნუსხის გადმოწერის სიტყვები: „ამუროთ... მცველ და მფარველ... ექმნეთ... მეფისა აღუქმანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატროსანთა ამაჲ წიგნთა აღწერა“ (ე. ყავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 305).

ამგვარად, ნათელია, რომ ზნა „აღწერა“ გადწერასაც ნიშნავდა.

ღეოსტის ავტორობის აზრს უარყოფს შემდეგი ფაქტი: — როგორც კ. კეკელიძემ შენიშნა პირველად, „ქართლის ცხოვრების“ ორივე მეშენტო ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აზრს შეიცავს.

მეორე მეშენტო გვეუბნება, რომ „ქართლის ცხოვრების“ წიგნი, სწორედ „ესე, ქართული ცხოვრებისა“ ვახტანგ გორგასლის ისტორიაშია დე „აღიწერებოდა ეამითი-ეამით“ (სხვადასხვა დროს). ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ აღიწერებოდა სხვადასხვა პირის მიერ, ამ მეშენტოში ნამდვილად შეთხზვაზეა ლაპარაკი: „...მიერითხედ (ე. ი. ვახტანგის ისტორიის შემდეგ, შ. ბ.) შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა ახალონო“ (ქ. ცხ., I, გვ. 248) გვაუწყებს ანდერძი; როგორც ვხედავთ, აქ ყველგან ორიგინალური საავტორო მუშაობაა ნაგულასხმები, და სხვანაირად მისი გაგება შეუძლებელიცაა.

თუ პირველ მეშენტოს ამ აზრით გავივებთ, რომ ლეონტის ორიგინალური საავტორო სამუშაო ვაუწყვია, შევიღებთ: „არჩილის წამება“, „მეფეთა ცხოვრება“ და „ნინოს ცხოვრება“ ერთ პირს — ლეონტი მროველს აღიწერია (შეუთხზავს); სამაგიეროდ მეორე მეშენტოს მიხედვით იგივე თხზულებები „აღიწერებოდა“ „ეამითი-ეამით“, ე. ი. სხვადასხვა დროს

1 ე. ი. შევიძინე.

სხვადასხვა პირის მიერ, რაც ეწინააღმდეგება პირველი მემენტოს ჩვენებას.

ერთადერთი სწორი მიდგომა საკითხისადმი ის იქნება, რომ პირველი მემენტოს ლეონტის ავტორობა არ მივაწეროთ. ამრიგად, გამოვა, რომ ქუანშვირი ავტორია ვახტანგის ისტორიისა, ლეონტი მროველი კი — გადაწერილი ან რედაქტირებული იმავე ნაწილისა, რომელიც თურმე „აღიწერებოდა ეამითი-ეამად“. სხვათაგან დასკვნა, ამ მემენტოებით, საერთოდ, შეუძლებელია.

3. რომ ლეონტი პირველ მემენტოში ავტორად არაა ცნობილი ამ ანდერძის მიმწერთა მიერ, ამას ისიც მოწმობს, რომ ლეონტი მროველი არაა წმ. ნინოს ცხოვრების ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ აქ წერია: „ნინოს ჭაბუღის მოკცევა ლეონტი მროველმან აღწერა“¹.

ძველთაგანვე ცნობილია წმ. ნინოს ცხოვრების რამდენიმე რედაქცია, რომელთაგან უძველესია შატბერდულსა და ჭელიშერ ნუსხებში მოთავსებული რედაქცია (ე. თაყაიშვილი,

Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, ტ. II, გვ. 727—833), შემდგომი რედაქცია იმ ქართული ღეღნით უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც ხელთ ჰქონდა XII საუკუნის სომეხ მთარგმნელს, ქართულადან სომხურად რომ თარგმნიდა „ქართლის ცხოვრების“ (ნინოს ცხოვრების თარგმანი, იხ. ი. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბ., 1953, გვ. 74—130). ამ რედაქციის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ის, რაც ანა და მარიამისეულ ნუსხებშია წარმოდგენილი (ე. ცხ., ტ. I, გვ. 72—130) და რომელსაც კ. კეკელიძის მიხედვით, მატანისეული რედაქცია ეწოდება.

ველიცა-ძიებით დაგვიჩილია, რომ სომხურად თარგმნილი გარდაამავალი ნუსხა ძალზე შორდება შატბერდულსა და ჭელიშერ ვარიანტებს: ეს უფრო ახლო დგას მატანისეულ რედაქციასთან, ოღონდ მატანისეულ ნუსხაში ნინოს აშვილი მესამე პირითაა მოყოლილი. „სომხურნი“ კი, შატბერდულ-ჭელიშერი ნუსხების დარად, თხრობა პირველი პირითაა წარმოდგენილი. სამართლიანად ფიქრობს ი. აბულაძე, რომ „ქართლის ცხოვრებას“ ქართულ ნუსხებს, გვიან ხანებს რომ განეკუთვნებოდნენ, ნინოს ცხ-ბა იმ რედაქციებიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. რომლებიც სომეხი მთარგმნლის ქართული დღანდი იყო. აქ „ნინოს ცხ-ბა პირველი პირით ყოფილა წარმოდგენილი“ (ი. აბულაძე, დასახულება, გამოსვ. გვ. 026).

ნინოს ცხოვრების რედაქციებზე საგანგებოდ დაკვირვება მოეპოვება კ. კეკელიძეს. იგი წერს, რომ XI საუკუნის მოღვაწეს ლეონტი

მროველს ეკუთვნის ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „ცხოვრება ნინოსი“, „მეფეთა ცხოვრება“ და „წამება არჩილ მეფისა“. იგი რა წელი უღვეს ლეონტი მროველს, ნინოს ცხოვრების“ მიმართ, ამაზე განსვენებული მკვლევარი აზრობს შემდეგს: „ლეონტი მროველის დრომდე ჩვენს მწერლობაში არსებობდა ნინოს ცხოვრების ის რედაქცია, რომელიც შემოუნახავს ჩვენთვის შატბერდისა და ჭელიშის ხელნაწერებს... ამ ეს რედაქცია აუღია ლეონტის და თავისებურად გადაუკეთებია; რაც ძველი რედაქციის თავში იყო მოკცეული, მას ბოლოში მოეთავსებია. პირველი პირის მოთხოვნა მესამე პირისად გადაუკეთებია. ზოგიერთი პარაგრაფი ძველი მოთხრობისა. გამოშვებია, ზოგი მიუმატებია, ზრახვები განუერთებია და სიტყვები განუმაღებია“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 239).

კ. კეკელიძე ფიქრობს, თითქოს ეს რედაქცია, ანა და მარიამ დედოფლისეული ნუსხებით რომ არის ცნობილი, თავდაპირველად დამოუკიდებელი სხიბი შეუთხზავს ლეონტი მროველს, და შემდეგ იგი ლიტერატურულად, შემდგომ კი უნდა მომხდარიყო მათი შერბა „ქართლის ცხოვრებაში“. ამასთან დაკავშირებით, კ. კეკელიძე წერს: „როდის შეიტანეს ეს ცხოვრება მატანისეი, დანამდილებით არ ვიცით. ერთი ცხდაია, რომ, როდესაც ლეონტის მატანე სომხურად უთარგმნიათ, მაშინ ის უკვე შეტანილი ყოფილა მასში. ასე რომ, ის დაახლოებით XII საუკუნის-მდებარე ნახევარში უნდა იყოს შეტანილი მატანეში, ესე იგი, მაშინ, როდესაც ლეონტი და ქუანშვირის შრომებიდან შეუდგენიათ ერთი კრებული, პირველი რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“ (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 274).

განსვენებული მკვლევარის ეს აზრი არ არის დამაჯერებელი იმიტომ, რომ ნინოს ცხ-ის რედაქცია, რომელიც სომხურად თარგმანი შეიძლება გავითვალისწინოთ, საკმაოდ განსხვავდება ანა და მარიამისეული ნუსხებით წარმოდგენილი ნინოს ცხოვრებისგან. ამდენად, ეს გარემოება უფლებს გვარაიშვებს ვიფიქროთ, თითქოს სომეხი მთარგმნლის ღეღნისა და ქართული მატანისეული რედაქციის გააქვითვები ერთი და იგივე პირია. თითქოს ეს ორივე რედაქცია ერთმანეთის იდენტურია.

ნათელია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ იმ დღანს, რომელიც სომეხ მთარგმნელს ჰქონდა ხელთ, საერთოდ, წარმოუდგენელია ჰქონებოდა ისეთი ანდერძმანაწერი, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ ლეონტი მროველმა შეთხზა ან გადააკეთა ეს თხზულება, ვინაიდან ნინოს ცხოვრება, როგორც ეს კარგად აქვს ნაჩვენები იგი, ვახაბიშვილს, თავისთავად წარმოადგენს ფრედოპიკარადიკულ ძეგლს (იხ. მისი „ძე. ქართ. საისტ. მწერლობა“, გვ. 96-97). იგი, ვახაბიშვი-

ლის აზრი, გამოთქმული ნინოს ცხოვრების შეტყობის-ქველმოქმედი ნებსების მიმართ, საესე-ბით ლოგიკურად გუჩვენება იმ ნუსხის ზემარ-თაც, რომლითაც სომეხი მთარგმნელი სარგებ-ლობდა...

ეს, ჩვენთვის არაკვესი იმ გარემოებას, რომ თავის განმანათლებლად ქართველებს აღ-რე სხვა ჰყავდათ წარმოდგენილი, მხოლოდ შემდეგ, სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთ-ქალების დროიდან დაიწყო ახალი შეგნების დამკვიდრება, რაც იმით დასრულდა, რომ შე-იქმნა ახალი ტენდენციით ღრმად აღბეჭდილი, ოფიციალურად აღიარებული წა-ნინოს ცხოვ-რება. დიდი ქართველი მეცნიერი წერს: „ქართ-ველი იმდროინდელი საზოგადოება, რომელ-საც თავის სამშობლოს გაჭირვებების შესა-ხებ წინანდელი ცნობები ჰქონდა შეთვისებულ, ახალს ცნობებს ნინოს მოღვაწეობის შესახებ ისე ადვილად ვერ დაიჭერებდა, ამისთვის სა-ჭირო იყო შეურყვეველი ნაბუთები“ (გვ. 74-75). ისტორიკოსი გა-ნაგრძობს ესეულს და ამბობს: „სწორედ ამგვარი დარღვევითა საბუთები მოჰყავს შე-მარტანეს თავისი თხზულების ეპიპოტენიო-ბისა და ქეშმარიტების დასამტკიცებლად. წა-ნი-ნოს ცხოვრება უსახელი ნაწარმოებია: შეშთ-ხველი აღნიშნული არ არის. შეუძლებელიც არის, რომ ავტორი დასახელებული ყოფილიყო რადან თვით თხზულება წა-ნინოს ანდრ-ძია... მისივე ნაამბობი სიტყვათაგანია: ნა-წერალი! მაშინ „მოიხუნეს საწერელი სა-ლომე უყარმელმან და სივნიელმან პერ-თავრი და იწყო სიტყუად წმინდამან ნინო და იგინა წერ დესო“ (ახალი ვა-როანტი 3, და ოპიკ, II, 735) მართლაც წა-ნინოს ც-ა ისეა აღწერილი, რომ მოსაუბრედ და მოამბედ თვითვე ნინოა გამოყვანილი (იქვე, 4-28 და ოპიკ, 737-759), დანარჩენი ცნობე-ბი ქართველთა გაჭირვებების შესახებ თა-ნამედროვეთა და ნინოს თანამშრომელთა აღ-წერილად არის გამოყვანილი“ (გვ. 74-75).

ჩვენს დიდი მეცნიერი საბარტოლანად ჰქვი-რობდა, რომ „ამ თხზულების შემდგენელის წა-დილია მკითხველი დააჩწუნოს, რომ ქართ-ლის მოქცევის ამბავი და წა-ნინოს ც-ა ქეშმარ-ტიც და შეურყვეველ ცნობებს შეიცავს და თვით მონაწილეთა მიერ აღწერილ თხზულებ-ათა კრებულია მხოლოდ. ასეთი წყაროებისა და ცნობებისათვის კი შეუძლებელია იმდროინ-დელ ქართველ საზოგადოებას არ დაეჭვრებ-ნინა, ან უყურადღებოდ დაეტოვებინა“ (იქვე). სწორედ ასეთნაირად გუჩვენება ჩვენ ზემო-მოითქმული ტენდენცია ნინოს ცხოვრების ამ-დენი, რომელიც III საუკუნის სომეხ მთა-

რგმენლს ჰქონია ხელთ. ამ ვერსიაში ნინო მთ-ველი პირის მთხრობელია, სხვა ნაწილთა მომ-თხრობლად კი სხვები არიან. ამიტომაც საესე-ბით გამოირცხვლით ვარაუდით, რომელიც ქართ-ლის ცხოვრებაში მაშინ იქნებოდა შეტანი-ლი ნაწარმოები მინაწერით, რომ იგი შეთხზა ეინემ, ამ შემთხვევაში ლონტი მროველმა. ამგვარად, ამ მესამე ფაქტითაც შემენტოში ნა-თქვამი ზნა „აღწერა“ (იგი არჩილის წამება და შეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მო-ქცევა ლონტი მროველმან აღწერა“) არ შეიძ-ლება გაგებულ იქნას „შეთხზვის“ მნიშვნე-ლობით, ამას გვიჩვენებს შემენტოს ზნისა და წა-ნინოს შინაარსიდან გამოტანილი დასკვნის ურთიერთმიმართება. ვასაგებია ისიც, რომ თუ წა-ნინოს ცხოვრების მიმართ ზნა „აღწერა“ შეთხზვის მნიშვნელობითა ან იქნება გაგებუ-ლი, ასევე იგივე ზნა ვერ მიეკუთვნება სხვა ნაწარმოებებსაც, ვინაიდან შემენტოს ზნა ერთნაირად განეკუთვნება როგორც „ნინოს ცხოვრებას“, ასევე „შეფეთა ცხოვრებას“ და „არჩილის მარტვილობას“...

4. განვიხილოთ სხვა ფაქტიც. თუ ლონტი მროველი ავტორად ვადავლისსებობ, ან რა წა-ნააღმდგვობა თუ გაუგებრობა იჩენს თავს. პირ-ველი შემენტო ამბობს ლონტი მროველმა „წა-არჩილის ცხოვრებაც“ აღწერაო. თუ ვა-ვიგებთ იმ ზნას „შეთხზვად“, მაშინ უნდა ვიღებოდეთ, რომ ლონტი მროველი ავტორა-არჩილის წამებისა.

მაგრამ რა ეუყუთ საყუთრიც არჩილის ცხოვრების ანდერძს, რომელიც ამ ნაწარ-მოებს ახლავს ბოლოში: „წიგნი ესე წამებისა მისისა (არჩილის, შ. ბ.) ითვია ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ეჟამთა შლილობათა ჯერისაჲრ ვერის აღწერა“ (ტ. 1, გვ. 248). ამრიგად, ამ მინაწერში ნათქვამია — ეს ნაწარ-მოები ეიპოვეთ და არაფერი არ შეგვიცვლია, ისევე შევიტანეთ ქართლის ცხოვრებაშიო...

ამავე ანდერძზე ვადაბმულია ქუანშერისეული შემენტო, ვადაბმულია ისე ორგანულად, რომ ერთი მინაწერი ვგვარებთ. ამ შემენტოდან ვიგებთ, რომ: წიგნი ესე ქართველთა ცხოვ-რებისა იწერებოდა ანუ შეითხზებოდა ეჟამ-თი-ეჟამთ. ე. ი. სხვადასხვა დროს, და სხვა-დასხვა პირთა მიერაც. ამ შემენტოს მოხედ-ვით, არჩილის წამებაც იმ ნაწილშია მოთავსე-ბული, რომელიც „ეჟამთი-ეჟამთ“ არის აღწე-რილი. ერთი სიტყვით, ავტორი არაა დასახე-ლებული და არჩილის მარტვილობას თავისი კანონიერი ანდერძი ვაანინა...

ახსენელი დარჩებოდა: რა საჭირო იყო პირ-ველი შემენტოს ცნობა, თითქოს ლონტი არჩილის ცხოვრების ავტორია, მით უმეტეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხურ-თარგმანიც, საერთოდ, არ იცნობს ლონტი-სეულ შემენტოს, მაშინ, როცა ქუანშერისეუ-

¹ ხაზასმა ჩუბია: შ. ბ.

ლი შემენტო თარგმანში სწორად და ზუსტად და დაცული და არა ისეთი შერყვნილ-სახით, როგორც ქართულმა ნუსხებმა შემთავინების იგი (იხ. ცისკარი, 1962, № 3, გვ. 144-146).

როგორც საფიქრებელია, ამგვარი ფაქტები, საერთოდ, დამაჩერებლად უნდა უარყოფდეს იმ აზრს, თითქოს შემენტოს ლეონტი არის ავტორი. ამ შემთხვევაში „ქართლის ცხოვრების“ არქაული ნაწილი ანონიმურ ნაწარმოებთა არქაულად იქნებოდა წარმოდგენილი და შემთხვევებიდან ზვენ მხოლოდ ჟუანშერის სახელი გვეცოდინებოდა!



ამგვარი დასკვნის შემდეგ საძიებელი ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინაა ლეონტი მროველი. ახლანაჲ გამოსული შრომებით მტკიცდება ის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემენტოს ლეონტი მროველი იგივე პიროვნებაა, რომელიც მოხსენებულა სოროთხების ჟგრის წარწერაში (1066 წ.) და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთერთ ხელნაწერში (ც. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 225-229), მაგრამ ეს საკითხი საესებით ზუსტად რომ იყოს გადაჭრილი, მაინც ლეონტი მროველს ავტორის სახელი ვერ მივუძღუნება და იგი ან გადაწერი, ან რედაქტორი უნდა იყოს.

მიუხედავად ასეთი დასკვნისა, ბევრი რამ გურკვეველი რჩება მაინც. სახელდობრ: რატომ არ იცნობს XII საუკუნის სომეხი მთარგმნელი ლეონტი მროველის ანდერძინაწერს? ვინ არის ის პირი, რომელმაც „ნინოს ცხოვრების“ „სომეხობა“ ევრსია მატაიანისეულ რედაქციად გადააკეთა და რატომ განიდა შემენტო პირველად XIII საუკუნის დამდგეს რედაქტორებულ ანა დედოფლისეული ნუსხის დედანში?

ჩვენ გგონია, რომ ამ საკითხებზე გადაჭრით პასუხის გაეცმა შეუძლებელი, უკეთ, ძალზე სახიფათო იქნება, ვიდრე ახალი მასალა არ აღმოჩნდება.

1 საკითხის ამგვარი დასმით კიდევ უფრო ნათელი ხდება ის საზი კვლევისა, რომ უძველესი ნაწილი „ქართლის ცხოვრებისა“ არ შეიძლება დწერილი იყოს VIII საუკუნის შემდეგ. ეს ნიშნები ასეთი თარაღისთვის შემდეგია: არაა ასახული ის საბუნდოლო, რომელიც სომეხ-ქართულთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ დამყარდა. ტექსტში არაა ცნობილი გეოგრაფიული სახელი „აფხაზეთი“ და მის მაგიერ ყველან „ევრსია“ არის ხმარებული (იხ. კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბ. უნივერ. მოამბე, III 53-55; მისივე ნინოს ცხოვრების მატაიანისეულ რედაქციის ავტორი, ეტიუდები, IV, გვ. 274).

არ შეიძლება საგანგებოდ არ შეიძლება იმ ფაქტსაც, რომ ბოლო დრომდე ლეონტის ავტორობის შესახებ მსჯელობისას ჩვეულებრივ იყენებენ ცნობას, რომელიც წმ. არჩილის მეტაფრასტულ ვერსიაში არის დაცული. ზოგჯერ მოჰყავთ არგუმენტად, თითქოს ლეონტი იმიტომაც უნდა ვივუღოთ წმინდა არჩილისა და სხვათა ცხოვრების ავტორად, რომ აქ წერია „...არჩილის ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თუნიერ მის ქამისა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხოვრება და ღვაწლი ვრცელად აღუწერია, ვითარცა მოგვითხრობს „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ (მ. ჭანაშვილი, „ქართ. მწერლობა“, I, 258). არსებობს აზრი, თითქოს არჩილის მეტაფრასტული რედაქცია XIII საუკუნეში იყოს გაკეთებული, და რადგანაც ამ ხანების მიმეტაფრასტულ ამბობს, რომ მას ხელთ აქვს, ან იცის, რომ „მატიანე ქართველთა ცხოვრებისაში“ მოთავსებულია არჩილის მარტვილობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლეონტისეული შემენტო ქართლის ცხოვრებაში XIII საუკუნის უწინარეს უნდა ყოფილიყო...

აღნიშნულ საკითხზე პროფ. კ. გრიგოლია წერს: „ლეონტი მროველის ღვაწლის მაღწეველი ეს მინაწერი ქართლის ცხოვრების უძველეს, ანა და მარამისეულ ნუსხებში მოიპოვება. მაგრამ არსებობს გარკვეული საფუძველი ვფიქრობთ, რომ ასეთი ანდერძი ქართლის ცხოვრებაში წაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამ მხრივ, საკმარისია, გავიხსენოთ არჩილის წამების მეტაფრასტული რედაქცია, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება და რომელშიაც არჩილის წამების ავტორად ლეონტი მროველია დასახელებული. რაც მთავარია, იქ, ამ დებულებისათვის დამოწმებულია ქართლის ცხოვრება და ნათქვამია: „ვითარცა მოგვითხრობს მატაიანე ქართველთა ცხოვრებისა“ — ქართლის ცხოვრებაში კი, გარეშე ამ ანდერძისა (ლეონტისეული შემენტოსი, შ. ბ.), როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის მიერ არჩილის წამების აღწერის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი. აქედან ეხადია, რომ ასეთი ანდერძი იმ ნუსხებშიაც ყოფილია, რომელნიც XIII საუკუნის მიმეტაფრასტულ სქონისა ხელთ“ (ც. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 224).

ჩვენი მხრით დავსვენთ, რომ არჩილის ცხოვრების მეტაფრასტული რედაქციის ეს ადგილი სათანადოდ არაა ვგებულები და მას სხვაგვარი ახსნა ესაკიროება.

კერძოდ, თუ ავიღებთ არჩილის მარტვილობის ანდერძისამგვარ ცნობას და მას მოლიანო-

ბაში განვიხილოთ, სულ სხვა დაცვენად მივალთ. სახელდობრ: „არამედ ჩვენ ძალისაგან ვიტყოდით... რამეთუ ღირსებისათა ქებათა ვერვინ შკადრე ქმნილარს; თვნიერ მის ეამისა წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მროველისა: რომელსაც მისი სანატრელია ცხოვრება და ღვაწლი ვრცელად აღუწერია: ვითარცა მფავითხრობს მატანე ქართველთა ცხოვრებას: არამედ ეამთა მოწყობარებათა ეიდრე ზუნანმდე არა მოწვენილ, არცა გუბილავს: არამედ მიხვე ქართველთა ცხოვრებისაგან, რომელი მისთვის სულ მცირედ წერილს არს“ (მ. ჭანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი I, 1900, გვ. 257-258).

აქ, როგორც ვხედავთ, სულ სხვა რამაა ნათქვამი; კერძოდ: არჩილის მარტვილბა თავის დროს მისივე თანამედროვის ლეონტი მროველის მიერ იყო აღწერილი და ეს ამბავი ჩვენ ვიცით „მატიანე ქართველთა ცხოვრებიდან“, მაგრამ, დასაყენს მეშტადრასტე, ლეონტის მიერ აღწერილი ვრცელა ცხოვრება („რომელსაც სანატრელია ცხოვრება და ღვაწლი ერცლად აღუწერია“, გვ. 258) ზემს დროს „ეამთა მოწყობრებათა“ დაკარგულა, ჩვენამდე ვეღარ მოუღწევია და მეც არ მიწახავსო.

...ვიდრე ზუნანმდე არა მოწვენილ, არცა გუბილავს“.

... იმიტომაც, როგორც ის ამბობს, ახლა გვაქვს არჩილის ცხოვრება „სულ მცირედ“ რომ „წერილ არს“ და იგი მოთავსებულა და გამოყენებულა „მისვე ქართველთა ცხოვრებისაგან“ (იქვე).

ნათელია, რომ საერთოდ შეუძლებელია იმ დაცვის განმარტანა, თითქოს არჩილის მეტაფრასტული ცხოვრების ავტორის მიერ დასახელებული „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“ იგივე „ქართლის ცხოვრებაა“. სინამდვილეში, როგორც ვიცით, არჩილის ამ მეტაფრასტული ცხოვრების ზეგნებით „ქართლის ცხოვრება“ არის არა „მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“, არამედ „ქართველთა ცხოვრების“ წიგნი, სადაც მოთავსებული უფოფა არჩილის ის ცხოვრება, რომელიც „სულ მცირედ წერილ არს“ (მ. ჭანაშვილის გამოც., გვ. 258).

სწორედ „ქართლის ცხოვრება“ რომ გვეუბნება, თითქოს „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა“ (და არა „მატიანე“, შ. ბ.), რომელიც „აღწერებოდა ეამითი-ეამათ“ (ქ. ცხ., ტ. I, გვ. 248), თავის თავში მოიცავდა წმიდა არჩილის ამ ცხოვრებას და თავის დროს „იბოვა...სულ მცირედ აღწერილი, რომელ ეამთა შლილობითა ჭერისაგან ვერავის აღუწერა“... და იგი ამის გამო, ამგვარი სახით იქნა შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“ (გვ. 248). იქვე არაა, რომ არჩილის ცხოვრების მეშტადრასტეს ხელთ ქონებია „ქართლის ცხოვრება“. ამას, ამ ანდერძის მშვენიერა ზეგნების ვარდა, ის ფაქ-

ტიც მოწმობს, რომ, როგორც ეს ქ. კეკელიძეს აქვს დამტკიცებული, მეტაფრასტის ხელთ ჩაერთებ გაერთობლი თხზულებაში „თითქმის სიტყვისიტყვი...“ „თითქმის უცვლელად...“ მოყვანილი და ზადებულა არჩილის ის ცხოვრება, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი (ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 352).

გასაგებია, ასეთ ვითარებაში, გამოიცხული არაა მოსაზრებლად მივიღოთ (სათანადო კონკრეტული ფაქტის უქონლობის გამო), რომ აღნიშნული მეტაფრასტის ანდერძის ლეონტი მროველი არის ავტორი რომელიც სავსებით მატანესი, რომლიდანაც შემდგომში, არჩილის წამება ქართლის ცხოვრებაში შეუტანიათ (თ. ვორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქართლოვრდ დაწყობილი, ახსნაილი და გამოცემულია... თბ... 1892, გვ. XXXVI).

...მაგრამ, უნდა კვლავ ვაგვესვათ ხაზი, რომ ეს მასალა არ იძლევა შესაძლებლობას გვიძოთ რაიმე ანგუშენტაცია ლეონტი მროველის ავტორობისათვის „ქართლის ცხოვრების“ არქთულ ნაწილში. მით უმეტეს, როგორც ამ ბოლო ხანებში ვაირკვა, არჩილის ცხოვრების მეტაფრასტული რედაქცია XII, თუ ვინღ, XIII საუკუნეებს კი არ განეკუთვნება, არამედ XVIII საუკუნის დასაწყისს, კერძოდ, 1713—1733 წ.წ. შუა ხანებს. „ქართლის ცხოვრებისეული“ არჩილის მარტვილობის მიხედვით, როგორც ვარკვეულა, მეტაფრასტული რედაქცია შეუდგენია ბესარიონ ბარათაშვილ-ორბეულიშვილს და იმ კრებულში შეუტანია, რომელსაც ეწოდება: „ქართველ წმიდათა მოთხრობისტორია“ (დაწერილებით იმ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960 წ., გვ. 351—352). ვისაგებია, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველესი რედაქციების კრიტიკოსათვის XVIII საუკუნეში შექმნილ ამგვარ მასალას არ შეიძლება სერიოზული ნდობა გამოვუცხადოთ.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ 1) თუ საიდან მოხდა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხებში ლეონტისეული მეშენტო, 2) რა ვეუთვნის მას ამ საისტორიო კრებულში, 3) არის თუ არა ერთიანი ვიერი ეს ლეონტი და სორა-თხევის ჭვარის (1066 წ.). პარაზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთერთ ქართულ ხელნაწერისა და, აგრეთვე, ათონის ერთერთი ხელნაწერის ლეონტი (ქ. ვრიგოლა, დასახ. ნაშ., 126-229), — ყოველთავე ეს ჭერჯერობით ლიდრჩება და ახსებული მასალის მიხედვით ძნელია მათი ვადამკრა.

ცხადია, ლეონტი მროველი ავტორი არაა, ამიტომ არქთული ნაწილი აბოლიშური იქნება; თუ ვინმართ ლეონტის სახელს, უნდა ვუწოდოთ „უსვავლონიკი მროველი“.

იშთარის მოგზაურობის ჰიმნი

„იშთარის მოგზაურობის ჰიმნი“—ძველი აღმოსავლეთის პოეზიის კლასიკური ნიმუშია. იგი ისევე პოეტურად და გავრცელებული იყო წინააზიის ხალხთა ფოლკლორში, როგორც „ვილამეშის“ ეპოსი. ჰიმნი თარგმნილია რუსულ და ვერძულ ენებზე. იშთარის ჰიმნის უძველესი ბაბილონური ვარიანტი განეკუთვნება VIII ს. ძვ. წ., ნაოგნია გერმანული ექსპედიციის მიერ ამერიის გათხრებისას და ინახება ბერლინის ნაციონალურ მუზეუმში. მოგვიანო პერიოდის ტანლერი განეკუთვნება აშურ-ბაი-ნო-ფალის (668-626 წწ.) კუიუჩუტის არქივს. ჩვენი თარგმანი ბაბილონურიდან ემყარება რომის ბიბლიის ინსტიტუტის გამოცემას, რომელშიც გამოაქვეყნა K 162 ტანლერი, გამოცემული ბრიტანეთის მუზეუმის ასურულ-ბაბილონური ტექსტების სერიაში და აგრეთვე ე. ებელინგის მიერ.

იშთარის ჰიმნის რელიგიურ წარმოდგენებში, რომლებიც ასტრალურ ვარსკვლავში ვითარდება, მორჩილ ადამიანს კეთილდღეობისადმი მოსწრაფება; იშთარი გამოდის გაზაფხულის ღვთაების თამუზის მხსნელად, რომლის მიწაზე დაბრუნებასთან ერთად ქვეყანა მზიარულობს, იზრდება ნაყოფიერება, ღვებება შრომა. თამუზს ბაბილონურ კალენდარში გაზაფხულის თვის სახელწოდებას დღეს უყავსმარტენი. ბაბილონური ჰიმნის მოკლეებია შორეული პარალელები: მაგალითად, შუმერული — შიით ინინი იშთარზე, რომელიც, თავის მხრივ, პარალელს პოელობს ეგვიპტურ მითებთან „ასტარტე“ და „შის თვლთან“. ეს მითები უახლოვდებიან, როგორც აქად. ე. სტრუვე აღნიშნავს, „გათორის“, ფინიკიური ბაბილონის მმართველის შიით. ბიბლიის უყავსმარტენი იზიდას და ოზირისის ეგვიპტური მითი; აქად იზიდას საშობლებით ოზირისი უზრუნდება ქვეყნიერებას, მოდის მზიარული და ნაყოფიერი გაზაფხული, ქვეყანაზე მეფდება ხალისიანი შრომა, ხალხი იხდის დღესასწაულს. ისევე, როგორც იშთარზე, იზიდას და ოზირისზეც უმარაგი მსტერია იყო სხვადასხვა ეპოქებში დაწესებული. იშთარი ეველაზე მრავალფეროვანი და პოპულარული ღვთაებაა წინააზიის ხალხთა პანთეონში; მისი სახელი, ფუნქციები დაკავშირებულია სხვადა-

სხვა დროის ქალღმერთთა სახელებთან. ასეთებია, მაგალითად, ძველ შუმერულ-ასურულ-ბაბილონურ პანთეონში ცნობილი სახელები: ნინი, ნინა, ანთითი, ნინა, ნინლილი, ნინსანი, ნინმასი, სარპანითი, ნინხარსაგი. იშთარის სახელის ხერტიკული ფორმაა შაუშქა, ხეთურში იგი ასურულ-შუმერული იდეოგრაფიით არის ცნობილი. იშთარის უძველესი სალოცავებითა და ტაძრებით განთქმული იყო ქალაქები: ურუქი, გირშუ, ური, ბაბილონი, ქიში, ბაბილონი, ივადე, ნინევე, არბელა, ხარანი... ბაბილონურში მას ხან ანუს, ხან შთეარის ღვთაება სინის (შუმერ. ენუსუ, ხურიტ. უშუ და ქემუთის, ხეთური ქაშქუს, ხეთური და ღვებური არმა, ურარტ. სელარდის) შვილად თვლიან, ასევე იგი ცნობილი ჩვენი ჰიმნიდანაც, შემდეგ ხანებში მისი სახელი უყავსმარტენა მარტუქისა და ამურის სახელებს. იშთარი შეესაბამება ასტრალურ ელტში პლანეტა ვენერას, ამავე ჰიმნი წარმოუგენილია შის ღვთაება შამში, მთავრის ღვთაება სინი და თანაჯარსკლავიდი ზომლი, ანუ პლანეტა დაკავშირებული ბელოლის სახელწოდებასთან. თავის მხრივ მნათობები ურთიერთობაში არიან გაზაფხულის თვე თამუზთან, ქვესკნელის ძალებსა და წყლის ღვთაება ესთან, ერშეიგლსა და ირქალთან. თამუზი კი შეესაბამება ფინიკურ ადონისს, რომლის გამოძახილსაც ეპოელობთ ენეიგელთან 8,14 და Sephuaginta-ში, სადაც იგი Thammuz-ად იწოდება. აქად. ნ. მარი ჭერ კლდე 1923 წელს აღნიშნავდა იშთარის შიითსა და ტრისტან და იზოლდას შიითს ურთიერთობას. შემდეგ, ამ საკითხს შეეხნენ, ე. ვ. სტრუვე (იშთარისა და ბაბილონური პოეზიის ურთიერთობა), ე. ვ. ფრანკ-კამენეცი (ტრისტანისა და იზოლდას ურთიერთობა ეგუტრ სამყაროსთან), ო. მ. ფრედენშერგი (ინტიკურ სამყაროსთან), ე. დ. დონდუა (ურთიერთობა ქართულ „ამესალიომთან“ შესწავლილი იყო ამ უძველესი მითების ურთიერთობა მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგიის მიხედვით, მრავალ საყურადღებო დეტალთან ერთად ბევრი, რასაკვირველია, შემთხვევითი, ხელოვნური პარალელი იქნა მითითებული. ქართულ „ამესალიომთან“ ურთიერთობა იშთარის შიითისა არ ჩანს შემთხ-

ვევითად, იგი საერთო წყაროდან წარმოიშვა ძველ სამყაროში. ისტორიული კულტის კვალი „აბესალამ და ვაერში“ შეინიშნება, ამ ნახსენებმა პარის ვარსკვლავი, რომელიც სემიტურ სამყაროში კარგად ცნობილ პლანეტა მარსს შეესაბამება, და აბესალამის დედის უმთარის (მეშთარის) სახელწოდება, რაც სემიტურ სამყაროში პლანეტა იუპიტერს აღნიშნავს. არ არის გამორიცხული, რომ ეთერიცა და ნათელაც ამ სამყაროსთან იყოს დაკავშირებული. აქვე აღსანიშნავია ბიბლიურ ჰიმნში ნახსენები „სიციციხლის წყლის“ (რითაც აციციხლებზე თამუხს) მოტივისა და აბესალამის მიერ „უკვდავების წყლის“ მოტივის პარალელიზმი; აღსანიშნავია შეიღობ რაიების სამბოლიცა, თვით ძირითადი თემა ქვესკნელში მოგზაურობისა არ არის უცხო ძველი სამყაროსთან. ბიბლიონურში ანალოგიური მოგზაურობის მრავალი პარალელია ცნობილი, მაგალითად, VAT 10057 ტაბლეთი მოგვიხსრობს ასურეთის ერთ-ერთი მეფის მოგზაურობას მიწისქვეშა სამყაროში. ცნობილია ტაბლეტები ქვესკნელში განაჩის შესახებ, ამ შინაარსისა მარდუთთან დაკავშირებული ჰიმნები, სუმერების სიკვდილი, ახალწლის ზოგიერთი ციკლი, საყურტო დრამები; მეფის დამარჯვებზე, მიცვალებულთა დღესასწაული მეფესთან, „პარის გაღებამ“ რიტუალი, მკვდრეთით აღდგომის ინსცენირება; ცნობილია უამრავი შელოცვა გარდაცვლილთა სულზე, ყოველივე ბორბის დემონებზე, ქირზე. ანალოგიური ჰიმნები, მითები, შელოცვები ცნობილია ძველი ეგვიპტური ლიტერატურიდანაც, შინაარსის მთლიანადიდან. პარალელიზმები გვხვდება ძველი საქართველოს ვამონიანთებ-

შიც: სარკულ საყურტო სიმღერა „ზარში“, „დატირებებში“, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ცეცხლსა და წეს-ჩვეულებებში, თამუხის დატირების მსგავსი ქართულ ფოლკლორში საკმაოდ გავრცელებულ ტარისის ლეოების ლაზარეს დატირება; ლაზარე, როგორც თამუხი, ადამიანის კეთილდღეობისა და შრომის ხელისშემწყობი ლეოებაა, რომელსაც ზამთარში ვერ დატირებ, მისი ფუნქციები მოსავლიანობას უკავშირდება. ზამთრის გასვლსა და გაზაფხულის პირზე სრულდება ქართული სანახაობა ყვენობა, რომელიც, ამითარს ჰიმნით, წყალთან არის დაკავშირებული; ყვეს, როგორც ზამთრის სიმბოლოს, გამარჯვებულ გაზაფხული წყალში აგდებდა და ირგვლივ იმართებოდა ლხინი; მსგავსი რიტუალები, კარნავალური ცნობილი იყო დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში. ანალოგიური განაყოფიერების კულტის ამსახველი ციკლი იყო ქართულში ბერეკობა, რომელიც აგრეთვე გაზაფხულის კალენდარს უკავშირდებოდა. ქართულში უამრავი წეს-ჩვეულებაა ამ კულტთან დაკავშირებული. მათ შორის საყურადღებოა „ადრეკალი“, „მელოთილეების“, „საქმისის“, „მობიხის“, ციკლები.

როგორც მოკლე მიმოხილვლა მასალებში დაკვარწმუნა, იშთარის ჰიმნის დაკავშირება სხვა ქვეყნების ფოლკლორთან და, კერძოდ, ქართულთან, მრავალ საყურადღებო პრობლემას ზადებს და მისი დეტალური შესწავლა სასურველია ძველი ქართული კულტურის ისტორიისათვის. ჰიმნის თარგმანს ჩვენს ენაზე ისევე საყურადღებოა და აუცილებელი, როგორც „გილაგამეშის“ ეპოსის სრული თარგმანი.

ტექსტი (ტაბლეტის წინა მხარე)

- | | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <ol style="list-style-type: none"> 1. ქვესკნელში, საიდანაც მიწაზე იშთარმა, სინის ასულმა მიამყარა სინის ასულმა წყვდიადის სამყოფელში, 5. გაბლში, რომელშიც მემსულელი გზაზე, საიდანაც მოასკნელი საბლში, რომელში შემსულელიც იქ სადაც მტყვრი მიწისა სასულთა, 10. ჩაცმულია ფრინველის მსგავსად (სულ), (მისი) კარებზე და ურდულდებზე მიადწია რა განმრუდავი ქვეყნის კარს მცველს კარებისა ჭე, ცველო, გაალე 15. გაალე მენი კარი, თუ არ გაალე კარს, დაგმსუხოვე ბეცს, დაგმცვე ზღედეს, 20. მოვართვე გარდაცვლილებს, ცოცხლებზე მეტი გახდება ბაგე გაამო მცველმა მიმართა დიდ | <p>არ ძალეშთ დაბრუნება, ყური მიამბრა, ყური, ირქალას საცხოვრებელში. ვარ გამოდის, არ არის უჯანვე, კარგავს სინათლეს, სატმულია—სულში, სამოსია ბუმბული, განმუნილია ფერფლი. იშთარმა, სიტყვით მიმართა: შ.ნი კარი, მიგ შემოვიღებ, ტ არ შემომიშვებ, ურდულს დაგიმტრევე, შევლმწავ კარს. მტამულბს ცოცხალთა. მკედრები. (და) მიფოცო: იშთარს;</p> |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|



- შესდები, ქალბატონო,
წავალ, მოვახსენებ შენს სახელს
25. შევიდა მცველი,
ის. შენი დაიკო
შემოქმედი დიად
როდესაც ეს შეისმინა
გაყვითლდა, როგორც
30. დაუსგავა დაპირებულ
თა განიხრება, რაა მის გულში
იგი გვერდზე
როგორი საქმელებიც (ეკნება) უნდა შევკამო?
- დაეტირებ? გმირებს,
35. დაეტირებ ახალგაზრდა ქალებს,
პატაოებს, ნახებს, დაეტირებ
გასწი, ცველო,
მოეჭაი, როგორც
მიდის მცველი,
40. მობრძანდი, ქალბატონო,
სასახლე ქვესკნელისა, გამოუვადი,
ერთ კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
რატომ მაცილებ თავიდან
მობრძანდი, ქალბატონო.
45. მეორე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
რატომ მაცილებ ხეში ყურებიდან
მობრძანდი, ქალბატონო,
მესამე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
რატომ მაცილებ კისრიდან მიივებს,
50. მობრძანდი, ქალბატონო,
მეთხე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
მცველო, რატომ მაცილებ მკერდიდან
მობრძანდი, ქალბატონო,
მეხუთე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის, იღებს
წელიდან დაბადების ჭეის სარტყელს,
55. მცველო, რატომ მაცილებ წელიდან დაბადების ჭეის სარტყელს?
მობრძანდი ქალბატონო,
მეექვსე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
რატომ მაცილებ, მცველო
მობრძანდი, ქალბატონო,
60. მეშვიდე კარში როდესაც შეიყვანა, აცლის,
მცველო, რატომ მაცილებ სხეულიდან სარტყელის სამოსს?
მობრძანდი, ქალბატონო,
როგორც ძველად,
რა იხილა მის წინაშე (იგი)
65. იშთარი არც შევროთა,
გაალო ბაგე ერეშქიგალმა
ნამთარს შეჭკალის
გასწი ნამთარ,
იშთარს შეჭკარე
70. ავადმყოფობა თვალის—
ავადმყოფობა ყურის—
ავადმყოფობა ფეხის—
ავადმყოფობა გულის—
ავადმყოფობა თავის—
ყოველივე (რაც არსებობს)
75. მას შემდეგ, (რაც) ქალბატონი იშთარი
ზარი ძროხას არ უახლოვდება,
ჭალი
სმინავს კაცს თავის სარტყელში,

- ნუ შეთანჯარე (ხლდეს),
მეფუე ერეშქიგალს.
მიუგებს ერეშქიგალს:
იშთარი (გელოდება),
დღესასწაულთა.
ერეშქიგალმა,
ფინიკი,
ღვროს ტურები,
ჩაქსოვილი?
უნდა მოვისვა?
როგორი მღვრიე წყალიც (ეკნება) უნდა
დავლიო?
როდელთაც დატოვეს საცოლეები,
მოცილებულა კმრის სარტყელიდან.
უდროოდ (გარდაცვლილებს).
მხოლოდ ეს გაუღე კარი!
ძველი კანონია.
ულებს კარებს.
ქუთუ შენზე ზემოზს,
შენს წინაშე მზიარულობს;
იღებს დიდ გვირგვინს თავიდან.
დიდ გვირგვინს, მცველო?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის.
იღებს მის ყურიდან საყურებს,
საყურებს, მცველო?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის
იღებს კისრიდან მიივებს,
მცველო?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის.
იღებს მისგან მკერდის საფარველს,
ჩემს საფარველს?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის.
იღებს წელიდან დაბადების ჭეის სარტყელს,
მცველო?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის
იღებს სართველის ხელებიდან
(და) ფეხებიდან.
ხელებიდან (და) ფეხებიდან მოსართავებს?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის
იღებს სხეულიდან სარტყელის სამოსს
მცველო?
ასეთია კანონი ქვესკნელის ქალბატონის.
იშთარი ქვესკნელში შევიდა:
ერეშქიგალმა, განრისხდა ფრიად.
მივიდა მასთან, დაემკვიდრა.
(და) მიუგო,
მიმართა სიტყვით:
ჩაქეტე იგი სასახლეში,
სამოცამდე ავადმყოფობა
მის თვალზე
მის ყურზე
მის ფეხზე
მის გულზე
მის თავზე
(გავრცულდეს) მთლიანად მასზე.
გამოუვალ ქვეყანაში ჩავიდა,
სახეზარი სახეზარს,
განკალევედა მამაკაცისგან,
სმინავს თავისთვის კალს.

(უკანა მხარე)



1. ფარულქალმა, დიად ღვთაებათა მაცნემ, ჩაიცვა მწუბრის საშოსი, წავიდა სინის მამის, მუდმივ ვას წინაშე
5. იშთარი ქვესანდომია, იმ ხნიდან, რაც იშთარი ჩავიდა ზარი ძროხას არ ეტანება, ქალი არ არის სძინავს ვაჯაკის
10. სძინავს ქალს ვამ საყუთარ არსში შექმნა აცუშენამირი „წადი, აცუშენამირ!“ გამოყოფალი სახლის შუადი კარი
15. როდეს გიხილავს ვრემქვრვალი, როდესაც ჯული ხისი დამწვიდდება, აიძულე იგი, თქვას სახელი თავი ასწიე, ყური ნიაპყარ (ყურადღებით მოეციდე) ხალხიკუს.
„ო, ქალბატონო, მომიცენ ხალხიკუს, როდესაც ვოეშქივალმა თქვოზე დაირტყა (ხელი), „თავო ჩემო!, განიხრახებ სურვილი გასწი, აცუშენამირ!“
20. ქალაქის (მცხოვრებთა) გუთნის (მოპოვებული) საკმელები იყოს შენი საკმელი, იქნება შენი სასმელი, გექნება სადგომად, იქნება შენი ბიია, დაგიწერილებენ ყბებს“, მიუგო, მიმართა სიტყვით: დარტყი... დაუკაჟნე, ოჭროს ტაბტზე დასეი. მომგვარ ზემ წინაშეა. დასარტყმელად, ზღურბლზე, ოჭროს ტაბტზე დასეა (ვოეშქივალს) მოგვარა.
25. გამოხაჯონი (ძვრალი) სითხე ქალაქისა— კედლის ჩრდილი ლოდი ქვისა შიმშილი და წყურვილი ვრემქვიკალმ, გაბაბო ბაგე,
30. იაენე ხამთარს „გასწი, ნამთარ, სასახლისაგან, თეთრი ქვის ზღურბლზე ანუნაჟი გაბოიყვანე, ასხურე ცოცხალი წყლით იშთარი,
35. წავიდა ნამთარი სასახლისაკენ დაუკაჟნა თეთრი ქვის ჩამოიფანა ანუნაჟი, იშთარს სიკოცხლის წყალი ასხურა ერთ კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა სირცხვილის სამოსი,
40. მეორე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა ზოსართავები ფეხებისა და ზელებისა, მესამე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა დაბადების სარტყელი თევობისათვის, მეოთხე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა საფარები მჭვრდისა, მეხუთე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა მიწები კისრისა, მეექვსე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა საყურეები ყურისა,
45. მეშვიდე კარში გამოატარა იგი და დაუბრუნა გვირგვინი თავისა, „თუ იგი გამო ასხნელს არ მოგცემს, (მაშინ) მომიტანე ყოველივე უკან!“ (იშთარის) სიყრმისა, ნელსაცხებელი ასხურე, სადღესასწაულო სამოსით შემოსე, (დემ) ლაგვარდის ქვის ფლეიტამ (მხიარულად იქლე-როს), მისი ფიჭრები, დამსხვრია ბგლილიმ საგანძური. სივრცეში, ნუ ტირი ჩემზე. თამუხის დღეობაზე, მეწამული ქვის ტიმბანზე, მტირაღლით კაცურ და ქალნი, აღდგნენ მკვდრეთით მიცვალებულნი, (ისინი) ყნოსვენ საკმელების კვამლს“.
0. ქალწულებმა დამიწონ (როდესაც) ძმის ხმა შეისმინა განიბნა ლაგვარდი ერთადერთო ძიოა, გღერს ლაგვარდის ფლეიტა
55. „მასთან ერთად დავეურავ დაუკაოთ ჩემთვის, მასთან ერთად აღდგნენ მკვდრეთით მიცვალებულნი, (ისინი) ყნოსვენ საკმელების კვამლს“.

შ. ამისულაშვილის პოეზიები*

ცნობილი აზრია და ბეჭეტირაც თქმულა, რომ კემმარტი პოეზიისათვის, საერთოდ, არ არსებობს არაპოეტური ან უმნიშვნელო თემები. ნამდვილი პოეტისათვის არაფერია უმნიშვნელო და არაპოეტური აღამიანის ცხოვრებაში, მწერალი ყველა აზრებსა და მოვლენაში პოელობს საინტერესოს და საგულისმშოს, რომლის განზოგადების საფუძველზე მრავალი ათეული და ასეული აღამიანის სათქმელს ამბობს და გამოხატავს. თემის არჩევანში ასე თუ ისე გვინდება შემოქმედის საზოგადოებრივი მუშა, ცხოვრებაში მის ინტერესთა სფერო, ის, თუ რით სუნთქავს და ცოცხლობს პოეტი-მოქალაქე.

სწორედ ამიტომ შ. ამისულაშვილის პოეზიაში საუბარი მთი თემბატკით ვესტრს დაეწყო. ამ წიგნში, რომელიც ახლახან გამოცემა გამოქვეყნდა „საბჭოთა საქართველოში“, დაბეჭდილი ხეით პოემა და მათგან რთხი („საბურციხელი ნალბანდი“, „გომეწრის ხეობა“, „ამშებელი აფრება“, „მთვარის პოემა“) თანამედროვეობის თემებზე დაწერილი, თემბატკა ვერც მებზეუე პოემის „რავბადის“ მოქაქვეთ მთლიანად ისტორიული თემბატკის ფარგლებში, რადგან მის სთევეტრ კომპოზიციამი მძიმე ისტორიული წარსულის სურათის გახსენება კონტრასტულ ფონს ქმნის და ზენი თანამედროვის ფიქრთა და გრძობათა უფრო მეტის სიმკვეთრით ჩვენებას ემსახურება.

უკვე მარტო ეს ვარებობბაც ვარკვეულ შექმბა ჰქვინ შ. ამისულაშვილის შემოქმედებას, მაგრამ ვიდევ უფრო ბეგრისმთქმელია ის, რომ თავის ნაწარმოებთა თემბატკის არჩევანს, პოეტი ცდილობს მხოლოდ იმაზე ესაუბროს მკითხველს, რაც მისი ბარბდი ბიოგრაფიის ნაწილია, რაც თვითონ გამოუცდიო, რასაც დაუფიქრებია, აღდღეუბბია და შთაუგონებია.

შ. ამისულაშვილის წიგნი იხსნება პოემით — „საბურციხელი ნალბანდი“, რომელიც პოეტბა ომისშემდგომ, 1947-1948 წლებში, დაწერა. პო-

ემაში საუბარია ომგადახდილ ეაქაცებზე, ფრანტული ცხოვრების შემდეგ მწიფდობიანი შრომის ფერხულში ჩაბმის სიხარულსა და ტვივლებზე. ვამარკვების მიუხედავად, ხალხს არ შეეძლო დაეწეუბბია ის ტვივლები, რაც აღამიანებს ხანგრძლივმა და უღმობელმა ომმა მოაყენა. ომიდან დაბრუნებულ ვარისკაცებს თან მოაყუებობდათ აღამიანური წუხილი და დარდი, უბლოეს მეგობართა და თანამედროვეთა დაღუბვის ნალღელი, ხოლო ზოვსაც ახალი ტრავილები და სიმძმილი ელოდა. ამ დღეების სიხარულსა და ტვივლებზე, სარბუნავსა და სიძნელეებზე თავისი მართალი სიტუეა უნდა ეთქვა ზენ მწერლებსაც. ერთი ასეთი მართალ სიტუეათაგანია შ. ამისულაშვილის „ბავრციხელი ნალბანდი“. ესაა მხიბვრელი ნაწარმოები, სადაც ცხოვრებისეულ მასალას პოეტი მხოლოდ იმისათვის იყენებს, რათა პოეზიის ენით უთბრას მკითხველს, რომ მოძმეთა მხარდამხარ შთავონებული შრომბა აღამიანის ყველა სატკიერის მალამო, რომ შრომბა ამღლებს აღამიანს და ანიუებს სტიკოტბლის ძალას, სიხარულსა და ბალისს. დაბრკოლებათა გადალბვის უნარს, რომ უმეგობრო და უამხანავო, ცხოვრებისაგან ვამღვარ აღამიანს აღვილად იმორჩილებს ცხოვრების ვრივალი, სჯაბნის და სულღერად ამაბუნებს მას.

აღნიშნულ პოემაში ავტორი იყენებს უკვე ნაცნობ ყოფით თუ ფსიქოლოგიურ მოტივებს, ჩვეულ სიტუაციებს; აღიგალავ პოემაში ლიტერატურული სტილისაცია იგტბნობა (ვინაქუთრებით ფსიქოლოგიურ აღწერილობებსა და დეკლამაციას), რს ვამოც სავსებით ცხოვრბასეული და თავისთავად შესაძლო კონფლიქტბი. ზოგჯერ, როგორღაც არაბუნებრივად ვეჩივენება და ბოლომდე დამარწმუნებლად არ ქლერს.

შ. ამისულაშვილის პოეტური ბელწერა ვამარჩევა სურათოვნებთა და პლასტიკით. მის ემარკვებას მკაფიო კონკრეტულობით გამოხარჩევი ხასიათბის შექმნა, ცოცხალი, მოძრავი ყოფითი სურათების ხატვა, ფერბით მდიდარი, პლასტიკური პეიზაჟის წარმოსახვა.

* შალვა ამისულაშვილი, პოემები, საბჭოთა საქართველო, 1962.

შ. ამისულაშვილის პოეტური ხელწერის ეს თავისებურება კიდევ უფრო ცხადად ვლინდება მის პოემაში — „გომეწერის ბეობაში.“ ეს არის პოემა შრომატუბის მიდამოების ზეიად სიღამაზე და ამ სიღამაშით შთაგონებულ ვეაქციურ-სი სელის ადამიანებზე. პოეტი სულიერი პლედვარებით ხატავს საქართველოს მთიანეთის წარმრაც ბუნებას. მაგრამ ბუნება თავისთავად კი არ აინტერესებს ავტორს, იგი მისი ნაწარმოების სოცეტური კომპოზიციის ორგანული ელემენტია და პოემის მთავარი შინაარსის გახსნისათვის, მხატვრული ხორცშესხისათვის იშველიებს. ბუნება ამ პოემაში დეკორატიული ფონი კი არაა, რამედ ადამიანის სულშია გადისული და კონკრეტულად ვლინდება თვით გმირთა სულიერ სამყაროში, მათ გრანობებში, განწყობილებებში, ქვეყანაში, მთელს ხასიათში.

ამ ადამიანთა გრანობები ვარსკვლავთა ვარაყით დამწვევებულ თეთრმუხარადიან მთებისათვის სპეტაკია, ზეაუების ნაყურითი ანგარა, ზეგებში დამწყვდეული ქარიშხალივით ძლიერი, — „ჩხვთა სატახტოს“ — დიდებულ ბორბალობათი მალაი. ბუნებამ ამ ადამიანებს თავისი სილედ მისცა, სიმამაცე და გამბედაობა ჩაუნერგა. მაგრამ ამასთან, თავისი მაცდურა სიღამაშის მეოხებით, გრანობათა დროზე აღაგმავც ასწავლა. სწორედ ესაა ვეაქციობა, ვეაქციის სახელი კი წმიდათაწმიდაა ამ ადამიანებისათვის.

პოემაში დახატულია თუში კოლმეურნე მწვემების ცხოვრების მართალი სურათები. პოეტი წრფლი განცხივი ხატავს მწყემსთა მძიმე, მაგრამ მადლიან საქმიანობას, აღამიანურ გრანობებს, სიხარულსა და დარდს, მეგობრულ თაყვანებსა და გამტანობას, განახლებული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას. შ. ამისულაშვილი კარგად ფლობს გამომსახველობითი დეტალის შერჩევას ხელოვნებას და მზარად პოელობს საქმის სიტყვას, მოვლენას, ფაქტსა და სახეს, რათა ლირიკულ აღსარებაში გაიხსნას ავტორის ჩანაფიქრი, რაც ესოდენ აღელვებს მკითხველს.

გემოვნებით და მხატვრული ტაქტით იყენებს პოეტი თუშირ ხალხურ სიტყვიერებას და მისი დახმარებით კიდევ უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოგვისმბავს თავისი გმირების კოლორიტულ ხასიათებს, ყოფისა და ბუნების დამახასიათებელ სურათებს.

თუ ამ პოემაში მკითხველს უფრადლებას ბუნებისა და ადამიანების ეს კოლორიტული პოეტური ხედვა იპურობს, სამაგიეროდ, „მშვეებელი აფრები“ განწყობილების დრმა ადამიანურობითა და მალაი სიმპოლიური შინაარსით ოხვადებს მას. ამ პოემას უდავოდ საინტერესო ლირიკული კომპოზიციუა და ნამდვილი პოეტური მატერიატი აქვს.

პოემის შესავალში ავტორი ხატავს ქვეშე-

თის წყნარ და მშვიდ საღამოს, პოეტი უღარდელად, „მაგმეური ხალისით“ დაუბეტება მშვენიერი აგარაყის მიდამოებში, შიგრამ მკონუსტულივით ჩერდება ერთი სახლის კარიბჭეზე. გასარულ შავ ქსოვიდთან, რომელზედაც გამოსახულია თეთრი აფრა „სამგლოვიარო წარწერით. იყავი დასტირის ოში დაღუბულ შეზღავურ შვილს, ეს შვეი ქსოვილი პოეტს ააღლევებს და კეჟმინან ფიქრებს აუშლის.

ესე ოსტატურად ნასკევს შ. ამისულაშვილი თავისი ლირიკული პოემის კვანძს და ამის შემდეგ უკვე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, მართალი და შინაარსიანი პოეტური ასოციაციებით მწყობრად წინადატელობით გეიმხელს თავის მთავარ სათქმელს.

აი, ოცნების გზაზე დამდგარ პოეტს გონებიდან ვერ ამოუღია ეს თეთრი აფრა და ფიქრობს, სილდან დაჰყვა ამ ქვეშეულ კბებეს ზღვსაღში ლტოლვა, „როცა ზღვისფერი აქ ერთადერთი ტბაც არ კამკამებს თავსაფრის ტოლა?!“ და ამ სიადულმოს იგი ნამდვილი პოეტური სოროლივით გადმოგვცემს ყანლიანი ღამის სურათის დაბატით, როცა მთელი მიღამო, მართლაც, ზღვსა ჰგავს, ამ სურათით გამოწვეული განცდა იმდენად მძაფრია, რომ მს დიხიკური შეგრანებაც კი უჩნდება იმისა, თუ როგორ უნამაქს ზღვის სველი ნივიც ცხელ შუბლს და მდლევარედ ათქმევენებს:

აი შვეი ზღვაც, მხევენს რომ
 აფრქვევს,
 მოათამაშებს ტალღას ტალღაზე;
 ვემშვიდობებთი საღფურებს, ბაქრებს—
 ჰაეროვანებს, ღამაზ-ღამაზებს...
 მივქრით. ნაპირი აღარ თაყვება,
 ვუქრვით ხელმანდილს ნავეებს აფრისანს;
 ცა მშვიდზე მშვიდი და ლურჯთაღება
 ზღვას პირიზონტზე გულში ჩამყერია!...

ესე შთაგონებულად, ხან თავის ფიქრებთან განმარტობებულ, ხანაც თავის გმირთან ოცნებით მოსაუბრე პოეტი თანდათან იტოცლებს ზენს თეაწინ ზღვაზე, უსაზღვრო სივრცეებზე, კრიალა ლავარდზე, დიდ სიციცხეზე შეყვარებულ ქვიშეულ კბებეს, და ბოლოს ასეთი შთაგონებულ სტრიქონებით მამართავს მას:

არხზე დახრილი ბილახის ღერიც
 თათქოს ამ წუთში შენზე საუბრობს;
 გიხმობს, გეხმის აქ ყველაფერი
 გულიდან გულში სამოგზაუროდ...
 ძაო, მამაზედაც სანდომიანო,
 მოუსაველეთში შენ ვინ გაგიშვებს;
 ეყოს წარწერა სამგლოვიარო
 იმ შენი სახლის მალაი კარიბჭეს!
 მელ თოვლისფერ ატლასის ნაჭრებს
 ავაშვებინებ ბიქებს აფრებად;
 ზედ ვხატება ღუზა და საქე
 სიკვილიზე ჟავრის ამოსაყრელად!..

ამ პოემით შ. ამისულაშვილმა, ომგადახდილმა ქარისკაცმა, თითქოს თავისი მეომარული ვაჟი მოიხადა იმით წინაშე, ვინც მის მხარდამხარ იბრძოდა, ვისთანაც „რგებია ტანჯვა ზღაპარში თქმული“, მაგრამ ვინც ვერ შეეცადა ვანთილის მოფერებას, საშრობლო მხარის ხილვებს და ანდერაჟდ დავივტოვა მტერზე გამარჯვება, საშრობლოსა და ხალხის ბედნიერებისათვის უანგარო ბრძოლა.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ სათანადო გამოძახილი პოემა ომგადახდილი პოეტის გულში, რაც წრფელი განცდილობა ასახული მის „მთავარის პოემაში“. პოეტი ამყარავდა ცდილობს თავი დააღწიოს დეკარაქციულობას, მაღალფარდოვან რიტორიკულობას და ერთგულად მიჰყვება თავის შემოქმედებით მრწამსს—წეროს „იმაზე, რაც თვითონ განუცდია, რაც მის სულში გახმიანებულა, რასაც დაუფიქრებია და აუღელავებია“.

პოეტი მაღალფარდოვან დიოტირამებს კი არ ფერქვევს, არამედ ცდილობს თავისი თაობის

გრძნობათა და ფიქრთა შექმნე ასწავს მორცნულ და მხატვრულად წარმოსახოს მისი დიადი აზრი. პოეტი ხატავს ოქტობრის რევოლუციური შობილ ადამიანთა ლირიკულ მიმოფარებას და გვიჩვენებს, როგორ ღვივდებოდა ამ ადამიანთა სულში დიადი მიზნებისაკენ, ამაღლებულობისკენ, „ცისკენ“ ღრთვის უკეთილშობილესი სულსკეთება, რომელიც გმირული საქმეებისაკენ მოუწოდებს მათ. ეს აზრი პოემაში დამაჯერებლადაა გადმოცემული, და მკითხველსაც სწამს, რომ ეს ხალხი არ შეუშინდება არავითარ სიძნელეს და უფთოდ აქცევს სინამდვილედ კაცობრიობის სანუკვარ ოქნებებს, უფთოდ მისწვდება „შორეულ ვარსკვლავებს“.

სწორედ ამ რწმენის განმტკიცებაშია შ. ამისულაშვილის პოემების მთავარი პათოსი და ამითაა ისინი საყურადღებო და მნიშვნელოვანი საბჭოთა მკითხველისათვის.

შოთა სულაზარიძე.

ლიტერატურული ნარკვევები*

პროფ. მ. ზანდუკელი ვერ კიდევ რაღაცნიმე ათეული წლის წინათ ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა მე-19 საუკუნის რთული ლიტერატურული მოვლენების, ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტებისა და მდიდარი მხატვრული მასალების შეცნობრილი სისტემატიზაცია. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სიმტკიცის განახლებულ გამოცემასთან ერთად, უკანასკნელ წლებში, მკითხველმა მიიღო მისი ორი საინტერესო მონოგრაფია ვაჟა ფშაველას შემოქმედებისა და ილია ჭავჭავაძის მხატვრული ისტორიის პრობლემებზე. 1957 წელს გამოვიდა შ. ზანდუკელის „ლიტერატურული ნარკვევების“ პირველი ტომი, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავდა „დაიწყებულ ან ნახევრად დაიწყებულა მწერლების შემოქმედების შესწავლას და მათი ადგილის გარკვევას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნის საერთო ხასიათს არსებითად განსაზღვრავდა მონოგრაფიული ნარკვევები კოტე მყავილის, ვახტანგ ორბელიანის, შამია გურიელისა და გრიგოლ დავითის ძე აბაშიძის პოეზიის შესახებ.

„საბჭოთა საქართველოში“ გასულ წელს გამოსცა ამ დაუღალავი და ნაყოფიერი მკვლევარის ახალი წიგნი — „ლიტერატურული ნარკვევები“ (ტ. II), რომელიც ფაქტურად აგრძობს მთავარი ახალი ქართული ლიტერატურის

ისტორიის დარგში იდრე დაწყებული კვლევის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის ცხოვრება-შემოქმედებაზე ტომში მოთავსებული ორი კრიტიკული ნაშრომით მ. ზანდუკელი, თითქოს, ამაჯერებს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროში თავის ხანგრძლივ კვლევებით მუშაობას და აქვე აწევებს მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს გაშუქებას. ამას მოწმობს 90-იან წლების ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-განოშიორი პირობების ზოგადი დახასიათების შემდეგ ევ. ნინოშვილისა და დ. კვდიანიშვილის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელი, საფუძვლიანი მონოგრაფიული განხილვა. ჩვენ ამყარებ მიზნად არ გვაქვს დაწვრილებით შეფერადებ წიგნში დასმულ ყველა საკითხზე, მაგრამ გავიხიოთ მინც უნდა შევნიშნოთ ზოგიერთი რამ.

საქმე ის არის, რომ პროფ. მ. ზანდუკელი ამ შემთხვევაში არ დაღატობს თავის ადრინდელ კონცეპციას, რომელიც მან მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხზე სამი ათეული წლის წინათ წამოაყენა. „ახალი ქართული ლიტერატურის“ პირველი ტომის 1932 წლის გამოცემაში ის მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას უოფდა სამ ძირითად პერიოდად: 1800-1845, 1845-1890 და 1890-1900-იანი წლები, ასეთი პერიოდიზაცია ქართულ ლიტერატურის მცოდნეობაში ამჟამად

* მიხეილ ზანდუკელი. „ლიტერატურული ნარკვევები, ტ. II, 1961 წ. თბილისი.

გზიარებული და მიღებული არ არის. როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სათავედ მიჩნეულია 90-იანი წლები, ე. წ. ნინოშვილის გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე, და ამ თვალსაზრისის საყრდენი ისტორიულ-ლიტერატურული საფუძველი აქვს, მაგრამ არც პროფ. მ. ზანდუკელის არგუმენტაცია ამ საკითხზე ინტერესს მოკლებული. ეს საკითხი ლიტერატურათმცოდნეებისაგან საბოლოო გადაწყვეტას ელის.

ამასთანა დაკავშირებული რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სათავეების დადგენის პრობლემატა, რომელსაც გვერით ეხება თავის წიგნში პროფ. მ. ზანდუკელი, მისი პზრით, მესამე პერიოდის (ე. წ. 1890-1900-იანი წლები) ქართულ ლიტერატურაში „იღებს საწყისებს ახალი დროის, ახალი ცხოვრების კონსერვაციის მოზღვაველები ახალი კლასის პროლეტარიატის შესაბამის ლიტერატურული ძვრის გამოშვებულ რეალიზმი. ე. წ. სოციალისტური რეალიზმის სათავეები. ამ ახალი იდეოლოგიის, კლასთა შორის წინააღმდეგობების, რევოლუციური პროლეტარული რეალიზმის ელემენტების შემოქმედან ქართულ ლიტერატურაში 90-იანი წლებიდან მოჩანან ევ. ნინოშვილი და ირ. ევდოშვილი“ (ტ. II, გვ. 169-170). ამ საკითხებშიც, როგორც ცნობილია, სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებაა წამოყენებული ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, და ესეც საბოლოო გადაწყვეტასა და გარკვევას ელის.

ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას (გვ. 5-77, 78-159) პროფ. მ. ზანდუკელი, სრულიად სამართლიანად, განიხილავს, ერთი მხრივ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოებრივი-ესთეტიკური იდეალებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჟას პერტური გენიის მასაზრდოებელ წყაროსთან — მთის ხალხურ პოეზიასთან მჭიდრო და განუყოფელ კავშირში. არცეცხს რა მათი შემოქმედების იდეურ-თემატურ და სტილისტურ ნიშნებს, მკვლევარი დამაყრებლად ცხადყოფს თითოეულის როლს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

თუ ბაჩანა, როგორც პოეტი, ნიჭიერად ასახავს თავის ეპოქას, „ჩვენი მშრომელი მასების უმწვეო ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობას“, თუ მშრომელი მასების გუტებულ ბძძოლაში მწერალი ზედვას იმედს, რომ ხალხი გაერთიანებული ბძძოლოთ ძველ ქვეყანას დაიბრავს და ახალს, ბედნიერ მომავალს შექმნის“, თუ სწორედ „ამაში ბაჩანას შემოქმედების დიდი საზოგადოებრივ-შემეცნებითი მნიშვნელობა“ (იქვე გვ. 77), თედო რაზიკაშვილის სამწერლო მოღვაწეობა, როგორც პროფ. მ. ზანდუკელი აღნიშნავს, „უფრო მეტი სიღრმითა და

სიღატოვით მხატვრულ პროზაში გამოვლინდა“. ამ საინტერესო შეფარებასა და საზოგადო მოღვაწეობაში მიღებული მონაწილეობის წარუტყვეში კარგადაა ნაჩვენები მთელსა და მსაზრდოებლობითი გზა, რომლითაც „ქართული ხალხური ზეპირმემოქმედების გულისსიერი შემკრები, ბავშვის ბუნებისა და მსწრაფებების ზედმოწვენიო მოვლენა... ალღოიანი აღმზრდელი თედო რაზიკაშვილი შეიქმნა ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი“ (იქვე, გვ. 100).

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება საჩვევნიო წიგნში შესული მონოგრაფიები ევანტე ნინოშვილასა და დავით კლდიაშვილზე. ორივე ნარკვევში მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორი დაკვირვებულად სწის ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენებს. მკვლევარი ზედმოწვენიო ახერხებს წარმოგვიდგინოს ორივე მწერალი რაც შეიძლება სრულად, მათი სოციალური ინტერესებისა და მხატვრულ-ესთეტიკური იდეალების ერთიანობაში. ეს მისწრაფება პროფ. მ. ზანდუკელის მიერ წიგნში ხორციელსმულია ლოკურით თანმიმდევრობით.

ცნობილია, რომ ევ. ნინოშვილის მოთხრობებში გამოყვანილ მოქმედ ბირთა უმრავლესობას თავისი პროტოტაპები ჰყავდა რეალურ ცხოვრებაში. ამ ფაქტს ყველაზე ადრე მკვლევარმა სიმ. ზუნდაძემ მიაქცია საგანგებო ყურადღება და დადოლი მასალების შეკრებისა და ანალოზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებმა ლიტერატურულ კრიტიკაში საყოველთაო აღიარება და გავრცელება ჰპოვა, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი მეთოდის, სტილიური თავისებურებებისა და მხატვრული ოსტატობის პრობლემებთან კავშირში ამ საკითხის ასხსნა და საფუძვლიანი დასაბუთება დღემდე ნაკლებად უძლი ვინმეს.

პროფ. მ. ზანდუკელი წიგნის 245-258-ე გვერდებზე საციცალურად ეხება ევ. ნინოშვილის მიერ მხატვრული სახის შესაქმნელად ავტობიოგრაფიული ელემენტების გამოყენების ხერხს და სთამადო დოკუმენტურ წყაროებზე დამყარებით, შეცნიერულად ასაბუთებს წინასწარ წამოყენებულ თარ — ზოგად და კონკრეტულ დებულებას. ზოგადი დებულების არსი მდგომარეობის იმისი, რომ „ავტობიოგრაფიული სახე მხატვრულ ნაწარმოებში... შეუძლებელია იდენტური იყოს ავტორის — მწერლისა“, რომ „ავტობიოგრაფიულ სახეში ჩვეულებრივ შეიძლება მოცემული იყოს ავტორის გაჩვენობის, მისი სულიერი მისწრაფებისა და ქვეყნის მხოლოდ ძირითადი, არსებითი საზნები, რომელია საფუძველზე იქმნება სახე მსგავსი ავტორისა და მისთან სახე ეპოქისათვის დამახასიათებელი, ტიპური“ (გვ. 246).

აქედანაა მიღებული მეორე, უფრო კონკრე-

ტული და მტკიცების ობიექტად ქვეული პოსტულატო, რომლის არგუმენტირების პროცესში მკითხველის წინაშე ნათელი ხდება ის, თუ როგორ „თვალსაზრისად აღმუქვლილი“ მოთხრობა „ჩვენა ქვეყნის რაინდის“ მთავარ გმირში — სპარხიდონ მკერიშვილში“ ავტორის, ე. წ. ნინოშვილის არა მხოლოდ გარეგნული მსგავსება, არამედ აგრეთვე ძირითადი ხაზები მისი მისწრაფებისა და ქცევისა“ (იქვე).

პროფ. მ. ზანდუკელის დასკვნით, ავტორსა და მის გმირს შორის „მსგავსება არა მარტო გარეგნულია, არამედ სულიერაც. იდეურად — თითქმის ფაქტება სპარხიდონ მკერიშვილის ცხოვრებისა და მისი განწყობილებაც ისე მიახლოებულია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ე. წ. ნინოშვილის ცხოვრებაში“ (გვ. 258). გმირის ასეთი

ავტობიოგრაფიული ხასიათი არ ამცირებს მის გარკვეულ მნიშვნელობას, არამედ კიდევ უფრო მეტ იდეურ სიმბავილესა და მხატვრულ კონკრეტულებას ანიჭებს მას, აძლიერებს მის მნიშვნელობით — აღმზრდელობით ძალას.

ასევე საინტერესოდ, ახლებურად არის პროფ. მ. ზანდუკელის მიერ განხილული დ. კლდიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება (გვ. 260-337), რომელიც მუდამ იზიდავს მკითხველს თავისი განუმეორებელი კოლორიტული მითითებით. წიგნი, მიუხედავად ფაქტიური მასალების სიუბტისა, იკითხება ხალხის, რაც მის პრაქტიკულ გამოყენებით მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის.

საკაბი იოვხარია.

ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსი*

საბჭოთა ფილოსოფიის წინაშე დიდი ხანია დგას შეტად საპატიო და აქტუალური ამოცანა — შექმნას სრულფასოვანი სახელმძღვანელო ფილოსოფიის ისტორიაში. ამ მხრივ უკანადაა შეტანილი გარკვეული ნაბიჯები აქნა გადადგმული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრამ მოამზადა და ახლახან გამოსცა ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსი, სახელმძღვანელო არაფილოსოფიური ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, აგრეთვე ფილოსოფიის დამოუკიდებლად შესწავლელთათვის. წიგნის ავტორებია პროფესორები: კ. ბაქრაძე და ს. წერეთელი, დოცენტები: პ. გუგუშვილი, ვ. კოლაძე, მ. ბელიძე და მ. ნემსაძე. რედაქტორი — პ. გუგუშვილი.

წიგნი თანმიმდევრობითაა გაანალიზებული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორია უძველესი პერიოდიდან დღემდე, მასში მოკვეთილია ძველი აღმოსავლეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ფილოსოფიური აზროვნების მოკლე, მკაფიო დახასიათება. წიგნი ორი ძირითადი ნაწილსაგან შედგება I — ფილოსოფიის ისტორია მარქსიზმის აღმოცენებამდე და II მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ისტორია. ყოველივე ამას წინ უძღვის ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების დახასიათება.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში წარმოდგენილი მდიდარი ფაქტობრივი მასალა განხილულია სწორი მეთოდოლოგიური პრინციპების მომხრეებით. წიგნის ყოველ ნაწილში ზანს ფილოსოფიური აზროვნების კლასობრივი ბუნება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარ-

ებით გააირთვებულობა და მისი განვითარების შედარებითი დამოუკიდებლობა. ეს კი ავტორებს საშუალებას აძლევს ფილოსოფიის უძველესი პრობლემათა გადაწყვეტის ისტორიულ პროცესში აღმოაჩინონ შინაგანი დიალექტიკა და გვიჩვენონ ფილოსოფიური აზროვნების განვითარება, რომელიც მარქსისტულმა ფილოსოფიამ მოგვცა.

ავტორთა წინაშე დასახული ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა და მისი განზოგადებებისათვის მომარკვებული მეთოდოლოგიური პრინციპები მოკლედ, მაგრამ ნათლად არის დახასიათებული წიგნის შესავალში: „ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების საგანი და ამოცანები... მასში დამატებულია არის ვადათილებული ის თვალსაზრისი, რომელიც ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობის უზარაფას შეიცავს. ვაშუქებულია ფილოსოფიის ისტორიის საგანი, მისი შესწავლის მნიშვნელობა და პერიოდოლიზაცია. სასურველია აქვე აღნიშნულიყო ფილოსოფიის მეცნიერული ცნებისა და ნეოაზონტიციზმის მიერ მისი დამახინჩების შესახებ.“

პირველი თავი, რომელიც აღმოსავლეთში ფილოსოფიის წარმოშობის მოკლე მიმოხილვით იწყება, ძირითადად საბერძნეთისა და რომის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას გადმოსცემს. წიგნის ამ ნაწილის ავტორმა შესწლო მოკლედ, მაგრამ დიდი სიცხადით წარმოედგინა მკითხველისათვის ძველი ბერძნების მიერ დამუშავებული ფილოსოფიური პრობლემები, მათი არგუმენტაციის დამარწმუნებელი ძალა და ფილოსოფიურ იდეათა შინაგანი კავშირი.

მეორე თავში ზოგადად ნახევენება ფეოდალისმის ეპოქის ფილოსოფიის განვითარება ვერობისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. წიგ-

* ფილოსოფიის ისტორია, თს უ, 1962.

ნის შესამე, მეოთხე და მეხუთე თავები გვაცნობს მატერიალიზმის განვითარებას და მის მწვევე ბრძოლას იდეალიზმთან ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღმოცენების, ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების და კაპიტალიზმის განმტკიცების პერიოდში. არსებული პროგრამისაგან განსხვავებით XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის გადმოცემის ნაცვალად გაშუქებულია გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ხოლო ეს თემა გადატანილია შემეხიდე თავში, რომელშიც გადმოცემულია საბჭოთა კავშირის ხალხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მიმოხილვა.

საკითხების აშკარა თანმიმდევრობით განხილვა ზეენ უფრო მიზანშეწონილად მიაგანნა, რადგანაც იგი შესაძლებლობას იძლევა, სრულად და კონკრეტულად იქნას ნაჩვენები ამ პერიოდის საბჭოთა კავშირის ხალხთა იდეურ-პოლიტიკური განვითარების ერთობა, რაც განპირობებული იყო ამ ხალხებზე რუსი ხალხის კულტურის გავლენა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ფილოსოფიური აზროვნების განხილვის დროს საჭირო იყო ეხვეწინათ ამ ხალხთა ფილოსოფიური აზრის ურთიერთკავშირი, ურთიერთგავლენა და საერთო ნაკადი, რომელიც ქართველი, აზერბაიჯანელი და სომხური ხალხის სოციალ-ეკონომიური თანამშრომლობითა და მჭიდრო კავშირით იყო პირობადებული. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, რაც ფილოსოფიური აზროვნების ერთობას განსაზღვრავდა.

საჩვენებია წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილთაგანია მეექვსე თავი, რომელიც აშუქებს გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დებულებათა გამოყენებით ავტორი აზრთა სიკბადითა და ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოგვცემს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მოკლე ისტორიას. კანტის თეორიული ფილოსოფიის განხილვის დროს ავტორი სავსებით სწორად აქვეა, როდესაც ცალკე გამოყოფს იმ ღირებულსა და დადებითს, რაც კანტის ფილოსოფიას გააჩნია.

წიგნის მეორე ნაწილი მთლიანად დათმობილი აქვს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის წარმოშობა-განვითარებასა და მის იდეოლოგიურ ფილოსოფიასთან ბრძოლის ისტორიის გადმოცემას. ამ ნაწილის ბოლოს მოცემულია თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ძირითად მიმართულებათა კრიტიკა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის გადმოცემა იწყება მისი წარმოშობის პირობებისა და მარქსისა და ენგელსის მიერ ფილოსოფიაში განხორციელებული რევოლუციური გადატრიალების არსის ჩვენებით.

წიგნში განსაკუთრებით ფართოდ არის დანახილული ლენინური ეტაპი მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში. აქ ხეტორია უძლეველი ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“-ს დაწერილებით ანალიზი.

ავტორები საუბრებით სწორად მოიქცნენ, როდესაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარება დაუკავშირეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიას, მუშათა კლასის გამანათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ეტაპებს და სამყაროს საბუნებისმეტყველო-ეტიკური შემქმნელის განვითარებას, მაგრამ არაი საუკუედურსაც იმსახურებენ, რომ ზოგჯერ საკითხის ცალმხრივობით იფარვლებიან და ნაყლებ ყურადღებას აქცევენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებების შინაგან ევოლუციას.

მეორე განყოფილებას ბოლო თავში გადმოცემულია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ისტორია რქტომპრის რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან დღემდე. ამ თავში ავტორი საინტერესოდ წარმოგვდევს ამ პერიოდში დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობის განვითარებასა და დამკვიდრების პროცესს. კარგადაა ნაჩვენები პარტიის როლი სხვადასხვა ანტილენინურ ტენდენციებთან ბრძოლაში, რასაც ადვილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

მეორე ნაწილის უკანასკნელი განყოფილება მთლიანად იმპერიალიზმის ეპოქის რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის სხვადასხვა მიმდინარეობებთან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ბრძოლის საკითხს ეთმობა. აქ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან გაკრიტიკებულია ნეოკანტიანელობა, მახზმა, ემპირიოკრიტიციზმი, პრაგმატიზმი, ნეოპოზიტვიზმი ექსისტენციალიზმი და ნეოთეოზიზმი. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკას თან ახლავს ყოველმხრივი დრმა ანალიზი. ავტორი არ იფარვლება ზემოჩამოთვლილ მიმდინარეობათა რეაქციული როლის გამოთქმარეებით და ძირითად დებულებათა დრმა კრიტიკის საფუძველზე გვიჩვენებს მათს შინაგან წინააღმდეგობებსა და შეცდომებს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის არსის ჩვენების დროს ნათლად მოჩანს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპების ცხოველყოფილი ძალა. უპირისპირებს რადიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობას სიცოცხლის მოტრფივად ბუნების პესიმიზმითა და სიკვდილის შედევია შიშით სავსე ექსისტენციალიზმის ძირითად პრინციპებს, ავტორი წერს: „ადამიანის არსებობის ძირითადი ნიშნებია („ექსისტენციალი“) გაცოლებით უფრო ღრმა და მრავალფეროვანია, ვიდრე შიშის განცდა საერთოდ და ეკრძოდ, სიკვდილის შიშისა. მართალია, ყოველი განვლული წამი

ადამიანს სიკვდილს უახლოებს, ადამიანი იბადება და კვდება, მაგრამ ადამიანი არ იბადება სიკვდილისათვის... ადამიანი იბადება არა სიკვდილისათვის, არამედ ნამდვილი მილიანი ცხოვრებისათვის, იბადება იმისათვის, რომ შექმნას სამართლიანი, ლამაზი ზნეობრივი ცხოვრება დედამიწაზე“ (431). ამის შემდეგ ამჟღავნებს რა ამ მოძღვრების სოციალურ ფუნქციას, ავტორი დასძენს: „ეს ფილოსოფია გამოხატავს იმ კლასის მსოფლმხედველობას, რომელმაც და კარგა კაცობრიობის კარგა და ნათელი მომავლის რწმენა, ვერ ხედავს კაცობრიობის მიზანს: ძველი ინგრეჯი, ზოლი ახალს ის ვერ ხედავს და შეწყობადი შიშით, სიკვდილის გარდა გამოსავალს ვერ ნახულობს“ (ვე. 430,431).

დასასრულ, ერთი შენიშვნა: ფილოსოფიის პარტიულობის დახასიათებისას ავტორი წერს: „ღვინური პარტიულობის პრინციპის ძირითა-

დი ნიშნები და მოთხოვნები შემდეგია: გამოამკარავებულ იქნას იდეალისმის რენტოლოგიური, გნოსეოლოგიური, კლასობრივი საფუძვლები მის ერთიანობაში და კავშირი რელიგიოზითა“ (455). ეს აზრი საესეზო მართებულად; მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში იგი მომარგებული არაა იდეალისტურ მიმართულებათა კრიტიკის დროს. წიგნი შენიშვნას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ მასში არ არის ნახვევები ფილოსოფიასა და ბუნებათმცოდნეობას, შორის კავშირი განეთარებებს სხვადასხვა პერიოდების მიხედვით, რაც აუცილებლად მოვთხოვება სარტეცენზიო წიგნს.

„ფილოსოფიის ისტორია“ ძირითადად დაწერილია კარგი ენით, თუმცა აქა-იქ გვხვდება ძნელად გასაგები გამოთქმები.

რ. კვიციანიძე, ზ. კარბოზია, ზ. რუსია.

ბრეჰტის პირველი ქართული თარგმანი*

ბრეჰტის ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „დედა ქუჩაი“, „გალილეის ცხოვრება“, „ბატონი პენტილა და მისი მსახური შატი“, „კეთილი სენიონელი კაცი“, „კავასიური ცარცის წრე“ და მრავალი სხვა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. მისმა დრამებმა ევროპის თითქმის ყველა თეატრი შემოიარეს. და, უთუოლ, მისასაღებელია ის ფაქტი, რომ მისი ერთ-ერთი დრამა — „კავასიური ცარცის წრე“ ქართულად თარგმნეს ჯორჯანელებმა და გამოაქვეყნეს ეთრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე. ახლა ეს ნაწარმოები „ხელოვნებაში“ ცალკე წიგნადაც გამოცემა.

ბრეჰტის ბრეჰტმა მოართულ ჩინეთში მომხდარი ამბავი საქართველოს აწმყოსა და წარსულის ფონზე განავითარა. მაგრამ როგორც ცნობილია ბრეჰტი თავის დრამატურგიაში არ ცდილობს ამა თუ იმ ქვეყნის ლოკალური კოლორატისა და ეთნოგრაფიული სიხუსტის ადგენას. თეოთონვე გვეუბნება, რომ ამ დრამაში მას არ უღიდა გადმოცემა საქართველოს ზუსტი სახე, მან მხოლოდ ამ ქვეყნის ფონზე გვიამბო „ძალიან ძველი თქმულება“, რომელსაც „ცარცის წრე“ ეწოდება, ჩინეთშია შეთხზული, მაგრამ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი“. მთავარ მოქმედ პირებს არაქართული სახელები ჰქვიათ, ხოლო ერთ-ერთ გმირს კბატო ვახტანგაც ეწოდება.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, ბრეჰტის ეს პიესა ქართულად ჩინებულადაა თარგმნილი. ბრეჰტის სადა, სასაუბრო ენა არც ისე ადვი-

ლი გადასატანია სხვა ენაზე. გარკვეულ სიძნელებებთანაა დაკავშირებული ქართული ენაზე მისი აქტურება. აქვე ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ პიესის თარგმნა არ ქავს მოხარობის, ან რომანის თარგმნას. მთარგმნელმა აქ სცენის სპეციფიკაც უნდა გაითვალისწინოს, ანგარში უნდა გავიწოს ყოველი ბგერის მუსიკალობას, თეოთეული სიტყვა მსახიობის წარმოდგენილ მოქმედებას უნდა შეუთავსდეს, რათა მოქმედ პირს შემდგომ არ გაუქირდეს მისი გამოთქმა. ერთი სიტყვით, მთარგმნელი, გარდა საკუთარი ენისა, კარგად უნდა ერკვეოდეს სცენიური ნიუანსებშიც და ისე მოკიდოს ხელი დრამატული ნაწარმოების თარგმნას.

ჯორჯანელებმა კარგად გაართვის თავი ამ სიძნელეს. ბრეჰტის ხან ურთომო, რიტმ-მოკლებული ლექსი, ხან ძლივს შესამჩნევი მუსიკა ქართული ენის სპეციფიკას, ქართულ სცენას შეუფარდეს და ამიტომ მათ მიერ თარგმნილი დრამა ადვილად იკითხება. იი ნიმუშიც:

მ გ ო ს ა ნ ი:
 პოი, რაოდენ ბრმანი არიან ხელსუფალნი
 ამა ქვეყნისა!
 უკვდავთა მსგავსი გულდაქერებით
 დაბიჯებენ მორჩილთა
 მხრებზე; დაქირაებულ მუშტს ენდობიან
 და იმედი აქვთ ძალმოშრებობის;
 ფიქრობენ, რომ მათ ხანგრძლივ პარანაშს
 არ აქვს საზღვარი,
 მაგრამ ხანგრძლივი არ ნიშნავს მარადს.
 ჰე, დროებათა ცვალებადობაც, ეამთა
 ტრიალო
 შენ, სასოებაც და საღბუნო წამებულ
 ხალხისა!

* ბერტოლტ ბრეჰტი — „კავასიური ცარცის წრე“, თარგმანი გერმანულიდან ჯორჯანელებმა, ხელოვნება, 1961.

მსგავსი მაგალითების შოტანა კიდევ შეიძლება, რადგან ნაწარმოები თითქმის თანაბარი მიძიდებით არის თარგმნილი. ჩასაკვირებელია, შეიძლება მთარგმნელმა ვედავით ზოგიერთი ადგილის ინტერპრეტაციის, ანდა ზოგიერთი ლექსის ქართული თარგმანის გამო. მაგალითად, დამატყოფილებლად არ მიგვანია შემდეგი ლექსის თარგმანი:

„გრუშე (მღერის):

ერთხელ ოთხმა გენერალმა
საომრად ირანს გასწია.
ერთი ომს თავს აროდებდა,
მეორე ვერ იმარჯვებდა,
მესამე ამინდს უყურა,
მეოთხეს ჭარმა უმტყუნა
და ვერც ერთმა გენერალმა
სახლში ველარ მალწია“.

საქმე ისაა, რომ დედანში სიმღერის პირველი და მეორე სტრიქონი, მეშვიდე და მერვე სტრიქონთანაა გაერთიებული, ხოლო დანარჩენები ერთი-მეორეს ენაცვლებიან. თარგმანშიც ასეა გადმოტანილი, მაგრამ ცოტა ხელოვნური იერი დაქრავს.

წერილის დასრულება აქვე შეიძლებადა, მაგრამ საჭიროდ მივიჩინა შევჩერდეთ ბოლო-სატყუარზე, ბოლოსიტყვაობა წიგნის რედაქტორს ა. გელოვანს ეკუთვნის. თავის მოკლე ნარკვევს ბრეტზე ავტორი „ორი კულტურის სინთეზს“ უწოდებს და წერს, რომ „ბევრმა მიმოხილველმა ეს პიესა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელოვნების სინთეზად აღიარაო“; როგორც ცნობილია, ბრეტის მკვლევართაგან ასეთი არც არავინ დასცდენია, და თუ კი ვინმეს შეშლია და ასეთი გამოთქმა უხანარია, ა. გელოვანს ეს შეუსაბამო დებულება უნდა გაემათილებია.

ბრეტტი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არ ისახავს მიზნად რომელიმე ქვეყნის, თუნდაც მთლიან მზარის კულტურულ-ეთნოგრაფიულ სურათის ასახვის, მას უკვეღან ზოგადი ნიშნები აინტერესებს, ის, რაც საერთოა ყველა ხალხისათვის. თვით ა. გელოვანიც ხომ აღიარებს, რომ პიესაში გამოყენილი ქართული ულები ქართველებს არ გაანან, რომ არაა დაკლები დროისა და ადგილის სპეციფიკური ნიშნები და ა. შ. მამ, როგორა წარმოადგენს პიესა ორი კულტურის სინთეზს (ე. ი. აღმოსავლეთისა და დასავლეთისა), თუკი აღმოსავლეთის არა თუ კულტურა, არამედ გეოგრაფიული ვარემოც კი არაა სწორად ასახული, და თვით ავტორისავე სიტყვებით რომ ეთქვათ, „...ადრეულია დრო, ადგილი და ლოკაცა“ (გვ. 111)? ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ლაპარაკი აღმოსავლეთისა და დასავლეთის თეატრალური სამუალებებისა და დრამატულ ხერხების სინთეზზე.

„კავკასური ცარცის წრე“ ფრანგ თავისებური, ეგზოტიკური, საინტერესო სახასიაზოა. არსებითად ეს უფრო იბსენის „ბერტ გუნტის“ ტიპის ლალი რომანტიკული კმნილებია, ვიდრე ჩვეულებრივი სასცენო პიესა — წერს ა. გელოვანი (გვ. 110). მთელი თავისი სიცოცხლე ბრეტტი ეგზოტიკას ებრძოდა, იგი პირდაპირ აღაშქრებდა ნაწარმოებში ეგზოტიკის ასახვის წინააღმდეგ. ასევე უსაფუძვლოა „კავკასური ცარცის წრის“ „რომანტიკულ კმნილებად“ გამოცხადება. პირიქით, ბრეტტი თავის შემოქმედებაში შეგნებულად ცდილობდა ყოველგვარი რომანტიკური ილუზიის პირობულ გაყამტვრებას. არაფერი აქვს საერთო ამ პიესას იბსენის „ბერტ გუნტთან“. თუ აუცილებელია ბრეტის პიესების, საერთოდ, და, კერძოდ, „კავკასური ცარცის წრის“ რომელიმე დრამასთან დანათესაება, მაშინ იგი ყველაზე უფრო მეტად უახლოვდება ექსპრესიონისტულ დრამას.

ეს რაც შეეხება ბრეტსა და მის პიესას. მაგრამ წერილში ისეთ რამესაც ვაწყდებით, რასაც ბრეტის შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აქ ლაპარაკია ვიღაც პედანტზე, ბევ კალმისანზე; მხოლოდ ციტატებია მოტანილი მისა ნაწარმოებდანი, მაგრამ წყაროები არაა მითითებული.

აკაკი გელოვანი გვარწმუნებს: „ერთი პედანტი რატომღაც ხაზგასმით წერდა: არც პ. მანინი, არც რემარკი და, მაშასადამე, უახლესი დროის არც ბერი სხვა გამოჩენილი გერმანელი შწირალი — მათ შორის, ცხადია, (სრულებითაც არ არის ცხადი — ზ. ჩ.) ბრეტტიც მრავალი გულისაქრუებისა და გულგატეხისა, იმედების და ილუზიების შემოფანტვისა“, „არასოდეს არ ყოფილან მიზანთრობები, ნიპილისტიზმი, ცინიკოსები, სექტიკოსები, „პიპოქონდრიკოსები“ და სიმანხიყის ესთეტიკოსები“.

აკაკი გელოვანი ამრუდებს სხვის სიტყვას. ზემოთნათქვამი მას ნ. კავაბაძის ორი სხვადასხვა შრომიდან ამოუკრეფია და „განთავსებდა“ წარმოუდგენია. ციტატა დედანში ერთგან ასე იკითხება: „არასოდეს, თავის შემოქმედების დეკლენტურ პერიოდშიც კი, პიინიამ მანი არ ყოფილა მიზანთრობი, პიპოქონდრიკოსი და სიმანხიყის ესთეტიკოსი“. მეორეგან: „მიუხედავად მრავალი გულისაქრუებისა და გულგატეხისა, იმედების და ილუზიების მრავალგზობი შემოფანტვისა, რემარკი არასოდეს არ გამხდარი მიზანთრობი, ნიპილისტი და ცინიკოსი“. ასეა დედანში. მაშ საიდან მოიტანა აკაკი გელოვანმა ციტატაში მრავლობითი რიცხვით, რატომ ამოუყენა პ. მანინი და რემარკს ბერტალტ ბრეტტი, რომელაც საერთოდ ნახსენებშიც არ არის ზემოთსახსლებულ შრომებში, და თავისი ნაპირები შემდგომ სხვის კალამს რად მიიწერა?

ახალი წიგნები

„საბოთა მხარლი“



- იპოლიტ ვართაგავა — შილა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება. რედაქტორი ვ. ვაჭაშვილი. გვ. 292, ფასი 80 კაბ.
- ნიკოლოზ ტიხონოვი — ლექსები. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 16, ფასი 3 კაბ.
- ნიკოლოზ მანავა — ცისა და მიწის რედ. ვ. გორგაძე. გვ. 70, ფასი 10 კაბ.
- შალვა რადიანი — სახეები და შთაბეჭდილებანი. რედ. ა. ვაბესკირია. გვ. 305, ფასი 88 კაბ.
- ორდე დგებუაძე — განთიადის დედოფალი. რედ. ა. შენგელია. გვ. 245, ფასი 40 კაბ.
- მისეილ ლუკონინი — ლექსები. რედ. რ. მარგინაი. გვ. 10, ფასი 3 კაბ.
- ივანე დოლმატოვსკი — ლექსები. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 10, ფასი 3 კაბ.
- ელადიმერ ხოლოხინი — ლექსები. რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 9, ფასი 3 კაბ.
- ნიკოლოზ რიბენკოვი — ლექსები. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 11, ფასი 3 კაბ.
- იუნა მორიცა — ლექსები. რედ. ა. მირცხულავა. გვ. 9, ფასი 3 კაბ.
- ნიკოლოზ დორიჩო — ლექსები. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 9, ფასი 3 კაბ.
- ეახლი ფეოდოროვი — ლექსები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 10, ფასი 3 კაბ.
- ვარლამ შურული — ეპოსის ცრემლები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 110, ფასი 22 კაბ.
- შალვა ამბროსიანი — ცის გახსენება. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 60, ფასი 11 კაბ.
- ლოლო ვადაჭკორია — გაზაფხული, მზე და სიყვარული. რედ. ა. ბელიაშვილი. გვ. 77, ფასი 9 კაბ.
- გურამ ვერდჭითელი — თანამედროვეთა მსატყუარო სახეები. რედ. თ. კობლაძე. გვ. 708, ფასი 1 მან. 11 კაბ.
- ვაჟა-ფშაველა — შელის ნუკრის ნაამბობი. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 17, ფასი 30 კაბ.
- სერგი თურნავა — მეოცე საუკუნის ფრანგი მწერლები. რედ. მ. შამელაშვილი. გვ. 335, ფასი 46 კაბ.
- ზაქარია შერაზაიშვილი — პიი და ლიხევი. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 79, ფასი 10 კაბ.
- ხილოვან ნარიშკინი — ნისლეზე მალა. რედ. კ. ლოპათიანოვი. გვ. 93, ფასი 14 კაბ.
- კარლო კობერიძე — ელი როგორც მეგობარს. რედ. ვ. აბაშიძე. გვ. 43, ფასი 7 კაბ.
- ნელი ვაბრიანი — მზეზე ამოსვლა. რედ. გ. აბაშიძე. გვ. 41, ფასი 5 კაბ.

„ნაკადული“

- ვაჟა-ფშაველა — შელის ნუკრის ნაამბობი. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 17, ფასი 30 კაბ.
- ი. კრილოვი — კვარტეტი, თარგ. დავით გაჩეჩილაძისა. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 12, ფასი 15 კაბ.
- სამუილ მარშაკი — შემოსხვევა. ვ. ზაზი, თარგ. ფ. ციციანოვილისა. რედ. გ. კვიციანი. გვ. 11, ფასი 6 კაბ.
- რევაზ ნათაძე — დაბადებიდან თხუთმეტ წლამდე. რედ. შ. დარჩხელიძე. გვ. 91, ფასი 20 კაბ.
- პარმენ ჭანიშვილი — ბუ. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 17, ფასი 30 კაბ.
- არჩილ ჭანაშვილი — საოცარი ფრთოსნები. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 37, ფასი 60 კაბ.
- ბ. კალუშინი — სხვა პლანეტებისაკენ. თარგ. მერი ამბუცელისა. რედ. გ. კვიციანი. გვ. 63, ფასი 60 კაბ.
- ლელია ხუბანიშვილი — თოჯინა. რედ. ლ. გეგელია. გვ. 92, ფასი 20 კაბ.
- ჭეთევან კილაშვილი — ნაკადულები მოიღვრიან. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 21, ფასი 4 კაბ.
- იოსებ ტატიშვილი — ბრძენი და ტეტია. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 23, ფასი 5 კაბ.
- ბ. მაკრუშენკო — შეშენსკოელი ბიჭუნა. თარგ. გიორგი ნაკობაძისა. რედ. გ. კვიციანი. გვ. 24, ფასი 8 კაბ.
- მონადირის წიგნი — რედ. რ. რანიშვილი. გვ. 279, ფასი 80 კაბ.
- ლოლო ვადაჭკორია — თეთრი კენჭი. რედ. ლ. გეგელია. გვ. 18, ფასი 4 კაბ.
- ნორა ნორაკიძე — მწებანე საგუშაგოები. რედ. ნ. ვისაძე. გვ. 25, ფასი 4 კაბ.
- ს. კახიკვიანი — ღურჭი ჩვეული. თარგ. თამარ აბაშიძისა და ნელი ურუშაძისა. რედ. მ. გორგაძე. ნ. დარჩია. გვ. 154, ფასი 20 კაბ.
- კ. გოგიაშვილი — აბლი-ბაბლი. რედ. მ. ამბუცელი. გვ. 137, ფასი 32 კაბ.
- ძილასპირული — რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 107, ფასი 15 კაბ.
- პავლე ანტოპოლსკი — ლექსები. რედ. კ. კალაძე. გვ. 12, ფასი 4 კაბ.
- ილიქსანდრე ტარდოვსკი — ლექსები. რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 12, ფასი 4 კაბ.
- ალექსეი სურკოვი — ლექსები. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 11, ფასი 4 კაბ.
- სერგეი ვასილევი — ლექსები. რედ. გ. აბაშიძე. გვ. 11, ფასი 4 კაბ.
- ილიქსანდრე შვიროვი — ლექსები. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 12, ფასი 4 კაბ.
- ბელა აბაძულიანი — ლექსები. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 12, ფასი 4 კაბ.

6 11/249

ՊՅՆՈ 80 ՅՅՅ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Մ Ո Ա Տ Օ Բ Ի“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ՏԱԲՇՈՒ ՄՇԵՐԱԼԻ“